Беньямин 1996: Беньямин В. Произведение искусства в эпоху его технической воспроизводимости. Избранные эссе / Под. ред. Ю. А. Здравового — М.: Медиум, 1996.

Коткин 2002: Коткин С. «Новые времена: Советский Союз в межвоенном цивилизационном контексте» //Мишель Фуко и Россия: Сб. ст. / Под ред. О. Хархордина. СПб.; М.: Из-во Европейского ун-та в Санкт-Петербурге: Летний Сад, 2002. 282 с.

Сальникова 2001: Сальникова Е.В. Эстетика рекламы. Культурные корни и лейтмотивы. М.: Издательство института искусствознания. 2001

Ушакин: С. Ушакин Количественный стиль: потребление в условиях символического дефицита - [on-line]: <http://psyberlink.flogiston.ru/internet/bits/ushak011.htm>

IRMA RATIANI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Genre Peculiarities of Anti-Totalitarian Text

Literary Anti-utopia, being formed in the last century, represents one of the most crucial parts of anti-totalitarian meta-text. Literary Anti-utopia is utopia in a negative context. The main conceptual characteristic of anti-utopia represents the opposition – organized society/person's identification in relation to the opposition – crowd/ an individual, where the relevant concept for the society is a mass of people obeying the hyper-tropic authoritative mechanism, while a person is a nonconformist individual opposing it.

Correspondingly, two different psychological types are singled out in an anti-utopian novel: mass and individual, whose antagonist interrelation is vividly revealed in the motivational model peculiar for the anti-utopian genre.

A number of motifs form the basis of the motivational model of anti-utopian genre. Therefore, the coordination of these motifs with conceptual characteristics defines the genre peculiarities of anti-utopia.

Keywords: Literary Anti-Utopia; Anti-Totalitarian Text; Motifs

ირმა რატიანი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანტიტოტალიტარული ტექსტის ჟანრული თავისებურებანი

გასულ საუკუნეში ფორმირებული მასშტაბური დიქტატორული რეჟიმის — კომუნიზმის ერთ-ერთ ლიტერატურულ რეფლექსიად ანტიუტოპიის ჟანრი იქცა. ლიტერატურულმა ანტიუტოპიამ, როგორც XX საუკუნის ანტიტოტალიტარული მეტატექსტის უმნიშვნელოვანესმა მოდელმა, ზუსტად აირეკლა ეპოქის კრიზისი, ის საერთო სკეპტიციზმი და ნიჰილიზმი, რომელიც სუფევდა ინტელექტუალური ტერორით დათრგუნულ საზოგადოებაში.

ლიტერატურული ანტიუტოპია არის უტოპია უარყოფით კონტექსტში. თუ უტოპია წარმოადგენს სოციალურ ფანტაზიას იდეალური საზოგადოების შესახებ, ანტიუტოპია, როგორც კონტრუტოპია, აქტიურად უპირისპირდება ამა თუ იმ სოციალური იდეალის განხორციელების მიზნით ჩამოყალიბებულ ნებისმიერ საზოგადოებრივ სტრუქტურას. უტოპია არის ოცნება იდეალურად მართულ საზოგადოებაზე, ანტიუტოპია კი — პროტესტი, მიმართული თავსმობვეული ბედნიერების პრაქტიკული რეალიზაციის წინააღმდეგ. ამრიგად, რეალიზებული უტოპიისა და ამბოხებული ანტიუტოპიის სამყარო იდენტურია; მხოლოდ, თუ უტოპია თანასწორი საზოგადოების „იდეალური ტიპია“, ანტიუტოპია მონური საზოგადოების „იდეალურ ტიპს“ წარმოადგენს.

ლიტერატურული უტოპია იმ „ახალი, იდეალური წესრიგის“ ფლაგმანია, რომელიც გონივრულად იმართება „ზემოდან“ და საყოველთაო-მასობრივ ხასიათს ატარებს. საპირისპიროდ ამისა, ლიტერატურული ანტიუტოპია ვერ და არ ურიგდება „ახალი, იდეალური წესრიგის“ იძულებით ხასიათს და იბრძვის ინდივიდუალური ღირსების გადარჩენისათვის მასიურის წიაღში.

გამომდინარე აქედან, ანტიუტოპიის უმთავრეს კონცეპტუალურ მახასიათებელს წარმოადგენს ოპოზიციის — მონესრიგებული საზოგადოება/ადამიანი იდენტიფიკაცია ოპოზიციასთან — მასა/პიროვნება, სადაც საზოგადოება ჰიპერტროფი-

რებულ სახელისუფლებო მექანიზმს დამორჩილებული მასის რელევანტური ცნებაა, ადამიანი კი — მასთან დაპირისპირებული, ნონკონფორმისტი პიროვნებისა.

ანტიუტოპიურ რომანში წარმოდგენილი მასა „თავისუფალი მონების“ ერთობ-ლიობაა, რომელიც ძალად იმართება იერარქიული სახელმწიფო მანქანის მეშვეობით და რომელსაც უპირისპირდება გაურჩეული პროტაგონისტი. ანტიუტოპიური რომანის მთავარი გმირის თვისება მისი განსაკუთრებულობაა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ინდივიდუალური მეობის შეგრძნებას და ბრძოლას ამ მეობის შენარჩუნებისათვის. შესაბამისად, ანტიუტოპიურ რომანში ორი განსხვავებული ფსიქოლოგიური ტიპი იკვეთება: მასობრივი და ინდივიდუალური, რომელთა ანტაგონისტური ურთიერთმიმართება ცხადად ვლინდება ანტიუტოპიური ჟანრისათვის ნიშანდობლივ მოტივაციურ მოდელში.

ანტიუტოპიური ჟანრის მოტივაციური მოდელის საფუძველს რამდენიმე გამყარებული მოტივი შეადგენს: კოლექტიური შრომისა და კვაზინომინაციის მოტივი; ლიდერის მოტივი; მეცნიერული პროგრესისა და ტექნოკრატიზმის მოტივი; შემოქმედებითი გონის ნიველირების მოტივი; შიშის მოტივი; ოჯახური ტრადიციის დესტრუქციის მოტივი; თვითმკვლელობის მოტივი; ფსევდოკარნავალური და ფსევდორიტუალური მოტივი; პაროდირების მოტივი.

ამ მოტივთა კოორდინირება კონცეპტუალურ მახასიათებლებთან რიგ ანტიუტოპიურ ტექტებში ესქატოლოგიურ დატვითვის იძენს და გამოკვეთავს ლიტერატურის ბრძოლის პროექციას დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ.

კოლექტიური შრომა ანტიუტოპიურ რომანში კონვეიერულ ხასიათს ატარებს და თითქმის ბიოლოგიურ მოთხოვნილებად არის ქცეული. შრომის პროცესი გამორიცხავს ნებისმიერი სახის ინდივიდუალურ ინიციატივას და მიმართულია მასის იდეალური და ზნეობრივი სიბეცის პროვოცირებისაკენ. პროლეტკულტურის ერთ-ერთი თეორეტიკოსი ალექსეი გასტევი წერდა: „სწორია არა მხოლოდ შესტებისა და წარმოებით-შრომითი მეთოდების მექანიზირება, არამედ მექანიზირება ჩვეულებრივ-ყოფითი აზროვნებისა. აზროვნების შერწყმა ობიექტივიზაციასთან პროლეტარული ფსიქოლოგიის გასაოცარ ნორმალიზებას ახდენს... სწორედ ეს შტრიხი ჰმატებს პროლეტარულ ფსიქოლოგიას უკიდურეს ანონიმურობას და საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ თითოეული შრომითი ერთეული, როგორც ბ, ჩ, ან როგორც 325, 075, თუ 0... ასეთ შემთხვევაში, აღარ არსებობს მილიონობით თავი, არის მხოლოდ ერთი საერთო თავი. შემდგომში ამგვარი ტენდენცია იწვევს ინდივიდუალური აზროვნების ლიკვიდაციას, იქცევა მთელი კლასის ობიექტურ ფსიქოლოგიად, რაც ვლინდება ფსიქოლოგიური ჩართვების, გამორთვების, გადართვების სისტემაში“ (გასტევი 1919: 10). კოლექტიური შრომის რეგულატორი სახელმწიფოა, ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო მანქანა, რომელიც ბედნიერების ლოზუნგით იმონებს ადამიანებს და უსპობს მათ ინდივიდუალური თვითმყოფადობის გამოვლენის ყოველგვარ შანსს. ადამიანები შრომობენ ცხოველების მსგავსად, თანდათანობით კარგავენ ღირსების გრძნობას და უსახელოდ, უგვაროდ ინტეგრირდებიან მასაში. შესაბამისად, თავს იჩენს ანტიუტოპიისათვის ნიშანდობლივი კვაზინომინაციის მოტივი.

კვაზინომინაცია გულისხმობს მასაში ინტეგრირებული უსახელო და უგვარტომო არსებების, აგრეთვე, სტაბილურად განმეორებადი მოვლენებისა და პროცესებისათვის ახალი სახელების, ე.წ. მეტსახელების მინიჭებას. მეტსახელის სემანტიკა ნაკლებად ესადაგება ობიექტის ჭეშმარიტ ბუნებას, მაგრამ სავსებით შეესატყვისება, ერთი მხრივ, ახალ სახელმწიფოებრივ წესრიგს, მეორე მხრივ კი, ანტიუტოპიისათვის ჩვეულ ამბივალენტურობას. მაგალითად, პირველი კლასიკური ანტიუტოპიის — „ჩვენ“ — პერსონაჟები წარმოადგენენ გადანომრილ არსებებს — D-503, I-330, 0 და ა.შ. — ე. წ. „ნომრებს“, რომლებსაც არ გააჩნიათ სახელები და გვარები, ხოლო ჰაქსლის გახმაურებული ანტიუტოპიის — „ო, მშვენიერი ახალი სამყარო“ — პერსონაჟები შეგნებულად ასიმილირდებიან იმ „ურყევ“ ავტორიტეტებთან („მარქსი“, „ლენინა“), რომელთაც „წილად ხვდათ ბედნიერება“ ეცხოვრათ „პროლეტარული“ და „ინდუსტრიული“ რევოლუციების ეპოქაში და ღირებული წვლილი შეეტანათ „ახალი სამყაროს“ მშენებლობის საქმეში. მეტსახელი ანტიუტოპიურ რომანში ზოგადად სახელმწიფოს ან ადგილობრივი ხელისუფლების დემიურგიული ფუნქციის

გამოვლენის მცდელობაა, როდესაც სამყაროში არსებული საგნები და მოვლენები ხელოვნურად იძენენ ახალ სახელებს, ანუ ქაოსიდან ხელოვნურად იქმნება ახალი კოსმოსი, „ნათელი“ უტოპიის შესატყვისი წესრიგი.

ოფიციალურ სტრუქტურას ანტიუტოპიურ რომანში თავისი ლიდერები ჰყავს, მაგრამ ლიდერის ცნება რამდენადმე ამბივალენტური და ორაზროვანია. პირველ ყოვლისა, ლიდერი არის არა ის, ვინც იმსახურებს ლიდერობას, არამედ ის, ვისაც სხვებზე მეტად სურს ლიდერობა და ყოველნაირად მიისწრაფვის ლიდერობისაკენ. თუ ნორმალურ ვითარებაში ლიდერობის მიღწევა გარკვეულ მახასიათებლებს უკავშირდება — პიროვნების ჭკუას, კომპეტენტურობას, დამსახურებას ან, სულაც, მემკვიდრეობითობას — ანტიუტოპიურ რომანში ის მხოლოდ ერთ პრინციპს ექვემდებარება — აგრესიულ სურვილს. ყალიბდება ერთგვარი სახელისუფლებო იდეოლოგია, ირაციონალური სტრუქტურა, რომელიც ადამიანს მარტივ შრომით ერთეულად აქცევს. მაგრამ ლიდერის ცნებას ანტიუტოპიურ რომანში მეორე, უფრო ღრმა დატვირთვაც გააჩნია: დემიურგიული ანუ აღმშენებლური ფუნქცია, რაც გულისხმობს ახალი საზოგადოებრივი მოდელის „შექმნას“ და ადამიანის „გადაკეთებას“ შესაბამისი ყაიდაზე. „შექმნისა“ და „გადაკეთების“ პროცესი გარკვეული რეგრესიის ნიშნით მიმდინარეობს: ლიდერი ქმნის ახალ საზოგადოებრივ მოდელს ანუ ახორციელებს უტოპიურ ჩანაფიქრს, მაგრამ ორგანიზებული სიკეთისა და ბედნიერების ძიებაში, ძალაზე დაყრდნობით, ცვლის ადამიანთა ცხოვრებას, რაც თანდათანობით გადაიზრდება ქაოსსა და უბედურებაში და, საბოლოოდ, ორგანიზებული ბოროტების სახეს იღებს. ლიდერის ტრანსფორმაცია გარდაუვალია: მისი აღმშენებლური ფუნქცია დამსჯელ და დამანგრეველ ფუნქციაში ტრანსფორმირდება. სწორედ ამგვარ ლიდერებს წარმოადგენენ კლასიკურ ანტიუტოპიებში გამოკვეთილი „ხალხის წინამძღვრები“: „ღვთისმწყალობელი“ („ჩვენ“), „უმაღლესი მმართველი“ მუსტაფა მონდი („ო, მშვენიერი ახალი სამყარო“), „იდეოლოგი“ ო'ბრაიენი („1984“) და სხვანი. „უტოპიურ მოძრაობებს ყოველთვის იწყებენ თავდადებული ადამიანები, — აღნიშნავს ს. ლ. ფრანკი, — ანთებულნი ხალხისადმი სიყვარულით, რომლებიც მზად არიან თავიანთი სიცოცხლე გასწირონ მოყვასისათვის; ასეთი ადამიანები არა მარტო ჰგვანან წმინდანებს, არამედ, რაღაც თვალსაზრისით, ნაზიარებნი არიან კიდევაც სინმინდესთან. მაგრამ თანდათან, სწორედ დასახული მიზნის პრაქტიკული განხორციელების მოახლოების გამო, ისინი ან თავად გარდაიქმნებიან სატანური ბოროტების ძალით შეპყრობილ ადამიანებად, ან, როგორც მემკვიდრეებს, ადგილს უთმობენ ძალაუფლების გარყვნილ და უსულგულო მადიებლებს. ასეთია ყველა რევოლუციის პარადოქსული განვითარება, ყველა უტოპიური ჩანაფიქრის ცხოვრებისეულ წესად გარდაქმნის მცდელობა“ (ფრანკი 1992: 54). ლიდერი ძალმომრეობის, ბოროტების პერსონიფიცირებულ ხორცშესხმად იქცევა, მონსტრად, რომელიც ხალხის ანუ დამორჩილებული მასის ხელოვნურ-პათეტიკური აღფრთოვანების ობიექტს წარმოადგენს.

მასების დამორჩილების ყველაზე ეფექტური გზა ანტიუტოპიურ რომანში პროგრესის დემონსტრირების გზაა. კოლექტიური შრომისა და ლიდერის მოტივს ერწყმის მეცნიერული პროგრესისა და ტექნოკრატიზმის მოტივი. პროგრესის მოტივს ანტიუტოპიურ რომანში განმსაზღვრელი ფუნქცია ენიჭება: ახალი ადამიანის შექმნა წმინდა ტექნიკური პროცესია, ხელოვნური შერწყმა-ანყოფის შედეგი, რაც ხელეწიფება თანამედროვე მექანიკურ მიღწევებს. ადამიანი მანქანის მონაა, ერთდროულად მისი პროდუქტიცა და მომხმარებელიც. „ახალ ადამიანს შენს გემოზე ააწყობ და გააკეთებ“, — ასეთია ახალი სისტემის ლოზუნგი, სადაც იერიშის მთავარ ობიექტს სუბიექტის ინდივიდუალური ბუნება წარმოადგენს. ასე მაგალითად, ზამიატინის რომანის მთავარი იდეა ინტეგრალის მშენებლობაა, უნივერსალური მანქანისა, რომელიც „მოახდენს სამყაროს უსასრულო გათანაბრების ინტეგრირებას“ (ზამიატინი 1989: 307) და არ დაუშვებს „ინდივიდუალური ორიგინალურობის“ გამოვლენას. კიდევ უფრო შორს მიდის ჰაქსლი, რომლისთვისაც მეცნიერება „კულინარიული რეცეპტების“ მარტივ ჩამონათვლად არის ქცეული და „მონესრიგებული ყოველდღიურობის“ ურყევ გარანტს წარმოადგენს. ანტიუტოპიურ რომანებში ასახული სამყარო მკაცრ, გეომეტრიულ ჩარჩოებში მოთავსებული განზომილებაა, ეკვლიდართ რეალობა, რომელიც აზროვნების დოგმატიზაციისაკენ უბიძგებს მის ბინადართ. რიცხვების, ინტეგრალების, ზუსტი გამოთვლებისა და მოთვინიერებული გონის

პირობებში ხელოვნება კარგავს თავის „სამარცხვინო თავისუფლებას“ და „საერთო-სახალხო“ მონაპოვრად იქცევა. მეცნიერული პროგრესისა და ტექნოკრატიზმის მოტივს სრულიად ბუნებრივად ერწყმის შემოქმედებითი გონის ნიველირების მოტივი.

შემოქმედებითი სანყისი დახშულია, ხელოვნება „გრძნობათა ცინიკურ ტექნოლოგიად“ არის ქცეული და სახელმწიფო დიქტატის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. პოეტის უმაღლესი მიღწევა ამ სამყაროში „სახელმწიფო პოეტის“ წოდებაა, მუსიკის შექმნის საუკეთესო ადგილი — ფაბრიკა-ქარხნების მოგუგუნე და მოზუზუნე საამქროები. „მე ვფიქრობდი, — სარკასტულად შენიშნავს ე. ზამიატინი, — როგორ მოხდა, რომ ძველებს თვალში არ ეცათ მათი ლიტერატურისა და პოეზიის უგუნურება. მხატვრული სიტყვის უზარმაზარი, შესანიშნავი ძალა სულ ამაოდ იხარჯებოდა. უბრალოდ სასაცილოა: ყველა იმას წერდა, რაც თავში მოუვიდოდა. ეს ხომ ისეთივე სასაცილო და უგუნური რამ არის, როგორც ის, რომ ძველებთან ზღვის ტალღები დღედაღამ ნაპირს ეხეთქებოდნენ და ტალღებში არსებული მილიონობით კილოგრამმეტრები შეეყვარებულთა გრძნობების აგიზგივებაზე იხარჯებოდა. ჩვენ ტალღების შეეყვარებული ჩურჩულიდან ელექტროობა მოვიპოვეთ, გახელებულ ქაფში მიღრიალე ცხოველიდან შინაური ცხოველი დავამზადეთ; და ზუსტად ასევე დღევანდელი ჩვენთვის მოვჭკვიანეთ პოეზიის ოდესღაც ველური სტიქიაც. პოეზია დღეს აღარ გახლავთ მერცხლის უდარდელი სტვენა: პოეზია სახელმწიფო სამსახურია, პოეზია სარგებელია“ (ზამიატინი 1989: 351-352). ინდივიდუალური კულტურის ნებისმიერი გამოვლინება უღმობლად ნადგურდება ანტიუტოპიურ სამყაროში: იღუპება კულტურის უძველესი ძეგლები, ინგრევა არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშები, იყიდება ძვირფასი ხელნაწერები, ნივთები, აღარავინ კითხულობს წიგნებს, მათ საჯაროდ წვავენ „მოქალაქეთა გონებრივი ჰიგიენის“ მიზნით. ამგვარ ვითარებაში სრულიად ბუნებრივად იჩენს თავს შიშის მოტივი.

შიში ამბივალენტურ დატვირთვას იძენს ანტიუტოპიურ რომანში: ერთი მხრივ, იგი განსაზღვრავს მასის მორჩილებას ლიდერისა და სახელმწიფო სტრუქტურისადმი, მეორე მხრივ, შიში აგრძნობინებს პროტაგონისტს რეალობის ანუ ემპირიული სამყაროს სისასტიკეს, აძლიერებს მისი პროტესტის განცდას და მაკოორდინებელ როლს ასრულებს გმირის მიერ ალტერნატიული რეალობის გამოუმუშავების საქმეში.

ტერორზე, შიშსა და „მე“-ობის იგნორირებაზე აგებულ საზოგადოებაში, ცხადია, გამოირიცხულია ოჯახი მისი ტრადიციული გაგებით: ოჯახი ადამიანის კუთვნილი სფეროა, მისი ინდივიდუალური კუთხე და ბუდე, ანტიუტოპიურ რომანში კი ადამიანს ინდივიდუალობის ყველა უფლება აქვს ჩამორთმეული. ცენტრალიზებული ევგენიკის სამყაროში თავის ჭეშმარიტ ფუნქციას კარგავს ოჯახი და სტერეოტიპული სტაბილურობის ურყევ გარანტიად გვევლინება: ოჯახი უზრუნველყოფს საზოგადოების წევრთა როგორც რაოდენობრივ, ისე — ხარისხობრივ სტაბილურობას. ანტიუტოპიურ რომანებში აღწერილი ოჯახური ურთიერთობანი ოჯახზე შექმნილი უტოპიური თეორიების გაშარჟებულ-უტრირებულ, მაგრამ კონცეპტუალურად მართებულ ვარიანტებს წარმოადგენს.

ბ. ლანინი მიუთითებს: „ანტიუტოპიას წილად ხვდა მე-20 საუკუნეში მიმდინარე ოჯახური ურთიერთობების რღვევის პროცესის სრულყოფილად ასახვა. ამისათვის ორი მიზეზი არსებობდა. პირველი მიზეზი გახლდათ სახელმწიფოს განუსაზღვრელი და აბსოლუტური ძალაუფლება ადამიანზე. სახელმწიფომ გაცილებით მეტი აიღო თავის თავზე, ვიდრე ეს ადამიანისათვის იყო დასაშვები. ცხადია, არსებობს გარკვეული ზღვარი, რომელიც მიჯნავს ადამიანს სახელმწიფოსგან და, შესაძლებელია, ამგვარ ზღვარად იქცეს ოჯახი. იქ კი, სადაც სახელმწიფო „თელავს“ ოჯახს, წარმოუდგენელია საუბარი სრულყოფილ სუვერენულ პიროვნებაზე. მეორე მიზეზი თავად ანტიუტოპიის არსიდან მომდინარეობს. ანტიუტოპიებში მეტწილად იმგვარი სურათია აღწერილი, რომ პიროვნებას მხოლოდ საკუთარი გადარჩენისათვის შეუძლია ბრძოლა და სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ თავიდან ამოიგდოს ყოველგვარი ფიქრი და მოგონება ნებისმიერ სოციალურ ინსტიტუტზე და იბრძოდეს მხოლოდ საკუთარი, მინიმალურად შესაძლებელი არსებობისათვის, არ გააჩნია“ (ლანინი 1993:78-79). ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ დავეთანხმებით მკვლევარს. ბ. ლანინი მიერ წარმოდგენილ მოსაზრებაში უდავოდ მართებულად უნდა მივიჩნიოთ ანტიუტოპიებში ასახული ოჯახური ურთიერთობების რღვევის სურათის პირველი ანუ სა-

ხელმწიფოებრივი მიზეზი. ტოტალიტარიზმის საპირისპიროდ ფორმირებული ანტი-უტოპია, ბუნებრივია, მთელი სიმწვავით წარმოაჩენდა ორგანიზებული სახელმწიფო მანქანის მიერ მართვადი ოჯახური სტრუქტურების უნიათობას, აბსურდულობას და, რაც მთავარია, პიროვნების ღრმად ინტიმური ზონის ნიველირებას. მაგრამ ვერ გავიზიარებთ მკვლევრის მიერ შემოთავაზებულ მეორე ანუ კონცეპტუალურ მიზეზს. თეზისი „ბრძოლა მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენისთვის“, ვფიქრობთ, რამდენადმე ამცირებს ანტიუტოპიური რომანების პროტაგონისტთა ქმედების მასშტაბურობასა და ფასეულობას: ანტიუტოპიის ნონკონფორმისტი გმირები იბრძვიან არა მხოლოდ „საკუთარი ტყავის“, არამედ ზოგადად, ადამიანთა მოდგმის გადასარჩენად. „პიროვნულის“ ცნება აქ ღრმად ინტეგრირდება „საკაცობრიო“ გაგებასთან და ბევრად უფრო გლობალური ტრანსფორმაციის პროექციას წარმოაჩენს, ვიდრე ეს კონკრეტული ინდივიდის დონეზეა შესაძლებელი. ერთი რამ ცხადია: სახელმწიფო რეგულაციას დაქვემდებარებული ოჯახი ანტიუტოპიურ რომანში სტერეოტიპული სტაბილურობის უეჭველი მაჩვენებელია და მას ორი აშკარა თავისებურება გამოარჩევს: ანონიმურობა და ლტოლვა იდენტიფიკაციისაკენ.

მართებულად აღნიშნავენ რ. გალცევა და ი. როდნიანსკაია: „შეიძლება წინასწარ ვივარაუდოთ, რომ ამ საზოგადოებაში, რომელმაც შეცვალა ადამიანური არსებობის ძირითადი კონსტანტები, ბატონობს თვითქმენადობის პათოსი: ის ამაყობს იმით, რომ თავად შექმნა საკუთარი თავი“ (გალცევა... 1988: 221). „თვითქმენადობის პათოსი, მართალია, სხვადასხვაგვარ რაკურსში, მაგრამ პრაქტიკულად ყოველთვის გამოირიცხავს „მშობლის“ ფენომენს. ლიტერატურულ ანტიუტოპიაში შთამომავლობითი ანონიმურობის რამდენიმე გამყარებული ვარიანტი არსებობს:

- ა) ხელოვნური განაყოფიერება;
- ბ) გაშვილება ანუ ბავშვის გასხვისება;
- გ) მშობლების ადრეული გარდაცვალება;
- დ) მშობლების ვერცნობა;

თითოეული ეს ვარიანტი აძლიერებს ანტიუტოპიურ რომანში „მშობლის“ ცნების, როგორც ანონიმური კატეგორიის, გააზრების ტენდენციას. მშობლის ფუნქციის დესტრუქცია, ცხადია, მაქსიმალურად ზრდის სახელმწიფოს ფუნქციას. სახელმწიფო ენაცვლება მშობლებს და ჩანაცვლება ხაზგასმულად მიზანმიმართულ ხასიათს ატარებს: სახელმწიფო განსაზღვრავს პიროვნებას, ადგენს პიროვნების მოქმედებისათვის დასაშვებ და აკრძალულ ზონათა საზღვრებს, აყალიბებს ყველა „უგვარტომოსთვის“ სტანდარტული ცოდნისა და ინტელექტის მოდელს. ვფიქრობთ, მშობლებთან კონტაქტის დაკარგვა ლიტერატურული ანტიუტოპიის უაღრესად მნიშვნელოვანი ასპექტია, ვინაიდან წარმოადგენს ადამიანის სახელმწიფო სეგმენტად ქცევის წინაპირობას.

ოჯახური ტრადიციის ცნება ანტიუტოპიურ რომანში გაუჩინარებამდე ფერმკრთალია: იგი ან შორეული წარსულის თვისება გახლავთ, ან პერსონაჟის მეხსიერებაში შემორჩენილი მცირე ფრაგმენტი, ანაც — უცხო დრო-სივრცული განფენილობიდან შემოჭრილი ელემენტი. მშობლის ფაქტორის ნიველირება ანტიუტოპიურ რომანში გამოკვეთილი საყოველთაო იდენტიფიცირების ტენდენციის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, ის აუცილებელი პრერეკვიზიტია, რომელიც გადაჭრით უბიძგებს ინდივიდს მასისაკენ. მაგრამ ისაა ანტიუტოპიის ნონკონფორმისტის გადარჩენის ერთადერთი გზაც: გენეტიკური ღირსების შეგრძნება, როგორც კონცეპტუალური ნიაღვრა საკუთარ თავში, ბევრად უზრუნველყოფს პიროვნების ხსნის სახელით წარმოებული ბრძოლის წარმატებას.

ოჯახური ტრადიციების რღვევა ანტიუტოპიურ რომანში, ცხადია, ცოლ-ქმრული ურთიერთობების სტანდარტიზაციითაც ხასიათდება: სამყარო, რომელსაც ხელენიფება სხვადასხვა გენეტიკური კოდის ხელოვნური იდენტიფიკაცია, იბრძვის ეროსისა და ვნების მოსათვინიერებლადაც. ზამიატინისეულ „პირად საათსა“ და „ვარდისფერ ბილეთებს“ ჰაქსლისეული „ცენტრალური ინკუბატორები“ და ორუელის „პარტიული მანდატის მიხედვით“ ქორნიება ენაცვლება. მოქმედებას იწყებს უტოპიისათვის ნიშანდობლივი „მოზიარეობის“ პრინციპი როგორც ანტიმოდელი.

უტოპიის ერთ-ერთ ფუძემდებელს, თომაზო კამპანელას სახელმწიფო ძლიერების უმთავრეს პირობად „რაციონალური შობადობა“ მიაჩნდა. ამ მიზნით, „მზის

ქალაქში“ აქტიურად მიმდინარეობდა დასაქორწინებელი წყვილების სამედიცინო და ასტროლოგიური სელექცია, განმსაზღვრელ პირობას კი „მოზიარეობის პრინციპი“ წარმოადგენდა: „გაერთიანებული ცხოვრების ფილოსოფიური ტიპი [...], — წერს თომასო კამპანელა, — ქალების გაზიარების პრინციპი [...], მიღებულია საყოველთაო მთლიანობისა და ერთიანობის კონცეფციის საფუძველზე... შთამომავლობის წარმოება სახელმწიფოს ინტერესებში შედის, სადაც ცალკეულ პირთა ინტერესები მხოლოდ იმდენად იქნება გათვალისწინებული, რამდენადაც ის გვევლინება სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად“ (კამპანელა 1970: 182).

გაცილებით შორს მიდის შ. ფურიე, რომლის მოძღვრებაშიც წარმოდგენილია „თავისუფალი სიყვარულის“ პარადოქსული პროპაგანდა: ფურიესეული „თავისუფალი სიყვარული“ გვევლინება არა მოწოდებად გარყვნილებისა და აღვირახსნილობისაკენ, არამედ ადამიანების შრომითი გამთლიანებისა და, შესაბამისად, სახელმწიფო დოვლათის შექმნის მტკიცე გარანტიად. „ვნებები, რომლებსაც ერთიანობის მტრებად მიიჩნევდნენ, — წერს ფურიე, — და რომელთა წინააღმდეგაც ათასობით ტომებს წერდნენ, ... ვნებები, ვამტკიცებ მე, მოწოდებულნი არიან მხოლოდ შეთანხმებისათვის, მხოლოდ სოციალური ერთიანობისათვის, რომლისგანაც მათ ესოდენ დაცილებულად მივიჩნევდით. მაგრამ ვნებათა ჰარმონიული მონწერილება ერთადერთ შემთხვევაშია შესაძლებელი: თუ ისინი სწორად ვითარდება პროგრესირებად სერიებში ან სერიულ ჯგუფებში. ამ მექანიზმის გარეშე ვნებები აღვირახსნივით ვეფხვებენ ჰგავს და გაუგებარ გამოცანებს წარმოადგენს“ (ფურიე 1971: 522).

რ. ოუენის მოძღვრება განამტკიცებს შ. ფურიეს მოსაზრებას. „სანამ კაცთა მოდგმა დაყოფილი იქნება ცალკეულ ოჯახებად, — წერს ოუენი, — ბუნების კანონზომიერებანი ვერ მოიკრებს სათანადო ძალას. ინდივიდუალიზმი, რომელიც იწვევს ადამიანთა და ხალხთა შორის ინტერესების წინააღმდეგობას, ვერ იარსებებს ბუნების კანონებზე დაფუძნებული სისტემის გვერდით. ეს განკერძოებული ინტერესები და ოჯახების ინდივიდუალური ორგანიზების წესი, კერძო საკუთრების პრიმატით, შეადგენს თანამედროვე უგუნური სისტემის არსებით ნაწილს. ისინი უნდა აღმოიფხვრას მთელ სისტემასთან ერთად. მათ ადგილას უნდა აღმოცენდეს მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების მეცნიერულად დასაბუთებული გაერთიანებები“ (ოუენი 1971: 531).

ამრიგად, იდეალური წესრიგის ერთ-ერთ ნათელ პერსპექტივად უტოპისტებმა Lex sexualis ავადსახსენებელი ცნება მიიჩნიეს: ყველა ეკუთვნის ყველას ანუ მკვიდრდება ულიმიტო „ურთიერთმობარების“ პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა სტანდარტიზებულ ბედნიერებას. მსგავსი საზოგადოების პირობებში არავის აქვს უფლება, იყოს სხვაზე მეტად ან ნაკლებად ბედნიერი. სექსუალური ცხოვრებაცა და ოჯახიც, უტოპისტების თვალსაზრისით, სახელმწიფო მექანიზმის სამსახურში მყოფი ბერკეტებია, რომელთა სისწორე, სიმყარე და სტაბილურობა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების მაღალ ხარისხს.

უტოპისტების მიერ შემოთავაზებული „თანაზიარობის“, „საყოველთაობისა“ და „ურთიერთმობარების“ მოტივი ანტიუტოპიაში ერთ-ერთ ძირითად ანტიმოტივად იქცა, ანტითემად, რომელიც არღვევს და ანადგურებს ოჯახის, როგორც ინტიმური ერთიანობის, იდეას.

ოჯახური სტაბილურობის ირონიზებულ მოტივს ანტიუტოპიურ რომანში ერწყმის ქალის, როგორც პროტაგონისტთან მიმართებაში გამოკვეთილი გარყვნილი არსების მოტივი. მკვლევართა გარკვეული ჯგუფის მიერ ანტიუტოპიურ რომანში დომინირებადი ქალის გარყვნილების მოტივი ანტიუტოპიაში აღიქმება როგორც გონივრულობამდე მისული გარყვნილება და უპირისპირდება უტოპიის გარყვნილებამდე მისულ გონივრულობას. გარყვნილება წინასწარ გასნაზღვრულ, გონივრულ აქტად არის მიჩნეული და წარმოადგენს ქალი-პერსონაჟის მიერ თვითგადარჩენის მიზნით განხორციელებულ იძულებით ქმედებას.

მაგრამ რამდენად მართებულია გარყვნილების იდენტიფიცირება თვითგადარჩენის გონივრულ აქტთან? თუ სექსუალური თავისუფლების მოტივი მოიცავს თვითგადარჩენის მოტივს, მაშინ ნებაყოფლობითი გარყვნილება აიხსნება როგორც დაკარგული ან წართმეული ინტიმური დამოუკიდებლობის დაბრუნების უკიდურესი მცდელობა. საკითხის ამგვარად დასმა, ვფიქრობთ, მცდარია. ნებაყოფლობითი

გარყვნილება ადასტურებს არა ქალის პირადი ცხოვრების სეპარატიზმს და ნარჩენი სამყაროსაგან, არამედ, პირიქით, ინდივიდუალური გრძნობების ნიველირებას, სრულ გაუჩინარებასა და უგულვებლყოფას. ანტიუტოპიური გარყვნილება უტოპიური „მოზიარეობისა“ და „ურთიერთმომხმარების“ ცნებათა რელევანტური აქტია და ჟანრნარმომქმნელ დატვირთვას ატარებს: ქალის გარყვნილება, ერთი მხრივ, აღრმავებს მთავარი გმირის ანტიგონიმს „იდეალურ სამყაროსთან“ და, მეორე მხრივ, განსაზღვრავს მის ცენტრიდანულ სვლას ანტიუტოპიური საზოგადოების წინააღმდეგ გარეთ. აღნიშნული პროცესები ურთიერთგამომდინარენი არიან: ანტიუტოპიის მთავარი გმირი, რომელსაც სურს აღდგეს საკუთარ, ინდივიდუალურ მოდელში, სასონარკვეთილი ეჭიდება სიყვარულის წართმეულ პერსპექტივას და ცდილობს დაიბრუნოს ინტიმური ცხოვრების დაკარგული უფლება. მაგრამ ინტიმის გაგება ანტიუტოპიურ რომანში გარდაუვალად უკავშირდება სუბიექტურობის ცნებას: ინტიმი, მისი ქვეშარიტი გაგებით, მიუღებელია ანტიუტოპიური მასობრიობის პირობებში და შეგნებულად არის გადაფარული გმირის რჩეული ქალის დაუფიქრებელი, ავტომატური, მექანიკური გარყვნილებით. ამრიგად, ვნება, რომელიც ადამიანის პერსონალურობის ერთ-ერთ ძლიერ მაჩვენებელს წარმოადგენს, ანტიუტოპიურ რომანში სრულიად განიარაღებული და ფალსიფიცირებულია. ვნების, ინტიმისა და ინდივიდუალურობის წართმევით გამოწვეული სიკარიელე აძლიერებს ნონკონფორმისტი პერსონაჟის ლტოლვას ანტიუტოპიური რომანის წინააღმდეგ გარეთ. ხორციელი ჭრილობის სიმწვავე აფხიზლებს მის სულიერ შესაძლებლობებსა და ბრძოლის ჟინს. იგი ცხადად აცნობიერებს ურთულეს, ირონიულ-ტრაგიკულ მიმართებას გამყარებულ და რიტუალიზებულ საზოგადოებრივ წესრიგთან, რომელიც ფსევდოკარნავალის კალაპატოში გაედინება (იხ. რატიანი 2009 : 81-93).

ფსევდომენიპური და ფსევდოკარნავალური თემატიკა ანტიუტოპიურ რომანებში საფუძვლად ედება „ხელოვნური სტრუქტურის“, როგორც კოლექტიური აზროვნების ნაყოფის კონსტრუირებას. მენიპეა, უხეში კონტაქტის გზით, წარმოაჩენს არასასურველი „იდეითა“ და „იდეოლოგიით“ გაჟღენთილი ცხოვრების მოდელს და, ალტერნატივის სახით, უპირისპირებს მას სიმართლეს. მენიპეას სიმართლე ანუ სიმართლის ფილოზოფია მწვავე პრობლემატიკისა და უტოპიური ფანტასტიკის ნაზავს წარმოადგენს, სადაც „გაუბედავი უტოპიზმი“ დაკარგული ფასეულობების ძიებისა და აღდგენის ეკვივალენტური ცნებაა. მაგრამ რამდენად დამაკმაყოფილებელია წარმოსახული მოდელის განხორციელება ტექსტის დონეზე? ვფიქრობთ, აქ აქტიურად მოქმედებს ბუმერანგის პრინციპი: მენიპეას სიუჟეტისათვის ნიშანდობლივი ლტოლვა იდეალური მოდელის განხორციელებისაკენ ანტიუტოპიურ რომანში ფსევდოჟანრულ დატვირთვას იძენს: მენიპეის გმირი აბსტრაქტული პიროვნებაა, ფატალური ბრძენის ანალოგი, რომელიც ცდილობს განახორციელოს სამყაროს მოწყობის საკუთარი პროექტი. შესაბამისად, ადრე თუ გვიან, იგი საკუთარივე იდეის მსხვერპლად იქცევა, ინდივიდუალური მახასიათებლებისაგან დაცლილ მარიონეტად, რომელიც „აღმშენებლის“ პოზიციიდან „აღმასრულებლის“ პოზიციამდე ტრანსფორმირდება. იქმნება „ხელოვნური სტრუქტურა“ ანუ ორგანიზებული სისტემა, რომელსაც თავსმოხვეული იდეოლოგიის ფუნქცია აქვს დაკისრებული და რომლის წინააღმდეგაც გარდაუვალად იჯანყებს „ბუნებრივი არსება“ ანუ ინდივიდუალური თვისებებით გამორჩეული ნონკონფორმისტი გმირი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დასახული მოდელის რეალიზება მუდმივად მიანიშნებს მის ჩანაცვლებას ალტერნატიული მოდელით და, შესაბამისად, ახალი წესრიგის დაუსრულებელ ძიებას. სწორედ „დაუსრულებლობა“ — უწყვეტობა, ულიმიტო ხანგრძლივობა წარმოადგენს ფსევდოკარნავალური ატმოსფეროს ძირითად მახასიათებელს და განასხვავებს მას კარნავალის „დროებითობისგან“. „კარნავალში თავად ცხოვრება თამაშობს, — აღნიშნავს მ. ბახტინი, — თამაში კი დროებით იქცევა თავად ცხოვრებად“ (ბახტინი 1986: 299). სწორედ „დროებითობა“ განასხვავებს კარნავალს „დაუსრულებელი“ და „უწყვეტი“ ფსევდოკარნავალისგან. კარნავალური დღესასწაულები, რომლებიც ზედმიწევნით კარგად ასახავდნენ კაცობრიობის რეალურ და მსოფლიმხედველობრივ ფასეულობებს, მუდამ ჯანსაღ დამოკიდებულებაში იყვნენ დროის ფენომენტთან. „საფუძვლად მათ ყოველთვის ედოთ ბუნებრივი (კოსმიური), ბიოლოგიური და ისტორიული დროის გარკვეული და კონკრეტული კონცეფცია, — წერს მ. ბახტინი —

... დღესასწაული აქ მეორე ცხოვრების ფორმად იქცეოდა ხალხისათვის, რომელიც დროებით აბიჯებდა საყოველთაობის, თავისუფლების, თანასწორობისა და კეთილდღეობის უტოპიურ სამეფოში“ (ბახტინი 1986: 299-300). ანტიუტოპიურ რომანებში გაბატონებულმა ფსევდოკარნავალურმა ატმოსფერომ უკუაგდო „დროებითობა“, როგორც კარნავალის განმსაზღვრელი მახასიათებელი და „განუწყვეტელი მუდმივობის“ ამპლუაში გადაწყვიტა იგი. კარნავალის „დროებითობა“ „დროებითი იდილიის“ რელევანტური ცნებაა, იმ „დროებითი უფლებისა“, რომლის მეშვეობითაც ცხოვრების ნორმირებული ჩარჩოებით შეზღუდული ადამიანი დროებით იმეცნებს საკუთარ თავს და იკმაყოფილებს თავისუფლების მარადიულ ნყურვილს. ფსევდოკარნავალის „მუდმივობა“ კი, პირიქით, „ხელოვნური სტრუქტურის“ ნისქვილზე ასხამს წყალს. ფსევდოკარნავალი არც „მეორე ცხოვრებას“ ქმნის და არც არსებული წესრიგის ხუნდებისაგან ათავისუფლებს ადამიანს. ის, როგორც გამყარებული რეალობისა და გაბატონებული იდეოლოგიის შენელებული მოდელი, განამტკიცებს თავს-მოხვეული სიმართლის ანუ დიქტატურის მუდმივობას. ასე მაგალითად, რომანში „ჩვენ“ „მუსიკალური ქარხანა“ ყოველ დღით უკრავს „ერთიანი სახელმწიფოს მარშს“, რიგბად დაწყობილი „ნომრები“ ანუ „ჩვენ“ ნიშნით აღნიშნული ბედნიერი „სამუშალო არითმეტიკულები“ ამაყად მოაბიჯებენ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, ხოლო „სახელმწიფო პოეტები“ რეგულარულად იკრიბებიან „ღვთისმწყალობელის“ კარზე და სახოტბო ლექსებს, ჰიმნებსა და ოდებს უძღვნიან მას. სისტემატურობა, „მუდმივობა“ ანტიუტოპიური ფსევდოკარნავალის მყარი სტრუქტურული გარანტია: ფსევდოკარნავალი არსებული წესრიგის ფლაგმანს წარმოადგენს, შესაბამისად, მისი დასასრული აღნიშნული წესრიგის დასასრულია. „მუდმივობის“ შენარჩუნების ერთადერთი გზა გახლავთ შიში, პანიკური შიში, რომელიც თან ახლავს ანტიუტოპიურ რომანებში წარმოდგენილ ფსევდოკარნავალურ ინსცენირებებს.

„დაუსრულებლობის“ კონტექსტში აქტიურად რეალიზდება კარნავალური ლიტერატურისათვის ნიშანდობლივი „კოლექტიურობის“ პათოსი, რომელიც პერმანენტული ფსევდოსაზეიმო განწყობილების მატარებლად გვევლინება. ფსევდოსაზეიმო განწყობილებას ანტიუტოპიურ რომანში ქმნის კარნავალისათვის ტიპური ისეთი ფსევდორიტუალური მოვლენები, როგორიცაა: ფამილარული ურთიერთობების პროვოცირება განსხვავებულ სოციალურ ფენათა წარმომადგენლებს შორის, ჭამა-სმისა და სექსუალური ინსტინქტების უხვი დემონსტრირება და, რასაკვირველია, სიუჟეტის დატვირთვა პაროდული მოტივებით.

ფამილარული ურთიერთობები გულისხმობს კონტაქტის უცერემონიო და მიუღებელი ფორმების ჩამოყალიბებას განსხვავებული სოციალური წრეების წარმომადგენლებს შორის. ფამილარიზმებს სპეციფიკური დატვირთვა ენიჭებოდა საკარნავალო დღესასწაულების მსვლელობისას: ისინი ზედმინეწვით კარგად ესადაგებოდა ხალხის ლტოლვას საყოველთაო გათანაბრების, სოციალური საზღვრებისა და მიჯნების დაძლევისაკენ. მაგრამ, დროთა განმავლობაში, მეტწილად ყოფითი ყოველდღიურობის პირობებში, ურთიერთობის ფამილარულმა ფორმამ დაკარგა სიღრმისეულობა და კარნავალური ტრადიციების ზედაპირულ ანარეკლად იქცა. ანტიუტოპიური რომანის დონეზე მან ცხადად გამოკვეთილი ფსევდოკარნავალური მნიშვნელობა შეიძინა: ფამილარიზმი, როგორც ადამიანის პიროვნული ღირსების უგულვებლყოფის ერთადერთი და უალტერნატივო ფორმა ურთიერთობისა, ანტიუტოპიური სინამდვილის ერთ-ერთ განმსაზღვრელ მახასიათებლად მოგვევლინა. ის შესანიშნავად ინტეგრირდა ანტიუტოპიური სინამდვილის ანუ დაუსრულებელი ფსევდოკარნავალისათვის ნიშანდობლივი სიცოცხლის „მატერიალურ-სხეულებრივი“ (მ. ბახტინის ტერმინით) საწყისების — ჭამა-სმისა და სექსუალური ინსტინქტების დემონსტრირების პროცესთან.

ჭამა-სმის აქტი ლიტერატურული ანტიუტოპიის ფსევდოკარნავალური რეალობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. „წვეულების კარნავალური განწყობილება ანტიუტოპიაში, — მიუთითებს ლანინი, — ლოთობის ტრიუმფად იქცევა. შემთვრალი ცნობიერება რეალობის აბსურდული ტრანსფორმაციის ლიტერატურულ მოტივაციად გვევლინება“ (ლანინი 1993:112). ვფიქრობთ, ეს მტკიცება გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს.

წვეულება ანუ ქეიფი კარნავალური ზეანეული მხიარულების უცილობელი ატრიბუტია. უხვი ჭამა-სმა ნათლად ასახავს იმ საზეიმო და უდარდელ ატმოსფეროს, რომელიც საერთო-სახალხო კარნავალისთვისაა დამახასიათებელი. მეტიც, მ. ბახტინის მტკიცებით, „არ არსებობს მწუხარე საჭმელი. მწუხარება და ჭამა შეუთავსებელი არიან (მაგრამ სიკვდილი და ჭამა ეთავსებიან ერთმანეთს). წვეულება ყოველთვის გამარჯვებას ზეიმობს — ეს მისი თვისებაა. ზეიმი წვეულებით უნივერსალურია: ეს გახლავთ სიცოცხლის ზეობა სიკვდილზე. ამ თვალსაზრისით იგი ჩასახვისა და დაბადების ეკვივალენტურია. გამარჯვებული სხეული თავის თავში მოიცავს დამარცხებულ სამყაროს და განახლდება. ამის გამოისობით წვეულება, როგორც ძღვევამოსილი ზეიმი, და განახლება ხალხურ შემოქმედებაში ძალიან ხშირად ასრულებს დასასრულის ფუნქციას... მაგრამ დასასრული მუდამ დასაწყისითაა შთაგონებული“ (ბახტინი 1986: 313).

ვეტიკრობთ, ანტიუტოპიური რომანისათვის ნიშანდობლივ ფსევდოკარნავალურ გარემოში ჭამა-სმის აქტი თვისებრივად ორგემაგე და ამბივალენტურ ხასიათს იძენს. ერთი მხრივ, იგი „ხელოვნური სტრუქტურის“ მახასიათებლად გვევლინება და ტოტალიტარული ცნობიერების, როგორც საერთო იდეით შეკრული მონოლითური მთელის, ერთპიროვნულ ზეობას გამოხატავს. მეორე მხრივ, ის წარმოადგენს აუცილებელ საშუალებას ნონკონფორმისტი გმირის „გამოღვიძებისათვის“. პირველ შემთხვევაში, სადღესასწაულო წვეულება ღრეობის სახეს იძენს და ისეთივე უსასრულო და უწყვეტია, როგორც თავად ფსევდოკარნავალი. მეორე შემთხვევაში, მისი დატვირთვა გამორჩეულად სიღრმისეულია: შემთვრალი და საღერღელამილი მთავარი გმირი უთამამდება საძულველ რეალობას, ძღვეს შიშს და სამყაროს მსოფლმხედველობრივი და ფილოსოფიური გააზრების ახლებურ მოდელს აყალიბებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ანტიუტოპიური ჟანრის თხზულებებში ინსცენირებული წვეულება, ერთი მხრივ, უწყვეტი ღრეობის, მეორე მხრივ კი, მთავარი გმირის სულიერი ალტყინების, თვითცნობიერების გაღრმავებისა და შიშზე ამაღლების მაპროვოცირებელ იმპულსს წარმოადგენს. ამდენად, ფსევდოკარნავალური წვეულება ინარჩუნებს მ. ბახტინის მიერ კარნავალური ზეიმის დონეზე გამოვლენილ „ჩასახვისა და დაბადების“, „განახლებისა“ და რეინკარნაციის მაკოორდინებელ თვისებებს.

„მატერიალურ-სხეულბრივი“ საწყისების დემონსტრირების კიდეც ერთ ასპექტს ანტიუტოპიურ ჟანრში სექსუალური ინსტინქტების პრომოცია წარმოადგენს. სექსუალური ალვირასხნილობა პირადულის ნიველირების მაჩვენებელია, სექსუალური ძალადობა კი — აგრესიისა, რომელიც გაბატონებული ხელისუფლების მხრიდან მომდინარეობს. ფალოსი ნთქავს „ბუნებრივი არსების“ არა მხოლოდ წმიდათანმიდა ღირებულებებს, არამედ — ინტიმური სივრცის ყველა კომპონენტს. აქ, ჩვენი აზრით, ნიშანდობლივია ერთი გარემოება: „ძალადობის“ ფორმით გამოვლენილი „აგრესია“ უმეტეს შემთხვევაში „თანხმობად“ იქცევა, რაც მიანიშნებს „ტოტალიტარული ადამიანის“, როგორც მთლიანი, კოლექტიური სხეულის, გავლენის სფეროს ობობისებურ განვრცობას „გარიყული“ ინდივიდების სივრცეზე. წინა პლანზე ინაცვლებს ე.წ. „თოჯინის მოტივი“ ანუ მოტივი მარიონეტად ქცეული ინდივიდისა, რომელიც უხემ ძალას ემორჩილება.

ფსევდოკარნავალი ცდილობს, ყველა გაათანაბროს არსებული იდეოლოგიური სისტემის წინაშე, რაც ლიტერატურული ტექსტის დონეზე პაროდირებული მოტივაციური მოდელების მიღმა ხორციელდება (იხ. რატიანი 2009: 81-93).

პაროდირება, როგორც ასახვის სპეციფიკური ხერხი, იმთავითვე იქცა ლიტერატურული ანტიუტოპიის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ჟანრულ კანონად. პაროდირების ანუ ლიტერატურული პაროდის უძველესი ჟანრიდან მომდინარე სტილისტური ხერხის დამკვიდრება ლიტერატურულ ანტიუტოპიაში მჭიდროდ დაუკავშირდა პაროდის ჟანრისათვის ნიშანდობლივ მოტივთა დამდაბლებას. ანტიუტოპიური დამდაბლების ძირითად სამიზნედ საკრალურის პაროდირება იქცა, რამაც შესაძლებელი გახადა ძირითადი ანტიუტოპიური ოპოზიციის — მონესრიგებული საზოგადოება/ინდივიდუალური ადამიანი — შემდგომი ტრანსფორმირება თვისებრივად ახალ ოპოზიციაში — საკრალური/დესაკრალური. დესაკრალიზაციის მოტივი, ცხადია, უცხო არ გახლდათ მხატვრული ლიტერატურისათვის (ამას ჯერ კიდეც „ბაბილონის გოდოლის“ ბიბლიური სიუჟეტი ადასტურებს), მაგრამ ანტიუტოპიურმა ჟანრმა,

ჩვენი აზრით, აღადგინა და განავითარა შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის ლიტერატურაში გამოვლენილი მისი არაერთგვაროვანი, ამბივალენტური გააზრება. ანტიუტოპიურ თხზულებებში აქტიურად დანერგილმა პაროდირების სტილისტურმა ხერხმა შეინარჩუნა თავისი „ამაღორძინებელი ამბივალენტურობა“ და „ახალი დროის პირობებში“ მოახდინა არა მხოლოდ ძირითადი სულიერი ფასეულობების დაკარგვის ტენდენციის აქცენტირება, არამედ მათი რეინკარნაციისათვის საჭირო ნიადაგის მოსინჯვა და მომზადება. მე-20 საუკუნის დასაწყისში, ანუ რელიგიური ცონ-ბიერების სრული რეგენერაციის ეპოქაში, ოპოზიციამ საკრალური/დესაკრალური უკიდურესი სიმწვავე შეიძინა და თავი იჩინა ისეთ დამდაბლებულ მოტივებში, როგორცაა: რელიგიის პროფანაცია, საეკლესიო თემატიკის პაროდირება და დემიურგული ფუნქციის ირონიზირება ამბივალენტური ანტიუტოპიის კონტექსტში. ვფიქრობთ, ამ მოსაზრების შესანიშნავი ტექსტური დადასტურებაა -503-ის ვიზიტი „ღვთისმწყალობელთან“ რომანში „ჩვენი“ და „მისტერ ველურის“ შეხვედრა „უმადლეს მმართველ“ მუსტაფა მონდთან რომანში „ო, მშვენიერი ახალი სამყარო“. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ ეპიზოდებში წარმოებული ორივე დიალოგი დოსტოევსკის „დიდი ინკვიზიტორის“ ტექსტის ინტერპრეტაციას წარმოადგენს, სადაც „მბრძანებელი“ „ბრალმდებლის“ ფუნქციას ითავსებს, ხოლო ნონკონფორმისტი გმირი — „ბრალმდებლისას“. პირველი იცავს „მონესრიგებულ სისტემას“ და ასახელებს მის მართებულობას „ინდივიდუალური ანარქიის“ წინაშე, მეორე — სრულად აცნობიერებს ამ მტკიცებულების უსაფუძვლობასა და ვითარების აბსურდულობას. „რა მარტივია ყველაფერი, — აღიარებს ე. ზამიატინის გმირი, — ბანალური და სასაცილომდე მარტივი... სიცილი მახრჩობდა, ამოხეთქვას ლამობდა“ (ზამიატინი 1989: 451). პაროდული სიცილი, ამ შემთხვევაში, გვევლინება იმ უმნიშვნელოვანეს საფეხურად, ფასეულ კარიბჭედ, რომელიც გულისხმობს „იმანენტურ გადასვლას, პერტურბაციას გარკვეული მონობის მდგომარეობიდან გარკვეული თავისუფლების მდგომარეობაში“ (ავერინცევი 2001: 470). თავისუფლებაში გადასვლა აღნიშნავს არა ყოფნას თავისუფლებაში, არამედ გათავისუფლების პროცესს, რომლის დადებითი თუ უარყოფითი ღირებულება დამოკიდებულია იმ მოვლენის დადებით თუ უარყოფით ღირებულებაზე, რომლისგანაც თავისუფლება ადამიანი. „თავისუფლება“ ანტიუტოპიის გმირისათვის გულისხმობს გათავისუფლებას, ერთი მხრივ, ოფიციალური რეჟიმისა და კულტურის თავსმოხვეული ნიღბისგან, მეორე მხრივ კი — საკუთარი ადამიანური სისუსტეების ანუ „მე“-ს ჩრდილოვანი მხარეებისგან.

დამონეშპანი:

ავერინცევი 2001: Аверинцев С. С. Бахтин, Смах, Христианская культура // Бахтин М.М. Pro Et Contra, Антология, т.1. Санкт-Петербург: 2001.

ზანტინი 1986: Бахтин М. М. Творчество Франсуа Рабле и народная культура средневековья и Ренессанса.//Бахтин М.М. литературно-критические статьи, М.: Художественная литература, 1986.

გალცევა... 1988: Гальцева Р. Роднянская И. Помеха – человек . Опыт века в зеркале антиутопии. // Новый мир. №12, М.: 1988.

გასტევი 1919: Гастев А. О тенденциях пролетарской культуры. // Пролетарская культура, 1919, №9.

ზამიატინი 1989: Замятин Е. Мы. // Замятин Е. Избранное. М.: Правда, 1989.

კამპანელა 1970: Кампанелла Т. Город солнца. // Антология мировой философии в 4тт., т.2. М.: Мысль, 1970.

ლანინი 1993: Ланин Б. А. Русская литературная антиутопия. Монография. М.: 1993.

ოუენი 1971: Оуен Р. Книга о новом нравственном мире // Антология мировой философии в 4тт., т.3. М.: Мысль, 1971.

რატიანი 2009: რატიანი ი. ფსევდოკარნავალური ნარატივი რომანში — კულტურათა-შორისი დიალოგის ფორმა // ნახნავი. ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული, 1, 2009.

ფურეი 1971: Фурье Ш. Новый хозяйственный и социолетарный мир, или открытие способа привлекательного и природосообразного труда, распределённого в сериях по страсти. // Антология мировой философии в 4тт., т.3. М.: Мысль, 1971.

ფრანკი 1992: Франк С. Л. Смысл жизни. –Минск.: Полифакт, 1992.

TATYANA SVERBILOVA

Ukraine, Kiev

Shevchenko Institute of Literature

of the National Academy of Sciences of Ukraine

**Early Soviet Genre of “Optimistic Tragedy” and Mass Culture Strategies in
“Heroic Drama” by O. Korniychuk “The death of Squadron” and
in “Optimistic Tragedy” by V. Vishnevsky
(aspect of comparative typology)**

The “optimistic tragedy” genre could be described in mass culture categories which in soviet variant was combined with late expressionism tendencies. Vishnevsky was oriented towards expressionist drama and Korniychuk created the heroic melodrama of mass culture. The tendencies of expressionism were transformed by the laws of class kitsch. The genre matrix was developed also in within gesture of touch poetics. This erotic gesture got sacral meaning in totalitarian culture which had tendency towards collective visualism – demonstration of sexual materiality in political and sport cults. Visual materiality for this culture type is as principal as for antique culture.

Keywords: Genre; Soviet Culture; Optimistic Tragedy; Mass Culture; Class Kitsch; Expressionist Drama; Erotic Gesture of Touch Poetics.

Т.Г. СВЕРБИЛОВА

Украина, Киев

Институт литературы им. Т.Г.Шевченко НАНУ

Раннесоветский жанр «оптимистической трагедии» и стратегии массовой культуры в “героической драме” А.Корнейчука “Гибель эскадры” и в “Оптимистической трагедии” Вс.Вишневого (аспект сравнительной типологии)

В драматургии советского периода происходило беспрецедентное переопределение категории трагического в парадигму массовой культуры. Удивительно, но наиболее визуальный род литературы – драматургия – пока что не описывается в категориях культуры китча – наиболее визуального из феноменов массовой культуры. Классический социализм 30-х гг. в жанровом отношении характеризуется актуализацией героической матрицы «смерть героя». При этом облегченное отношение к смерти переводит в разряд китча не только жанровые формы, но и жанровое содержание, которое сращивается с доминирующим идеологическим концептом.

Примером упрощенного, притворного, сфальсифицированного отношения к смерти в советском искусстве может быть новосозданный жанр «оптимистической трагедии». При этом украинский вариант трагедийного китча был более абсурдным, ведь в русском китче упрощению подлежали лишь общие экзистенциальные вопросы, а в украинском – еще и вопрос национальной самоидентификации. Определение жанра «оптимистической трагедии» на протяжении многих десятилетий существования советского дискурса связывали с одноименной русской монументальной драмой Вс. Вишневого, написанной в 1932 г. Ее украинским вариантом всегда считали героическую драму А.Корнейчука «Гибель эскадры», которая получила вторую премию на общесоюзном конкурсе драматических произведений в 1933 г. (первую премию не присудили никому). Но это совсем не был независимый и одновременный вариант русской «Оптимистической трагедии», во-первых, поскольку речь шла о национальных исторических реалиях, а, во-вторых, жанровые координаты этих произведений были полярными. Вишневский был близок к драме экс-

прессионизма, а Корнейчук – к традиционной героической драме характеров. Но вышла у него героическая мелодрама, жанр очень популярный и в современной массовой культуре. Хотя и Корнейчук не прошел мимо достижений экспрессионизма, но черты этого направления у него спорадичны и не составляют цельной системы. Украинский автор остается на рельсах психологической мелодрамы, в отличие от русского драматурга, который принципиально тяготеет к монументализму и, как можно сегодня определить, к экспрессионизму. Тенденции экспрессионизма трансформировались по законам классического китча, однако стилистика экспрессионизма влияла на трагедийность сюжета.

«Гибель эскадры» – это, возможно, уникальный в мировой драматургии пример, когда вещь, на первый взгляд, аморальная с точки зрения общечеловеческих и национальных ценностей, получила чрезвычайную популярность и много лет входила в школьные программы. Объяснить это можно не только ее политической прозрачностью и ангажированностью, а и тем, что в ней умело использовались стратегии массовой культуры. Как известно, сюжет пьесы Корнейчука базировался на исторических событиях 1918 года, когда по приказу Ленина в Цемесской бухте под Новороссийском была потоплена эскадра Черноморского флота. Черноморская эскадра стала политической картой во внеукраинской игре русского большевизма и была принесена в жертву его старанию удержать власть в Петрограде любой ценой. В пьесе происходит определенная аберрация: русский адмирал, главный враг «комитетчиков», выглядит более благородным, чем предатель – «самостийник» боцман Кобза, опереточный злодей, герой традиционной мелодрамы.

Законы классического китча требовали от автора распределения движущих сил по классовому признаку. Так, были разведены по разным лагерям корабельные кочегары (сторонники комитета) и корабельные комендоры («самостийники»), образы которых восходят к традиционной сельской драме. Они хотят вернуться к своему прошлому. Главные же персонажи драмы не имеют прошлого. Забвение – их судьба. Пьеса сегодня прочитывается как реквием по уничтоженным иллюзиям части украинского общества, которая шла за большевиками. Нежизнеспособность фанатизма прослеживается в сравнении поведенчески-речевой реакции на кризисные ситуации со стороны Оксаны и Гайдая, между которыми вне текста существуют определенные романтические отношения, всегда подчеркиваемые театрами. И вместе с тем, Оксана согласна физически устранить Гайдая.

Один из принципиальных признаков китча – ориентация на определенный классический образец, который может узнаваться в более поздней версии. В этом интертекстуальность китча. Кроме этого, наследование образца должно быть примитивным, но выполненным мастерски. Таким мастерски выполненным китчем в пьесе Корнейчука стали аллюзии и реминисценции из классического фильма С.Эйзенштейна «Броненосец «Потемкин». Имеется в виду хрестоматийная сцена бунта на корабле, когда матросы бросают за борт офицеров и капитана. Интертекстуальность возникает с помощью введения образа «положительного» (в отличие от Кобзы) боцмана Бухты. Сначала в предшествующих сценах выясняется, что Бухта был свидетелем восстания на «Потемкине» и отказался стрелять, когда броненосец проходил через эскадру. Эта сцена полностью передана по фильму Эйзенштейна. То есть у зрителей – современников драматурга, которые очень хорошо помнили шедевр Эйзенштейна, создавалось поле ожидания, связанное с боцманом Бухтой и броненосцем «Потемкин». И в последнем действии оно не просто срывается, а становится динамическим фактором сюжетного действия. Адмирал делает последнюю попытку спасти корабли от расстрела, к которому уже готов минер Гайдай. И адмирал волей автора входит в интертекстуальное поле фильма Эйзенштейна. Автор заставляет его цитировать сценарий фильма, созданного значительно позднее тех событий, которые разворачиваются под Новороссийском: «Очистить палубу от варваров. Курс вост!»). На что боцман Бухта продолжает код интертекстуального ожидания и вспоминает «Потемкина». Автор предлагает забыть, что его герои еще не могли видеть знаменитый фильм. Они вспоминают не фильм, а действительность. Именно после такого напоминания в «Гибели эскадры» застреливают и бросают за борт адмирала и офицеров. И первым начинает Гайдай, на совести у которого уже есть ночные расстрелы в трюме матросов-«самостийников».

Этот образ интересен еще и тем, что демонстрирует историю рождения будущего патетического чекиста-убийцы, которого развращает демагогия и вседозволенность революции. После расстрела на палубе он соглашается выполнять приказы партии, даже если он их и не понимает – уничтожить собственный корабль. Действительно, после стольких расстрелянных людей для минера Гайдая корабль уже не имеет абсолютной ценности. Поражает изменение пафосных интонаций в речевой реакции Гайдая, расстреливающего свой эсминец «Стремительный». После взволнованного поэтически-фольклорного монолога при своем появлении в последней сцене, он, под влиянием твердого Стрижня, решает не сходить на берег, а сыграть главную роль в потоплении кораблей: «Минер Гайдай пойдет к минному аппарату и выполнит приказ комитета. Он пустит на дно эсминец «Стремительный», - проговаривает он как автомат». Автоматизация, механизация физического поведения человека – из поэтики экспрессионизма трансформируется в эстетику военных и спортивных парадов советской эпохи.

Сцена потопления кораблей, также решенная в стилистике экспрессионизма, подает событие в безличных напряженных отрывистых репликах наблюдателей. Люди, которые только что без покаяния и прощения убивали себе подобных, трогательно прощаются с гибнущими кораблями: *«Голоса: Эсминец «Стремительный». Линкор «Свободная Россия». Мины мчатся к нему... Одна... Вторая... Третья... Дым... Черный дым... Эсминец «Стремительный» пошел на дно. Линкор «Свободная Россия»... Срывается броня... Летят броневые башни... Переворачивается линкор... Стрижень: Прощай, линкор «Свободная Россия»! Снова взрывы. Один, второй, третий. И восклицания один за другим все дальше и дальше: Прощай!... Прощай!... Прощай!... Прощай, товарищ! Прощай эсминец «Стремительный»! Прощай, «Хаджи-Бей»!»*. Автор считал, что трагедия у него не вышла, но вышла героическая драма. Рассматривая это произведение в фокусе массовой культуры, беремся обозначить его еще и как мелодраму. Мы уже говорили, что боцман Кобза – типичный «черный» герой мелодрамы. Сцены прощания с кораблями и последнего аврала мастерски создают именно мелодраматический эффект, обращенный к частной жизни человека, к таким простым и сентиментально-понятным чувствам, как привязанность к кораблям, которые в восприятии матросов гибнут, как живое существо.

Новосозданный жанр «оптимистической трагедии» в условиях советского китча закономерно превращался в мелодраму, которая, благодаря своему обращению к массовому зрителю и погружению в частную жизнь, на самом деле стала главным жанром тоталитарной массовой культуры, где главной целью всегда было согласование дискурса власти с индивидуальными потребностями так называемого «нового человека». Что же касается «Оптимистической трагедии» Вс.Вишневского, то она совсем не похожа на мелодраму. Этой пьесе была посвящена в минувшие десятилетия большая критическая литература, а с конца 80-х гг. о ней окончательно забыли, иногда даже выводя это произведение, как и вообще творчество Вс.Вишневского, за границы собственно художественного дискурса. Впрочем, кажется, это не совсем так. Непривычная форма пьесы Вишневского не была абсолютно новой для русской драмы. Трилогия Л.Андреева, пьесы В.Маяковского также поражали современников непривычностью выражения. О наличии экспрессионистических тенденций в русской литературе стали говорить еще в конце 20-х гг. Произведение Вс.Вишневского, как и пьесы конца 20-х гг. В.Маяковского, а также поэтика фильмов С.Эйзенштейна -- принадлежат позднему экспрессионизму. Он возникает в русской и украинской литературе (черты поэтики Миколы Кулиша) тогда, когда классическая немецкая драма экспрессионизма уже исчерпала себя. Проблематичной, однако, выглядит сама возможность жанра трагедии в рамках этого варианта, ведь Вс.Вишневский сознательно и принципиально ориентировался на «коллективистскую» модель эстетики. Возможно, тогда в этой странной, с точки зрения традиционных этических и эстетических представлений, пьесе воплощался проект массовой культуры, на манер героической мелодрамы Корнейчука? Но примитивизм, вторичность и банальность произведения массовой культуры, по определению, имеет одну необходимую черту, без которой не существует ни один его жанр. Эта черта – утверждение элементарной несложной нравственности. В этом жанры массовой культуры подражают жанрам фольклора, в

частности, фольклорной сказки, где нравственное добро в конце побеждает зло. Во времена Корнейчука и Вишневого необходимым было создание нового современного фольклорного проекта, который бы обслуживал потребности необразованных, далеких от интеллектуальной культуры масс людей, которых переворошили революционные преобразования и предоставили им власть, пусть иллюзорную. Была ли таким современным фольклорным проектом пьеса Вс. Вишневого? Думаем, что нет, хотя некоторые черты роднят ее с жанрами массовой культуры.

Ритм Текста Ш.Абдуллаева также нетрадиционен: он держится не на счете слогов, а на вибрациях между ясностью, доступностью выразительных средств и темнотой, непроницаемостью содержания, между эмоциональной определенностью и логической неразгаданностью образов.

Как видим, в эпоху обретения культурой иной аксиологической парадигмы в очередной раз текст проявляет анти-тоталитарный настрой и потенции. «В поэзии должен быть токмо звон» - утверждал Третьяковский на заре развития литературного русского языка. По прошествии трех столетий мы не раз приходили к этому же выводу: на искусство слова невозможно оказывать давление из-вне; соответственно, и поэзия не должна впадать в «голое» вещание. Об этом и «вспоминает» литература в особенно ответственные времена, каким является начало XXI столетия, - поднять на поверхность текста сакральный затекст как откровенно-торжествующую, но не считываемую до конца идею вечной любви, как залог самовозрождения, как тайну творчества.

ЛИТЕРАТУРА

- Абдуллаев 2003:** Абдуллаев Ш. Неподвижная поверхность. М.: 2003.
Банников 2004: Банников П. Полувертень. Ж.: Аполлинарий. №3(24), 2004.
Исенов 2000: Исенов М. Житие можжевельника в дождь. Ж.: Аполлинарий. №8, 2000.
Кибиров 1995: Кибиров Т. Двадцать сонетов к Саше Запоевой. Ж: Знамя. №9, 1995.
Салангин 2009: Ышшоодын. Алматы. №1, 2009.
Скидан 2003: Абдуллаев Ш. Неподвижная поверхность. М.: 2003.
Ышшоодын 2009: Ышшоодын. Алматы. №1, 2009.

MARINE TURASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The War of 1941-1945 and the Discursive Analysis of Narration in Oral History*

Among the important categories found within oral histories we find not only the main stages of the life-cycle, but also such separate episodes as illness, religious and political conversions, wars, migrations, etc.

Discursive analysis of oral history narratives shows that in social and political events war plays an important role. It forms a dividing line in narratives of “before”, “after” and sometimes “during”.

In oral history narratives regarding the War of 1941-1945 are developed in several directions: a) a narrator who was a participant of the war tells of his personal experience; b) a narrator who stayed at home during the war tells of the severity of the war; c) another person’s narrative.

Keywords: Oral History; Discursive; Narration; The War; Analysis.

მარინე ტურაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

1941-1945 წლების ომი და თხრობის დისკურსული ანალიზი ზეპირ ისტორიებში**

ინტერვიუებით მოპოვებული ზეპირი ისტორიების კვლევა მნიშვნელოვანია როგორც სპეციფიკური, აქამდე უკვლევი მასალა. ამ ეტაპზე ყურადღება შევაჩერეთ 1941-1945 წლების ომზე, რადგან ზეპირი ისტორიების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კატეგორიას განეკუთვნება ომები და მისი შედეგები.

ნარატივის ცნება, ფართო გაგებით, უბრალოდ ამბავს როდი გულისხმობს. იგი ერთდროულად მოიცავს ხდომილებათა (მოვლენათა) გადმოცემასა და მათ ახსნას, ანუ თეორიის გაგებას. ე. ი. ნარატივი სხვა არაფერია, თუ არა ხდომილებათა გადმოცემა და ახსნა, რაც თავის მხრივ გულისხმობს დროითობას.

ნარატივებს არსებითი კავშირი აქვს დროისა და ისტორიის ფენომენებთან. ახალი დროის დიდი ნარატივები სწორედ ისტორიისა თუ მსოფლიო ისტორიული პროცესის ახლებურ გადმოცემა-მოყოლასა და მათ ასევე ახალ გააზრებასა და ინტერპრეტაციას გულისხმობს (სჯანი 2004: 29)

ნარატოლოგიის ჩარჩოებში ხშირად გამოყოფენ საგანგებო მიმართულებას — „დისკურსულ ანალიზს“.

დისკურსული ანალიზი კი, იმ სახით, როგორც 1970-იან წლებში ჩამოყალიბდა, დისკურსის მსვლელობისას ენის გამოყენებას უკავშირდება, რაც წინადადებათა წყების მიღმა გრძელდება და მოსაუბრის ან მწერლის და მსმენელის ან მკითხველის სპეციფიკურ სიტუაციურ კონტექსტში ურთიერთქმედებას გულისხმობს.

* The designate project has been fulfilled by the support of Georgia National Science Foundation (Grant № GNSF/PRES08/1-306). Any idea in this publication is possessed by the author and may not represent the opinion of Georgia Science Foundation.

** აღნიშნული პროექტი განხორციელდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით (გრანტი № GNSF/PRES08/1-306). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

დისკურსის დღეისთვის პოპულარული განსაზღვრება არ უკავშირდება მხოლოდ ჰაბერმასის ან კიდევ 1970-იანი წლების მეტყველებისა და კონვერზაციის ანალიზის თეორიას. დღეისათვის დისკურსი უპირატესად მიჩნეულ ფოკალურ დისკურსის თეორიის თვალსაზრისით გამოიყენება. მარტივად რომ ვთქვათ, ფოკალური დისკურსი გულისხმობს შესაბამისი ეპოქისეული სინამდვილის ანაზღაურებას. დისკურსის წესები გარკვეული დამოკიდებულების ან/და ცოდნის სფეროსათვის განსაზღვრავენ იმას, რა უნდა ითქვას და რისი თქმა არაა დასაშვები და რომელმა მთქმელმა რა როდის შეიძლება თქვას. დისკურსი ამასთან არის მხოლოდ “დისკურსიული პრაქტიკის” ენობრივი ნაწილი, რომელიც ასევე მოიცავს არაენობრივ ასპექტებსაც. ზოგიერთი თეორიის მიხედვით განსაზღვრული (სხეულებრივი) წარმოდგენათაუნების გამოვლენაც (პერფორმანსი) დისკურსიული პრაქტიკის ნაწილად გაიგება. ასე, მაგალითად, რადიკალური ფემინისტური თეორიები სქესის იდენტიფიკაციასაც დისკურსიული პრაქტიკის ნაწილად მიიჩნევენ. დღეს ასე რეალურად აღქმული განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას როგორც დისკურსიული კონსტრუქცია.

„მოყოლა“ ასახავს ზეპირი ან წერილობითი თხრობის სახეს, რომლითაც ერთი მეორეს რაღაც განსაკუთრებულს უზიარებს; ფართე მნიშვნელობით იგი ნიშნავს ვინმესთვის ნდობის საფუძველზე რაღაცის გაზიარებას. ამრიგად, საუბარს შეიძლება ეწოდოს მოყოლა იმ შემთხვევაში, თუკი ეს საუბარი რაღაც დროში არსებულ ხდომილებას რეალურს ხდის ისე, რომ იგი შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც მომხდარი, მოცემული რამ.

განსხვავება ერთის მხრივ ეხება იმის რეალურობის ხასიათს, რასაც ყვებიან და მეორეს მხრივ — თხრობით სიტუაციას, რომელშიც მიმდინარეობს თხრობა. ორივე შემთხვევაში ნათლად ჩანს მისი გამოყენების ორი განსხვავებული შესაძლებლობა:

1. შეიძლება მოთხრობილ იქნეს რეალური ან გამოგონილი ხდომილება,
2. თხრობა შეიძლება განხორციელდეს ყოველდღიური ან სიტყვაკაზმული თხრობის ჩარჩოებში.

ამის შესაბამისად შესაძლებელია მოთხრობების შემდეგ ნიშანთა წყვილების მიხედვით სპეციფიცირება „რეალური“ — „ფიქტიური“ და „სიტყვაკაზმული“ - „არასიტყვაკაზმული“.

ზეპირი ისტორიის (თუ ნარაჯიის) კომუნიკატიური ბუნება გულისხმობს:

- კომუნიკატიურ ჯგუფს, რომელშიც გაერთიანებულია ინფორმაციის, შეტყობინების (კომუნიკანტის) „ადრესატი“, ე. ი. „მთხრობელი“, „კომუნიკანტი“; შეტყობინების მიმღები ე. ი. „ინტერვიუერი“ და კომუნიკაციის შედეგი „ტექსტი“;
- კომუნიკანტის ნიშანდობლივ ხასიათს, რომელიც მოითხოვს ადრესანტის მიერ ტექსტის ნიშნების წინასწარ კოდირებას;
- ნიშანთა გამოყენების განპირობებულობის სისტემას.

კომუნიკატორსა და კომუნიკანტს შორის კომუნიკაციისას წარმოიქმნება „დექსული ველი“, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სამ ველს: ა) საგნობრივი ველი (ორივე, კომუნიკატორი და კომუნიკანტი იმყოფება ერთ სივრცეში), ბ) სიმბოლური ველი (კომუნიკატორი „ხატავს სათქმელს“) და გ) კონტექსტუალური ველი (წარმოდგენა ხდება გონების თვალთ). ეს ყველაფერი კი არის კომუნიკატიური სიტუაცია.

კომუნიკაციური სიტუაცია განიმარტება მხოლოდ მოლაპარაკესა და მსმენელზე ორიენტაციით. მოლაპარაკე და მსმენელი იმყოფებიან ერთ საერთო სოციოპრაგმატული და ინდივიდუალური ფაქტორებით განპირობებულ სიტუაციაში, რომელშიც მათ მიერ ენის მოხმარება რამდენადმე არის დეტერმინებული.

ერთიანი ოთხკომპონენტური (მე-შენ-აქ-ახლა) კომუნიკაციის მოდელი, ზეპირ-მეტყველებაში ერთ ფაზად აქტუალირდება, წერილობითი კომუნიკაციის პირობებში კი ორ ფაზად იხლიჩება.

ზეპირი ისტორიების შესწავლისას სიტუაციის გათვალისწინებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ზეპირი კომუნიკაცია იმდენ სიტუაციაში შეიძლება მიმდინარეობდეს, რამდენ სიტუაციაშიც მოხვდება ადამიანი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ეს იქნება სიტუაციების N რაოდენობა. სიტუაცია განსაზღვრავს სათქმელს (რა უნდა თქვას, რისი თქმა არაა დასაშვები და როდის რა შეიძლება თქვას.).

ზეპირი ისტორიების დისკურსული ანალიზი ცხადყოფს, რომ 1941-1945 წლების ომის თემა მათში სამი კუთხით იშლება:

1. საკუთარ სახლში დარჩენილი მთხრობელის თვალთ დანახული ომის სისასტიკეზე აგებული თხრობა:

„41 წელი, 22 ივნისი, გათენდა უბედურება. დავრჩით უმასწავლებლოდ“ (ლაცაბიძე 2009).

„რვა წლის რო გავხდი, მერე დეინყო ომი. კაცებმა ნამგლები დაყარეს მინდორში და მინდვრიდან წეიყვანეს ხალხი ომში“ (განგლიძე 2009).

„იქ რომ ბრძოლაში იყვნენ, აქ ჩვენ პურის სამკალში ვიყავით. მაშინ არ იყო არც კომბაინი და არც არაფერი. სუ ხელით ვმიკიდით პურსა“ (გოგოლაძე 2009).

2. სხვისი (მამის, ძმის, თვითმხილველის და ა. შ.) მონაყოლის თხრობა:

„უხ, მამაჩემი ყვებოდა ძალიან ბევრ რამეს: ტყვედ სად იყვნენ ჩაცვივნულები, როგორ განთავისუფლდნენ... ამისთანა რამეს ძალიან ბევრ ამბავს ყვებოდა. რამდენი დღეს მშიერი ყოფილა და წყლის სინაზარას. აი, ასეთი რამეს ბევრს ყვებოდა“ (სტეფანიშვილი 2009).

„მამაჩემი მამ ომში წავიდა იმიტომ, რომ მე ამ ქალების ტირილს ვერ გავუძლებო. დაჯავშნილი იყო, მაგრამ მაინც წავიდა, რომ ამ ქალების ცოდოს ვერ ვუყურებო, იმათ ტირილსო და რამეო. ჰოდა, მოვიდა მერე დეპეშა, რომ გმირულად დაიღუპა. გმირულად კი არა, ეს ხალხი რო მკვდარი ეყარა და ზედ მიდიან, ჭკუაზე შეიშალა ის უბედური მამაჩემი. ქერჩის ნახევარკუნძულზე იყო ეს ამბავი. მერე იქიდან საავადმყოფოში რომ წაიყვანეს მოკვდა, დარჩა, არაფერი არ ვიცით. მოვიდა კი დეპეშა, რომ გმირულად დაიღუპა, მაგრამ ვისაც უნახია მამაჩემი, იმას დაუნახია, რო წავარდა პირქვე და ჭკუაზე შეიშალა, რომ ხალხზე მიდიოდნენ საომრად, მკვდარ ხალხზე ფეხით.

დარიალის ხეობაზეო, ჩემმა ქმარმა იცოდა თქმა, უკვე ისმოდაო ბომბებისა და სროლის ხმაო“ (ხახუტაშვილი 2009);

„ჩემი ქმარი კიდევ გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს. ნერვიული იყო. ცუდი პირობები ჰქონდა გავლილი სამხედროში, შიმშილი და უბედურება. აბა ტყვეს კარგად შეეძლოდნენ?“ (მჭედლიშვილი 2009).

3. მთხრობელი უშუალოდ ომის მონაწილეა და ყველა საკუთარ თავზე განცდილს, გადატანილს.

ომის მონაწილე 87 წლის მთხრობელი თინა მჭედლიშვილი დაწვრილებით იხსენებს ომის მძიმე წლებს. მშობლების თანხმობის გარეშე მიღებულ ომში წასვლის გადაწყვეტილებას. ზედმინეწითი სიზუსტით აღწერს თავის მოვალეობებს და ომის სიმძიმეს:

„სტუდენტი ვარ, ამ დროს მიმდინარეობდა ომი. ჩვენ ვიყავით „პროჟექტორულ“ ნაწილში. რომ გაისმოდა „ტრევიკა“, თან სიგნალი აქვს „ტრევიკას“, „რაზენიკები“ უყურებდნენ რო იმ „სამალიოტს“ ჩვენი პაროლი არა აქვს, ე. ი. ჩვენი ნიშანი არა აქვს და მაშინვე გადმოსცემდნენ სიგნალს, რომ „ტრევიკაო“. ჰოდა იმ „ტრევიკაზე“ ჩვენ, ჩვენ პოსტებზე დავსხდებოდით და სხივს ვანათებდით მაღლა თვითმფრინავებს. ვანათებდით რათა, ჩვენი მიზანი იყო, რომ მიაყოლო, მიაყოლო თვითმფრინავს ცაში სხივი, მიაყოლო. ჩვენიდან ათი-თხუთმეტი კილომეტრის იქით მდებარეობს საზენიტო არტილერია. იმ საზენიტო არტილერიამ უნდა „სწარიადებიდან“ დარტყმა გააკეთოს. ესროლოს იმათ ცაში. რომ აყოლებ თვითმფრინავს შენ სხივსა, ეს კარგი არის იმით, რომ ჯერ ერთი არტილერია ხედავს, რომ კარგად დაუმიზნოს და მეორეც ისა იმიტომ არის, რომ ეს სხივი, „ლიოტჩიკს“ მუდმივად რომ თვალეში ედება ორიენტირებას კარგავს და აესე, „პიკირუეტ“, „პიკირუეტ“, „პიკირუეტ“ ესე, ესე ვარდება. ტრილ-ტრილით დაბლა ვარდება „სამალიოტი ციდან“ (მჭედლიშვილი 2009).

მიხეილ ბზიშვილი სამჯერ გადაურჩა მტრის ტყვიას. მისი მონათხრობიდან ვიგებთ ასევე იმასაც, თუ როგორი უსამართლობა ხდებოდა იმ დროს. ლალატით როგორ გაუშვეს თექვსმეტი წლის გამოუცდელი ბიჭი ომში:

„დანყება ფრონტისა და პატარების წასვლა, როგორც თხილს წამოკრა ხელი, ისე წავიყვანეს. მეთექვსმეტი წელიწადში ვიყავი, როცა უკვე დავიჭერი მე. რო ვთქვათ, ბიძაშვილმა მიღალატა. ჩემი თვალთ ნანახი მაქ, კომისარს დაუთვალა ათას ხუთასი მანეთი და მისცა. ეს ათას ხუთასი მანეთი და მიკრეს თავი ომში.

წვედი ბრიანცკის ეძახიან, იქ ვიომე. მერე მინსკში, იქ იყო ორმოცდახუთი გრადუსი ყინვა. აბა შენ უძველი თუ ადვილია?! „ვალნიკები“, ჩექმები გვექონდა ჩაცმული, ისეთი იყო უკეთესი არ შეიძლებოდა, მაგრამ მაინც შეატანა. ქალმა მომირჩინა მერე ფეხები. დამძრალი მქონდა თითები. ერთ თვეში დამავლეს ხელი და გამავლეს ფრონტზე ისევ. წვედი და ახლა იქ დავიჭერი, მკლავში, ხელში და თავში მამხვდა ტყვია; „პულიმიოტი“ მედგა და იქიდან „გრანატა“ რომ მესროლა, ვერ შევნიშნე. პირველად ხელში მამხვდა, წვევლე ხელი ნატეხს, ამოვიცალე და დავიწყე ისევ სროლა. გაიქცა და მივყოლე უკან პატრონები. ცოცხალი არ დამიტოვნია ის კაცი. ავდექი ზეზე, წამოვედი, წამოვედი და ვხედავ, რომ სისხლად ვიცლები... მაინც რაც უნდა იყოს, ხელი თუ ფეხია თავისი მნიშვნელობა აქვს. ორი კვირა საავადმყოფოში ვიყავი, მამარჩინეს; ორ კვირაში ადამიანი კვდება კიდევაც და რჩება კიდევაც. ავდექი, წამოვედი და წვედი მესამე ფრონტზე. იქიდან ავდექი, შენ ხარ ჩემი ბატონი და მოვიდა სტალინის ბრძანება კიდევ ომის დამთავრებისა“ (ბზიშვილი 2009).

განსაკუთრებული სიხარული ახლდა ომის დამთავრებას:

„ცხრა მაისს დამთავრდა ომი. ომი დამთავრდა და ჩვენ კიდევ ბუდაპეშტში ვართ, ვენგრიაში და ხალხი ერთმანეთსა ჰკოცნიდა, უცხოები ერთმანეთსა ჰკოცნიდნენ. ვენგრის ხალხი ამ ჩვენ ხალხსა ჰკოცნიდა, ეხვეოდნენ“ (მჭედლიშვილი 2009).

ყველა ზეპირ ისტორიას ახლავს მთხრობელის სუბიექტური შეფასებები და ანალიზი. თითოეული ინფორმატორი თანამედროვე თვალთ იყურება წარსულში, დაწვრილებით იხსენებენ 60-70 წლის წინ მომხდარ ამბებს. ისინი არიან გახსნილი და თავისუფალი მთხრობელები, რაც განაპირობა დროის, რეჟიმის და საზოგადოების შეცვლამ. ის, რაც მაშინ არ/ვერ ითქმოდა, ახლა თავისუფლად შეიძლება ამაზე ლაპარაკი. მაგალითად 84 წლის ომის მონაწილე მიხეილ ბზიშვილი ამოხს:

„აბა ერთი სტალინისთვის შენ შეგეგინებინა, რა მდგომარეობაში ჩაგაგდებდნენ, ციმიბირი დაგრჩებოდა აქეთ“ (ბზიშვილი 2009).

და კიდევ:

„რო დეცა 41 წელს 22 გერმანელი და ფაშისტურად მოგვექცნენ და ეს ამოდენა ხალხი ჩაწყვიტეს. 2500 კაცი მარტო რუსეთის ზღუდეში წევს მკვდარი. მამ ცოდონი არ არიან ისენი?!“ (ბზიშვილი 2009).

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჟანრები ურთიერთგარდამავალია დასტურდება ზეპირი ისტორიების დისკურსული ანალიზის კვლევისას. ამის ნათელი დადასტურებაა ომები და მათი შემდგომი მოვლენები. ასე მაგ., ომებისთვის თანმდევი მტკიცებული მოვლენები (დაჭრა, სიკვდილი, ადამიანთა უცნაური ქმედებები და ა. შ.) გარკვეული დროის შემდეგ თქმულების ფორმაში პრეზენტაციის სახეს კარგავს, მისგან დისტანცირდება და შესაძლებელია ანეკდოტის მოდუსშიც იყოს წარმოდგენილი. ეს მოხდა იმიტომ, რომ ცვლილებები განიცადა მთხრობელის პერსონამ და მასთან ერთად საზოგადოებამ.

თუ ჩვენ მსჯელობას შევაჯამებთ, ზეპირი ისტორიების თხრობის დისკურსული ანალიზი ცხადყოფს, რომ თავს გადახდენილი პოლიტიკური და სოციალური მოვლენების კონტექსტში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ომები. ისინი მოქმედებენ როგორც გამყოფი ხაზი, რომლის მიხედვითაც მონათხრობები სამ მნიშვნელოვნად განსხვავებულ პერიოდად იყოფა: „ის“, „მანამდე“ და „მას შემდეგ“.

დამონეგებიანი:

ბზიშვილი 2009: ბზიშვილი, ტურაშვილი მ. ინტერვიუ მიხეილ ბზიშვილთან. 18 ივნისი, ვიდეო ჩანაწერი. ლაგოდეხი, ბოლოკიანი: 2009.

განგლიძე 2009: განგლიძე, ტურაშვილი მ. ინტერვიუ ელენე განგლიძეთან. 18 ივნისი, ვიდეო ჩანაწერი, ლაგოდეხი, კართუბანი: 2009.

გოგოლაძე 2009: გოგოლაძე, ტურაშვილი მ. ინტერვიუ ნადეჟდა გოგოლაძესთან. 12 ივნისი, ვიდეო ჩანაწერი, ლაგოდეხი, კართუბანი: 2009.

ლაცაბიძე 2009: ლაცაბიძე, ტურაშვილი მ. ინტერვიუ გიორგი ლაცაბიძესთან. 11 ივნისი, ვიდეო ჩანაწერი, ლაგოდეხი, კართუბანი: 2009.

ლემანი 1995: Lehman A. *Lebengeschichte. Enzyklopädie des Märchens*. Berlin/New York: Walter de Gruyter, 1995, s. 825-833.

მჭედლიშვილი 2009: მჭედლიშვილი, ტურაშვილი მ. ინტერვიუ თინა მჭედლიშვილთან. 14 მარტი, ვიდეო ჩანაწერი, ყვარელი, შილდა: 2009.

სტეფანიშვილი 2009: სტეფანიშვილი, ტურაშვილი მ. ინტერვიუ ზინა სტეფანიშვილთან. 11 მაისი, ვიდეო ჩანაწერი, ყვარელი, ალმატი: 2009.

სჯანი 2004: ყოველწლიური ლიტერატურულ-თეორიული სამეცნიერო კრებული. თბ.: „არტანუჯი“, 2004.

ხახუტაშვილი 2009: ხახუტაშვილი, ტურაშვილი მ. ინტერვიუ ლამარა ხახუტაშვილთან, 13 მარტი, ვიდეო ჩანაწერი. ყვარელი, შილდა: 2009.

Totalitarianism and Types of Anti-Religious Movement in Georgia

The experience of the Soviet Russia inspired the Georgian Communist party and Government to take drastic measures against religion and church. The decree adopted on April 28, 1921 waged fierce struggle against any religion; all religious rituals were banned, including the ritual of baptizing, the Jewish synagogues and Muslim mosques were closed down, more than 1500 Christian churches were either destroyed or closed down only in two-month term.

The totalitarian regime was fighting for eradicating life-giving national roots and made the Christian religion and Georgian Orthodox Church convicts of the Soviet pressure.

Keywords: Totalitarianism; Anti-Religious Movement; Priests; Saints; Comsomol Resurrection.

ირმა ყველაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ანტირელიგიური მოძრაობის ფორმები საქართველოში (1921-1924 წწ.)

1921 წლის 14 ოქტომბერს მცხეთაში სვეტიცხოვლობას, საკუთარი აღსაყდრების დღეს, უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსი ხელაიამ მრევლს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „...მორწმუნენო და მამულიშვილნო, ორივე, ეკლესიაც და სამშობლოც ტყბილია, ორივე წმიდათა წმიდაა. შევიგნოთ ისტორიული გაკვეთილების ძალა, შევისწავლოთ ხალხის მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების ნაყოფი, ხალხის ფსიქოლოგია. და ის გვასწავლის და გვეტყვის, რომ საჭიროა შემოვკრბეთ ეროვნული ეკლესიის გარშემო, პოლიტიკური მდგომარეობის ცვალებადობასთან ნუ იქნება ცვალებადი ჩვენი შეხედულება სარწმუნოებაზე. ვემსახუროთ თავისუფალ ეროვნულ ეკლესიას და ეს მოგვცემს ძალას შევანახვინოთ ჩვენს ხალხს ეროვნული სახე და თავისუფლება, ეროვნული ეკლესიის თავისუფლება გულისხმობს ეროვნულ თავისუფლებასაც“ (საპატრიარქოს არქივი: საქმე 539); იმ პერიოდში ასეთი შინაარსის სიტყვით მიმართვა ქართველი ხალხისადმი გმირობის ტილფასი იყო, რადგანაც საბჭოთა რუსეთის გამოცდილებაზე დაყრდნობით, საქართველოს კომუნისტური პარტიის და ბოლშევიკების პირველი ღონისძიებანი მიმართული იყო რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ. 1921 წლის 28 აპრილის დეკრეტმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ყველა რელიგიას, ქრისტიანულ რიტუალებს; აიკრძალა ბავშვის მონათვლა, მიცვალებულის ქრისტიანული წესით დაკრძალვა, ჯვრისწერა. ქორწინების სეკურალიზაცია საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო. იკეტებოდა მუსლიმთა მეჩეთები და ებრაელთა სინაგოგები. ამ დროისათვის საქართველოში 1450 ეკლესია მოქმედებდა.

1923 წლისთვის თბილისის მაზრაში დაიკეტა – 48 ეკლესია, ქუთაისის მაზრაში – 160, სენაკის მაზრაში – 148, შორაპნის მაზრაში – 148, ოზურგეთის მაზრაში – 130, რაჭის მაზრაში – 117, ლეჩხუმის მაზრაში – 78, გორის მაზრაში – 78, ზუგდიდის მაზრაში – 75, სიღნაღის მაზრაში – 65, სამხრეთ ოსეთში – 60 (პარტიული არქივი: 1-2).

„არსად მთელ საბჭოთა კავშირში ეკლესიების წინააღმდეგ არ მიმდინარებდა ისეთი უღმობელი ბრძოლა, როგორც საქართველოში“, რომლებშიც აღნიშნულია 1923 წლის, 9 ოქტომბრის, საკათალიკოსო საბჭოს ოქმში.

ხელისუფლების ნაქეზებითა და ზემოქმედებით 1923 წლიდან ტარდებოდა სამღვდულოების კონფერენციები, სადაც სასულიერო პირები გამოჰყავდათ და აგმობინებდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას. ვინც თავისი ნებით ასეთ გადაწყვეტილებას

არ მიიღებდა, ისეთ პირობებს უქმნიდნენ, რომ იძულებულს ხდიდნენ წასულუყვნენ ეკლესიიდან. საქართველოს საპატრიარქოს არქივში არის ასეთი განცხადება:

„ახალციხე-ახალქალაქის ხუცესს სალარიძეს

ზედა თმოგვის ეკლესიის მღვდლის ანტონ ავალიანის განცხადება;

რადგან ნათლად დავინახე, რომ ჩემი მღვდლობით ვერაფერი სარგებლობას ვერ მოვუტან საზოგადოებას, გადავწყვიტე გავიძრო ჩემი ტანიდან ანაფორა, ჩავიცვა საერო ტანისამოსი. გთხოვთ მობრძანდეთ ჩემდამი კუთვნილ ეკლესიაში და ჩაიბართოთ იგი თავისი ქონებით“ (საპატრიარქოს არქივი: საქ. № 1508);

ჟურნალ-გაზეთები სისტემატიურად აქვეყნებდნენ განცხადებებს მღვდლები-საგან, რომლებიც აცხადებდნენ, რომ იხდიდნენ ანაფორას; 1923 წლის, 24 აპრილის გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნდა ასეთი განცხადება „დავრწმუნდი რა, რომ სარწმუნოება ყოფილა სიცრუე და სიყალბე, ვტოვებ ამ სამარცხვინო ხელობას. ვუბრუნდები პატიოსან მშრომელ გლეხობას და მასთან ერთად მსურს ვიცხოვრო ჩემი პატიოსანი შრომით. იმედი მაქვს მშრომელი გლეხობა მაპატიებს ამ დანაშაულს და მიმიღებს“.

გაზეთებში იბეჭდებოდა მუშათა მოთხოვნები სამღვდლო პირების დასჯის შესახებ; „ჩვენ მთავარი სახელოსნოს მუშები მოვითხოვთ, რათა შავი ყორნები კონტრრევოლუციისა დასჯილი იქნან უმაღლესი სასჯელით და ის სოციალისტები, რომლებიც იცავენ მათ მოთავსებული იქნან საბრალდებო სკამზე“ (გაზ. „მუშა“ 1924);

ქვეყნდებოდა წერილები სათაურებით: „ანტირელიგიური მიტინგი პეტრე-პავლეს ეკლესიაში“ (გაზ. „კომუნისტი“ 1923: 6), „მშვიერი ხალხი და ქრისტესმოყვარე სამღვდლოება“ (გაზ. „მინის მუშა“ 1922ა: 2), „მინის მუშებო იცანით თქვენი მტერი და მოყვარე“ (გაზ. „მინის მუშა“ 1922ბ: 2), „ცრუმორწმუნეობას ბოლო ელება“ (გაზ. „მინის მუშა“ 1923ა: 3), „ვინ გააჩინა ღმერთი“ (გაზ. „მინის მუშა“ 1923ბ: 3), „სასწაულთმოქმედი წმინდანები“ (გაზ. „მინის მუშა“ 1923გ: 1)... ბოლშევიკები პერიოდული გამოცემებით ეწეოდნენ იდეოლოგიურ ბრძოლას ეკლესიისა და რელიგიის წინააღმდეგ.

ხშირ შემთხვევაში ეკლესიის მსახურთ აიძულებდნენ სახალხოდ დაეგმოთ რელიგია. „ურჩებისათვის“ უმძიმესი განაჩენი გამოჰქონდათ; 1924 წლის ზაფხულში მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), მღვდელი გერმანე ჯაჯანიძე, მღვდელი ნიკოლაძე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, დიაკონი ბესარიონ კუხიანიძე ქუთაისის მაზრის სოფელ როდინოულოში ეკლესიის კურთხევაზე ჩასულები „კონტრრევოლუციის“ ბრალდებით დააპატიმრეს და 1924 წლის აგვისტოში ქუთაისში დახვრიტეს. (ვარდოსანიძე 2005: 41). ამავე წლის მარტში მთელი ქონება ჩამოართვეს, შვიდი წლით, ცხრა თვით და ოცდასამი დღით დააპატიმრეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი ხელაია. სამშობლოსა და სარწმუნოების თავისუფლებისათვის ბრძოლა გახდა მისი დაპატიმრების საფუძველი.

კომკავშირის ინიციატივით, ოციანი წლების დასაწყისში, წარმოიქმნა ანტირელიგიური მუშაობის თავისებური ფორმები: „კომკავშირული შობის“ და „კომკავშირული აღდგომის“ სახელწოდებით. იანვარის თვეში ეწყობოდა ხოლმე „კომკავშირული აღდგომა“, არა მხოლოდ კარნავალებით, იდეოლოგიითაც უპირისპირდებოდნენ რელიგიურ დღესასწაულს, კომუნისტური შეხედულებით ქრისტიანული მონოდებები სიყვარულსა და მტრების შენდობის შესახებ, მშრომელთა პოლიტიკურ სიფხიზლეს აძინებდა, ამიტომ გამოდნენ ამ მონოდებებს, რადგან „მშრომელმა კი არ უნდა შეუნდოს თავის მტრებს, არამედ უნდა მოსპოს იგი“ („მებრძოლი ათეისტი“ 1938: 73).

მღვდლების დევნითა და ეკლესიების ნგრევით არ შემოიფარგლებოდა ბოლშევიკების გამმაგებელი ბრძოლა რელიგიისა და ეროვნული ტრადიციების წინააღმდეგ, მათ ქმედებაში მრავალ უკიდურესობას ჰქონდა ადგილი; მაგალითად, სენაკის მაზრის სოფელ სალხინოში ადგილობრივმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ გამოსცა დადგენილება, რომლის მიხედვითაც ძველ სასაფლაოებზე, ე. ი. ეკლესიის ეზოში, აკრძალებოდა მიცვალებულის დასაფლავება. გამოიყო ახალი სასაფლაოები, სადაც აღმართეს წითელი დროშები. ამავე რაიონის სოფელ ჟინოთაში კი, დაკრძალული მიცვალებული ძალით ამოიღეს საფლავიდან და წითელი დროშების, სასულე ორ-

კესტრის თანხლებით ახალ, ბოლშევიკურ სასაფლაოზე გადაასვენეს (ვარდოსანიძე 2005: 35).

ტოტალიტარისტულ ანტირელიგიურ ქმედებებს საზღვარი არ ჰქონდა. ბოლშევიკები იქამდე მივიდნენ, რომ ქართველი წმინდანების შეურაცხყოფა დაიწყეს; 1923 წლის თებერვალში მონამეთაში გახსნეს წმინდა მონამე დავით და კონსტანტინეს ნეშტები, მოაწყვეს სასამართლო პროცესი და „დამნაშავეებად სცნეს“ ისინი („მინის მუშა“ 1923ა: 3).

თავისუფლებისა და სარწმუნოებისათვის თავდადებული მამულიშვილების ხსოვნისადმი ასეთ მკრეხელურ დამოკიდებულებაში კარგად ჩანდა ახალი იდეოლოგიის სახე. ბოლშევიკები ებრძოდნენ იმ მაცოცხლებელ ფესვებს, რაზედაც დაფუძნებული იყო ქართული ეროვნული ცნობიერება და სახელმწიფოებრიობა.

კომუნისტების მცდელობა, საფუძველი გამოეცალათ ქართული სახელმწიფოსთვის, ფუჭი და ამაო გამოდგა. ამ ქმედებების შედეგი იყო ის, რომ მათ დროებით შეაჩერეს ეროვნული განვითარება და გარკვეული კვალი დატოვეს ცხოვრების ყველა სფეროში. ბოლშევიკები დამარცხდნენ რელიგიასთან ბრძოლაში. „ისტორია გვარწმუნებს, რომ დევნილობა უძღურია მოსპოს სარწმუნოება... სარწმუნოება არის ხალხის სულიერი მოთხოვნილება. დევნილობა ამ მოთხოვნილებას უფრო აძლიერებს, ის ღრმავდება, იკუმშება, გუზდება და ამოხეთქავს გაძლიერებული ძალით“ (ხელაია 1988: 158). ამ სიტყვების დადასტურება იყო ის, რომ სამი ათეული წლის შემდეგ, ძლიერ ურწმუნო და მტკიცე კომუნისტის შვილი დაუპირისპირდა საბჭოთა რეჟიმს. ამ ახალგაზრდამ, 1965 წლის პირველ მაისს ლენინის პლაკატი ჩამოხია და ხმამაღლა აუშხედრდა კომუნისტურ წყობას. იგი გიჟად შერაცხეს და გარკვეული პერიოდი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს. ეს ახალგაზრდა იყო პირველი, ვინც ბერად აღიკვეცა საბჭოთა ხელისუფლების დროს, მისი საერო სახელია გიორგი ვასილის ძე ურუგვაიძე, ხოლო სასულიერო — მამა გაბრიელი.

დამონებული:

ვარდოსანიძე 2005: ვარდოსანიძე ს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი უნმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-27 წწ.). თბ.: ს.-ს. ორბელიანის სახ. სახელმწიფო ინივერსიტეტის გამომცემლობა. 2005.

„კომუნისტი“ 1923ა: „ანტირელიგიური მიტინგი პეტრე-პავლეს ეკლესიაში“. „გაზ. „კომუნისტი“, მაისი, № 99, 1923.

„კომუნისტი“ 1923ბ: განცხადება. გაზ. „კომუნისტი“, 24 აპრილი, 1923.

„მებრძოლი ათისტი“ 1938: „აღდგომის წარმოშობა და მისი კლასობრივი არსი“. მასალები ლექციისთვის. ფ. „მებრძოლი ათისტი“, № 1, 1938.

„მინის მუშა“ 1922ა: „მშვიერი ხალხი და ქრისტესმოყვარე სამღვდელოება“. გაზ. „მინის მუშა“, № 29, 1922.

„მინის მუშა“ 1922ბ: „მინის მუშებო იცანით თქვენი მტერი და მოყვარე“. გაზ. „მინის მუშა“, № 51, 1922.

„მინის მუშა“ 1923ა: „ცრუმორწმუნეობას ბოლო ედება“. № 96, 1923.

„მინის მუშა“ 1923ბ: „ვინ გააჩინა ღმერთი“. გაზ. „მინის მუშა“, № 100, 1923.

„მინის მუშა“ 1923გ: „სასწაულთმოქმედი წმინდანები“. გაზ. „მინის მუშა“, № 107, 1923.

„მინის მუშა“ 1924: განცხადება. 15 მარტი, № 400, 1924.

პარტიული არქივი: პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ს. № 865. ფურც. № 1-2.

საპატრიარქოს არქივი: საქართველოს საპატრიარქოს არქივი, რუის-ურბნისის ეპარქია, საქ. № 1508.

ხელაია 1988: ხელაია ა. „მე შევასრულე ჩემი მოვალეობა“. მნათობი, № 10, თბ.: 1988.

RUSUDAN CHOLOKASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Sayings about the Totalitarian Communist Regime in Georgia

February 25, 1921 was tragic day for Georgia for two main reasons; firstly the country lost recently independence gained and secondly, by establishing the Soviet regime, Georgia was doomed to tolerate this totalitarian regime for many decades. Fortunately it didn't last long – only 70 years and only due to violence and repressions. Georgian people struggled against this regime from the beginning and tried to resist it at every stage of its formation.

The real information about this period can be obtained only by sayings, as the then official media described the life in the Soviet Union only in bright colors.

Keywords: Totalitarianism; Communist Regime; Anti-Soviet Repressions.

რუსუდან ჩოლოყაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გადმოცემები ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის შესახებ საქართველოში

საქართველოსათვის 1921 წ. 25 თებერვალი ორმაგი ტრაგედიის დღე იყო. ჯერ ერთი და რაც მთავარია, რუსის ჩექმისაგან სამი წლის წინ თავდახსნილმა ქვეყანამ დაკარგა სანუკვარი თავისუფლება. მეორე და არანაკლებ მძიმე კი ის გახლდათ, რომ საბჭოთა წყობის დამყარებით მას თავს მოახვიეს ხელოვნური სისტემა, რომლის უაზრობაც ცხოვრებამ დაადასტურა. ამ უტრადიციო, ყოვლად გაუმართლებელმა წყობამ, კაცობრიობის ისტორიის თვალსაზრისით, დიდხანს ვერც გაძლო – 70 წელი, ისიც მხოლოდ ძალადობისა და რეპრესიების წყალობით. ქართველი ხალხი ამ უბედურებას თავიდანვე ვერ შეეგუა და მას შემდეგ ქვეყანაში დაიწყო აშკარა თუ ფარული წინააღმდეგობა კომუნისტური რეჟიმის მიმართ, რაც საბჭოეთის ჩამოყალიბების ყოველ ეტაპზე გრძელდებოდა და რაც მუდმივი რეპრესიების ფონზე მიმდინარეობდა. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო ზრდიდა სიძულვილს არსებული წყობისადმი. ამდენად, ეს ტოტალიტარული რეჟიმი როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად უმძიმესი იყო იმ თაობებისათვის, რომელთაც საბჭოეთის ქვეყნებში, კერძოდ კი საქართველოში მოუხდათ ცხოვრება.

ამ ეპოქის საქართველოში ოფიციალური მიერ მხოლოდ დადებითი ითქმოდა და ინერებოდა იმდროინდელი სინამდვილის შესახებ, ამდენად ამ პერიოდის რეალური სურათის აღდგენა დღეს შეუძლებელია იმ შეფასებების გაუთვალისწინებლად, რომელიც ხალხში თავის დროზე ჩურჩულით ვრცელდებოდა. ეს შეფასება კი მეტად უარყოფითი და დამაფიქრებელი იყო. საბჭოთა სისტემაზე სიმართლის ცოდნა დღეს აუცილებელია. ჯერ ერთი, ქვეყნის ისტორიის სწორად გასააზრებლად და, რაც მთავარია, იმიტომ რომ მსგავსი საშინელება აღარასოდეს არსად განმეორდეს. ეს სინამდვილე კი მხოლოდ ზეპირმა გადმოცემებმა, ანეკდოტებმა თუ სიტყვიერების სხვა ნიმუშებმა შემოგვინახა. ამდენად, დღეისათვის უკვე აუცილებლობამ განაპირობა მოძიება და დაფიქსირება იმ ანტისაბჭოური სიტყვიერებისა, რომელშიც ასახულია საქართველოს რეალური ყოფა მე-20 საუკუნის ოციანი წლებიდან საუკუნის ბოლომდე. ეს ის პერიოდაა, როცა 1918 წ. განთავისუფლებულ საქართველოს რესპუბლიკაში ომის გამოუცხადებლად შემოიჭრა მე-11 არმია და ქართველი ხალხის მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად ხელმეორედ მოხდა ქვეყნის ანექსია, რის შესანარჩუნებლადაც დამპყრობელი უმძიმეს რეპრესიებს ახორციელებდა.

საბჭოთა წყობის არა მხოლოდ დამყარების, არამედ მისი განმტკიცების ყოველი პერიოდი მეტად რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა, რადგანაც ხალხის წინააღმდეგობას ხვდებოდა. ანტისაბჭოური გადმოცემები და სიტყვიერების სხვა ნიმუშები

ყოველ ეტაპზე ჩნდებოდა საზოგადოებაში, მაგრამ საყოველთაო შიშიანობის პირობებში ვერ ვრცელდებოდა. მითუმეტეს რაიმე ფორმით მათი დაფიქსირება არ ხდებოდა და მხოლოდ ახლობლების ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი.

დღეს უკვე ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებაში ამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით სერიოზული მუშაობა ჩაატარა და მოიძია ანტისაბჭოური სიტყვიერების ნიმუშები, რომლებშიც მოთხრობილია საქართველოში ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმისათვის ნიშანდობლივი ამბები.

იმ თაობის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ შეესწრნენ ადრინდელი პერიოდის რეპრესიებს, დღეს ცოცხლები აღარ არიან და ამ პერიოდის ამბები ჩვენ მათი შვილებისაგან ჩავინერეთ, რომლებიც უკვე ღრმად მოხუცდნენ. ასევე დავაფიქსირეთ საბჭოეთის ჩამოყალიბების ყოველი პერიოდის ამსახველი გადმოცემები, რომელთა მიხედვითაც მთელი მასალა შემდეგ ჯგუფებად იყოფა:

- ბოლშევიკური რუსეთის საქართველოში შემოჭრის ამსახველი გადმოცემები – წითელი არმიის შემოსვლისა და ქართველი ხალხის მედგარი დაპირისპირება.

- თავად-აზნაურობის ანიოკებისა და დახვრეტების ამსახველი ნიმუშები.

- სისხლით მოსულმა ხელისუფლებამ სისხლითვე როგორ ჩაახშო სახალხო გამოსვლები მის წინააღმდეგ – ქ. ჩოლოყაშვილის ანტისაბჭოურ დაპირისპირებასთან დაკავშირებული გადმოცემები.

- როგორ არბევდნენ და ანგრევდნენ ეკლესიებს, როგორ იყენებდნენ მათ არადანიშნულებისამებრ, როგორ ანიოკებდნენ სამღვდელთაგანს. საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ადგილობრივი პარტიული და კომკავშირელი აქტივისტები როგორ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ამ საქმეში.

- იძულების წესით როგორ ქმნიდნენ სოფლის მეურნეობის წარმოების ახალ ფორმას – კოლექტივიზაციას და მასთან დაკავშირებული გადმოცემები.

- განკულაკებასთან დაკავშირებული გადმოცემები, ე. ი. იმ გლეხებისა და მათი ოჯახების ანიოკების ამბები, რომლებმაც დაულალავი შრომით მოახერხეს ეკონომიკურად გაძლიერება.

- 30-50-იანი წლების დაჭერებთან დაკავშირებული გადმოცემები – როგორ დაერივნენ ხალხის მტრებად წოდებულ ინტელიგენციას; როგორ წვადა შეშინებული ხალხი საკუთარ წიგნებს, რომელთა ავტორებიც რეპრესირებულნი იყვნენ, მათ ხელნაწერებს; ასევე მათი არისტოკრატიული წარმომავლობის დამადასტურებელ საბუთებს; როგორ აფუჭებდნენ ფოტოებს, რომლებზედაც „ხალხის მტრებიც“ იყვნენ აღბეჭდილი.

- დაპატიმრებულებს როგორ იყენებდნენ უფასო მუშახელად. უფრო სწორედ, ხალხს როგორ იჭერდნენ და ასახლებდნენ, უფასო მუშახელი რომ ჰყოლოდათ. ამ საჭიროების მიხედვით იგეგმებოდა დასაჭერთა რაოდენობა, რომელიც, როგორც წესი, გადაჭარბებით სრულდებოდა.

- დაჭერები როგორ ხდებოდა დაბეზღებების საფუძველზე, რასაც უმეტესად პირადი გამორჩენა ედო საფუძველად: სხვისი ბინის, თანამდებობის, ცოლის დაუფლების სურვილი; დაცინვის, შეურაცხყოფის საპასუხოდ; ეჭვიანობაც გამხდარა სხვისი გამეტების მიზეზი (კვერენჩხილაძე 2005: 4); როგორც წესი, აპატიმრებდნენ „ხალხის მტრების“ ცოლებს.

- რეპრესირებულთა შრომები როგორ გამოდიოდა სხვების ხელმოწერით, მათი სახელები სამუდამოდ დავინწყებას რომ მისცემოდა. სხვისი შრომის მიმსაკუთრებელს ამას უმეტესად აიძულებდნენ (იაშვილი 2001:) და მოგვიანებითაც ეკრძალებოდათ ამის გამხელა.

- როგორ ამოიღეს ბოლშევიკებმა ქართულ ოჯახებში ჯერ კიდევ შემორჩენილი ქონება, რისთვისაც ხელოვნურად გამოიწვიეს შიმშილი, გახსნეს ე. წ. ტორგსინის მაღაზიები, სადაც ოქროს, ვერცხლის, სხვა ძვირფასეულის სანაცვლოდ იძენდნენ სხვადასხვა სანოვაცეს. მაგალითად, ერთ ტომარა ვერცხლის ჭურჭელში – ამავე მოცულობის ფქვილს.

- 1922—1925 წწ. კი ბოლშევიკებმა მთელ საქართველოს ტერიტორიაზე აღწერეს ეკლესია-მონასტრებში დაცული ოქროსა და ვერცხლის საეკლესიო სინმინდევ-

ები, შემდეგ გამოიტანეს და „მშრომელთა საჭიროების“ საბაბით გაყიდეს (ვარდოსანიძე 2005: 44).

- გადმოცემები II მსოფლიო ომის პერიოდში გერმანიის მხარდამჭერ მოძრაობაში ჩართულთა შესახებ და მათი დაჭერების ამბები.

- სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაციის საკითხი, აგრეთვე, გერმანელების დახვრეტები და გადასახლებები, ბერძენთა გასახლება.

- II მსოფლიო ომის დროს ტყვედნამყოფთა და მათი ოჯახების შუაზიამი გადასახლების ამბები.

- ბელადომანია – მუდამ „ცოცხალი“ ლენინი და სტალინის კულტი.

- მოსახლეობის ზომბირება. ბევრს როგორ არ სჯეროდა, დაჭერების დროს უსამართლობა თუ ხდებოდა.

- ქვეყნის დანაწევრების მცდელობა — „მეგრელთა საქმე“.

- როგორ იქმნებოდა ხელოვნურად საბჭოთა „ფოლკლორი“, ე. ი. მწერლები როგორ წერდნენ ხალხური პოეტიკის გათვალისწინებით „ხალხური“ შემოქმედების ნიმუშებს.

- შიშიანობის მიუხედავად ადამიანები როგორ რისკავდნენ და იჩენდნენ თანადგომას რეპრესირებულთა ოჯახებისადმი.

- 1956 წ. 9 მარტს მშვიდობიან დემონსტრანტთა დახვრეტასთან დაკავშირებული გადმოცემები.

- ნ. ს. ხრუშჩოვს ქართველების გასახლება რომ უნდოდა საქართველოდან.

- განსხვავებული აზრის მქონენი როგორ ხვდებოდნენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

- ცენზურა ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა ნაწარმოებებისადმი; როგორ ირკძალებოდა და იდეენებოდა ახალი, თანამედროვე მიმართულებები ხელოვნების ამა თუ იმ სფეროში, თუ მაინცდამაინც დაუშვებდნენ სიახლეს, მის ნიჭიერ წარმომადგენლებს ყოველმხრივ ზღუდავდნენ; ნაკლები შესაძლებლობების მქონეთ კი მეტ თავისუფლებას აძლევდნენ, ამ მიმართულების დისკრედიტაციის მიზნით. ხელოვნების ამა თუ იმ დარგის წარმომადგენლებს არ უშვებდნენ კაპიტალისტურ ქვეყნებში კონცერტებზე, კონკურსებზე და მათ აიძულებდნენ თავიანთი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის მიზნით სამუდამოდ დაეტოვებინათ სამშობლო. იგივე ითქმის მეცნიერებასთან დაკავშირებით.

- წლების მანძილზე როგორ ხდებოდა საქართველოს მიწებზე სხვა რესპუბლიკების წარმომადგენელთა დამკვიდრება კომუნისტური ნომენკლატურის ხელშეწყობით.

- წლების მანძილზე ხელოვნურად როგორ იძაბებოდა სიტუაცია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

- რამდენად გაუმართლებელი იყო ამ პერიოდის ეკონომიკური სისტემა, რასაც მოჰყვა ე. წ. კომბინატორთა ფენის შექმნა და იდეური მტრების გარდა გაჩნდა დასაჭერთა ახალი კასტა — „კომბინატორები“, რომელთა ოჯახის წევრებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ, არ ყოფილიყო შესამჩნევი მათი ეკონომიკური კეთილდღეობა. ანეკდოტიც იყო ამასთან დაკავშირებით: „უკმაყოფილებს „კვბ“ ეძებს, კმაყოფილებს კი — „ობეხეისო“.

- მას შემდეგ, რაც რეპრესიებს აღარ ჰქონდა მასობრივი ხასიათი და მას უკვე მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მიმართავდნენ, დაიწყო ხელისუფლების მორჩილი ინტელიგენციის პრივილეგიების მინიჭებით ნახალისება: ხელშეწყობა კარიერის გაკეთებისას, პრემიები, ორდენები, ნოდებები; უცხოეთში კონფერენციებზე, კონცერტებზე გაშვება; მაშინ როდესაც ქვეყანაში ყველაფრის შოვნა პრობლემა იყო, ურიგოდ აძლევდნენ ბინებს, ავტომანქანის, ავეჯის ურიგოდ შეძენის უფლებას და ა. შ.; მედიის საშუალებით მათ პოპულარულებს ხდიდნენ, რასაც შემდგომში მშვენივრად იყენებდნენ თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად. საქმე იქამდეც მივიდა, რომ სურსათის შესაძენადაც კი მათთვის სპეციალური მაღაზიები გახსნეს. კომპარტიისა და ხელისუფლების წარმო-

მადგენლები სპეციალური ჩამოსხმის ლიმონათს მიითრმევენენ, სიგარეტიც იყო გამოჩენილი, რომლის შექმნაც მხოლოდ მათ შეეძლოთ. ინტელიგენციის მოთვინიერების ამ მეთოდზე დღეს გველიძება, მაშინ კი მშვენივრად ჭრიდა.

- დისიდენტური მოძრაობის ამსახველი მასალები.
- 1989 წ. 9 აპრილს მომიტინგეთა დარბევასა და სამხედრო ნიჩბებით დახოცვასთან, მომწველელი გაზის გამოყენებასთან დაკავშირებული გადმოცემები.
- ეროვნულ მოძრაობასთან დაკავშირებული გადმოცემები.
- 1992 წ. სამხედრო გადატრიალებისა და მისი შემდგომი პერიოდის ამსახველი ამბები.

- საბჭოთა ეპოქასთან დაკავშირებული ანეკდოტები.
- და კიდევ ერთი – ქვეყნის გარუსების პოლიტიკა. ხალხთა ძმობისა და ერთიანობის ლოზუნგით ბრძოლა მიმართული იყო ყოველივე ეროვნულის წინააღმდეგ, უფრო სწორედ მცირერიცხოვანი ერების გარუსებისაკენ. ე. ი. ამ მიმართულებით გრძელდებოდა მეფის რუსეთის პოლიტიკა, როდესაც ისინი ერთმორწმუნე ქართული ტაძრების გათეთრებას ახდენდნენ, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას ებრძოდნენ, გიმნაზიაში სწავლებას რუსულ ენაზე აწარმოებდნენ და ა. შ.

ჯერ კიდევ 1934 წ. საბჭოთა კავშირის მწერალთა I დამფუძნებელ ყრილობაზე სცადეს მათ საბჭოთა ხალხების მწერლობები 1917 წლის შემდეგ წარმოეჩინათ ერთიან საბჭოთა ლიტერატურად, მაგრამ ამ გამოხტომას წინ ქართველი მწერლები აღუდგნენ. ეს საკითხი შემდგომ სამ თათბირზეც დააყენეს: 1960, 1961, 1963 წლებში, სადაც ჩვენი ეროვნული ინტერესები დაიცვეს ბ. ჟღენტმა და გ. ლომიძემ (კვერენჩხილაძე 1998: 148).

ყოველივე ეროვნულთან დაპირისპირების ფორმად უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ ჟურნალ-გაზეთებისათვის, სპორტული გუნდებისათვის გეოგრაფიული სახელების დარქმევა არ ხდებოდა. თუ იყო ასეთი იშვიათი გამონაკლისი, მას აუცილებლად კომუნისტური ლექსიკიდან უნდა დართვოდა რაიმე სიტყვა: მაგალითად, „საბჭოთა აჭარა“, „საბჭოთა აფხაზეთი“. ასე გაჩნდა სპორტული გუნდების სახელებად „მშრომელთა სულისკვეთების“ გამომხატველი სიტყვები: „ლოკომოტივი“ — რაც ნიშნავს მატარებლის ნამყვან მანქანას, „ტორპედო“ — თვითმობრავ წყალქვეშა ჭურვს, „დინამო“ — მუდმივი დენის გენერატორს, „მეშახტე“, „მეტალურგი“ და ა. შ.

70-იან წლებში, როცა ამგვარ საკითხებზე საუბარი უკვე შეიძლებოდა, იყო მცდელობა ფეხბურთის გუნდ „დინამოსთვის“ სახელის გადარქმევისა და „ბერიის“ დარქმევისა, მაგრამ ვერაფრით მოხერხდა. მხოლოდ ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გახდა ეს შესაძლებელი, რომლის დამხობის შემდეგაც გუნდს ისევ სასწრაფოდ დაუბრუნეს ადრინდელი სახელი — „დინამო“.

გაზეთების სახელები კი იყო: კომუნისტი, ახალგაზრდა კომუნისტი, ლენინელი, სტალინელი, ლენინის დრომით, სტალინის დრომით, ბოლშევიკური გზა, ბოლშევიკური სიტყვა, კოლმეურნე, კომუნიზმის გზით, ნითელი დროშა, დამკვერელი გაზეთი, ინდუსტრიული ქუთაისი, კოლექტივიზაცია, კოლექტივიზაციის ფრონტზე, კომუნა, კოოპერატიული ცხოვრება, ლენინის გზით, ნორჩი ლენინელი, მოჯამაგირე, მუშ-კოოპელის ხმა, რეგულიატორი, პროლეტარი სტუდენტი, სოციალისტური შეტევა, ნითელი დეპოელი, ოქტომბრის გზით, სოციალიზმის გზით, კოოპერაციის საყვირი, ბოლშევიკური კოლმეურნეობა, ბოლშევიკური ტემპით და მისთანანი. რაიონული გაზეთების სახელწოდებების დამთხვევები რომ ნაკლები ყოფილიყო, ამ სიტყვებს სხვადასხვა ბრუნვაში სვამდნენ.

70-იანი წლების ბოლოს კი – 1978 წ. სსრკ-ის ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავებისას უკვე დადგა საკითხი საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო ენად მშობლიური ენები აღარ ჩანერილიყო და იგულისხმება ყველასათვის სახელმწიფო ენა რუსული იქნებოდა. ქართველმა ხალხმა ეს უკვე ვეღარ მოითმინა: მთელ რიგ დანესებულებებში პროექტის განხილვისას საზოგადოებამ ხმა აღიმალდა და მოითხოვა ამ მუხლის ძველი ფორმით დატოვება. პროტესტის ნიშნად 14 აპრილს ხალხი თბილისის ქუჩაში გამოვიდა, აქტიურობდნენ სტუდენტები და აქციამ მასობრივი

ხასიათი მიიღო. ამის გამო საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა უკან დაეხია და ეს ცვლილება კონსტიტუციაში აღარ შევიდა.

ეს იყო მთელი საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე პირველი გამოსვლა, რომელიც ხალხის გამარჯვებით დასრულდა. ეს ის გამარჯვება იყო, რომელმაც ხალხს დაანახა საკუთარი ძალა, ერთად დგომის ფასი და სამომავლოდ იმედის ნაპერწკალი გააჩინა. ამ გამარჯვებამდე ქვეყანაში უკვე დაწყებული იყო დისიდენტური მოძრაობა, საზოგადოება ჩუმჩუმად არალეგალურ ლიტერატურას ეცნობოდა, უკვე დაპატიმრებულები იყვნენ ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა, ე. ი. ეროვნული სულისკვთება და საბრძოლო მუხტი ქვეყანაში უკვე მნიფდებოდა და საზოგადოების უფრო და უფრო ფართო წრეს ითრევდა.

საკავშირო ხელისუფლებას, რასაკვირველია, ეს არ შეაჩერებდა. ამას მოჰყვა მოთხოვნა დისერტაციები რუსულ ენაზე დაწერილიყო თვით ქართულ ენასა და ლიტერატურაშიც კი. აღარ იყო საკმარისი, ავტორეფერატები რომ მუდამ რუსულად იბეჭდებოდა და დოკუმენტაციაც რუსულად იგზავნებოდა მოსკოვში – სამეცნიერო ხარისხი ხომ მათ უნდა მოენიჭებინათ ე. წ. BAK-ში – უმაღლეს საატესტაციო კომისიაში. ეს მოთხოვნა წლების მანძილზე სრულდებოდა კიდევც.

შემდეგ უკვე თბილისში ჩამოვიდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლიგაჩოვი კატეგორიული მოთხოვნით – საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, მსგავსად ბევრი სხვა რესპუბლიკებისა სწავლება რუსულ ენაზე ჩატარებულიყო. თითქოს არ იყო საკმარისი, ძირითადად მეცადინეობა რუსული სახელმძღვანელოებით რომ ხდებოდა. ეს უკვე აღარ გამოუვიდათ.

ქართველმა ხალხმა ყველაფერი ითმინა, ყველაფერი აიტანა, მაგრამ როცა დღის ნესრიგში მშობლიური ენის წართმევა დადგა, მოთმინების ფიალა აივსო. მართლაც 1978 წლიდან 10 წლის შემდეგ ეროვნულმა მოძრაობამ ქვეყანაში უკვე შეუქცევადი ხასიათი მიიღო. მართალია, ამას სასტიკი 1989 წ. 9 აპრილი მოჰყვა, მაგრამ ეს უკვე ცეცხლზე ნავთის დასხმა იყო, რაც 1991 წ. 9 აპრილით დაგვირგვინდა – საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებით.

ყოველივე ზემოთ თქმულს რომ ვიაზრებთ, ვხედავთ, რომ ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმისათვის ნიშანდობლივი იყო: თვალთვალი, დაბეზლება, დაჭერები, დაპატიმრებულთა წამება, იძულებითი ჩაშვებები, „ტროიკები“, ცრუ ბრალდებები, გადასახლებები, დეპორტაციები, დახვრეტები, აკრძალვები, კრებებზე კოლეგების დაგმობა, მათი ფიზიკური განადგურების მოთხოვნა; ასევე დამახასიათებელი იყო: სილატაკე, უშოვრობა, ინფორმაციის დეფიციტი და დაპყრობილი ქვეყნებისადმი გარუხების პოლიტიკა.

დამონეშვანი:

ვარდოსანიძე 2005: ვარდოსანიძე ს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი უნმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927). თბ.: ს.ს. ორბელიანის სახ. თსუ გამომცემლობა, 2005.

იაშვილი 2001: პ. იაშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბ.: ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ გამომცემლობა, 2001.

კვერენჩილაძე 1998: კვერენჩილაძე რ. საქართველოს მწერალთა კავშირი, 1917-1997. მნათობი, 1998.

კვერენჩილაძე 2005: კვერენჩილაძე რ. ნამების გზა. II, თბ.: „ეროვნული მწერლობა“, 2005.

Totalitarian and National Cultural Models, as Binary Oppositions

Totalitarian experience in Georgia is at the same time related to Colonial experience. Thus we discuss the nature of totalitarian-colonial aesthetical, cultural, social models, their universalism. Models, universal to the whole USSR, are implemented from the Soviet totalitarian centre in order to ensure center's power upon an individual, and upon the colony. On the other hand, resistant, unique, anti-colonial models are created locally, in Georgia. Central/totalitarian and local national models are connected to each other, in fact, they are established as binary oppositions. Binary models work through specific myths, cultural and ideological codes, system of values, aesthetical norms, which are transferred and modified from text to text. They carry double meaning and can be interpreted within Soviet context on one hand, and national cultural context – on the other hand.

Keywords: Totalitarian Colonial Experience; Binary Opposition; Cultural Models.

ბელა ტსიპურია

საქართველო, თბილისი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტოტალიტარული და ნაციონალური კულტურული მოდელები, როგორც ბინარული ოპოზიციები

ტოტალიტარიზმი, როგორც ცნება და როგორც რეალური მოვლენა, XX საუკუნეში აღინერება. მართალია, მსოფლიო ისტორია საუკუნეების წინათვე იცნობდა ქვეყნის თუ მთელი იმპერიის ერთპიროვნულ მმართველობას, ადამიანთა და ეთნოსთა ერთიანი მართვის სტილს, იცნობდა იმპერიებსაც და მათ იდეოლოგიებსაც, თუმცა ტოტალიტარული სახელმწიფოს რეალიზაცია და, შესაბამისად, თეორეტიზაცია (პრაგმატული თუ კრიტიკული პოზიციიდან) სწორედ XX საუკუნეში დაიწყო. თუ ვიკითხავთ, რის ხარჯზე შეიქმნა ამ საუკუნეში ტრადიციული იმპერიული სახელმწიფოს მოდელიდან ტოტალიტარული სახელმწიფოს მოდელი, პასუხი შეიძლება ასეთი იყოს — ნიგნიერებისა და კულტურულობის ხარჯზე, ანუ ხალხის მასობრივი ნიგნიერების, ინფორმაციის და იდეების გავრცელების მასობრივი საშუალებების (გაზეთი, ნიგნი, რადიო, კინო და, ბოლოს, ტელევიზია), მასობრივი კულტურის პროდუქციების ხარჯზე, რამაც შესაძლებელი გახადა მოსახლეობის მოქცევა ერთიან იდეურ სივრცეში — კულტურისა და მედიის იდეოლოგიზაციის მეშვეობით.

მართლაც, ტოტალიტარული ენოდება ისეთ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც მართვის ყოვლისმომცველ სტილს ქმნის, მოქალაქეთა საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა ასპექტის გაკონტროლებას ცდილობს, თავისი მიზნების განსახორციელებლად კი იყენებს მართვისა და ზემოქმედების აგრესიულ ფორმებს: იდეოლოგიასა და პროპაგანდას, საზოგადოებრივი აზრის კონტროლს, მათ შორის — მასმედიისა და კულტურისა, თავისუფალი აზრის დევნას, პოლიტიკური რეჟიმის ხელმძღვანელის სახის გაიდებას, ანუ პიროვნების კულტს, ეკონომიკის ცენტრალიზებას, მოქალაქეთა თვალთვალსა და რეპრესიებს. თუკი არ ჩავთვლით ცენტრალიზებული ეკონომიკის მახასიათებელს, ყველა სხვა მახასიათებელი სწორედ იდეოლოგიას და მისი გავრცელების ფორმებს - კრეატიულ კულტურას და მედიას უკავშირდება. კულტურის, ხელოვნების ყველა დარგი ტოტალიტარული იდეოლოგიისათვის თანაბრად გამოსაყენებელია, თუმცა შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ვერბალურ ხელოვნებაში — მხატვრულ ლიტერატურაში, კრიტიკაში, პუბლიცისტიკაში –

მისი ლოგიკურ-ანალიტიკური და, მეორე მხრივ, ემოციურ-მეტაფორული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ყველაზე თანმიმდევრულად მოხდა ტოტალიტარული იდეოლოგიური მართვით-სააზროვნო სისტემის გადმოცემა და განვითარება. ამავე დროს, პოსტ-მედევალურ ხანაში ხალხის ფართო რიგების წინგინერებამ, საბაზისო მზადყოფნამ, წაეკითხა ან მოესმინა, გაეგო ან დაემახსოვრებინა იდეოლოგიურად გამყარებული აზრები და ტექსტები, რომლებიც მხატვრული ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის სახით იქმნებოდა და მასობრივი საშუალებებით ვრცელდებოდა, გახადა შესაძლებელი ტოტალიტარული იდეოლოგიური მოძღვრების ძირითადი პრინციპების მიტანა თვით ყველაზე საბაზისო უნარებით აღჭურვილ მოქალაქემდეც, მისი აზროვნებისა და წარმოსახვის მოდელირება. სწორედ ამ კუთხით შეგვიძლია ვისაუბროთ ისეთ ლიტერატურულ მოვლენებზე, მხატვრულ-სააზროვნო მოვლენებზე, რომლებიც ერთდროულად შეიძლება განვიხილოთ, როგორც ტოტალიტარიზმის სამსახურში მყოფი და, მეორე მხრივ, მასთან დაპირისპირებული ფენომენი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თავიანთი თავდაპირველი სახით ეს საბჭოურ ტოტალიტარულ-იდეოლოგიურ ცენტრში შექმნილი მოვლენებია, პირველმოვლენები, რომელთა გამრავლების, რეპროდუცირების უფლებას ცენტრივე გასცემს: მოდელური სახის შეიძლება იყოს მთელი ტექსტი — მისი იდეური თუ კომპოზიციური წყობა, ხასიათები და ტიპები, ასევე, კონკრეტული მხატვრული სახეები, ტროპები, რომელიც ტექსტიდან ტექსტში გადადის და კულტურულ-იდეოლოგიური კოდების სახეს იძენს, ასევე — პრიორიტეტთა, შეფასებათა სქემები, წარმოდგენები, ან მათი კულტივირებული ფორმები, საბჭოური მითები, რომელთაშიც სიკეთისა და ბოროტების ძალთა გადანაწილება, ცხადია, საბჭოური მხარის სასარგებლოდ მიმდინარეობს, მაგალითად ისე, როგორც კლასობრივი ბრძოლის მითში. ამგვარი მოვლენები ნაციონალური ლიტერატურების დონეზე რეპროდუცირდებოდა და ტირაჟირდებოდა. თავისი არსით ეს პროცესი ემსგავსება ბოდრიარისეულ სიმულაციას, სიმულაკრას გამრავლებას, იმ განსხვავებით, რომ ბოდრიარის მიერ აღწერილ პოსტმოდერნისტულ სინამდვილეში არ მოქმედებენ ნებელობის, კონტროლის, გეგმაზომირების, იდეოლოგიის ძალები და პროცესი თვითდინების ლოგიკით ვითარდება. საბჭოურ-ტოტალიტარული სიმულაკრა, პოსტმოდერნული სიმულაკრას მსგავსად, სინამდვილის წმინდა წყლის სიმულაციას, ისიც მოკლებულია პირველქვემარტივასთან რაიმე კავშირს, მასაც თვითგამრავლების, პრეცესიის უნარი აქვს, თუმცა მისი ასეთი ბუნება სწორედაც რომ კონკრეტული იდეოლოგიების პროდუქტია (და არა დასავლური მოდერნულ-პოსტმოდერნული სამყაროს თავისათვადი მდინარებისა), მისი პირველსახეები მოდელირებულია სწორედაც ქვემარტივებისაგან დაპირისპირებულ ტოტალიტარულ ცენტრში. რადგან საბჭოური მოვლენები კონკრეტული ადამიანების, იდეოლოგიების ჩანაფიქრის შედეგია და ლოკალურ რესპუბლიკურ დონეებზე მათი რეპროდუცირებაც ამავე იდეოლოგიის მოთხოვნას წარმოადგენდა, სწორედ არაცენტრულ, ლოკალურ სივრცეში გარკვეულ შემთხვევებში მოხდა, უფრო ზუსტად კი მოხერხდა ამ ჩანაფიქრთა ჩანაცვლება, რეპროდუცირებულ მოდელში საბჭოურ-ტოტალიტარული შინაარსის ნაცვლად ნაციონალური შინაარსის ჩადება, სიმულაკრულობის წრის გარღვევა და არსთან კავშირის აღდგენა. ამ თემაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის მოქმედების კიდევ ერთი თავისებურება: ტოტალიტარული გამოცდილება აქ დაკავშირებულია კოლონიურ გამოცდილებასთანაც, რადგან ის ძალა, რომელიც ახდენდა ტოტალურ ზემოქმედებას მოქალაქის, პიროვნების, სოციუმის არსებობაზე, საქართველოს შემთხვევაში, ამასთანავე, ახდენდა დამპყრობლურ, კოლონიზატორულ ზემოქმედებას მთელ ერზე. შესაბამისად, პიროვნულ რეზისტენტობას და ტოტალიტარული რეჟიმისადმი წინააღმდეგობას ჰქონდა ეროვნული განზომილებაც. ამ რეჟიმთან ინდივიდუალური დაპირისპირება, ინდივიდის თვითიდენტიფიკაცია, ამავე დროს, ნიშნავდა ნაციონალურ დაპირისპირებას, ქართველთა ნაციონალურ თვითიდენტიფიკაციას და პირიქით.

30-იანი წლების დასაწყისიდან, როცა ფორმირებული და დანერგული იყო სტალინურ-საბჭოური იდეოლოგია და განსაზღვრული იყო კულტურის მეშვეობით მისი მოქმედების ფორმატი და, ასევე, იძულების, ძალადობის ფორმებიც, ამ ფორმატში მუშაობა დაიწყეს ქართველმა მწერლებმაც. იმ ნაწერებში, რასაც აკაკი ბაქ-

რადე „ერზაც-ლიტერატურას“ უწოდებს, საბჭოური მოდელები ყოველგვარი ტრანს-ფორმაციის გარეშე იყო გამოყენებული, ხოლო იმ მწერლებმა, რომელთაც გაცნობიერებული ჰქონდათ ტოტალიტარული და კოლონიზატორული რეალობა, პიროვნებასა და ერზე საბჭოურ-ტოტალიტარული ძალადობის არსი, თავიანთ ინდივიდუალურ შემოქმედებაში მოახდინეს საბჭოური მოდელების ნაციონალური შინაარსით დატვირთვა. ამგვარი ტრანსფორმირებული მოდელები მარგინალური გამოდენენ ცენტრის მიერ შემუშავებული მოდელების მიმართ. ამავე დროს, გარკვეული მნიშვნელობით, ეს ელიტარული მოდელები იყო, რადგან გასაგები და აღქმადი იყო ინდივიდთა შედარებით მცირე წრისათვის, ვინც გაცნობიერებულ შინაგან, პიროვნულ და კულტურულ წინააღმდეგობას უწევდა ტოტალიტარიზმის შემოქმედებას. თუმცა პოსტ-სტალინურ პერიოდში ქართული კულტურული სივრცე რეალურად გაემიჯნა საბჭოურ კულტურულ სივრცეს და მისი ფასადის მიღმა შექმნა ნაციონალური ორენტაციის კულტურული სინამდვილე, ნაციონალური ნარატივის კულტურა. ამ პერიოდში ეროვნული ორიენტაციის მკითხველისათვის (და ეს უკვე მასობრივი და არა ელიტარული წრე იყო) ნაციონალური მსოფლმხედველობა და შესაბამისი შინაარსის მოდელები ერთადერთ რეალურ, არამარგინალურ სინამდვილეს წარმოადგენდა. თუკი ვიკითხავთ, როგორ მოხდა იმ ნაკლებსისიხლიან დროში, თუმცა მაინც საბჭოურ-ავტორიტარული ცენტრიდან კონტროლირებად ქვეყანაში ეროვნული შინაარსის კულტურის ამგვარი გაძლიერება, პასუხი შეიძლება სწორედ ორმაგი შინაარსის მოდელების და, შესაბამისად, ორმაგი მნიშვნელობის ტექსტების, ორმაგი სინამდვილის განვითარებაში ვეძიოთ. ნაციონალური შინაარსის მოდელები განვითარდნენ საბჭოური მოდელების საფარქვეშ, მათი რეპროდუცირების და ტრანსფორმაციის პროცესში. შესაბამისად, ტოტალიტარული ცენტრული პოზიციიდან შესაძლებელი იყო მათი მეტ-ნაკლები ლეგიტიმაცია, ხოლო ლოკალური კოდირებისა და ინტერპრეტაციის გზით შესაძლებელი ხდებოდა მათი ნაციონალიზაცია. ამგვარი ოპერაციების შედეგად საბჭოთა პერიოდის საქართველოში საბაზისო კულტურული მოდელები ჩამოყალიბდნენ, როგორც ტოტალიტარული ცენტრის მხრივ ლეგიტიმაციის გარკვეული ხარისხით აღჭურვილი, თუმცა ლოკალური, ნაციონალური გადასახედიდან ცენტრთან დაპირისპირებული მოვლენები. დიქტატორიულობა, რომელიც მთელი საბჭოთა რეალობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია, ამ მოდელების თვისებაც არის. საბჭოურ-ტოტალიტარული პერიოდის საქართველოში საბჭოთა და საკუთრივ ქართული კულტურული მოდელები წარმოადგენენ ბინარულ ოპოზიციებს. ტოტალიტარული რეჟიმის არსებობის პირველ ეტაპზე ოპოზიციურობა ერთი და იმავე ტექსტების ორგვარი ნაკითხვით მიიღწევა და ასეთ შემთხვევაში ეს მოდელები შიდა ოპოზიციის მომცველია, მოგვიანებით კი ეს ხერხდება საბჭოურთან მიმსგავსებული, რეალურად კი ალტერნატიული მოდელების შექმნით, რომლებიც ოპოზიციურ მიმართებაში არიან თავიანთ საბჭოურ პირველსახებთან. ოპოზიციური წყვილები, სტრუქტურალიზმის თეორიიდანვე, ადამიანური აზროვნებისა და კულტურის მათგანისებულ ფორმებად მიიჩნევა. საბჭოური პერიოდის ქართული კულტურა, როგორც კოლონიურ და ტოტალიტარულ რეალობასთან რეზისტენტობის ძირითადი სივრცე, თანმიმდევრულად ავითარებს წინააღმდეგობის საშუალებებს — ანალიტიკურ-კრიტიკული დისკურსის წარმართვის შეუძლებლობის პირობებში ვითარდება მხატვრულ-ალეგორიული დისკურსი, ხოლო საბჭოური მოდელები ჩანაცვლებითი მეთოდებით შექმნილ ოპოზიციურ ნაციონალურ მოდელებთან წყვილდება და ბინარულ ოპოზიციებს ქმნის.

Я искал тебя...	И в тюрьме найдешь, видно, место ты
Среди полчища ты в рогоже спишь, В зипуне зимой на тракту дрожись-	Будешь по миру ходить вечно ты, Гнут в бараний рог тебя деспоты*
В непогодушку ты в лаптях бежишь	

Многие современники осуждали жестокость и бессмысленность многих мероприятий, проведенных под руководством И. Сталина. Об этих чертах, характерных для вождя народов, писали в открытых заявлениях и анонимных посланиях, рассказывали анекдоты. Конструктор А.Г. Дябин, работавший на строительстве Камской ГЭС, был расстрелян в 1937 году за высказывание «Иоська потому и велик, что обманывать велит». Агент НКВД, сообщивший об этом и других фактах «контрреволюционной пропаганды» А. Дябина, отмечал, что автор данной пословицы с иронической улыбкой объяснял её содержание: Сталин обманывает не только граждан СССР, но и стремится обмануть все иностранные государства (Политические ... 2004:223).

Очень часто авторы сравнивали первого советского лидера и Сталина, который стремился создавать имидж ученика и наследника Ленина. Однако даже в первой половине 1930-х гг. идея о преемственности трактовалась людьми далеко не однозначно. Некоторые, как и автор частушки, имевшей множество вариантов, принципиально не изменявших ее содержание, оценивали деятельность обоих руководителей только отрицательно:

Когда Ленин умирал,
Сталину наказывал:
«Крошки хлеба не давай,
Картошки не показывай».**

Коммунисты и простые люди, пытаясь осмыслить трудные для их понимания политические дискуссии и проводившиеся вслед за ними репрессии против лидеров партии и советского государства, делали выводы об ответственности за эту ситуацию И. Сталина. Многие считали, что Сталин ликвидирует не только своих соперников, но и политиков, стремившихся улучшить жизнь народа. В 1930-е гг. в сознании советских людей сохранялся, приобретая новые образы, миф о «спасителях» и «избавителях», имеющий в России давние традиции. На Урале легенды и предания о «мстителях» и «народных заступниках» являлись важнейшей частью фольклора с XVIII в. С тех времен были широко распространены и передавались из поколения в поколение рассказы о «справедливых» царских администраторах. Многие из таких преданий участники этнографических экспедиций записали именно в 1930-е гг. Вероятно, на основе традиционных мифов, отражавших, в определенной мере, иллюзии и ожидания рассказчиков и их современников, формировались представления о новых защитниках трудящихся.

Искренние сожаления о смерти руководителей, уважаемых и имевших авторитет, отражены в документах личного характера, не предназначавшихся для оглашения и поэтому являющихся неопровержимым историческим свидетельством. В частности, эмоциональное восприятие убийства С.М. Кирова попытался передать в стихах студент III курса Горного института (г. Свердловск):

Случилось то, что не должно случиться.
Случилось то, во что поверить трудно миру –
От выстрела не стало сердце биться –
От выстрела погиб Сергей Миронович Киров.***

* ГААО СО. Д. 19409. Л. 3,16, 17.

** ГАСО (Государственный архив Свердловской области). Ф.Р-2266. Оп.1. Д.153.Л.109.

*** ГААО СО. Ф.1. Оп. 2. Д. 8024. Л. 109.

Репрессии против известных политических деятелей актуализировали архаические представления о «народных заступниках». В агентурных донесениях и сводках НКВД отмечались разговоры о том, что Л. Троцкий, Н. Бухарин, М. Тухачевский, Я. Гамарник и другие, преследуемые И. Сталиным, руководители боролись за интересы рабочего класса, хотели улучшить жизнь трудящихся. Такие представления были распространены и в других регионах Советского Союза. В частности, согласно информации, поступившей во ВЦИК в апреле 1938 г., С.И.Лапшин, житель Горьковской области, на собрании открыто заявил: «Люди, которых расстреливают в Москве, это – наши люди... за нас и погибли». Сочувствуя жертвам И. Сталина, люди выражали надежду: «...все равно всех не пересадят: этих расстреляют, другие на их месте за правду будут стоять...».*

Пострадавшие от репрессий и свидетели считали главным виновником происходившего И. Сталина. В лагерном фольклоре были распространены выражения «сталинская дача» и «сталинский курорт (санаторий)», означавшие исправительно-трудовой лагерь или тюрьму. Высокопоставленные чиновники вынуждены были вносить уточнение в данное выражение: они говорили о «лубянском курорте». Для обозначения ареста, лишения свободы, заключения использовались словосочетания «быть у Хозяина», «в гостях у Хозяина». За особенную жестокость происходивших расправ Сталина называли на лагерном жаргоне «Зверь» (Мокиенко ... 1998:146, 214, 583, 641).

Не имея возможности протестовать открыто, люди выражали в них свои чаяния о возможной смерти вождя. В одном рассказывалось о том, как однажды Сталин «купался, поднялась буря, и он стал тонуть. В это время по берегу шли три колхозника, и один из них бросился спасать тонущего человека. Благодарный Сталин заговорил о награде, но колхозник отказался и умолял никому не говорить: «Если кто узнает об этом, меня убьют». Сюжет другого анекдота – беседа И. Сталина, прогуливавшегося по Кремлевской стене, со случайным прохожим на тему, что считать несчастьем, а что – несчастным случаем. На этот вопрос вождя собеседник ответил: «Вот если бы Вы, Иосиф Виссарионович, теперь упали и разбились – то это был бы несчастный случай; а если Вы упадете и не разобьетесь – это будет несчастье».**

Однако одновременно было распространено мнение, что лидеру партии неизвестно о страданиях простых людей, о произволе местных руководителей и сотрудников НКВД. Интересная интерпретация мифа об информационном барьере представлена в легенде «Христос у Сталина», несколько экземпляров которой были изъяты при обыске квартиры П.М. Башкирцева (г. Новая Ляля Свердловской области). Автор этой легенды устами Христа, преодолевшего множество препятствий и попавшего на приём к И. Сталину, рассказал о случаях произвола при раскулачивании, о злоупотреблениях в период коллективизации, о бесчеловечности активистов и чиновников, обрекающих на голод и смерть беззащитных людей (вдов, сирот, инвалидов). Христос, заметив во время беседы, что «много еще можно таких фактов привести», убеждал вождя: «Не надо, товарищ Сталин, огораживать себя кремлевскими стенами и отделяться от живой массы... Надо знать и видеть, как страдает народ, и придти к нему на помощь»***.

Многим уральцам, как и жителям других регионов СССР, чрезвычайно трудно было понять причины массовых арестов и казней. Однако осознание опасности, угрожавшей каждому, приводило к постоянным размышлениям и поиску ответа. Пытаясь разобраться в ситуации, они воспринимали версии, распространяемые официальной пропагандой, весьма своеобразно. Несмотря на то, что материалы печати, радио и показательных процессов содержали «убедительные доказательства» преступной деятельности «контре-

* ГААО СО. Ф.1. Оп.2. Д. 20879.Л. 25; Д. 36399. Л. 8 об. и др. дела; ГАРФ (Государственный архив Российской Федерации). Ф. 1235. Оп. 141. Д. 2128. Л. 35.

** ГААО СО. Ф.1. Оп.2.Д.16991. Л.18. Следует обратить внимание на то, что этот анекдот сохранился благодаря доносу, написанному на одну из работниц Уткинского завода (г. Первоуральск). Почти такой же текст содержится в донесении агента, наблюдавшего за специалистами завода «Уралстальмост» (г. Нижняя Салда) – Д.20880.Л.96, 98.

*** Там же. Д. 17285. Л. 88-94об.

волюционных», «диверсионных» и «шпионских» организаций, многие современники высказывали иные точки зрения. Одна из них – признание необоснованного, беспричинного характера репрессий как проявления произвола власти. Даже в частушках нашла отражение тема немотивированных арестов и сроков наказания. Т. Чусовитина вспоминала, как в лагере пели:

«Кому – восемь, кому – пять,
А за что – нельзя понять».
(Чусовитина 1989:184)

Понимание несправедливости суда и непредсказуемости судьбы каждого арестованного отражено в поэтическом рассказе «Тюрьмы», написанном верующим человеком:

Кох требовали в полночь – суд был, трибунал:
Кох на смерть присуждал, коих домой отпускал,
А коих на расстрел, но таков им был удел...*

Наиболее распространенным объяснением происходивших событий было предположение о стремлении власти обеспечить «великие стройки социализма» бесплатной рабочей силой, особенно необходимой для освоения отдаленных районов страны. В Уральском регионе в условиях форсированной индустриализации подобная интерпретация событий была особенно объективной, подтверждалась повседневной реальностью. Неофициальный фольклор отразил эту ситуацию. На новостройках пели – среди прочих – такую частушку:

Советские правители
До чего доправили –
Весь молоденькой народ
На Урал отправили.**

Другой темой устного народного творчества являлось объяснение репрессий желанием власти изолировать критически настроенных людей. На Урале в эти годы изменились некоторые пословицы: так, вместо прежней, говорили «Язык до Остяко-Вогульского округа доведет», имея в виду возможное наказание ссылкой за высказывания, не совпадавшие с официальной точкой зрения.*** В стране появилась серия анекдотов про анекдот, который считали причиной ареста, ссылки и даже расстрела. Так, в одном из них воспроизведен диалог встретившихся знакомых: «Знаешь анекдот?» – «А ты знаешь, кем построен Беломорканал?» – «Нет». – «Анекдотчиками». В другом анекдоте передается информация о конкурсе на лучший анекдот: «Первая премия – 25 лет; вторая – 20 и две третьи, поощрительные – 15» (Мокиенко ... 1998:35; Шинкарчук 1998:93).

По мере развития репрессий в анекдотах, частушках и пословицах появляется тема незаконных методов следствия, применявшихся сотрудниками НКВД. По мере развития репрессий убежденность в широком использовании следственными органами незаконных методов все понимали, что «вызовы» в НКВД были способом ареста. В народной молве аббревиатура НКВД расшифровывалась **Неизвестно Когда Вернусь Домой**, поскольку вызванные исчезали надолго или навсегда (Мокиенко ... 1998:393). Необоснованные аресты и приговоры стали одним из важных сюжетов фольклора уральцев. Пословицы «Семь анкет – один ответ», «Пропал – ни пены, ни пузырей», свидетельствовали о достаточно объективной оценке деятельности НКВД.****

По мере усиления репрессий в лексиконе уральцев, как и жителей других регионов, появляются новые слова, обозначающие неожиданные аресты. Одной из таких лексичес-

* ГААО СО. Ф.1.Оп.2.Д. 19657. Т. 4. Л. 48, 49.

** ГАСО. Ф. Р. - 2266. Оп. 1. Д. 153. Л. 109.

*** Там же. Оп. 1. Д. 220. Л. 11.

**** Там же. Д. 59. Л. 61; Д. 61. Л. 4.

ких ассоциаций стало выражение «черный ворон» так называли закрытый грузовик для перевозки арестованных и заключенных. Студент пединститута Е. Подчивалов, отмечая особую напряженность атмосферы в Свердловске во второй половине 1930-х гг., характеризовал ситуацию такими словами: «Из уст в уста все чаще шепотом, с оглядкой передавалось слово «взяли». О «черном вороне» знал и стар, и млад...» (37-й на Урале 1990: 218).

Кроме того, в неофициальном фольклоре присутствует сюжет о «стукачах» – так в народе называли осведомителей и доносчиков. Наиболее распространенными были следующие варианты: «Лучше стучать, чем перестукиваться»; «Лучше один раз стукнуть, чем семь лет перестукиваться». Эти пословицы отражали осознание современниками не только добровольного, но и принудительного характера сотрудничества с органами НКВД (Мокиенко... 1998:592; Сувениров 1998:112).

Иногда современники были весьма критичны в отношении официальных героев – стахановцев и других известных людей. В частности, в нескольких следственных делах имеется «Песенка о челюскинцах», исполнявшаяся на мотив «Мурки». В одной из строчек последнего куплета анонимный автор после саркастического описания события обращался «к героям» с вопросом о «смысле и пользе этого предприятия»:

Весь Союз боялся. Девушки рыдали
Все газеты вспоминали вас.
Ваши телеграммы целовали дамы...
Наконец пробил спасенья час.
Вы теперь на суше весело живёте.
Добрались в родимую страну.
Деньги получили, в Крым вас прокатили.
Пусть «Челюскин» плавает по дну.*

Таким образом, даже краткое знакомство с сюжетами фольклорных текстов, сохранившихся в архивах спецслужб, позволяет представить многообразие тем и проблем, волновавших общество, но не имевших отражения в официальной печати и литературе. Народное творчество, выражавшееся как в устной, так и письменной традиции, являлось источником информации и способом обсуждения «запретных» аспектов политической жизни.

ЛИТЕРАТУРА:

- Баберовски 2007:** Баберовски Й. Красный террор: История сталинизма. М.: 2007.
Богданов 2009: Богданов К.А. Vox populi: Фольклорные жанры советской культуры. М.: 2009.
Гаген-Торн 1994: Гаген-Торн Н.И. Memoria. М.: 1994.
Маньков 2001: Маньков А.Г. Дневники 30-х годов. СПб., 2001.
Миллер 2006: Миллер Ф. Сталинский фольклор. СПб., 2006.
Мокиенко... 1998: Мокиенко В.М., Никитина Т.Г. Толковый словарь языка Совдепии. СПб., 1998.
Политические... 2004: Политические репрессии в Прикамье. 1918-1980 гг.: Сборник документов и материалов. Пермь: 2004.
Рейфилд 2008: Рейфилд Д. Сталин и его подручные. М.: 2008.
Сувениров 1998: Сувениров О.Ф. Трагедия РККА, 1937-1938. М.:1998.
Такер 2006: Такер Р. Сталин. История и личность. М.: 2006.
37-й на Урале 1990: 37-й на Урале. Свердловск: 1990.
Турбин 1991: Турбин В. Китежане (Из записок русского интеллигента) // Погружение в трясину. М.: 1991.
Чусовитина 1989: Чусовитина Т. О пережитом// Завещание. Свердловск: 1989.
Шинкарчук 1998: Шинкарчук С.А. Политический анекдот 1920-1930-х гг. и общественное мнение населения Советской России. Ж.: Клио. 1998. №2 (5).
Янгиров 1998: Янгиров Р. Анекдоты «с бородой». Материалы к истории неподцензурного советского фольклора. 1918-1934. Ж. Новое литературное обозрение, № 3 (31), 1998.

* ГААО СО. Ф.1. Оп.2. Д.16920; Д.43747. Синяя тетрадь.

JULI GABODZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Galaktion's "Self-Defensive Poetics"

The present paper deals with those poetic methods by means of which Galaktion managed to protect himself from Soviet totalitarianism. Galaktion created the so-called "self-defensive poetics" and used poetic methods: the title, metaphor, epithet, epigraph (collection of verses "Gold at Ajara's azure").

The manipulation with dating for Galaktion is one of the most used and approved methods. It is known the poet changed the dates of his verses on purpose in order to perplex Soviet censorship. He used this means so often that currently an accurate date of many of his verses is to be established for today.

Keywords: "Self-Defensive Poetics"; Epigraph; the Manipulation with Dating.

ჯული გაბოძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გალაკტიონის „თავდაცვის პოეტიკა“

მეოცე საუკუნეში საბჭოთა ტოტალიტარიზმმა ყველა მოქალაქის ცხოვრებას მძიმე დალი დაასვა. სახადივით მოედო იგი ხელოვნებასა და პოეზიას. საბჭოთა პოეტისაგან მოითხოვდნენ შესაბამისი იდეოლოგიის შემოქმედებას. წინააღმდეგობა ნიშნავდა სიკვდილს. საბჭოთა რეჟიმი მეტად მტკივნეულად შეეხო გალაკტიონს და მის ოჯახს. ტროცკისტობის ბრალდებით ორჯერ გადაასახლეს გალაკტიონის მეუღლე ოლია ოკუჯავა. თავგანწირული ბოლშევიკი მეორე გადასახლებიდან აღარც დაბრუნებულა, იგი 1941 წ. 11 სექტემბერს დახვრიტეს. გალაკტიონს აკრძალული ჰქონდა მიმონერა ოლიასთან, თუმცა, საშიშროების მიუხედავად, მაინც სათუთად ინახავდა მეუღლის „სისხლის ცრემლნატბოვარ ბარათებს“.

ქართველ მწერლებს უმძიმესი არჩევანი დაუდგათ. ან ხელისუფლების მეხოტბენი უნდა გამხდარიყვნენ, ან მსხვერპლად შესწირვოდნენ ზნეობრივ პრინციპებს. შემოქმედთა ნაწილი დიადი საბჭოეთის აპოლოგეტად იქცა. ზოგმა კი ვერ შეძლო კომპრომისი და „სიკვდილის ვარდისფერ გზას“ გაუდგა. გალაკტიონს, „პოეტთა მეფეს“, ამისი უფლება არ ჰქონდა. თავგანწირვა მისი შემოქმედების დალუპვას ნიშნავდა და თუმცა იწინასწარმეტყველა: „რომ წაყვება საუკუნეს თქვენთა ჩემი ქნარიო“ და ისიც მშვენივრად უწყოდა, „რას იტყვის შთამომავლობა“, მაგრამ უნდა იცოცხლოს! „რომ შექმნას რამე დიადი“. მთავარი კი ჯერაც გასაკეთებელია: უნდა გააგრძელოს პოეტური რეფორმა და დაასრულოს „პოეზიის ტაძარი!“ ამიტომაც ტოტალიზმისაგან თავდასაცავად გალაკტიონმა სხვადასხვა მეთოდი „გამოიგონა“, მეტაფორულად რომ ვთქვათ, ე. წ. „თავდაცვის პოეტიკა“ შექმნა. დაიწყო რთული და მძიმე შემოქმედებითი შრომა, პოეტური ექსპერიმენტები, რათა ყველას ეგრძნო და გაეგო, თუ „ღამემ სულში როგორ ჩაიხედა“ და „როგორ ძნელია დარდი იმგვარი, რაც ვერავისთვის გაგიძნელია“.

ასეთი პოეტური ცდების შედეგად გამრავალფეროვნდა და გამდიდრდა ქართული ლექსი და შეივსო გალაკტიონის „არსენალი“, გალაკტიონოლოგებს კი დიდძალი საკვლევი დაუგროვდათ.

„უნიკალური ბედის შემოქმედს“ უწოდებს ბატონი თეიმურაზ დოიაშვილი გალაკტიონს, რადგან „მან ორგზის განახორციელა ქართული ლექსის რეფორმა, ახალი გეზი მისცა ქართულ პოეტურ აზროვნებას. 30-იანი წლების დასაწყისი გალაკტიონის სტილურ განვითარებაში დიდი ცვლილებებით აღინიშნა. დაიწყო

პოეზიის ახალი შინაარსისა და ფორმათა ძიების ხანგრძლივი პროცესი, რაც პოეტის ბოლო დროის ლირიკაში თვისობრივად ახალი მხატვრული სისტემის შექმნით დაგვირგვინდა“ (დოიაშვილი 2003:1). სრულად ვიზიარებთ ამ დასკვნას და მიგვაჩნია, რომ რეფორმის ამ პროცესს ერთგვარად აჩქარებდა ტოტალიტარიზმისაგან შემოქმედების დაცვის აუცილებლობის შეგრძნება და შესაბამისად, თავდაცვის მექანიზმების ძიებისას საუბარი ხდებოდა ახალ-ახალი პოეტური იარაღის მომარჯვება. ამიტომაც მიმართა გალაკტიონმა სხვადასხვა პოეტური მეთოდი და ერთ-ერთი იყო **„კონტექსტის პოეტიკა**, ამ ტერმინისა და კვლევის ავტორი, თეიმურაზ დოიაშვილი, საკითხს ვრცლად, უფრო მასშტაბურად განიხილავს: „კონტექსტის პოეტიკის ფუნქციონერებისას სიტყვას არც გარედან მოაქვს „მზა“ პოეტურობა და არც ტროპულ გარდაქმნას განიცდის. კონტექსტის მეშვეობით ყოფითი სიტყვა პოეტენციურად იძენს პოეტური სიტყვის არსებით თვისებას: მრავალმნიშვნელოვნებას, ასოციაციურობას, კონკრეტოზაციასა და სიმბოლიზაციის უნარს. იგი ინარჩუნებს საგნობრიობას, მაგრამ სიტუაციის შესაბამისად, აქვს მნიშვნელობის დავინროების ან გაფართოება-განზოგადების შეუზღუდავი შესაძლებლობა“ (დოიაშვილი 2005:2), შემდეგ მკვლევარი იმონებს ლექსს „ერთხელ მერიით, თუ ხიდისთავით“ და ასეთ დასკვნამდე მიდის: „ყოფითი სიტყვა იძენს პოეტური სიტყვის ისეთ თვისებებს, როგორცაა მრავალმნიშვნელოვნება, სიმბოლიზება, ასოციაციურობა. „ქინძისთავი“ კონკრეტულ საგნად რჩება და ზოგად იდეასაც გამოხატავს (დოიაშვილი 2005: 2). მიგნებულია შესანიშნავი პოეტური ხერხი, რომელიც ლექსის აღქმისა და ინტერპრეტაციის ახალ შესაძლებლობებს იძლევა, რაც კარგი ფანდია იდეოლოგთა გასაცურებლად! შესაძლოა კონტექსტის პოეტიკის ნიმუშად მოვიჩინოთ ცნობილი ლექსი „დროშები ჩქარა“, რომლის მარშისებურ რეფრენს ენაცვლება აზრობრივად მრავალმნიშვნელოვანი ბიბლიური ალუზია „თავისუფლება ხალხს(სულს) ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“. ამ ლექსის კონტექსტუალური გაგების შესახებ მსჯელობს მკვლევარი ბელა ნიფურია წერილში „გალაკტიონის ტექსტი სწორ/ მცდარ კონტექსტში“ (ნიფურია 2004:216).

ჩვენი აზრით, ლექსების **სწორ/მცდარ კონტექსტში** ნაკითხვის იდეა შესაძლოა სულაც გალაკტიონისაგან მოდიოდეს, რაც შემდეგ აიტაცა საბჭოთა იდეოლოგიამ და მედალს მხოლოდ იქიდან შეხედა, საიდანაც მას უნდოდა. მეცნიერი განიხილავს იმ შემთხვევებს, როგორ იკითხებოდა გალაკტიონის ლექსები მცდარ კონტექსტში: „როგორ ცდილობდა ტოტალიტარული რეჟიმი გალაკტიონის შემოქმედების საბჭოურ კონტექსტში მოქცევას... შეიძლება ითქვას, რომ საბჭოურ კონტექსტში გადატანილი იყო არა მხოლოდ გალაკტიონის ცალკეული ტექსტები. არამედ მთელი შემოქმედება“ (ნიფურია 2004: 216, 222).

ოპოზიციურ რიტორიკას უნოდებს მკვლევარი გაგა ლომიძე ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ გალაკტიონის მიერ გამოყენებულ კიდევ ერთ პოეტურ ხერხს: „გალაკტიონის კონიუნქტურულ ლექსებში არცთუ იშვიათი „სუბვერსიული“, „ოპოზიციური“ ხმები შეფარვით ძირს უთხრის გაბატონებულ კულტურას. ზოგჯერ ამ სუბვერსიულობას რიტორიკული შეკითხვის სახე აქვს“ (ლომიძე 2004:234).

გარდა ზემოთჩამოთვლი მეთოდებისა, ჩვენი დაკვირვებით, გალაკტიონმა სხვა მრავალ ხერხსაც მიაგნო საკუთარი შემოქმედების გადასარჩენად, თავდაცვის ამ წარმატებულმა ცდებმა და პოეტურმა ექსპერიმენტებმა, საბედნიეროდ, საბოლოოდ გაამრავალფეროვნა და გაამდიდრა მისი შემოქმედება.

ამ თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია გალაკტიონის არქივის მეცნიერული შესწავლა, მით უფრო ახლა, როცა დაიბეჭდა გალაკტიონის საარქივო გამოცემის ოცდახუთი ტომი, მომზადებული ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომელთა მიერ. ეს საარქივო გამოცემა ცხადყოფს, რაოდენ მნიშვნელოვანი და გარდაუვლად საჭიროა, პოეტის შემოქმედების კვლევისას, მისი ლექსების ავტოგრაფებისა და, თითქოს დანაწევრებული და ფრაგმენტული, ჩანაწერების გაცნობა, რომელთა დიდი უმრავლესობა ხშირად უფრო ზუსტად გამოხატავს პოეტის მთავარ სათქმელს, ვიდრე მათი თეთრი, გამოქვეყნებული ვარიანტები. გალაკტიონის შემოქმედების კვლევა ამ საარქივო მასალების გარეშე, დღეს უკვე, სიბნელეში სანთლით სიარულს ჰგავს.

კიდევ რა პოეტური ხერხები გამოიყენა გალაკტიონმა?

სათაური — სემიოლოგიური თვალსაზრისით გარე ნიშანი ლექსისა გალაკტიონთან ცენზურის თვალის ახვევისა და მთავარი სათქმელის შენიღბვის პოეტური საშუალებაა. ამჯერად რამდენიმე ლექსის სათაურზე შევჩერდებით: ხელნაწერების შესწავლამ ცხადყო, რომ ლექსი **„ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ (შემდეგში „ჩემი სიმღერა“)**, რომელიც პოეტს ძალიან უყვარდა და ხშირად კითხულობდა, პირვანდელ შავ ავტოგრაფში ასეა დასათაურებული **„სახსოვართა ოქროს ფონდი“**. ლექსს „შემოუნახავს“ ოლია ოკუჯავას ნივთები: „ბეჭედი ძვირფას ალთა მთოვარი“, „ჩაის ვარდი“, „საფერფლე დარდთა დანატოვარი“, „სურათი რამე კარგზე მგლოვარი“, „თმა როგორც განძი ძნელსაშოვარი“ და ბოლოს, წერილები: „ბარათი სისხლის ცრემლნატოვარი“. ხელნაწერებზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ავტოგრაფებიც და უკვე მზა ლექსიც, ამკარად თუ ფარულად, ინახავენ ოლია ოკუჯავას ხსოვნას, რაც შესანიშნავად გამოიხატა მის ერთ-ერთ სათაურში **„სახსოვართა ოქროს ფონდი“**. ასევე მრავლისმთქმელია ლექს **„ასპინძას“** პირვანდელი სათაურები: **„გამახსენდები და ისევ ზღვა მომენატრება“, „ელეგია განშორებისა“, „ელეგია განშორება-დამშვიდობების“** (ამგვარად ასათაურებს პოეტი ლექსის ერთ-ერთ ვარიანტს). როგორც ცნობილია, ლექსის ორ ავტოგრაფში ძირითადად მხოლოდ ერთი სიტყვის ცვლილებით შექმლო გალაკტიონმა იდეის გამოკვეთა: „ოლია ოკუჯავას დაკარგვით გამონვეული უნუგუმოზას და სასონარკვეთას („სიკვდილი“) უსაზღვრო მონატრება („ზღვა“) ჩაენაცვლა. მონატრების გრძნობა შურისძიების, მტრის ძლევის დაუოკებელმა სურვილმა შეცვალა („ომი მომენატრება“), რამაც პოეტში გამარჯვების ხატ-სიმბოლო „ასპინძის სახელოვანი ომი“ გააცოცხლა და ამ რედაქციასაც სათაურად „ასპინძა“ დაარქვა“ (გაბოძე 2004 :279).

თუმცა, ყოველთვის როდი ფრთხილობდა პოეტი. ზოგიერთი სათაური პირდაპირ მიანიშნებს ავტორის განწყობას, მაგ. **„ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა“; „ქარის პირდაპირ, ქარის პირდაპირ“** („ქარის პირდაპირ, ქარის პირდაპირ გავმლთ იალქანს, ზღვას მივეცემით, მოგონებაში დარჩა ედემი. ჩვენ მშვიდობიანს გავშორდით ნაპირს, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს მარცხნივ. ქარის პირდაპირ, ქარის პირდაპირ“ საოცარი გამბედაობაა, გამჭვირვალე სიმბოლოებით, მაგრამ გალაკტიონი არც ისეთი გულუბრყვილო და თავზებელაღებულია, ამიტომ ასეთი ლექსებისათვის მან სხვა „მეხამრიდი“ გამოიკონა, ეს და ბევრი ამგვარი ლექსი საგანგებო კრებულში („ოქრო აჭარის ლაჟვარდში“) მოათავსა, ამით, როგორც ამბობდა, მან კართულ მწერლობაში ზღვის თემატიკა შემოიტანა (უფრო ვრცლად ქვემოთ). ცნობილ ლექსს **„უკანასკნელი მატარებელი“** თავდაპირველად „გამომშვიდობება“ ერქვა. გალაკტიონმა იგი უკიდურესი სულიერი შეჭირვების ჟამს დაწერა, როგორც გიგლა მეტუკე იგონებს, მაშინ იმდენად მძიმე იყო მისი მდგომარეობა, რომ მასთან მისული გალაკტიონი სულ სიკვდილზე და თვითმკვლელობაზე ლაპარაკობდა და შავი ხელნაწერიც „შემთხვევით დარჩა“, თუ დატოვა. ეს ლექსი პოეტმა სიცოცხლეში ვერ გამოაქვეყნა, იგი მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ იქნა ნაპოვნი, მაგრამ გალაკტიონს არასოდეს ლალატობდა, როგორც სიფრთხილე და გონიერება, ისე პოეტური გემოვნება, ალბათ ამიტომაც, პროზაულ „გამომშვიდობებას“ უფრო ზოგადი, მაგრამ პოეტური და მრავალმნიშვნელოვანი სათაური „უკანასკნელი მატარებელი“ ამჯობინა.

ტროპული სახეები სათქმელის შეფარვის ერთ-ერთი პოეტური ხერხია, რასაც გალაკტიონი ხშირად მიმართავს, უფრო სწორად, იგონებს მეტაფორას, რომელიც იმადროულად ალუზიაცაა: „ბარათი სისხლის ცრემლნატოვარი“, ან „ჩამავალ მზეთა უკანასკნელი და სისხლიანი გზა“, „სურათი წარსულ დღეთა მგლოვარი“, „ბეჭედი ძვირფას ალთა მთოვარი“, ეპითეტები: „ჩაის ვარდი“, თუ არქაული: „კინოვარი“ და „მგზოვარი“. ყველა ამ სიტყვაში, რომლებიც გარდა იმისა, რომ თავისთავად მშვენიერი პოეტური სახეებია, სრულიად კონკრეტული რეალიები და ტკივილი მოიაზრება და ისინი ოლია ოკუჯავას უკავშირდება.

კონკრეტულიდან ზოგადისაკენ როგორც გალაკტიონის შემოქმედების მკვლევარები მიუთითებენ, იგი საზოგადოდ, „მიძღვის“ პოეტი არ არის (ა.კ. ხინთიბიძე), მაგრამ მისთვის ნიშანდობლივია, რომ ლექსის წერას კონკრეტული პიროვნების შესახებ ინყვებს და, ბოლოს კი, გარკვეული მოსაზრებით, მამულის, ან ბელადის სახელით ამთავრებს (ვ.ჯავახაძე). ესეც სათქმელის შენიღბვის მისეული ხერხია. ამის კარგი ნიმუშია ზემოთნახსენები ლექსი **„ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“** (იგივე „ჩემი

სიმღერა“). გალაკტიონს ბევრი ვარიანტი მოუსინჯავს ლექსის ბოლო სტროფის შესაქმნელად. მიმართვა სხვადასხვანაირად იცვლება „მეც მეგობრებო“, „ჰოი, სამშობლოვ“, „ო, საქართველოვ, ო, სამშობლო“, აქვე ერთი საგულისხმო ფრაზაცაა: „ძვირფასო, ამის ვარ მსასოვარი, მიიღე ჩანგი სწორუპოვარი“. როგორც ჩანს, გალაკტიონს, რომელსაც სახსოვართა მთელი ფონდი დარჩა, სურდა, „ძვირფასისთვის“ მიეძღვნა თავისი „ჩანგი სწორუპოვარი“, მაგრამ სიფრთხილედ და გონიერება არც ამ ემოციური აღმავრენის დროს ტოვებს და ლექსის ბოლო სტროფში ჩანგსაც და გულსაც სამშობლოს სთავაზობს, რითაც კონკრეტულ ადრესატს აზოგადებს, ნაწარმოების იდეას უფრო დიად მიზანს უსახავს და სათქმელსაც ნიღბავს. ამგვარი შემთხვევა მის პოეზიაში ბევრზე ბევრია.

ეპიგრაფი შესანიშნავად გამოიყენა გალაკტიონმა ძირითადი სათქმელის მისანიშნებლად. გალაკტიონის ლექსების კრებული „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ 1944 წელს გამოიცა ბათუმში „სახელგამის“ მიერ, თუმცა, მისი დაწერის იდეა ჯერ კიდევ მაშინ გაჩნდა, როდესაც იგი ოლია ოკუჯავასთან ერთად უკანასკნელად ისვენებდა ზღვაზე აჭარაში, თავად ამ ციკლის შექმნას უკავშირებდა საბჭოთა კრიტიკის იმ გამონვევას, რომ რუსთაველის შემდეგ ქართულ მწერლობაში ზღვის თემას აღარავინ შეხებიაო. როგორც გალაკტიონს უთქვამს გიგლა მებუქესათვის: მან შექმნა ლექსების ციკლი ზღვაზე და ამით ამოავსო ის სიცარიელე, რომელიც ქართულ პოეზიაში მანამდე იყო.

წიგნი საყურადღებოა სხვა მხრივაც. მასში მოთავსებულ 75 ლექსს ნამძღვარებული აქვს ეპიგრაფად „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ტაეპი, ან რამდენიმე სტროფი, ეს სტროფები მიანიშნებენ ავტორის მთავარი სათქმელის შესახებ. ამრიგად, გალაკტიონმა კონიუნქტურული ლექსების შესანიშნავად მშვენიერ პოეტურ მეთოდს მიაგნო. ხშირ შემთხვევაში სათაურთან ერთად ლექსის ეპიგრაფი ინახავს მთავარ იდეას, რომელიც შესაძლოა, ნაწარმოების შუა ან ბოლო სტროფში გაამჟღავნოს ავტორმა, ან სულაც არ გათქვას და მხოლოდ ეპიგრაფს მიანდოს სათქმელი. მაგალითისთვის დავიმონებთ რამდენიმე ლექსს: „**მზის ამოსვლა ზღვაზე**“ ეპიგრაფად ნამძღვარებული აქვს შემდეგი ტაეპი („საცა გინახავს იგი მზე, წამომყე ზღვისა კიდესა“); ცნობილ ლექსს „**გემი დალანდი**“ ეპიგრაფად მოთას შემდეგი სტრიქონები ახლავს: („მზეო თქვენ შუქი მომფინეთ, ჰოი, რა ავი დარია“). ასევე ძალიან საყურადღებოა ეპიგრაფი ლექსისა „**იბობოქრე ცხოვრების ზღვავ**“ („საომარად ატეხილი, ვიყავ მათად გამტეხელად“). ტექსტის გაცნობა საცნაურს ხდის იმ მეტაფორას, რომელსაც შეიცავს ლექსი. სხვათა შორის, ორი ეპიგრაფი აქვს ნამძღვარებული ლექსს „**ჩვენი ძველი დროშები**“ („მაგრა თუ გესმის გუშაგნი რა ახლო-ახლო ყვივია?“ და „ცინეს ვზი ეზომ მალალსა, თვალნი ძლივს გარდასწვდებიან“) აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენ შეგნებულად არ გადავტვირთეთ ტექსტი ციტატებით, აკადემიური მკითხველისათვის მათი შინაარსი ისედაც ცნობილია. კრებულში უსათაურო ლექსებიც გვხვდება, თუმცა ეპიგრაფი სრულიად ხსნის ლექსის იდეას (ასმათ! ხილნი ზღვასა ჩაგვიცვივდეს) (ტაბიძე 1944: 121). სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ გალაკტიონმა ამ ლექსებს სხვა გამოცემებში ეპიგრაფები მოხსნა, ალბათ, მიზეზი ადვილი მისახვედრია: შიში ტოტალიტარული რეჟიმისა, თუ პირველ შემთხვევაში მან ისინი ზღვის ციკლის ლექსებად გამოაცხადა და ამისი წყალობით მთავარი იდეა გააპარა, შემდეგ მიხვდა, რომ სხვა გამოცემებში ეს ხერხი აღარ გამოდგებოდა, სათქმელი აშკარადებოდა, ამიტომ „სამხილის“ მოხსნა არჩია. საბოლოოდ, მიზანს მიაღწია! პოეტიკისა და კონიუნქტურის თვალსაზრისითაც, გალაკტიონის ამ ხერხმაც გაამართლა.

თარიღებით მანიპულირება საბჭოთა იდეოლოგიასთან გალაკტიონის ბრძოლის ერთ-ერთი ნაცადი და მეტად აპრობირებული მეთოდია. ცნობილია, პოეტი შეგნებულად ცვლიდა ლექსების თარიღებს საბჭოთა ცენზურისათვის თავგზის ასაბნევად. იგი იმდენად ხშირად მიმართავდა ამ ხერხს, რომ დღეისათვის ბევრი ლექსის ზუსტი თარიღი ჯერაც დასადგენია. „გალაკტიონისათვის უცხო როდი იყო თარიღებისადმი გულგრილი დამოკიდებულება. თუმცა ხმამაღლა აცხადებს „ნუ თიატოვებ ლექსს უთვისტიომოდ, დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ, მაგრამ პრაქტიკაში ამ თეზისის განუხრელი დამცველი არ ყოფილა“ (ტაბიძე 2000: 381). როგორც რევაზ თვარაძეც ბრძანებდა: „მან (გალაკტიონმა ჯ.გ.) თვითონვე არივდარია საკუთარ

ქმნილებათა თარიღები“) (თვარაძე 2001:157). გალაკტიონმა მთავარი სათქმელი ლექსისა „იბოხოქრე ცხოვრების ზღვა“ 1912 წლით შენიღბა. არადა, ლექსი აშკარად გვიანაა დაწერილი. ასევე მოიქცა ის ზემოთდასახელებული ლექსების შემთხვევაშიც. „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ 1934 წლით დაათარიღა, სინამდვილეში, ირკვევა, რომ იგი დაიწერა 1936-38 წლებში ოლიას გადასახლების შემდეგ, ხოლო ლექს „ასპინძას“ 1948 წელი მიაწერა. კვლევით დადგინდა, რომ ლექსის პირველი რედაქცია გაცვილებით ადრე უნდა შექნილიყო, კერძოდ, 1936 - 1943 წლებში:

„ისეთი დღეა, მგოსანთ მეფეს რომ ეკადრება ,
მაგრამ უეცრად ყოველივე მოიჩადრება
გამახსენდები და სიკვდილი (ზღვა, ომი) მომენატრება“.
(გაბოძე 2004: 280)

გალაკტიონის საარქივო გამოცემის გადათვალისწინებისას რამდენიმე საგულისხმო ჩანაწერი აღმოჩნდა, რაც კიდევ უფრო ამყარებს ამ ლექსების დათარიღების ჩვენებულ არგუმენტებს. სახელდობრ 1941 წლის ჩანაწერში გალაკტიონი უთითებს მნათობის ნომრებს 8-9 და ჩამოთვლის თავის ლექსებს (ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია ამ სიის მიზანდასახულება). მათში რიგით 32-ე ნომრადაა დასახელებული ლექსი „ელეგია განშორება-დამშვიდობების“. ეს ლექსი ჩვენ 1942-43 წლებით დავათარიღეთ, მანამდე იგი 1948 წლის ლექსებში იყო შეტანილი.

ვფიქრობ, სრულიად ცალკე კვლევა ესაჭიროება იმ ჩანახატებს, რომლებიც ასე უხვადაა გალაკტიონის არქივში და რომლებიც არანაკლებ განცდებს ინახავენ. არ ვიცი ეს რა არის? გრაფიკული პოეტიკა თუ პოეტური გრაფიკა, ფაქტია, იგი მომავალი გალაკტიონოლოგების ამოსახსნელია.

ამრიგად, საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში ხელოვნებამ მაინც მოძებნა გამოსავალი და გამოსახვის სხვადასხვა მეთოდს მიმართა. გალაკტიონი აქაც დიდოსტატია, მან ნაწარმოების სათაური, ეპიგრაფი, ტროპული მეტყველების ხერხები: მეტაფორა, ეპითეტი, თუ სხვა მხატვრული მეთოდი: კონტექსტის პოეტიკა, ოპოზიციური რიტორიკა და თარიღებით მანიპულირება საკუთარი შემოქმედებისა და „თავდაცვის პოეტიკად“ აქცია.

დამოწმებანი:

დოიაშვილი 2003: დოიაშვილი თ. ახალ სიტყვაში მყოფი სამყარო. გაზ. „ახალი ეპოქა“ („სალიტერატურო ჩანართი „ჩვენი მწერლობა“). 14-20 ნომბერი, № 45, თბ.: 2003.

თვარაძე 2001: თვარაძე რ. ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა. თბ.: „საქართველოს მაცნე“, 2001.

ლომიძე 2004: ლომიძე გ. ოპოზიციური რიტორიკა და გალაკტიონის კონიუნქტურული ლექსები. // „გალაკტიონოლოგია“, თბ.: 2004.

ტაბიძე 1944: ტაბიძე გ. ოქრო აჭარის ლაჯვარდში. ბათუმი: 1944.

ტაბიძე 2000: ტაბიძე ნ. გალაკტიონი. თბ.: 2000.

ნიფურია 2004: ნიფურია ბ. გალაკტიონის ტექსტი სწორ/მცდარ კონტექსტში. კრებ. „გალაკტიონოლოგია“, III, თბ.: 2004.

ხინთიბიძე 1992: ხინთიბიძე აკ. გალაკტიონი თუ ცისფერყანწელები. თბ.: „გულანი“, 1992.

გაბოძე 2003: გაბოძე ჯ. სახსოვართა ოქროს ფონდი. // „გალაკტიონოლოგია“, II, თბ.: 2003.

გაბოძე 2004: გაბოძე ჯ. „ასპინძა“ და „ელეგია განშორებისა“. // „გალაკტიონოლოგია“, III, თბ.: 2004.

LEVAN DALAKISHVILI

Georgia, Tbilisi

Ilia State University

Totalitarian System and the Art

In every totalitarian system most severe confrontation is found between the chief of the state and the artist, who practices the highest level freedom when forming a piece of art. The personal attitude of former to the later can be expressed by a notion of “existential envy” (Max Scheler). When the direct opposition between the totalitarian leader and the artist becomes dangerous for the life of the later he forms ironical literary discourse the proper understanding of which is reversal to its superficial interpretation.

Modern man confronts a very peculiar type of totalitarianism that of globalization which reveals itself as a total “monotonisation” of life in the world.

Keywords: Totalitarian System; Art; Globalization.

ლივან დალაკიშვილი

საქართველო, თბილისი

ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი

ტოტალიტარიზმი და ხელოვნება

ტოტალიტარიზმი ორი მხრით დაინახება: ტოტალიტარული არის ქვეყნის მართვის სისტემა, რომელიც ერთხელ ჩამოყალიბებული, ძლიერ ენინალმდებება ცვლილებებს, მოქმედებს დიდნილ ავტომატურად ინდივიდების, ფუნქციონერ-მოხელეთა ნება-სურვილისგან დამოუკიდებლად მანამდე, სანამ უკიდურესად გამწვავებული წინააღმდეგობანი მთლიანად არ ჩამოაქცევენ მას; ეს — ერთი მხარე. მეორეა სისტემის მცველი და გამმაგრებელი რეჟიმი, რომელსაც ტოტალიტარული სახელმწიფოს ბელადისა და მისი ხელქვეითების ერთობლივი გარჯილობა ახორციელებს. ტოტალიტარული რეჟიმის მაღალი რანგის მოხელეთა საცხოვრებო განწყობა „კიბერნეტულია“, — მთელი სახელმწიფოს, როგორც გემის, განსაზღვრული კურსით ტარებაზეა მიმართული; კურსი მთავარია, ეკიპაჟის წევრები თავისუფლად შეიძლება შეწირონ ნავიგაციის პროცესში გაჩენილ დიდ თუ მცირე პრობლემათა გადაჭრის საქმეს. ამგვარად: ტოტალიტარიზმი როგორც მოვლენა ფესვგადგმულია ინდივიდის სულში, სწვდება სოციალურ და აყალიბებს მოქმედ სისტემას, მართვის მანქანას, რომლის შეუფერხებელი მუშაობაც მმართველი ელიტის კომფორტული შინაგანი ყოფის პირობად იქცევა.

რა მიმართებაშია ტოტალიტარიზმთან ლიტერატურული დისკურსი და ხელოვნება საზოგადოდ? ხელოვნება ყოფნის საზრისის თემატიზაციას ახდენს და მასზე საგანგებოდ ორგანიზებული ხატოვანი ენით „საუბრობს“. ყოფნის საკითხის თემატიზაციით ლიტერატურა და ხელოვნება საზოგადოდ ფილოსოფიას ენათესავენ, ხოლო მისი სამეცყველო ხერხები, ენობრივი საშუალებანი განსხვავდებიან ფილოსოფიური განსჯის ვერბალური არსენალისგან: ერთი ხატოვანია, მეორე — უფრო ლოგიკურ-ცნებური.

ტოტალიტარული სისტემა ყოფნის ერთგვარი წესით მოწყობას გულისხმობს. რამდენადაც ხელოვნების (ლიტერატურული დიისკურსის) თემა ამა თუ იმ სახითა და ზომით არის ყოფნა, ტოტალიტარულ სახელმწიფოში მცხოვრები ხელოვანი აუცილებლად ინტერესდება ყოფნის იმ წესით, რომელიც ტოტალიტარულ საზოგადოებაში რეალიზებულია; ამიტომ გასაგებია, რომ ტოტალიტარული რეჟიმი გამუდმებით გრძნობს ხელოვანის მზერას; აყურადებს შეფასებითს მსჯელობებს, გამოთქმულს ლიტერატურულ დისკურსებში და... რეაგირებს.

რეაგირება კი შეუძლებელია არ იყოს მტრული, რადგან ხელოვანს — თავისუფალ, შემოქმედ ადამიანს — არ შეიძლება მოსწონდეს ტოტალიტარულ სისტემაში ჩასმულობა. უკვე იმით, რომ ხელოვნება ყოფნის საკითხს ფილოსოფიური სიღრმით დასვამს:

მაინც რა არის ჩვენი ყოფა — ნუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
(ბარათაშვილი 1975: 261).

იგი ძირს უთხრის ტოტალიტარულ სახელმწიფოს, სულიერ წონასწორობას აკარგვინებს მის ბელადს, რომელიც ყოფნის რაობის საკითხს გადანყვეტილად თვლის.

იმით, რომ ლიტერატურულ დისკურსში, ხელოვნების ქმნილებაში საზოგადოდ ყოფნის რაობის საკითხი რადიკალურად დაისმის, ხელოვანი აცხადებს: რალაც შესაძლოა მოუგვარებელიც იყოს ცხოვრებაში, რომლის მოწყობის უნაკლო გეგმის ფლობასაც ტოტალიტარული რეჟიმი იქადნის. ტოტალიტარიზმისა და ხელოვნების ურთიერთმიმართება ტოტალიტარული სახელმწიფოს ბელადისა და ხელოვანის ურთიერთობის ქრილში უფრო დეტალურადაც შეიძლება განვიხილოთ.

ტოტალიტარული სახელმწიფოს შენებას, როგორც წესი, ბელადით გაძლიერებული პოლიტიკური ძალა „მასალის შერჩევით“ იწყებს: სპობს თავისუფალ, მოაზროვნე, სხვაგვარად მოაზროვნე პიროვნებებს და პოპულაციის ნარჩენებით ქმნის მორჩილ სამართავ მატერიას, რომელსაც მისთვის ადვილად მოსაწონ, გასაგებ მიზანს უსახავს და მიუშვებს მიზნისკენ.

მიზანი, რომელსაც ტოტალიტარული იდეოლოგია სახავს, მიწიერია და სასურველი მორჩილ მასად ქცეული ხალხისთვის. ამიტომ მასის ადამიანისთვის თითქოს შესაწყნარებელი ჩანს ტოტალიტარული სისტემა: ის თავის მოქალაქეებს ჰპირდება და ხშირად აძლევს კიდევაც იმას, რაც მათ სურთ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტოტალიტარული სისტემა ამას აკეთებს თავისუფალ პიროვნებათა მოსპოვლის ხარჯზე. ის მიუხდობელია და ამიტომ პერიოდულ რეპრესიებს მიმართავს; მას არ უყვარს და არც დიდ რამედ უღირს არც ის ნარჩენი პოპულაცია, რომელიც სახელმწიფოს შენებას ხმარდება; სისტემას შეუძლია თამამად კვეცოს მისი რიცხოვნობა კრიტიკულ ზღვრამდე, მთავარია შენარჩუნებულ იქნას მოსახლეობის ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოს ფორმირებისთვის; დაბოლოს: ტოტალიტარული სისტემა „მორგებულია“ მის მმართველ იერარქიაში უმაღლეს თანამდებობებზე მყოფი პირების სადისტურ ბუნებას, იგი მხოლოდ მის გაუკუღმართებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება.

ტოტალიტარული ქვეყნის მცხოვრებთ სიცოცხლე მორჩილების ფასად აქვთ აღთქმული ძლიერთა იმა ქვეყნისათაგან და ხშირად სამყაროსადმი თავისი პრინციპული უნდობლობის გამო ძლიერნი ამ აღთქმასაც არღვევენ.

ტოტალიტარული სახელმწიფოს ამოცანა საკუთარი ფუნქციების, საზღვრებისა და მიზნის, მოკლედ, არსებული ვითარების, ანუ „სტატუს კვოს“ შენარჩუნებაა. ამის საპირისპიროდ ხელოვანი ავანსად არ გასცემს „ღირებულის“ ეპითეტს რეალობისადმი, რომელშიც ცხოვრობს. ის თითქოს არაფრიდან იწყებს, მისი საქმე არსებულის სინჯვა, კრიტიკა, გამორჩევა და ადამიანისთვის უფრო შესაფერი ყოფნის გზის გამოსახვაა.

ცნობილია, რომ ტოტალიტარული სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფალი იშვიათად თუ ყოფილა საშუალოზე მომაღლო ნიჭის ადამიანი. ასეთ უმაღლეს თანამდებობას, როგორც წესი, არაფრით — გარდა პატივმოყვარეობისა — გამორჩეული ინდივიდები აღწევენ. ესენი არიან ცხოვრებაში უნიჭობის გამო ხელმოცარული და ამიტომ გაბოროტებული ადამიანები, რომელთაც მთელი არსებით სურთ სახელი და ადიდება; „ამოყვინთვა“ უიმედოდ ჩაძირულის სულის მხუთავი მდგომარეობიდან, საყოველთაო ყურადღების ცენტრში ტრიალი, აღტაცებული შეძახილები, ლიქნა, მამებლობა, ხელების ლოკვა ბელადის უმაგალითო წარმატებით მონუსხული მასის ადამიანის მხრიდან და რაც მთავარია, — სხვებზე უსაზღვრო ძალაუფლების ქონე-

ბით ტკბობა. დაუოკებელი სწრაფვა ძალაუფლებისკენ მომავალ ბელადს რაღაც სისუსტის გამო უჩნდება, იგი ნაკლის შევსების მოტივითაა განპირობებული.

ის, რაც ნამდვილად აკლდა ყველა ცნობილ ტოტალიტარულ ბელადს, ფილოსოფოსის და ხელოვანის ნიჭია. ცნობილია, რომ ახალგაზრდა ჰიტლერმა მხატვრობაში სცადა ძალა და როცა ამ მხრივ ბერნი აღმოჩნდა, პოლიტიკური კარიერის შექმნა მოინადინა მთელი ძალ-ღონით. ზემოხსენებული ორი ნიჭის არქონა ტოტალიტარული ბელადის შემთხვევაში დიდ პატივმოყვარეობასთან თანაარსებობს. ახალგაზრდობაში სტალინი წერდა ლექსებს, მაგრამ პოეტური სინჯით ეს ლექსები ერთობ მდარე იყო იმისათვის, რომ ავტორის პატივმოყვარეობა დეკმაყოფილებინა და სტალინი უკანმოუხედავად გადაეშვა პოლიტიკური ავანტიურიზმის მორევეში. როგორ შეენწყობა ხასიათით ხელოვნებასა და ფილოსოფიაში ასე ხელმოკლე პატივმოყვარე მოცარტის ნიჭის ადამიანს ან კაცს, რომელიც იტყვის: უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე და ამით თითქოს მარადტანჯულობის დიაგნოზს დაუსვამს მომავალ ბელადს? ვერაფრით.

თუ კაცი მხოლოდ პატივმოყვარეობით „აღემატება“ ნამდვილ ხელოვანს, იგი მის მიმართ „ექსისტენციალურ შურს“ უნდა გრძნობდეს. მაქს შელერის მტკიცებით, შურის ეს სახეობა სხვა პიროვნების ინდივიდუალურ არსსა და მის ყველანაირ უმიზნებს. ეს შური, თითქოს, განუწყვეტლივ ჩურჩულებს: „მე შემიძლია ყველაფერი გაპატიო, ოღონდ არა ის, რომ შენ არსებობ და ხარ ის, რაც ხარ; ოღონდ არა ის, რომ მე არ ვარ ის, რაც ხარ შენ; რომ მე არ ვარ შენ! ასეთი შური თითქოს იმთავითვე ართმევს სხვა პიროვნებას უფლებას არსებობისა, რაც (მოშურნის მხრიდან — ლ.დ.) „გამონვევად“, „წნეხად“ საკუთარი პიროვნულობის არარაობამდე დამცრობად აღიქმება“ (შელერი 1999: 25).

ტოტალიტარული ხასიათის მმართველისაგან განსხვავებით, ხელოვანი, პოეტი გრძნობს, რომ ყველა სხვა ადამიანის დარად, მიმავალია სამუდამო მხარეში, სადაც მხოლოდ სიმნუხარეა; სადაც ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში; სადაც იდუმალება და შიშისმგვრელი გამოუცნობობაც კი შვება იქნებოდა, თუკი მას შევეყრებოდით, რადგან ისევ ისა სჯობს სრულ არარაობას. სჯობს, რადგან ყოფნა თუნდ გამოუცნობსა და შიშისმგვრელში მაინც ყოფნაა; ხოლო მყოფს გამონათების იმედი რჩება.

პოეტი მარადიულ პრობლემებზე ფიქრობს; ბელადი — ხომ არაფერი უქმნის საფრთხეს მის აწინდელ მდგომარეობას ქვეყანაში, სადაც მან ყველაფერი უნდა აკონტროლოს და მართოს, სადაც ის ბოლომდე ვერავის ენდობა და რეგულარულად უნდა ხოცოს ახალ-ახალი ეჭვმიტანილნი, სადაც მორიგი ამბოხის პრევენციის მიზნით მან უნდა თესოს უსაზღვრო შიში და ძრწოლა. ამიტომ მიმართავს ბელადი ასეთ ხერხს: დაამედებს ადამიანს, ეტყვის, რომ მას არავითარი საფრთხე არ ემუქრება და მეორე თუ მესამე დღეს... აპატიმრებს (ფრომი 1994: 248). ამგვარი ქმედებით ორ მიზანს აღწევს ბელადი: თესავს პროფილაქტიკურ ძრწოლას და ტკბება თავისი უსაზღვრო ძალაუფლებით სხვის სიცოცხლეზე. ბელადი, რა თქმა უნდა, „ცუდი კაცია“, რომელიც ბოროტად იყენებს უსაზღვრო ძალაუფლებას, მაგრამ მეორეს მხრივ, იგი ტყვევს ტოტალიტარული სისტემისა, რომლის შიგნითაც უმადლეს ხელისუფალს, — თუ მას სისტემისა და თავის გადარჩენა სურს — არ შეუძლია არ იყოს უკიდურესად ფრთხილი, ავადმყოფურად ეჭვიანი; არ შეუძლია ხელი აიღოს პერიოდულ რეპრესიებზე, კადრების გამოხშირვაზე. ტოტალიტარიზმი შინაგანადაა ინფიცირებული მთელი საზოგადოების მხრნელი ვირუსით.

ყველაფერ ამას შესანიშნავად გრძნობს ხელოვანი. გრძნობს, რომ აუცილებელია გზა-კვალი აუბნოს სისტემის ფზიზელ მცველებს და ამიტომ თხზავს ორაზროვან, ხშირად კი „უკულმა გასაგებ“ ნაწარმოებებს. ხელოვანი დარწმუნებულია თავის ძალასა და ოსტატობაში, მან იცის, რომ გამგები გაუგებს; „უკულმა გასაგებიც“ იპოვის ადრესატს.

ტოტალიტარულ სახელმწიფოში ყოფნას სასოწარკვეთამდე მიჰყავს პოეტი: — სძინავს ქვეყანას, არასა იქმს გაშლილ სუფრასთან ნებივრობის გარდა — ასეთ დროს მისი ფიქრის გამოხატვა იქცევა ერთდროულად მტკიცეულ ამოძახილად და მხილვად:

.....
ნუთუ არსით არის შველა
უჩვევი თუ ჩვეული?
ვადლეგრძელოთ ყველა, ყველა,
ამ სუფრაზე წვეული.
მწუხარებავ, როგორც გველი,
ხშირად გულში გამიარ,
ეს მძინარე მთა და ველი
იყოს მრავალჭამიერ!
(ტაბიძე 1973: 115).

რა მოხდა მაინც?
ომი მოედო დედამიწის ერთ მეექვსედს და ჩაითრია პოეტის სამშობლო.

ორად გაიპო ნითელი კლდე, ავარდა რაში,
ნითელი რაში, ნითელი გზით, ნითელ უნაგრით,
ნითელი კაცი მოახტა მერანს, გაიარა ნითელი შარა...
აჰა, გამოჩნდა ზღვა ნითელი, როგორც მარჯანი —
შუა გააპო ნითელი ზღვა,
ჩაჰყო მის გულში სისხლიანი ხის ყავარჯენი,
ზღვიდან სიცილით ამოიღო ნითელი გველი
და ნითელ გზაზე გადაადგო უზარმაზარი.
ციდან წვეთწვეთად მოდიოდა ცეცხლები მწველი
და მძლავრდებოდა დედამიწის ომი საზარი!
(ტაბიძე 1973: 277)

იბრძოლებს პატარა ქვეყანა, მაგრამ არ შესწევს თავდახსნის ძალა; იძულებულ-
ღია თავს მოხვეული გზებით იაროს.

ცხედართა გროვა თვალწინ გვიწყვია
(ეხლა ომია),
ციფრი არ გვშველის, მათი რიცხვია
ასტრონომია.
(ტაბიძე 1973: 557)

მომხვდური ძალა ისე უსაზნოდ დიდია, რომ მასთან იარაღით ბრძოლა მარტო-
კა, მცირე ქვეყნისთვის თვითმკვლელობის ტოლფასია. ახლა არა სჯობს და გაცლა
სჯობს, თვით ხმაგაკმენდის მოთმენაც... ყოველი ღონით გვიპირებენ მოსპობას,
არავითარი დანდობა! რა სიმაღლე, რისი კეთილშობილება?! ყველა ხერხი — ტყუ-
ილიცა და მართალიც — დაშვებულია. მომხვდურს „ექსისტენციალური შური“
ამოძრავებს, ის არსებობას ვერ გვპატიობს.

...
დუმილი გახდა ვინრო გალია,
დაუძინარი და უჩინარი,
მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია,
მარად და მარად ტყდება ჩინარი.
როგორც ჩინარი — ისე პოეტი,
მისთვის სიმაღლე არის წამება,
არა ღიმილით და ალოეთი
დაფარვს მტერთა ცილისწამება.
(ტაბიძე 1973: 205).

და მაინც, ყოველგვარი საფრთხის არადჩაგდებით უნდა თქვას პოეტმა, სხვაგ-
ვარად არ გაკეთდება მისი საქმე, არ შეიქმნება ხელოვნების ქმნილება. პოეტისთვის
დუმილის გალიაში ყოფნა არყოფნის, სიკვდილის ბადალია. ის ძალას იკრებს და
როცა რალაც გრძნეულებით იმარჯვებს, ქმნის უნაკლო ნიგნს, — ხარობს პოეტი:

რალაც გრძნეულად და უცაბედად —
ამ წიგნში არის და მიხარია
კაცი, რომელმაც ასე გაბედა
და ის, რაზედაც ჩუმად არიან.

ამ წიგნს არა აქვს არც ერთი ნაკლი,
ერთია ქვეყნად მისი წვალება.
მხოლოდ შენ იცი, ძმაო ირაკლი,
უცნობი ქუჩის იდუმალება.
(ტაბიძე 1973: 299)

ხელოვანის ცხოვრება, რამდენადაც ის შემოქმედებითია, ნამდვილი ადამიანური ცხოვრებაა. ხელოვანი მის წესს ვერ გადაუხვევს ვერავითარი სიკვდილის შიშით. ამიტომ ის მოთმინებით წურთის თავს მომავალი ბრძოლებისთვის. მალე ის დიდი მეომარია, რომლის ძალაც ტრივიალურსა და მარტივზე უსუსტესად მიბმულობაა. პოეტი არეა ჩვეულებრივი ყოფის მკვიდრი, ის მოგზაურია ამქვეყნად, იდეალური სამყაროს შემოქმედი. ამიტომ არ უფრთხის ბენვის ხიდზე სიარულს, არ შედრკება თუ

დაარტყამს ქარი და მოგზაური
ბანარზე წავა, როგორც ობობა,
დაიძვრის ქვეყნის აურზაური
და აღელვებთ ავადმყოფობა.
(ტაბიძე 1973: 232)

როგორც ზემოთ ვთქვი, უმძიმესი შემთხვევებისთვის, — როცა ჯიქურ მიხლა თავის წაგებას და გენიოსის საკეთებელი საქმის წახდენას ნიშნავს — პოეტს უკუღმა გასაგები ლექსების წერის ხერხი და ფანდი აქვს გადანახული. აი, ასეთი ლექსები:

გიორგი! ეხლა
მზრუნველს და მომვლელს
საქართველოში
ვინმე გამოლევს?
მზად იყავ მისცე
ანგარიში ხალხს
და არა ყოველ
გამვლელ-გამომვლელს!
(ტაბიძე 1973: 564)

ამის დამწერს, თითქოს, ღრმად სჯერა სოციალისტური აღმშენებლობისა და ბრძენი საბჭოთა ხალხის წინამძღოლური თვისებებისა, მაგრამ — ეს ზერელე ნაკითხვით. ნამდვილად კი ლექსი მწარე ირონიული ღიმილია იმ პერმანენტულ კოლექტივისტურ ზეანეულ განწყობილებაზე, რომელიც საბჭოთა მოქალაქეებს მოეთხოვებოდათ, „ზემოდან“ ჩაენერგებოდათ.

აი, კიდევ ერთი მაგალითი:

გემი ვით არ იცნობს
ზღვას ვრცელს და განიერს,
იგიც ხომ მეზღვაურს
სამშობლოდ ეკუთვნის?
— მოხვევე! გახედე
ჩვენს იმერ-ამიერს;
ეყუდენის თავის თავს?
— ცხადია, ეყუდენის! (ტაბიძე 1973: 559)

აქ, თითქოს, *მეზავრის წერილების* სულისჩამდგმელი იდეის, — *საქართველოს განთავისუფლების* — საბჭოეთში რეალიზებული საკითხზე დადებითი პასუხია გაცემული; მაგრამ გამგებებისთვის ცხადია, რომ ამ ლექსის დამწერი ნამდვილად არ თვლიდა საბჭოთა საქართველოს თავისუფალ ქვეყნად: წერია „ნალმა“ და ვიგებთ „უკუღმა“.

სრულიად აპოლიტიკური ლექსითაც, რომელიც ერთ რომელიმე ადამიანურ განცდას გამოხატავს, პოეტი ეურჩება და წაახდენს ყოვლის მართვის ტოტალიტარისტულ მოთხოვნას. ლირიკა (ვთქვათ, ანა კალანდაძის: „ლამის სახლში შემოვიდეს თუთა“) მეტად ძლიერი საბუთია იმისა, რომ არსებობს შინაგანი ყოფნის ისეთი სფეროები, რომლებიც ტოტალიტარული ჩარევა-მმართველობის ყოველგვარი ნებისათვის მიუწვდომელია; ადამიანს ყოველთვის დარჩება თუნდ ერთი კუთხე შინაგანი და უღირებულესი ცხოვრებისათვის, რომელსაც უცხო ხელი ვერ შეეხება:

ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ,
გულო, რისად მეხურები?
სხივმიმკრთალი, სხივმიმკვდარი მკვდართა მზე ვარ,
ჩემს სხივებში თამაშობენ ბელურები...
(კალანდაძე 1985: 61)

თავისუფალი, შემოქმედი ადამიანის საქმე, ხელოვნება თავისი არსებობით ცხადყოფს ტოტალიტარიზმის ყველაზე სანუკვარი მიზნის — ყოვლის შეუზღუდავი მართვის განუხორციელებლობას.

ერთითაც „სჯობნიან“ ხელოვანი და ხელოვნება ბელადს მისი ანეობილი ტოტალიტარული სისტემითა და ერთგულ ფუნქციონერთა დარაზმული კადრებით: რამდენადაც ტოტალიტარიზმი თავისუფლების პრინციპული მტერია, მისი მიმართება ხელოვნებასთან დახასიათდება სიტყვებით: *კონტროლი, დაქვემდებარების ცდა; ტოტალიტარული სისტემის არც ერთი რანგის მოხელეს არ აინტერესებს ხელოვნების თავისთავადი ღირებულება და არ შეუძლია მისი ქმნილების ჯეროვნად შეფასება. ხელოვნების ქმნილება კი ამა თუ იმ ფორმით საუბრობს ყოფნაზე საერთოდ და ტოტალიტარული სისტემის შიგნით ყოფნაზე კერძოდ. ურთიერთობა ტოტალიტარიზმსა და ხელოვნებას შორის — როცა საქმე მოვლენის არსის სწორ შეფასებას ეხება — ასეთია: ტოტალიტარიზმი ბრალდებული გამოდის, ხელოვნება — მისი არსის ნათლად მხედველი მსაჯული.*

აზროვნების ფილოსოფიურ სიღრმეებს ნაზიარები ხელოვნება ქმნის ეროვნული და საკაცობრიო კულტურისთვის ღირებულ ნაწარმოებს; ტექსტს, დისკურსს, რომლის მიზანიცაა სამყაროში — ყოფნის ფენომენის წარმოჩენა-ანალიზი და ადამიანის შესაფერი ღირსებანი ყოფნის წესის გამოსახვა. ამ *თავისი კურსით მსვლელობისას* ხელოვნება, სადაც საჭიროა, თანწარვლით მოიხსენიებს, შეაფასებს და განაჩენს გამოუტანს ტოტალიტარიზმს, როგორც თავისუფლებისა და ადამიანის ღირსებანი ყოფნისადმი მტრულ მოვლენას.

გონითი ყოფის გამომსახველი ტექსტის თხზვა, — ისევე, როგორც რეალური ისტორიის შემფასებელი სიტყვის თქმა — ხელოვანის საქმეა. ტოტალიტარულ სისტემას მისი ბელადითურთ კი ხელოვნების მკაცრი და სამართლიანი განაჩენი ხვდება წილად. არაფერია დადებითი ქვეყნის დამმონებელ ტოტალიტარულ სისტემაში და მის შემქმნელში; წარუვალი ღირებულებისაა დიდი, ნამდვილი ხელოვნება. ერთს გაქრობა უნერია, მეორეს — მარადიული ყურადღება, დაფასება და სიყვარული ყველაზე გონიერი, თავისუფალი და გამგები ადამიანების მხრიდან. ამ ორგვარი ხვედრის ურთიერთსაპირისპირობა ხალხს ლექსად ასე გამოუთქვამს:

წყალნი წავლენ და წამოვლენ,
ქვიშანი დარჩებიანო.

დამონებიანი:

ბარათაშვილი 1975: ბარათაშვილი ნ. ქართული პოეზია თხუთმეტ ტომად. ტ. VI, თბ.: „ნაკადული“, 1975.

შელერი 1999: Макс Шелер. Ресентимент в структуре моралей. Санкт-Петербург: «Наука». «Университетская книга». 1999.

ფრომი 1994: Эрих Фромм. Анатомия человеческой деструктивности. «Республика». М.: 1994.

ტაბიძე 1973: ტაბიძე გ. რჩეული. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1973.

კალანდაძე 1985: კალანდაძე ა. ლექსები. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1985.

NINO KVIRIKADZE

Georgia, Kutaisi

Akaki Tsereteli State University

Thomas Mann and Genesis of German Totalitarianism (Essay 'Germany and Germans')

The essay 'Germany and Germans' has been analyzed many times. Today some researchers are interested in the Germans' approach toward their national idea. This method is no longer political and polycentrism is advanced at present. The writer himself predicted this long before he wrote the essay.

T. Mann wrote about the influence of F. Nietzsche on German way of thought. To understand the essay we use a complex method of research and describe the problem of totalitarianism in historical, cultural and psychological ways. This helps us to understand the writer's creative behavior and his way of thought.

Keywords: National Idea; Totalitarianism; Polycentrism.

Н.Г. КВИРИКАДЗЕ

Грузия, Кутаиси

Государственный университет им. Акакия Церетели

Томас Манн о генезисе феномена немецкого тоталитаризма (Эссе «Германия и Немцы»)

Томас Манн, один из классиков прозы XX века, сегодня не только сохраняет академический престиж, но и продолжает привлекать к себе заинтересованное внимание исследователей – да и просто читателей. Манн был участником битвы идей, развернувшейся на духовных аренах Европы и мира. Эволюция его взглядов на зловеще захватывающую реальность первой половины XX века запечатлена в публицистике и эссеистике, сохраняющих совершенно самостоятельное значение и на фоне художественных свершений. Более того, его рефлексия на идеологические и «политологические» темы актуальна и сегодня: ведь западная цивилизация, при всех головокружительных переменах, случившихся с ней уже после смерти писателя, во многом пребывает в том же фазисе саморазвития, в который она вступила ко времени создания «Будденброков».

Эволюция Томаса Манна примечательна сама по себе. После своего «диалектического гусарства» времен Первой мировой войны и «Размышлений аполитичного» – книги, в которой он отстаивал консервативно-национальные германские ценности в пику «якобинско-пуританским добродетелям» и пацифизму, писатель быстро превратился в истового поборника демократии, гуманности, мира.

Значительная часть публицистики Т. Манна, как, впрочем, и его художественной прозы, написана в эмиграции. Вообще он – в немалой степени эмигрантский писатель, и это обстоятельство не следует недооценивать.

О приближающейся опасности нового варварства Томас Манн задумывался еще с начала 1920-х годов, со времени своего несколько внезапного обращения к демократии. В работах «О немецкой республике», «Дух и сущность немецкой республики», «Гете и Толстой» писатель с тревогой говорит о явном упадке просветительско-гуманистических концепций XIX века, о том, что на смену ценностям свободы, морали, автономии и ответственности личности приходят идеи общности, дисциплины, подчинения – террора.

Покинув Германию, Томас Манн напряженно следил за тем, что происходило в его стране. Он приходил к выводу, что поджог рейхстага с равным успехом могли совершить как нацисты, так и коммунисты. Впоследствии Манн не раз возвращался к причинам успеха гитлеризма – в частности, в докладе «Германия и немцы» (1945), где писатель

დროულად რეზო ჭეიშვილი გამოჩნეულად ერთგული აღმოჩნდა ლიტერატურული ტრადიციის, მისი პროზა ფაქტობრივად არასოდეს კარგავს ნაციონალურ კოლორიტს. თვით ისეთ მოთხრობებშიც კი, სადაც საოცრად ჭარბია გროტესკი, პარაბოლა, ბატონობს აბსურდის პრინციპები, რეზო ჭეიშვილი იოტისოდენადაც არ წყდება სინამდვილეს, მინიერ ფესვებს, არ ხდება ესთეტიკური თვალსაზრისით თვითმიზნური. რომელი ერთი გავიხსენოთ: „ჭა“, „მინების განაწილება“, „სალადაძე“ და სხვა და სხვა. რ. ჭეიშვილს არატრადიციული მანერა რომელიმე ინსტანციისათვის თვალის ასახვევად არ სჭირდება, იგი მაქსიმალისტურად ესწრაფვის მხატვრულ ეფექტს და ყველაზე უკეთ ამას სწორედ არაორდინალური ფორმისეული ძიებით აღწევს. უნდა შევნიშნოთ, რომ მწერალი ყველა პასაჟის სულიერი თანამონაწილეა. არ ერიდება, კრიტიკული მახვილი მასაც, როგორც ამ სინამდვილის წევრს, გადმონვდეს. ამგვარი ჯანსაღი დამოკიდებულება შემოქმედებითი პროცესისადმი არის გარანტია იმ ზემოქმედებისა, რომელსაც ხსენებული ნაწარმოებები აღწევს. „მინების განაწილება“ ერთ-ერთი უმძაფრესი კრიტიკაა საბჭოთა პერიოდის ქართული ინტელიგენციის და საერთოდ, შეიძლება ითქვას, ფართო საზოგადოებრიობის მანკიერი მიდრეკილებებისა. რაოდენ კარიკატურულია, რომ ეს ერთდროულად სააგარაკო და სასაფლაო მინების დანაწილებაა, დაფნის გვირგვინებისა და ემპირისტული კეთილდღეობის ერთდროული ძიება, „თან ყველაფერი ფაქტიურად“, „წინასწარ“ არის გადანყვეტილი და ამ კომედის მონაწილენიც ერის ღირსების „გუშაგნი“, ინტელიგენტები, მწერლები არიან. გონებაამახვილობის კასკადი, ენამოსწრებულობის ფოიერვერკი ანციფრებს მკითხველს ამ ნაწარმოებში. ეს იმ ტიპის ხელოვნებაა, როდესაც ფაქტობრივი მომენტი შეგნებულად დეფორმირდება სუბსტანციურის უკეთ წარმოსაჩენად. გასაგებია, რომ პირდაპირი ფორმით ამგვარი ისტორია შეიძლება არც მომხდარა, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ მომხდარიყო კიდეც, რადგან იგი სიტუაციის, ვითარების, ამ ტრაგიკომიკური ყოფის შინაგანი ლოგიკიდან გამომდინარეობს. იგი ტიპურია, კანონზომიერია, რადგან ამ ხალხის არსებობის შინაარსი ისევე აბსურდული და უცხოა, როგორც ნაწარმოების მშვენივრად მორგებული ფორმა. არანაკლებ მეტყველებს საზოგადოების ყოფიერებაზე (რალა თქმა უნდა ცნობიერებაზეც) მცირე ფორმის მოთხრობა „ჭა“. განა გონიერებასთან რაიმე საერთო შეიძლება, ჰქონდეს იმას, რაც „ჭაში“ ხდება, როდესაც ორიოდვე გასაცოდავებულ მუშას მათზე მეტი უფროსი ადგას თავს და გაჰყავთ ჭა, რომელსაც გასასვლელი არსად ექნება? ბუნებრივია, ეს არის მხატვრული მოდელირება სინამდვილისა, სადაც ავტორი ცხოვრობს, და არც ისაა შემთხვევითი, რომ ხსენებული საქმიანობით მრავალი გამველ-გამომველი ინტერესდება. „მშენებლებს“ მეჯურღმულეებად ნათლავს მწერალი. ამ საზოგადოების მშენებლები არ შეიძლება, ჯურღმულის მკვიდრნი არ იყვნენ, სიბნელის მოციქულებთან წილნაყარა მათი მმართველობის პრაქტიკაც და იდეოლოგიაც, დიახ, ამ უაზრო ყოფას არც ახსნა აქვს, არც გამართლება. რეზო ჭეიშვილი გულუხვად მიმართავს უტრირებას, „ნატურალისტურად“ აჩვენებს „მეჯურღმულეთა“ მთელ ლაბორატორიას. ამ მეცადინეობით მოთხრობა გამოკვეთილად უჩვეულო სახეს ღებულობს. ეს არის სატირული ხასიათის დაკინვა არა პერსონაჟების მიმართ, რომელთაც მთხრობელი თითქოს უთანაგრძნობს კიდეც, არამედ ამ სიცილში ტოტალიტარული სოციალური სინამდვილისადმი გამოტანილი უმკაცრესი განაჩენი იკითხება.

დიდი შინაგანი ტკივილი ახლავს „ქართულ ნოველას“, მაგრამ აქ ირონია იმდენად ყოვლისმომცველია, რომ ზოგჯერ ხერხდება ავტორისეული ნუხილი ოსტატურად დაიფაროს, წინ წამოიწევს თითქოსდა ყოფითი, უტრირებული, თუმცა მაინც (სამწუხაროდ ასეა) ტიპური პლანი, დამაფიქრებელი სურათი დაკნინებული ეროვნული არსებობისა. მიუხედავად იმისა, რომ „დილოგები წითელ ფერში“ მიმდინარეობს და სავსებით ცხადია საითაც უქცევს ავტორი. წარმოდგენილი სურათი პაროდი და პროფანაციაა დარბაისლური დროსტარებისა, ადამიანების ღირსეული დამოკიდებულებისა თავისთავთან და ასევე ერთიმეორესთან. ყალბი, გაუმართლებელი ეტიკეტი, პოზა, ამპარტავობა — აი, რა მჟღავნდება „დილოგებში წითელ ფერში“, ახალგაზრდობაც ჭარბავთა „ტრადიციებზე“ იზრდება, უყურებს, თუ როგორ შეიძლება ნიფხავ-პერანგის ამარა ნათლობაში ცეკვა, მუცელმერთობა, პირფერობა და სულაც არ ადარდებს, რომ ამ ყირაზე სიარულისას, მეტად ნიშანდობლივად,

„ცეცხლისფერი მზე კიდევ უფრო ამოდის, უფრო და უფრო იზრდება და ნითლდება“..... „არადა ისევ დგას დღის წესრიგში ბედი ქართლისა და ქართლის ჭირი“.

რეზო ჭეიშვილს აქვს ერთი ასეთი მოთხრობა — „მოგონილი ამბავი“, რატომ გახდა იგი მოგონილი და არ დარჩა „ნამდვილ ამბავად“ (როგორც ადრეულ ვარიანტებში იყო), ძნელი სათქმელია, თუმცა მთავარი ისაა, რომ ამ შემთხვევაშიც მწერალი მიზანსწრაფულად ეძიებს ახალ ფორმისეულ საშუალებებს, რათა ორიგინალურად მოახერხოს ცხოვრებისეულად, შესაძლოა, მართლაც შემდგარი ისტორიის წარმორჩენა: ახალგაზრდა მორიდებულ ლიტერატორს ერთ მშვენიერ დღეს, ცუდ ფეხზე გაეღვიძა და იმნამსვე გაიფიქრა, ცხოვრება გლეჯააო! ამ მიგნებით აღტაცებული ამხანაგთან გაიქცა, სადარბაზოდან გამავალს სახლმმართველი შეხვდა და ყოველგვარი გასაუბრების გარეშე (!) მიახალა, დაანებეთ მაგაზე ფიქრს თავი, თავი სად გგონიათო. მაგრამ რა? გაიგონა? ძალით გააღვიძა ნაბახუსევი მეგობარი, რომელიც ცოცხალს არც ჰგავდა. „თუ სუნთქავს ე.ი. არსებობს. თუ არ სუნთქავს — არ არსებობს“ — ასე ფიქრობდა ლიტერატორი ამხანაგზე, სანამ იგი გაინძრეოდა და გონს მოეგებოდა (ამკარაა პაროდირება საყოველთაოდ ცნობილი ფილოსოფიური ფრაზისა. ტოტალიტარულ საზოგადოებაში კი აზროვნება არც აუცილებელია და არც სასურველი). საღამოს უკვე მთელ ქალაქს ცოდნია ლიტერატორის „ნააზრევი“, თურმე ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ და იახდნენ: ცხოვრება გლეჯააო. ზოგიც ამბობდა: ამის მომფიქრებელი კაცი ნამდვილად მოსაკლავიაო. ამავე დროს ყველა ერთმანეთს აფრთხილებს, აშინებს. ლიტერატორი კი თურმე ისე დამთვრალა, ქუჩაში ხულიგნობდა, „რის გამოც“ იმავე საღამოს დაიჭირეს და გაასამართლეს. მსაჯულს უთქვამს, ასეთ ახალგაზრდას, სამწუხაროა, ხულიგნობისათვის რომ ვასამართლებთო (ვითომც მართლა იმიტომ ხდებოდა ყველაფერი), რაზეც მეორეს მიუგია: ეგ რა არის, ერთი ნაცნობი შემხვდა, მიდიოდა თავისთვის და მილაპარაკობდა, ე.ი. ფიქრობდა და ლაპარაკობდა. არ არის დასაჭერი ახლა ის კაციო?! ყველაფერი ცხადზე უცხადესია, მაგრამ თურმე მაინც „მოგონილია“ ეს ამბავი, ნამდვილი „არვის გვეგონოს“ — ალბათ ამას თუ ემსახურებოდა ნოველის „სახელცვლილება“. ახალგაზრდა ლიტერატორს კი მიუსაჯეს თორმეტი დღე. არადა „ამ თორმეტ დღეში რამდენი ზამთარი და გაზაფხული ჩაივლიდა, რამდენჯერ დავარგდებოდა და აყვავილდებოდა ალუჩა“. რეზო ჭეიშვილი ამ „ბუნდოვან“ ნაწარმოებში მთელ დანამაშულენოვ სისტემას ახასიათებს, იგი ეპოქისეულ ხატს იძლევა და საოცრად მიგნებული ხერხები აქვს გამოყენებული. ეს არაა შეფარვით თქმის მცდელობა, აქ არაფერია შეფარული, საქმე მხოლოდ ესთეტიკურ, მხატვრულ პრინციპებს ეხება და ამგვარი მიდგომა, უდავოდ, სათანადო ყურადღებას იმსახურებს. იმ საზოგადოებაში, სადაც ეს მოვლენები თამაშდება, მოაზროვნე და შემოქმედი ადამიანი ყველაზე დისკრიმინირებული და გასაცოდავებული (თუ კი შეიძლება ასე ეწოდოს ინტელექტუალს) ელემენტია. ასეთი ადამიანები დამოკიდებულნი არიან „სალადაძებსა“ და „მისფერ“ ნაძირალებზე, მოეწონებათ თუ არა ამ უკანასკნელთ მათი ფილმები, რომანები, პიესები. დამოკიდებულნი არიან ცენზურაზე, ათასგვარ „მსოფლმხედველობრივ“ ფაქტორზე. არადა „სალადაძებებს“ ნაწარმოებები არ აინტერესებთ, უფრო მეტიც, ისინი შემოქმედებით ფაქტზე უფრო ყურადღებას აქცევენ იმას, თუ, ვთქვათ, წვერი რატომ არა აქვთ გაპარსული ოპერატორებს მაშინ, როდესაც ალპურ ზონაში, სადაც ისინი იღებდნენ, ჩვენ თურმე ცხვარს ვკრეჭთ (მართლაც, „ზუსტი“ ანალოგიაა, ვერაფერს იტყვი!).

მოთხრობაში „წარსულის სურათები“ პრობლემა თითქოს შედარებით შეფარვით დგას. „მოკლემეტრაჟიანი კინომოთხრობა გამოუცდელი, გულუბრყვილო რეჟისორისათვის“ — ასეთი ნაწამძღვარი აქვს ნაწარმოებს. მხიარული ტონი, რომელიც მთელ ნაწარმოებში ჭარბობს, არ გამორიცხავს ნაკითხვას, რომ მხოლოდ გულუბრყვილო კაცი დაიჯერებს, თითქოს ამგვარ მოთხრობას მართლა ვინმე გადააღებინებდეს ტოტალიტურ სახელმწიფოში. ამასობაში მოძრავი ტელესადგური ჩამოსულა ჩაის პლანტაციებში. აქ კრეფის კომპლექსური მეთოდი აქვთ „დამუშავებული“ და იმას იღებენ. შედეგიც „სახეზეა“ — შვიდი ტონის ნაცვლად შეიდას ტონას (!!!) კრეფენ. ამ „საოცრებას“ უზარმაზარი ტელეჯგუფი აფიქსირებს, რომელიც სად მოათავსონ და სწრაფად როგორ გაისტუმრონ, არ იციან სოფლებებში. მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ ჩაიში მუშაობის დროს ჩამოდიან არტისტები, და მკრეფავები

სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ „უყურებენ ცეკვას, წარმოდგენას“ (!!!), „იქვე მონინა-ვე (!) ბრიგადის წევრებს უღებენ სისხლს“ (სრულიად აშკარაა გადატანითი პლანი). „ერთს ევალება სიმღერა, მეორეს შრომა, როგორც ხდება ცხოვრებაში...“. აი, ახლაც ხუთასკაციანი გუნდი მთელი ხმით გასძახის „ბონდოუკამ თქვაო...“. ასეა საქმე ამ მიწიერ „სამოთხეში“, პირდაპირ ენაზე გადაება სიტყვები ცნობილი რუსულენოვანი საბჭოთა სიმღერიდან: „მე სხვა ქვეყანა არ ვიცი, სადაც ასე ლაღად სუნთქავს ადამიანი“. რა თქმა უნდა, უნდა რეზო ჭეიშვილი უტყვიან უბრწყინვალესი ოსტატია, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ასე თუ ისე გადაჭარბებაა, მაგრამ მწერლის ხალას ნიჭს დაუჭერია მოვლენათა ის რიგი, რომელიც სულ ადვილია, აქამდეც მივიდეს. ყველა სიკეთესთან ერთად სოფელში პოეტების ბრიგადასაც (!!!) ელოდებიან. მოთხრობა კი ვილაც „საწყალი სულელის“ ძახილით მთავრდება, რომელიც იქ არარსებულ სოსოიას უხმობს და „ასე აშენდება ბიჭოო?“ — უყვირის. იქნებ არაა ეს სოსოია შემთხვევითი სახელი აქ, თუმცა „დიდი იოსების“ გარდა არც სხვა ნითელ ავანტიურისტებს დაუკლიათ ხელი ხალხის გაბითურებისთვის...

ტოტალიტარული სინამდვილის დანაშაულებრივ აბსურდულობამდე მისვლა ასახა და ამ აბსურდული რეალობის გარდაუვალი ნგრევა „ინინასწარმეტყველა“ რეზო ჭეიშვილმა საყოველთაოდ გახმაურებულ თხზულებაში „ცისფერი მთები“. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ამ ნაწარმოებით მწერალმა ტოტალური საზოგადოებრივი შიზოფრენიის ეპოქის განზოგადებული, მაღალესთეტიკური ხატი შექმნა. ეს თხზულება თავიდან პიესის ხასიათს ატარებდა და თავდაპირველად, სათაურიც კი ჰქონდა განსხვავებული („ცისფერი ხიდები“), მაგრამ იგი ავტორმა საბოლოოდ განსაზღვრა, როგორც „დაუმთავრებელი რომანი“, რაც, რა თქმა უნდა, სავსებით პირობითია, რადგანაც ცხადია, რომ „ცისფერი მთები“ რომანის ჟანრს არ წარმოადგენს, იგი ვრცელი მოთხრობის ერთ-ერთი მშვენიერი ნიმუშია. ამ ნამუშევარზე იმდენი დაინერა, რომ იქნებ არც ღირდეს ნიუანსობრივი ანალიზის გაკეთება, მაგრამ უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ მკითხველმა მაშინვე ირწმუნა და დაიჯერა ეს „დაუჯერებელი“, ნორმალური ადამიანური ყოფისათვის, მართლაც რომ ძნელად წარმოსადგენი ამბავი. „ცისფერი მთები“ გახდა სიმბოლო ჩვენი სინამდვილისა, რადგანაც, გარკვეულწილად, ცისფერი მთები ანუ ტიანშანი წარმოგვიდგა როგორც გამოხატულება ამაღლებულისა და მიუწვდომლისა, რომელსაც ძირი მაინც ცოდვილ მიწაზე აქვს. ამ ცოდვილი სინამდვილის შვილები არა მარტო ჩინოვნიკები და ნახევრადუსაქმური ლიტმუშაკები არიან, არამედ თავად მწერალი, ამ მოთხრობის პროტაგონისტი სოსო ანჩაბაძეც. ამიტომ ყველას ერთნაირად ეცემა „გრელანდიის“ უზარმაზარი „პეიზაჟი“, ამიტომაც ყველა ერთნაირად დათრგუნულია ამ ტოტალური შიზოფრენიით. ავტორი ე.წ. უარყოფით გმირსაც კი ვერ ხედავს ამ ბაკხანალიაში, და არა იმის გამო, ასეთი დაყოფა რომ საერთოდ პირობითია, არამედ იმიტომაც, რომ აქ თავად დრო არის ანტიგმირი, სწორედ ეპოქა და მთელი მისეული საზოგადოებრივი მანქანა წარმოადგენს უნივერსალურ უარყოფით ფაქტორს, ყოვლისმომცველ ნეგატიურ განსაზღვრულობას. ხატვის ამ მასშტაბის მიღწევა კი თავისთავად მრავალნიშნადი წარმატებაა, რასაც „ცისფერი მთების“ ფართო აღიარებაც ადასტურებს.

დასასრულს, უნდა განსაკუთრებით აღინიშნოს რომ რეზო ჭეიშვილი ტოტალიტარიზმის კრიტიკასაც კი შიშველ პუბლიცისტურ ყდერადობას ძალზე იშვიათად ანიჭებს- ამ მხრივ მწერალს თითქმის არასოდეს ღალატობს მხატვრული ალლო და გემოვნება. ეს სრულიად ეხება მხატვრულ-დოკუმენტური ხასიათის რომანსაც „რკინის სახკომი“ (რომლის მთავარი (ანტი)გმირები არიან სერგო ორჯონიკიძე, იოსებ სტალინი და ბოლშევიკთა სხვა ავადსახსენებელი ბელადები), ისევე როგორც ლიტერატურული კრიტიკის მიერ ქართულ „გულაგთა არქიპელაგად“ მიჩნეულ (გვახარია 2000: 7) ბრწყინვალე თხზულებას „კუდიანი ვარსკვლავი (პოლიტიკური დეკამერონი)“. გასული საუკუნის 90-იან წლებში შექმნილ ამ განსაკუთრებული მხატვრულობითა და ინტელექტუალიზმით გამორჩეულ საკმაოდ ვრცელ ნაწარმოებებში ცნობილმა ქართველმა მწერალმა კიდევ ერთხელ დაუნდობლად ამხილა ტოტალიტარიზმის არაადამიანური სახე და კაცთმოძულე ბუნება.

დამონებიანი:

გვახარია 2000: გვახარია ალ. რეზო ჭეიშვილის ახალი წიგნი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 22-28/IX, 2000.

ზარნაძე 2003: ზარნაძე გიზო. მოდი და ნუ გაოცდები. გაზ. „თბილისი“, 24/IV, 2003.

ლორია 2005: ლორია კ. მონოდებაც და მოვალეობაც. რეზო ჭეიშვილის შემოქმედება. თბ.: 2005.

ჭეიშვილი 1989: ჭეიშვილი რ. თხზულებანი. ტ. 1, თბ.: 1989.

ჭეიშვილი 1993: ჭეიშვილი რ. თხზულებანი. ტ. 2, თბ.: 1993.

INGA MILORAVA

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Models of Totalitarian Text (The model “Cinderella”)

The totalitarian texts have for an object expressing The reality in context of Communist ideology. We can divide texts into parts: a) texts in which because of political context the attitude to reality show the tracts, the models, the motives of the action of the epoch; b) The texts, which present the desirable as reality, and cite it as an example. They create the models which are optimal for the ideology.

One of most memorable model is the “model Cinderella” (Meki Vashakidze – K. Lordkipanidze, “The Sunrizen Kolkheti”, Gvadi - L. Kiacheli, “Gvadi, Bigva”; Gaiane – K. Lordkipanidze, “My Gaiane”). The aim of the model is to present the complex (space, character, action), which shows and gives example how The good-for-nothing and outcast man can achieve success without Talent, education or some noble action, but only by the action, which has a idea of class struggle in its groundwork.

Keywords: Totalitarianism; Model Cinderella; Ideology; Character.

ინგა მილორავა

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ტოტალიტარული ტექსტის მოდელები (მოდელი „კონკია“)

ტოტალიტარიზმის ბრჭყალებში მოქცეული ნებისმიერი საზოგადოების წინაშე მძაფრად დგება არა მარტო ამ რეჟიმების თანამდევი რეპრესიებისა და ჩაგვრის პირობებში ფიზიკური გადარჩენის, არამედ ზოგადად ჯანსაღი ფსიქიკის, ზნეობრივი კრიტერიუმებისა და ადამიანური ღირებულებების შენარჩუნების პრობლემა. შეუძლებელია ტოტალიტარული მმართველობა მივუსადაგოთ ერთ რომელიმე დრო-სივრცულ ლოკალს (გეოგრაფიული გარემო – ქვეყანა; ისტორიის ნაკადის მონაკვეთი — ეპოქა), რადგან იგი ბევრად უფრო განზოგადებული მოვლენაა. ის ძალზე მზაკვარი და მოქნილია და მცდარი იქნება თუ მივიჩნევთ, რომ რაღაც გარკვეულ მომენტში ტოტალიტარული რეჟიმი დაეცა, მისი შეუზღუდავი თავნებობა დასრულდა და აღარასოდეს განმეორდება. მას გაუგონარი გამძლეობა ახასიათებს და შეიძლება შენიღბულად იარსებოს ოფიციალურად დეკლარირებული და უშურველად განათებული სულ სხვა პოლიტიკური სისტემისა და დეკორაციების მიღმა, ისე, რომ დაელოდოს შესაფერის დროს, როცა შეძლებს აშკარად და უშიშრად, თავხედურად გამოვიდეს ასპარეზზე და თავისი ანტიადამიანური ბუნება მთლიანად გამოავლინოს. ამიტომ ტოტალიტარიზმის ნებისმიერი გამოცდილების შესწავლა და გაანალიზება ძალიან მნიშვნელოვანია, თუნდაც მომავალში სავალალო შედეგებისთვის თავის არიდების მიზნით. ამ თვალსაზრისით დიდ მასალასა და შესაძლებლობებს მოიცავს ის ლიტერატურული სივრცე, რომელიც ტოტალიტარული სისტემის სიღრმეში გარკვეული დროული ჩარჩოთი შემოისაზღრა. მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე შემდგარ, დასრულებულ და მეტნაკლებად სახელდარქმეულ ეპოქას ეკუთვნის, ამ სივრცეში მოთავსებული მხატვრული სამყაროს მრავალმხრივი ანალიზი მნიშვნელოვანია არა მარტო იმ კონკრეტული ეპოქის უკეთ შეცნობისათვის, არამედ ანმყოს პრობლემების სწორად აღქმისა და სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრისთვისაც.

ტოტალიტარული სახელმწიფო უხეშად და დაუნდობლად ერთგება ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში, თუმცა ხშირად ის საკმაოდ ემშაკურად მოქმედებს და დიდ გამომგონებლობასაც ავლენს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე პროპაგანდას ეხება და საჭირო ხდება პიროვნების ფსიქიკური პროცესების მართვა, მისით

მანიპულირება. ამ დროს „იბადება“ ტოტალიტარული ტექსტი, რომელიც ზედმინევენით შეესატყვისება თავის „მშობელს“ — ტოტალიტარულ სახელმწიფოს და მის იდეოლოგიას, ოღონდ იმას, რასაც პოლიტიკური სისტემა ხშირად ძალმომრეობითა და დიდი სისასტიკით აკეთებს, ტოტალიტარული მსოფლმხედველობის წნეხის ქვეშ მოქცეული ხელოვნება და ლიტერატურა ზუსტად გათვლილი მხატვრულ სახეებსა და მოდელებში ასახავს ხორცს.

თუმცა თვითონ ტოტალიტარული ეპოქის ტექსტებიც არ არის ერთგვაროვანი. ისინი მიზანდასახულობის მიხედვით შეიძლება პირობითად ორ ნაკადად დავყოთ: ა) ტექსტები, რომლებიც ცდილობენ არ უღალატონ სინამდვილეს. მათში პოლიტიკური კონტექსტის გამო შეფარვით, მაგრამ მაინც გამოხატულია უარყოფითი დამოკიდებულება არცთუ სახარბიელო რეალობისადმი. ამავე დროს იმდენად ზუსტადაა ასახული ეპოქის ნიშნები, მოდელები, პერსონაჟთა ქმედების მოტივები, რომ კონკრეტული შეფასებების არარსებობის მიუხედავად ზუსტად და სრულად წარმოსდგება ეპოქის სურათი (კ. გამსახურდია, „მთვარის მოტაცება“), ბ) ტექსტი, რომელიც ცდილობს სასურველი რეალურად და სამაგალითოდ გაასაღოს, ქმნის იმგვარ მოდელებს, რომელიც ოპტიმალურია არსებული იდეოლოგიისათვის (ი. ლისაშვილი, „ვარდნილი“; „დახილი მთაში“; ბ. ჩხეიძე, „ფერო“ და ა. შ.).

ნებისმიერი ტოტალიტარული საზოგადოების და შესაბამისად მის წიაღში შექმნილი ტექსტების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ახალი ადამიანის გამოყვანა და აღზრდაა. ეს უტოპიური და იმთავითვე დამარცხებისთვის განწირული სურვილი შესაშური სიჯიუტით მეორდება სხვადასხვა ეპოქის და ერთმანეთისგან განსხვავებული წარმომავლობის ტოტალიტარულ სისტემებში. შესაბამისად რეაგირებს ხელოვნებაც, ლიტერატურაც: ერთი ნაწილი ცდილობს ყველანაირი ხერხითა და საშუალებით შეაღწიოს ადამიანის ცნობიერების სიღრმეში და გამოიწვიოს იქ რადიკალური და შეუქცევადი ცვლილებები. მეორე ნაწილი კი მიზნად ისახავს გამოსახოს ის ვითარება, რომელიც ამგვარი ტრანსფორმირებული ადამიანის ცხოვრებაში „დანერგვის“ პროცესში შეიქმნა. საბჭოთა ეპოქის ლიტერატურამ საკოლმეურნეო და ინდუსტრიული განვითარების ფონზე გამოსახა მისი ძირითადი ცვლილების ნიშნები, რომელიც ხდება სულიერ დონეზე: ა) ეროვნული თვითშეგრძნების უარყოფა; ბ) ტრადიციების კრიტიკა და უგულვებელყოფა; გ) ზოგადადადამიანური გრძნობების მეორეხარისხოვნება და ზოგჯერ უარყოფა კლასობრივ ინტერესებთან მიმართებაში; დ) მდაბიოს (შემდგომში ბოლშევიკის) ლტოლვა მაღალი წრის ქალისადმი, არასრულფასოვნების კომპლექსით აღძრული აგრესია, რასაც შემდგომში ქალის უარყოფა და დასმენის ზღვარამდე მისული გამოაშკარავება მოსდევს; ე) ადამიანის სიცოცხლის სრული გაუფასურება; ვ) ყველანაირი უღირსობის არა მარტო გამართლება, არამედ, მეტიც, მაგალითად დასახვა კლასობრივ ბრძოლის სახელით და ა. შ.

ერთ-ერი მნიშვნელოვანი მოდელი, რომელიც სხვა მოდელებთან ერთად გამოიყოფა ტოტალიტარულ ტექსტში არის „კონკიას“ მოდელი (მექი ვაშაკიძე – კონსტანტინე ლორთქიფანიძე, „კოლხეთის ცისკარი“; გვადი – ლეო ქიაჩელი, „გვადი ბიგვა“; გაიანე – კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ციკლიდან „ჩემო გაიანე“). მოდელის ეს სახელწოდება პირობითია, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ „ტოტალიტარული ტექსტის „კონკიებში“ თავი მოიყარა და შეულამაზებლად აისახა ის ფსიქოლოგიური და მხატვრული ტენდენციები, რომლებიც ამ ტიპის ტექსტს ახასიათებს.

„კონკიას“ ზღაპრული მოდელი (შდრ. ანდერსენისეული „მახინჯი იხვის ქუეკი“) თავისთავად პოზიტიურია და თავის თავში მოიცავს ადამიანის მისწრაფებას, ოცნებას და აღწიოს თავი გარემოებათა მიერ თავსმობვეულ უსამართლობას, გადალახოს ბედის უკუღმართობით თუ სხვა ადამიანების მიერ ძალმომრეულობით „შეჩეჩებული“ დაბალი სოციალური სტატუსის საზღვრები და გადაინაცვლოს უფრო მაღალ საფეხურზე, მიაღწიოს წარმატებას, შეძლოს თვირეალიზაცია, გახდეს ბედნიერი. ეს ძალიან ადამიანური სურვილია, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მისი ხორცშესხმა სხვადასხვა გზით შეიძლება და ეს გზები ყოველთვის ვერ ემთხვევა ზოგადად ადამიანური ფასეულობებისა და ზნეობის მიერ დასახულ გეზსა და სავალს. „კონკიას“ ზღაპრულ მოდელში ეს ასპექტი გათვალისწინებულია და ადამიანის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლა მართალია უცებ, მისტიური ძალების ხელშეწყობით ხდება, მაგრამ ისიც აშკარად ჩანს, რომ თავად კონკია, თავისი შინაგანი

სამყაროთი, სიკეთით, სინრფელით, შრომისმოყვარეობით, მოთმინებით (უნივერსალური ღირებულებებით) ნამდვილად იმსახურებს ამ ცვლილებას.

„კონკიას“ ტიპის მოდელები ხშირად გვხვდება ხელოვნებაში. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ეპოქის, ლიტერატურული მიმდინარეობისა და მხატვრული ფასეულობის მქონე ნაწარმოებები, თუნდაც ვიქტორ ჰიუგოს „კაცი, რომელიც იცინის“, ჰოფმანის „პატარა ცახესი“ და თეოდორ დრაიზერის „ამერიკული ტრაგედია“. მიუხედავად დიდი, მეტიც, რადიკალური სხვაობისა, სამივე შემთხვევაში მოცემულია ადამიანი, რომელიც მოულოდნელად იცვლის ადგილს ცხოვრების კიბეზე – კონკია ხდება დედოფალი, მაგრამ თვით ეს გადანაცვლების მიზეზი, მისი ფასი და შედეგი ზუსტადაა მისადაგებული გმირის ჭეშმარიტ ადამიანურ ღირებულებასთან. გუინაჟენი – ზნეობრივი ადამიანი თვითონვე ამბობს უარს იმაზე, რაც მისთვის უცხოა, მიუღებელია. პატარა ცახესი მაგიის მეშვეობით ხდება მისთვის შეუფერებელ ადგილას და მას შემდეგ, რაც მწერალი სრულად წარმოაჩენს საზოგადოების შინაგან სიმახინჯეს, ისევ მაგიის ძალით უბრუნდება მისთვის შესაფერის სანყის პოზიციას. „ამერიკულ ტრაგედიაში“ კი მალალი საზოგადოებისკენ მიმავალ გზაზე ბოროტმოქმედად ქცეულ „კონკიას“ მხილება და სასჯელი ელის. თუ ადამიანის პიროვნული ღირებულება შეესაბამება მის ადგილს სამყაროში, ის მას მიიღებს და შეინარჩუნებს. თუ არადა სამართლიანობა სხვაგვარად აღსდგება და ადამიანი თვითონ უარყოფს ან დაკარგავს იმას, რაც მას არ ეკუთვნის.

ტოტალიტარულმა ტექსტმა ამ მარადიული ფასეულობების შუქით განათებულ მხატვრულ მოდელში მზაკვრული სული და სიბნელე შეიტანა, თუმცა მთლიანად გამოიყენა „კონკიას“ ფსიქოლოგიური შესაძლებლობები. მექი ვაშაკიძე („კოლხეთის ცისკარი“) ბედისგან დაჩაგრულია, ბავშვობიდან სილატაკეში ცხოვრობს, თანატოლებში უთვისტომობის და სიღარიბის გამო ვერ გრძნობს თავს ლაღად, ქალიც, რომელიც მოსწონს, მასზე სოციალურად მალა დგას და მექიც მისგან უარყოფას, მართალია, თავდაპირველად შეუგნებლად, მაგრამ მაინც სოციალურ სარჩულს უდებს. ერთი შეხედვით, ის მართლაც უსამართლოდაა ფსკერზე გარიყული, ბუნებრივია, რომ მას, პოტენციურ „კონკიას“, სურდეს აღმასვლა, საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დაჭერა და, უნდა აღინიშნოს, რომ მექის ბევრი რეალური პროტოტიპი ჰყავდა და სწორედ მათზეა გათვლილი მართლაც „ტოტალიტარული ტექსტისთვის“ ნიშნული „კონკიას ახალი მითი“, რომელსაც მწერალი ქმნის. მექი უკავშირდება ახალ იდეოლოგიას, ახალ ძალას, რომელიც მზადაა მოსპოს სიცოცხლე, წაართვას სხვას ქონება, შეუღახოს ღირსება და ასე ამოატრიალოს და შეცვალოს კლასთა განლაგება ცხოვრების დაფაზე. საკმარისია მექი ჩაებას ამ ახალი ხელისუფლების, ახალი ცხოვრებისეული ფილოსოფიის წრებრუნვაში, შინაგანად „მიეყიდოს“ და გახდეს მისი მსახური, რომ მაშინვე, დაუყოვნებლივ ხდება საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, მეტიც, წარმატებული წევრი და, სავარაუდოდ, შემდგომში ამ სისტემის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და მმართველიც. იმავე გზას გადის გვადიც („გვადი ბიგვა“). იმ განსხვავებით, რომ ლეო ქიაჩელი მართლაც შესანიშნავი მწერალია და თუნდაც გარკვეული სქემის მიხედვით აგებულ და „ახალი ადამიანის“ სახელმძღვანელოდ შექმნილ ამბავსა და მხატვრულ სახეში მეტი ირონია, სიღრმე და ქვეტექსტში მიმალული ორაზროვნება შემოიტანა.

ასე რომ, ტოტალიტარულმა ტექსტმა შექმნა ახლებურად გააზრებული „კონკიას“ მოდელი, რომლის მიზანიცაა წარმოადგინოს მთელი კომპლექსი (გარემო, ხასიათი, ქმედება), რომელიც აჩვენებს და მაგალითად დასახავს, თუ როგორ შეიძლება ძველად ყველაზე ბეჩავი და გარიყული ადამიანი „ახალ“ სამყაროში ამალდეს და ამისთვის არც პირადი ღირსება, არც შრომა, ნიჭი, განათლება, ან რაიმე კეთილშობილური საქციელი კი არ სჭირდება, არამედ სრულიად საპირისპიროდ, ნებისმიერი, თუნდაც უღირსი, თუნდაც ბოროტი ქმედება, რომელსაც საფუძვლად კლასთა ბრძოლის იდეა და ერთი იდეოლოგიის მქონე ადამიანების ჯგუფის მეორეზე ყოველად უსამართლოდ გამარჯვება უდევს. და, რაც მთავარია, ასეთი „კონკია“ იქნება მარადიული, დაუსჯელი, ყოვლისშემძლე – ასე იქმნება მითი ახალ „ზეკაცზე“ და სწორედ მასში დევს ტოტალიტარული მსოფლმხედველობიდან მომავალი საშიშროება, რომელიც დროისა და პირობების შესაბამისად ქამელეონივით იცვლის ფერს, ინიღბება და, სამწუხაროდ, ხშირად ახალი ძალით, მოდერნიზებული უბრუნდება ასპარეზს.

RUDOLF SÁRDI

Hungary, Budapest

Eötvös Loránd University

Vladimir Nabokov's 'Cloud, Castle, Lake' and *Invitation to a Beheading* from a Totalitarian Perspective

Critical response to the works of the late Russian-born author, Vladimir Nabokov has been mixed. Early critics erroneously claimed that Nabokov's linguistic pyrotechnics was but an easily discernible component of a solipsistic fictional universe bereft of moral dimensions. Nonetheless, most of his works embrace a worldview that belies this fallacy, because one of the moral commitments Nabokov would repeatedly enunciate was his empathy towards those living under 'the grotesque shadow of a police state'. The paper aims at presenting the diverse ways in which Nabokov deals with the issue of mindless totalitarianism in 'Cloud, Castle, Lake' and *Invitation to a Beheading*.

Keywords: Morality; Aesthetics; Metaliterary Approach; Otherworld; Exile; Oppression; Dictatorship; Poshlost.

RUDOLF SÁRDI

Hungary, Budapest

Eötvös Loránd University

Vladimir Nabokov's 'Cloud, Castle, Lake' and *Invitation to a Beheading* from a Totalitarian Perspective

Introduction

The pragmatic view, according to which 'the aim of the poet is to inform or delight, or combine together ... both pleasure and applicability to life' (qtd. in Sarbu 2008: 25), was clearly an anathema for the Russian-born American writer, Vladimir Nabokov. An adamant opponent of schools and movements, he resolutely believed in his role of a supreme individualist and claimed that 'the hero of his fictions is always the individual human consciousness left free to either grow in health or expire in misconceived obsession' (Parker 1987: 5). The profound merits of Nabokov as a writer were unjustly obscured until his death in 1977. Priscilla Meyer also highlights that the fictional universes of Nabokov were, for a long time, considered to be hermetic, arcane self-referential manifestos (1994: 326). However, the critics who ventured in the metaliterary direction were wide of the mark. In my view, the metaliterary approach to Nabokov's fiction is partly erroneous because it refuses to take into consideration the author's deeply held conviction in metaphysics, religion, moral issues, cosmology and his capacity to represent an aesthetically heightened visionary state of consciousness. Although Nabokov's originality, mastery of language and the involutions of his works do not make up the whole of his art, they do constitute a significant part of it. The one-sided view one should thus refuse to accept is the propensity of looking at Nabokov as merely a brilliant but shallow artist, who fails to take notice of universal human issues, that is, as Stephen Jan Parker asserts, 'a stylist whose audacious style calls attention as much to itself as to what it means to convey' (1987: 17). Nabokov was convinced that the writer's duty was not to mend society's ways by sending off socio-political messages through his works. In one of his famous 'strong opinions', he stated: 'I don't give a damn for the group, the community, the masses, and so forth. ... [T]here can be no question that what makes a work of fiction safe from larvae and rust is not its social importance but its art, only its art' (1973: 33; italics added). Indeed, it is the thematic opposition between the ideology of *collectivism* and *individual consciousness* that lies at the heart of Nabokov's art

and is emphasised in *Bend Sinister* (1947) and 'Tyrants Destroyed' (1938). Yet the most memorable treatment of the theme is given in his well-known short story, 'Cloud, Castle, Lake' (1937) and the philosophical novel, *Invitation to a Beheading* (1935/1959), both of which appositely demonstrate the interplay among aesthetics, politics and metaphysics.

In spite of his continued protestations that he was not to be identified as a moralist run counter to the view that he was in fact intensely preoccupied with questions of moral dimensions, particularly, with the fate of the oppressed and the tortured. Nabokov remained observant of the rigid political climate of the Old Continent throughout his life. He left his country during the Bolshevik Revolution in 1917, and the establishment of the Soviet State in 1919 forced him and his family into exile. Just before the Nazi troops invaded Germany in 1940, they made their flight to the United States. On account of his private tragedies, it would have been impossible for Nabokov to entirely reject the obligations of an *engagé* writer. 'His political views were not identifiable with those of any party; they were liberal – in the classical sense of believing in individual freedom short of encroaching on the freedom and prosperity of others (Toker 2006: 243). Much more so than the liberal traits inherited from his forebears, it was Nabokov's direct denunciation of the perils of mindless totalitarianism that occupied a prominent role in his fiction until his unanticipated departure to America. In her memoir and bestselling novel, *Reading Lolita in Tehran*, Azar Nasifi (2004) recounts the story of seven of her dedicated female students, who gather, under the supervision of their professor, to read forbidden classics in the Islamic State of Iran over a period of two years. One of these novels is *Lolita*. In Chapter 10, Nasifi warns her readers not to see the novel as an allegory of the Islamic Republic in particular but as an allegory of tyranny in a broader perspective:

I want to emphasize once more that we were not Lolita, the Ayatollah was not Humbert and this republic was not what Humbert called his principedom by the sea. *Lolita* was not a critique of the Islamic Republic, but *it went against the grain of all totalitarian perspectives* (2004: 35; italics added).

In Nabokov's own admission, the 'social or economic structure of the ideal state' (1973: 35) was little concern to the author, yet a closer examination of some of his short stories and two major novels (*Bend Sinister* and *Invitation to a Beheading*) clearly challenge this statement. It is of note that writing about totalitarianism was for Nabokov not only an opportunity to reveal the dangers of the oppressive state machinery that engenders social injustice, but also to allow for the conception of the thematic dichotomy of 'here' and 'there'. This opposition is most clearly perceptible between the authoritarian, narrow-minded, philistine society – the world of average reality, that is – and the intuited realm of the 'otherworld', which grows out of the Neo-Platonic tradition. The analysis which follows is based upon this central polarity, according to which mundane life ('here/*tut*') is represented by a totalitarian society of decadence, brutality and pettiness; whereas the 'otherworld' ('there/*tam*') is inhabited by the author's privileged characters, who are granted the moral and psychological integrity that the petit-bourgeois figures of '[t]he horrible here ... in which a relentlessly howling heart is incarcerated' (Nabokov 2001: 93) are completely denied.

'Cloud, Castle, Lake': totalitarianism and the otherworld

The short story 'Cloud, Castle, Lake' best typifies the motif and design of entering an otherworldly space as an escape from the totalitarian state that imposes danger on individual will and artistic creativity. Vasilii Ivanovich, a modest bachelor, wins a ticket for a pleasure trip, which he undertakes reluctantly. There follows a day-excursion amongst a group of vulgar Germans who constantly humiliate him, and he is forced to participate in organised entertainment. Before setting off in the morning, he has a premonition that during the trip he would experience some tremendous joy, a moment of epiphany, 'an outburst of profane joy,' to borrow the famous Joycean term. Vasilii has a vision of an idyllic landscape – the cloud, castle and lake of the title – which he finds so mesmerising that he wants to stay there for ever. The central images of the title are recounted here:

It was a pure, blue lake, with an unusual expression of its water. In the middle, a large cloud was reflected in its entirety. On the other side, on a hill thickly covered with verdure (and


the darker the verdure, the more poetic it is), towered, arising from dactyl to dactyl, an ancient black castle. Of course, there are plenty of such views in Central Europe, but just this one ... was so unique, so familiar, and so long-promised, and it so understood the beholder that Vasiliy Ivanovich even pressed his hand to his heart, as if to see whether his heart was there in order to give it away. (Nabokov 2002: 435)

Vasiliy is the only one of the group who can partake of the place's otherworldly magnetism. His presentiments of something inexpressible occurring during the excursion are accounted for early on in the story when he looks out the train window and contemplates all the parts of a landscape, the configuration of objects insignificant in themselves, a configuration in which he seems to experience a kind of fusion of the past and the future, shaped by the intuition of the 'otherworld.' These are described as coalescing in an exceptional moment, during which the protagonist's fate comes close to the state of what Nabokov famously calls 'cosmic synchronization' in *Speak, Memory*. The rest of the characters in the story, the German bullies, pay no attention to any component of the otherworldly construct.

At some distance, Schramm, poking into the air with the leader's alpenstock, was calling the attention of the excursionists to something or other; they had settled themselves around on the grass in poses seen in amateur snapshots, while the leader sat on a stump, *his behind to the lake, and was having a snack.* (Nabokov 2002: 435; italics added)

It is interesting to note how the traces of sadism, brutality and inhumanity of the German day-trippers are interlinked with the ideology of the totalitarian state. Vasiliy is not only different because he is disinclined to take part in the group enjoyments of eating sausage and singing the hiking ditty of the 'steel-and-leather guy' (Nabokov 2002: 433), but he is the only one conscious of the poetic nature of the landscape. Priscilla Meyer appositely claims that 'foreign artistic sensibility is victimised by the German (and implied Russian) thugs, whose brutal group mentality is hostile to any individual, and immune to beauty' (2006: 128). In his excellent reading of the short story, Maxim D. Shrayer detects the correspondences between the architecture of the otherworldly opening that the protagonist enters and the architectonics of its verbal signs. The prosodic representation of the italicised clause below (the very scene to which the title refers) helps the reader to reconstruct a central part of the landscape, that is, the castle wall with its crenellations (Shrayer 1999: 153-155):

On the other side, on a hill thickly covered with verdure (and the darker the verdure, the more poetic it is), *towered, arising from dactyl to dactyl, an ancient black castle.* (Nabokov 2002: 435; italics added)



(Shrayer 1999: 153)

The dactylic line (both in English and Russian) assimilates three dimensions: (1) the *metric*; (2) the *physical space* (the actual otherworldly opening); and (3) the *transcendental space*, which serves as the boundary between the physical and the metaphysical. The structure of the short story is built around the thematic dichotomy of the 'two-world' scheme (Johnson 1982: 81): the 'real' world where the excursion takes place is seen in terms of a totalitarian system of collectivism, while the protagonist's surrealistic private world is not the prison of his soul, as most critics wrongly suggested, but an ideal realm which provides him temporary refuge.

Invitation to a Beheading: totalitarianism and its parody

The central dichotomy established in 'Cloud, Castle, Lake' also lies at the heart of *Priglasenie na kazn'* (1935) [*Invitation to a Beheading* (1959)], the initial draft of which was written 'in one fortnight of wonderful excitement and sustained inspiration' and remained to be the novel towards which Nabokov felt 'the greatest esteem' (Nabokov 1973: 68, 92). Of all his

works, it is, without doubt, the plot of *Invitation* that subjects itself to the most concise summary. As the novel opens, Cincinnatus C. has been sentenced to be beheaded for having committed a capital crime, which is referred to as ‘gnostical turpitude’ (*gnoseologicheskaiia gnusnost’* in the Russian original).^{*} In its very essence the charge is that Cincinnatus is the only ‘opaque’ character in a fictional society where everyone else is ‘transparent’. All of the novel’s action (or rather, inaction) takes place in the protagonist’s prison cell, where he is attended by a cohort of strange figures, including Rodion, his jailer, Roman, his attorney and Rodrig, the prison warden, who seem to ‘dissolve or swap identities without rhyme or reason’ (Connolly 2006: 139) throughout the story. He is called on by a bizarre M’sieur Pierre, his would-be executioner, whom he is virtually compelled to befriend before mounting the scaffold. The novel then ends with the execution of Cincinnatus and the collapse of the fictional world in which he resides.

In his foreword to the English translation, Nabokov admonishes his readers not to adopt so gullible a view as to espouse any political reading of the novel, as it is far from being an indictment of existing or past dictatorships.

I composed the Russian original exactly a quarter of a century ago in Berlin, some fifteen years after escaping from the Bolshevik regime, and just before the Nazi regime reached its full volume of welcome. The question whether or not my seeing both in terms of one dull beastly farce had any effect on this book, *should concern the good reader as little as it does me.* (2001: 5, italics added)

It is needless to point out that the novel has been subjected to many starkly different interpretations so far; however, in addition to the traditionally acknowledged political and metaliterary approaches, the relatively fresh developments of Nabokov criticism pointing towards the otherworld have significantly enlarged the scope of possibilities. Tempting as the various meta-fictional and otherworldly models may first appear, it would be heedless to discard all those historical and biographical forces, including the author’s personal and artistic credo as well as other potential inspirational factors which may have contributed to the novel’s conception.^{**} In his seminal work, Brian Boyd discusses the novel’s possible biographical background when he reveals that Vladimir Nabokov, in a similar vein to his father, was known to be an up-front opponent of capital punishment:

[He] was obsessed throughout his work with the moment of death, the role of fate in death, the idea of execution. [...] Nabokov [in *Invitation to a Beheading*] condemns both the normal pressure of the group upon the individual mind and its ultimate expression in the death penalty. Just as his father developed his grandfather’s implicit inclinations into more explicit and far-reaching arguments, so he in turn develops his father’s idea to point where the contrast between individual and group becomes not only ethical, a question of human rights, but also epistemological and metaphysical, a matter of seeing and being. (35-36)

This passage also demonstrates that instead of simplistically trying to reduce the matter to a question whether *Invitation* can or should be perceived as an anti-totalitarian manifesto that, among other things, opposes the death penalty, Boyd prompts us to develop a more holistic view, and consider accordingly a flexible interpretation, in which the otherworld, philosophy and history all have their rightful places. There is reason enough to believe that critically assessing

^{*} Due to the complexity of the topic, but primarily because of the limitations of the written page, the Gnostic reading of the novel will remain outside the ken of the present paper. On the Gnostic interpretation of the text, see Sergei Davydov’s seminal article, ‘*Invitation to a Beheading*’ in Vladimir E. Alexandrov, ed. (1995), *The Garland Companion to Vladimir Nabokov*, New York and London: Garland Publishing, Inc., pp. 188-203. Nabokov’s rendering of the word ‘Gnostic’ has been expounded by Don Barton Johnson, who notes that Cincinnatus’s crime in the Russian original was ‘*gnoseologicheskaiia gnusnost’*’ (‘gnoseological’ turpitude) as opposed to the more specific ‘*gnosticheskaiia gnusnost’*’ (‘gnostical turpitude’) in the English translation. See Johnson’s article for a more detailed analysis: ‘The Alpha and Omega of *Invitation to a Beheading*’ in *Nabokov’s Invitation to a Beheading: A Critical Companion*, Illinois: Evanston, Northwestern University Press, 1998, pp. 119-137.

^{**} The political reading of *Invitation to a Beheading* was taken up by Vladimir Varshavsky (*Nezamechennoe pokolenie*, New York: Chekhov, 1956, pp. 205-225) and David Rampton (*Vladimir Nabokov: A Critical Study of the Novels*, Cambridge: Cambridge University Press, 1984, pp. 31-63).

Nabokov without an understanding of his liberal family traits, his homeland, his national literature and his *sui generis* faith in a timeless, metaphysical realm would greatly limit our perspectives. Any attempt to read Nabokov without having a combination of these elements readily available for the reader would prevent us from finding Boyd's argumentation convincing enough:

[W]riters from Pushkin and Chernyshevsky to Dostoevsky and the aging Tolstoy made their protests for freedom or against the death penalty, Nabokov's own imagination turned away from the issues of his times to the issues of eternity. He fought for freedom too, but his struggle was not so much a social as a metaphysical one: *an incessant effort to find a way out of the goodly prison of consciousness*, a lifelong campaign to repeal the death sentence nature has imposed on us all. (36, italics mine)

Instead of hunting for literary, historical or biographical sources underlying the inception of *Invitation*, what remains to be a major task is – more so than unravelling the possible literary impact of Franz Kafka or Lewis Carroll – an investigation of the transcendental in the novel, which anticipates an approach drawing on Nabokov's politics, metaphysics and aesthetics at the same time.*

In contrast with *Bend Sinister*, which is rightly regarded as Nabokov's most grimly political novel, *Invitation* critiques totalitarianism in a less straightforward manner.** It is not only, as Dana Dragunoiu rightly maintains, 'an attack against totalitarianism, but also a refutation of the key propositions that played [...] an important role in the establishment of Soviet Marxism' (Dragunoiu 2001: 55-56), championed in Lenin's philosophical masterpiece, *Materialism and Empirio-Criticism* (1908). One cornerstone of what is known as materialistic monism is that a man's physical needs *can be* met during the period of his incarceration, but '[t]he needs of the soul are ignored, and the existence of the soul as an immaterial entity is denied' (Dragunoiu 2001:56). Its fundamental tenet, in conformity with the idea of dialectical materialism, that only matter exists and the spiritual realm is nonexistent, underlies the creation of *Invitation*, too. In Chapter One, a brief note is read out to Cincinnatus, in which the prison director assures him that all the amenities the inmate should require will be provided: 'It is my lot – and this I will never forget – to provide thy sojourn in gaol with all that multitude of comforts which the law allows' (17). In order to contest the philosophy proposed by materialistic monism, Nabokov exchanges the traditional notions of spirit and matter: the soul, which is traditionally thought of as being transparent and intangible, becomes, in the case of Cincinnatus, opaque and impregnable, while matter is described as immaterial and unstable. In his description of the core of his being, Cincinnatus uses the terms with which the philosophical tradition defines the soul: 'it is

* Kafka's *The Trial* (1925) and *The Castle* (1926) are often noted as being thematically related to and thus may have had an impact on Nabokov's *Invitation*. At the time of the novel's serial publication in the Russian émigré magazine, the *Sovremenniya Zapiski*, critics were convinced that certain Kafkaesque echoes were audible in *Invitation* (and also present, not less powerfully, in *The Eye* [1930], *Despair* [1933] and *Bend Sinister* [1947]). Nabokov was careful enough not to let anyone question the originality of his craftsmanship: he rejected all possible influences of the Czech master by claiming that 'I do not know German and so could not read Kafka before the nineteen thirties when his *La metamorphose* appeared in *La nouvelle revue française*, and by that time many of my so-called 'kafkaesque' stories had already been published' (1973: 151-52). For an insightful discussion of Kafka's stylistic and thematic impact on Nabokov's works, see Leland de La Durantaye's 'Kafka's Reality and Nabokov's Fantasy. On Dwarves, Saints, Beetles, Symbolism, and Genius', *Comparative Literature* Fall 2007. Vol. 59, No. 4, pp. 315-331. Further affinities have been discerned between *Invitation* and dystopian writings written before the publication of Nabokov's novel: Aldous Huxley's *Brave New World*, Yevgeny Zamyatin's *We* and H.G. Wells's *The Country of the Blind* are only a few of the possible sources of inspiration.

** When *Bend Sinister* was published in 1947, Nabokov had already experienced the destructiveness of World War II and had good grounds for a large degree of pessimism that he voices clearly in the novel. *Invitation*, however, was composed before the war broke out, and he managed to 'keep his invented world lightly comic' at a time when the Nazi propaganda had not yet been set into full motion (Boyd 1991: 411). Other notable short stories which adopt the theme of totalitarianism and are, more often than not, read as anti-utopian allegories include 'The Leonardo' ('Korolek', 1933) and 'Tyrants Destroyed' (1938), though any kind of oppression, be it the persecution of ethnicities or the tyrannical state machinery, has come to be seen as intolerable throughout Nabokov's art. In *Pale Fire*, for example, Shade imparts to Kinbote his attitude to racial prejudice: 'Shade said that more than anything on earth he loathed Vulgarity and Brutality, and that one found these two ideally united in racial prejudice' (155)

final, indivisible, and fundamental to the existence of a human individual' (Dragunoiu 2001: 60). The fact that he is the only visible entity in a society where everyone else is transparent makes him commit a turpitude resulting in execution, or, as Ellen Pifer remarks: 'what makes him human ... also makes him a criminal' (1970: 49). The totalitarian state, whose inhabitants are shorn of their individual traits (appositely exemplified by the interchangeability of the roles among Rodion, Roman and Rodrig) and transformed into one formless material, denounces Cincinnatus for 'his inability to participate fully in the collective modes of perception adopted by his peers' (Dragunoiu 2001: 64).

Early on in the novel, Cincinnatus is paralysed by fear at the sheer thought of his execution; however, on making the discovery that he is the only one 'who is alive' (92) of all the characters, he excitedly looks forward to his final moment on the block. Similarly to Vasilii Ivanovich in 'Cloud, Castle, Lake', he anticipates, as a corollary of his execution, the understanding of something that even he is unable to express in words: 'I know something. I know something. But expression of it comes so hard!' (91). Cincinnatus realises that the world he inhabits – a microcosm of a fictional dictatorship – is but an imperfect imitation of the ideal world, incongruent with Plato's 'well-ordered state' (Sarbu 2008: 23). The events taking place in the farcically sinister opening chapter would do justice to any absurdist play or might as well emanate from slapstick comedy, were it not for their fatal subject-matter. The apparent unconventionalities of the legal system prevailing in Nabokov's dystopian fable require the judge to announce the death sentence to 'Cincinnatus C. in a whisper' (11), which is then followed by simultaneous actions performed by the defence counsel and the prosecutor 'both wearing makeup and looking very much alike (the law required them to be uterine brothers but such were not always available, and then makeup was used) spoke with virtuoso rapidity the five thousand words allotted to each' (21). In *Invitation* the microcosmic world of the prison is but the farcical reproduction of the world known to mortal beings. Nabokov uses highly stylised scenes, theatricalised figures and numerous stage props to account for the existence of a world that comes to be seen as 'real' in the novel. There exists, in Cincinnatus's imagination, the vision of another, original world as opposed to the sham settings and the incessant charades he encounters during his terrestrial existence. Even the passage of time is regulated by the prison watchman, who 'washes off the old hand [from the clock] and daubs on a new one' (135), and the moon is either attached to or removed from the sky by an invisible (possibly auctorial) hand. Cincinnatus himself is conscious of the artificiality of his surroundings and that everything around him is staged and acted out. Unwilling to submit himself to the faulty construct of this world, he voices his dissatisfaction in no uncertain terms when conversing with his wife, Marthe: 'No, you're still only a parody' (135). In the passage below, he envisions the original, Edenic world of his dreams:

It exists, my dream world, it must exist, since, surely there must be an original of the clumsy copy. ... *There, tam, là-bas*, the gaze of men glows with inimitable understanding. ... *There, there* are the originals of the garden where we used to roam ... there everything strikes one by its bewitching evidence, by the simplicity of perfect good; *there* everything pleases one's soul, everything is filled with the kind of fun that children know. (2001: 93-94, italics in the original).*

At the textual level, Cincinnatus's multilingual repetition of the demonstrative pronoun is far from being the only implication of the existence of an immaterial 'beyond'. It is the author's perpetual concern with a dualistic worldview (the *tut* and the *tam*), as has been noted above, that lies at the centre of the novel and emerges in the text in more form than one. Vladimir Alexandrov (1995) posits that the repeated mention of Tamara Gardens in the novel is not

* Julian W. Connolly notes that the otherworldly theme of *Invitation* may have emanated from Charles Baudelaire's famous poem, 'L'invitation au voyage' ('Invitation to the Voyage'), where the French *là* denotes the existence of an aesthetic utopia, similarly to Nabokov's '[t]here, tam, là-bas' in the novel. The otherworldly vista of Baudelaire's poem clearly reverberates in the novel: 'Là, tout n'est qu'ordre et beauté, / Luxe, calme et volupté' ('There'll be nothing but beauty, wealth, pleasure, / With all things in order and measure', trans. by Roy Campbell). In *Ada or Ardor, A Family Chronicle*, Nabokov alludes to the poem's first line ('Mon enfant, ma soeur' ['My daughter, my sister ...']) as part of a parodic homage to Baudelaire's work, which constitutes an important subtext of *Invitation* (Ada, 2000: 86).

merely a reference to the 'freedom of a sylvan setting but also the otherworldly realm that glimmers in Cincinnatus's consciousness' (95). The special semantic and phonological importance (the repetition of the letter *t*) that is attached to the word *tam* is best exemplified in the following passage:

Now and then a wave of fragrance would come from the *Tamara* Gardens. How well he knew that public park! *There*, where Marthe, when she was a bride, was frightened of the frogs and cockchafer [...] That green turfy *tamarack* park, the languor of its ponds, the *tum-tum-tum* of a distant band' (19, italics added).

Incapacitated as he is to impart to his readers his intuitions, Cincinnatus begins to discover and reveal his creative faculty as a writer. At first the vigilant eyes of the prison personnel are seen as an impediment to the hero's artistic development: totalitarianism appears to be a malign, unsolicited influence that suppresses individual talent and free will. Such harmful attitude is displayed through the M'sieur Pierre's sardonic wit, who, according to Davydov, is an epitome of 'quintessential *poshlost*' or self-satisfied vulgarity' (1996: 193) that Nabokov himself harshly condemns in all of his works. In spite of the forces which work against him, Cincinnatus summons courage and confidence as he writes his memoir only to appear undaunted in the article of death. He mounts the scaffold with equanimity, firm in his belief that there exists a parallel universe beyond the confines of mortal life. Totalitarianism and all its vices, to his mind, can thus be escaped: death for Cincinnatus offers a 'joyful awakening from the nightmare of reality' (Davydov 1996: 196) when he leaves behind his *poshlyaki* tormentors and makes 'his way in that direction where, to judge by the voices, stood beings akin to him' (223).^{*} It is in this virtually nightmarish locus that Cincinnatus, on account of his gift to comprehend something sublime and profoundly human, gives utterance to his intuitions with which even he himself is unable to come to terms. Akin to Humbert Humbert, Grandmaster Luzhin, Timofey Pnin or Chorb, Cincinnatus should be seen as being equally privileged in his gift to make sense of a transcendent reality, inaccessible for those who live in the 'sordid world of matter' (Alexandrov 1995: 87). Death, for Cincinnatus, is certainly on a par with the liberation of the soul from the spiritual thralldom that the state imposes on him and the understanding of a secret that he reiterates time and again. He seems to be endowed with the genius of making out a pattern of the unorthodox combinations, which comes closest to the 'cosmic synchronization' discussed in the first section of this paper. Cincinnatus contemplates on his special abilities on the pages of his diary:

Not only are my eyes different, and my hearing , and my sense of taste – not only is my sense of smell like a deer's, my sense of touch like a bat's – but, most important, *I have the capacity to conjoin all of this in one point*. No, the secret is not revealed yet – even this is but the flint – and I have not even begun to speak of this kindling, of the fire itself. (52, italics added)

Cincinnatus conjectures that he must resort to the method of 'cosmic synchronization' so as to alleviate his spiritual and physical agonies inflicted on him by his tormentors. The claim may not sound unconvincing that Cincinnatus refuses to consider a world in which one is denied to exercise one's freedom as being *real*. In his view, mundane life bears a resemblance to a dreamlike state of being, whereas entry to the realm of the transcendent is the only reality – the reality, when human consciousness is wide awake.^{**} Alexandrov then is correct to conclude that Cincinnatus 'would see the awakening that death brings in terms of a cosmic synchronization-like leap in consciousness' (1995: 94).

^{*} The possibility of transcending the world that keeps Cincinnatus incarcerated is also indicated by Nabokov's constant references to moths and butterflies, which symbolise resurrection and the survival of the spirit after death in Christian iconography. Michael Ferber writes that Greek vase paintings sometimes depicted a butterfly leaving the mouth of a dying person. Ovid refers to 'funereal butterflies' (*Met.* 15.374), because they were often portrayed on graves. 'The idea is that the soul undergoes a metamorphosis at death, leaving behind its earthbound larval state to take wing in a glorious form' (Ferber, 2007: p. 38)

^{**} Cincinnatus refers to dreams as 'semi-reality, the promise of reality, a foreglimpse and a whiff of it' (92).

Conclusion

Invitation to a Beheading has always been read as Nabokov's most philosophical vision of totalitarianism, especially when opposed to his matter-of-fact portrayal of tyranny in *Bend Sinister* and 'Tyrants Destroyed' (1938); in the latter short story, he examines at length the mediocrity and moral degeneracy of tyrants. Although the narrator of the story is originally intent on killing the tyrant, he cannot bring himself to do it. Instead, he decides to erase the tyrant's image in his own mind. The protagonist states that '[t]his is an incantation, an exorcism, so that henceforth any man can exorcize bondage. I believe in miracles' (Nabokov 2002: 459). Nabokov condemns tyrants, dictators and assassins to 'a particular brand of non-existence' (Dragunoiu 2001:67) by denying them all the spiritual complexities which he bequeaths to his privileged characters. In a similar vein to the narrator of 'Tyrants Destroyed', Cincinnatus C. also succeeds in exorcising the worldview imposed on him by his tormentors: he turns down the titular 'invitation to a beheading' and thus refuses to accept the view that denies the opacity of his soul.

BIBLIOGRAPHY:

- Alexandrov 1991:** Alexandrov, Vladimir E. 'Invitation to a Beheading', in Nabokov's Otherworld. Princeton: Princeton University Press, 1991, pp. 84-107.
- Appel 1971:** Appel, Alfred Jr., 'Conversations with Nabokov', in NOVEL: A Forum on Fiction, Vol. 4, No. 3., pp. 209-222.
- Baudelaire, Charles,** 'L'invitation au voyage' ['Invitation to a Voyage'], in Les Fleur du Mal [The Flowers of Evil, translated by Roy Campbell], URL: <http://fleursdumal.org/poem/148>
- Boyd 1990:** Boyd, Brian. Vladimir Nabokov: The Russian Years. Princeton: Princeton University Press. 1990.
- Connolly 2006:** Connolly, Julian W. 'The Major Russian Novels' in Julian W. Connolly (ed.) The Cambridge Companion to Vladimir Nabokov, Cambridge: Cambridge University Press. 2006. pp. 135-150.
- Davydov 1996:** Davydov, Sergei. 'Invitation to a Beheading', in The Garland Companion to Vladimir Nabokov, Vladimir E. Alexandrov (ed.), New York: Garland. 1996. pp. 188-203.
- Dragunoiu 2001:** Dragunoiu, Dana. 'Vladimir Nabokov's Invitation to a Beheading and the Russian Radical Tradition', Journal of Modern Literature 25:1, pp. 53-69. 2001.
- Farber 2007:** Farber, Michael. A Dictionary of Literary Symbols, Cambridge: Cambridge University Press, 2007.
- Johnson 1985:** Johnson, D. Barton Worlds in Regression, Ann Arbor: Ardis. 1985
- Johnson 1986:** Johnson, D. 'Spatial Modeling and Deixis', in Poetics Today, 3:1, pp. 81-98.
- Meyer 1994:** Meyer, Priscilla 'Nabokov's Biographers, Annotators, and Interpreters', in Modern Philology, 91:3, pp. 326-338. 1994.
- Meyer 2006:** Meyer, Priscilla (2006), 'Nabokov's Short Fiction', in Julian W. Connolly (ed.) The Cambridge Companion to Vladimir Nabokov, Cambridge: Cambridge University Press, pp. 119-134. 2006.
- Nabokov 1973:** Nabokov, Vladimir (1973), Strong Opinions, New York: McGraw-Hill Book Company. 1973
- Nabokov 2000:** Nabokov, Vladimir, Ada or Ardor: A Family Chronicle, London: Penguin Books.
- Nabokov 2001:** Nabokov, Vladimir, Invitation to a Beheading, London and New York: Penguin Classics.
- Nabokov 2002:** Nabokov, Vladimir, The Stories of Vladimir Nabokov, New York: Vintage International.
- Nasifi 2004:** Nasifi, Azar. Reading Lolita in Tehran. New York: Random House. 2004.
- Parker 1987:** Parker, Stephen Jan. Understanding Nabokov, Columbia: University of South Carolina Press. 1987.
- Pifer, Ellen (1970),** 'Nabokov's 'Invitation to a Beheading': The Parody of a Tradition', in Pacific Coast Philology, Vol. 5., pp. 46-53.
- Sarbu, Aladár (2008),** The Study of Literature. An Introduction for Hungarian Students of English, Budapest: Akadémiai Kiadó, pp. 1-37.
- Shrayer, Maxim D. (1999),** The World of Nabokov's Stories, Austin: University of Texas Press.
- Toker, Leona (2006),** 'Nabokov's Worldview', in Julian W. Connolly (ed.) The Cambridge Companion to Vladimir Nabokov, Cambridge: Cambridge University Press, pp. 232-247.

NINO SOZASHVILI

Georgia, Telavi

Iakob Gogebashvili Telavi State University

"Swinging Enigma"

The space of Enigma is wide. In Galaktioni poems it is supposed to be a symbol. The characteristic feature of a symbol is that it should be seen and perceived differently by different eye and mind. Symbol always carries movable, "swinging" notion. First of all poetry is the unity of speech with the help of enigmas, metaphors and symbols, that is gathered like in a focus, in facial expression.

Galaktioni's sun and fire has different warmth and brilliance. Galaktioni is said to be the author of about 8000 poems. Each of them is the sun for Galaktioni. The sun that never blows away, neither lacks of light nor darkness.

Keywords: Galaktioni; Enigma; Fire; The Sun.

ნინო სოზაშვილი

საქართველო, თელავი

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„მოქანავე“ ენიგმა

ვართა ენიგმის სივრცე. გალაკტიონთან, ვფიქრობთ, ის სიმბოლოა. სიმბოლოს კი ის ბუნება აქვს, რომ სხვადასხვა თვალმა თუ გონმა სხვადასხვანაირად აღიქვას, დაინახოს. სიმბოლო მუდამ მოძრავი, „მოქანავე“ ბუნების მქონე ცნებაა. მისი „ერთადგილას“ მიჯაჭვა ძნელია და ლამის — შეუძლებელიც კი. ლექსში „იპატი“ ამის თაობაზე პოეტმა თქვა: „აქ ყველაფერი თითქოს ქანაობს, როგორც სიმბოლო“ (ტაბიძე 1966: 302).

პოეზია პირველყოვლისა ენიგმებით, მეტაფორებითა და სიმბოლოებით მეტყველების გარკვეული მთლიანობაა, რაც, როგორც ფოკუსში, სახისმეტყველებაში იყრის თავს. მართლაც სიმბოლო, ძალიან ხშირად, ცვალებადი ბუნების მატარებელია, რაც მისი მაძიებლის ჩანაფიქრზე დიდადა დამოკიდებული.

პოეზიაში მზე, ვინ იცის, რა უცნაური ნიშან-თვისებების მატარებელი არ არის. მზე, ისე როგორც ქარი, ზღვა, ფერი და ა.შ. გალაკტიონის ლექსის გამორჩეული სამშენებლო მასალაა, მზე თვით პოეტის სამშობლოც კია, რაც არცთუ იშვიათად გვხვდება მის პოეზიაში.

განსაკუთრებული პოეტური სახისმეტყველების უიშვიათეს ენიგმად გამოჩნდება მზე დიდი პოეტის ადრეულ ლექსებშივე. მაშინაც და შემდეგაც სიმბოლიზმი გალაკტიონის ლექსის მოჩუქურთმების საფუძვლად იქცა, რამაც ასე მასშტაბური ბიძგი მისცა შემოქმედი ახალგაზრდის ლექსის სივრცეს. ადრეულ წლებში უკვე გამოჩნდა მზისადმი დიდი პოეტის სახისმეტყველებითი ინტერესი, რამაც ასე სრულფასოვანი გახადა მისი პოეტური თხზულებანი. ასეთთა შორისაა ლექსი „ზევით ასწიეთ მზე, ზევით!“

მზე — წყვდიადზე გამარჯვების უპირველესი ძალაა, სიცოცხლის წყაროა, ძველის, რუტინის აფეთქების უტყუარი შესაძლებლობაა, თავისუფლების განმგებელია.

მზე!... დაცემულთა და კვლავ აღმდგართა მეუფეა. განგებიათ მზე — ასეთ თანაარსებობას ხედავს გალაკტიონი მზესა და ხალხს შორის. ამიტომაც მთელი ხმით, რწმენით, იმედად ისმის მისი მოწოდება:

ჩვენ მზე გვსურს... ხალხო, შეერთდით —
ზევით ასწიეთ მზე, ზევით!
მის აღდგომასთან მნათობის
სხივებად გადავიქცევით!
(ტაბიძე 1973: 19)

ოპტიმიზმი და რწმენა რომ მატერიალურ სინამდვილედ უქციო ადამიანს, ამიტომ ჯერ თვითონ შენ უნდა გნამდეს, ჯერ შენ უნდა გჯეროდეს. ეს რწმენა უნდა მიგიძღვოდეს წინ. სწორედ, ეს ცოდნა და რწმენაა სრულიად გალაკტიონი!

არ უნდა იყოს უმართებულო,თუ ვიტყვით, რომ მზისადმი სიყვარულს გალქტიონის მესხიერებაში ჯერ სევდიანი ბავშვობის დროის ხალხური პოეზიიდან უნდა შეეღწია. სხვანაირად არ შეიქმნებოდა ლექსის მეხუთე სტროფი:

მზეო, დაუდე საზღვარი
მწუხარე ფიქრთა ქროლვასა.
„მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა!“
(ტაბიძე 1973: 19)

მზის კულტის ხალხური საგალობლებიდან „მზეო, ამოდი, ამოდი“ სოციალური თვალსაზრისით ერთ-ერთი თვალსაჩინოა. სწორედ, ბავშვობიდან მოჰყვება მისი ცოდნა თითოეულ ჩვენგანს და, ცხადია, გალაკტიონსაც:

მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა;
სიცივეს კაცი მოუკლავს –
საწყალი, აგერ, გორავსა!

საგნის ხედვის პოეტური ხატვა, თვით საგნის შესაძლებლობებსა დაყრდნობილი ან ამ შესაძლებლობების სიმბოლოკაშია შეფუთული. აქამდე დაჩოქებული მზის აღდგომასთან ერთად, მზის სხივებად ყველა ადამიანის გადაქცევა, არცთუ მისაჩუმათებელი ენიგმაა. მას თავისი შესაძლებლობები არც დღეს ეკარგება. მეტიც, იგი, მზე, ჩვენში ახლა უფრო მეტ გამჭვირვალეობას იძენს. რატომ არ არის ჩვენი თანამედროვე დიდი გალაკტიონის მიერ 1917 წელს დაწერილი, დღეს ყველას მიერ კარგად გათავისებული ლექსი „დროშები ჩქარა“?! თუნდაც მისი პირველი პოეტური ხანა. სადაც „ცეცხლის მზე“ იმდენად ყოვლისმომცველი ძალის მქონე ენიგმაა, რომ ყველა ეპოქას შეუძლია იამაყოს მისით. დღეს განა ნაკლები ემოციით ჟღერს იგი, ვიდრე იყო 1917 წლისათვის?! ლექსსა და სინამდვილეს თუ ერთად გავიაზრებთ, უფრო განათდება ყველაფერი.

გათენდა. ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...
დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს – წყარო ანკარა...
დროშები ჩქარა!
დიდება ხალხისათვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გასწირა, ვინც სისიხლი დარვარა.
მათ ხსოვნას ქვეყანა სათლებად აინთებს...
დროშები ჩქარა“ (ტაბიძე 1973: 132).

„ცეცხლის მზისა“ და „მზის ცეცხლიანობის“ საკითხი ძალზე საინტერესოა. ცეცხლის ენიგმის გამო ვიტყვით: გალაკტიონის თხზულებათა ერთი კრებულის მიხედვით (საუბარია – გ. ტაბიძეზე, რჩეული, თბ. 1973), ცეცხლი, როგორც ტაეპისა თუ სტროფის სამშენებლო მასალა 60-ზე მეტჯერ არის მოხმობილი, მთლიანად პოეტის შემოქმედებაში კი 1257-ჯერ. სხვაა „ცეცხლ“ ძირისაგან მიღებული კომპოზიტები. აქ, ცხადია, ლექსემა ყოველთვის არაა მეტაფორული. ზოგჯერ კი იგი ენიგმის კლასიკური შინაარსითაა ავსილი. აი, თუნდაც, პოემაში „იგი – ომია“ (თხზულება 1924 წელსარის დაწერილი და სხვა პოზიციის ასპექტშია განსახილველი):

ო, ცეცხლო, ცეცხლო!
გადაბიბინება,
ცეცხლო, შენმიერი,
ალთა ხვეულები

სოფლებს მიაწვდეს,
ქვეყნად იფინება
მანც მშვენიერი
მკვდართა სხეულები
ადამიანების (ტაბიძე 1973: 28).

აქ ცეცხლი მასების აქტიური გამოღვიძების მსოფლიო მასშტაბს გულისხმობს, რაც წინამდებარე სტროფში დაწინებულად არის წარმოდგენილი: თავისუფლებისათვის ბრძოლას თან ახლავს სისიხლი და ცეცხლი. დიდ, სახალხო საქმეს მხოლოდ თავგანწირვა გადაარჩენს! ამიტომაც „ქვეყნებს შევლებია ცეცხლის მეზოლენი“. სისხლთან ერთად ბევრია ცრემლიც. „დადგა ოკეანე დაუსრულებელი. ეს ხომ ცრემლებია... მაგრამ ესოდენი?“

გალაკტიონმა ერის ისტორიითა თუ უახლოესი საკუთარი წარსულით იცის, რომ

ციდან წვეთწვეთად მოდიოდა ცეცხლები მწველი
და მძლავრდებოდა დედამიწის ომის საზარი.
(ტაბიძე 1973: 277)

გალაკტიონს უცეცხლოდ ოღონდ, სხვაგვარი გაგებით ცხოვრება, ლამის, არ წნამს. ცეცხლი – ძალაა, რწმენაა, შემართებაა!..

როცა ცეცხლია და გადარევა,
როცა ქარია და ამღერება,
არც კაცთმოყვარე ხალხში გარევა,
არც გაჩეუმება გეჰატიება!
(ტაბიძე 1973: 279)

თუ მთელი შენი შესძლებლობებით — სიტყვითა და საქმით არა ხარ ხარ კაცთმოყვარე არ ხარ ხალხთან, მასებთან, მაშინ, როცა „არის ჭიდილი ორ ქვეყანის შორის, ბრძოლა სასტიკი და უღმობელი“, მერე ძნელია თავის მართლება...

ემოციურ-ფსიქოლოგიური დატვირთვა თუ ესთეტიკურ-ინდივიდუალური განწყობა ბევრია ენიგმაში. ასე წარმოგვიდგება: „მაისტა ცეცხლი“ (გვ. 288), „მთვრალია ცეცხლით“ (გვ. 297), „გაუნელებელი ცეცხლი“ (გვ. 298), „ცეცხლის ვარდები“ (გვ. 304), „ცეცხლი უგემური“ (გვ. 306), „ცეცხლი ფიქრიანი“ (გვ. 381), „ჩვენი მნათობი ცეცხლისფერია“ (გვ. 382) და ა.შ.

გამორჩეულად ძვირფასია ცეცხლის ემიგმა გალაკტიონის ლირიკაში. აი მხოლოდ ერთი მაგალითი:

დღეთა კარებთან ვდგევარ წუხილით,
ელვამ აანთო ცეცხლის ბუგრები,
ცა მემუქრება ჭეჭა-ქუხილით,
მე დამუწვებით ცას ვემუქრები.
ელვამ აანთო ცეცხლის ბუგრები,
ხანჯლებს დავფარავ ისევ იებით,
მე მტერს იმავე ხმით ვემუქრები,
რომ მოვა ჩემთან მონანიებით.
(ტაბიძე 1973: 343)

არ დავივიწყოთ, რომ ეს ლექსი — „დღეთა კარებთან ვდგევარ წუხილით – 1927 წელს არის დაწერილი!

მკითხველი ნახავს, რომ ამ ეტიუდში „ცეცხლს“ როგორც ღვთის სახიმეტყველების სიმბოლოურ ხატზე, არაფერს ვამბობთ. რატომ? — პასუხს მოგვიანებით შემოგთავაზებთ.

დიახ, გალაკტიონთან „ცეცხლის მზე“ ისევე „მოქანავე“ სიმბოლოა, როგორც ბევრი სხვა. აი, თუნდაც „დასისხლული მზე“ („მთანმინის იქით დასისხლულმა მზემ ბინა ჰპოვა, არ არის შველა“... გვ. 136). როცა არ არის შველა, მეტია მსხვერპლი, მე-

ტია სისხლიც დასისხლული მზე! – თუ გარედან შევხედავთ, მოგვეწონება კალმა-ხივით წითელი ჭორფლი, მაგრამ შევიხედოთ ენიგმის შიგნით და უთუოდ დავინახავთ თვით მზის მხედრულ მეზრძოლეობას, სინამდვილესთან მის შეურიგებლობას, ადამიანთან ერთად ბარკადებზე მისი ყოფნის მუდმივობას.

გალაკტიონის სიმბოლოზმს მზე ყველა სიმაღლეზე ზევით აჰყავს ლექსიკურ წყვილებში — „მზეო თიბათვისა“ და „მზეო მარიამ“. პირველი უსათაურო ლექსის დასათაურებაა, მეორე კი ლექსის — „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ — პირველი ტაეპის მეორე ნახევარი.

ღვთისმშობლის — წმინდა მარიამის პოეტური ხილვა, მსოფლიო თუ ჩვენს მწერლობაში, ახალი არ გახლავთ. აქ თუნდაც დავით გურამიშვილის პოეტურ შედეგებზე ცნობერი თვალის ერთი გადავლებაც იკმარება. ტ. მოსია, აჯამებს რა „დავითიანში“ პოეტის მიერ მარიამ ღვთისმშობლის სახისმეტყველების ნიმუშებს, შენიშნავს: „მარიამ ღვთისმშობლის პერსონიფიკირებას „დავითიანში“ თავისი საფუძვლები ჰქონდა. ამათგან უპირველესად ის ფაქტი უნდა აღინიშნოს, რომ, ქართველთა წარმოდგენით, საქართველო სწორედ მარიამ ღვთისმშობლის ნილხვდომილი იყო“, დ. გურამიშვილმა „ერთგვარად ისიც დაამტკიცა, რომ მითების უმრავლესობის საფუძველი რეალური სინამდვილეა“ — აქვე ბრძანებს მკვლევარი.

გალაკტიონის ორივე ლექსის ენიგმატიკა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში არაერთხელაა გათვალსაჩინოებული. 1918 წელს დაწერილ ლექსში „რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ღელვებს“ — გალაკტიონი იტყვის:

რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ღელვებს,
...მზე ამოდის აღმოსავლეთით,
მზე ამოდის არა ერთი და ორი“.
(ტაბიძე 1973: 146)

საინტერესო მხატვრული პოეტური პალიტრიტაა წარმოდგენილი, რაც მსოფლიოს თანამედროვე სინამდვილის ახლებურად შეცვლის საფუძველს წარმოადგენს. ამ წუთში შეუძლებელია, არ გაგახსენდეთ იმავე წელს პოეტის მიერ დაწერილი ლექსის „როგორ ეზრძოდნენ ზარები ზარებს“ ეპილოგური სტროფი:

ეს მე ვარ, მე ვარ, ეს მე ვარ, ქარი...
ვისვენებ ახლა, ვოცნებობ მზეზე,
ერთმევა ფერი ყვითელ არეებს
და მოკლული ვარ, როგორც აფთარი.
(ტაბიძე 1973: 147)

სტროფში თითქოს შეშენებულია შესაქმისეული წარმოსახვები. უხილავი „ქარი“ როგორ ქმნის ხილულ სამყაროს და შედეგად როგორ „ერთმევა ფერი ყვითელ არეებს“ — აქამდე მკვდარ სინამდვილეს; მისგან როგორ იქმნება ახალი, რომელიც თავისი გასაოცარი ხილვებით კლავს მანამდე მიუღებლად არსებულ რეალობას, როგორ სცვლის თვით ამავე სინამდვილის იერ-სახეს. ლექსის ეს სტროფი გვინდა მივიჩნიოთ მეტაფორა-გრანდიოზად, ზესრულ მეტაფორად, ქვესკნელისეული სიღრმის მქონე მრავალაზროვან ენიგმად.

პოეტისათვის მზე მრავალსახოვანია. მზე შეიძლება იყოს: „საპყარი მზე“, „საბჭოური მზე“, „ყვავილებში შეზრდილი მზე“, „მზე ლანდად ქცეული“, „მილიარდი მზე“ და ა.შ. გალაკტიონი იცნობს ასევე „მაღალსა და დიდ მზეს“, რომელიც, ამავე დროს არის „ბრწყინვალე ფრინველი“. პოემაში „ჯონ რიდი“ ათასნაირთა მიზეზთა გამო პოეტი იტყვის:

ქვეყანა კიდევ უფრო დაიმშვეა,
უფრო გაძლიერდება სიმწარე.
დაეკარგება სინდის ფასი
და ღვთიური ყველაფერი დაიკარგება,
დაინგრევა ყოველივე წმინდა.

მაშინ მაღალი და დიდი მზე ამოვა,
ბრწყინვალე ფრინველი,
მზე ამოვა და დაინახავს
განადგურებას. (ტაბიძე 1973: 264)

მაშინ უსუსურიც გაღონიერდება, ყველა გამამაცდება, ყველა თავისებურად გაძლიერდება, წინათ თითქოს მკვდარი და უბედური, მძლავრად დასძახებს – ალსდეგ!!!

აი, რა ძალას ფლობს „მაღალი და დიდებული მზე“, ოღონდ მთავარია მისი გამობრწყინება.

„ბრწყინვალე ფრინველის“ გამოჩენას უცდიდა დედამინა! მაშინ ეს იყო „ცეცხლისკენ“ თამამი სვლა გალაკტიონისა! მისთვის ამომავალი მზე ცხოვრება იყო. ბუნებრივად მოჩანს პოეტის სურვილი გასაოცარი:

მზეო, შემომინათე
თვალში შენი თვალები!
გულო, გამხიარულდი,
სულო, ნუ იმალები!
(ტაბიძე 1973: 580)

თვალში მზის თვალების შემონათება ყველაფრის დანახვის სურვილია და არა პირიქით - დაბრმავებისა. ამაზე მიუთითებს სტროფის მესამე და მეოთხე ტაეპი — „გულო, გამხიარულდი, სულო, ნუ იმალები!“

გალაკტიონის ლირიკაში გამორჩეულ ყურადღებას იქცევს ჩამავალი მზის ენიგმა (რაც, უთუოდ ცალკე შესწავლას მოითხოვს), ამჯერად კი, დაფიქრებისათვის, ორი უსათაურო ლექსი ავირჩიეთ. ესენია: „ჩამავალი მზის ფერადო კიდევ“ (1953) და უთარილო — „ქარი დასცხრა სიბობოქრის“.

პირველი — ათი, ხოლო მეორე – თორმეტტაიპედი. აი, ისინიც: პირველი:

ჩამავალი მზის ფერადო კიდევ,
ჩემს ხსოვნაში არ ნაშლილხარ კიდევ.
თითქოს იქ, შორს, სამი დღეა იწვეს
მშვენიერი მწვერვალები წინივის.
ვეკითხები ხეთა შენთა ფოთოლს:
რამემ ასე უნდა შეგაშფოთოს?
ეს უბრალო საღამოა მთაში,
მართლა ცეცხლი რომ აინთოს, მაშინ?
ჩამავალ მზის ფერადების მორევს
იგი ცეცხლი შორით უამბორებს.
(ტაბიძე 1973: 419-420)

მეორე:

ქარი დასცხრა სიბობოქრის,
შავი ზღვიდან სიო მოქრის;
მე გიცქერი როგორც ოქროს,
ჩამავ მზეს, ჩამავალს...
მე გიცქერი, როგორც ქარვას,
შორიშორად ფიქრით წარვალს,
თან გაატანს ქართა ქარვას
ჩამავ მზეს, ჩამავალს...
ო, ფიქრებო, მსვენო ტაძრად,
ო. ქვეულნო მტვრად და ნაცრად,
რად მიჰყვებით ასე მკაცრად
ჩამავალ მზეს, ჩამავალს?
(ტაბიძე 1973: 570)

ორივე ლექსის ლეიტმოტივი და სახისმეტყველებითი ქვაკუთხედი ერთი და იგივეა – ჩამავალი მზე, რაც პოეტის სულის გარდასახვაში იძენს შინაარსს. დღეს გალაკტიონოლოგიაში დომინირებს აზრი იმის შესახებ, რომ „ჩამავალი მზე“ გალაკტიონის მეტაფორაა (ვ. ჯავახიძე, ი. ორჯონიკიძე) აზრს უფრო მეტად მეორე ლექსი („ქარი დასცხრა სიბობოქრის“) წაადგება, ვიდრე პირველი („ჩამავალი მზის ფერადო კიდევ“). ენიგმის საყრდენ სიმბოლოთა მოხელთება ადვილი არაა. აქ, ზოგჯერ, იმდენი რამ ცდილობს პირველობას, რომ გიჭირს რომელიმეს უცებ ჰკიდო ხელი.

ვცადოთ პირველი ლექსის მეორე ორტაეპედის სტროფის ენიგმათა გაშიფვრა. ეს გახლავთ – „თითქოს იქ, შორს, სამი დღეა ინვის მშვენიერი მწვერვალები წინვის“.

მთელი სტროფი რთული მეტაფორების კრებულია: რას უნდა ნიშნავდეს „წინვის მწვერვალები“? „სამი დღე“, „მშვენიერი მწვერვალები“, „იქ, შორს“? – და ა.შ. ენიგმათა ასეთი მოზღვაება, უთუოდ აძნელებს ყველაფერზე ერთბაშად პასუხს.

ვცადოთ ზოგი მათგანის კარის მოძებნა:

პირველი – რას უნდა ნიშნავდეს „მწვერვალები წინვის“? – ბევრი მცენარეა წინვოვანი. ჩვენ ნაძვი ავირჩიოთ. ნაძვი რომ წმინდა ხეა, ვიცით. თუ ნაძვის კენწეროებს ჰორიზონტის ფონზე გახედავთ, თვალწინ დაგიდგებათ მარადმწვანე ჯვართა რიგი. აქ ყველა ჯვარი ცისკენ მიიღვრის.

მეორე – რა აზრი უნდა იყოს ჩადებული ენიგმაში „სამი დღე“? – ვფიქრობთ: ლექსი 1935 წელს არის დაწერილი. კიდევ მიმდინარე და მომდევნო ორი წელი და ქვეყანაში საჯაროდ დაიწყება საშინელი 1937. ჯერ მხოლოდ დამწვარი ადამიანების სუნი დგას;

მესამე – „იქ, შორს“ – უნდა იგულისხმებოდეს რუსეთი, სადაც იმ 1937-ში ჩვენი ეროვნული ტრაგედიის მესაჭენი ისხდნენ, სადაც იჭედებოდა ქართული კულტურის, ქართველი დიდი ინტელიგენციის, ქვეყნის ანმუსა და მომავლის უბედო ბედი.

მეოთხე – გალაკტიონი ამბობს: „თითქოს იქ, შორს“... „თითქოს“ ჩვენს ენაში „ნაწილაკია, აღნიშნავს იმას, რაც სინამდვილეში არ არის, რაც ჰგავს, მოგვაგონებს რასმე“ (ქეგელ 1986:41) მართლაც, ნაწილაკი ნაწილაკად, ფაქტი კი ფაქტად? იქ, შორს სხედან სისცილით იუდას მეკავშირენი, 1937-ს რომ ჭედენ, რაც „ჰგავს, მოგვაგონებს რასმე“.

და, მართლაც, პოეტის ალლო მალე სინამდვილედ იქცა – ქვეყანაში ბოროტების ვულკანის ლავა ცეცხლი გადმოიღვარა.

ზემოხსენებული, ვგონებთ, მთელი ლექსის ლეიტმოტივი უნდა იყოს. „მზის ფერადი კიდე“ – ალბათ, გალაკტიონის მთელი ცხოვრების შემკრებლობით ხატი – მეტაფორაა. მაშინ, შუადღის ზენიტზე მდგარი „ჩამავალი მზის“ შრიალში ილეოდა დღე, რასაც პოეტის სიხარული თუ ფიქრი მიჰქონდა-მოჰქონდა, მაგრამ მაშინ ცეცხლოვან გულს თავისი სადარდელი ჰქონდა. ვერდაჩოქილებისა და ვერნაქციევის სურვილი ყოველთვის არის, მაგრამ ამ გზაზე შემართებისა და შეტევის მცდელობა მაინც მთავარია (ასე რამემ უნდა შეგაშფოთოს?“ „მართლა ცეცხლი რომ აინთოს, მაშინ?!“)

დიდია იმ რალაცის მოლოდინი. რისი ენიგმა შეიძება იყოს ის რალაც? პასუხი ბევრნაირი იქნება და, ალბათ, ასეთიც – ნითელი დიქტატი ასეთი დიქტატურით შორს ვერ წავა! „უწყინარი“ და „უჩინარი“ პოეტისაგან კი შორს იყო სახელმწიფო პოლიტიკაში „ხელის რევა“!.. ვკითხულობთ ლექსს და მყარად გვჯერა: „ჩამავალი მზის“ პოეტურ მუშათა მორევსა თუ ოკეანეს ისევ შეუძლია აბობოქრება, რამეთუ ამ დიდებულ მნათობს „იგი ცეცხლი შორით უამბორებს“.

ლექსი ენიგმათა ოკენეა ლამის!..

ვირწმუნოთ, რომ გალაკტიონი სიცოცხლის ბოლომდე მართლაც დარჩა დაუნაწევრებელ გალაკტიონად.

ლექსში „ქარი დასცხრა სიბობოქრის“, უფრო თვალში საცემია ბობოქარი გალაკტიონის „ჩამავალი მზისეულობა“. ლექსისათვის შეიძლებოდა საკუთარ თავთან მონოლოგი გვენოდებინა, მაგრამ აჯობებს ვთქვათ: პოეტის მეორე პოეტურ „მე-სთან საუბარი, ბასი, რასაც თან ახლავს წლებით დახუნძლული ავტორის მშვიდი მონოტონი, რაც თითქმის მხოლოდ ლექსის მესამე ხანაშია კინალამ დარღვეული.

ლექსის შეზღუდული ნარატივი ასეთიც შეიძლებოდა ყოფილიყო: მიდის ოქროზე უფრო ძვირფასი შემოქმედებითი ცხოვრება; ძალიან შორს მიექნებიან ფიქრები

ისევე; იმ ქარებს სხვა მუხლი ჰქონდათ: ტაძარი იყო სხეული მისი, სადაც ესვენენ მხოლოდ ტაძარში დავანების ღირსი ფიქრები, რომლებიც გარდასულ წელთა გამო მტვრად და ნაცრად ქცეულნი (რაშიც გალაკტიონს ძეხორციელი ვერ დაეთანხმება!) ახლა თავაუღებლად, მორჩილად მიჰყვებიან ჩამავალ მზეს.

ჯერ არვინ იცის თუ როდის დაინერა ლექსი „ქარი დასცხრა სიბობოქრის“. იმის უტყუარი ვარაუდი კი შესაძლებელია, რომ პოეტური შედევრი სიცოცხლის ბოლო წლებში იყოს შექმნილი.

უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამაა: ორივე ლექსში აშკარაა, რომ ფიქრთა ოკეანეში ჩაძირული პოეტის სულის შფოთვის დეციბელი არ აქვს.

ენიგმა — „ჩამავალი მზე“ გალაკტიონის მეტაფორააო, ბევრი ირწმუნებს, ბევრიც ჭოჭმანით შეხედავს ნათქვამს და ტაეპის ახალ „გახსნას“ შემოგვთავაზებს. ჩვენ არ გვაინტერესებს აკაკი ბაქრაძის გამოთქმა: „რამდენადაც მეტი წაიკითხავს თავისებურად, იმდენად დიდია მწერალი, იგი ყველას აძლევს საკვებს“ (გალაკტიონოლოგია 2002: 174).

თუ გალაკტიონის მკითხველთა ლაშქარს სასმელად არ ეყოფა პოეტის შემოქმედება — „ზღვა ატლანტიის“, თუ იმავე ლაშქარს „სადგომად არ ეყოფა სივრცე ხმელეთის“ (ტაბიძე 1966: 206), მაშინ ასწილ გაადვილდება (!) „მზის ჩაუვალობის“ მითოსის ცოდნა და დარჩება „ჩამავალი მზის ნაყოფიერ მინდვრის ნუგეშად“ ღვთაებრივი გალაკტიონი!

პოეზია ცხოვრების თავისებურებათა ხილვებია უპირველესად. პოეტი სხვანაირად ხედავს იმასვე, რასაც მე და თქვენ ვხედავთ. ლექსი ამ პოეტურ ხილვათა მონაწიურია. ცხოვრება თვითონ ქმნის პოეზიას. პოეტი მხოლოდ ფერთაამწყობია. ახლა უკვე ფერთა დალაგება-შეხამებისა და თვით ენიგმის შინაარსის ცოდნა მთავარი. თუ ეს არ არის, მაშინ ნაქსოვ-ნაქარგი რაღაც უფერული და უსახო რამ გამოვს.

ენიგმათა სიმრავლეს პოეტური თხზულება გამორჩეულ სიმაღლეზე აჰყავს. აქ წყდება ტექსტის ავ-კარგიანობა, მისი სახეობრივი სივრცე და მოცულობა.

გალაკტიონის მზეს სხვარიგის სიტბო თუ ბრწყინვალეობა ახლავს. მართალია, აქ ბევრია მწუხარება, ტკივილი, სევდა, ნათელია მზეთა მრავლობა, მაგრამ ყველაფერს თავისი საწყისი, მიმდინარეობა და სისრულე აქვს, რამეთუ ყოველივე ცხივრების წესით არის განსაზღვრული. რეალობა და მისი აღქმის ფილოსოფიური ხედვა გალაკტიონს არასოდეს აკლდა, რაც ერთხელ კიდევ თვალსაჩინო ხდება ლექსში „ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა“ (1925 წ.). ცხადია, „ორი სტიქიის“ „ძველი“ და „ახალი“ საზოგადოებრივი ურთიერთობების მხატვრული ხატი უნდა იყოს. მათი შემრიგებელ-მომრიგებელი რომ ვერ იქნებოდა გალაკტიონი, ესეც ნათელია! აქ სინამდვილის ხედვის ფილოსოფიური ხილვაა ენიგმური შესაძლებლობებით დაძლეული. ლაყვარდი გახსნილა და გამოჩენილა „მზე უდაბნოის მახურებელი“. და აქვეა უამრავი „სხვა“ მზე, რაც გალაკტიონის მრავალი ენიგმის გაერთმნიშვნელობის ცდად მიგვაჩნია:

მზეებო, ღრუბლებს სხივებით ვარცხნით,
მზეებო, რამდენ ალივით ღვივით,
მზეები მარჯვნივ, მზეები მარცხნივ...
რამდენი მზეა, რამდენი სხივით.
(ტაბიძე, II, 1966: 194)

ცხოვრება ბრძოლა! მართლაც, ეს ქვეყანა არაფერია, გარდა ერთისა – ბოროტის ჭიდილი კეთილთან და ... მაინც კეთილის გამარჯვება. გალაკტიონის მიხედვით, ხსენებული „მზეებიდან“ ქვეყანას

ერთნი დასცქერენ ცის სიმალიდან,
ჯოჯოხეთიდან ცას – მეორენი;
ანგელოსები პირველთ ვერ ღლიდენ,
ვერც დანარჩენებს შავი ყორანი.
(ტაბიძე, II, 1966: 194)

ამ მეტად რთული დილემიდან არჩევანი ერთადერთია – კერძო ადამიანის სიცოცხლე დასრულებადია:

არავის ქვეყნად მე არ ვცემ თაყვანს,
მაგრამ ერთია ორივე ჩრდილი,
თუ ანგელოსი გირწევდა აკვანს, -
შემდეგ დემონად მოვა სიკვდილი.
(ტაბიძე, II, 1966: 194)

ყველაფერი იწყება და მთავრდება. მერე ისევ სანყისი და ისევ სასრული – ასეთია ცხოვრების ჯარას ტრიალის ბუნება. გალკტიონმა კარგად უწყოდა, რომ „მზის სხივივით ცეცხლში ვცხოვრობთ, ცეცხლში ვდნებით“ (ტაბიძე 1966: 206)

გალაკტიონი ახალი ცხოვრების ჯარისკაცი იყო. „ახალი ეპოქის ვარ მე მხედარიო“, — წერდა 1928 წელს. ეს ის მხედარია, ვისაც შეუძლია ეპოქის მზის მაგია გაითავისოს. ახლა „მშვენიერი სუნთქვით სუნთქავს მზეთა მაგია“ (ტ. III. გვ. 55). „მოქანავე სიმბოლო“ ბევრია გალაქტიონის 20-იანი წლების ლირიკაშიც. აქ მზესაც გამორჩეული შესაძლებლობა გააჩნია.

მაგია მზის და მაგია მთვარია
იყო ამ ქვეყნად, თუ აღარ არის.
(ტაბიძე, III. 1966: 75)

დრო ადამიანის, და მით უმეტეს პოეტის, მეტყველების შესაძლებლობათა ბარომეტრია. დრო არ იღლება, არც კვდება. ეს ყველაფერი თვითონ ვართ დროში.

ენიგმაც ამ დროის სივრცეში იჭედება.

ენიგმა იმის ენიგმაა, რომ გვითხრას არა ის, რაც უკვე ნავიკითხეთ ან მოვისმინეთ, არამედ სულ სხვა ან ბევრი რამ სხვა. ჩამავალი მზე – ფიზიკური ცნებაა, მაგრამ მისი ენიგმატიკური პოზიცია სხვა განზომილებას იძენს გალაქტიონის ტაეპში –

სხვაგვარ თიბათვის დღეებს იგონებს
ჩამავალ მზეთა მელანქოლია.
(ტაბიძე, ტ. II, 1966: 32)

სევდიანი მზე, ჩანს, ამ შემთხვევაში შორსაა მზის ფიზიკური, სხეულებრივი რეალობისაგან. თიბათვის მზეს გალაქტიონი სხვაგანაც სხვაგვარად უმღერის:

მზეო თიბათვისა, ყოფნად უმზეო!
მზე მიიცვალა ღია თვალებით!
ის მიიცვალა რალაც უმნეო
და საოცარი გარდაცვალებით.
(ტაბიძე, ტ. II, 1966: 26)

მკვლევარები მიუთითებენ, რომ ეს ლექსი („მას გახელილი დარჩა თვალები“) ღვთისმშობლისადმი უნდა იყოს მიძღვნილი. ამ აზრის სრულყოფა უფრო მეტად დაეით გურამიშვილის სახისმეტყველების სისტემის დამონშებითაა შესაძლებელი, სადაც ღვთისმშობელი მზის პოეტიკითაა ფიქსორებული. როგორც ირკვევა „ჩამავალ მზეთა მელანქოლია“ მზის მიცვალების პერსონიფიცირებით უფრო გამორჩეულად შთამბეჭდავი და ყოვლისმომცველი პოეტური ენიგმაა, ვიდრე მარტივად „მზის ჩასვლა“.

გალაკტიონის ლირიკაში, მართალია, მზე მრავალათეული სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ, მიუხედავად სიმრავლისა, უფრო გამორჩეული, ღრმა და ყოვლისმომცველი მაინც „ჩამავალ მზეთა მელანქოლიაა“, რასაც თან სდევს ათასნაირი დიდი თუ პატარა სევდა.

ჩამავალი მზის სახისმეტყველებას გალაკტიონი ხშირად მიმართავს. გარდა ზემოთქმულისა, ბევრია ასეთი პოეტური მომენტი: „ჩამავალ მზეზე კანკალებს მათი (ფანჯრის) ჩრდილები“ (ტ. II. გვ. 51) და ა.შ.

ამომავალი მზე ზოგჯერ სემანტიკუარდ „ჩამავალ მზის“ იდენტურია. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს ემოციას, რომელიც ახლა ამ ენიგმაშია ჩადებული. პოეტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენის პოეტური ხატი უნდა იყოს 1930 წელს დანერილი გალაკტიონის ერთსტროფიანი ლექსი:

ქუხილო, გელით!
მენტან ვიბრძოლებთ,
გამოექანე,
ზვირთი დასძარი!
გვახსოვდეს: დილით მზე
ამოდიოდა,
მკედარი მზე, შენ კი
ამოასწარი.
(ტაბიძე III. 1966: 224-225)

პოეზიაში ყველაფერი მეტყველებს, ყველაფერს საოცარი სუნი და გემო აქვს. მზის ჩასვლა — მზის ჩაგორებაა, რასაც წელან მზის მიცვალება ერქვა, რასაც შემდეგ მზის ჩასვენება დაერქმევა.

მე ვუყურებ შემკრთალ შუქებს,
მიდის, მზე ესვენება.
(ტაბიძე, IV. 1966: 236)

პოეტისათვის უცხო არ არის „მთვლემარე მზის“ ხილვა:

მზე კარებთან თვლემს,
მოტეხილი თხემს.
(ტაბიძე, VI, 1966: 206)

მთვლემარე მზის სიმბოლოკას უფრო მეტად ააქტიურებს თხემის ნატეხი მზის წარმოსახვა. ასეთი მზე, ცხადია, რალაცის ანალოგიაა, რაც სარულყოფის იდენტური ვერ იქნება. მიუხედავად ამისა ამ ნატეხს მთელის ყველა ნაშთი თან ახლავს, რითაც იგი ჯერ ისევ მზეა.

მზე კი არ ჩავიდა, არამედ ჩაიშალა. ფონისა (მაგალითად, ტყის) და ფიგურის (ამჯერად მზის) ერთად მყოფობა დაისის ჟამს მართლაც მზის ნაწილ-ნაწილ დაშლილს განცდას გვიცხოველებს და იქმნება შთაბეჭდილება: მზე ტყის იქით ნაწილ-ნაწილ, დაშლილი ჩადის. ყოველივე ეს ფაქტის პერსონიფიცირების მხოლოდ პოეტური შესასძლებლობაა. მართლაც:

შეხედე, როგორ არის ჩასკვნილი
ამ მთების ჩრდილი და ჩაის ჭალა.
ჩამავალ მზეა უკანასკნელი
და სისხლისფერი მზე ჩაიშალა.
(ტაბიძე, ტ. VII, 1966: 218)

ამბობენ, რომ გალაკტიონი 8000-მდე ლექსის ავტორია. თითოეული მათგანი გალაკტიონის მზეა. მზე რომელიც არ ქრება, არც ნათელი აკლდება, არც იბინდება.

დამონებიანი:

გალაკტიონოლოგია 2002: გალაკტიონოლოგია. ტ. I. თბ.: 2002.

ტაბიძე 1966: ტაბიძე გ. თხზულებათა სრული კრებული თორმეტ ტომად. ტ. IV. თბ.: 1966.

ტაბიძე 1973: ტაბიძე გ. რჩეული. თბ.: 1973.

ქეგლ 1986: ქეგლ. თბ.: 1986.

MERAB GHAGHANIDZE

Georgia, Tbilisi

Ilia State University

Totalitarianism, Carnival, Carnivalisation

Michail Bakhtin's theory of Carnival was elaborated in the epoch of the classical bolshevism, but it took the definite mode in the period of "classicistic" Stalinism: from the beginning of 30's there was not forbidden classical culture; from the end of 30's the scale of the Stalinist terror was reduced; from the beginning of 40's stops the total war against of the religion and the Church.

In this period the ideas of Bakhtin's are not adequate to State ideology. This makes clear, why these radical antihumanistic, anticultural and anticlerical ideas were not supported by Stalinist state.

Keywords: Carnival; Literature; Totalitarianism; Stalinism.

მერაბ ღაღანიძე

საქართველო, თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტოტალიტარულობა, კარნავალი, კარნავალიზაცია

ბახტინი ანტისტალინური კი არა,

სწორედ სტალინური მოვლენაა...

*სერგეი ავერინცევი — მიხაილ გასპაროვს
(მიხაილ გასპაროვი, ჩანაწერები და ამონაწერები, 2000)*

მიხაილ ბახტინის (1895-1975) გარდაცვალების შემდეგ, რაც დრო გადის, სულ უფრო ცხოველდება კამათი მისი სულიერი მემკვიდრეობის გამო. ბახტინის შემოქმედება თავისი ინტერესებითა და თემატიკით, რა თქმა უნდა, არ თავსდება ოდენ ლიტერატურის ან თუნდაც კულტურულ-ანთროპოლოგიურ კვლევათა ფარგლებში, მაგრამ დღემდე საკამათოა მისი თეორიული ნააზრევის კუთვნილების საკითხი: ეკუთვნის ის კერძო ჰუმანიტარულ მეცნიერებებს თუ განზოგადებულ ფილოსოფიურ განჭვრეტებს, მემარცხენე თუ მემარჯვენე საზოგადოებრივ-კულტურულ მიმდინარეობას, ლიბერალურ თუ კონსერვატიულ მსოფლმხედველობრივ ფრთას, აღმოსავლურქრისტიანულ თუ იუდაურ რელიგიურ ტრადიციას, მარტინ ბუბერის ფილოსოფიურ მიმდევართა წყებას თუ რუსული რელიგიურ-ფილოსოფიური „აღორძინების“ ფართო წრეს, გნოსტიკურ-ოკულტურ ძიებებს თუ, საერთოდ, ანტიქრისტიანულ, ღმრთისმებრძოლურ აზროვნებითს ნაკადს...

ბახტინის მემკვიდრეობის შესახებ ამ კამათებსა თუ დაპირისპირებებში, მსჯელობათა და განსჯა-განაზრებათა შორის უყურადღებოდ არაა დატოვებული არც ბახტინისეული განხაზურებული კონცეფცია კარნავალისა და კარნავალიზაციის შესახებ, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით გახდა საზოგადოებრივად გავრცელებული და ცნობილი, ფაქტობრივად, ქრონოლოგიურად სტალინურ-საბჭოური ტოტალიტარიზმის ხანაში ჩამოყალიბდა.

ბახტინის მოძღვრება შუა საუკუნეთა და რენესანსული კარნავალისა და მისი ადგილის, მნიშვნელობის, წარმოშობისა და განვითარების შესახებ იმდროინდელ, ადრეულ თუ მომდევნო ხანის კულტურასა და ლიტერატურაში ყველაზე ფართოდ (თუმცა არა ამომწურავად) გადმოცემულია მკვლევრის ვრცელ ნაშრომში ფრანსუა რაბლეს შესახებ, რომელიც ძირითადად იწერებოდა XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულში, — არამარტო სტალინური რეჟიმის, არამედ, ზოგადად, მსოფლიოში

ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემების აღზევების დროს. ნაშრომზე მუშაობა ავტორმა 1940 წლისათვის დაასრულა, ხოლო შემდგომში ის დისერტაციის სახით იქნა დაცული 1946 წელს, ცალკე წიგნად კი — სახელწოდებით „ფრანსუა რაბლეს შემოქმედება და შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხალხური კულტურა“ — პირველად 1968 წელს გამოქვეყნდა, ისიც ხანგრძლივ და მძიმე იდეოლოგიურ-საგამომცემლო დაბრკოლებათა გადალახვის შედეგად. სწორედ ამ წიგნში მიეცა საბოლოო სახე კონცეფციას კარნავალისა და მის გამოვლინებათა შესახებ, უწინარეს ყოვლისა, ლიტერატურაში და, აგრეთვე, ზოგადად, კულტურაში, რასაც მკვლევარი „კარნავალიზაციას“ უწოდებს (მანამდე, უფრო მოკლე სახით, ოდნავ სხვაგვარად და განსხვავებულად ეს თვალსაზრისი გადმოცემულია დოსტოევსკის შესახებ მონოგრაფიის მეორე, გადამუშავებულ გამოცემაში — „დოსტოევსკის პოეტიკის პრობლემები“, 1963. ბახტინის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევართა აზრით, იგი არ იყო დარწმუნებული, რომ შეძლებდა გამოქვეყნებინა წიგნი რაბლეს შესახებ და ეს ახალწართული საგანგებო მონაკვეთი, სადაც წამოჭრილია კარნავალისა და კარნავალიზაციის თემა, ამიტომ აღმოჩნდა წიგნში დოსტოევსკის შესახებ).

„კარნავალიზაცია“, როგორც ცნება, თავად ბახტინის შექმნილია და მის მიერაა შემოტანილი ლიტერატურისა და კულტურის კვლევებში. მკვლევრის სიტყვებით, „თავად კარნავალი [...], რა თქმა უნდა, არაა ლიტერატურული მოვლენა. [...] მისი ენა შეუძლებელია გადავიტანოთ რამდენადმე სრულად და ადეკვატურად სიტყვიერ ენაზე, მით უმეტეს, განზოგადებულ ცნებათა ენაზე, მაგრამ ის, კონკრეტულ-გრძობადი ხასიათის გამო, ექვემდებარება გარკვეულ ტრანსპონირებას მისთვის მონათესავე მხატვრული სახეების ენაზე, ესე იგი, ლიტერატურის ენაზე. კარნავალის ამ ტრანსპონირებას ლიტერატურის ენაზე ჩვენ სწორედ კარნავალიზაციას ვუწოდებთ“. ამ თვალთახედვით, „კარნავალიზაცია“ მსჭვალავს და განსაზღვრავს მრავალი სხვადასხვა ლიტერატურული ტექსტის შინაარსსაც და სტრუქტურასაც. აღსანიშნავია, რომ შემდგომში ბახტინის შეხედულებებმა შესამჩნევი გავლენა მოახდინა თავად ლიტერატურულ თუ კულტურულ შემოქმედებასა და შემოქმედებზე.

ღირსშესანიშნავი და გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიუხედავად წიგნის თემატიკის, ერთი შეხედვით, შეზღუდული ჩარჩოსი — ფრანსუა რაბლეს შემოქმედება და მისი წყაროები, გარემო თუ გავლენები — ავერინცვის სიტყვებით, „ბახტინი რაბლეს სულაც არ იღებს როგორც ამა და ამ ათწლეულთა ინდივიდუალურ ავტორს, არამედ როგორც უნივერსალურ ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიურ პარადიგმას“.

ნაშრომის გამოქვეყნებისთანავე (და შემდგომ სხვადასხვა ენებზე თარგმნის წყალობით) ბახტინის იდეებს ფართო, — უმეტესად არა მარტო დადებითი, არამედ აღფრთოვანებული, — გამოხმაურება ხვდა წილად იმდროინდელ საბჭოთა კავშირშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ბახტინისეული კარნავალი ხშირად — იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად — შეფასებული იყო შეფარულ პროტესტად კომუნისტურ-საბჭოური ტოტალიტარიზმის მიმართ. საყურადღებოა, რომ კომუნისტური რეჟიმის ქვეყნებში თუ მის საზღვრებს მიღმა ბახტინის კონცეფცია არცთუ იშვიათად აღიქმებოდა როგორც ოპოზიციური ალტერნატივა, რომელიც უპირისპირდებოდა არა მარტო საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობის დადგენილ და მიღებულ საზღვრებს, არამედ მთლიანად, ოფიციალურ კომუნისტურ-პარტიულ იდეოლოგიას...

ამასთან ერთად და მიუხედავად ამისა, კრიტიკა ბახტინის ლიტერატურულ-ფილოსოფიურ შეხედულებათა და, კერძოდ, კარნავალისა და „კარნავალიზაციის“ კონცეფციის მიმართ ადრევე გამოითქმოდა და ახლაც გამოითქმის როგორც პროფესიული დამოკიდებულების, ისე მსოფლმხედველობრივი პოზიციიდან: ვიკტორ შკლოვსკის მიაჩნდა, რომ რაბლეს შემოქმედების თუ კარნავალის ბახტინისეული ანალიზი არაადეკვატურად შორსაა თავად ტექსტისა და კონტექსტისაგან და, ამდენად, სრულიად აისტორიულია; მიხაილ გასპაროვი, სხვა აკადემიურ (უფრო სწორად, არაკადემიურ თუ ანტიაკადემიურ, ანტიფილოლოგიურ) ცდომილებათა გარდა, ბრალს სდებდა ბახტინს მემარცხენე დესტრუქტივიზმსა და „ღირებულებათა ნიჰილისტურ გადარჩევაში“; სერგეი ავერინცვის აზრით, ბახტინი პასუხისმგებელი იყო კარნავალის მეცნიერულ მითოლოგიზებაში, რაც, სხვა თუ არაფერი, შუა საუკუნეთა რელიგიურ-კულტურული კონტექსტის გაუთვალისწინებლობასა და რელიგიურ უგრძ-

ნობლობას ემყარებოდა; შუა საუკუნეთა კულტურისა და, კერძოდ, კარნავალის მცოდნეთა თვალსაზრისით, ერთი მხრივ, რეალური კარნავალი, — რელიგიური დღესასწაული, რომელიც ევროპაში დიდი მარხვის წინა კვირაში, ყველიერისას, აღნიშნება, — და, მეორე მხრივ, ბახტინის მიერ უშურველი მხატვრული ოსტატობით აღწერილი კარნავალი იმდენად შორია ერთმანეთისაგან, რომ შესაძლოა ლაპარაკი ორი სრულიად განსხვავებული კულტურული მოვლენის შესახებ. მაგრამ პროფესიულ საყვედურთა გარდა, ბახტინის ნააზრევის წინააღმდეგ მიმართული იყო კრიტიკა, აგრეთვე, რელიგიურ-სულიერ განზომილებაში: თუ არონ გურევიჩი მხოლოდ გაკვირვებითა და მსუბუქი დამუნათება-ირონიით აღნიშნავდა, რომ ბახტინის 600 გვერდიან წიგნში შუასაუკუნეობრივი და რენესანსული კულტურის შესახებ ერთხელაც არაა ნახსენები ღმერთი, ალექსეი ლოსევი, ჯერ ისევ კომუნისტური რეჟიმის ხანაში, ბახტინის თეორიის მოკლე და ირიბ, მაგრამ მძაფრ საკუთარ კრიტიკას (შერწყმულს რაბლეს ბახტინისმიერი განდიდების სრულ მიუღებლობასთან) აგვირგვინებდა რაბლეს ბრალდებით „სატანიზმში“ (რაბლეს სიცილი, მისი თვალსაზრისით, სატანური სიცილია, ხოლო რაბლეს რეალიზმი — სატანიზმი!); თანამედროვე თეოლოგი და კულტურის მკვლევარი ნატალია ბანიცკაია კი პირდაპირ და ამკარად ბრალს სდებს ბახტინს, რომ მისი წიგნი რაბლეს შესახებ განმსჭვალულია „სატანიზმის პარპაშით“!

მაგრამ ამ ბოლო ხანს, ამასთანავე, გამძაფრდა კარნავალისა და „კარნავალიზაციის“ ბახტინისეული კონცეფციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრიტიკა. თუ ადრე უმთავრესად ეს მოძღვრება, თუნდაც ფილოსოფიური, თუნდაც ლიტერატურული თვალსაზრისით, აღიქმებოდა როგორც კომუნისტური თუ საბჭოური პოლიტიკური სისტემის უარყოფის კულტურული მცდელობა, ახლა უკვე სხვადასხვა მხრიდან რამდენიმეგზის გამოითქვა შეხედულება, რომ ბახტინისეული კარნავალი ასახავს სახელმწიფოსა და საზოგადოების სტალინურ მოდელს და, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ემსახურება მის იდეოლოგიას. ბახტინის თეორიის კრიტიკოსებს (რომელთა შორის ყველაზე მძაფრნი ბორის გროსი და მიხაილ რიკლინი აღმოჩნდნენ), მიაჩნიათ, რომ ეს თეორია თავისი არჩევანითა და ღირებულებებით სწორედ რომ კულტურულად ამართლებს და თეორიულ-მხატვრულად ამკვიდრებს იმ სტალინურ ტოტალიტარიზმს, რომელიც საბჭოთა კავშირში თუ სხვა კომუნისტურ ქვეყნებში ათწლეულების განმავლობაში ბატონობდა.

და მაინც, როგორია ბახტინის მიერ აღწერილი ან, უფრო სწორად, ბახტინის მიერ წარმოსახული კარნავალის იდეოლოგიური ან საზოგადოებრივ-კულტურული ორიენტაცია?

იმგვარი კარნავალი, როგორსაც დაუფარავი აღფრთოვანებითა და გატაცებით აღწერს ბახტინი, თავისი არსით, მისწრაფებით, მიზანდანიშნულებით მკაფიოდ უპირისპირდება რელიგიას (პირველ ყოვლისა, შესაბამის გარემოში დამკვიდრებულ ქრისტიანობას) და, კერძოდ, ყველაზე მეტად, ხაზგასმით, გამოხატულად — ეკლესიას, მის მოძღვრებასა და სულიერ ცხოვრებას, მის ღმრთისმეტყველებასა და ღმრთისმსახურებას. ბახტინის თვალსაზრისით, ეკლესია განუწყვეტილად, ყოველდღიურად თრგუნავს შუა საუკუნეთა და რენესანსის ადამიანის ბუნებრივ (უპირატესად, ვიტალურ-ფიზიოლოგიურ) მიდრეკილებებს, ხოლო სწორედ კარნავალის ხანმოკლე დროში, საყოველთაო თავაშვებულობის დღეებში ხერხდება ყოველგვარი რელიგიურ-საეკლესიო მორჩილებისაგან თავის დახსნა და შეუზღუდავი გამოვლენა იმ ხორციელ სწრაფვათა, რომლებიც სხვა დროს — კარნავალიდან კარნავალამდე — ჩახშობილი და დაჩაგრულია; ადამიანი კარნავალის გარემოში აღწევს გათავისუფლებას, რადგან იგი მხოლოდ იმ დროს და იქ თავისუფლდება რელიგიურ ან, ამდენად, ეკლესიის დანესებულება-დადგენილებათა შემბოჭველი ხუნდებისაგან.

კარნავალი, ბახტინისეული კონცეფციით, უპირისპირდება, უარყოფს და აუქმებს მიღებულ, ტრადიციულ კულტურას (რაც იმ ეპოქისათვის უთუოდ ქრისტიანული კულტურაა) და თავად აყალიბებს „კარნავალურ“ ანუ ხალხურ კულტურას. ეს კულტურა კი, რომელიც, ბახტინის წარმოსახვით, მეტწილად სხეულბრივი, მატერიალურ-ფიზიოლოგიური „ქვედას“ გამოვლინებას ემსახურება, ტრადიციული კულტურასთან და მის ღირებულებებთან, მის დადგენილ წესრიგთან მიმართებით ანტიკულტურაა. ამ „ხალხური კულტურის“ ანუ ანტიკულტურის მგზნებარე განდიდებას

ედღვნება ბახტინის წიგნის არაერთი მონაკვეთი. შემთხვევითი არაა, რომ თავად ეს ეგრეთ წოდებული „კარნავალური კულტურა“, რომელსაც ხალხის არაინდივიდუალიზებული მასა წარმოშობს და ქმნის, ამ კონცეფციაში უმაღლეს შეფასებას იღებს. ბახტინის თვალსაზრისით, სწორედ ეს კოლექტიური, უპიროვნო შემოქმედება წარმოადგენს თუნდაც რაბლეს, თუნდაც სერვანტესის, თუნდაც შექსპირის, თუნდაც დოსტოევსკის ამა თუ იმ ნაწარმოებთან წყაროსა და საფუძველს.

ბახტინის მოძღვრებით, კარნავალის გარემოში, მის დროსა და სივრცეში იშლება ზღვარი ზედასა და ქვედას, მაღალსა და დაბალს, ცენტრალურსა და მარგინალურს, ამაღლებულსა და დაცემულს შორის და, შესაბამისად, ძალას კარგავს, უფასურდება და ბათილდება ყოველგვარი იერარქიული წყობა. შედეგად, უქმდება სოციალური ფენები და ისპობა ყოველგვარი მიჯნები ამ ფენებს შორის, რითაც კარნავალი ამკვიდრებს მთლიანად გათანაბრებულ, სრულიად ეგალიტარულ საზოგადოებას, — თუმცა, ფაქტობრივად, გათანაბრებულს კარნავალური იძულების წინაშე. ამ შემთხვევაში ადამიანის მდგომარეობა არამყარია და იცვლება განუწყვეტლივ, უცაბედად, ნებისმიერად: ყოველთვისაა მოსალოდნელი აღზევებულთა დამხობა და დაბეჩავებულთა აღზევება. მაგრამ არა მხოლოდ ეს: კარნავალის დროსა და სივრცეში ადამიანი კარგავს არა მარტო თავის კუთვნილ საზოგადოებრივ-იერარქიულ ადგილს, არამედ თავის ინდივიდუალურ ყოფნასაც, ყოველივე კერძოსა თუ საკუთარს და უერთდება კოლექტიურ მთლიანობას, ეგრეთ წოდებულ „კარნავალურ სხეულს“, სადაც ადამიანის მდგომარეობასა და ქმედებას შეუზღუდავად განაპირობებს კარნავალში ჩართული ადამიანების ბრბო. ვინც არ მონაწილეობს ამ საკარნავალო დღესასწაულში, განუდგება და განერიდება მას, იგი ამ ბრბოს მიერ სასტიკად ისჯება...

ბორის გროსის სიტყვებით, „ბახტინი მიესალმება ყოველივე ინდივიდუალურის „საბოლოო სიკვდილის“ სწორედ კარნავალურ პათოსს, სუფთა მატერიალურის, სხეულებრივი პრინციპის გამარჯვებას ტრანსცენდენტურზე, იდეალურზე, ინდივიდუალურად უკვდავზე. მოკლედ, ბახტინისეული კარნავალი საშინელია — ღმერთმა ნუ ქნას, მასში აღმოჩნდე“. და კიდევ, ბახტინისეული კარნავალი თავისი მოზეიმე-გროტესკული განწყობით ამყარებს არა საზოგადოებას, სადაც ადამიანს პიროვნული თვითგამოხატვისა და თვითგამოვლენის საშუალება ეძლევა, არა ერთობას, რომელიც პიროვნების თავისუფალ არჩევანს ცნობს და აღიარებს, არამედ იმგვარ ტოტალიტარულ წყობას, სადაც მხოლოდ უნივერსალური კარნავალის ყოვლისწარმმართველი და ყოვლისმეთვალყურე ნება განსაზღვრავს ადამიანის მოქმედების შესაძლებლობასაც და მის ბედისწერასაც.

ამდენად, მოჭრით რომ ვთქვათ, ბახტინის თვალსაზრისით, კარნავალი უპირისპირდება ტრადიციულ რელიგიას (კერძოდ, ეკლესიას), ტრადიციულ კულტურას, ინდივიდუალურ პიროვნებას. მისი ხედვით, კარნავალს მსჭვალავს და წარმართავს ანტირელიგიური და ანტიეკლესიური სულისკვეთება, კარნავალური ქმედება ანტიკულტურულია ანუ უარყოფს დამკვიდრებულ, ნორმატიულ, კანონიკურ კულტურას, კარნავალის გარემო ანტიჰუმანური და ანტიპერსონალურია, რადგან მასში მთლიანად დათრგუნულია ადამიანის თავისუფლება და ნება.

ამდენად, სინამდვილეში, რა იდეური თუ თემატური გადაძახილი შეიძლება მოიძებნოს ბახტინისეულ ტოტალიტარისტულ კარნავალსა და კომუნისტურ ტოტალიტარისტულ სისტემას შორის? ხოლო თუკი კარნავალისა და „კარნავალიზაციის“ ბახტინისეული კონცეფცია მართლაც შეესატყვისებოდა სტალინისტურ იდეოლოგიას, რატომ შეეჯახა მას ამდენად ძლიერი დაბრკოლება სტალინისტური სახელმწიფოს მხრიდან? რატომ არ იქნა გაზიარებული და ატაცებული ეს მოძღვრება სტალინიზმის ოფიციალურ წარმომადგენელთა ან მის მემკვიდრეთა მიერ?

კარგადაა ცნობილი, რომ კომუნისტური იდეოლოგია და ბოლშევიკური სახელმწიფო თავისი ჩამოყალიბების დღიდან უპირისპირდებოდა რელიგიას და თავის ერთ უმთავრეს მიზნად მიიჩნევდა მის განადგურებას, ხოლო საკუთარ კონკრეტულ გეგმად ეკლესიის საბოლოო მოშობას სახავდა; სხვადასხვა საშუალებით ებრძოდა ტრადიციულ კლასიკურ კულტურას, მით უმეტეს, თუ მასში სულიერ ან კეთილშობილ ზნეობრივ ნადილთა კვალი მაინც იყო აღბეჭდილი; მთელი მძვინვარებით ახშობდა ადამიანის პიროვნულ თავისუფლებას და მკაფიო უყოყმანობით აცხადებდა

როგორც საკუთარი მოძღვრების ერთ უმთავრეს პრინციპად, ისე საზოგადოების მშენებლობის საფუძველმდებ საძირკვლად კოლექტიურ ცნობიერებას, კოლექტიურ საკუთრებას, კოლექტიურ ცხოვრებას.

მარქსისტული ათეიზმის ღვთისმებრძოლურ მისწრაფებებს დაფუძნებული ბოლშევიზმი ფიზიკურად გაუსწორდა ეკლესიას და ამ სამკვედრო-სასიცოცხლო, სასტიკი, დაუნდობელი ბრძოლის შედეგად, 1930-იანი წლების დასასრულისათვის საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ეკლესიამ, ფაქტობრივად, შეწყვიტა არსებობა; აღსანიშნავი და ნიშანდობლივია, რომ ბოლშევიკური ღმრთისმებრძოლეობის საქმიანობის გაშლისას იქმნება საგანგებო ანტირელიგიური რიტუალები და დღესასწაულები, საზეიმო (ანტისაზეიმო) მსვლელობები და ქმედებანი, რომელთაც რელიგიური წესებისა თუ ადათების ჩანაცვლება და გაუქმება ეკისრება.

ფუტურისტული ორიენტაციის ანტიკულტურულ (ანუ, გვიანდელი ტერმინოლოგიით, „კონტრკულტურულ“) მოძრაობათა ტალღაზე კომუნისტური სახელმწიფოს შექმნისთანავე იწყება ტრადიციული, კლასიკური კულტურის არა მარტო უარყოფა, არამედ დევნა, აკრძალვა, განადგურება; იქმნება „პროლეტკულტის“ ტიპის ორგანიზაციები იმგვარი ახალი სახეობის კულტურის საქადაგებლად და გასავრცელებლად, რომლის მამოძრავებელი მუხტია დაპირისპირება და, საბოლოოდ, ყოველგვარი კავშირის განწყობა კლასიკურ კულტურულ მემკვიდრეობასთან.

კომუნისტურ იდეოლოგიას დამყარებული საბჭოთა სახელმწიფო დაფუძნებისთანავე უარყოფს საზოგადოებრივ განსხვავებებს, მდგომარეობებს, ფენებს, ხარისხებსა და ნოდებს (თუმცა, პარადოქსულად, დეკლარაციულად ამყარებს მხოლოდ ერთი ფენის უზენაესობას — „პროლეტარიატის დიქტატურას“, რაშიც ევფემისტურად უნიადაგო და უქონელი მასების ბატონობა იგულისხმება). რევოლუციურ-ბოლშევიკური მმართველობა მიისწრაფვის შექმნას საზოგადოება, სადაც ზედა და ქვედა, მაღალი და დაბალი, წარმმართველი და დაქვემდებარებული აღარ იქნება გამიჯნული ერთმანეთისაგან: ამგვარ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის იერარქიული ადგილი სოციალურ წყობაში, ბუნებრივია, უგულებელყოფილია; რაც მთავარია, სრულიად გაუფასურებულია ცალკეული, ინდივიდუალური ადამიანის ღირებულება; მთლიანად დათრგუნულია პიროვნების ნება და მისი არჩევანის თავისუფლება; ბოლშევიკები ადამიანს აღიქვამენ და აფასებენ არა როგორც ცალკეულ ინდივიდუალობას, არამედ ოდენ როგორც კოლექტიური მთლიანობის შემადგენელ ნაწილს; ამდენად, ესა თუ ის ადამიანი, ამ თვალსაზრისის მიხედვით, ეკუთვნის, წარმოადგენს და გამოხატავს მხოლოდ ამ მთლიანობას. ამავე დროს, კომუნისტური ტოტალიტარიზმი მიზნად ისახავს ცალკეული კონკრეტული ფენების დამხობას, დამცირებას, შემცირებას და, საბოლოოდ, გაქრობას... ამ ჩანაფიქრის კვალობაზე, რომელიც, ზოგადად, ადამიანის ამგვარად ხედვას ემყარება, არ წყდება ადამიანების უზარმაზარი რაოდენობით განადგურება კოლექტიური — ნათამაშები თუ გულწრფელი — მხარდაჭერისა და აღტაცების გარემოში. რეალური პიროვნული ტრაგიზმი კომუნისტური რეჟიმის პირობებში თამაშდება მასობრივი საჩვენებელი მხიარულების თანხლებით.

ყოველი ეს მახასიათებელი მიზანი თუ მახასიათებელი ქმედება, რომლებიც პრაქტიკულად განხორციელდა, ბოლშევიკური მოძღვრების თანახმად, კომუნისტური დიქტატურის დამყარების მომდევნო ორ ათწლეულში, 1930-ანი წლების მიწურულამდე, აშკარა გამოძახილს პოულობს იმ თეორიულ მოდელში, რასაც მიხაილ ბახტინი კარნავალურ სამყაროდ მიიჩნევს. ბახტინისეული ტოტალური და ტოტალიტარისტული კარნავალი — რამდენადმე გაცნობიერებულად, რამდენადმე გაუცნობიერებლად — ირეკლავს ტოტალიტარისტულ კომუნისტურ სისტემას, პირველი ოცნლეულის საბჭოურ ლენინურ-სტალინურ ტოტალიტარიზმს. ამდენად, ამ თვალსაწიერადან, ბახტინისეული კარნავალის თეორია, ერთი შეხედვით, ადვილი მისაღები უნდა ყოფილიყო და მყარად დასამკვიდრებელი უნდა გამხდარიყო ბოლშევიკური რეჟიმისათვის...

მაგრამ საქმე ისაა, რომ საბჭოური კომუნისტ-ბოლშევიზმი რამდენიმე ეტაპისაგან შედგებოდა (სქემატურად შესაძლოა გამოიყოს პერიოდები: ლენინ-ტროცკისა, სტალინისა, ხრუმჩოვისა, ბრეჟნევისა...), ხოლო ეს ეტაპები არა მარტო არ შე-

ესაბამებოდა ერთმანეთს, არა მარტო არ წარმოადგენდა ერთმანეთის განვითარებას, არამედ, — კიდევ მეტი, — ყოველი მომდევნო უპირისპირდებოდა წინამორბედს!

ქრონოლოგიური დაკვირვება ადასტურებს, რომ ბახტინის თეორია კარნავალის შესახებ მუშავდებოდა კლასიკური ბოლშევიზმის ხანაში, მძაფრი ანტირელიგიური, ანტიკულტურული, ანტიჰუმანური ტერორის პერიოდში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი საბოლოო ჩამოყალიბება და საჯარო წარდგენა ემთხვევა უკვე „კლასიციზტური“ სტალინიზმის ხანას, რომელიც იდეოლოგიურადაც და პრაქტიკულადაც თვალშისაცემად განსხვავდება რევოლუციურ-დესტრუქციული პათოსით განმსჭვალული რუსეთ-საბჭოთა სახელმწიფოს პირველი ბოლშევიკური ოცნლეულისაგან.

который сам себе назначал лечение. Ему кажется, что идет борьба человеческой интимности против вульгарности мира. В больнице Свинтила победил, скрывая победу. Никто не подозревал наличие воли в нем. Самоуверенность его мучителей помешала им разглядеть истинную суть вещей. Ему помогал профессор Шипковенский – советуя как можно скорее восстанавливать сознание и не оказывать сопротивление. Позже напишут, что его знакомый врач дал ему диагноз, а этого врача по имени Боян Г. службы заставляли требовать осмотра (Свинтила 1992:56). Он замечал когда дома и здания приобретают готические формы – после того, как ему давали ЛСД, окурки на тротуаре ему казались горящими звездами. Боль уступала место опасению потерять память. Ее он оберегал как самое драгоценное сокровище. Психиатры и не подозревали, что в нем теплится искрица сознания, а то бы ее уничтожили более щедрой дозой психолептиков. Они не сумели его довести до голой чувственности, не отражающейся в духе. Разве можно сменить личностный тип? Под воздействием психолептиков расплывалась воля, но ее пассивная сторона оставалась – отвращение не исследовано в психологии. Это иррациональное неприятие, несогласие самой души, неискоренимо в человеке. Этот чудесный психический феномен, оказался камнем преткновения для коммунистов. Оно экономит душевную энергию, а позже эскалирует в бунт.

Вот таким противоречивым и последовательным был этот подвижник. Вряд ли он понимал как важно для нас его писанное слово. Он сам нуждался в нем, бумага была его верным другом, прояснителем мыслей, стимулом для жизни. „Я боролся за свет жизни, - пишет он в дневнике самому себе.- Если бы все мы приняли зло, не было бы конца ему. Наше участие против зла часто анонимное и недоказуемое. Не имеет значения. Были люди, не принявшие сатанизм. Не жалею о страданиях – люди видели и переживали вещи пострашнее. Мне достаточно, что я добрался до света. Божественный свет мне награда за все. Кроме того, Бог никогда не бросает своих чад”. Поистине можно назвать его символом эпохи – напуганный и величавый, скрытный и искренний, подозрительный и верующий, подавленный и смелый, каковы были все люди, пережившие коммунистическое тиранство. Он пережил 3 эпохи – монархическую, тоталитарную и псевдо-демократическую. Имел шанс мыслить, а не оперировать идеологемами, потому что входил в свой стиль и строил свою личность не под ударами кнута и палки. Его мышление носит характер философских обобщений, он – альтернатива приспособленчества. Свет в нем с примесью тьмы – много всяких подозрений падает на нем, а это тоже характерный признак эпохи. Литературный процесс был направляет в сторону дифирамбического пения похвал недостойным. Из литературного потока выпадал мыслящий, самостоятельный, думающий. Устанавливалась всеобщая слежка, не с целью получать сведения, потому что ничто не происходило, а с дальней стратегией – культивировать в людях подозрительность и недоверие, всех думающих и читающих обмазать дегтем предательства и таким образом увековечить тоталитарную власть.

Стержень, который держал бы людей прямыми, нельзя было найти в этой жизни, его искали в жизни вечной, в уповании на Богоматерь и Христа. В те страшные годы было кому напомнить о Пути, Истине и Жизни, это был шанс поколения воцерковленного до войны. Его подшучивание над собой о яко бы аристократическом происхождении носило характер полуистины. Он был аристократом духа. Эта его изумительная сила превращала Молочный бар, где он встречался с друзьями, в „Молочную академию”, в которой знаковое место занимала енигматическая фигура Владимира Свинтилы. Интеллектуальная богема была готова обратить свое лицо к Богу, но что наблюдалось в центральных храмах? Толпы разъяренных изгоев бросали яйца в священнослужителей и диакону приходилось держать зонтик над головой священника. Песнопениями хор заглушал демонические крики. Он стал посещать небольшой монастырь св.св.Иоакима и Анны, где подвизалась монахиня с Кавказа. Делился с ней мыслями, что каждый найдет путь ко Христу – один через скорбь, другой – через радость. Главное, чтобы всякое дыхание хвалило Господа.

Что-то происходило в обществе. Ощущалась тревога и поиск смысла жизни. Веры еще не хватало, но неверие исчезало. Были островки благочестия, как например дом и

душа Яны Язовой. Она писала в одиночестве и огорчении, ее книги не были оценены по достоинству, даже не издавались. Эта изысканная женщина не падала духом и всех поддерживала, сохраняя достоинство при любых обстоятельствах. Она сама признавала, что ничто не омрачило ее веру и она приняла свою голгофу с ясным сознанием. Убили ли ее, чтобы добраться до ее рукописей?

Другая страдальца Жени К. вызывает к жизни размышления Владимира Свинтилы о причинах забвения Евангелия – „у нас не было времени” мило говорит она, искаленная в коммунистических застенках самыми изощренными перверзиями и просит цианистого калия, не в силах выдержать. Евангелие было пожертвовано ради культуры, все стремились к познанию, а забыли про главное. Но город их не оставил и вписал в пантеон святых самых невинных жертв бесовского террора.

Свинтила сравнивает одиночество целых народов – среди них и народов на Балканах и на Кавказе, он ставит этот вопрос не теоретически, а практически. Они нуждаются в обмене культур, иначе задохнутся. Официальная историография, по его мнению, не признает за Болгарией принадлежность к византистскому типу культур. Происходит столкновение культур и весь народ оказывается нищим и отвергнутым. Религия, с ее литургическим древнеболгарским языком, с кальками из греческого – непонятными и экзотичными, маргинализируется. Но хотя идут гонения, несмотря на то, что контролируют храмы и монастыри. Люди тянутся ко Христу. Начинаются церковные браки, затем приходит очередь крестинам.

Организуется Первая выставка Библий во Французском центре. Люди воруют Библии. Но можно ли назвать воровством ответную реакцию на молчаливое предложение - возьмите и читайте. Сколько раз случалось, чтобы в автобусах „забывали” сумки с Библией. Эти процессы стали необратимы и они очерчивают путь интеллигенции от Маркса ко Христу. Короткие мгновения увлечений безбожными идеями привели к рекам крови и бесчисленным страданиям. Пробуждение общественной души происходило мучительно и тяжело. Сначала вера была скудной, проявлялась в искаженных формах, но набирала силу и наконец ужасное наследство неверия преодолевалось. На крови мучеников не были построены новые храмы, но она стерла разницу между поколениями. Записывались на касетофонах литургии и обычные богослужения. Больше не имело силу насаждаемое „мышление, чей метод убеждения не есть указ на истину, а искушение обещаниями” (Тишнер 2008:120). Могущество истины и немощь лжи раскрываются лучше всего, если сравним их восприятие глазами любящего правду и ненавистника правды. Овладение совестью возможно только при полном обмане, недостаточной внешней насилье, а первое условие отказа от собственной совести и вверение ее в руки другого человека, это перемена чувства собственного достоинства. Потерять совесть – это потерять собственное достоинство. Болгарская интеллигенция не сделала этого, не почувствовала себя малоценной и не возвысила над собой никого.

Альтернативой тоталитарному рабству продолжают быть модели поведения, вызванные к жизни тихим сопротивлением. Говорят метафорично о тихом смехе в Евангелии, а это и есть лучший способ показать несогласие. Можно спорить является ли сельским или городским болгарское православие, но традиционным в добром смысле слова, оно есть. Рассуждения о театре как противопоставлении храму мне тоже кажутся натянутыми. Семантика города уже утверждает христианскую веру. Звон колоколов нас будит по воскресеньям и приглашает в храм. Спектакли и развлечения мирно сосуществуют с богослужениями.

Владимир Свинтила синтезирует свои размышления: „Состояние между неверием и верой для меня было более привлекательным из-за тревожности, которую оно вызывало. В нас не было простоты, мы от нее отказались. Христианин в городе, это было ожиданием, было сомнением и верой, было сумрачным состоянием духов, сумраком, в котором были проблески ясной луны – размышлений о Распятии” (Свинтила 2009:138). В этом плане я сравниваю его с Достоевским – они оба испили горькую чашу страданий в молодости и для обоих вера укрепилась в горниле сомнений. Мыслящий ум не удовлетворяется готовыми концепциями и решениями. Он разъедает все кислотой неверия и только свет

Христов может воссоединить анализированные элементы во единое целое. То, что наш молодой исследователь Благовест Варбаков описывает как возможность отдельными элементами индивидуализировать облик и характер данной личности, вполне можно отнести к Владимиру Свинтиле (Варбаков, 2009:56). Я бы сказала, что и его внешнем виде отображается благородный и спасительный подвиг дарительства – на жертвенном алтаре он приподносит Христу самого себя. То же самое можно утверждать и обо всем сонме носителей культуры и духа, приниженных, придавленных коммунистической машиной для уничтожения людей. Их отличает, как и его - печать страдания на челе который освящает их путь ко Христу. Они не с пустыми руками отправляются в крестный путь, а подносят в дар Богу свое огромное интеллектуальное творчество.

А последний диалог Владимира с его матерью раскрывает бездны страдания и экзистенциальные вопли блудного сына:

„-Я не хочу, чтобы ты жил слепцом. Не доверяй науке, она ищет быть доминирующей силой в мире. Вернись к монахам. Они вне мира сего. Ищи их....

Мы ее похоронили. А теперь куда? Кончина мамы открыла душу мою вновь для Евангелия Сейчас его послания звучали пространственно. Каждая строка содержала истину. Со смертью матери я стал христианином” (Свинтила 2009:238-239).

ЛИТЕРАТУРА

Варбаков 2009: Варбаков, Благовест. Ктиторите на Пчелинската църква, София: 2009.

Величков 2002: Величков Свещ. Ангел. „Изгубеното поколение” на открилите Христа - [on-line]: <http://synpress-classic.dveri.bg/16-2002/svintila1.htm>

Иванов 2006: Иванов дякон Иван. Между ангелите и човеците. София: 2006.

Свинтила 2008: Свинтила Вл. Дневници.2008.

<http://muhozoli.com/old/text/raznogledo/vlsv/v1.htm>

Свинтила 1997: Свинтила Вл. Краят на консумизма. София: 1997- [on-line]:

<http://manfred-roeder.narod.ru/antantata1.htm>

Свинтила 2009: Свинтила Вл. Кладенецът на мълчанието. София: 2009.

Свинтила 1992: Свинтила Вл. Лицето на горгоната (в полицейската психиатрия). София: 1992.

Свинтила 2002: Свинтила Вл. От Маркс до Христа. София: 2002.

Тишнер 2008: Тишнер Отец Юзеф. Философия на драмата. София: 2008- [on-line]:

<http://www.cphpvb.net/history/>

ტოტალიტარული ტექსტის ფორმირება და რღვევა Formation and Collapse of Totalitarian Text

ZAZA GOGIA

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Social Dynamic of the Oppositional Text in Totalitarian Space

Several vectors of art realization of new stimuli can be distinguished:

- Attempts of reconstructing national opinion by turning to the past heroics (O. Chkheidze, L. Gotua, G. Gegeshidze, Ch. Amirejibi, J. Karchkhadze, M. Abashidze, A. Kalandzde, M. Machavariani, I. Abashidze, Sh. Nishnianidze).
- Conditional, metaphoric, allegoric, ironic and parody language of half tones standing beyond the voiced counterpoint and plot peripetia (R. Cheishvili, R. Mishveladze, G. Dochanashvili, T. Chanturia, M. Machavariani, V. Javakhadze).
- Logical paradox of “Romantic Realism” (R. Inanishvili, M. Jokhadze, G. Chokheli, J. Topuridze, N. Shataidze).
- Antithesis of socialistic realistic discourse with post-modernistic colouring as the identification code of co-participation of western culture (N. Gelashvili, G. Lomadze, Mika Aleksidze, K. Jandieri).

Keywords: Verbal Taboo; Antithesis of Social Discourse; “Romantic Realism”.

ზაზა გოგია

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ოპოზიციური ტექსტის სოციოდინამიკა ტოტალიტარულ სივრცეში

კულტურა დროში დაგეგმილი სივრცეა და რაც უფრო მკვიდრია ეს მთლიანობა, მით უფრო მაღალია კულტურის გამძლეობაცა და ხარისხიც. კულტურის ინდექსი მოთხოვნებისა და მოთხოვნილებების ჯამური მაჩვენებლით იზომება ანუ — რა გვესურს და რა გვესაჭიროება? ეს მაჩვენებლები ენის ნიაღში მჟღავნდება, მონმდება და ენისვე ძალაუფლებას ემორჩილება, რამდენადაც „ენა თავაა სამყაროს თვით-გამოხატვის საშუალება, კაცობრიობის ენობრივი გამოცდილება — ჩვენს ყოფიერ წარმოდგენებზე აღმატებული, აბსოლუტური სიდიდე, ამიტომ ის, რაც ჩვენი შემეცნებისა და განსჯის საგნად იქცევა, ენის საკაცობრიო ჰორიზონტითაა შემოსაზღვრული“ (გადამერი 1988: 580)

ენობრივი გამოცდილების გამჟღავნების საუკეთესო ასპარეზი სიტყვიერი ხელოვნებაა, სულერთია, კულტურის გაბატონებულ ფორმასთან მორიგების მექანიზმი ედება საფუძვლად თუ — განხეთქილებისა. თუმცა, კრიზისულ ეპოქათა სახეს დაპირისპირების ლოგიკა უკეთ წარმოაჩენს, ვიდრე — უდრტინველი თანახმიერებისა.

კულტურის ისტორიისათვის ცნობილია ე.წ. პირველადი სქემები, რომელთაც რაც არ უნდა ხორცი შეასხა, ჩონჩხი უცვლელი რჩება. მათ შორისაა მსოფლიოს ინტეგრაციული მოდელები, ზოგი მეტად, ზოგიც — ნაკლებად ძალადობრივი ხასიათის. ქართულმა კულტურამ საბჭოთა ტოტალიტარული იმპერიის ნგრევის შემდეგ ე.წ. ხავერდოვან იმპერიაში ამოყო თავი, რომელიც გლობალისტური წესრიგის

სახელით უფროა ცნობილი. გლობალისტური მოდერნიზაციისადმი შეთანხმებული მიდგომა სამყაროში მიმდინარე პროცესებს დაბალანსებულ მთლიანობად გვიხატავს, რომლის გრაფიკული ფორმულა კოსმოსიდან დანახული დედამიწის ბურთია გაუქმებული საზღვრებით, პლანეტარული მართვის ცენტრითა და ეკონომიკით, საფონდო და სასაქონლო ბაზრით, სამართლებრივი და ინფორმაციკული სივრცით, უნიფიცირებული ენობრივი და რელიგიური ცნობიერებით.

ეს ერთპოლუსიანი სამყაროს პროამერიკული მოდელია. ფროიდი ჯერ კიდევ 1927 წელს „ერთი ილუზიის მომავალში“ წერდა: „ზეციური მამისათვის განეული სამსახურის სანაცვლოდ ადამიანები მუდამ ფიქრობდნენ დამსახურებულ ჯილდოზე, უკიდურეს შემთხვევაში, ღვთის უსაყვარლეს შვილად, გამორჩეულ ერად აღიარებაზე. დროთა განმავლობაში ღვთისმოსავი ამერიკა წამოაყენებს მისი God's own Country, „საკუთრივ უფლის ქვეყნად“ აღიარების მოთხოვნას“ (ფროიდი 1990:108)

ეს წინასწარმეტყველება ჩვენი დროის ახალ თავსატეხად იქცა, ვინაიდან მსოფლიოს განვითარების სცენარში თითოეულ ქვეყანას თავისი გზა აქვს მონიშნული, რომლის ეროვნულ-სარწმუნოებრივი და კულტურული ტრადიციები ყოველთვის ვერ ენერება მძლავრი სახელმწიფოების ეთიკურ-ზნეობრივ და სამართლებრივ განაწესში. ჰუმბოლდტი ამბობდა, რომ „ინდივიდუალობა განსხვავებათა ერთობლიობაა“ (ჰუმბოლდტი 1985:370). გამოდის, რომ განსხვავებათა მოსპობით ინდივიდუალობასაც ვსპობთ. პოზიციათა ურთიერთმორიგების ნიადაგი პრაგმატულ სფეროებს გარდა მწერლობაშიც უნდა ვეძიოთ, რომელიც ინდივიდუალური სულიერი ძალისხმევის ნაყოფია. ვიკო თვლიდა, რომ მათემატიკური ცოდნა პოეტური სიბრძნითაა შესავსები, ბერტრან რასელის აზრითაც, მეცნიერების „ცოდნა-ძალასთან“ ერთად ხელოვნების „ცოდნა-სიყვარულსაც“ უნდა დავეუფლოთ, რათა დროსა და სივრცეში ჭეშმარიტი ორიენტაციის უნარი არ დაეკარგოთ. დაახლოებით ამასვე გვასწავლის გალაკტიონი: „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ, დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ“. ორ თვალსაზრისს გავიხსენებ, თუ როგორ შეიძლება სუბიექტური ცნობიერება ხელოვნებაში ისტორიული მეხსიერების გამტარადაც იქცეს და მესაფლავედაც.

პირველი აზრი პოლონელ მეცნიერსა და ინტელექტუალს იან პარანდოვსკს ეკუთვნის. იგი წერს, რომ „ადრეული პერიოდის ამერიკელ პოეტთა შემოქმედებაში ყურთასმენა მიაქვს ბულბულებისა და ტოროლების გალობას.“ ამ ფაქტს იგი შექსპირისა და სხვა ინგლისელი პოეტების მიბაძვითა ხსნის, ვინაიდან ამ ფრინველებს, ორნიტოლოგთა მტკიცებით, ამერიკაში არასოდეს უცხოვრიათ და „დიდი დრო დასჭირდა ამერიკულ პოეზიას, მშობლიური შაშვების გალობისთვის რომ მიეპყრო სმენა და გულისყური“ (პარანდოვსკი 1972:175)

მართალია, ყოფილ ევროპელებში უცხო გეოპოლიტიკურ გარემოში შელწევისას თავდაპირველად წარსულის მემკვიდრეობითი ცნობიერება ამოტივტივდა, მაგრამ ახალ სივრცეზე გაბატონება საკმარისი მიზეზი აღმოჩნდა დროთა კავშირების წყვეტისათვის. „სხეულთან დაბრუნების“ აქტი ვერ შედგა. უფრო მეტიც — ერთ დროს ნიადაგს მონყვეტილ კულტურათა ნაზავი თავად იქცა გეზისა და ტონის მიმცემად დანარჩენი სამყაროსათვის. ოსტინ უორენი, რომელმაც დემოკრატია და პოეზია ჰუმანიზმის ნიშნით დაუწყვილა ერთმანეთს, წერს, რომ „ამერიკელს კონტინენტის ახალი მიწების ათვისების დროს დიდხანს ეგონა, რომ დასავლეთისაკენ მოძრაობით თავისუფლდებოდა ისტორიისაგან, რომელსაც წინსვლის დამაბრკოლებელ წარსულის ტვირთად მიიჩნევდა“ (უორენი 1975:156). ამერიკელი მეცნიერი ამ დაავადებას „პროგრესულ რღვევას“ უწოდებს, მის მატარებელს კი — „დამოკლებულ პიროვნებას“. თუკი კულტურის სიცოცხლის ხე ფესვებიდან იზომება, ეს სახელი ზუსტად მიგვანიშნებს ფესვებს მონყვეტილი სხეულის ნაკლზე.

წარსულის აბუჩად აგდების საფუძველი დროში განფენილი სივრცის ფიზიკური ძლევის ილუზიაა, რომელიც თითქოსდა ათავისუფლებს ადამიანს ანმყო წარსულს შეუნონასწოროს და მომავლის გეზი ისე განსაზღვროს. ეს მოზეიმე ქვეყნების საკუთარ კალაპოტზე მორგებული მორალია, გადარჩენაზე მზრუნავი ტრადიციული ერებისთვის კი — პოლიტიკური სუიციდის ტოლფასი. თავად ერიც, ნეოკულტუ-

რული განმარტებით, არის: პირველი — ერთობლივი დამოკიდებულება დანარჩენ კაცობრიობასთან და მეორე — ზრუნვა საერთო მომავალზე, ანუ ფიგურირებს ანმყო, მომავალი, მაგრამ წარსული იგნორირებულია.

მანქურთიზმი ჩინგიზ აითმატოვის რომანიდან („და დღე საუკუნეზე დიდხანს გრძელდება“) გადმოტანილი ტერმინია, რომელიც დეჰუმანიზაციის, ზნეობრივი ცნობიერებისა და კულტურული მესხიერების სრული ატროფიის ნაცვალსიტყვად იქცა. მანქურთის ჯიშის გამოყვანა ტექნოლოგიურადაც იოლია: ადამიანს სველ ტყავს გადაუჭერენ თავზე და მზეზე გასვამენ. გაშრობისას ტყავი იკუმშება და კაცს აუტანელ ტანჯვას აყენებს. ცოცხალი ვინც გადარჩება, წარსულის ხსოვნასთან ერთად ყველა ადამიანურ სათნოებას კარგავს და ახალი პატრონის ყურმოჭრილ მონად, მანქურთად იქცევა. მოკლედ, ხდება ტვინის ფუნქციური გადაგვარება.

დიდი და პატარა მანქურთები ჩვენც უხვად მოგვეპოვება ისტორიასა და მწერლობაში. დიდი მანქურთები არიან ალავერდი-ხან უნდილაძე — ირანში მეორე კაცი, ფარსის ბეგლარბეგი, შაჰ-აბასის სამხედრო-პოლიტიკური რეფორმის ორგანიზატორი, ქართველთა განმსახლებელი, თურქმანთა ჩამომსახლებელი და მისი ორი ვაჟი — დაუდ და იმამ-ყული-ხან უნდილაძეები. პატარა მანქურთები კი არიან მათი ლიტერატურული მოგვარეები გურამ გეგეშიძის რომანიდან „ხმა მლაღადებლისა,“ რომელთაც არც საკუთარი გვარის ისტორია იციან და ვერც პიროვნული ნიშნებით შეედრებიან ყურმოკრულ კერპებს. პლატონი „კანონებში“ წერს, რომ ბოლომდე გაუხრწნელ სულში უკეთურებას შესაძლოა ლტოლვა გაუჩნდეს სიკეთისაკენ, როგორც — დაავადებას გამოჯანმრთელებისაკენ. ძმებმა უნდილაძეებმა საკუთარი სისხლით ნაწილობრივ მაინც გამოისყიდეს ცოდეა ისტორიული სამშობლოს წინაშე; მათ ლიტერატურულ მემკვიდრეებს ეს აზრადაც არ მოუვათ, ვინაიდან წინაპართა ქიმერულ სახეებში მათ დიდება იზიდავთ და არა — ღირსება. გლახუნა უნდილაძეს წარსულის ხსოვნა აბოლუტურად ატროფირებული აქვს. ერეკლეს სახელის ხსენებაზე იგი გაკვირვებული კითხულობს — „ვინაა შე კაცო ერეკლე?“ შთამომავლობითი „პროგრესი“ სახეზეა — მისმა შვილიშვილმა ტიტვიკომ ნითელარმიელი მკვლელების ჯარი შეუსია მშობლიურ სოფელს. ისტორიულმა შედეგმაც არ დააყოვნა — ნგრევა და განადგურება მაღლისაგან დაცლილ ქვეყანას განკითხვის ყამად შემოუბრუნდა.

მანქურთია ოთარ ჭილაძის ცრუმაიორი — ქაიხოსრო მაკაბელიც. მისეული სამყაროს საზომი სხვისი მუნდირი და ღირსებაა, საბინადროც — სხვისი სამშობლო და ბიოგრაფიული გარემო. კულტურის ენის დინამიკა პიროვნების თვითგაგების სარკეში ყველაზე უკეთ ირეკლება. ჭილაძის გმირს კი თვითგაგების საფუძველი, როგორც ციკერონი იტყოდა, „არსებობის ხსოვნა“ (vita memoria) განყვეტილი აქვს. შესაბამისად, მისი წყლულები მთელი კულტურული სხეულის მომცველია.

ასიმეტრიული, მძიმე და ამორფული სხეულის მძევლად იქცა საბჭოთა ტოტალიტარული იმპერია, რომელმაც მისთვის რუდიმენტებად ქცეულ მცირე ერთა ისტორიული მესხიერების განვითარების მიზნით კულტურის მართვის ინტელექტუალური ცენტრის ფუნქცია შეითავსა. საბჭოთა მწერალთა პირველ ყრილობაზე გორკის მიერ იდეოლოგიური ბრძოლის სტრატეგიად „ძალის ჰუმანზმის“ გამოცხადებამ მწერლობას თავისუფლების ილუზიები საბოლოოდ გაუცემტვერა, კულტურის სასიცოცხლო ფუნქციათა უკიდურესმა სოციალიზაციამ ტოტალიტარული აზროვნების პიკს მიაღწია, რომლის ნორმატიული ნიშნები იყო: დახშული სივრცის უგზობობაში ჩაკეტილი ბერნი, პარაზიტი დრო, მბრძანებლური „დემოკრატია“, სახელისუფლებო კლასის მიერ ინფორმაციათა მიჩქმალვის გზით მოქალაქეობრივი უმეცრების დანერგვა, სულიერი ნონასწორობის დამარღვეველი უღმერთობის პროპაგანდა, ფორმალურად ზნეობრივი და ეთიკური კატეგორიების გაერთმინოვნელობა, რეალურად — სინდისის მოვალეობისაგან გათიშვა („პატრიოტული სინდისი“, „კლასობრივი მორალი“, „საბჭოთა პატრიოტიზმი“...). კულტურის ნეგატიური ნიშნები სამყაროს იდეალიზებულ სცენარში იყრიდა თავს, რომლისადმი ერთგულება ვალდებულებრივი ხასიათისა იყო.

ქმედება უკუქმედებას ბადებს. სამოციანი წლებიდან ქართულმა ხელოვნებამ არა მხოლოდ ზოგადი ფიქრი, სერიოზული ზრუნვა დაიწყო მომავალზე. ზრუნვა კი სინდისის ნებაყოფლობითი თანხმობაა ქმედებასთან. ამ პერიოდში მწერლობამ

უმძიმესი დარტყმები მიაყენა რეჟიმს, რომლის ბოლო წლები დაჭრილი ურჩხულის უკუსვლის ინერციით აღინიშნებოდა. დარტყმები ზოგჯერ აშკარა, უფრო ხშირად კი რეპრესიული კონტროლის გამო ფარული (იმპლიციტური) ხასიათის იყო.

თუკი საბჭოთა იმპერიამ თვალუწვდენელი გეოგრაფიული სივრცის მეთვალყურეობის გასაიოლებლად მისი კულტურული დავინოროება და უნიფიცირებულ, ზოგადრუსულ არეალში მოქცევა განიზრახა, შერისხულმა ეროვნულმა მწერლობამ, რომელსაც მოქმედების გაოგრაფიაზე მეტად ინტროსპექციის სიღრმე აინტერესებდა, იგივე ილეთი, ანუ სივრცის დავინოროება, სათავისოდ გამოიყენა. ამისათვის იგი ხელოვნებაში გავრცელებულ სქემებს მიადგა.

ბეკეტის პიესაში „თამაშის ფინალი“ მოქმედების ადგილი სანაგვე ყუთებია, თომას მანის „ჯადოსნურ მთაში“ ქლექიანების სანატორიუმი, მარკესთან და ჭილაძესთან პატარა სოფელი, ჩეხოვთან საავადმყოფოს პალატა, დოჩანაშვილთან საცურაო აუზი, გოდერძი ჩოხელთან გუდამაყარი, კოტე ჯანდიერთან ოჯახური ინტერიერი, აკა მორჩილაძესთან გამოგონილი სანტა ესპერანსა. კლასიციტური სქემებისაგან განსხვავებით, სივრცის ასეთი დავინოროება არა თუ ზღუდავს, უსასრულობამდე აფართოებს ადამიანური ყოფის შინაარსს. ამ ტიპის თხზულებათა ქრესტომათიულ მოდელად თ. მანის „ჯადოსნურ მთას“ მიიჩნევენ. მოქმედების ადგილია დავოსის ტუბსანატორიუმი ანუ დაავადებული გარემო; ცენტრალური პერსონაჟი — ჰერმეტიული აღსაზრდელი ჰანს კასტორფი (გააქტივებულია „ჰერმეტიზმის“ სემანტიკაცა და ეტიმოლოგიაც: ერთი მხრივ, გმირის ბინიერებისაგან დაცულობის, უმნიკვლობის შინაარსი, მეორე მხრივ. მითოსური ჰერმესის ერთ-ერთი ფუნქცია — სულების მეგზურობა). ახალგაზრდა გმირის სულის დაუფლები-სათვის იბრძვიან პოლიტიკურ სიმბოლოებში გაყინული ფანტომები — ანტიჰუმანისტი ნაფტა და ფუყე ლიბერალი — სეტემბრინი. ვის ხელშიც აღმოჩნდება კარტ-ბლანში (კასტორფის სული), მისი სცენარით წარიმართება ევროპის მომავალი. ორივე გმირის პანიდეურ-პედაგოგიური ერთუზიანობა კრახით მთავრდება. მძლავრობს მესამე — პოლიტიკურ რიტორიკას მოკლებული ბუნებრივი ადამიანობის იდეა (მას ჰოლანდიელი ფეფერკორნი განასახიერებს), რადგან სწორედ ადამიანია ერთდროულად სოციუმის პროდუქტიცა და შემოქმედიც. შესაბამისად, იგია კულტურის სუბიექტი და არა — პოლიტიკური კლასი, პარტია ან საზოგადოება.

არქეტიპულ, ლინგვისტურ ან სხვა სტრუქტურათა სტანდარტულ სქემებში საერთო მომწესრიგებლის არსებობა მეტყველებს არა გამოხატვის ფორმათა ავტომატურ მიღებაზე ან სხვისი ნებისადმი ჩვენი კულტურის ფორმის ძალადობრივ დაქვემდებარებაზე, არამედ ენობრივი ცნობიერების ევოლუციასა და განახლების სტრატეგიაზე, ნაცნობ სანიშნეებში ახალ მნიშვნელობათა ძიებაზე. ოთარ ჭილაძის „რკინის თეატრის“ პირობითი სივრცული მოდელი შეუიარაღებელ თვალს თომას მანის რომანისაზე არანაკლებ განკერძოებულად შეიძლება მოეჩვენოს. თეატრი — ცხოვრება, სცენა — სამოქმედო სივრცე, რეჟისორი — სივრცის მაკონტროლებელი ისტორიული დრო, მთავარი პერსონაჟები და სტატისტები — ამ დროში მოქმედი და გაუქმებული ფასეულობები, მაცურებელი — მკითხველი. ეს უკანასკნელი თავისი შემადგენლობით ჭრელია და მწერლის ფუნქციაში არ შედის მისი გემოვნების მორჯულება. „მაცურებელმა“ თავად უნდა გაარკვიოს სპექტაკლის ღირსება და ფსონი რომელ „მსახიობზე“ დადოს. ჩვენი მატთანე ამ ალღოს „ჟამის დაჭერას“ უწოდებს, რომელიც ხშირად გვლალატობს.

„რკინის თეატრის“ მეორე სემანტიკური სიბრტყე გალიასთან, ბორკილებთან, საპრობილესთან ასოცირდება. ამ დაწყევლილ წრიდან იღვლიანი გამოსავლის ძიება კი გმირთათვის ბედის ირონიად უკუიფინება. რკინის ჯებრების წარმოსახვითი გარღვევა რეალურად თვალუწვდენელ ტოტალიტარულ სივრცეზე გაგვიყვანს, რომელშიც დროის ისტორიულ-კალენდარული ათვლა წარმოებს. მივუახლოვდით ბახტინის მიერ ფორმულირებულ რაბლეზიანულ ქრონოტოპს, თუმცა, ზოგჯერ განსხვავებული ინტენციური მახვილებით. ჭილაძისა და გეგეშიძის რამდენიმე რომანში მოქმედება ორი დროის გზაგასაყარზე იშლება, რომელთა შორის ზღვარი გალაკტიონმა ზუსტად გაავლო — „წინამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“. ეს არის გროტესკულ-რეალური „მშობიარე დროის“ სახესხვაობა „დაუსრულებელი მეტამორფოზის, სიკვდილისა და დაბადების, ზრდისა და ჩამოყა-

ლიბების სტადიაში... მისი განუყრელი თვისებაა ამბივალენტურობა, რომელშიც გარკვეული ფორმით წარმოდგენილია (ან მინიშნებული) სახეცვლილების ორივე პოლუსი — ძველიცა და ახალიც, მომაკვდავიცა და შობადიც, „საწყისიცა და სასრულიც“ (ბახტინი 1986:316-317)

კულტურის კვლავნარმოებისა და განახლების ინსტინქტზეა საუბარი გ. ჩოხელის ალბეგორიულ გამონათქვამში „ადამინთა სევდიდან“: „მე მინახავს, როგორ ყვაოდენ იები მინიდან ამოყრილი კაცის ძვლებში“, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის თანაყოფნის გამძაფრებულ, მაგრამ მაინც ბუნებრივ შეგრძნებას ბადებს. ოთარ ჭილაძის „ბინარული დეკონსტრუქცია“ კი არღვევს ყოფიერების ეთიკისა და ესთეტიკის საზღვრებს. „რკინის თეტრი“ ეპოქის პათოლოგიური „ორსულობის“, განხიზღვისა და სიკვდილ-სიცოცხლის განწვალების ტრაგიკული დრამაა, „როცა ღმერთს არაფერი აკავშირებს მისი იმედის ამარა დარჩენილ ადამიანთან... ხალხიც ორად იყო გაჭრილი. ერთი ხელით თუ მომაკვდავ საუკუნეს წამალს ასხამდა უკბილო პირში, მეორე ხელით მომავალს ურწევდა აკვანს. ძველზე გული წყდებოდა, რადგან შეჩვეოდა, ახლისა კი ეშინოდა, რადგან ახალი ბევრ რამეს გადააჩვევდა, ბევრ რამეზე აალებინებდა ხელს“.

ღია სტურუა არსებობის მსგავს ფორმას „შეჩვეული ჭირის სიმყუდროვეს“ უწოდებს, მისდამი უშფოთველ დამოკიდებულებას — „ლოკოკინების საზეიმო სვლას წვიმის შემდეგ“.

რაბლესთან „ადამიანის, როგორც მიკროკოსმოსის“ სოციალური, ანატომიური და ფიზიოლოგიური მიდრეკილებები, ე.წ. „პანტაგრუელიზმები“ გარეგნულად ქცევის უშვერ ფორმებში ვლინდება, მაგრამ გმირთა ქცევასა და ლტოლვას შორის უზარმაზარი ზღვარია. გარგანტუას მიზანია არა საკუთარი სახელის უკვდავყოფა, არამედ შვილებისა და შვილიშვილების სახით სამარადუამოდ დარჩენა „ამა ცოცხალთა შორის“. რათა „შვილმა მამა გააგრძელოს, შვილიშვილმა — შვილი კულტურის გაცილებით მაღალ საფეხურზე. გარგანტუა საუბრობს მისი ცხოვრების მანძილზე მომხდარ უზარმაზარ ძვრებზე: „მე მოწმე ვიყავი, თუ როგორ დაუბრუნდა ბრწყინვალე და ღირსება მეცნიერებას. ისეთი გარდაქმნები მოხდა, რომ მე, რომელსაც საკმაოდ მონიფულ ასაკში უგანათლებულეს ადამიანად მთვლიდნენ (და არც თუ უსაფუძვლოდ), დღეს მეექვსება, დაწყებითი სკოლის პირველ კლასში მიმიღონ“ (ბახტინი 1986: 238).

რაბლე და მისი პერსონაჟი ცხოვრების ჩვეულ წესს პროგრესის ნიშნით შეგნებულად ანგრევენ, რომელიც თავისუფლების საყოველთაო ხარისხში, კარნავალში გადააქვთ. კარნავალი კი ყოველგვარი პირობითობისა და ეტიკეტის ჯებირებს არღვევს. კარნავალს არ უტყერენ, „მასში ცხოვრობენ“. იგი წარსულის უარყოფელია, მაგრამ — მომავლის დამფუძნებელი. ბახტინი მას „გაბატონებული სიმართლის ზეიმს“ უწოდებს.

ქართველ მწერალთა ოპოზიციურ, ანტიტოტალიტარულ მხატვრულ ტექსტებში მსოფმხედველობრივი ვექტორი შებრუნებულია — კომიკური ფარსი ტრაგიკულით იცვლება, სადღესასწაულო განწყობა უპერსპექტივობით, გმირთა არჩევანიც ცუდსა და უარესს შორის კეთდება, სადაც კრიზისი არა მხოლოდ წარსულის, მომავლის კუთვნილებაცაა.

თუკი გარგანტუა ბედნიერი მომავლის პროექტს საკუთარი შთამომავლობის ეთილდეობაში ხედავს, ო. ჭილაძის „მაიორს“ ყრუანტელსა გვრის შვილიშვილების გაზრდა, ვინაიდან მათ ზრდაში საკუთარ სიბერეს ჭვრეტს. სამაგიეროდ, სიგიჟემდე უყვარს დროში გაქვავებული უკვდავების სიმბოლო — შვილიშვილის თოჯინა. ამგვარი ზნეობრივი სივრცე გენეტიკური თვითმკვლელობის, კატაბაზისის — ჯოჯოხეთში ნებაყოფლობითი მიახლების ტოლფასია.

ფრომი წერს: „ადამიანური არსებობის დისჰარმონია ცხოველური ყოფისაგან თავის დაღწევის მოთხოვნილებებს ბადებს. ეს მოთხოვნილებები მასა და დანარჩენ სამყაროს შორის დარღვეული მთლიანობის აღდგენაში გამოიხატება. მთლიანობისა და წონასწორობის აღდგენას ადამიანი უწინარესად აზროვნებით, საკუთარ შეგნებაში სამყაროს ყოვლისმომცველი სურათის შექმნით ცდილობს, რათა პასუხი გასცეს კითხვას — სადაა და რა უნდა აკეთოს... მაგრამ გარდა ცნობიერისა, ადამიანი სხეულებრივი არსებაცაა, ამიტომ არსებობის დიქოტომია მისგან პასუხებს

მოელის არა მხოლოდ აზროვნებაზე, ცხოვრებისეულ პროცესებზე, გრძნობებსა და მოქმედებებზე დაყრდნობითაც“ (ფრომი 1990:159).

ფოიერბახი ამ თვისებას „გრძნობად გონიერებას“ უწოდებს, ელიოტი კი — „მსოფლმცნების გამთლიანებას“ (unit of sensibility). როცა აღნიშნულ ორ ელემენტს (რა გვინდა და რა გვესაჭიროება) შორის დარღვეულია სტრატეგიული დამოკიდებულების ლოგიკა, კულტურა სიმეტრიასა და მოქნილობას კარგავს, შესაბამისად, კალაპოტი ეჭრება ქვეყნის სისტემურ კრიზისს. აქედან გამომდინარე, ტრანზიციის, ძველიდან ახალზე ევოლუციური გადასვლის პროცესი უსაზღვროდ იწვლება და პერმანენტული უიღბლობის ხასიათს იღებს. ენა, როგორც კულტურის ყველაზე მგრძობიარე ელემენტი და ინდიკატორი, ამ მოვლენებზე მტკივნეულად რეაგირებს, თავის ნიაღში დაფლულ „კოდებს“ ხსნის და დამატებით ფუნქციურ-სემანტიკურ დატვირთვებს იღებს.

სიტყვა „ჟამი“ ქართულში ორი არსებითი მნიშვნელობით ფუნქციონირებს, როგორც დრო და, როგორც სენი (შავი ჭირი). გეგეშიძის ამავე სახელწოდების მოთხრობაში იგი ორმაგი კოდის სემანტიკურ მნიშვნელობას იძენს. ესაა ჟამით შეპყრობილი ჟამი თავისი გაპარტახებით, უგზობობითა და ეკლესიათა დანგრეული გუმბათებით. ეკლესია და მისი შიდასივრცე ვერიკალურ-ჰორიზონტალური ვექტორების გადაკვეთით მიღებული სამყაროს ჯვარსახეობრივი მიკრომოდელია ზეციური და მინიური იერარქიული წყობით, ჩამოშლილი გუმბათი კი — თავს დამხობილი ზეცის, ღვთის როსხვის აპოკალიპტური ხატი. ჩამონგრეული გუმბათების ანალოგიურ გააზრებებს ვხვდებით „ხმა მლაღადებლისაში“, ო. ჭილაძის „მარტის მამალში“, ჯ. ქარჩხაძის „ზებულონის სიკვდილში“, ო. ჩხეიძის ტრაგედიაში „გიორგი“.

ქართველთა უძველესი წარმოდგენითაც სამყარო ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ნაწილებად იყოფა. ვერტიკალურებია: შუასკნელი — ამქვეყნიური, ზესკნელი — ზეციური და ქვესკნელი — მინისქვეშა საუფლო; ჰორიზონტალურები — წინასკნელი და უკანასკნელი. მთელი ეს სამყარო გარემოცულია გაუვალი გარსით — გარესკნელით. ჰორიზონტალურ სამყაროებს მხოლოდ სივრცული განზომილება აქვთ, ვერტიკალურს — დროისმეორეც. ქვესკნელში მოგზაურობა არა მხოლოდ საიქიომი, წარსულში მოგზაურობაცაა. გოდერძი ჩოხელის გმირმაც სხეული კუთხეში მიაყუდა და სამოთხეში იმოგზაურა. შინ მხოლოდ ერთი წლის მერე დაბრუნდა (გაეცხსენოთ ჰერაკლეს მოგზაურობა ჰადესში). სხეულის სულში ვერდატევის მეტაფიზიკა ამავე დროს დიდებისა და თავისუფლებისაკენ გახლებული ლტოლვის იპოსტასია — „მაგრამ მე გვამში სული ვერღა მომთავსებია, მითხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი.“ (ბარათაშვილი — „ნაპოლეონ“). თუმცა, როცა თავისუფლება განუსაზღვრელ ძალაუფლებაში გადადის, სხვათა თავისუფლებას უქმნის საფრთხეს — „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“. ბონაპარტისტული ფსიქოზის კომიკურ ინტერპრეტაციას ვხვდავთ ვერმედგარი მფრინავისა და წყალქვეშა ნავის კაპიტნის ვაჟი გოგის სახეში, რომელიც გუდამაყრის დაპყრობაში ეძებს მონოდების (მხედართმთავრობის) გამართლებას. უდროობის კიდევ ერთი მსხვერპლი — მებრძოლი ერის ღირსებააყრილი და დამცრობილი შვილი — პაროდიული დავითი და სააკაძე.

სიმბოლოები, პირსის მიხედვით, სოციალური კონვენციის ნიშნებია, თუმცა ეს ნიშნები განსხვავებულ სიგნალებსა და გამოწვევებზე განსხვავებულად რეაგირებენ. მაგალითად, ოპრიჩინინის სიმბოლო ცოცხი სისუფთავესთან ასოცირდება, კომუნისტების ნამგალი და ურო — შრომასთან, მაგრამ სხვაგვარად მოაზროვნეთა ნაგავთან და სარეველასთან გათანაბრებამ ეს უწყინარი საგნები მკვლევლობის იდეოლოგიურ იარაღებად აქცია.

მხატვრული ენის აპერცეფტიულობა სიმბოლოთა მრავალმხრივი წაკითხვის საშუალებას იძლევა. ო. ჭილაძის „მარტის მამალში“ უკვე სათაურიდანვე ყურადღებას იპყრობს მამლის სიმბოლიკა: „ჩვეულებრივი მამლები კი არ არიან, არამედ ელიასი, განწირულნი, შეწირულნი, განთიადის წინათრძნობა კი არ აყივლებთ, არამედ — სიკვდილისა — ა, ელია, ელია, შენთვის რა მიწყენია, ლაზარ მოადგა კარსა, აბრიალებს თვალსა. ლაზარე ოთხი დღის მკვდარი გააცოცხლა თურმე ღმერთმა“.

„მამლის უკამრავ სიმბოლოთაგან უმეტესობა მზისა და ციური ცეცხლის მნიშვნელობას უკავშირდება. ამიტომაც იგი არა მხოლოდ მზის ამოსვლის, არამედ

დაისის, მიმწუხრის ზომორფული სიმბოლოცაა. მამალი მზის თანამგზავრია როგორც დღიურ, ისე — წლიურ ციკლებში. დღე-ღამის ციკლური მონაცვლეობის შესაბამისად მამალი მარადიული განახლების, მარადიული სიკვდილისა და აღდგომის სიმბოლოდ იქცა. ბუნების აღდგომა — ფერისცვალების სიმბოლიკას უკავშირდება ელიას სახეც, ქართულ წარმართულ პანთეონში ტაროსის ღვთაება, რომელსაც ლაზარედაც მოიხსენიებენ. მეხთა ბატონის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად მას მამალს სწირავდნენ, გვალვიანობისას წვიმას შესთხოვდნენ, ავდრიანობისას — მზეს. ზოგიერთი თქმულების თანახმად, ელია — ლაზარე უსინათლოა და ვერ ხედავს, სად დაჰკრავს მეხსა და სეტყვას, შესაბამისად, ბედისწერის ბრმა იარაღად იქცევა.

ბედისწერის საბოლოო გზა სიკვდილზე გადის და ყველა შიში სიკვდილის შიშის წინაშე მუხლს იდრეკს. სწორედ ეს გრძნობა აქვს დასაძლევნი ოთარ ჭილაძის რომანის თხუთმეტი წლის გმირს. ამისთვის მან ჯოჯოხეთის ყველა კარიბჭე უნდა განვლოს და კაცობაში ღირსეულად შეაბიჯოს; დარწმუნდეს, რომ სიკვდილის უმძიმესი ფორმა არა ფიზიკური, არამედ სულიერი სიკვდილია, როგორც პირდაპირი გზა მონობისაკენ (ქრისტიანული ჯოჯოხეთიც ხომ ეშმაკისადმი მარადიული მონობაა).

როგორც ოთარ ჭილაძის „მარტის მამალში“ არჩილ სულაკაურის „თეთრ ცხენში“ საინტერესო მითოპოეტურ ფონსა ქმნის მამლის ემბლემატიკა. ძველ საბერძნეთში მამალი ასკლეპიოსის ფრინველი იყო, როგორც სიკვდილით სიცოცხლისაკენ მომაქცევარი. რომანშიც საბა მომაკვდავ დიდოს ახლადდაკლული მამლის ჯერაც მფეთქავ, სისხლსავე გულს ძაფზე გამობმულს გადააყლაპებს და ხორხზე მიკრულ წურბელას ამოაცლის; მამლის ფერებიც განსხვავებული სიმბოლური მნიშვნელობით ფუნქციონირებს, თეთრი — ზეციური, წითელი — ამქვეყნიერი, შავი კი — ქტონური ანუ მიწისქვეშეთის ფერია. შავი მამალი ეშმაკეული მესის განუყოფელი ელემენტიცაა. არჩილ სულაკაურთანაც წითელი მამლის შავად ფერისცვალება ოზოს მამიდისათვის სიკვდილის ძახილად იქცევა; აგნოსტიკოსებთან მამლის სახე ფრონეზისის, წინასწარჭვრეტის, ნათელმხილველობის სიმბოლოა. წინასწარმეტყველური აღმოჩნდება ანანოს სიტყვებიც, წარმოთქმული წითელი მამლის გამავეების შემდეგ: „დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მიწერია, დიდხანს აღარ ვიცოცხლებ!“

უ. ეკოს გმირი აცხადებს, რომ „დაეჭვება რწმენის მტერია“. ამიტომ სკეფსისის მძიმე კულტურებს ღირებულებრივი იერარქიების გაუქმება, ღვთისა და ერთმანეთისადმი უნდობლობაც თანა სდევს. ჩნდება ძალმომრეობის ინერციისაგან თავის დაღწევის ბუნებრივი მიდრეკილება. გაბატონებული კულტურის სისტემა კი ამას ებრძვის. ბრძოლის ხერხი მრავალია. მაგალითად, შუასაუკუნეების დასავლეთში ეკლესიამ ჯოჯოხეთს საკრალურობა ჩამოაცილა და საზოგადოებრივი კონტროლის ფუნქცია დააკისრა, რითაც ჯოჯოხეთის განცდა უფრო მიწიერი გახდა. საბჭოთა რეჟიმმა კი ურწმუნობის პროპაგანდით ჯოჯოხეთი რეალურად გადმოიტანა მიწაზე. ტარიელ ჭანტურიას ირონიას რომ დავესესხო, „ღმერთმა და ეშმაკმა მაისურები გაცვალეს“. ამ დროს მართალი ხელოვანი კულტურის დაკვეთას ასრულებს, მტყუანი — ხელისუფლებისას. ბოსხმა ცოდვის თემაზე მუშაობა პირველცოდვით დაიწყო, გვიჩვენა, თუ როგორ ხდებოდა მისი აღმავალი გზით განვითარება. ოთარ ჭილაძის გმირები ევოლუციის ამ გრძელ გზას ერთ ან ორ თაობაში გადიან. ასე გარდაიქმნა ქაიხოსრო მაკაბელი ჩვეულებრივი მატყუარიდან ზნეობრივად ამოყირავებული სამყაროს სიმბოლოდ, რომლის დევიზია — „მე მეზიზღება მოყვასი ჩემი“. გურამ გეგეშიძის გმირი გლახუნა უნდილაძეც რიგითი ნაძირალაა, მაგრამ შთამომავლობითი „ევოლუციის“ შედეგად მისი შვილიშვილი სოფლის დამაქცევრად იქცა. რომანის („ხმა მღალადებლისა“) შესავალში უკვე ფინალია გამხელილი: „ეკლესიის გუმბათზე ჯვარი მოეგლიჯათ და იქ სისხლისფრად ნაფერი, წითელი დროშა ფრიალებდა, ძღვევამოსილი გამარჯვების მაცნე, მაუნყებელი ახალი ერის დადგომისა“.

ამ სიტყვების ტრიუმფალურ ფასადს მიღმა ტირანია დგას. ჩვენც სიფრთხილე გვმართებს, რადგან ისტორიები მეორდება.

დამონებიანი:

ბახტინი 1986: Бахтин М.М. Литературно-критические статьи М.: «Художественная литература». 1986.

გადამერი 1988: Гадамер Х.-Г. Истина и метод. М.: «Прогресс». 1988.

პარანდოვსკი 1972: Парандовский Я. Алхимия слова. М.: «Прогресс», 1972.

უორენი 1975: Warren. Democracy and Poetry. London: 1975.

ფროიდი 1990: Фрейд Зигмунд. Будущее одной иллюзии. сб: Сумерки богов. М.: Издательство политической литературы. 1990.

ფრომი 1990: Фром Э. Психоанализ и религия. сб: Сумерки Богов. М.: Издательство политической литературы. 1990.

ჰუმბოლდტი 1990: Гумбольдт В. Язык и философия культуры. М.: «Прогресс». 1990.

NINO DARBAISELI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Totalitarianism, Creative Freedom and Free Verse

The reform of Georgian Poetry took place in the beginning of the 20th century. One of the most significant events of that time is the adoption of Free verse. (G. Tabidze and others). in the 30s The Soviet ideology struggles against it as the threat from western ideological diversion.

At the 60-70s free verse opposes not only conventional verse, as “not free”, but generally, a number of social conventions determined by ideology. The echo of this confrontation is heard even in post-soviet epoch.

Keywords: Totalitarianism; Creative Freedom; Free Verse; G. Tabidze.

წინმო დარბაისელი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ტოტალიტარიზმი, შემოქმედებითი თავისუფლება და თავისუფალი ლექსი

შეიძლება თუ არა, არსებობდეს რაიმე მიმართება ტოტალიტარიზმსა და სალექსო ფორმას შორის?

უძველესი დროიდან მოყოლებული, რაც პლატონმა თავის „სახელმწიფოში“ ტოტალიტარიზმს თეორიული საფუძველი ჩაუყარა და პოეზიას ფუნქციად სახელმწიფოებრივ-პატრიოტული მიზნებისადმი მოტივატორული მსახურება დაუტოვა, ამ ტიპის მიმართებები მუდამ ავლენდნენ ძალისხმევას, რათა თავის სამსახურში ჩაეყენებინათ სიტყვიერი კულტურა და განსაკუთრებით მისი ყველაზე სუბსტიური სფერო — პოეტური ხელოვნება, მაგრამ ეს ნაკლებად ვრცელდებოდა მხატვრული ნაწარმოების ფორმაზე. ამრიგად, მოვლენა, რომელსაც ვეხებით, არ განეკუთვნება ტოტალიტარიზმის ტიპობრივ პრობლემათა რიგს და იგი შემოქმედებითი (არა) თავისუფლების ერთი კერძო გამოვლინებაა. ეს არის შემთხვევა, როდესაც საკუთრივ ლექსმცოდნეობით პრობლემათა მთელი კომპლექსი: ქართული თავისუფალი ლექსის ანუ ვერლიბრის ისტორია, თავისებურება, მისი სახეობანი და ა.შ. სცილდება დარგის ფარგლებს და მუდმივად უხდება შეხება სხვა ჰუმანიტარულ სფეროებთან.

ქართული თავისუფალი ლექსის ისტორია გასული საუკუნის ათიანი წლებიდან იწყება. იგი იმ სალექსო რეფორმის ორგანული ნაწილია, რომელიც გალაკტიონის თაოსნობით განხორციელდა და შედეგად მოიტანა ახალი ქართული პოეზიის ენა. გალაკტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემის 22-ე ტომში ერთი ჩანაწერია, რომელიც სავარაუდოდ 30-იან წლებს მიეკუთვნება:

„დასავლეთის თანამედროვე რევოლუციონური პოეზიისთვის — წერს ამხ. ლუ-ნაჩარსკი, — ამჟამად დამახასიათებელია სრული დაკარგვა გამობრძმედილი, დაკანონებული რიტმების, არის ლტოლვა უწესრიგობისადმი, ნახევრადპროზისადმი. ან რა აზრი აქვს, თავი გადააკლა რითმების მიწყობ-მოწყობას, [...] რა დროს რითმებია, როდესაც ადამიანი ბოზოქრობს მისი მწუხარება, მისი პროტესტი“. ასეთი განწყობილება წამოვიდა ომიანობის დროიდან, ექსპრესიონიზმიდან, როდესაც ცდილობდნენ ამ ანთებამოდებული, უწესრიგო ფორმებით მიღწეული ყოფილიყო, რამდენადაც კი შესაძლებელია, მეტი გარეგნული ეფექტი.

რევოლუციონურმა პოეზიამ კი ამ უწესრიგობას მისცა შინაგანი აზრი:

იდეური დაძაბულობა, რომელიც ახასიათებს ბურჟუაზიულსა და ნვრილბურჟუაზიულს ნაწილს პოეტებისას, სავსებით უცნობია ევროპის რევოლუციონური პოეტებისთვის (გერმანიაში — იოანეს ბე-ჰერი, მაქს ბარტელი, ერნესტ ტოლერი, ოსკარ მარია გრაფ; საფრანგეთში — მარსელ მარტინე, ჟორჟ ლუამელი (კორექტურა აღბათ გამოცემისა: ნ.დ.) ვაიან კუტურე... შანდორ გაბორი, ანტალ გიდაძე; პოლონეთში — ბრუნო იასენსკი, ინგლისში — რობერტ ხოგგ, ამერიკაში — მაიკლ ჰოლდი და სხვ.) უმრავლესობა ამ პოეტებისა სწერს თეთრი ლექსით, როგორც წინათ ვერჰარნი, უიტმენი.

სულ სხვა სურათია [თანამედროვე რუსეთში], თანამედროვე საბჭოთა [კავშირში], [რესეფერეს-პუბლიკებში: როგორც ბელორუსიაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, უკრაინაში, საქართველოში.

რევოლუციის შემდეგ აქ რითმას [არათუ არ დაუკარგავს თავისი ...], მიეცა უფრო ღრმა მნიშვნელობა, იგი გამდიდრდა ახალი მიღწევებით, მიემატა ახალი აზრი“ (ტაბიძე 2008: 401-402).

საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგიის ლუნაჩარსკის სიტყვები, რომელსაც გალაკტიონი ასე ჩაუფიქრებია, არ იყო ლიტონი. იმის გათვალისწინებით, თუ მაშინდელი საზოგადოების — „ხალხის მასების“ ცნობიერებაზე ზემოქმედების რა ძალას ფლობდა მხატვრული სიტყვა, რომელიც დღეს მასმედიაში ჩანაცვლა, უფრო გასაგები შეიქნება, რა საფრთხეს უქადადა საბჭოთა სახელმწიფოებრივი წესრიგის ანუ კოსმოსის ფორმირებას ეს „ლტოლვა უწესრიგობისადმი“, დაკანონებული რიტმების სრული დაკარგვა ლექსში ანუ ქაოსი, როგორ უშლიდა იგი ხელს „ახალი ადამიანის“ აღზრდას, რაც იდეოლოგიური ცენტრის მიერ ხელოვნების ძირითად მიზნად გამოცხადდა.

რითმას, რაც ტრადიციულ სალექსო ფორმებში სიმწყობრეს, წესრიგს, სტრიქონთა თავისებურ უნიფიცირებას უზრუნველყოფს, საბჭოთა ხელისუფლება მიესალმებოდა და აკანონებდა კიდევ. გალაკტიონისთვის, ვისი კრეაციული ძიებანიც რითმის სფეროში რაოდენობრივად თუ ხარისხობრივად გაცილებით აღემატებოდა თავის თანამედროვეთა წარმატებულ ცდებს, რითმის ეს კანონიზაცია მანაც გარკვეული შვება იყო, თუმცა მას მოუხდებოდა უარის თქმა ქართული ლექსის არაერთი ახალი სახეობის შექმნაზე, ყოველ შემთხვევაში, ლეგიტიმურად მაინც და აქაც არსებობდა ერთი გამოსავალი — ახალი ლექსის გადათარილება, — ფიქციური მიკუთვნება ადრეული შემოქმედებისათვის, რისთვისაც მას სხვადასხვა მიზნით არაერთგზის მიუმართავს.

გალაკტიონისათვის, ისევე, როგორც სხვა, „თანამგზავრი“ პოეტებისთვის, ლუნაჩარსკის სიტყვები იმდროინდელ მოვლენათა განვითარების ლოგიკური დასასრულისა და უკვე ამკარად მოსალოდნელ საბედისწერო მოვლენათა დასაწყისის მაცნე იყო. თუ ოცინი წლებში, საბჭოთა იდეოლოგიის მიერ, ლექსის ფორმობრივ სფეროში მიმდინარე ყოველგვარი ძიებანი და ნოვაციები ფორმალიზმად ინათლებოდა და თანდათანობით მზარდი იდეოლოგიური კრიტიკის ობიექტად იქცეოდა, ოცდაათიანის დასაწყისიდან, „პროლეტარული მწერლობის მომძლავრების“ შემდეგ ეს ყოველივე უკვე გადაჭრით იქნა მიჩნეული ბურჟუაზიული-წვრილბურჟუაზიული მტრული სამყაროს ვერაგულ კულტურულ-იდეოლოგიურ დივერსიად და უშეღავათო ბრძოლის ერთ-ერთ სამიზნედ გადაიქცა. ცხადია, ამ რეპრესიაში უპირველესად მოექცა თავისუფალი ლექსიც, რომელიც ევროპული ლიტერატურიდან გაიცნო და შეითვისა ჯერ რუსულმა და მის კვალად ქართულმა პოეზიამ. ეს კი არა მხოლოდ ვერლიბრისა და ქართული ტრადიციული ლექსის განვითარების პროცესთა ხანგრძლივ კონსერვაციას, არამედ ქართული ევროპეიზმის დასასრულსაც მოასწავებდა.

„რაკი უკვე არსებობენ რუსთველი და გალაკტიონი — ერის პოეტური ბიბლია — ქართული სმენისთვის ყოველთვის საჩოთირო იქნება უმეტრო, ურიტმო, ურიტმო ლექსის აღქმა, როგორც მუსიკალურად მწირი მხატვრული აქტისა“ (ნიშნინიძე 1978:112). — წერდა შ. ნიშნინიძე გასული საუკუნის 70-იან წლებში თავისუფალი ლექსის გამო გამართულ პოლემიკის დროს. რეალობა კი ასეთია:

„რიტმი დედაენისა მოცემულია თავისუფალი ლექსით, თავისუფალი ლექსის დაფუძნებისათვის დაწერილია ჩემმიერ მთელი რიგი ნაწარმოებები: „ჯონ რიდი“,

ადგილები „პაციფიზმი“, „რევოლუციონურ საქართველოში“ და „ეპოქაში“ (ტაბიძე 1975:178) — წერდა გალაკტიონი .

მისი თავისუფალი ლექსები დაახლოებით თხუთმეტი წლის მანძილზე იქმნებოდა (1915-1931) და ევოლუციის გზით მივიდა იმ სახეობამდე, რასაც ლექსმცოდნეთა ერთი ნაწილი „ნამდვილ ვერლიბრს“ უწოდებს.

გალაკტიონის პირველი ნაბიჯები ამ მხრივ, კონვენციური ლექსის გარეგნულ ფორმას, მის გრაფიკას მიემართებოდა და 1914 წლით თარიღდება. თანდათანობით იგი ქმნის ვერლიბრის არაერთ გარდამავალ სახეობას, რომლის რიტმული მდინარე-ბაც თავისუფალი და კონვენციური მონაკვეთების ნაირგვარ კომბინაციებს ეყრდნობა (1916 წლით დათარიღებული „სხვები ჩხავიან, როგორც ყვავები“, „შემოდგომა“). ექვსი თავისუფალი ლექსი შეტანილია „არტისტულ ყვავილებში“ (1919): „სამრეკლო უდაბნოში“, „ღრუბლები ოქროს ამურებით“, „ვინ არის ეს ქალი“, „ფარდების შრიალი“, „ჩვენი საუკუნე“ და „შიში“. ოციან წლებში გალაკტიონს, გარდა მის მიერვე დასახელებული ნაწარმოებებისა, შექმნილი აქვს გარდამავალი ვერლიბრის არაერთი სახეობის ნიმუში: „ზღვის ეფემერა“ (1922), „ქიმიურ საგნებთან“ (1924), „ეს ლექსი“ (1924), „დედოფალა“, „ნანა, მხოლოდ ნანა“ (1927), „შენ ყოველთვის კარგი ხარ“ (1927), რომელიც სხვადასხვაგვარი პოლიმეტრიისა და თავისუფალი მონაკვეთების კომბინირებით შექმნილ რიტმს ეყრდნობა.

აღნიშნულ ნაწარმოებთა ჟანრობრივი და თემატური მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ თავისუფალ ლექსს გალაკტიონი მოიაზრებს არა ჟანრად, არამედ ლექსის სახეობად და მისი იმანენტური ნიშანი რიტმიკაში ეგულება. ეს გარემოება საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მოგვიანებით საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში გაჩნდა წარუმატებლობისთვის განწირული ცდები თავისუფალი ლექსის ჟანრობრივი მახასიათებლების გამოკვეთისა. ამ ცდებს 70-იან წლებში მხარს უჭერდა ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილიც (ა.ვასაძე და სხვანი), რომელსაც მხედველობიდან გამორჩა ამ მხრივ არა მხოლოდ გალაკტიონის, არამედ ცისფერყანწელთა და სხვა პოეტთა 10-20-იანი წლების გამოცდილება. მაგრამ დრო გადის და პოეტს ახალი ეპოქა ახალ მოთხოვნებს უყენებს...

ვარშავა. პოლონელ პროლეტარიატის ომის წინააღმდეგ მიტინგზე სიტყვას ამბობს სეიმის წევრი. ის მიუთითებს იმ საშიშროებაზე, რომელსაც აწყობენ სახელმწიფონი დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობით. ეს საშიშროებაა ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. იგი მიუთითებს პოლონეთის მთავრობის აგრესიაზე ლიტვის მიმართ...

ეს არის ფრაგმენტი გალაკტიონის ერთ-ერთი უკანასკნელი უსათაურო ვერლიბრიდან „ეს იყო ცხრაას ოცდა ექვს წელში“ (1930), რომელიც მე განგებ, პროზაული ფორმით წარმოვადგინე. აღვუდგინოთ ტექსტს თავისუფალი ლექსის გრაფიკა: „ვარშავა / პოლონელ პროლეტარიატის ომის წინააღმდეგ / მიტინგზე / სიტყვას ამბობს სეიმის წევრი, / ის მიუთითებს იმ საშიშროებაზე / რომელსაც აწყობენ სახელმწიფონი / დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობით. / ეს საშიშროებაა / ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. / იგი მიუთითებს / პოლონეთის მთავრობის აგრესიაზე / ლიტვის მიმართ (ტაბიძე 1966: 259).

საგაზეთო-ინფორმაციული ენის პირდაპირი ტრანსპორტაცია პოეზიის ენაში, მზა ტექსტზე ძალისხმევის მინიმუმი: გრაფიკის მეშვეობით დანაწევრება, აქცენტებითა და პაუზებით გაჯერება, ამის შედეგად მიღწეული რიტმულ-ინტონაციური დინამიკა — აი ზღვარი, რომლამდეც გალაკტიონი თავისუფალი ლექსის ათვისების გზაზე მივიდა.

დღევანდელი მონაცემებით, გალაკტიონის უკანასკნელი ვერლიბრები 1931 წლით თარიღდება. მას შემდეგ პოეტს თავისუფალი ლექსისთვის აღარ მიუშვრთავს, თუ არ ჩავთვლით დაუმთავრებელ პოემას „პუშკინი“, რომელსაც იგი ორმოცდაათიან წლებში ქმნიდა და ძნელი სათქმელია, როგორ ფორმას მისცემდა საბოლოოდ, კონვენციურ ლექსად „გარდათქვამდა“ თუ ვერლიბრის ფორმას შეუნარჩუნებდა.

თუ ვინმე ითავებს ქართული ვერლიბრის ანთოლოგიის შედგენას, რაც, ჩემი ფიქრით, ძალზე საჭირო საქმეა, მეტისმეტად გაუჭირდება, ამოავსოს ის დიდი თეთრი ლაქა, 30-იანი წლების დასაწყისიდან 50-იანებამდე პერიოდს რომ მოიცავს, რადგან თავისუფალი ლექსები, რომელიც იმ პერიოდში იქმნებოდა, ბეჭდურად ნაკლებად ფიქსირდებოდა და ამის გამო კარგა ხნით ლიტერატურის განვითარების პროცესს მიღმა იყო დარჩენილი. მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა კი გაცილებით გვიან იხილა დღის სინათლე.

აქ უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ შოთა ჩანტლაძის შემოქმედებას, სადაც ვერლიბრს უპირატესი ადგილი უჭირავს. დანარჩენი მასალა — ძირითადად, თავისუფალი გრაფიკით წარმოდგენილი პოლიმეტრული ლექსებია.

მხატვრულ-ესთეტიკურთან ერთად, რა სოციო-პოლიტიკურ ფაქტორებს უნდა განეპირობებინა ვერლიბრითა და სხვა სალექსო ფორმებით ხელახალი დაინტერესება ორმოცდაათიანი წლებიდან?

II მსოფლიო ომში ერთმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა დაამარცხა მეორე, მაგრამ ეს გამარჯვება არა მარტომ, არამედ უნინ დაუძინებელ მტრად გამოცხადებულ, ან უკვე მოკავშირედ ქცეულ ნამყვან კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დახმარებით მოიპოვა. მტრადვე მიჩნეული მეზობელი ქვეყნების ფაშიზმისაგან განთავისუფლების შედეგად კი შემოიმატოვდა სოციალისტური ბანაკი. ლოგიკურად გამოდიოდა, რომ ტოტალიტარული რეჟიმის სიმტკიცისათვის მუდმივად აუცილებელი, 20-30-იან წლებში დამკვიდრებული, „საბჭოეთის მტრის“ ხატი უკვე ძნელი შესანარჩუნებელი იქნებოდა და მინიმუმ, მოდერნიზაციას მაინც საჭიროებდა. „გამარჯვების ეიფორიის“ დაცხრომიდან ახალ, „ცივი ომის“ რიტორიკაზე გადასვლის პარალელურად, მანამდე ჰერმეტიული საბჭოთა სივრციდან ამ ქვეყნების კულტურებისკენ ფანჯარა გაიჭრა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ომისა და ერთობლივი გამარჯვების შედეგად გაჭრილი ეს ფანჯარა მჭიდროდ უკვე ველარ იხურებოდა. რედუცირებადი ტოტალიტარიზმის პირობებში „თანამედროვე მსოფლიო რეალისტური ლიტერატურის საუკეთესო მონაპოვარის“ ნიშნით დაინყო შემოდიდება იდეოლოგიურად მისაღები, სელექტირებული მასალისა, რომლის ნაწილი თავისუფალი ლექსიც იყო. ეს ყოველივე საგრძნობლად აფართოებდა ადრე იძულებით შეზღუდულ შემოქმედებით თვალსაწიერს და საშუალებას იძლეოდა, დაძლეულიყო იმდროინდელ საბჭოთა პოეზიაში მომნიშვებული თემატურ-ჟანრობრივი და ფორმობრივი კრიზისი: ომში გამარჯვების შემდეგ პატრიოტული, გამირულ-ჰეროიკული პათოსით აღსავსე პოეტური ნარატივი, უკიდურესად გამღერებულ-გახალხურებული ლექსი, მისი ადაპტირებული, კლიშეობრივი იმაგინაციური სისტემა და მეტ-ნაკლებად უნიფიცირებული ფორმა, რომელიც ადრე საბჭოთა მკითხველ-მსმენელი მასების გულისაკენ მსწრაფლ იკვალავდა გზას, უკვე არააქტუალური ხდება, მკვეთრ ვარდნას იწყებს მისი ტონუსი. ამ კრიზისულ ფონზე, მანამდე იდეურად „ერთიან“ საბჭოთა პოეზიაში ჩნდება დისინტეგრაციის პირველი ფრთხილი, მოსინჯვითი სიგნალები, რომელზეც საბჭოთა იდეოლოგია, ცენზურის მეშვეობით მწვავედ, (თუმცა უკვე — არა ფატალურად), რეაგირებს. თანდათანობით იგი უკვე მოთვინიერებული მწერლობისადმი (ა.ბაქრაძე) ლოიალურიც ხდება, მაგრამ 50-იანელთა ახალთაობას ჯერ მაინც დანალმული ველი აქვს გასავლელი.

იმდროინდელი ახალი თაობა პოეტებისა ორიენტირებულია მხატვრულ-ესთეტიკური სიახლისაკენ, მაგრამ დეზორიენტირებულია იდეოლოგიურად: საუკუნის დასაწყისის პოეტთა გამოცდილება ოფიციალურად დაგმობილია. მათგან ვინც ცოცხალი გადაურჩა 30-იანი წლების რეპრესიებს, იძულებულია, მუდამ ახსოვდეს, რა დიდსულოვნად ეპატია ხელისუფლებისაგან „წარსულის შეცდომები“ და მოუფრთხილდეს ამის სანაცვლოდ მიღებულ კლიშე-ინდულგენციას: „მან ხარკი მოუხადა სიმბოლიზმს, მოდერნიზმს“ და ა.შ. თუმცა არაპროგნოზირებად გარემოში ეს უსაფრთხო არსებობის გარანტიას მაინც არ იძლევა.

ამ თვალსაზრისით სიმპტომატურია 1952 წელს შოთა ჩანტლაძის მიერ თავისუფალ ლექსად დაწერილი პოეტური „მანიფესტი“ ეს არის ტექსტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რარიგ ამაოდ ცდილობს სიახლისმაძიებელი ახალგაზრდა პოეტი, მთარეგოს თავისუფალ ლექსთან, როგორც შემოქმედებითი თავისუფლების გამოვლინე-

ბის ფორმასთან, „ჭეშმარიტი შემოქმედებითი თავისუფლების“ საბჭოური გაგება, და სოციალისტური რეალიზმის პრინციპები. ლექსი, რომელშიც კვლავ ლუნაჩარსკის, გორკისა და სხვა იდეოლოგთა სიტყვების ექო ისმის, გაჯერებულია „წინაპრების“ — გალაკტიონისა და ცისფერყანწელთა პოეზიისა და ბიოგრაფიის ალუზიებით, ოღონდ ეს ალუზიები ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურ პლანშია წარმოდგენილი. (რაკი განსხვავებით კონვენციური ლექსისაგან, ვერლიბრის ფრაგმენტული ციტირება ძნელია, თან ამჯერად ამ ვრცელი ტექსტის მხოლოდ შინაარსი გვაინტერესებს და არა ფორმა, გადმომაქვს პროზის სახით:

„ბატონებო და ქალბატონებო, ეს გახლავთ ჩვენი უკანასკნელი სიტყვა, ჩვენი პირველი და უკანასკნელი სიტყვა გახლავთ ეს: პოეტები დაეშვნენ ოლიმპოდან. იმათთვის, ვინაც წინ მიგვიძღოდა ჩვენ, პოეზია გახლდათ ფუფუნება; ჩვენთვის კი იგი — პური და წყალია და წარმოუდგენელია ცხოვრება უმისოდ. პატივისცემით უნდა მოვახსენოთ — წინაპრებისგან განსხვავებით — ჩვენ მიგვაჩნია: ალქიმიკოსი როდია პოეტი. იგიც სხვასავით ადამიანია, იგი კალატოზია სახლის მშენებელი, იგია მშენებელი, რომელიც კედელში ფართო კარებს და ფანჯარას ჰკვეთს. ჩვენ ერთმანეთში ვლაპარაკობთ ჩვენი დღეების უბრალო ენაზე, კაბალისტიკის არ გვწამს არაფერი. და კიდევ ერთი: დედამინაზე იმისათვის არსებობს პოეტი, რათა ხე მრუდედ არ ამოიზარდოს აროდეს. ჩვენ ამით მოგმართავთ თქვენ და ვდგებით გზაზე პოეტ-დემიურგის, იაფი პოეტის, წიგნთსაცავის ვირთხას რომ გავს. პატივისცემით მოვახსენებთ — ყველა ეს ვაუბატონი უნდა გასამართლდეს, რამეთუ აგებენ ჰაეროვან კოშკებს და უმონყალოდ ფლანგავენ სივრცესა და დროს. უძღვნიან სონეტებს მთვარეს, სიტყვებს აწყობენ ალაღბედზე, იცავენ პარიზის უკანასკნელ მოდას, ხოლო ჩვენებურად კი ასე არ არის: აზრი იბადება არა ბაგეებზე, არამედ გულის-გულში იბადება აზრი. გადაჭრით უარყოფთ — მზის სათვალეების პოეზიას, პლამჩის და ხანჯლის, ფრთიანი შლიაპის პოეზიას. სამაგიეროდ, ვთავაზობთ — ნათელი თვალის პოეზიას, გაშიშვლებული სულის, შიშველი თავის პოეზიას. არ გვწამს არაფერი ალის და ფერიების. პოეზია არის ასული, ერთი იღლია მწიფე თავთავებით ანდა პოეზია საერთოდ არ არის. სად არიან ისინი, ვინც წინ მიდგოდნენ, ჩვენი კეთილი და უახლოესი წინაპრები... მე ვიცი ერთი: მათგან მხოლოდ ცოტანი აღწევდნენ ხალხის გულამდე და ცხოვრობენ ამ გულში. სხვები კი მუდამ, როცა კი შეეძლოთ, გამოდიოდნენ სიტყვით და საქმით პოეზიის არსის წინააღმდეგ... მით უფრო მწარეა აღიარება, რომ მათი პოეზია — კატასტროფაა, ზეიმი მეორეხარისხოვანი სიურრეალიზმის, დეკადენტობა მესამე ხარისხის, ნაპირზე ზღვისაგან მოგდებული ძველი ფიცრები, ზედსართავი ლექსები, ცხვირისა და ხორხის პოეზია, თვითნებური, წიგნებიდან გადმონერილი, რომლის საფუძველში ძვეს სიტყვის რევოლუცია. თუმცა, პირობის თანახმად, იგი უნდა დადგეს გრძნობისა და იდეის რევოლუციის საფუძველზე. ნახევარდუყიბი რჩეულების მოჯადოებული წრე: აბსოლიტურად თავისუფალი სიტყვა! და დღეს ჩვენ ვიკითხავთ გაცემით: რისთვის იწერებოდა ყოველივე ეს? იმისთვის, რომ დაემინებინათ წვრილი ბურჟუაზია? რა ტყუილა დაკარგულად დრო! ბურჟუა რეაგირებს მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე ეხება საქმლის მონღლებას. შეეცადეთ შეაწუხოთ იგი ლექსებით! ასეთია ვითარება: სანამ ისინი აფუძნებდნენ შებინდების პოეზიას, ღამის პოეზიას, ჩვენ ვიცავდით განთიადის ლექსებს, ცისკრის პოეზიას პოეზიის სინათლე უნდა უნათებდეს ყველას დედამინაზე, ყველგან დედამინაზე, ყველამდე აღწევდეს...“ (ჩანტლაძე 1984: 84)

ვფიქრობ, ტექსტის საერთო ლოგიკიდან გამომდინარე, აქ სიტყვები: „და ვდგებით გზაზე პოეტ-დემიურგის“ — უნდა გავიგოთ, როგორც გზაზე გადავუდგებით, ველობებით, გზას ვუკეტავთ პოეტ-დემიურგს. ცხადია, ხანგრძლივი დროითი წყვეტის შემდგომ თავისუფალი ლექსის ათვისების ახალი ცდისას ქართული ვერლიბრის პირველშემომტანი „წინაპრების“ ამგვარი რეცეფცია უკვე გამორიცხავს მათი პოეტური გამოცდილების გაზიარებისა და ტრადიციის აღდგენის ალბათობას. გალაკტიონისა და ცისფერყანწელთა გამოცდილებას ნაკლებად იზიარებენ ვერლიბრის შედარებით გვიანდელი ავტორებიც. ყოველ შემთხვევაში, ეს დასტურდება ბესიკ ხარანაულის სიტყვებში: „მე როცა ვინყებდი, თავისუფალი ლექსები იმ სახით, გულზე რომ მომხვედროდა, არ მინახავს. პირადად ჩემს შემოქმედებაზე გალაკტიონის

ვერლიბრებს უშუალო გავლენა არ მოუხდენია. თქვენ კი გეგულებათ ვინმე, ვინც ტრადიციად გალაკტიონის ვერლიბრი აიღო?“ (ხარანაული 2002: 133)

50-იან წლებში გამოქვეყნებული თავისუფალი ლექსებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მუხრან მაჭავარიანის „მინურული მეცხრამეტე საუკუნისა ანუ იმერული ქელები“ (1951-1953):

ასწლოვან მუხებში გაშლილია
მდიდარი სუფრა.
გარდაიცვალა ცნობილი თავადი
ფრიდონ!...
— ჩინებული ალაპია!
ლატაკი აზნაური — კონია —
თავაზიანობს ნამეტანს:
— კარტოფილს არ მიირთმევთ,
ქალბატონო აგრაფინა?!
მანდილოსანმა გადმოიღო მცირედი
ულუფა —
ლიმილით ნაზით...
მამაკაცები ენაფებიან
უშველებელ ყანებს...
კონია — არნივი ბახტრიონის,
აგრაფინა — ვარდი შირაზის,
ეარშიყებიან ურთიერთს;
მოდგენ ხასიათზე —
რალაი გაძღენ.
(ო... ეს კი აღარ ვარგა):
კონიამ ყელი მოიღერა სამღერლად.
დაიჟინა: — ქორნილში ვართო!
არწმუნებს აგრაფინას:
— მე... ვარ იადონი...
და დღეს შენზე ვინერ ჯვარს, ქორფა
ვარდო! (მაჭავარიანი 1979: 39)

ამ ვერლიბრს, რომელიც სპორადულად არის გართმული და თავისუფალი გრაფიკა აქვს, ქართულ პოეზიაში თავისი ე.წ. იდენტური ტყუპისცალი ჰყავს (თუმცა იგი გაცილებით გვიან იშვა). არა მხოლოდ მსგავსი სათაური, არამედ, უკიდურესი მსგავსება ყველა დონეზე: თემა, ნარატიული სიტუაცია, ამ სიტუაციის ირონიულ-პაროდული ხედვა, კომპოზიცია, თავისუფალი გრაფიკა, თავისუფალი რიტმი, იმერული დიალაქტიზმებით გაჯერებული სასაუბრო მეტყველება, სპორადული რითმები სტრიქონების ბოლოს და ა.შ. ... ოღონდ მუხრან მაჭავარიანის ლექსში თუ თავადი ფრიდონის გარდაცვალების ამბავია, შოთა ნიშნიანიძის „იმერული სატირალი“ მინადორა ბიცოლას ამბავს გადმოგვცემს:

ტირიან დეპეშები,
მთქვამენ დეპეშები,
თმა-წვერს იგლეჯენ და ლოყებს
იხოკავენ:
მოდინ ზუზუნით,
მორბიან კივილით სხვადასხვა
კუთხიდან სხვადასხვა
კილოკავით.
ტირიან ასი წლის მინადორას —
მამიდას,
ბიცოლას,
დეიდას,
„აღმზრდელს და საყვარელს“,
„ძვირფასს და დაუფინყარს“,

— დევილუპეთ,
დავობლით დღეიდან,
ბაზარია,
დოლია,
ცირკი თუ სტადიონი?
ერთ ეზოში დატეულა მთელი რაიონი.
გადი-გამოდიან,
გადი-გამოდიან,
გარბი-გამორბიან ბებრუხანა
მაშველები:
— ე, ბეჩა, რას შვები?!
ულვაშებზე ხელს ისვამენ იერემია
ნარბები
და ბუღის თვალებით ფურირემს
„არბევენ (ნიშნიანიძე 1989: 448-449)

რატომ გავამახვილეთ ყურადღება ტოტალიტარიზმისა და შემოქმედებითი თავისუფლების შესახებ საუბრისას კერძოდ, ამ ორი ლექსის ურთიერთმიმართების მაგალითზე? საქმე ის გახლავთ, რომ 70-იან წლებში ვერლიბრის გამო გამართულ პოლემიკაში შოთა ნიშნიანიძე ვერლიბრის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგედ და კონვენციური ლექსის დამცველად გამოდიოდა, მეორე მხრივ კი, თავადვე ეძებდა გზებს, გამომსახველობით საშუალებებს თავისუფალი ლექსის შესაქმნელად. უთუოდ ამ წინააღმდეგობის ასახსნელად განმარტავდა იგი პოლემიკისას, რომ ებრძოდა არა ზოგადად ამ სალექსო ფორმას, არამედ მოძალებას უმწეო, „უცეცხლო“ პოეტური ტექსტებისა, რომელიც თავისუფალი ლექსის ეგიდით მკვიდრდებოდა ქართულ პოეზიაში, მაგრამ ხელისუფლებისა და მკითხველთა მიერ ერთობლივად აღიარებული ამ პოეტის სოციალური სტატუსი იმდენად მაღალი იყო, რომ ეს ყოველივე თავისუფალი ლექსისა და შემოქმედებითი თავისუფლებისადმი ლიტერატურული ოფიციალის პოზიციად ფიქსირდებოდა.

შოთა ნიშნიანიძე წერილში „პანანკინტელა სოფიზმები და დიდი რეალობა“ ასე სვამდა საკითხს: ჰქონდა თუ არა უფლება მის საპირისპირო პოზიციაზე მდგარ მოკამათეს, რომელიც სულ ახალი დანიშნული იყო აღმანახ „კრიტიკის“ მიღვნად, გამოეთქვა საკუთარი აზრი ვერლიბრის დასაცავად: „მაშინ, როცა ნამდვილი მედროშეები ჩუმად არიან. მოულოდნელი იყო რომაული მახვილი, ლექტორის წკეპლა, სჯულმდებლის მანტია ... ყოვლისმცოდნის პოზა... საიდან გაუჩნდა ოპონენტს საკუთარ თავზე ასეთი წარმოდგენები? როცა კაცს სხვაზე მეტი არ გაუკეთებია, ხმაც არ ამოეღება, თორემ დაუმსახურებელი პოზა მასვე ხდის სასაცილოს“ (ნიშნიანიძე 1978:114) — პასუხობდა შ. ნიშნიანიძე მამუკა ნიკლაურს აღმანახ „კრიტიკაში“ გამოქვეყნებულ წერილზე „კრიტიკული ლაშქრობა უფაქტებოდ“.

ცხადია, დიალოგურობის პრინციპებზე დაყრდნობილ, დემოკრატიულ საზოგადოებრივ-კულტურულ სივრცეში საკითხის ამავგვარად დაყენება — უბრალოდ, ნონსენსი იქნებოდა და ეს კვლავ ტოტალისტური ცნობიერების გამოვლინება იყო, ისევე როგორც იმდროინდელი უკიდურესი მითიზაცია თავისუფალი ლექსისა.

გასული საუკუნის ქართული ვერლიბრის ისტორიის პრობლემატიკაზე მუშაობისას არ არის ადვილი, არა მხოლოდ ამ, არამედ პოლემიკის სხვა მასალებიდან გაიმჯნოს ლიტერატურათმცოდნეობითი და სოციალური ასპექტები, მხარეთა ურთიერთსაპირისპირო არგუმენტებიდან მოიხელთებული იქნეს საკუთრივ ლექსმცოდნეობითი თვალსაზრისით საყურადღებო მომენტები, დაფიქსირდეს მათ შორის ლოგიკური კავშირები. 1978 წლის ჟურნალ „ცისკარის“ მეოთხე ნომერში გამოქვეყნებული ანკეტა კი ღირსებებთან ერთად, ლექსმცოდნეობითი თვალსაზრისით, იმ ნაკლებით ხასიათდებოდა, რომ შემდგენელთა მიერ სიღრმისეულად არ იყო გააზრებული პრობლემა, რომლის თაობაზეც აზრის გამოთქმას სთხოვდნენ ქართველ მწერლებსა თუ ლიტერატურათმცოდნეებს. ეს ჩანს შემდეგი კითხვის ფორმულირებაში: „რომელი ლექსის ნაკითხვა გირჩევნიათ, რითმიანისა თუ ვერლიბრის და რატომ?“

აქ პრინციპული ხასიათის შეცდომა იყო დაშვებული, რადგან ანტონიმურ წყვილად მოიაზრებოდა ვერლიბრი და რითმიანი ლექსი, რომელიც შეიძლება იყოს კონ-

ვენციურიც და არაკონვენციურიც ანუ თავისუფალი, როგორც ეს ვნახეთ მუხრან მაჭავარიანისა და შოთა ნიშნიანიძის ლექსების მაგალითზე, ხოლო ვერლიბრი, ანუ თავისუფალი ლექსი, რომელიც რითმასთან დამოკიდებულებაში შეუზღუდავია, გაიგივებული იყო ვერბლანთან ანუ ურითმო, თეთრ ლექსთან. ამ ანკეტის პასუხებში გამოიკვეთა ტენდენცია, დასაბუთებულიყო, რომ ვერლიბრს ჩვენშიც ისეთივე ძველი მრავალსაუკუნოვანი (და შესაძლოა — უფრო ძველი) ტრადიცია აქვს, როგორც კონვენციურ ლექსს (ჯ. აჯიაშვილი, გ. ბაქანიძე). ახალ მოვლენად მიიჩნევენ მას გ. გაჩეჩილაძე, ა. განერელია, ნ. კაკაბაძე, გ. კანკავა, ჯ. ლვინჯილია, ვ. ჯავახაძე და გ. ასათიანი. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ა. განერელიას აზრი: „ვერლიბრის თავისებურება ისაა, რომ მისი უხმო კითხვის თუ ზეპირი წარმოთქმის დროს საზომი მკაფიოდ არ ვლინდება სისტემის სახით, თავისუფალ ლექსში იგი (მეტრი) მონაწილეობს პოტენციალურად და მეტნილად აუნაზღაურებელი მოლოდინის სახით“ (განერელია 1978:118), თუმცა, ეს აზრი ესადაგება გარდამავალი ვერლიბრის ერთი, კერძო სახეობას და მისი განზოგადება ვერლიბრის მრავალ სახეობაზე, თუნდაც გალაკტიონის მრავალფეროვან თავისუფალ ლექსებზე — შეუძლებელია. და რაც მთავარია, პოლემიკასა და ანკეტაშიც კვლავ მივინყებულნი იყო მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული ტრადიცია, რომელიც არა მხოლოდ გალაკტიონის, არამედ ცისფერყანწილების, ფუტურისტების, ზოგადად ქართული მოდერნიზმის წარმომადგენელთა სახელებს უკავშირდებოდა თუმცა ამას ერთი ახსნა მაინც ეძებნება. მათ ესეისტიკაში დაფიქსირებული მასალები, რომელიც ვერლიბრის რაობას, ისტორიას და ა.შ. შეეხებოდა, ლიტერატურულ აზროვნებაში ძირითადად ოთხმოციანი წლებიდან აქტიურობდა მანანა ხელაიას მიერ გამოცემული კრებულის „ქართული ლიტერატურული ესსე“ (ხელაია 1986) წყალობით. და რაკი იმდროინდელი კულტურული მეხსიერებიდან ხელოვნურად მოხსნილია თავისუფალი ლექსის პრაქტიკული და თეორიული ათვისების სიმბოლისტურ-მოდერნისტული გამოცდილება, იქმნება რუსული გზით შემოსული უცხოური თავისუფალი ლექსების შუალედური თარგმანები, ძირითადად ათმარცველედით ან თოთხმეტმარცველედით. ამ პრაქტიკას ისიც უმაგრებს ზურგს, რომ თარგმანის თეორიაში დამკვიდრებულია აზრი, რომ თავისუფალი ლექსი „ქართულად შესაძლებელია, მხოლოდ მტკიცე მეტრის საზღვრებში არსებობდეს“ (გაჩეჩილაძე 1959: 310).

ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან ვერლიბრის დამკვიდრების პროცესი პოლემიკურიდან დიალოგურ ფაზაში გადადის, ქვეყნდება თეიმურაზ დოიაშვილის საუბარი ტარიელ ჭანტურიასთან, სათაურით „ჯერი ახლა პოეტებზეა!“ (დოიაშვილი 1989: 90) სადაც 70-იანი წლების ლიტერატურული პროცესების ფონზე გამოკვეთილია ძირითადი კანონზომიერებანი და ტენდენციები ქართული ლექსის განვითარებისა. ეს არის იმ დროისათვის პირველი შემთხვევა ვერლიბრის პრობლემის გადატანისა პროფესიონალური დიალოგის სფეროში და მიუხედავად იმისა, რომ მხარეები საკითხთა წყების შესახებ განსხვავებულ პოზიციებზე დგანან და თანაც, როგორც ასეთ შემთხვევებშია მოსალოდნელი, დიალოგი კრიტიკოსის ლოგიკურ-ანალიტიკური დისკურსისა და პოეტის ასოციაციურ-სახეობრივი დისკურსის კოორდინირების პირობებში ვითარდება, მასში უკვე შემონერვილია ის სააზროვნო არე, რომელშიც თავსდება თავისუფალი ლექსის პრობლემემატიკა.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში, რაც რედუცირებადი ტოტალიტარიზმის ფაზაში თავსდება, კომუნისტური ხელისუფლება საგარეო-კულტურული პოლიტიკის ახალ კურსს ისახავს — საკუთარი კულტურული მონაპოვრის რეპრეზენტირებას მსოფლიოს წინაშე. ეს ითვალისწინებს ორმხრივი კულტურული ურთიერთობის გაფართოებას არა მხოლოდ „მომქმე სოციალისტურ ქვეყნებთან“, არამედ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, რასაც გარე სამყაროდან ლიტერატურის სფეროშიც მრავალი სიახლე შემოაქვს, იდეოლოგიური ცენტრის ლოიალური დამოკიდებულების პირობებში საბჭოურ მენტალობაში შესამჩნევი ცვლილებები ხდება. სიტყვა „თავისუფლება“ იფართოებს კონოტაციურ არეს. 60-70-იან წლების მიჯნაზე მოსულ პოეტთა ახალი ნაკადი სარგებლობს იდეოლოგიური ცენტრიდან სანქცირებული ამ თავისუფლებით და მისი ერთი ნაწილი სწორედ რითმას, როგორც თავისუფლების შემზღუდავ ნიშანს უპირისპირდება. ეს საერთო პათოსი მოგვიანებით ამგვარად გამოიხატა დალილა ბედიანიძის ლექსში:

ვათავისუფლებ ოთხ სტრიქონზე
ჯვარცმულ რითმებს
და მარცვალდათვლილ სიტყვებს
ლექსში ვათავისუფლებ,
ვათავისუფლებ დარაჯებს და
არადარაჯებს
და მერე თვითონ თავისუფლებას
ვათავისუფლებ.

გადამწყვეტი შეტევა რითმაზე, როგორც უნინ შემოქმედებითი თავისუფლების ამკრძალავ, ან კი შემზღუდავ ნიშანზე, 60-70-იანი წლებიდან ერთდროულად ორი განსხვავებული მიმართულებით ხდება: ერთია პაროდირება, ანუ ირონიულ-პაროდიულ ლირიკაში მისი მახვილგონივრული გამოყენება; მეორე — მისი ნეგაცია, ანუ მოძალევა ვერლიბრად სახელდებული ურითმო ლექსისა, რომელსაც თავისუფალი გრაფიკა აქვს და რეალურად პოლიმეტრულ (5/4/5) (5/5) საზომთა კომბინაციას წარმოადგენს. აღნიშნული პერიოდიდანვე შეინიშნება ერთი მოვლენა — „კლასიკური“ გრაფიკის მქონე კონვენციური ლექსების არათანაბარ „სტრიქონებად დატეხვა“ ხელახალი გამოქვეყნებისას, რაც თავისუფალი ლექსის ილუზიას ქმნის და თითქოს აუქმებს საზღვარს ვერლიბრსა და ვერბლანს შორის. ლექსმცოდნეობითი კუთხით, ეს იქნებ ლექსის რიტმული მონოტონიიდან განთავისუფლების, ინტონაციური აქცენტებითა და პაუზებით გამდიდრების ცდადაც მიგვეჩნია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ გამოქვეყნებული ლექსის საზღაური იმ დროს სტრიქონთა რაოდენობით განისაზღვრებოდა, ვფიქრობ, კვლავ ჩნდება მოტივი, სალექსო ფორმის განვითარებაზე სოციალური ფაქტორის გავლენის შესახებ სამსჯელოდ.

პოსტსაბჭოური თაობის მიერ წინამორბედთა კონვენციური და თავისუფალი ლექსიც უკვე საბჭოურ, ტრადიციულ მოცემულობად მოიაზრება და მათდამი დამოკიდებულებაც არაერთგვაროვანია. უშუალო კონტაქტების დამყარება გარე კულტურულ სივრცესთან ხსნის პერსპექტივას ქართული კულტურის ახალი, ვესტერნიზაციით ნიშნით წარმართვისათვის.

საბოლოოდ, თუ ქართული ვერლიბრის ისტორიას ერთდროულად სოციოლოგიური თვალთახედვითაც მივუდგებით, იძულებითი წყვეტადობის ფაქტორის გათვალისწინებით შესაძლოა საუბარი მასში სამი ფაზს არსებობაზე:

1. მეოცე საუკუნის 10-იანიდან 30-იანის დასაწყისამდე ე.წ. ევროპეიზაციის ფაზა, რომლის დროსაც ქართული თავისუფალი ლექსი ფორმოზრივად მრავალფეროვანია.

2. 50-იანიდან 80-იანის ბოლომდე — თანდათანობით რედუცირებადი ტოტალიტარიზმის ფაზა, როდესაც თავისუფალი ლექსი რაოდენობრივად თანდათანობით მატულობს, მაგრამ ფორმოზრივი თვალსაზრისით მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა.

3. 90-იანი წლების დასაწყისიდან, ე.წ. პოსტსაბჭოური პერიოდიდან დღემდე — ვესტერნიზაციის ფაზა, რომელშიც, ისევე როგორც წინა ფაზებში, რამდენიმე ქვეფაზის გამოყოფაა შესაძლებელი, ტრადიციულ და დასავლურ კულტურათა კონტექსტებთან მიმართების გათვალისწინებით და თავისუფალი ლექსი მკვეთრად პრევალირებს რაოდენობრივად და სახეობათა მრავალფეროვნების მხრივ.

მესამე ფაზის განვითარების შემდგომი ქვეფაზების შესახებ ჯერჯერობით პროგნოზირება თუ შეიძლება. ზოგადად კი უნდა ითქვას, რომ არ გამართლდა აზრი, თითქოს თავისუფალი ლექსის ფორმა შეუთავსებელია ქართული ლექსის ბუნებასთან, რასაც ქართული ვერლიბრის საუკეთესო ნიმუშების არსებობა თვალნათლივ ადასტურებს.

დამონებიანი:

გაჩეჩილაძე 1959: გაჩეჩილაძე გ. მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1959.

განერელია 1978: განერელია ა. საუბარი პოეზიაზე. „ცისკრის“ ანკეტა. „ცისკარი“, № 4, 1978.

დოიაშვილი 1989: დოიაშვილი თ. გუშინ, დღეს, ხვალ. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1989.

მაჭავარიანი 1979: მაჭავარიანი მ. ერთტომეული. ტბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1979.

ნიშნიანიძე 1989: ნიშნიანიძე შ. ლირიკა. თბ.: გამომცემლობა „მერანი“, 1989.

ნიშნიანიძე 1978: ნიშნიანიძე შ. პანანკინტელა სოფიზმები და დიდი რეალობა. „ცისკარი“, № 2, 1978.

ტაბიძე 1966: ტაბიძე გ. თხზულებანი 12 ტომად. ტ. III. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

ტაბიძე 1975: ტაბიძე გ. თხზულებანი 12 ტომად. ტ. XII. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1975.

ტაბიძე 2008: ტაბიძე გ. საარქივო გამოცემა ოცდახუთ ტომად. ტ. XXII. თბ.: „ლიტერატურის მატთანე“, 2008.

ჩანტლაძე 1984: ჩანტლაძე შ. თენდება, ღამდება. თბ.: „ლიტერატურის მატთანე“, 1984.

ხარანაული 2002: ხარანაული ბ. სანამ ცოცხალია ენა. კრ. „გალაკტიონოლოგია“, 1. თბ.: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, 2002.

ხელაია 1986: ხელაია მ. ქართული ლიტერატურული ესსე. თბ.: „მერანი“, 1986.

LALI TIBILASHVILI
Georgia, Tbilisi
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Personal Rebel against Totalitarianism according to Z. Gamsakhurdia's Lyric Poetry

Zviad Gamsakhurdia's opposition to Soviet regime is reflected not only in his biography but in his poetic lyrics.

An attempt to escape from the reality and a shelter for the lyrical hero in old architectural monuments is one of the topical issues of Zviad Gamsakhurdia's poetry.

Against the background of mass literature, rise of culture and devaluation of the individual, of special importance become verses-medallions or devotions where the author in conditions of the totalitarian regime, chooses the addressees in quite a new perspective.

Zviad Gamsakhurdia turned the most complicated political issues of his time into poetry. Whereas the painful theme of Russian-Georgian interrelations was still tabooed, he addressed the allegorical poetry and in this way expressed his relation to national pain.

Keywords: Zviad Gamsakhurdia's Poetry; Soviet Regime; Totalitarianism; Allegorical Poetry.

ლალი თიბილაშვილი

საქართველო, თბილისი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„... სურთ საქართველოს აუგონ წესი“ (პიროვნული ამბოხი ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ ზვიად გამსახურდიას ლირიკის მიხედვით)

ზვიად გამსახურდია სრულიად ახალგაზრდა დაუპირისპირდა საბჭოთა რეჟიმს, რაც აირეკლა არა მარტო მისმა ბიოგრაფიამ, არამედ პოეტის ლირიკამ. იგი, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, დააპატიმრეს პატრიოტიზმისა და დიქტატურის წინააღმდეგ მიმართული საქმიანობისათვის, იატაკქვეშა ორგანიზაციის ჩამოყალიბებისა და ანტისაბჭოური, ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ პროკლამაციების გავრცელებისათვის.

70-იანი წლების დამდეგიდან ზვიად გამსახურდია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე დისიდენტური და დემოკრატიული მოძრაობის აქტიური წევრია. მას საქმიანი კავშირი აქვს წამყვან მოსკოველ დისიდენტებთან: ანდრეი სახაროვთან, ანდრეი ტვერდოხლებოვთან, სერგეი კოვალიოვთან და სხვ.

ზვიად გამსახურდია, როგორც ავტორი, მონაწილეობას იღებს სერგეი კოვალიოვის მიერ გამოცემულ იატაკქვეშა ჟურნალში „მიმდინარე მოვლენების ქრონიკა;“ უზრუნველყოფს სოლჟენიცინის წიგნის „არქიპელაგ გულაგის“ და დისიდენტური ნაწარმოებების არალეგალურად დაბეჭდვას და დემოკრატიული მოძრაობის სხვა აქტივისტებთან ერთად მათ მოსკოვსა და თბილისში ავრცელებს. ამავე დროს, „მერაბ კოსტავასთან ერთად თბილისში აყალიბებს ადამიანთა უფლებების დაცვის საინიციატივო ჯგუფს. იგი სისტემატურად აწვდის ცნობებს მასობრივი ინფორმაციის დასავლურ საშუალებებს საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის, ქართული ეკლესიისა და ქართული კულტურის შევიწროების თაობაზე“ (გამსახურდია 20007:85). ზვიად გამსახურდიამ გამოსცა და გაავრცელა პოლიტიკური ჟურნალები: „ოქროს საწმისი“, „საქართველოს მოამბე“, საქართველოში ჩამოყალიბდა ჰელსინკის ჟგუფი.

„ანტისაბჭოური მოქმედებისათვის“ ზვიად გამსახურდია გარიცხეს მწერალთა კავშირის რიგებიდან და დააპატიმრეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ იგი გადასახლეს ნოღაის სტეპში, კასპიის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე, სადაც მან დაახლო-

ებით ერთი წელი გაატარა. სამშობლოში დაბრუნებული ზვიად გამსახურდია კვლავ ეწევა პოლიტიკურ და ადამიანის უფლებათა დაცვისაკენ მიმართულ საქმიანობას. აქვეყნებს არალეგალურ პერიოდულ გამოცემებს: „საქართველო“, „მატიანე“, „ვესტნიკ გრუზიი“ და მერაბ კოსტავასთან ერთად საქართველოში გამართული ყველა საპროტესტო აქციის, გაფიცვის, შიმშილობის, მიტინგისა თუ დემონსტრაციის ორგანიზატორი და აქტიური მონაწილეა.

1989 წლის 9 აპრილს ზვიად გამსახურდია დააპატიმრეს იმ მშვიდობიანი მიტინგის ორგანიზაციისათვის, რომელიც დასრულდა საბჭოთა არმიის ნაწილების მიერ მშვიდობიანი მომიტინგეების დახოცვით. ორმოცი დღის შემდეგ საზოგადოების პროტესტის გამო ზვიად გამსახურდია გაათავისუფლეს ციხიდან და მან განაგრძო აქტიური მოქმედება. იგი, როგორც დიდი პატრიოტი და ქვეყნისათვის თავდადებული პოლიტიკოსი, ქართველმა ხალხმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია.

ზვიად გამსახურდიას აზროვნების სტილი, მისი ნაშრომები: რელიგიის ისტორიის სფეროში, ღვთისმეტყველებაში, მითოლოგიაში, თეოსოფიაში, ანტიკური ხანის მითოლოგიური ძირების კვლევა, პლატონიზმი და ნეოპლატონიზმი, ძველი ქართული პოეზია და თეოლოგია წარმოაჩენს მას როგორც დიდ მეცნიერს, აზროვნების მრავალმხრივი სპექტრით, რაც მსოფლიოს უდიდეს მკვლევართა შორის ღირსეულ ადგილს უმკვიდრებს. ზვიად გამსახურდიამ ამხილა საბჭოთა იდეოლოგიური ბატონობის პერიოდში მეცნიერებაში ტაბუირებული და გაყალბებული მრავალი საკითხი საქართველოს კულტურის განვითარებასა და ქრისტიანობასთან მიმართებაში. კერძოდ: ქართველთა ეთნოგენეზისის, მისი მრავალსაუკუნოვანი განვითარების პრობლემები სხვადასხვა ეტაპზე; სულიერი ცნობიერების გარკვეული დონის ძიება ანტიკურ მისტერიებში; კავშირებზე უძველეს პროტოქართულ მისტერიალურ ცენტრებთან, ბერძნული მითოსის უმთავრესი მომენტები საქართველოსა და კავკასიასთან მიმართებაში;

პოლიტიკური მოღვაწეობის გარდა, ზვიად გამსახურდია ეწეოდა სამეცნიერო, ლიტერატურულ, მთარგმნელობით მუშაობას. ნინო დარბაისელი თავის წერილში „ზვიად გამსახურდია — ამერიკული ლიტერატურის მკვლევარი და მთარგმნელი“ აღნიშნავს: „თუ თავალს გადავავლებთ ამერიკული პოეზიის თარგმანთა ბიბლიოგრაფიას, ერთ რამეში დავრწმუნდებით. ზვიად გამსახურდია იყო პირველი, ვინც გაბედა და დასავლური მოდერნიზმის ერთ – ერთი მამამთავრის ეზრა პაუნდის შემოქმედება წარმოუდგინა მკითხველს არა მხოლოდ თარგმანების, არამედ თავისი გამოკვლევის მეშვეობით. ეზრა პაუნდი მიუღებელი ავტორი და პიროვნება იყო საბჭოეთისათვის და სათარგმნად აკრძალულთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. რუსი მკითხველისთვის ის გამსახურდიას თარგმანების გამოჩენიდან თერთმეტი წლის შემდეგ (1982) გახდა ხელმისაწვდომი“ (დარბაისელი 2009:186).

ზვიად გამსახურდიამ თანამედროვეობის ურთულესი პოლიტიკური პრობლემები პოეზიად აქცია. მისი ლექსების კრებული „მთვარის ნიშნობა“ 36 ლექსსა და ორ ლირიკულ ციკლს აერთიანებს. არქაიზებული სტილითა და კლასიკური ქართულით დაწერილ ლექსებში, მკაფიოდ გამოიხატა პოეტის ურთულესი შიდა სამყარო. წიგნი აშკარად გვიჩვენებს ავტორის პიროვნულ ღირებულებებით ორიენტაციას საბჭოთა რეჟიმისათვის მიუღებელი ფასეულობების მიმართ.

სინამდვილიდან გაქცევის ცდა და ლირიკული გმირის თავშესაფარი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებში — ზვიად გამსახურდიასა პოეზიის ერთ – ერთი პრიორიტეტული საკითხია. ამ თემის პოეტურ წარმოსახვას, გრძობის, განცდის რეალიზებას ეხება კრებულში შეტანილი ლექსების ერთი ნაწილი. ასეთებია: „საუკუნე უახლესი“, „განთიადი არმაზისხევი“, „მესხეთისადმი“, „წრომი“, „სიონის ელგია“, „ქაშვეთი.“ ზვიად გამსახურდია გულისტკივილით, შეფარული ირონიით ამხელს, თუ როგორ სპობს „ჩვენს ბრგე ციხეებს, ტანკენარ ტაძრებს... ეს საუკუნე უდადეგი“. ერთი შეხედვით, ელექტროსადგურების მშენებლობა კეთილშობილურ მიზნებს ემსახურება, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი საბჭოთა იმპერიის ბოროტ ზრახვებს ექვემდებარება და მიზნად ისახავს ქართველების განადგურებას:

„ამ ხუდონ-ჰესით, ნამოხვანჰესით
სვანეთს და ლეჩხუმს სურთ დასცენ მეხი,
რომ სამუდამოდ ჩვენს მთიანეთში
ამოუკვეთონ ქართველ კაცს ფეხი.
ამ ენგურჰესით და ჟინვალჰესით
სურთ საქართველოს აუგონ წესი,
თან გვარნმუნებენ: იცავსო ძეგლებს
ეს საუკუნე უდიადესი!“
(„საუკუნე უახლესი“. გამსახურდია 1989: 57)

მასობრივი ლიტერატურის, კულტურის აღზევებისა და გაუფასურების ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლექს-მედალიონებს, ანუ მიძღვნებს, სადაც ავტორი ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, სრულიად მოულოდნელი რაკურსით ირჩევს ადრესატებს: თუ საბჭოთა პოეტები ლექსებს უძღვნიდნენ ომისა და შრომის გმირებს, ზვიად გამსახურდია ლექს-მედალიონებით სულიერი ღირსებით დაჯილდოებულ ადამიანებს გამოარჩევდა და მათ მიაპყრობდა მკითხველის ყურადღებას. ამგვარი ხასიათის ლექსებია: „მიძღვნა“, „ბოდლერი“, „მთვარის ნიშნობა“ (გალაკტიონ ტაბიძისადმი), „რობინსონ ჯეფერსი“, „კონსტანტინე ჭიჭინაძისადმი“, „ქართველი ჯარისკაცი კიევთან“ (ზურაბ ფალავანიძის სსოვნას), „ლაშარის ხატი“ (ვახტანგ რაზიკაშვილისადმი), „პალადიუმის რაინდისადმი“ (ბაირონისადმი), „დავით კაკაბაძე“, „შენი ღიმილი“ (სონეტი მანანასადმი), „ნათლისღება“ (ვუძღვნი ჩემს ცოტნეს). ზემოთ ჩამოთვლილ ლექსებში განსაკუთრებით იგრძნობა პოეტური განცდის უშუალოება. ეს ფორმა ეფექტური საშუალებაა ადამიანებთან, სამყაროსთან, ღირსი გმირის ემოციური დამოკიდებულების გადმოსაცემად, ინტიმური, ღრმად პიროვნული განცდების გამოსატანად.

იმ დროს, როდესაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მტკივნეული თემა ჯერ კიდევ ტაბუდადებული იყო, ზვიად გამსახურდიამ იგავარაკულ პოეზიას მიმართა და ეროვნულ სატკივართან თავისი დამოკიდებულება გამოხატა. ტოტალიტარული რეჟიმის დროს, ძლიერი იმპერიის მარნუხებში ჭირს თავისუფალი აზროვნება: სცილას, ანუ ძლიერი იმპერიის მეთაურის „ვნება სუნთქვაა ჯოჯოხეთის პირქუში ტროპიკის.“ ასეთ ქვეყანაში პოეზიამ დაკარგა თავისი დანიშნულება. იგი ტოტალიტარულ სახელმწიფოს ინტერესებს დაექვემდებარა:

„მუზამ გაუგო გემო
პატივს, ხალათს და ჩინსა:
„ნურც გამიხსენებ ჩემო,
დიდებულთ თვალის ჩინსა...“
გადაივინყა ცრემლით
რარიგ თუთქავდა გულებს,
მუზა გამხდარა გრდემლი,
ზედ სჭედენ ვერცხლის ფულებს.“
(„პოეტი და მუზა“. გამსახურდია 1989: 36)

ამის მიუხედავად, ზვიად გამსახურდიას პოეზიისათვის არ არის დამახასიათებელი პესიმიზმი და გულგატეხილობა. საზარელი სიზმრიდან პოეტი მალე გამოფხიზლდება. მისი მუზა კვლავ პოეტის ერთგული რჩება:

„...დიდ პოეზიის ჭალი
დიდ აღმაფრენის სული
განა ჩაჰქრება ოდეს
თუნდ ჩამოიქცეს ზეცა
ავდარს სიამედ მოსდევს
ბადრი მთვარეც და მზეცა.“
(„პოეტი და მუზა“. გამსახურდია 1989: 38)

ზვიად გამსახურდიას ღირსი გმირი, სულისშემძვრელი პოლიტიკური მოვლენებით თავზარდაცემული, გულისტკივილით მიმართავს მზერას ზეცისაკენ.

ციკლში „კოსმიური წირვა“ პოეტი შესთხოვს წმინდა გიორგის, იხსნას თავისი სამკვიდრო, წმინდა წინოს კი ევედრება, მარად წინ უძლოდეს ქართველ ერს. ავტორს სწამს, რომ აღსდგება „ღმერთი სულმნათი“ და გადმოხედავს მის ქვეყანას:

„წმიდაო გიორგი, დიდების მხედარო,
ვუმზერ შენს ხატებას და სული მხნედ არი...
შემუსრე უწმინდურ დრაკონთა ორგია,
იხსენი სამკვიდრო შენი — გეორგია,
დიდების უფალი მართალთა მწედ არი.
წმინდაო რაინდო, გველი არ დაინდო,
მოგვმადლე იმედი და უფლის სვე-დარი!“
(ციკლი „კოსმიური წირვა“. გამსახურდია 1989: 69)

ლირიკულ ციკლში — „ტერენტი გრანელი“ ზვიად გამსახურდია უჩივის მარტოობას, რომელიც ობობასავით „სულს ჩახვევია ბასრი შაშარით“. მოლოდინი კი „ავიჯალათივით“ ჰაერში აყოვნებს ნაჯახს. „ყვითელი სახლი“ რუსეთის იმპერიაა, რომელიც „ახალ-ახალ მსხვერპლს მოითხოვს“ დაპყრობილი ხალხისაგან და „მახეს უმზადებს ყველა მართალს“. იმპერიის ბელადები იცვლებიან, „მორიგე ყორანმა მიილოცვლა“, ყორანი-თამადა სისხლის ფიალას სცლის“ დანარჩენი თანამეინახენი კი „ჩხა-ვიან ჰიმნს“ და თან ქრთამად მირთმეულ მართალთა გულ-ღვიძლს შეექცევიან. ზვიად გამსახურდიას მტკიცედ სწამს, რომ ადამიანმა მხოლოდ ბრძოლით შეიძლება მოიპოვოს სანუკვარი თავისუფლება:

„თუ არ გასთელე უსასოო ჭმუნვათა ველი
ვერასდროს ჰპოვო ღვთაებრივი სევდის ბაღნარი,
ვერ ეზიარო უზენაეს ლოცვად დამდანარი,
ვერ მოინიო სასოების სავსე თაველი.“
(ციკლიდან „ტერენტი გრანელი“. გამსახურდია 1989: 84)

ამრიგად, ზვიად გამსახურდიას ლირიკაში გაცხადებულია ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი პოლიტიკოსის მიმართება გარემომცველ სამყაროსთან, მისი ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი კრედო. პოეტმა სიცოცხლე შესწირა საბჭოთა იმპერიის დამხობასა და ქვეყნის დიქტატურისაგან გათავისუფლებას. ალბათ, ამიტომაც არის, რომ მის ლექსებს ერთგვარი პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს.

დამონებიანი:

გამსახურდია 1989: გამსახურდია ზ. მთვარის ნიშნობა. თბ.: „მერანი“, 1989.

გამსახურდია 2007: გამსახურდია ზ. საქართველოს სულიერი მისსია, თბ.: „საქართველოს მაცნე“, 2007.

დარბაისელი 2009: დარბაისელი ნ. ზვიად გამსახურდია — ამერიკული ლიტერატურის მკვლევარი და მთარგმნელი. სჯანი, № 10, თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.

**Traumatic Memory in Post-Soviet Georgian Narration
(Otar Chiladze's novel *Avelum*)**

In conditions of totalitarian regime the impossibility of personal and national self-realization gives rise to traumatic consciousness. The text of Otar Chiladze's novel *Avelum* is just a product of conceptualization and stylization of such trauma. On the matrix of consciousness trauma is imprinted as traces of memory and creates lively, dynamic picture of the consciousness space, where the layers of historical and individual memory are arranged in the form of coded information.

Collapse of the empire and a new trauma caused by the wave of destruction creates the uppermost and painful layer of *Avelum*'s historical memory and is mainly associated with two dates of bloody battle with freedom undertaken by the Empire of Evil: the years of 1956 and 1989. Dream is a product of trauma processing where tormented worries and memories expelled to the unconscious acquire the image of icons and phantoms.

According to Chiladze, human memory, beginning from Cain's sin, is an eternal traumatic text. The writer presents a super sign of this text, connecting consciousness bears responsibility for all experiences of the past. The therapy of a trauma is expressed in constant processing of the past memories, historical trauma can be overcome by strictly self-critical, deeply painful, often with irony self-estimation. The awareness of trauma by means of trauma is considered as a positive experience of memory. At narrative and linguistic level trauma is reflected in speech structure, in author's constant reflection, tense "drive", rhythm of narration, profound semiotics of symbols. The soft "texture" of the text is gradually established from this stressful experience and trauma appears as a solid texture of a monument, memory.

Keywords: Traumatic; Memory; Post-Soviet.

მანანა კვაჭანტირაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**ტრავმული მეხსიერება პოსტსაბჭოთა ქართულ ნარატივში
(ოთარ ჭილაძის „აველუმი“)**

ტრავმა წარმოადგენს ოთარ ჭილაძის რომანების ძირითად აღსანიშნს. სწორედ ტრავმის კონცეპტუალიზაცია და სტილიზაცია ქმნის ჭილაძის ტექსტების ძირითად ფაქტურას.

ცნობიერების ტრავმა, როგორც პრობლემა და კონცეპტი, აღმოცენდა იმ დაპირისპირების კონტექსტში, რომელიც ჩნდება პოსტსაბჭოთა თანამედროვეობასა და საბჭოთა ისტორიას შორის. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ საბჭოთა ისტორია ქართული ცნობიერებისთვის არასდროს შემოფარგლულა მარტოოდენ 70-წლიანი გამოცდილებით. იგი, როგორც ტრავმული ხსოვნა, იმპლიციტურად მოიცავს საქართველოს რუსეთთან ურთერთობის ორასწლოვან ისტორიას. ამდენად, არც ჩვენ შევიზღუდებით ცნების ზემოაღნიშნული ქრონოლოგიური შინაარსით და საჭიროებიდან გამომდინარე, მას განვიხილავთ უფრო ფართო ისტორიულ კონტექსტში,

ფსიქოსომატური დახასიათების თანახმად, ტრავმა იბადება ადამიანისა და გარემოს ურთიერთობის მოუწესრიგებლობის შედეგად, როცა კრიზისული ისტორიულ-პოლიტიკური ვითარება ტოტალურდება და სიცოცხლისათვის სახიფათო განსაცდელის სახეს იძენს. ადამიანის ძირითადი ეგზისტენციებისათვის დამანგრეველი ძვრები უკავშირდება გარემოს არსასურველი ფაქტორების ინტენსიურ ზემოქმედებას ფსიქიკაზე. ამ ვითარებას იგი აღიქვამს, როგორც მისი სასიცოცხლო დანიშნუ-

ლებისთვის უაღრესად საშიშ სიტუაციას, რომლის წინააღმდეგაც მის ძალებს აღემატება. ტრავმის ინტიმურ-პიროვნული შედეგები დამოკიდებულია მატრავმირებელი მოვლენის ზემოქმედების ხარისხზე, ბედისწერის დარტყმებზე და ტრავმის დამანგრეველი ძალისადმი პიროვნების წინააღმდეგობის უნარზე (ენიკევი 2002: 182-184).

აველუმში სწორედ ასეთი ვითარება ასახული.

შეიძლება ითქვას, რომ ტრავმის გადალახვის კულტურა, როგორც ლიტერატურული რეფლექსია და მისი შესატყვისი ნარატივი — დაძაბული თხრობა, „დრაივი“ — იწყება „მარტის მამალში“, გრძელდება „აველუმში“ და სრულდება „გოდორში“. ტრავმის გაცნობიერების ხარისხი წარმოაჩენს ხსოვნისა და პასუხისმგებლობის სრულყოფილების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ პროცესში. სამივე რომანი ისტორიული ტრავმის ეტაპობრივი გააზრებაა. დაძებნილია ტრავმის მითოსური, ისტორიული და თანამედროვე ძირები. ეროვნულისა და პიროვნულის კორელაცია ჭილაძესთან წარმოადგენს არა მხოლოდ ნაციონალური იდენტურობის პირობას, არამედ გარდაუვალ ისტორიულ-კულტურულ აუცილებლობას, რომლის ძალისმიერი შეფერხებაც წარმოქმნის ტრავმულ ცნობიერებას. ეროვნულ და პიროვნულ მადლობებს „აველუმში“ ემატება მესამეც — მსოფლიოს მოქალაქისა, რომელიც ატარებს პასუხისმგებლობას ადამიანის ბედზე სამყაროში ზოგადად.

ჭილაძის მიხედვით, ადამიანის მეხსიერება მრავალფეროვანი და რთული ტექსტია, რომელიც ტრავმული კვლებითაა დასერილი. სადაც არაა კვალი, იქ არაა ტრავმა. ტრავმის გადალახვის, რედუცირების პროცესი, მისი თერაპია გამოიხატება ტრავმული კვლების (წარსულზე წარმოდგენების) განუწყვეტელ გადამუშავებაში. ტრავმა დაიძლევა არა მისი დავინყებითა და რეპრესირებით, არამედ მუდმივი გაცნობიერებით, ეთიკური შეფასებებით, წარმოსახვის დაძაბული მუშაობით. ამ პროცესში მეხსიერებას ზედაპირზე ამოაქვს ეროვნული იდენტობის კულტურულ-ისტორიული, ეთნო-ფსიქიკური საფუძვლები. ისინი აღიბეჭდებიან ცნობიერების მატრიცაზე კვლების სახით და ქმნიან პიროვნების ცნობიერების სივრცის დინამიურ სურათს, რომელზედაც დამატებითი პლასტის სახით აისახება ტოტალიტარული იმპერიის მსხვერვა და ამ ნგრევის ტალღით გამოწვეული ახალი ტრავმები. ამასთან, ამ უკანასკნელის ტიპოლოგიური პარადიგმული მარკენებლები, რეჟიმის იდეოლოგიურ-პოლიტიკური არსი, გენეზისი და ტენდენციები გაცილებით მკაფიოდ და ღრმად ჩანს ტოტალიტარული კულტურის ღირებულებით ორიენტაციებში, ვიდრე პოლიტიკურ ატრიბუტებში. ისინი იკითხება პერსონაჟთა ცნობიერებისა და ქცევის ნიშნებში, სოციალურ ურთიერთობებში, ისტორიული ტრავმის ნიშნები მრავლად ამოიცნობა ტროპულ დონეზეც.

ტოტალიტარიზმი როგორც იდეოლოგია, ანუ სიყვარულის, თავისუფლების, პიროვნული მე-ს შესაძლებლობათა რეალიზაციის აღმკვეთი სისტემა, მიმართულია აგრესიის გატოტალურებისაკენ. ნგრევის ვირუსი აღწევს ჰერმეტიკულ სტრუქტურებშიც. ჭილაძე ყოველდღიურობის კონტექსტში კითხულობს ერის მუდმივ ისტორიულ დრამას: აველუმში თავისი „სიყვარულის იმპერიის“ ნგრევაში ხედავს საბჭოთა იმპერიის ნგრევასა და სამყაროს წესრიგის რღვევის სურათებს. ამ კონტექსტში ერთვება ოჯახის, სიყვარულის, თაობათაშორისი ურთიერთობების, ანუ ადამიანისა და საზოგადოების უმადლესი და უძირითადესი ფასეულობების ნგრევის მტანჯველი განცდაც. სწორედ ისტორიულ ყოფაში ჩაფხვებული ტრავმა აერთიანებთ აველუმსა და მელანიას. იგივე ტრავმა, სიყვარულის მიუხედავად, ხელს უშლის აველუმისა და ფრანსუაზას კავშირს. ამ ურთიერთობათა სიმბოლური პლასტი აშიშვლებს ნგრევის გავრცელების საბედისწერო მასშტაბებს, წარმოქმნის ახალ და ახალ ტრავმულ კვლებს. ტრავმათა ინტერფერენცია მოწმობს სამყაროს უხილავი შემაკავშირებელი ტექსტურის ტოტალურ, მზარდ და აგესიულ ეროზიას.

ტრავმული ვირუსის აგრესიული შეღწევადობა წარმოქმნის განცდისა და რეფლექსიის უჩვეულო სიღრმეს, დასასრულის წინათგრძნობას და ქმნის ჭილაძის ტექსტების ერთიან ტრავმულ სივრცეს, სადაც ტრავმის მეტაფორების მეშვეობით შესაძლებელი ხდება მისი აღწერა და დიფერენცირება. ასეთი სივრცული მეტაფორება: ლაბირინთი, ციხე, საკანი, ტრიანონის სასახლე, გუმბათჩამოქცეული ეკლესია, დაჭაობებული ზღვა, გაჩანაგებული დარიაჩანგის ბაღი. ანტიტრავმულია გამოქვაბული, მელანიას ძაფის თავშესაფარი, „სანგარი, რომელშიც განგება ჩაგსვამს“, საფლავი, ძველი ვანი და ა.შ.

ტკვილის პლასტიკა ათვალსაჩინოებს განუწყვეტელ მტანჯველ მოძრაობას ოპოზიციურ სივრცულ წერტილებს შორის: შინიდან გარეთ, ბოროტების იმპერიიდან — სიყვარულის იმპერიაში, თავისუფლების კუნძულიდან — ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის სივრცეში და პირიქით. „ვანიდან“ „გოდორამდე“ დრო-სივრცულ მოდელებში ასახულია ისტორიული ტრავმის მეტამორფოზები მითოსური დროიდან დღევანდელობამდე. ტოტალიტარიზმის იმ გამოცდილებისგან განსხვავებით, რომელიც განსაკუთრებული მხატვრული მეთოდისა და ენის მეშვეობით წარმატებით გადაამუშავა 70-80-იანი წლების ქართულმა პროზამ, 90-იანი წლების პროზა პირდაპირ ახდენს ტრავმის რეფლექსირებას. ტრავმის კონოტაციები ზედაპირზე ამოდის და დენოტატში, ტროპული მეტყველება კი — ტრავმის უშუალო რეფერენციაში გადადის. ენობრივი ქსოვილი შეიცავს ტრავმის არარეფლექსირებულ ანაბექტდებსაც, რომლებიც ტექსტის კონოტაციურ დონეზე იკითხება.

ტრავმის თეორიიდან ცნობილია ტრავმული მეხსიერების დაძლევის ორი ტიპი: დამუშავება და გათამაშება. პირველ შემთხვევაში დანაკარგს ენიჭება ახალი მნიშვნელობები. ტრავმა, როგორც ღირებულებითი გამოცდილება, იმავდროულად მორღვეული და დაზიანებული ფასეულობების აღდგენის ხელშემწყობ ფაქტორად იქცევა. ტანჯვა და ტანჯვისთვის მზაობა, მისი შეფასება, მონანიება, წარსულზე პასუხისმგებლობა წარმოადგენს იარაღს ტრავმის წინააღმდეგ. იგი შესაძლებლობას აძლევს პიროვნებას აღიაროს დანაშაული და შეიგრძნოს პასუხისმგებლობა. მეორე ტიპს, გათამაშებას, გადაჰყავს ტრავმა დისკურსში, უსასრულო „რიმიკებსა“ და შემოქმედებით ექსპერიმენტებში.

პირველ შემთხვევაში ცნობიერების მუშაობა ავლენს ტრავმის მიმართ შეფასებით დამოკიდებულებას და იმავდროულად ახასიათებს კულტურის დინამიკას ტრავმის კონცეპტისადმი, გამოყოფს მის უცვლელ და ცვალებად ზონებს. აველუმი კოლექტიური ტრავმის მატარებელი პიროვნებაა. სწორედ ტრავმა ათვალსაჩინოებს პიროვნების იდენტობის ფსიქოლოგიურ და ისტორიულ-კულტურულ საფუძვლებს. უახლოესი ისტორიული ტრავმები კონცენტრირებულია ფრაზაში „პაპა გაიქცა, მამა ნაიქცა“. ესაა შიშითა და შერცხვენით, დამარცხებებითა და უმწეობით აღძრული გენეტიკური ტრავმა.

როგორც უკვე ვთქვით, ჭილაძე ისტორიული ტრავმის სიმბოლიზირებას ყოფით პლანში ახდენს. სწორედ ამ გზით ხდება ტრავმის მთელი სიღრმის რეპროდუქცირება და მანიფესტაცია. ტრიანონის სასახლეში გამართული დიალოგი აველუმსა და ფრანსუაზას შორის („ვერ გადაგარჩენ, რადგან შენმა წინაპარმა ვერ გადაარჩინა ჩემი“), ანუ პიროვნულ-ყოფითი პრობლემის მოუგვარებლობის ისტორიული მოტივაცია ისტორიული გადაძახილების უსასრულო სიღრმეებზე მიგვითითებს. ეროტიზებული პოლიტიკური ტრავმის ნიშნებია ფრანსუაზა და სონია, რომელთა სიმბოლიკაში იკითხება დასავლური და ჩრდილოური პოლიტიკური ორიენტაციებისგან მიღებული იმედგაცრუების ტრავმა. ერთი და იმავე ისტორიული ტრავმის გამეორება ქმნის ტრავმის სუპერნიშანს — წარსულის გვამს, რომლის მოშორებასაც აველუმი ვერ ახერხებს. „წარსულის ღორღი ეცლება ფეხქვეშ. მას კი მაღლა უნდა ასვლა. არც წინ, არც უკან, მხოლოდ მაღლა...“ მაღლა აქ სურვილის ხარისხობრივი მაჩვენებელია. ზემო სივრცეში განთავსდება მიულნეველი, გარდასული, გამოტოვებული. ესაა შეუძლებლის სივრცე, ტრავმის ყველაზე ძლიერი სივრცული სემანტიკა, შეუძლებლის კენ სწრაფვის გრძნობადი ხატი.

გარკვეულწილად, ტრავმის რეფლექსიას მივყავართ 20-30-იან წლებთან, იმ სოციოკულტურულ კატასტროფასთან, რომელიც ამ პერიოდში მოხდა მთელი იმპერიის მასშტაბით. ქართულ სინამდვილეში იგი უკავშირდება გზიდან გადახვევის, ისტორიული შანსის განუხორციელებლობის ტრავმას (1921 წელს დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპირება, 1924 წლის აჯანყების წარუმატებლობა და 1937 წლის რეპრესიები). ეს ტრავმა იმთავითვე განთავსდა ლიტერატურულ, კერძოდ, პოეტურ დისკურსში: „და ვეკითხები იმ დაბურულ სკვითების ღამეს, / რა იქნა ჩვენი ჭაბუკობა და გატაცება / ვინ გადაფისა გული ასე მშრალი ბალღამით / და არ გვაცალა შთაგონების დავაჟკაცება“ (ტიციან ტაბიძე). ფროიდის ნაშრომიდან „მწუხარება და მეღანქოლია“ — ალ. ეტკინდი ასკვნის, რომ მეღანქოლისგან თავის დაღწევის პირობას გერმანელი ფსიქოლოგი ხედავდა სამუშაოსადმი, საქმისადმი სიყვარულში,

რაც სხვა არაფერია, თუ არა სიცოცხლესთან ახალი კავშირების შესაძლებლობა (ეტკინდი 2008: 175). თუ ამ მოსაზრების ფონზე განვიხილავთ 20-30-იანი წლების პერიოდის ქართული სინამდვილის ზოგად მახასიათებელს — სიყვარულისა და შემოქმედებითი მუშაობის ტოტალურ შეუძლებლობას, გამოდის, რომ არსებული რეალობა მხოლოდ აძლიერება და ნაკარგის განცდას და ჭრიდა სიცოცხლესთან დამაკავშირებელ უკანასკნელ ძაფებსაც. ამას მივყავართ კიდევ უფრო ღრმა ტრავმასთან, რომელიც გამოიხატება შიშში, არ აღმოჩნდე საერთოდ ისტორიიდან გაძევებული. პიროვნულ დონეზე იგი აღიბეჭდება ინფერნალური დროის მიმართ კაპიტულაციასა და სიკვდილის წინათგონობაში: „ჩვენ ახლა სხვა დრო ნამოგვევია, ჩვენც ალბათ სადმე ჩაგვაძალღებენ“, ან: „...ჩვენი თავები სადმე გაგორდეს“ (ტიციან ტაბიძე). ჭილაძესთან გამოქვეყნებული ინტერვიუებში, ოღონდ არა ისტორიიდან, არამედ მითოსიდან, დარიაჩანგის სამოთხიდან. ინო და ფარნაოზი ახალდაბადებული კუსას ყვირილმა გამოაგდო დარიაჩანგიდან და ესაა საბედისწერო წუთი, ახალი დროის დადგომის მაუწყებელი საგანგაშო ხმა, რომელიც, ერთი კონოტაციით მაინც, საზოგადოებრივ ცნობიერებას უკრძალავდა მითში ყოფნას, მოუწოდებდა სიფხიზლისა და მობილიზებისაკენ.

ისტორიული ტრავმა, როგორც ტრავმული მეხსიერების დომინანტური ბგერა, „აველუმში“ დაიდრევა პერსონაჟის უკანასკნელი ნაბიჯით. ამ ტრავმის ტოტალიტარული ქვეტექსტი — ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვა — აძლიერებს აველუმის პასუხისმგებლობას წინაპართა ქმედებებით („პაპა გაიქცა, მამა ნაიქცა“) აღძრული შედეგის მიმართ. ამიტომ ნიკოს („მარტის მამალი“) ნებაყოფლობითი სიბრმავე გადადის აველუმის ღრმად თვითკრიტიკულ, მტკივნეულ შეფასებებში, თავგანწირვაშიც კი. ისტორიული ტრავმის გამეორება აქ წყდება აველუმის სიკვდილით, როგორც ისტორიული თვითგანაჩენით და ახალი თაობისათვის სასიცოცხლო ფუნქციის გადაბარებით: „ნადი, შვილს მიხედე“. ეს ფრაზა წარმოადგენს ჭილაძის ფუნდამენტურ გახმოვანებულ აზრს, მომავლისკენ მიმართულ ყველაზე მტკივნეულ და აუცილებელ ბგერას, რომლის გენეზისსაც მივყავართ პირველ რომანთან და მთელ მის ღირებულებით სისტემასთან. **ტრავმის გადალახვისათვის ცნობიერების განუწყვეტელი მუშაობა უნდა ჩაითვალოს მეხსიერების დადებით გამოცდილებად, რომელიც თვითგანადგურების გზით აღმოცენებს მომავლს და პოულობს გამოსავალს. ტრავმა გადაილახება მარადიული ღირებულებებისა და მომავალზე პასუხისმგებლობის შესენებით.**

ტრავმის წინააღმდეგ რეალური და საორიენტაციო საგანი-იარაღებია: უხეიროს შუბი, კალამი (ინჟინერ ნიკოს მამა), შემოქმედების ყველა იარაღი, რომელიც ინახავს ხსოვნას, დაწყებული უხეიროს ყაისნალიდან, რომელიც დანაშაულის გამოსყიდვის იარაღია (თავის მოკლულ დაუმარხავ მკვდრებს უხეირო მისი მეშვეობით „მარხავს“ აფრისხელა ტილოზე) დამთავრებული საფლავის სათხრელი ნიჩბით. რეპროდუქციის უძლიერესი იარაღებია ხსოვნა და სიყვარული.

სიზმარი წარმოადგენს ტრავმის გადამუშავების პროდუქტს. მასთან ერთად ტრავმული ტექსტის მატერიას ქმნიან მტანჯველი მოგონებები, აცდენები — განუხორციელებელი „მე“-ს კვლები. ტრავმის არსი, ტიპური ნიშნები ვლინდება უიმედო, ტრაგიკულ შეფასებებში, საფრთხის განცდამი, სიყვარულდაკარგული სამყაროს შემზარავ წინათგონობაში.

კაკუნის ხმა აველუმში რეპრესირებულ მეხსიერებაში გაძევებული, ჩასაფრებული ტერორის ხმაა. იგი ტოტალიტარული რეჟიმის რეპრესიებთან ასოცირებულ, შიშისა და სიკვდილის დაშიფრულ ფონოგრამას წარმოადგენს, რომელიც ერთდროულად აღძრავს 56-ის ტრაგიკულ მოგონებასაც და ინახავს 37-ის გაუცნობიერებელ ხსოვნასაც. ამ ბგერის კვალს მივყავართ კიდევ უფრო შორს — ახალდაბადებული კუსას ჩხავილთან და აბგაში ჩადებული მისი საიდუმლო იარაღების ჩხაკუნთან. ოღონდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მთავარია არა თვით საგანი, არამედ ხმა, როგორც არამატერიალური, საიდუმლო გამანადგურებელი საშუალება, შიშისა და ტერორის მთესველი ფსიქიკური ზემოქმედების იარაღი. ეს ხმა ტრავმული მეხსიერების ისეთივე კვალია, როგორც დაუმარხავი წარსულის გვამი.

გვამის მზიდველი კაცის ფანტაზმა მიგვითითებს გადაულახავი ტრავმის სემანტიკაზე. ცნობილია, რომ ფანტაზმა, როგორც ტრავმული ცნობიერების წარმოსახვითი და სიმბოლური ნაყოფი, საუკეთესო საშუალებაა საზოგადოებრივი ცნობიერების სოციოკულტურული დიაგნოსტიკისათვის. ჭილაძესთან ეს გვამი არასასურ-

ველია, თუმცა არა გაუხამებული და შეურაცყოფილი. იგი ჯერ კიდევ არაა საფლავიდან ამოღებული, გალახული მკვდარი (ბესიკ ხარანაშლის „მკვდრების სიმღერა“). საგულისხმოა, რომ ჩვენი მწერლობის ტრადიციით, სამშობლოს მნიშვნელობები უკავშირდებიან არა თანატოსის სიმბოლიკას, არამედ ეროსისა და არესის კონოტაციურ სივრცეს. მაგალითად, ეროტიზებული ტერორია ანასა და მაიორის ურთიერთობა, განსხვავებით თათრისაგან, რომლისთვისაც ანასთან ურთიერთობა ტერორიზებული ეროტიზმია, რადგან მაიორისათვის ტერორი შინაგანი მოთხოვნილებაა, თათრისთვის კი — კულტურულ-რელიგიური ნორმა „ურჯულოთა“ მიმართ. სხვათა შორის, ჭილაძესთან ისევე, როგორც ქართული მწერლობის ტრადიციით, სიკვდილის სამშობლოსთან ასოცირება იშვიათი, არადომინირებული მოვლენაა. „სამშობლოს გვამზე მოფუთფუთე“ კუსასაგან განსხვავებით, რომელიც ხრწნისგან მიღებული სიამოვნების კონოტაციებს აღმოაცენებს, აველუმის მიერ წარსულის გვამის ზიდვა მტანჯველი საქმიანობაა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ზემოთ ასვლის სურვილს ამუხრუჭებს. ამ სიმბოლიკით აშკარა ხდება ტრავმული წარსულის გადალახვის, დამარცხებულის თვითაღქმიდან განთავისუფლების, ძალთა უთანაბრობით გამონეული გამუდმებული კომპლექსის დაძლევის აუცილებლობა. ცონბიერება ცდილობს იპოვოს პასუხისმგებლობის სხვა სახე, გარდაქმნას მუდმივი დამარცხების ტრავმა უფრო ნაყოფიერ გამოცდილებად, ნგრევისა და დაშლის პროცესს დაუპირისპიროს ისეთი ნარუვალი ღირებულება, როგორც სიცოცხლის პატრონობაა. **ჭილაძისთვის გადარჩენის შესაძლებლობა აკუმულირებულია გვამის გაპატიოსნებაში, არდავინყებაში, მესხიერებაში იმ ყველაფრის დაბინავებაში, რასაც ადამიანი და კაცობრიობა ივინყებს, ანუ, ისევე და ისევე, იმ ტიპის საქმიანობაში, რომელიც წარსულის პატრონობის გზით სიცოცხლესთან კავშირის ახალ ფორმებს მოიძიებს.**

ტრავმის მიზეზები: ბოროტების და სიყვარულის იმპერიათა რეზონანსული თანხვედრა; პიროვნული და იმპერიული კატასტროფების ურთიერთგამსჭვალვა, რაც იწვევს ნგრევის საყოველთაო ტრანსგრესიას ყველა დონეზე; ოპოზიციურ წყვილთაგან ერთის გაქრობა, რაც მეორის დაკარგვასაც მოასწავებს. ეს უკანასკნელი აღმოაცენებს გაუცნობიერებელი საფრთხესა და განგაშს იმის მიმართ, რაც განსხვავებათა წაშლის შემთხვევაში ემუქრება სამყაროს; დაბოლოს, პრაგმატულ გულგრილობასა და ფარულ აგრესიაში ჩაძირული კაცობრიობის გარდაუვალი კატასტროფის წინათგრძნობა.

ტრავმა დაიძლევა თვითშემეცნებისა და ისტორიული გამოცდილების პერსონიფიცირების გზით. ეს სურათია ასახული „მარტის მამალში“. „აველუმში“ კიდევ უფრო პედალიზებულია ბრძოლის ეს რეჟიმი — ტრავმის გადალახვა მისი სისტემატური გადამუშავებით, ტკივილითა და ტანჯვით. რაც შეეხება ზოგადად ხსოვნის მიმართ ჭილაძის დამოკიდებულებას, მისი ტექსტების შესწავლა ასეთი დასკვნის შესაძლებლობას იძლევა:

განუწყვეტელი მტანჯველი გამოცდილებით ტექსტის „რბილი“ სტრუქტურა თანდათან მყარდება, მაგრდება და იძენს ძეგლის — ტრავმის სახსოვარის, მონუმენტის მყარ სტრუქტურას. სტრუქტურის ეს ცვლილება, მესხიერების ეს გამოცდილება ასახულია მეტაფორაში — საიდუმლოს საფლავეზე აღმართულ ხეში, რომელსაც ამ საიდუმლოს შენახვა და დამახსოვრება ავალაია („სხვებმაც მისი იმედით დაივინყეს, რაც დაივინყეს, მას კი დამახსოვრება ევალემა მხოლოდ“). ამრიგად, მწერლობა საიდუმლო ტრავმული მესხიერების შემნახველი მონუმენტია, რომლის მოვალეობა ცოდნის შენახვა და გადარჩენაა. ტრავმა, როგორც ღირებულება, ქმნის ხსოვნის ემოციურ ხატებს, რომლებიც ენაცვლებიან რეალობის მორღვეულ სტრუქტურას და აღადგენენ სისტემას, ანუ მუშაობენ ანტიენტროპიულ რეჟიმში.

რა სპეციფიკით გამოირჩევა პოსტსაბჭოთა ტრავმა საბჭოთა ტრავმისაგან, ანუ ტოტალიტარიზმის ცოცხალი გამოცდილება მისი შემდგომი სახეობისაგან? როგორია მათდამი მწერლობის დამოკიდებულება? უპირველესად, პოსტსაბჭოთა ტრავმას ახლავს შეუდგარობის, ისტორიული დეტერმინაციის შეცვლის რადიკალური შეუძლებლობის განცდი. უძღურების განსაკუთრებულ ხარისხს ემატება იმ თერაპიის დეფიციტიც, რომელიც წარმატებით მუშაობდა საბჭოთა ტრავმის მიმართ — ისტორიული სამართლიანობის აღდგენის იმედი. რაც შეეხება ტრავმის ამსახველ ლიტერატურას, პოსტსაბჭოთა პერიოდში იგი პირდაპირი დამუშავების ობიექტად იქცა

და დღეისათვის უკვე ქმნის იმის საშიშროებას, რომ იქცეს იდეოლოგიურ-პოლიტიკური მანიპულირებისთვის ხელმისაწვდომად, რადგან ტრავმა საკმაოდ იოლად იკავებს ადგილს სტიეროტიპთა შორის. ტრავმის დაძლევის ორ ზემოხსენებულ მეთოდთან დაკავშირებით ირჩევს მის სერიოზულ დამუშავებას, ახალი – გადათამაშებს და ირონიზებას. ტრავმის ირონიზების მეთოდი ამართლებს იმ შემთხვევაში, თუკი ზომიერებასთან ერთად, მწერალს აქვს დისტანციის მახვილი შეგრძნება და შეუძლია ხედვის მანძილის ზუსტი შეფასება. წინააღმდეგ შემთხვევაში იკარგება ფოკუსი. ტრავმის რეალობა, შემადგენლობა, არსი ბუნდოვანი და საეჭვო ხდება. მოკლედ, თამაშში ძნელდება სწორი აღქმისა და დისტანციის შენარჩუნება. ნაკლები გამოცდილება იწვევს ირონიით, ტრავმის მიზეზის პაროდირება, ჰიპრიდული ენა შლის ტრავმის კონტურებს და წარმოშობს მეხსიერების გადღაბნილ ლაქას. შეიძლება ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა ლიტერატურაში ტრავმის, როგორც კონცეპტის გაგება თითქოს პოლარიზდა ტოტალიტარული ტრავმის მატარებელ მწერალთა სხვადასხვა ასაკობრივ-ინტელექტუალურ ჯგუფებს შორის. ერთ შემთხვევაში ტრავმა პირდაპირ საუბრობს საკუთარ თავზე, რაც ნიშნავს, რომ ცნობიერება და ენა ამუშავებს ტრავმას და გადალახავს მას, ანუ თერაპიას თვით ენის მატარებელი ახდენს. იმ შემთხვევაში კი, როცა ტრავმა არაპირდაპირ საუბრობს საკუთარ თავზე, იგი თამაშობს და თერაპია არ ხდება, რადგან არ ცხადდება ტრავმის გენეზისი. იგი სხვაგან არის და თავს სხვაგან გვაჩვენებს. დაცინვის ობიექტად იქცევა არა პირველადი, არამედ მეორადი ტრავმა, რომელიც სოციალიზდება და პირველადის ნიღბით გვეცხადება. ამ დროს პირველადი ტრავმა მხოლოდ დროებით დაიძლევა და არა სამუდამოდ. სხვათა შორის. თანამედროვე ლიტერატურაში ესოდენ მომრავლებული ირონიული და აგრესიული ტექსტები გვაფიქრებინებს, რომ ტრავმა, რომელიც აწუხებთ „მკვდრების ამომთხრელებს“ (ბესიკ ხარანაული, „მკვდრების სიმღერა“), ღრმად პიროვნული და მნემონური, ანუ არა იმდენად ტრავმაზე მუშაობის, არამედ დროისა თუ თაობის შინაგანი დესტრუქციულობის ნიშანი, რომელიც გამოდის პოლიტიკური ტრავმის სახელით, თუმცა მის მიღმა თავს ვერ ფარავს ტრავმის სხვა, პირველადი გენეზისი, რომელიც, ამ ცდების მიუხედავად, დაუკმაყოფილებელი და გადაუღალახავი რჩება.

ვალტერ ბენიამინი საუბრობდა სუსტ მესიანისტურ ძალაზე, რომლითაც დამუხტულია ყველა ტიპის კულტურული შემოქმედება (ბენიამინი 2000: 81). გამოდის, რომ იქ, სადაც არ არსებობს შემოქმედება, არ არსებობს ეს ძალაც, ანუ ისტორიული ფუნქციის რწმენა. შემოქმედება მესიანისტურია თუნდაც იმიტომ, რომ მისი საშუალებით ივსება დროის მიერ დატოვებული თეთრი ლაქები და კეთდება კულტურისათვის განსაკუთრებით ღირებული აქცენტები. შესაძლოა, სწორედ ამამია ლიტერატურის, როგორც ისტორიის შემავსებლისა და კულტურის პარადიგმული სეგმენტების გამაერთიანებელის მისია. აკი ერთადერთი ადგილი, სადაც დანაკარგი გადაამუშავდება და საერთო გამოცდილების სტატუსს იძენს, ლიტერატურაა. შენახვა/დაკარგვის ოპოზიციის კონტექსტში მეხსიერების ურთულესი ეკონომიკა ლიტერატურაში სწორედ შენახვაზე მუშაობს, თანაც განსაკუთრებულ რეჟიმში — ვეებერთელა დანაკარგს იგი ინახავს შეკუმშული მხატვრული ინფორმაციის სახით, რომლის სიღრმეშიც დიდი სულიერი და ემოციური მეხსიერებაა ჩატვირთული. ამას გარდა, თუკი იმ მოსაზრებასაც გავითვალისწინებთ, რომ ტრავმის გადალახვის თვალსაზრისით, ლიტერატურა ნაციონალური თერაპიის ინსტიტუტს წარმოადგენს (ჰუსეინოვი 2008: 132), მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ოთარ ჭილაძის მხატვრულ ტექსტებს და მათ შორის, „აველუმს“, კულტურულ მისიასთან ერთად ტრავმასთან ბრძოლის სამკურნალო ფუნქციაც გააჩნიათ.

დამონებიანი:

ბენიამინი 2000: Бенъямин В. О понятии истории // НЛЮ, №46, М.: 2000.

ჰუსეინოვი 2008: Гусейнов Г. Язык и травма освобождения // НЛЮ, №94, М.: 2008.

ენიკევი 2002: Еникеев М.И. Общая и социальная психология. Энциклопедия //М.: «Приор», 2002.

ეტკინდი 2008: Липоветский Марк, Эткинд Александр. Возвращение тритона: Советская катастрофа и постсоветский роман // НЛЮ, №94, 2008.

ZEINAB KIKVIDZE

Georgia, Kutaisi

Akaki Tsereteli State University

Totalitarianism and Parabolization of Literary Works

The 20th century societal processes going on both in Georgia, and throughout the Soviet Union created certain necessity for authors to recollect the genre of a good standing in literature, a parable, however, not as an independent work, but rather a means of expansion and enrichment of genre limits of a novel. Writers applied paraphrase; depicting basic features of totalitarianism in detail and, meanwhile, masking a subject-matter turned into principal determining factors of a theme, being possible by means of parabolization.

Some works of individual authors provide features of a totalitarian regime very precisely.

Keywords: Genre; Parable; Paraphrase; Parabolization.

ზეინაბ კიკვიძე

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული თხზულებების პარაბოლიზაცია

კაცობრიობის ისტორიაში სახელმწიფოებრივი სტრუქტურების გაჩენა მმართველობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას უკავშირდება. საზოგადოებრივი პროცესების კვალდაკვალ ადრეულ საუკუნეებშივე დაიწყო კონკრეტული გამოხატულების მქონე დამოკიდებულებების წარმოშობა. ყველა ეპოქაში შესაბამისი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა კანონში აისახებოდა და კანონის ძალითვე განაგრძობდა არსებობას. რამდენადაც კანონი არის ადამიანთა ერთობის მიერ დადგენილი ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც სავალდებულოა იმ სოციუმის ყველა წევრისათვის, სადაც უნდა განხორციელდეს კანონის ნება. მის არსებობასა და ქმედუნარიანობას განსაზღვრავდა ადამიანთა დამოკიდებულება და მორჩილება ამ კანონის მიმართ.

სახელმწიფოში ცხოვრება თავისთავად გულისხმობდა შესაბამისი კანონის მიღებასა და წესის მიხედვით ცხოვრებას, რომელსაც კონკრეტული სოციუმი თვლიდა საკუთარი არსებობის განმსაზღვრელ ფაქტორად. სწორედ სოციუმის ნებელობა უნდა დასდებოდა საფუძვლად მმართველობის ამა თუ იმ ფორმის, მათ შორის ტოტალიტარიზმის ჩამოყალიბებას.

კაცობრიობა მთელი თავისი არსებობის მანძილზე იცნობს ტოტალიტარული რეჟიმის სხვადასხვა ფორმას, რომელიც საუკუნეების კვალდაკვალ ვითარდებოდა, იცვლებოდა და ღებულობდა კონკრეტული ეპოქის შესაბამის სახეს. ძველი სამყაროს სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც თავიდან, ალბათ, ლიბერალური მონელობის პრინციპს მისდევდნენ, საკუთარი მიზნების განსახორციელებლად მიზანმიმართულად გამოიყენებდნენ ტოტალიტარიზმის ყველა მახასიათებელ ნიშანს.

„მიზანი ამართლებს საშუალებას“, — მაკიაველის ეს ცნობილი მოსაზრება იქცა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ერთ-ერთ განმსაზღვრელ თვისებად, რომელიც დასაშვებად მოიაზრებდა ყველა იმ ქმედებას, რასაც კონკრეტული მმართველი საჭიროდ სცნობდა სახელმწიფოებრივი კეთილდღეობისათვის. თუმცა სახელმწიფოებრივი კეთილდღეობა, მამსადაამე, მოქალაქეთა ჰარმონიული ცხოვრება, უფრო ხშირად იმავე მმართველთა თვალსაზრისით თავსებადი უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს სათავეში მდგომი პიროვნების ნებელობასთან. ასეთი დამოკიდებულება ხშირად აყალიბებდა სახელმწიფოს ფორმას, რომელიც დროთა განმავლობაში მოიცავდა ტოტალიტარიზმის განმსაზღვრელ ნიშნებს. საუკუნეთა გამოცდილება გადაე-

ცემოდა მომდევნო ეპოქას, რომელიც თვისებრივ დონეზე ახალ დანართს ურთავდა და უფრო დახვეწილი სახით მომდევნო საფეხურზე განაგრძობდა არსებობას.

ზოგი პოლიტოლოგის (ე.კარრი) განსაზღვრება ტოტალიტარიზმს სამყაროსავით უხსოვარდროინდელ გამოცდილებად აქცევს (მჭედლიშვილი 2008:), ზოგი პოლიტოლოგის განმარტებით კი (ჰ. არენდტი), ტოტალიტარიზმით მხოლოდ III რაიხის პერიოდი და სტალინური რუსეთი შეიძლება იყოს დახასიათებული. თუმცა ეს ტერმინი გაცილებით უფრო ფართო არეალზე ვრცელდება და განსაზღვრებაში „ტოტალიტარული სახელმწიფო“ უფრო მეტი ქვეყანა ექცევა, ვიდრე III რაიხი და სტალინური რუსეთი იყო.

ბრუნო ბეტელჰეიმი საუბრობს რა ტოტალიტარიზმის ფსიქოლოგიურ საფუძველზე, მიუთითებს, რომ მას განსაზღვრავს ადამიანის ფსიქიკაში არსებული სუპერ ეგოს ნაწამძღვარი: „ტოტალიტარული სისტემები ჩნდებიან მკაცრად იერარქიულ საზოგადოებაში. სახელმწიფოს მეთაური, აღმასრულებელი ორგანოები წარმოადგენენ სუპერ ეგოს სუროგატს. ადრე შესაძლებელი იყო სისტემის შიგნით არსებობა და დამოუკიდებლად აზროვნება, თანამედროვე ტოტალიტარიზმში ეს შეუძლებელია. ყოველი თანამედროვე ნონკონფორმისტული არჩევანის წინაშე დგას. ან ღიად დაუპირისპირდეს ხელისუფლებას, პასუხად მიიღოს დევნა და ხშირად ფიზიკური განადგურება, ან საჯაროდ გამოხატავდეს ისეთ იდეებს, რომლებიც გულში უსაზღვროდ სძულს და ეზიზღება“ (ბეტელჰეიმი 2009).

ტოტალიტარიზმის შესახებ სხვადასხვა განმარტებით ლექსიკონში მოცემულია ის სპეციფიკური ნიშნები, რომელთა გათვალისწინებით, შესაძლებელია ამა თუ იმ სახელმწიფოს ტოტალიტარული ენოდოს.

„ტოტალიტარიზმი არის მმართველობის ფორმა, რომლის დროს სახელმწიფოს ფუნქციონირებისა და მოქალაქეთა ქცევის ყველა ასპექტს უკიდურესად ცენტრალიზებული ხელისუფლება წარმართავს. ტოტალიტარიზმი საზოგადოდ, ფაშისტური და კომუნისტური რეჟიმების აღმნიშვნელი ტერმინია, თუმცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი გამოიყენებოდა კონკრეტულად საბჭოთა კავშირსა და მის სატელიტ სახელმწიფოებში გამეფებული მმართველობის სისტემის აღსანიშნავად. ტოტალიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელია ერთპარტიული სისტემა, პიროვნების თავისუფლების უგულვებლყოფა და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე უმკაცრესი კონტროლი“ (ალექსიძე 2005: 283).

პოლიტოლოგები აფიქსირებენ ტოტალიტარიზმის რამდენიმე ნიშანს, ესენია: 1. ხელისუფლების მაღალი ცენტრალიზაცია რომელიმე პიროვნების ან ჯგუფის ხელში. გაბატონებული ფენა პასუხს არ აგებს არც ერთი სახელმწიფო ორგანოს წინაშე, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება გაბატონებული ზედა ფენის ხელშია. ტოტალიტარულ შეგნებაში ხალხი და ხელისუფლება გააზრებულია როგორც ერთიანი მთელი, ხელისუფლების მთელი აქცენტი გადატანილია საშინაო და საგარეო მტრების ძიებასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლაზე. 2. საზოგადოებრივი ცხოვრების იდეოლოგიზაცია — მონოპოლიური იდეოლოგია ასაბუთებს, არსებული რეჟიმის უკონტროლო ბატონობას, იდეოლოგიის მნიშვნელობა ძირითადად განისაზღვრება რომელიმე მიზნის გარშემო მოსახლეობის დარაზმვით. ამ მიზნის მისაღწევად კი გამართლებულია ყველა საშუალება. 3. ერთპარტიულობა, ხელისუფალი მასობრივი პარტიის მონოპოლიური არსებობა, რომელიც აყალიბებს პოლიტიკურ მიზნებს, განსაზღვრავს მისი რეალიზაციის საშუალებებს. ტოტალიტარულ შეგნებაში ხალხი და ხელისუფლება გააზრებულია როგორც ერთიანი მთელი, ხოლო მმართველი პარტიის სათავეში დგას ქარიზმატული ლიდერი, რომელიც ყველა არსებით საკითხს წყვეტს. 4. რეპრესიული დანესებულებების სისტემა, რომელიც მკაცრ კონტროლს ახორციელებს ადამიანთა ქცევაზე და იყენებს ძალისმიერ მეთოდებსაც. 5. ტოტალიტარიზმის პირობებში არ არსებობს თავისუფალი ინდივიდი და სამოქალაქო საზოგადოება (კოდუა 2004: 351).

იმისათვის, რომ სახელმწიფო გადაეწყოს ამ ნიშნებზე, ძალადობის გარდა, ყველაზე ეფექტურ საშუალებად ითვლება ადამიანთა იდეოლოგიური დამუშავება, იმგვარად, რომ მათსავე ნებელობაში ჩამოყალიბდეს და გამყარდეს ტოტალიტარიზმის მიღებისა და მორჩილების სურვილი. ხოლო ყოველივე ამის მისაღწევ ფორმად მედია-საშუალებები მიიჩნევა.

ტოტალიტარული რეჟიმისათვის ერთგვარ მედია-საშუალებად ხელოვნება იქცა. იდეოლოგიური წნეხი და მმართველობისათვის აუცილებელი მასობრივი განწყობა მიიღწეოდა ხელოვნების დარგების იდეოლოგიზირებით, მათ შორის — ლიტერატურისაც. ვ. ლენინის მოსაზრება ერთი ორი კლასისა და შესაბამისად ორი კულტურის არსებობის შესახებ მთავარი საყრდენი გახდა ლიტერატურის „განსაწილებლად“. საყოველთაოდ ცნობილია, რომ XX საუკუნის 20-30-იან წლებში მწერალთა კავშირს სპეციალური დავალება ჰქონდა: მოემართა მწერლობა მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის სახობოდ და გამოეყენებინა ისეთი ავტორები, რომლებიც არ, ან ვერ თავსებოდნენ აზროვნების საყოველთაო ფორმატში; ასევე, მოენათლა ისინი ხალხის მტრებად, რასაც ლოგიკურად სდევდა მათი ფიზიკური განადგურებაც.

XX საუკუნის საზოგადოებრივმა პროცესებმა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში ლიტერატურაში წარმოშვა ერთგვარი აუცილებლობა იმისა, რომ ავტორებს კვლავ გაეხსენებინათ მწერლობაში კარგად აპრობირებული ჟანრი — იგავი. თუმცა არა როგორც დამოუკიდებელი თხზულება, არამედ რომანის ჟანრობრივი საზღვრების გაფართოებისა და გამდიდრების საშუალება. ეს აუცილებლობა იმ ტოტალიტარულმა რეჟიმმა გამოიწვია, რომელმაც მოიცვა მსოფლიოს ერთი მეექვსედი ნაწილი.

იგავი უძველესი ჟანრია და მისი ფესვები იკარგება ძველ აღთქმასა და ვედების ნიგნებში. ლიტერატურათმცოდნეები მას მოიაზრებენ როგორც დიდაქტიკურ, დასამოძღვრავ თხზულებად, რომლის ამოსავალი პრინციპი ალეგორიაა. თუმცა იგავს თავიდანვე უნდა ჰქონოდა სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციაც, რომელიც ალეგორიის ცნებას ეფუძნებოდა, იგავი მოიაზრებოდა როგორც სათქმელის დაფარულად გამოსატყვის ფორმა, სიუჟეტურ ფასადს ამოფარებული რომ მიანიშნებდა სათქმელის უმთავრეს აზრს.

ს-ს. ორბელიანის აზრით, იგავი არის „სიტყვით მაგალითი, გინა საჩვენებელი, გინა მოსანიშნავი“ (ორბელიანი 1991:322). ეს ნიშანი შეიძლება შეეზარდოს რომანის, როგორც ჟანრის ახლებურ ფორმულირებას.

საკუთარი ნაფიქრისა და დამოკიდებულების გამოსახატავად მწერლებმა მიმართეს გარდათქმას, — ტოტალიტარიზმის ძირეული მახასიათებლების ზედმიწევნით სკრუპულოზურად წარმოჩენა და თან სათქმელის შენიღბვა თემატიკის უმთავრეს განმსაზღვრელად იქცა, რაც პარაბოლიზაციით გახდა შესაძლებელი. იგავმა მიიღო პარაბოლის ფორმა.

ტერმინი „პარაბოლა“ ბერძნულიდან მოდის და ნიშნავს მიახლოვებას. მათემატიკური გაგებით ის არის ჩაუკეტავი მრუდი, რომლის ყოველი წერტილი თანაბრად არის დაშორებული მოცემული ფოკუსიდან და მოცემული სწორი ხაზიდან. მისი მეორე მნიშვნელობა ლიტერატურულია და ნიშნავს ქარაგმას, ნართს, ჭკუის სასწავლებელ ალეგორიულ მოთხრობას“ (თეზელიშვილი 2007: 601). ტერმინი თავისი მნიშვნელობით ითავსებს იგავის გაგებას, რამდენადაც ისიც ქარაგმულია და მრუდის მსგავსად უახლოვდება და სცილდება ძირითად სათქმელს, თუმცა არ კვეთს მას. პარაბოლას განმარტავენ, როგორც ქარაგმული ხასიათის მცირე მოთხრობას, დამრიგებლური მნიშვნელობითა და თხრობის განსაკუთრებული ფორმით, რომელიც თითქოს მრუდზე მოძრაობს. განყენებული საგნებიდან თხრობა განუწყვეტილად უახლოვდება მთავარ თემას და შემდეგ ისევ სანყისს უბრუნდება (პრიხოდკო 1987: 267).

XX საუკუნის მწერლობაში იგავს ახალი ფუნქცია დაემატა. მან ფაქტობრივად შეწყვიტა დამოუკიდებელი არსებობა და იქცა რომანის ერთგვარ დანამატად. უფრო სწორად ჟანრის განსაზღვრაში შევიდა ცვლილება. როცა საუბრობენ რომანი-პარაბოლაზე, გულისხმობენ მის ფაბულურ საძირკველს და მწერლის აზრის გამოსატყვის იმ ორიგინალურ ფორმასაც, რომელსაც განსაზღვრავს ალეგორიზმის პრინციპი.

ასეთი თხზულების კლასიკურ ნიმუშად შეიძლება დასახელდეს ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმა“, რომელშიც მოქმედი პირები, ცხოველები არიან. ეს რომანი საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო. „ალბათ იმიტომ, რომ ბოლშევიკებმა მასში საკუთარი თავი ამოიცნეს. თუმცა იგივე შეიძლებოდა ეფიქრათ სხვებსაც, რადგან ყველა ტოტალიტარული რეჟიმი, სადაც მასობრივი დანაშაულებები სამთავრობო სისტემამდე აღწევს, საბოლოო ჯამში ტყუპი ძმებზე იმსგავსება ერთმანეთს.

გეგმიურ საზოგადოებაში ძალაუფლების კონცენტრაცია ყოველთვის იზიდავს და „აჯილდოვებს“ მორალური თვალსაზრისით ყველაზე უარეს წარმომადგენლებს. ასეთების გადარჩევა ან გამორჩევა შემთხვევით არ ხდება, ეს ძირითადად ტოტალიტარული სისტემებისთვისაა დამახასიათებელი. ამგვარი ადამიანები კოლექტიურ საზოგადოებებში ყოველთვის წარმატებული არიან და პოლიტიკურ მწვერვალამდეც ადვილად აღწევენ. ძლიერებსა და აგრესიულებს ახასიათებთ მეთოდების განურჩევლობა. გარშემო იკრებენ ადვილად დამყოლ და ამავე დროს სასტიკ მებრძოლებს. დემაგოგიური გამოსვლებით ყოველთვის წინ მიუძღვებიან ყველაზე გულუბრყვილო, პასიურ და ადვილად სამართავ ადამიანებს. სამაგიეროდ ვერ იმორჩილებენ განათლებულ, ნიჭიერ პიროვნებებს, ამიტომაც ტოტალიტარიზმს სძულს ინტელექტუალები (ბერია 2008:)

ასახვის ასეთი მოდელი სხვადასხვაგვარი ვარიანტებით გასდევს XX საუკუნის ქათული მწერლობის ყველა ეტაპს. ცალკეულ ავტორთა თხზულებებში თითქმის ზუსტადაა გამოვლენილი ტოტალიტარული რეჟიმის ნიშნები. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მწერლობაში მრავლად იყვნენ ისეთი მოღვაწენი, რომლებიც, ასე თუ ისე, ეგუებოდნენ არსებულ რეჟიმს. მეტიც, მათ არ ჰქონდათ კონფლიქტი არსებულ ხელისუფლებასთან და „ბედნიერები ჰონორარითა და მინიჭებული პრივილეგიებით, რასაც უკვეთავდნენ, იმას წერდნენ, ბოლო წლებში არავინ არავის არაფერს უკვეთავდა, მაგრამ მაინც წერდნენ საკუთარი ინიციატივით“ (ალხაზიშვილი 2009: 43).

ასეთ ფონზე ხელოვანთა ნაწილი იყენებდა სათქმელის შენიღბვის სხვადასხვა ფორმას, რისი საშუალებითაც თხზულებები მზის შუქზე გამოდიოდა და ახერხებდა მწერლის დაშიფრული ნაფიქრის მკითხველამდე მიტანას.

ტოტალიტარული რეჟიმი მიკრო-სახელმწიფოების სახით ყველა შესაძლო ნიშანს ითავსებს ქ. ამირეჯობის „დათა თუთაშხიასა“ და გ. დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“ . ორივე მწერალი წარმოგვიდგენს ტოტალიტარიზმის ერთგვარ მოდელს, რომელშიც მწერალთა თანამედროვე ეპოქის გარდა, ზოგადად ტოტალიტარული რეჟიმიც ასახული. მასის ფსიქოლოგიაზე გათვლილი მმართველობა საზოგადოებას ერთ შემთხვევაში ამსგავსებს ცხოველების ყოფას, მეორეში კი — სამხედრო და მათეორიულ სისტემას.

ჭაბუა ამირეჯობის მიერ შემოთავაზებული ტოტალიტარული მიკრო-სახელმწიფო ზედმინევიტ გვიმხელს მმართველობის სისტემის ძირეულ ხერხებსა და მეთოდებს, რითაც შესაძლებელია ადამიანთა ჯგუფი იქცეს უპიროვნო, საკუთარი აზრისა და შეხედულების არმქონე მასად. რომელიც ადვილად სამართავია, იმდენად, რამდენადაც მათი რეალობის შესამეცნებელი შესაძლებლობები ნულოვან ზღვრამდეა დასული. სეთურის მოფიქრებული მმართველობის სისტემა ზუსტად შეესაბამება ტოტალიტარიზმისას. მასპინძელი არც უმაღლავს სტუმრებს, პირიქით, კმაყოფილი ამხელს საკუთარ „მიღწევებს“ და ხალხის კეთილდღეობას ეძახის ადამიანის გონებაში შიშის დანერგვას.

დემაგოგიური ქმედებით სეთური აღწევს გონებადაჩლუნგებულ ადამიანებს უსასტიკესი დამცირება, თითქმის მონობა, აუტანელი ყოფა ბედნიერებად წარმოადგენინოს. თუმცა თვითონაც იცის, რომ მხოლოდ შიში არ გამოდგება მასის სამართავად და სხვა ბერკეტიც არის საჭირო. ეს სხვა მის მიერ გაუკუღმართებული სიყვარულია, რომლის არსი მმართველის სახელის მუდმივ ძახილში და მასზე ლოცვაშია. პროცესი რომ ერთფეროვანი და მოსაწყენი, შესაბამისად დასაფიქრებელი არ გახდეს, მმართველს, იმავე ბელადს სხვადასხვა სახელით უნდა მიმართონ. აბელ სეთური იცვლის სახელს და ირქმევს არქიფოს, რაც ცხენების, თავლის უფროსს ნიშნავს. აზრი ნათელია. ადამიანებმა უნდა ირწმუნონ, რომ ისინი ცხოველები არიან და არა ადამიანები, შედეგად არასოდეს გაუჩნდებათ სურვილი, თვითონაც აღმოჩნდნენ ბელადის ადგილზე.

ავტორიტარულ მმართველებს ჰქონდათ კარგად ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი მართვის სამსახური, რომელიც გულისხმობდა ინფორმაციის გაკონტროლებას, დასმენასა და უნდასობლობის ჩათესვას მოქალაქეებში. სეთური ამ საქმესაც წარმატებით ართმევს თავს და მარჯვენა ხელად ჰყავს თაბაგარი — იდეოლოგიის თეორიული ბაზის დამამუშავებელი და პრაქტიკულად განმხორციელებელი. ასევე — დასმენისა და თვალთვალის დიდოსტატი ასინეთა. ფაქტობრივად სეთურის სამფ-

ლობელოში არც არსებობს დამსჯელი ორგანო. ერთადერთი საშუალება მოსახლეობის სრული დაჩლუნგებისათვის არის მმართველის ღვთაებრივ რანგამდე აყვანა, მისთვის „მამისა და მარჩენალის“ სტატუსის მინიჭება. ამიტომ მისგან მომდინარე დასჯაც კი მამობრივ ზრუნვად მოიაზრება.

ტოტალიტარულ სახელმწიფოში არსებული სტატუს-ქნოს-ს შენარჩუნებისა და გამყარების აუცილებელი ღონისძიება იყო მომავალი თაობის ისე აღზრდა, რომ მათი გონებრივი პოტენციალი მთლიანად გაჯერებული ყოფილიყო არსებული სინამდვილის ქება-დიდებათ. ახალგაზრდობას რომ ერწმუნა მოდელის უნივერსალურობა, მათი ჩამოყალიბება თავიდანვე ტოტალიტარიზმის შენარჩუნებაზე განერილი გეგმით უნდა მომხდარიყო. საბჭოთა კავშირში საგანმანათლებლო სისტემის გარდა ამ საქმეს ემსახურებოდა ასაკობრივ იერარქიაზე დაფუძნებული ორგანიზაციები, რომელთა ძირითადი დანიშნულება იყო აღეზარდათ და ჩამოეყალიბებინათ „ახალი ადამიანი“, ე. წ. ჰომო სოვიეტიკუს, რომელსაც ექნებოდა ზუსტად ისეთი შეხედულებები, როგორსაც სახელმწიფო შთააგონებდა.

სეთურის სამფლობელოში მომავალი თაობაც ზუსტად ისეთია, როგორც მისი მშობლები. თუმცა განსხვავება მაინც ფიქსირდება. თუ სეთურს მუდმივად უწევს მმართველობის ხერხების დახვეწაზე ფიქრი და ათასგვარ რამეს იგონებს მასის მორჩილებისათვის, — ბავშვების შემეცნებაში ჩათესილი ტოტალიტარიზმის მარცვალ გავლევებს ინყებს და ზემოდან ჩარევის გარეშე თვითონვე იღებს სასურველ და შესაბამის ნაყოფს. დათა თუთაშხია და მოსე ზამთარაძე, რომლებიც ცდილობენ გონდაბინდულ ხალხს თვალი აუხილონ, იქცევიან მტრის ხატად, რომელთა ჩაქოლვა და უარყოფა სეთურის მიერ დამყარებული რეჟიმის სრული ანარეკლია.

ტოტალიტარიზმმა იცის როგორ მოკლას პიროვნება. უპიროვნო მასა, უსახო და „მეს“ მოკლებული ბრბო კმაყოფილია იმით, რაც აქვს, ამდენად, მათ სააზროვნო ველში თუთაშხიას მამხილებელი სიტყვები მხოლოდ უკმაყოფილებასა და აგრესიას იწვევს და რჩება ხმად მლალადებისა უდაბნოსა შინა. თვალყურდახშული მასა საკუთარ „მარჩენალს“ აძლევს უფლებას, განსაზღვროს მათთვის აუცილებელი და სასურველი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გურამ დოჩანაშვილის რომანშიც „სამოსელი პირველი“ მაფიოზური კლანის „კამორას“ სახელს ამოფარებული ქალაქი თავისი სამხედრო იერარქიით ზუსტად შეესაბამება საბჭოეთის ტოტალიტარულ ფორმას. მწერალმა ორი, პოლარულად სანინალმდეგო საზოგადოებრივი სტრუქტურა ისე შეუხამა ერთმანეთს და ერთ ლოკალში მოაქცია, რომ მათი ნიშნების შერწყმით ზუსტად ასახა ტოტალიტარული სახელმწიფოს ძირითადი მახასიათებლები.

როგორც ერთ დროს დამანაშავეთა მაფიოზური კლანი აღწევდა საზოგადოების ყველა ფენაში; კაბალურად იმორჩილებდა ადამიანებს და მათ მაფიის უფროსის ბრძანებათა უსიტყვო აღმსრულებლებად თვლიდა; ასევე, სამხედრო წოდების მქონე პირთა ძალის ლოგიკაზე დაფუძნებული ავტორიტარული დამოკიდებულებები მათდამი დაქვემდებარებულ ქვეშევრდომებს აქცევდნენ მარიონეტებად, ისე რომანშიც ამ ორი, „სიტყვით მოსანიშნი“ მასალის პარაბოლირებით მწერალი ცხადყოფს საბჭოთა რეალობას.

თხზულებაში ტოტალიტარული სახელმწიფოს გამომხატველი რამდენიმე მახასიათებელი შეიძლება მოვიხიშნოთ. ესენია: იდეოლოგიური ბერკეტები, — მხატვარი გრეგ რიკო, რომელიც თითქოს დაუმორჩილებლობის განსახებაა. მასში კამორელთა დათრგუნული ვნებები უნდა გამოვლინდეს. სინამდვილეში კამორას მბრძანებლის ლაქია და სურვილთა უსიტყვო შემსრულებელია; ასევე თავისებური მედიასაშუალება, რკინის გალაში ჩაჭედილი ლამის დარაჯი, მთელი ღამე „ყველაფერი გენიალურადას“ რომ გაჰყვიროს; ე.წ. სპეც-რაზმი, — „უაგუნსოების“ ხროვა, რომელსაც განსაკუთრებულ შემთხვევაში იყენებენ; ადამიანი ყულაბა — შიშველი ანისეტო, გადასახადს რომ კრფის ყველა საქმიდან, და თვით კამორას მბრძანებელი მარშალი ბეტანკური — მეტად ხაზგასმული დეტალებით: თეთრი კიტელითა და ტიტულებით, — „სამფენოვანი კამორას მზე“ და „დამშვიდებათა ნავთსაყუდარი“.

ჭაბუა ამირეჯიბისა და გურამ დოჩანაშვილის რომანებში ტოტალიტარიზმი ერთნაირი ლიტერატურული ხერხით, რომანის პარაბოლირებითაა წარმოსახული. ალბათ, ამის ერთი მიზეზი არის ის ეპოქა, რომელშიც არა მარტო იცხოვრეს

ქართველმა მწერლებმა, არამედ საკუთარ თავზეც გამოსცადეს რეჟიმის მთელი სისასტიკე.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ხელოვნება ტოტალიტარიზმის ერთ-ერთ რუპორად იქცა. მაგრამ ის, რაც ფასეულია, არ ემორჩილება არც დროს და არც იმ „მეფეებს“, რომლებიც ამ დროში მეფობენ. ნამდვილი ხელოვნება ყოველთვის ახერხებს თვით ყველაზე რეპრესიულ სახელმწიფოშიც კი თქვას თავისი სათქმელი, თუნდაც პარა-ბოლირებით, თუნდ სიტყვით საჩვენებელი მაგალითით.

დამონეშბანი:

ალექსიძე... 2005: ალექსიძე ლ. (რედაქტორი), გიორგაძე ლ., კვაჭაძე მ. და სხვ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი-ცნობარი. თბ.: 2005.

ალხაზიშვილი 2009: ალხაზიშვილი გ. მომავალი წარსული. „ჩვენი მწერლობა“, № 11, 2009.

ბერია 2008: ბერია გ. დაგვიანებული წიგნი. ჯ. ორუელის „ცხოველების ფერმა“. „არილი“, 14. 04., 2008. http://arili2.blogspot.com/2008/04/blog-post_14.html

ბეტელჰეიმი 2009: ბეტელჰეიმი ბ. ტოტალიტარიზმის ფსიქოლოგიური მიმზიდველობა. <http://www.lib.ge/author.sphp?590>

თეზელიშვილი 2007: თეზელიშვილი ს. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. „მერიდიანი“, 2007.

კოდუა 2004: კოდუა ე. (რედაქტორი) და სხვ. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი. თბ.: „ლოგოს-პრესი“, 2004.

მჭედლიშვილი 2008: მჭედლიშვილი დ. ენციკლოპედიური ლექსიკონი [//www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)

ორბელიანი 1991: ორბელიანი ს-ს. ლექსიკონი ქართული. ტ. I. თბ.: „მერანი“, 1991.

პრიხოდკო 1987: Приходько Т.Ф. Парабола // Литературный энциклопедический словарь. М.: 1987.

ტოტალიტარული ტექსტი და ლიდერის კონცეპტი Totalitarian Text and the Concept of a Leader

DODONA KIZIRIA

USA, Indiana

Tyrant as a Messiah

Soviet literature reflected the ideological imperatives of the totalitarian system. One of the peculiar myths created by soviet authors was the myth of a Messiah embodied in the images of Lenin and Stalin. Giorgi Leonidze's narrative poem "Stalin's Childhood and Youth" is one such example. Analysis of the poem's structural motives and imagery make it obvious that it is modeled after New Testament, specifically birth of Christ. The tension between historic and Biblical references in the poem illuminate contradictory character of the literature defined as "socialist realism"

Keywords: Stalin; Socialist Realism; Bible; Messiah.

დოდონა კიზირია

აშშ, ინდიანა

ტირანი, როგორც მესია

(გიორგი ლეონიძის პოემა „სტალინის ბავშვობა და ყრმობა“)

მეოცე საუკუნის ტოტალიტარული რეჟიმის მქონე ქვეყნების კულტურულ დისკურსებს ახასიათებდა მითოლოგიური აზროვნებისა და რიტუალების კულტივირება, სიმბოლიკის იმგვარი სისტემის შექმნა, რომელიც თელეოლოგიური მნიშვნელობებით იტვირთებოდა.

საბჭოთა კულტურის თელეოლოგიური ხასიათის ჩამოყალიბებაში დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის კულტურის ტრადიციულ-ისტორიულმა თავისებურებებმა. ეს იყო, პირველ ყოვლისა, სახელმწიფო ძალაუფლების პრიმატი, ხელმწიფის, ანუ ბელადის კულტი და რუსული მესიანიზმი. ეს უკანასკნელი სათავეს იღებს მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდგომ წლებში. ამ დროიდან მოყოლებული რუსეთში სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა რწმენა იმისა, რომ მოსკოვი არის მესამე რომი, ხოლო რუსეთი — ერთადერთი ჭეშმარიტად ქრისტიანული ქვეყანა, რომლის მისია არის მსოფლიოში მართლმადიდებლობის გავრცელება და ამით მისი (ანუ მსოფლიოს) სულიერი განწმენდა და აღორძინება (ლოტმანი 1992: 58-75). საბჭოთა პოლიტიკური დისკურსის სივრცეში მართლმადიდებლური რწმენა შეცვალა დოგმატიზებული მარქსიზმა, რამაც მესიანური, ესქატოლოგიური რელიგიის ყველა ატრიბუტი შეიძინა.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში მესიანური, აპოკალიფსურ-ესქატოლოგიური განწყობა განსაკუთრებით ძლიერი იყო რუსი ინტელიგენციის წრეებში. ვლადიმერ სოლოვიოვის, ნიკოლოზ ფიოდოროვის და დიმიტრი მერეჟკოვსკის ფილოსოფიურ ნაწერებში ხაზი ესმებოდა კულტურის გარდუვალ კატასტროფულ დასასრულს და ახალი საკრალური, ეგრეთ წოდებული ტადრული საზოგადოების (собрность) შექმნას.

სიმბოლისტმა პოეტებმა, ალექსანდრე ბლოკმა, ანდრეი ბელიმ, ვალერი ბრიუსოვმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს მთელს რუსულ მოდერნისტულ ლიტერატურაზე; მასში ცხადად გამოიკვეთა მიდრეკილება კოსმიურობისა და მისტიციზმისაკენ. ასეთი კოსმიურობა განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ფუტურიზმისა და შემდგომ პროლეტკულტის წარმომადგენელთა შემოქმედებისათვის, რომელშიც

პარადოქსულად იყო შერწყმული სიმბოლისტური მესიანიზმი და მარქსისტული იდეები¹. ოქტომბრის რევოლუცია მათ ნაწარმოებებში წარმოადგენდა ისტორიის იმ აპოკალიფსურ მომენტს, რომელითაც აღინიშნებოდა ძველი სამყაროს დასასრული და ახალი, კომუნისტური მიმართული ოქროს ხანის დასაწყისი. ყველაფერმა ამან განაპირობა საბჭოთა კულტურის დისკურსში რელიგიური კონოტაციების დამკვიდრება და ფართოდ გამოყენება რელიგიური სემანტიკის მქონე ისეთი ლექსიკის, როგორიცაა *მოძღვრება*, *მსხვერპლი*, *ზიარება*, *მარადისობა*, *უკვდავება* და ბევრი სხვა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორმა ხელი შეუწყო საბჭოთა ხელოვნებასა და ლიტერატურაში რიტუალისტური სტრუქტურის მქონე ნარატივები ჩამოყალიბებას (კლარკი 1981)². ამგვარი ლიტერატურის არქეტიპად ოფიციალურად იყო დასახელებული მაქსიმ გორკის „დედა“ (1906) და შემდგომ სოცრეალიზმის კლასიკური ნიმუში — ნიკოლოზ ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ (1932). შეიძლება ითქვას, რომ ამ ორ რომანში სახეზე გვაქვს რელიგიური ტიპის ჰაგიოგრაფიული ჟანრის ერთგვარი სახესხვაობა. ამ ნაწარმოებებში შექმნილია გმირის ისეთი სახე, რომელიც წარმოადგენდა მოქალაქეობრივი ზნეობის იდეალურ და ყველასათვის მისაბამ მაგალითს. ასეთივე დანიშნულება ჰქონდა ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში წმინდანის სახეს, რომელიც ამ ჟანრის კანონის მიხედვით მეტ-ნაკლები სიზუსტით ქრისტეს უნდა დამსგავსებოდა.

თუ ოთხივე სახარების გათვალისწინებით განვიხილავთ ქრისტეს ცხოვრების სტრუქტურას, მასში შეიძლება გამოვყოთ შვიდი საკრალური მოტივი. ესენია მომავალი მესიის სასწაულებრივი დაბადება, ბავშვობაშივე ზებუნებრივი სიბრძნის გამოჩენა, მის მიერ თავისი საკრალური მისიის გააზრება, ამ რწმენისადმი მსახურება, სასწაულების მოხდენა, შემდგომ მისი მონამეობრივი სიკვდილი და აღდგომა. ყოველი ქრისტიანი წმინდანის ცხოვრება შეიცავს ამ მოტივებთაგან რამდენიმეს მაინც, რომელთა შორის მონამეობრივი სიკვდილი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

საბჭოთა ლიტერატურამ გამოიმუშავა საკუთარი რიტუალისტურად განმეორებადი და მყარი სტრუქტურა, რომელიც ჰაგიოგრაფიული ჟანრის თითქმის ყველა მოტივს შეიცავს, თუმცა ისინი მარქსისტული იდეოლოგიით ტრანსფორმირებული სახით არიან წარმოდგენილი. სასწაულებრივი დაბადების აღდგომა იკავებს კლასობრივი წარმოშობის ფქტორი; გმირი იბადება ღარიბი გლეხის ან მუშის ოჯახში, რაც უკვე წინასწარ ითვალისწინებს მის ღირსეულ ცხოვრებას. ჯერ ახალგაზრდულ წლებში იგი ეზიარება მარქსიზმის სწავლებას, თავდადებითა ემსახურება რევოლუციის ან საბჭოთა სახელმწიფოს მიზნებს და ბოლოს ზედმინევენით ასრულებს რაიმე საზოგადოებრივ დავალებას, რაც თავისთავად სასწაულებრივი ხასიათისაა, ვინაიდან ამ დავალების შესრულება მოითხოვს ადამიანური შესაძლებლობის თითქმის ზებუნებრივ მობილიზაციას. ზოგჯერ გმირი ძალადობრივი სიკვდილით კვდება, რაც წმინდანის მონამეობრივი დასასრულის ექვივალენტია და, ჯვარცმის მსგავსად, წარმოადგენს ერთგვარ ოპტიმისტურ ტრაგედიას. ეს პარადიგმა მცირეოდენი ვარიაციებით მეორდება 20-ანი, 30-იანი და 40-იანი წლების ლიტერატურაში, და ნაწილობრივ უფრო გვიანაც.

ყველაზე მთავარი და სათაყვანო „დადებითი გმირები“ საბჭოთა კულტურის სივრცეში იყვნენ, რასაკვირველია, ლენინი და სტალინი. ლენინის სიკვდილმა ბიძგი მისცა მათი ცხოვრების ლიტერატურულ დისკურსში შეყვანას, რაც პირველ ყოვლისა პოეზიაში ჩამოყალიბდა, ვინაიდან პოეტური ჟანრი უფრო აადვილებდა მათ თითქმის მითიურ სახეებად წარმოდგენას.

ბოლშევიკური პარტიის ბელადების უკვდავთა რანგში აყვანა დაიწყო ვლადიმერ მაიაკოვსკიმ თავის 1924 წელს შექმნილი პოემით „ვლადიმერ ილიჩ ლენინი“ (მაიაკოვსკი 1957: 231-309)³. ამ პოემაში შეტანილია საბჭოთა კულტურის დისკურსში შექმნილი სამი ძირითადი მითოლოგემა: ღვთაებრიობის დონემდე აყვანილი ბელადი, შეურიგებელი მტრის სახე და ბედნიერი მომავლის რწმენა. ამით საწყისი მიეცა ლენინის და შემდგომ სტალინის სახის შექმნას პოეზიაში, დრამატურგიასა და კინოში. ორივე ბელადი თანდათანობით ღვთაებრიობის შარავანდედით შეიმოსა და მათ სახეებს ჭეშმარიტად კოსმიური პარამეტრები მიეცა.

სტალინისადმი მოძღვნილი ნაწარმოებების ერთ-ერთი პარადოქსული მაგალითია გიორგი ლეონიძის პოემა „სტალინის ბავშვობა და ყრმობა“, რომელიც 1939

ნელს გამოიცა. ეს ნაწარმოები, ერთი მხრივ, იყო საბჭოთა რიტუალისტურ-ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ყველაზე იდეალური მაგალითი და ამავე დროს მისი უკიდურესი ზღვარიც. პოემის ბოლოში მოთავსებული ავტორისეული შენიშვნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ნაშრომი წარმოადგენდა პოეტის მიერ ჩაფიქრებული ეპოპეის მხოლოდ პირველ ნაწილს. ეს კი ნიშნავდა, რომ იგი ჯერ არ იყო დასრულებული და ადრე თუ გვიან მკითხველი მის გაგრძელებას იხილავდა. მაგრამ როგორც პოემის სტრუქტურული მოტივების ანალიზი გვიჩვენებს, მისი გაგრძელება და დასრულება სრულიად გამორიცხული იქნებოდა სტალინის სიცოცხლის დროს, და მით უმეტეს მისი გარდაცვალების შემდეგ.

მაიაკოვსკის პოემისგან განსხვავებით, სადაც მხოლოდ ლენინია აყვანილი ზეადამიანური განზომილების სივრცეში, ლენინის პოემაში მოვლენები და მათში მონაწილე მოქმედი პირების უმრავლესობა მთლიანად მითიურ სიბრტყეშია მოქცეული. დისტანცია ისტორიულ დროსა და მარადიულობას შორის თითქმის სრულიად ნაშლილია; ცხოვრებისეულ რეალობაში ამოკითხება მარადიული, ხოლო ეს უკანასკნელი წარმოადგენს დროის ჩარჩოში მოქცეული ისტორიული ფაქტების ქეშმარიტი, მისტიკური მნიშვნელობის გასაღებს.

ვინაიდან პოემა ბიოგრაფიული ხასიათისაა, საჭიროა შევხედოთ იმ პარადიგმას, რომლის შესატყვისად ავტორი ახდენს რეალურ მოვლენათა ამორფული მრავალგვარობის კონსტრუირებას, ან ამერიკელი ფილოსოფოსის, ჰეიდენ უაიტის ტერმინი რომ ვიხმაროთ, მის „სიუჟეტიზაციას“ (emplotment). ისტორიკოსი, ამბობს უაიტი, „დგას რა ფაქტების „ქაოსის“ წინაშე, ნარატივის აგების მიზნით იძულებულია „გადაარჩოს, დაჭრას და გამოჭრას“ ისინი. შემდგომ საჭირო ხდება, რომ უკვე გადაარჩეული ისტორიული ფაქტები... ხელახლა იქნას ორგანიზებული, რათა შეიქმნას ვერბალური სტრუქტურა, რაც ყოველთვის რაიმე კონკრეტული დანიშნულებისთვის არის დაწერილი. ეს კი ნიშნავს, რომ ისტორია არასოდეს არ არის უბრალოდ ისტორია, არამედ არის **ისტორია თვის**, ანუ ისტორია, დაწერილი რაიმე ინფრამეცნიერული მიზნით ან ხედვის კუთხით“ (White 1978: 51-80).

ცოცხალი ადამიანის ბიოგრაფია შეძლება შევადაროთ ისტორიულ ნარატივს; ერთშიც და მეორეშიც რეალური, მაგრამ დაუსრულებელი ფაქტების რიგიდან აღებულია მხოლოდ რაიმე ნაწილი, რათა შესაძლებელი გახდეს ამ ფაქტების გარკვეულ ნესრიგში მოყვანა, მისი სიუჟეტიზაცია. სტალინის ცხოვრების ქრონოლოგიიდან ლენინძეს აღებული აქვს შედარებით მოკლე მონაკვეთი — მისი ბავშვობა და ყრმობა, — რომელიც სიუჟეტიზაციის მიზნით რეალურად მომხდარი ფაქტების რიგიდან არის „ამოჭრილი“ და ბიბლიურ თარგზე „გამოჭრილი“.

„სტალინის ბავშვობა და ყრმობა“ ისევე, როგორც მაიაკოვსკის პოემა, სამი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში შვიდი თავია. მეორესა და მესამეში ცხრა-ცხრა. პირველი ნაწილი არ არის დასათაურებული და წარმოადგენს ერთგვარ წინათქმას, სადაც პოეტურად განზოგადოებულ სტილში აღწერილია საქართველოს ისტორიული წარსული. აქ წარმოდგენილი სახეები და თხრობის პროფეტიული სულისკვეთება სავსებით ცხადად ძველი ალთქმის სტრიქონებს ეხმაურება:

მთა მთაზე მოჩანს მაღალი,
არწივის ჩრდილით ფარული
თავზე თოვლგადანაყარი
წარღვნიდან ამოპარული.
(ლენინიძე 1954: 523)⁴

ამ სტროფში მოცემულია ბიბლიური სამყაროს შექმნის ყველა ელემენტი — პირველყოფილი წარღვნა, მისი სიღრმიდან ამოზიდული, ჯერ უკაცრიელი ხმელეთი და მის ზემოთ მობიბინე ფრინველთა მეფე, რომელიც ქრისტიანულ სიმბოლიკაში დაკავშირებულია ზეციურ ფრთოსან ანგელოზებთან და თვით ღმერთთანაც. ძველ ალთქმაში ამ სტროფს შემდეგი სტრიქონი შეესიტყვება: „თავდაპირველად ღმერთმა შექქმნა ცა და მიწა. მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იყო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა ნყლებს ზემოთ“ (ძველი ალთქმა 1989).

ისევე, როგორც ძველი აღთქმის სამყარო, ეს წარღვნიდან ამოპარული ხმელეთი არის ასპარეზი გრანდიოზული მოვლენებისა, სადაც ბოროტი და კეთილი ერთმანეთს ებრძვის. სტალინისა და ლენინის გარდა, ამ ბრძოლის მონაწილეთა შორის ნახსენებია უფლოსი, ამირანი, პრომეთე, ალექსანდრე მაკედონელი, სპარტაკი, ირანის შაჰი, რუსეთის იმპერატორი და არაერთი სხვა მითიური და ისტორიული პიროვნება. უკვდავნი და მოკვდავნი ერთ სიბრტყეში მოქმედებენ და მათ შორის სუბსტანციური სხვაობა დემარკირებული არ არის.

ისევე, როგორც ძველ აღთქმაში, პოემის წინათქმაში ვკითხულობთ მომავალი მესიის დაბადების წინასწარმეტყველებასაც:

*შვილს მოვლოდნენ მშობლები,
ვინც სული ცეცხლით შემოსა,
ვინც მზე აფრქვია ნათელი
მსოფლიო გარემოსა.
(ლეონიძე 1954: 524-525)*

აქვეა აღნიშნული მესიის დაბადების ადგილიც – ქალაქი გორი. პოემაში ამ ქალაქის სიმბოლიური არსი მინიერსა და გეოგრაფიულს შორს სცილდება და სულიერ სუბსტანციას იძენს:

*შენ, ბედნიერო მიწის ნაჭერო,
ცალკე ლამაზო, ტურფავ მთლიანად,
შენ ხარ ვენახი, დაკრეფის მერე
მსოფლიომ შენგან მოირთვლიანა.
(ლეონიძე 1954: 530)*

მართლმადიდებლური ქრისტიანობის კულტურაში „შენ ხარ ვენახი“ არის მარამ ღვთისმშობლის არსის გამომხატველი, ხოლო იესო ქრისტე მისი ნაყოფია. ამას მიუთითებს პოემის შემდეგი სიტყვებიც: „ძველო ქალაქო, მცირე ქალაქო... შენებრ *ნაყოფი* ვის მოუცია?“ (ლეონიძე 1954: 529)². აქ პერიფრაზით გამოთქმულია ახალ აღთქმაში იოანე ნათლისმცემლის დედის, ელისაბედის მიმართვა მარიამისადმი: „კურთხეული ხარ შენ ასულთა შორის და *კურთხეულია შენი მუცლის ნაყოფი*“ (ლუკა 1,42). ამგვარად, წინათქმის ბიბლიური კოდი ახდენს მნიშვნელობების განუწყვეტელ ესკალაციას და სრულიად აბათილებს საზღვრებს როგორც მითიურსა და ისტორიულს, ასევე მატერიალურსა და ტრანსცენდენტურს შორის. პოემაში აღწერილი მოვლენების გეოგრაფიული სივრცეც კოსმიურ პარამეტრებს ღებულობს. „წარღვნიდან ამოპარული“ მთები არის არა მხოლოდ კავკასიონი, ქართლი, ან საქართველო, არამედ ღვთის მიერ შექმნილი პირველსამყარო, ხოლო გორი - ახალი ბეთლემი, მესიის დაბადების ადგილი და ამავე დროს მისი მშობელი ანუ თვით ღვთისმშობელი.

პოემის მეორე თავის სათაური — „დაბადება“ — თითქმის შეუნიღბავად ბიბლიური მინიშნებაა. ეს არის **შობა** ახალი ქრისტესი, რომლის არსი მხოლოდ „მესიის“ ცნებით არ შემოისაზღვრება და მასზე უფრო დიდია. ამ თავში თხრობა იწყება განსაკუთრებული გმირის დაბადების მაგიური ნიშნებით, რომლებიც ვითომდა უარყოფილია, მაგრამ ფაქტიურად ისინი გაცილებით უფრო სასწაულებრივ ელფერს იძენენ. გრანდიოზული კოსმიური ნიშნები მხოლოდ ზღაპრული და მითიური პერსონაჟების დაბადებას მოასწავებს, მაშინ როდესაც ქრისტიანული მესია ძალზე მოკრძალებულ, ღარიბულ გარემოცვაში ევლინება ქვეყანას:

*არც ერდოზე ორბი იჯდა,
არც მღეროდნენ არნივები;
ქოხზე ჩიტი დაფრინავდა
შეყინული ნამძივებით.
(ლეონიძე 1954: 545)*

ამ და მომდევნო სტროფში აღწერილი სურათის მსგავსება ქრისტეშობის დღეს-თან შემთხვევითი სერენდიპიტი, ანუ ბედნიერი დამათხვევაა. სტალინის ზამთარში დაბადება, ხელოსანი მამა და მისი ოჯახის სიღარიბე ზედგამოჭრილია იმისათვის, რათა ახალშობილში ბიბლიის ტექსტს ზიარებულმა მკითხველმა ჩვილი ქრისტე ამოიცნოს, რომელიც მარიაშვილმა „ჩვილებში გაახვია და ბაგაში ჩაანვინა, ვინაიდან ფუნდუკში ადგილი არ იყო მათთვის“ (ლუკა II,7). მესია ყოველთვის ღარიბთა და ჩაგრულთათვის არის მოვლენილი და ამის ნიშნად თვითონაც მათ ემგვანება. ბიბლიური მოგვებისა და მწყემსების მსგავსად, გაბედნიერებულ მშობლებს მეზობლები ულოცავენ ძის შექენას:

მომლოცველები მოდიან —
ხელოსნები და გლეხები,
წვერულვამ-დაჭირბულულები,
ნაბუქრიანი ფეხებით.
(ლენინიძე 1954: 548)

ის დროც, რომელშიც ვითარდება პოემის მოქმედება არის, ერთი მხრივ, ისტორიული, ანუ სეკულარული და, მეორე მხრივ, მარადიული, ანუ საკრალური დროის გადაკვეთის წერტილი. ესქატოლოგიური ხასიათისაა პოემის ჯერ კიდევ პირველივე თავში ფორმულირებული მისტიური წინასწარმეტყველება.

იბადებოდა ყრმა მშვენიერი,
ვინც გულს ახალი მისცა ნათება.
ვისი ხელითაც უნდა *მოთავდეს*
ახალი ქვეყნის მოგუმბათება.
(ლენინიძე 1954: 544)

ამ სტროფში ორჯერ არის აღნიშნული გარდუვალი და ამიტომ შინაგანი არსით თელეოლოგიური მომავალი; „ყრმა მშვენიერი“, ანუ სტალინი *მოთავდეს* ლენინის დაწყებულ საქმეს და *მოაგუმბათებს* შენობას, რომლის საფუძველი უკვე ჩაყრილია. კურსივით გამოყოფილი ორივე სიტყვა ეთიმოლოგიურად დასასრულს, ფინალურ აქტს მიანიშნებს. ამასთანავე, როგორც ნესი, მოგუმბათებით სრულდება არ უბრალო შენობა, არამედ რაიმე ტაძარი, ეკლესია, ანუ საკრალური დანიშნულების ლოკუსი, სადაც ზიარი რწმენის ადამიანები იკრიბებიან. ვინაიდან ეს გუმბათი და მისი ლოგიკური გაგრძელებით, ტაძარი ახალი ქვეყნის, ტაძრული, ანუ სულიერი ერთიანობის სინონიმია, შეცდომა არ იქნება ვთქვათ, რომ პოემის სიმბოლიკის სისტემაში იგი მომავალ კომუნისტურ საზოგადოებას გულისხმობს. ეს არის ხალხთა მიწიერი სამოთხე, სადაც ისტორია, ანუ დროში გავრცობილ მოვლენათა ცვალებადობა სამუდამოდ წყდება და იწყება მარადისობა.

პოემის მეორე ნაწილის მე-6 თავი წარმოადგენს ერთგვარ აპოკალიფსურ მომენტს, რომელიც საკმაოდ გაუგებარს ხდის პოემის ჭეშმარიტ ინტენციას. მასში აღწერილია ერთი სრულიად კონკრეტული ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა გორში 1892 წლის 13 თებერვალს. ამ დღეს ქალაქის ბაზრის მოედანზე საჯაროდ ჩამოახრჩეს ორი მსჯავრდადებული პიროვნება – ტატე ჯიოშვილი და სანდრო ხუბულური (მამისთვალისხილი 1999: 281-283).⁶ ავტორი რამდენჯერმე აღნიშნავს დასჯილთა რიცხვს, თავდაპირველად როცა ისინი სახრჩობელისკენ მიჰყავთ:

... და მათ შუა ყაჩაღები....
მოუხრიათ საწყლად თავი,
ორთავ მტერზე დამჯახები,
ცხელი ტყვიის გამრეკავი...
ორივეა მთების შვილი,
ორი ქვრივი დედაბერის...
(ლენინიძე 1954: 615)

ეპიზოდის ბოლოში, სადაც სასჯელი აღსრულებაში იქნა მოყვანილი, იგივე რიცხვია გამეორებული:

ხელი ჰკრეს და ნელი ტოკვით
აქანავდა *ორი* გვამი...
(ლეონიძე 1954: 617)

აქდან სულ ხუთი მოკლე სტროფით ადრე კი ვკითხულობთ შემდეგს:

სასიკვდილო მოედანზე
სამი ბოძი დარჭობილა...
(ლეონიძე 1954: 616)

ძნელი დასაჯერებელია ავტორს დავინყებოდა, რამდენი „ყაჩაღი“ მიჰყავდათ მოედნისკენ. სამი ბოძის მნიშვნელობა სრულიად გაუგებარია, თუ არა ბიბლიურ კონტექსტში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მასში აღწერილი სცენა წარმოადგენს გოლგოთის დეკორაციას. ამისკენ მიგვითითებს ერთ-ერთი დამნაშავეს ფერწასული და ჩაფიქრებული სახე:

ცოცხლივ *ჯვარზე გაკრულია*,
ბნელ სკანში ჩამომდნარი...
(ლეონიძე 1954: 616)

აქ ჯვარცმა პირდაპირ არის ნახსენები და ამიტომ მესამე ბოძის დანიშნულებაც თითქოს გასაგები ხდება; სახარებაში მესამე ბოძზე სწორედ ორ ავაზაკს შორის ჯვარცმული იყო ქრისტე. მაგრამ ამ ლოგიკით ეს ბოძი გამზადებულია სწორედ იმ სოსელოსათვის, რომელიც პოემაში დასჯის სცენას თავზარდაცემული უყურებს. ნუთუ პოეტმა გაბედა ბელადის ასეთი მონამეობრივი დასასრულის წინასწარმეტყველება? პოემის ეს ადგილი ის ბნელი ლაქაა, რომლითაც, ჟაკ დერიდას და პოლ რიკერის თეორიების თანახმად, იწყება ტექსტის დეკონსტრუქცია და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ავტორის ინტენციის რაიმე სიზუსტით ფორმულირების შესაძლებლობას. მართლაც, რა უნდა ჰქონოდა მხედველობაში ავტორს? სამი ბოძის ხსენებას უფრო მკაფიოდ უნდა გაესვა ხაზი სტალინის მესიანური როლისათვის? თუ პირიქით, პოეტს სურდა ძალზე ირიბად და შენიღბულად მიენიშნებინა ბელადად აღიარებული ავაზაკის მიერ ქრისტეს როლის უზურპირებაზე? სრული დარწმუნებით ვერც ერთი განმარტების მტკიცებაა შესაძლებელი.

ამგვარად ცხადი ხდება, რომ პოემის შემდეგი ნაწილის დაწერა და მამასადამე, მისი სიუჟეტის ბიბლიურ პარადიგმასთან შეთანხმებით დასრულება სტალინის სიცოცხლეში სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. ბელადისა და ქრისტეს მსგავსების ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა საჭიროებდა ჯვარცმასაც. შეუძლებელია ქრისტე გოლგოთას ასცდეს, ვინაიდან სწორედ ამ ლოკუსში ხდება მისი ცხოვრების საკრალიზაცია, მისი ღმერთად რწმენა. მაგრამ სიუჟეტში ამდაგვარი ეპიზოდის შეტანა მაშინ, როდესაც სტალინი ჯერ ცოცხალი იყო ავტორს, ალბათ, სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა.

ლეონიძეს თავისი პოემა არც სტალინის სიკვდილის შემდეგ დაუსრულებია. ამის მიზეზებზე შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ. კომპარტიის მეოცე ყრილობაზე გენერალური მდივნის, ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ სტალინის პიროვნების კულტად გამოცხადების შემდეგ პოეტს ორი არჩევანი ჰქონდა: მას შეეძლო პოემა დაესრულებინა მისი გმირის ღვთაებრივობის ან პირიქით, დემონურობის ნიშნით. პირველ შემთხვევაში მისი წინარმოები აღიქმებოდა როგორც დისიდენტური, ვინაიდან კვარცხლბეკიდან ჩამოგდებული ბელადის ამგვარი განდიდება იმ პერიოდის პოლიტიკური დისკურსის საწინააღმდეგოდ იქნებოდა მიმართული. მეორე მხრივ, ლეონიძე მკითხველს წარუდგებოდა როგორც ულტრაკონსერვატორი სტალინისტი, რაც საეჭვოა იგი ჭეშმარიტად ყოფილიყო ან ასეთი პოზიციის მიღება სურვებოდა. ალტერანატივილი არჩევანი იყო პოეტს თავისი გმირი წარედგინა როგორც სატანა, რომელმაც ეშმაკური მაქინაციებით აიფარა ქრისტეს ნილაბი და ამიტომ ჯვარს იქნა გაკრული

როგორც ავაზაკი და არა როგორც მესია. ამ შემთხვევაში საზოგადოებისა და მკითხველის თვალში ლეონიძე აღიქმებოდა როგორც აშკარა პოლიტიკური კონფორმისტი და ხელისუფლების ახალი პოლიტიკური პოზიციის აგიტატორი. მისი პიროვნების ამგვარი გააზრება კი პოეტისთვის კიდევ უფრო მიუღებელი იქნებოდა, ვინაიდან სწორედ ამ დროიდან იწყება ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის აღმავლობა, როგორც ერის სულიერი წინამძღვრისა, რაც სრულიად გამორიცხავდა ნებისმიერ პოლიტიკურ კონფორმიზმს.

ამგვარად, ლეონიძის პოემა არის საბჭოთა რიტუალისტური ლიტერატურის ერთ-ერთი იდეალური მაგალითი და ამავე დროს მისი შემდგომი განვითარების უკანასკნელი საზღვარი, ან უფრო სწორედ, მისი ჩიხი, რომლიდანაც გამოსვლა, როგორც დავინახეთ, პოეტისთვის შეუძლებელი შეიქნა.

შენიშვნები:

1. კოსმიური მისტიციზმით გამოირჩეოდა პროლეტკულტის ისეთი პოეტების ლექსები, როგორც იყო ა. გასტევი, მ. გერასიმოვი, ვ. კაზინი, ბ. კირილოვი და სხვანი. ვლადიმირ მაიაკოვსკის პოეზიაში ქრისტიანული რელიგიის, უკვდავების და აღდგომის მოტივების შესახებ იხ. “Immortalizing the Revolution: The Poetry of Mayakovsky”, *Artists in Revolution*, Robert C. Williams, 1977, IU Press, Bloomington, გვ. 121-150.
2. ამ ნაშრომში განხილულია სოციალისტური რეალიზმის ტიპური რომანები და მათი რიტუალისტური ხასიათი.
3. პოემა თავდაპირველად ნაწილ-ნაწილ და სხვადასხვა სათაურებით დაიბეჭდა უამრავ გაზეთსა და ჟურნალში, ხოლო 1925 წელს პირველად სრულად გამოიცა წიგნის სახით: В. Маяковский, Ленин, «ГИЗ», Ленинград. კანონიზებული საბოლოო ვარიანტი შეტანილია პოეტის ზემოთ აღნიშნულ ცამეტტომეულ გამოცემაში.
4. შემდგომი ციტატები ამ გამოცემიდან არის აღებული. კურსივი ამ სტროფშიც და შემდგომ ციტატებშიც ჩემია.
5. ქალაქის ამგვარ მითურ გასხვივსნებას ვხედავთ რომთან დაკავშირებით იტალიური ფაშიზმის დისკურსში. იხ. “Myth of Rome”, *Fascist Spectacle: the Aesthetics of Power in Mussolini's Italy*, Simoneta Falasca-Zamponi, University of California Press, Berkley, 1997; გვ. 90-100.
6. ამ ინფორმაციის მონოდებისთვის უდიდეს მადლობას ვუხედი პროფესორ ვაჟა კიკნაძეს.

დამონებული:

კლარკი 1981: Clark K. *The Soviet Novel: History as Ritual*. University of Chicago Press, Chicago: 1981.

ლეონიძე 1954: ლეონიძე გ. სტალინი: ბავშვობა და ყრმობა. ერთტომეულში ლექსები, პოემები. თბ.: „სახელგამი“, 1954.

ლოტმანი 1992: Лотман, Ю. М. “Миф, - имя - культура”, *Избранные статьи*, ტომი 1. Таллин: “Александра”, 1992.

მაიაკოვსკი 1957: Маяковский, В. «Владимир Илич Ленин». Т. 6. М.: «Художественная литература», 1957

მამისთვალისივილი 1999: მამისთვალისივილი ე. გორის ისტორია. ტ. 2. გორი: 1999.

White 1978: White H. “Interpretation in History”, *Tropics of Discourse: Essays on Cultural Criticism*, The Johns Hopkins University Press, Baltimore and London, 1978.

ძველი აღთქმა 1989: შესაქმისაი. I, 1-2. აქ და შემდგომ ბიბლიის ტექსტი ციტირებულია საქართველოს საპატრიარქოს 1989 წლის გამოცემის მიხედვით. 1989.

GOCHA KUCHUKHIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Presentiment concerning 1956?

One of the verses of G. Tabidze, without the title (1954) expresses the danger, which can follow the transition to the new life line.

Tabidze states this transition shall be executed so that “not to surpass the norms”. The warning with this official style, expressed ironically, is sensible.

Mentioned verse was somehow a warning on expected danger.

Death of Stalin in 1953 implied the transition. Such change can be followed by cataclysms.

Upon speaking in USSR of Stalin’s fault his Georgian origin was also mentioned, this fact became one of the reasons of the demonstration held in Tbilisi (1956), which ended tragically.

Keywords: Galaktion Tabidze; March 9, 1956.

გორა კუჭუხიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

1956 წელზე წინასწარმეტყველება?

გალაკტიონ ტაბიძის ერთ უსათაურო ლექსში გამოხატულია განწყობილება, რომელშიც აშკარად პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე რომელიღაც მოვლენაზე არის მინიშნება, მასში მოსალოდნელ ხიფათზე, საშიშროებაზეა ლაპარაკი:

„ამ ათას ცხრაას ორმოცდათოთხმეტს
თუ უხიფათოდ გავსცდით როგორმე,
თუ წელიწადი დავტოვეთ მიღმა,
როგორმე ბედმა თუ გაგვიღიმა.“

წერისას ერთგვარი ირონიული ინტონაცია იგრძნობა:

„და ისე, რომ არ გადავცდეთ ნორმებს,
თუ გავეტიეთ გზაზე როგორმე—“

შემდეგ კი პოეტი ასეთ სტრიქონებს წერს:

„და რაკი ერთად ვერ დავეტიეთ,
როგორმე გზაზე თუ გავეტიეთ,
თუ მოვაგვარეთ ეს მტკვრის ნაპირი,
ჩვენთვის საჭირო და შესაფერი —“

შემდეგ ბრძანებს:

„მაშინ, ო, ბედო, აგინებთ სანთელს,
რომ განგვარინე ამ კორიანტელს,
რომ ღირსეულად ვკრეფთ დაფნის რტოებს,
რომ გავსცდით ძველი ქუჩის იწროებს.“

(გალაკტიონი 1968: 214-215)

როცა სანთლის დანთებაზეა ლაპარაკი, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ „ბედოს“ წერს და ღმერთს გულისხმობს გალაკტიონი (თუმცა, ზემოთ ამბობს: „როგორმე ბედმა თუ გაგვიღიმა“); საერთოდ, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, გალაკტიონი მთელ

ლექსს მინიშნებებით წერს. ლექსი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ რომელიღაც ახალ, მოსალოდნელ საფრთხეზე ლაპარაკობს მინიშნებებით ჰოეტი. ეს ისეთი საფრთხეა, რომელიც მართო პირადად გალაკტიონს კი არა, — მთელ ხალხს ემუქრება, — ხალხს, რომელიც, როგორც გალაკტიონს მიაჩნია, ვერ გრძნობს ამ საფრთხეს და, შესაძლოა, გალაკტიონის სიტყვით თუ ვიტყვი, — „ნორმებს გადასცდეს“. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ირონიული სტილით ნათქვამ ამ აშკარად ოფიციალური ყღერადობის სიტყვებში („არ გადავცდეთ ნორმებს“) მთელი ხალხის წინაშე სახელმწიფო მმართველობის მხრიდან არსებულ რომელიღაც საფრთხეზე არის მინიშნება.

რას უნდა გულისხმობდეს „ახალ გზაზე გატევა“, რა „ნორმებს არ უნდა გადასცდეს“ ხალხი, რის შესახებ შეიძლება დაენერა 1954 წელს გალაკტიონს ეს სიტყვები?

1954 წლისათვის ახალ გზაზე იმგვარი გასვლა, — რომ მომხდარიყო „ნორმებში ჩატევა“, რომ აცილებული ყოფილიყო ხიფათი, სტალინის გარდაცვალების შემდგომ დაწყებულ ახალ პერიოდს უნდა გულისხმობდეს. 1953 წელს სტალინის გარდაცვალება თავისთავად გულისხმობდა „ახალ გზაზე გასვლას“, ახალ გზაზე „გატევას“, როგორც გალაკტიონი ბრძანებს. მაგრამ ეს გადასვლა საფრთხეს შეიცავდა, რადგან დიდ ცვლილებას, შესაძლოა, დიდი კატაკლიზმებიც ახლდეს თან. ვფიქრობთ, ამიტომ უნდა წერდეს გალაკტიონი: „ამ ათას ცხრაას ორმოცდათოთხმეტს, თუ უხიფათოდ გავცდით როგორმე“... ამ ხიფათს გალაკტიონი სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ჩანს, უშუალოდ მომდევნო 1954 წელს ელოდა.

თუმცა, მისი წინათგრძნობა ოდნავ მოგვიანებით, — 1956 წლის 9 მარტს თბილისში საპროტესტო გამოსვლის დახვედრით ახდა.

ჩვენს ვარაუდს, რომ ლექსი სწორედ სტალინის გარდაცვალების შემდეგ ახალ გზაზე გასვლას, ამ ახალ გზაზე გასვლისას მოსალოდნელ საფრთხეს უნდა გულისხმობდეს, ისიც აძლიერებს, რომ ზოგ ხელნაწერში ლექსი 1952 წლით არის დათარიღებული და აწერია: „ამ ათას ცხრაას ორმოცდათოთხმეტს თუ უხიფათოდ გავცდით როგორმე“... ლექსი ასეა დაბეჭდილი ზოგ გამოცემაშიც. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ გალაკტიონ ტაბიძე ხშირად განზრახ ცვლიდა ხოლმე თარიღებს... 1954 წელს დაწერილი ლექსი, შესაძლოა, შემდგომში 1952 წლით განზრახ, — იმ მიზნით შეეცვალა, რომ სტალინის გარდაცვალების შემდგომი პერიოდის საფრთხეზე მინიშნება აღარ ამოეკითხა ვინმეს, რომ ამგვარი პოლიტიკური შინაარსი ვერ შეემჩნიათ. სრულიად ცხადია, რომ პირველ სტრიქონში გაკეთებული ცვლილება შემთხვევითი არ იქნება, ვფიქრობთ, შემთხვევით ვერაფრით ვერ აიხსნება ის ფაქტი, რომ ზოგან წერია: „ამ ათას ცხრაას ორმოცდათოთხმეტს თუ უხიფათოდ გავცდით როგორმე“, ზოგან — „ამ ათას ცხრაას ორმოცდათოთხმეტს“... ცვლილებებს შემთხვევით არ გააკეთებდა გალაკტიონი და მას პოლიტიკური მიზეზები უნდა განაპირობებდეს. B ხელნაწერში ასევე ნახსენებია „ორმოცდაათი“ (გალაკტიონი 1968: 502); არის შემთხვევა, როცა ამ ხელნაწერში ჯერ დაუწერია, შემდეგ გადაუხაზავს სიტყვა — „ორმოცდათოთხმეტს“ (გალაკტიონი: 1968: 502)... 1968 წელს გამოქვეყნებული ლექსის ძირითად ტექსტად გამომცემელი მიიჩნევს A ხელნაწერს, რადგან, როგორც იგი აღნიშნავს, ეს არის გალაკტიონის მიერ საბოლოოდ რედაქტირებული ტექსტი (გალაკტიონი 1968: 322).

B ხელნაწერში ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ლექსი დაუხვეწავი და დასამუშავებელია. ამასთან, ვფიქრობთ, რომ ეს დაუხვეწავობა იმისი შედეგი კი არ არის, რომ გალაკტიონი ახალ ლექსს წერდა და ჯერ რიტმი და რითმები არ ჰქონდა კარგად მოფიქრებული, არამედ, გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ხსენებულ ხელნაწერში ადრე დაწერილი ლექსის გადაკეთების სამზადისია ჩატარებული, თითქოს გალაკტიონს უნდა, რომ შეცვალოს ადრე დაწერილი ლექსი და ახალ შინაარსს ეძებს. ვნახოთ ეს ჩანაწერი მთლიანად:

**„ეხლა კი სულ სხვა საგზურზე ბაასი,
თუ უხიფათოდ გავცდი როგორმე.
დიდებულია ეს ათას ცხრაას ორმოცდაათი,
თუ კვლავ აღმოხდა მნათობი.
როგორმე მძაფრი, და თუ მივატოვეთ თბილისი.
მე მშვიდობით თუ გავეტიე გზაზე როგორმე,**

ვით შვენის დღეს აზრებს და ფორმებს,
როგორმე გზაზე თუ გავეტიეთ,
რაკი არ იქნა, ვერ დავეტიეთ.
თუ მოვაგვარეთ ვერაფერი
ჩვენთვის საჭირო და შესაფერი.
მაშინ, უფალო, აგინთებ სანთელს
და ვიტყვი: ახლა ვქმნით კორიანტელს,
რომელსაც წაღვეს ყოველგვარ ღამეს,
სალამი ათას ცხრაას ორმოცდაცამეტს“.

(გალაკტიონი 1968: 502)

ამ ტექსტში პოეტური შთაგონება ან რიტმზე და რითმაზე ზრუნვა სრულიად არაა, მაგრამ თითქოს ის კი იგრძნობა, თუ როგორ ფიქრობს გალაკტიონი, რომ შინაარსი შეუცვალოს ადრე დაწერილ ლექსს. დაუუკვირდეთ: 1954 წლით დათარიღებულ ლექსში წერია: „თუ გავეტიეთ გზაზე როგორმე“, ხელნაწერში კი წერია სიტყვა „მე“ და რიტმიც, როგორც სხვა შემთხვევებში, სრულიად დარღვეულია: „მე მშვიდობით თუ გავეტიე გზაზე როგორმე“, — აქ აქცენტი განსხვავებულია, — თუ იმ ლექსში, რომელშიც „ათას ცხრაას ორმოცდათოთხმეტია“ ნახსენები, ზოგადად ხალხზეა ყურადღება გამახვილებული, აქ ნათქვამი მხოლოდ საკუთარ თავზე გადაუტანია პოეტს. სიტყვა „მე“ რიტმისა და მუსიკალობის შეგრძნებით, ან, მით უმეტეს, — შთაგონებით თავიდანვე გაჩენილის კი არაა, შემდეგ მიმატებულის შთაბეჭდილებას ტოვებს („მე მშვიდობით თუ გავეტიე გზაზე როგორმე“). ვფიქრობთ, გალაკტიონი შინაარსის ცვლილებაზე უნდა ფიქრობდეს და ამიტომ წერს ამ ტექსტს. ალბათ, შემდგომში აპირებს, რომ რიტმი და რითმი გამართოს ლექსში.

ერთგვარი სულიერი მოუსვენრობის და ფორიაქის განწყობილებაც აშკარად იგრძნობა ამ ხელნაწერში: გალაკტიონს ჯერ დაუწერია: „დიდებულია ეს ათას ცხრაას ორმოცდაათი“, შემდეგ კი, ბოლოს, მიუწერია: „სალამი ცხრაას ორმოცდაცამეტს“...

ის ფაქტი, რომ B ხელნაწერი რომელიღაც სხვა ტექსტის გადანერის შედეგად არის გაჩენილი, სრულიად ნათლად დასტურდება იქიდან, რომ ლექსში ერთგან „ათას ცხრაას ორმოცდაათი“, მეორეგან კი — „ათას ცხრაას ორმოცდაცამეტი“ წელია ნახსენები... აშკარაა, რომ რაღაც ტექსტს იწერს და ასწორებს გალაკტიონი, ახალი შინაარსის მოფიქრებას ცდილობს.

ხელნაწერთა შორის არის სხვა განსხვავებებიც. თუ იმ ხელნაწერში, რომელშიც 1954 არის ნახსენები, აწერია: „და ისე, რომ არ გადავცდეთ ნორმებს“, B ხელნაწერში წერია: „ვით შვენის დღეს აზრებს და ფორმებს“...

საერთოდ, ტექსტი ნაჩქარევია, თითქოს ნერვულ აფექტშიც კი იმყოფება გალაკტიონი, იგი წერს: „თუ მოვაგვარეთ ვერაფერი“, „რომელსაც წაღვეს ყოველგვარ ღამეს“ (და არა — „რომელიც წაღვეს“). ეს ფაქტიც გვაფარაუდებინებს, რომ ხსენებული ტექსტი, რომლის სტრიქონებშიც თარიღები არეულია, მოგვიანებით, — ადრე დაწერილი ტექსტის გადაკეთების შედეგად არის გაჩენილი... ამ მიმართებით ხელნაწერებს მომავალში აუცილებლად დასჭირდება დეტალური შესწავლა (ხელნაწერთა აღწერილობა და ლექსის ვარიანტები, 1968 წლის გამოცემის გარდა, იხ. გამოცემაში — გალაკტიონი 2005: 262; 646-647; ხელნაწერებთან დაკავშირებით განუხილავი დახმარებისათვის მადლობას მოვასხენებთ ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომელს, — ქ-ნ ნანა კობალაძეს).

შინაარსიდან გამომდინარე აშკარად იგრძნობა, რომ ამ ლექსში პოლიტიკური სათქმელია მიმალული; პოლიტიკურ ცვლილებებზეა ლაპარაკი, რაც სწორედ სტალინის გარდაცვალების შემდეგ იყო მოსალოდნელი (არ არის შეუძლებელი, რომ ლექსი 1954 წლის მოვლენების კონტექსტშიც უნდა განვიხილოთ, გარკვეული პოლიტიკური დაძაბულობა ამ წელსაც იყო ქვეყანაში (ამ აზრის მოწოდებისათვის მადლობას მოვასხენებთ პროფ. ბ-ნ გიორგი გაჩეჩილაძეს). საფიქრებელია, რომ ლექსის პირველწყარო არ არის შემორჩენილი და მხოლოდ სახეშეცვლილი ხელნაწერებია გვაქვს შემონახული...

თუ აქ წარმოდგენილი მოსაზრება გამართლდა, მაშინ ჩვენს წინაშე ასეთი სავარაუდო ისტორია წარმოჩნდება: გალაკტიონ ტაბიძეს 1954 წელს ან, იქნებ, ხსენე-

ბული წლის დამდეგს დაუნერია ლექსი, რომელშიც იმ წელს მოსალოდნელ საფრთხეზე იყო ლაპარაკი. შემდგომში, ჩანს, ისევე, პოლიტიკური მოსაზრების გამო, ეს ლექსი არ გამოუქვეყნებია. საფიქრებელია, რომ 1954 წელს დაწერილი ლექსი მისთვის სიმშვიდის დამრღვევი გამხდარა და უცდია, შინაარსი შეეცვალა ლექსისთვის, რასაც ხელნაწერში შემონახული ტექსტი გვაფიქრებინებს. ბოლოს კი სიტყვები — „ამ ათას ცხრაას ორმოცდაათოთხმეტს“ შეუცვლია სიტყვით: „ორმოცდათორმეტს“, თარიღიც გადაუკეთებია და ამით დაკმაყოფილებულა...

1968 წლის გამოცემაში ლექსს მიცემული აქვს ორმაგი თარიღი: 1950-1954 (გალაკტიონი 1968: 502); თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, მაშინ იგი 1954 წლით უნდა დათარიღდეს. თუმცა, ამ საკითხებზე, როგორც ითქვას, კიდევ არის მუშაობა საჭირო...

დასკვნის სახით უნდა თქვას: ჩვენი აზრით, ლექსში პოლიტიკასთან დაკავშირებული სათქმელია შეფარული, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ლექსში გალაკტიონი ინტუიციით, საბჭოთა სახელმწიფოს მმართველობის და, საერთოდ, პოლიტიკური ცხოვრების საკმაოდ კარგი ცოდნით გრძნობდა მოსალოდნელ საფრთხეს, ტრაგედიას, რისი აცილებაც სამწუხაროდ ვერ მოხერხდა და რაც 1956 წელს მაინც მოხდა.

ლექსის გამოქვეყნება ბოლოს მხოლოდ აკადემიური გამოცემისას, — 1968 წელს მოხერხდა.

დამონეშპანი:

გალაკტიონი 1968: ტაბიძე გ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ლექსები. ტომი VI. ტომი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო რუსუდან კუსრაშვილმა. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1968.

გალაკტიონი 2005: ტაბიძე გ. თხზულებათა საარქივო გამოცემა 25 ტომად. VII, ლიტერატურის მუზეუმის გამოცემა. შემდგენელი და რედაქტორი იზა ორჯონიკიძე. თბ.: 2005.

Stalin and the Portrait of Giorgi Saakadze in Georgian Historiography and Literature

An ambivalent approach has been formed towards the personality of Giorgi Saakadze in Georgia: he is considered both, as a hero of the country, as well as an adventurer, striving for his well-being. Stalin played a crucial role in the formation of the portrait of Giorgi Saakadze, represented as a hero in the Georgian historiography, literature and film-study. The personality of Giorgi Saakadze was attractive for Stalin at least for the two reasons: 1. The description of his life, provided by Stalin, fits in its best to the Marxist version of history; 2. “The way and approach of Saakadze” relied onto an alien force for the solution of the existing problems of the country.

Keywords: Giorgi Saakadze; Stalin; History of Georgia.

მაღსაზ მაცაბერიძე

საქართველო, თბილისი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

სტალინი და გიორგი სააკაძის სახე ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურაში

XVII საუკუნის ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე გიორგი სააკაძე საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და, ამასთან, სადავო ფიგურაა. გიორგი სააკაძისადმი საქართველოში თავიდანვე ორგვარი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა — ზოგისთვის ის ქვეყნისთვის თავდადებული გმირი იყო, ზოგისთვის კი ავანტიურისტი, რომელიც მხოლოდ თავისი კეთილდღეობისათვის იღწვოდა.

გიორგი სააკაძის მოღვაწეობის თაობაზე დავა მისსავე ეპოქაში, უმცროს თანამედროვეთა შორის გაიშალა. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურა-კინემატოგრაფიაში გიორგი სააკაძის სახის როგორც გმირის დამკვიდრებაში დიდი როლი შეასრულა სტალინმა.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში, რომელიც 1940 წელს ხელნაწერის უფლებით გამოიცა, გიორგი სააკაძე უარყოფითად იყო წარმოდგენილი. სახელმძღვანელოს ამ ნაწილის ავტორი ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი იყო. მის მიერ გიორგი სააკაძე გამოყვანილი იყო ფეოდალად, რომელიც დამარცხდა სხვა ფეოდალებთან და მეფესთან შინაბრძოლებში. ამის გამო გაიქცა შაჰ-აბასთან და იმდენად დამდაბლდა, რომ ქართლისა და კახეთის მეფეები დააბეზლა მასთან.

ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ სააკაძემ ორჯერ მიიღო მაჰმადიანობა და რომ მისი ჩაგონებით შაჰმა დაახრჩობინა შირაზის ციხეში გამომწყვდეული ქართლის მეფე ლუარსაბი. 1625 წლის აჯანყებაზე სააკაძე წავიდა არა პატრიოტული მოსაზრებით, არამედ პირადი გადარჩენის მიზნით, რადგან შაჰი ყარჩიხა-ხანს მის თავს სთხოვდა.

საქართველოს ისტორიის 1943 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში ამ კონცეფციისაგან აღარაფერი დარჩა. როგორც თავის მოგონებებში აღნიშნავდა საქართველოს კომპარტიის იმდროინდელი ლიდერი და საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელი კანდიდ ჩარკვიანი, სააკაძის ისტორიული როლის ახალი შეფასება ნიკო

ბერძენიშვილს შთააგონა ი.სტალინის 1940 წლის 11 ოქტომბრის წერილმა გიორგი სააკაძის შესახებ ფილმის სცენარებთან დაკავშირებით (ჩარკვიანი 2004: 389).

1940 წლის 11 ოქტომბრის წერილში სტალინმა მხარი დაუჭირა ანტონოვსკაიას და ჩორნის სცენარს მიხეილ ჭიაურელის ფილმის “გიორგი სააკაძის” გადასაღებად. სტალინის ამ წერილს თავისი ისტორია ქონდა. 1939 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შეკვეთით მიხეილ ჭიაურელს უნდა გადაეღო ფილმი „გიორგი სააკაძე“. 1940 წლის შუახანებისათვის მზად იყო ორი ლიტერატურული სცენარი. ერთი ეკუთვნოდა გიორგი ლეონიძეს, მეორე ანა ანტონოვსკაიას და მის ვაჟს ბორის ჩორნის. ორივე სცენარს პირადად გაეცნო საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი და გარკვეული შენიშვნები მისცა მათ ავტორებს. სცენარების ჩასწორების შემდეგ ისინი კინემატოგრაფიის საკავშირო კომიტეტს წარედგინა. მათ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე არ აღეს და სცენარები სტალინს გადაუგზავნეს (ჩარკვიანი 2004: 175-176). 1940 წლის ოქტომბერში კი კინემატოგრაფიის კომიტეტსა და სცენარის ავტორებს სტალინის შემდეგი წერილი მიუვიდათ:

„ამ დღეებში მივიღე ორი სცენარი „გიორგი სააკაძის“ თემაზე: ერთი — ანტონოვსკაიას და ჩორნისა, მეორე — ლეონიძისა.

ჩემი აზრით, ლეონიძეს სცენარი არ გამოსვლია. იგი მხატვრულად ღარიბია, ისტორიული მასალის შერჩევისა და გამოყენების თვალსაზრისით ერთგვარად პრიმიტიულია.

ანტონოვსკაიას და ჩორნის სცენარი თავისუფალია მსგავსი ნაკლოვანებებისაგან, მაგრამ მას სხვა ნაკლი აქვს. იგი მთავრდება გამარჯვებით, სააკაძის პოლიტიკისა და თვით სააკაძის აპოთეოზით, მაგრამ ასეთი ფინალი, როგორც ცნობილია, არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს და ქმნის ყალბ წარმოდგენას საქართველოს წარსულზე. ნამდვილად კი, როგორც ისტორია მოგვითხრობს, სააკაძის პოლიტიკა, თუმცა ის საქართველოს მომავალი პერსპექტივის თვალსაზრისით პროგრესული იყო, დამარცხდა და თვით სააკაძე დაიღუპა, ვინაიდან სააკაძის დროინდელი საქართველო ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული ასეთი პოლიტიკისათვის, ე.ი. ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის მეფის აბსოლუტიზმის დამყარებისა და თავადების ძალაუფლების ლიკვიდაციის გზით. მიზეზი ცხადია: თავადები და ფეოდალიზმი აღმოჩნდნენ უფრო ძლიერები, ხოლო მეფე და აზნაურობა — უფრო სუსტები, ვიდრე სააკაძეს ეგონა.

საკაძე გრძნობდა საქართველოს ამ შინაგან სისუსტეს და დააპირა მისი დაძლევა საქმეში გარეშე (უცხო) ძალის ჩაბმით, მაგრამ გარეშე ფაქტორის ძალას არ შეეძლო ქვეყნის შინაგანი სისუსტის კომპენსირება. ეს ასეც მოხდა, როგორც ცნობილია, ამ გადაუწყვეტელ წინააღმდეგობათა ვითარებაში სააკაძის პოლიტიკა უნდა დამარცხებულიყო და მართლაც დამარცხდა.

ვფიქრობ, რომ ეს ისტორიული სიმართლე უნდა აღდგეს ანტონოვსკაიას და ჩორნის სცენარში.

და თუ ეს აღდგება, მაშინ ანტონოვსკაიას და ჩორნის სცენარი შესაძლებელი იქნება შეფასდეს, როგორც საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები.

ი.სტალინი, 111.X.1940 წ. (ჩარკვიანი 2004: 176).

სტალინმა გიორგი სააკაძეზე ფილმი შეუკვეთა და ანტონოვსკაია-ჩორნის სცენარი მოიწონა. თუმცა, ფილმის სცენარი არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს.

სტალინის ამ წერილიდან გამომდინარე, ნიკო ბერძენიშვილმა მთლიანად გადააკეთა გიორგი სააკაძის მოღვაწეობის აღწერა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში. თუ 1940 წელს ხელნაწერის უფლებით გამოცემულ სახელმძღვანელოს მაკეტში გიორგი სააკაძე წარმოდგენილი იყო პირად წარმატებაზე მზრუნველ ფეოდალად, 1943 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში გიორგი სააკაძე უკვე ქვეყნის გაერთიანებისთვის მებრძოლი გმირი იყო.

შეიძლება ითქვას, რომ გიორგი სააკაძე სტალინისათვის მიმზიდველი იყო ორი რამის გამო: ა) მისი მოღვაწეობის სტალინისეული აღწერა კარგად ჯდება ისტორიის მარქსისტულ ვერსიაში; ბ) “საკაძის გზა” გულისხმობდა ქვეყნის პრობლემების მოსაგვარებლად უცხო ძალის გამოყენებას. შესაბამისად, თუკი გიორგი

სააკაძეს ეს დანაშაულად არ ეთვლებოდა, იგივეს გაკეთება „სამშობლოს გადასარჩენად“ სხვებსაც შეეძლოთ.

„სააკაძის გზის“ სწორედ ამ ასპექტის გამო მთელი XX საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა კამათი გიორგი სააკაძის პიროვნების გარშემო. ზოგი ავტორი საქართველოს ისტორიაში სააკაძის მოღვაწეობის დადებითად შეფასებას სტალინის და შევარდნაძის საქმიანობის გამართლებად მიიჩნევს,* თუმცა რიგი ავტორები სააკაძეს იცავენ და მართებულად არ მიიჩნევენ სტალინთან პარალელების გავლებას (ფხალაძე 2005).**

დამონებანი:

ჩარკვიანი 2004: ჩარკვიანი კ. განცდილი და ნააზრევი. თბ.: „მერანი“, 2004.

* „სტალინი თვითონ არის სულიერი მონაფე გიორგი სააკაძესი“, — აცხადებს გიორგი გაჩეჩილაძე. იგი გიორგი სააკაძეს სტალინსა და შევარდნაძეს ადარებს (გაზ. „ახალი თაობა“, 2002 წ. 19-25 მარტის ნომერი). „რა შეფასებას მისცემს ისტორია შევარდნაძეს, იმ შეფასებას მისცემს ისტორია გიორგი სააკაძეს და სტალინს“, — აღნიშნავს დოდონა კიზირია (გაზ. „ახალი საქართველო“, 1998).

** ი.ფხალაძე აღნიშნავს, რომ სააკაძისა და სტალინის შეფასება უნდა მოხდეს საქართველოს გადასახედიდან, მათი პოლიტიკის შედეგებიდან გამომდინარე: „სტალინთან გიორგი სააკაძის შედარება არის დიდი მკრეხელობა, რადგან ის იყო საქართველოს უდიდესი პატრიოტი — მამულიშვილი, რაც მთავარია, მას სხვის ქვეყანაში სახელის განსაზღვრებად არ უბრძოლია, დიდი იმპერიის ხელისუფლებაში რომ მოსულიყო და საქართველო სხვა ქვეყნისათვის დაემონებია; ტერიტორიები არ გაუსხვისებია, სხვა ტომის ლტოლვილი ხალხი ქვეყანაში არ ჩამოუსახლებია. ის იბრძოდა, რათა გადაერჩინა ქვეყანა და ქართველი ერი გამუსლიმანება-განადგურებისაგან და ეს მთლიანად თავის ძალისხმევით კიდევაც მოახერხა“ („მეოთხე“, 27.V—3.VI.2005).

From Superior to Leader

Totalitarianism and Leader _ I have a rhetoric question: how was a leader characterized and what was a leader's artistic function?! Which conception is required to be considered by the author? This time, I will distinguish several aspects. I believe one of the factors is to offer vast "information" to the reader who is "undoubtedly" interested in it. "God left me",-this tragic feeling and psychological background put in different artistic places, was substituted by fully hopeful phrase: "The party is always with you".

The literary texts created in Georgia as well as in emigration, present quite different and interesting models of leader.

Keywords: Totalitarianism; Leader; Literary Text.

რუსუდან ნიშნიანიძე

საქართველო, თბილისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წინა-მძღვარიდან — ბელადამდე

სულხან-საბა თავის ლექსიკონში სიტყვას „წინა-მძღვარი“ რამდენიმე განმარტებას დაურთავს. მთავარი ალბათ, მაინც ის კაცია, რომელსაც „კრებულის უფროსი ენოდების“, კიდევ ერთი განმარტებაა საინტერესო: „გინა, ბრმის წინა მყუანებელს“ (ორბელიანი სულხან-საბა 1884: 382). მოგვიანებით, მას არაერთი სინონიმი ჩაენაცვლება: მეთაური, თავკაცი, ხელმძღვანელი, მესვეური და ბელადი, ლიდერიც. ყველა თავის დატვირთვას შეიძენს.

ურთულესი XX საუკუნე: ეპოქალური ძვრების, ღირებულებათა გადაფასების, ნგრევის, შენების, ტრაგიკომედიების, დამარცხებათა თუ გამარჯვებების, ომების საუკუნე... და კიდევ ერთი, ბელადების საუკუნეც. ლიტერატურის ისტორიამ იცის პერიოდები, როცა არის ერთი ესთეტიკა. თავისთავად, ეს ძალიან დიდი თემაა.

დავსვამ კითხვას: როგორ იხატებოდა ლიდერის სახე და რა მხატვრული ფუნქცია უნდა ჰქონოდა მას?! რავგარი კონცეფცია ხდება ავტორისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელი. რამოდენიმე ასპექტი, რომელსაც ამჯერად გამოვყოფ. *პირველი* — ხელისუფლებას ეშინია გაჭირვების, სასონარკვეთის. ოპტიმიზმი – ეს ხელისუფლების „ოფიციალური“ იდეოლოგიაა. ხელოვნებას ე.წ. „დამატებითი ფუნქცია“ ენიჭება: სოციალური პასუხისმგებლობა. აღწერა ქვეყანა — რომელიც ჰგავს სამოთხეს; დახატა კაცი — რომელიც ჰგავს გმირს. არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება, როცა ბელადზე იწერება ლექსები. ფაქტი გეოგრაფიული მასშტაბებითაა ძალიან საყურადღებო; ანუ ეს პოეტური თუ პროზაული ტექსტები არა მხოლოდ საბჭოთა სივრცეში იქმნება, როგორცაა: რუსეთი, მოლდავეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, საქართველო და ყველა დანარჩენი... არამედ ისეთ სახელმწიფოებშიც, როგორებიცაა: ჩინეთი, გერმანია, ჩეხოსლოვაკია, ალბანეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, კორეა, ესპანეთი, ჩილი, ბრაზილია, არგენტინა, ვენესუელა, კუნძული ჰაიტი და სხვ. წერენ: ნიკოლოზ ტიხონოვი, ალექს სურკოვი, ანატოლი სოფრონოვი, მაქსიმ რილსკი, ნიკოლა ბაჟანი, მაქსიმ ტანკი, ჟუმაგალი საინი, სამედ ვურგუნი, სულიმან რუსტამი, სალომეა ნერისი, მარტ რაუდი, ანდრიას ვეიანი, ავეტიკ ისააკიანი, რასულ გამზატოვი, ემი სიაო, ჩჟუ ცზი-ძი, იოანეს ბეხერი, ერის ვაინერტი, ფრანტიშეკ გრუბინი, ლაზარ სილჩი, სე-მან-ირი, კიმ-დე-გიუ, პედრო გარფიასი, პაბლო ნერუდა, ჟორჟ ამადუ, რაულ გონსალეს ტუნიონი, კარლოს აუგუსტო ლეონი, რენე დე-პეტრი. სწორედ

თემატიკა და ზემოხსენებული პოეტური გეოგრაფია გვაიძულებს, ეს ტექსტები ერთმნიშვნელოვანი „საბჭოური“ შეფასებებით (ტირანია, შიში) არ ავსხნათ. გამოცემული ნიგნების პოლიგრაფია ბუნებრივია, განსაკუთრებულია. სათაური აუცილებლად განსხვავებული შრიფტით და ფერით გამოყოფილი; უმეტესად, ნითლად. თემებიც შეუზღუდავია; წერენ სტალინის პიროვნებაზე, სტალინის სახლზე — გორში, სტალინის ნიგნზე, ხალიჩაზეც, რომელზეც მისი სახე იქარგება... ცდილობენ, სხვადასხვა რაკურსი მონახონ. ვფიქრობ, ერთ-ერთი ფაქტორი იმ უზარმაზარი „ინფორმაციის“ შეთავაზებაა მკითხველისათვის, რომელსაც იგი „უდავოდ“ აინტერესებდა. იქნებოდა ეს პერსონაჟის ბავშვობა, ყრმობა, ყმანვილკაცობა, თანდაყოლილი თვისება (გნებავთ, ვნება დაარქვით) სხვათა, განსაკუთრებით კი, უცნობების დახმარებისა. მაგალითები:

მცირე აკვანში როგორ ეტიე?
პატარა ბავშვო, პირმოცინარევ.
(ჰამიდ ალიმჯანი, კრებული 1950: 32)

ან:

არწივს პატარას უმღერდა ნანას.
(ჰამიდ ალიმჯანი, კრებული 1950: 31)

ზოგადად, ალბათ, სწორი იქნებოდა სიტყვა „მართვე“, მაგრამ სტალინთან კონტექსტში არწივი უნდა ითქვას, თუნდაც, პატარა.

არკადი კულემოვის ლექსში საუბარია ბიოგრაფიულ დეტალებზეც და არა მხოლოდ; ბორკილებზე, 6-ჯერ გადასახლებაზე, ხუთგზის გაქცევაზე. პარალელებიც თვალშისაცემია: კოლუმბის — „ახალი მიწა“ და ავრორას — „ახალი ქვეყანა“. რასაკვირველია, ცალკე აღნიშვნის ღირსია გიორგი ლეონიძის „სტალინის ბავშვობა და ყრმობა“, რომელიც თავისი სათქმელით და მხატვრული ესთეტიკით სწორედაც რომ გამოირჩევა იმ მრავალ „ნიმუშთაგან“.

მეორე — XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურაში გამოიკვეთა მარტოობის, გაუცხოების, სასოწარკვეთის თემები. ხშირ შემთხვევაში მწერალთა აქცენტები სოციალურ ან ყოფით მომენტებს სრულიადაც არ გულისხმობდა. მიმაჩნია, რომ 20-იანი წლების მწერლობა ფრიად განსხვავებულია 30-იანი და მომდევნო პერიოდის ლიტერატურისაგან. „უფალმა მიმატოვა“, — ამ ტრაგიკულ განცდას და ფსიქოლოგიურ ფონს, რომელსაც ნიჭიერი ავტორი სხვადასხვა მხატვრულ სივრცეში განალაგებდა, ჩაენაცვლა სრულიად იმედიანი: „პარტია მუდამ შენთანაა“. სასოწარკვეთილი მზერა საზეიმოთი შეიცვალა, თუმცა ერთი საშიში ფრაზაც დაემატა: „მან ყველაფერი იცის“. ზოგადად, კარგი ფრაზაა: „მე შენი მესმის“ და თითქმის არა აქვს მნიშვნელობა ამას პერსონაჟები ეუბნებიან ერთმანეთს თუ მწერალი მკითხველს, მაგრამ თუკი ხელისუფლების სახელით იტყვიან: „ჩვენ მივხვდით, რასაც გულისხმობდითო...“ ეს უკვე პოზიციაა. აქ საინტერესოა „მამის“ თემაც. განზოგადების მასშტაბები — ბრძენი ლიდერიდან იმ კაცამდე, ვისგანაც სიცოცხლითა ხარ დავალებული.

მაგალითები:

სტალინ,
მამა ხარ მთელი ქვეყნისა!
(პედრო გარფიასი, კრებული 1950: 100)

ან:

სტალინ, მამავ! ჩემმა სულმა
სამუდამოდ შეგითვისა.
(ჟუმაგალი საინი, კრებული 1950: 38)

ან კიდევ:

ჩვენ თქვენი ზრუნვით გამოზრდილები...

თქვენზე ვიყავით მინდობილები
საკუთარ თავზე უფრო ძლიერად.

ჩვენზე ზრუნავდით, — მადლობელი ვართ!
მადლობას ვამბობთ ყველანი ერთხმად

იმის გამო, რომ განუყრელი ხართ
და ჩვენთან ერთად ცოცხლობთ ამ ქვეყნად.
(ისაკოვსკი 1950: 8)

მესამე — კრიტიკული წერილის წაკითხვის შემდეგ ავტორი იგებს კოლეგის აზრს. საბჭოთა სინამდვილეში არცთუ იშვიათად, ცნობილი ხდება ხელისუფლების აზრიც. ოღონდ აქ ერთი რეალობაა: იცვლება დრო და იცვლება ხელისუფლებაც. იცვლება ხელისუფლება და იცვლება კრიტიკოსების „შეფასებები“, ე.წ. მრავალფეროვნება სახეზეა. ეს ბელადებზეც ვრცელდება: გაღმერთებული ბელადები და ერთ დღეს ყრილობაზე იმავე დელეგატებთან, იმავე ადამიანებთან დაგმობილი ჩვეულებრივი პიროვნება და მისი კულტი;

მითიური გმირიდან — ჩვეულებრივ მოკვდავამდე გრძელი მანძილია, არადა, ლეგენდის გაფანტვა ძალიან გაუჭირდებათ; მით უფრო მაშინ, როცა ამგვარი სტრიქონები მრავლად იწერება. ცოცხალი, რეალური ადამიანი მითიურ საბურველში ეხვევა. ერთი მაგალითი:

და სადაც შენმა თვალმა დახედა,
ყველგან დოვლათით ივსება ყანა,
მოჩუხჩუხებენ მთის წყაროები,
აბიბინებულ პურს რწყავენ ველად,
შენს დიად სახელს, რომელსაც ქვეყნად
მზისებრ ამოჰყავს ბრწყინვალე ხანა,
კაცობრიობის მხსნელსა და იმედს
დღეს სიყვარულით წარმოთქვამს ყველა.
(კიმ-დე-გიუ 1950: 97)

ზებუნებრივი ძალა, მისტიური შესაძლებლობები და კონკრეტული სახელი, რომლის მადლიერებით წარმოთქმის უფლება დიდსა და პატარას აქვს. კუნძულ ჰაიტზე რენე დე-პეტრის ლექსს სათაურიც კი უჩვეულო აქვს: „სიმღერა ადამიანზე — განთიადზე“, ანუ ის ადამიანი — ღმერთია. მხატვრული აღწერითი დეტალები იდუმალ სურათს ხატავს:

მშვიდობის მტრედი
მხარზე გიზის,
სხივი წარმტაცი
მისი ფრთებიდან მოიფრქვევა
მთასა და ბარად...
... ჩვენი ჰანგი გადიდებს მარად.
(რენე დე პეტრი, კრებული 1950: 115)

„ლეგენდარული ქართველი“, — ასე უწოდა ლენინმა თანამებრძოლს; და გრიგოლ რობაქიძე გაიმეორებს: „ლეგენდარული ჭარბად იყო სტალინში, ოღონდ ქართული მეჩხრად“ (რობაქიძე 1994: 119-120). იგი იკვლევს ჯულაშვილის პიროვნებას. ამას საკმაოდ საინტერესოდ ახერხებს როგორც რომანში „ჩაკლული სული“, ისე სხვა ზეპირ გამოსვლებში. „იყო თუ არა ბოროტი ჩვეულებრივი აზრით?“-სვამს კითხვას და თავადვე პასუხობს: „არა. ის არ ყოფილა მკვლელი, არც ყაჩაღი, არც არანაირი დამნაშავე. პირიქით: საუკეთესო სურდა ადამიანებისათვის — და მაინც: მის ხასიათში იმთავითვე რაღაც უცხო გვარის ბოროტი თესლი ბუდობდა“ (რობაქიძე გრ. 1994: 125) სწორედ ამ „უცხოს“ იკვლევს, თუ რა წარმართავს მას. რომანში უჩვეული ფრაზას გამოიყენებს: „მონაფეობისას (სტალინი - რ.წ.) საეპისკოპოსო გუნდში აბრეშუმით რბილი ალტით გალობდა. ეს უთუოდ დაცემული ანგელოზის ხმა იყო — ასეთ ანგელოზს ჯერ კიდევ ძალუძს მომაჯადოებლად გალობა“ (დაცემული ანგელოზი?!)(რობაქიძე 1994: 123)

50-იანი წლები, უფრო ზუსტად, 1954 წლის 5-7 ივლისი. ტუტცინგში (მიუნხენის ახლოს) ჩატარდა საბჭოთა კავშირის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი ინსტიტუტის IV სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „თანამედროვე მდგომარეობა და პოლიტიკური, ეკონომიკური და ნაციონალური საკითხების განვითარების პერსპექტივები საბჭოთა კავშირში“. მასში მონაწილეობა დაახლოებით 150-ზე მეტმა

მეცნიერმა მიიღო, მათ შორის იყო გრიგოლ რობაქიძეც. მასალებში აღნიშნულია, რომ კონფერენციის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ობიექტური და შეძლებისამებრ, ყოველმხრივი ანალიზი საბჭოთა კავშირში შექმნილი მდგომარეობისა, ასევე, საბჭოთა ხელმძღვანელობის ტაქტიკის ცვლილებათა შესახებ სტალინის სიკვდილის შემდეგ და იმ სამეცნიერო გამოკვლევების გაცნობა თავისუფალი მსოფლიოსათვის, რომლებიც სხვადასხვა სფეროში შეიქმნა.

ქართველმა მწერალმა კამათში პირველივე დღეს მიიღო მონაწილეობა. მისი გამოსვლა საკმაოდ მკვეთრი იყო. „სტალინიზმი დარჩა, — თქვა მან, სხვაგვარად არც შეიძლებოდა. სტალინიზმზე უარის თქმა ნიშნავდა უარის თქმას სამკუთხედზე — მარქსი-ლენინი-სტალინი. ისე, როგორც: თუ ლენინიზმი სტალინის მიზანმხედრი განმარტებით, არის მარქსიზმი [განხორციელებული] რევოლუციურ აქტში, მაშინ სტალინიზმი წარმოადგენს ლენინის აქტს სახელმწიფოებრივ ფორმირებაში. მარქსისტები ამბობენ: ლენინიზმი არის მარქსიზმის გადაგვარება; ნეოკომუნისტები ედავებიან: არა, ლენინიზმი არ არის მარქსიზმის გადაგვარება, მაგრამ სტალინიზმი უდავოდ არის ლენინიზმის გადაგვარება. საკმარისია, აქ „გადაგვარების“ ადგილას ჩავსვათ „მხილება“, რომ მაშინვე მიიღება ფორმულა მიზანში მხვედრი“. გრიგოლ რობაქიძე კიდევ ერთი კატეგორიული განმარტების გაკეთებას ჩათვლის საჭიროდ: „...ყველა, გამონაკლისის გარეშე, სტალინის დიქტატურას იღებს როგორც „პიროვნულს“. ეს სრული გაუგებრობაა. სტალინის დიქტატურა სრულიად საგანგებო ხასიათისაა, ძირეულად განსხვავებული, ვთქვათ, შიტლერის ან მუსოლინის დიქტატურისაგან — დიქტატურა, თავისი იდუმალეობით აქამდე გამოუცნობი მთელი მსოფლიოსათვის“ და იქვე დასმული კითხვა, მის მიერვე გაცემული პასუხით: „ვინ ბატონობს სსრკ-ში? ... ვინმე, რომელიც არავინაა. პარადოქსია? არა. თუ სსრკ-ში მოიძებნება თუნდაც ერთადერთი თავისუფალი ადამიანი, მაშინ შესაძლებელი კიდევ იყო, გვეფიქრა, რომ ეს პარადოქსია. ის იქ ვერ მოიძებნება... ქმედებით გამომხატველი ამ ურჩხულის — ანონიმის — კოლექტივის წარმოადგენს სტალინი. აქედან, მისი არა-ადამიანური ძლიერება, აქედანვე, მისი უსაზღვრო ძალაუფლება“ (ნიშნინიძე 2005: 339-340-341).

მავზოლუმიდანაც გამოიყვანენ და რამდენიმე ათეული წლის შემდეგ იმასაც იტყვიან: ზარბაზნის ლულაში ჩავდებთ და მის სამშობლოში გავისვრიტო... ის სისტემა იმ საუკუნეში არ დასრულებულა.

დასასრულ, კიდევ ერთი ლიტერატურული ფაქტი. პარიზში გამომავალი გაზეთი „თეთრი გიორგი“ 1935 წელს მეოთხე გვერდზე ბეჭდავს ორ ლექსს: ტიციან ტაბიძის „ორდენოსან სამშობლოსათვის“ და სიმონ ბერის (იგივე, სიმონ ბერეჟიანის) — „პასუხი ორდენოსან მგოსანს“ ტიციან ტაბიძეს. ჯერ ტაბიძის ლექსია დასტამბული, შემდეგ ბერეჟიანის. გაზეთის მესვეურნი, როგორც ჩანს, ასე იმიტომ მოიქცნენ, რათა თვალნათლივ ეჩვენებინათ, რაში ედავებოდა ერთი (ემიგრანტი) პოეტი მეორეს (სამშობლოში დარჩენილს). ორივე ლექსი 14 ნაკვეთისაგან შედგება. ამ ლიტერატურულ პოლემიკას დისკუსიის გასამართლად არ წარმოვადგენ, არამედ განვიხილავ როგორც ფაქტს; თორემ იდეოლოგიური თუ ეპოქალური კონიუნქტურა როგორ იწერებოდა, ყველამ კარგად ვიცით. სხვა საკითხია იმის გარკვევა, რას ნიშნავს კონიუნქტურის ახსნა (თუ გამართლება). ტიციანის ლექსი 1935 წლის 6 ივლისითაა დათარიღებული. როგორც მოგახსენეთ, ემიგრანტულ გაზეთში გამოქვეყნდა იმავე (1935) წლის სექტემბრის ნომერში. სწრაფი გამომხატულებაა. ამჟამად ძნელი სათქმელია, როგორ, რა გზით გაცნო ს. ბერეჟიანი მას: უცხოეთში რომელიმე გაზეთმა დაბეჭდა თუ საქართველოდან მიღებულ მასალებსა და კორესპონდენციებს მოჰყვა თან. ემიგრანტები ხომ ცდილობდნენ, რამდენადაც ეს მოხერხდებოდა, მეტ-ნაკლებად ყველა იმ მოვლენის ირგვლივ, რაც საქართველოში ხდებოდა, საქმის კურსში ყოფილიყვნენ. უცხოეთში სათქმელი პირდაპირ მოდის. მას არ ჰყავს ცენზურა. გარკვეული ემოციური სანყისი ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის მიზეზი ხდება. ხშირად ამის მაპროვოცირებელი რეალობაა. აქ — კიდევ ერთი დადასტურება იმისა, როგორი საფრთხილო და საპასუხისმგებლოა წერა. ის, რაც კალენდარული გაზეთის თუ წიგნის ფურცლებს შემორჩება, შემორჩება საუკუნეებსაც. ამჟერად, საინტერესო ლიტერატურული ტექსტის სრულ განხილვას არ შემოგთავაზებთ, არამედ მხოლოდ იმ ფრაგმენტებს მოვიხმობ, რომელიც ბელადთან, უფრო კონკრეტულად კი სტალი-

ნის სახელთანაა დაკავშირებული. XX საუკუნის 30-იანი წლებია. დაძაბულია ურთიერთობები. გამოიკვეთება პაექრობის რამდენიმე საგანი. ერთი მათთაგან: „ბედნიერი სამოთხის“ სურათი და სტრიქონებიც:

ფეთქავს ლენინის ძლიერი სულით
და ყველა მათში ფეთქავს სტალინი!

თითოეულ ემიგრანტს რთული დღეები აქვს. მით უფრო ახლა — სიმონ ბერეჟიანს. ნუ წავუყენებთ პირობას: იყოს მშვიდი, განონასწორებული. ის სასონარკვეთილების ზღვარზეა და მიმართვის ფორმა შორსაა კორექტულობისაგან: „ფლიდო იუდა“, „სტალინის მატლი“... ზემომოტანილ სტრიქონებსა განსხვავებულად „შეაფასებს“:

შეგმატოს მარქსმა ნითელი ქონი!
და ჯულაშვილის ქორონიკონიც.

ფრაზა: „მრუდე იატაგანი“ და ამასთან, შამილის უდიერი ხსენება გასაგებია, რა პასუხს დაანერებდა ავტორს, მაგრამ აქ ლიტერატურული სიზუსტის აღსადგენად გავიხსენებდი ტიცთან ტაბიძის 1927 წელს დაწერილ ლექსს („გუნები“), რომელიც ასე დაიწყება: „გადავიარე დალესტანი, ვნახე გუნები...“ მართლაც არაჩვეულებრივი ლექსი არა მხოლოდ შამილთან მიმართებაში. 20-იან წლებში ის ზუსტად იმავეს ფიქრობს, რასაც ბერეჟიანი... ჯერ ეს დაშვებულია... ისევ ხსენებულ ლექსს დავუბრუნდეთ. როგორც იტყვიან, „ბოლო წვეთის“ ფუნქციას ერთი შედარება შეასრულებს: სტალინი — მითიური ამირანი. ტიციანი:

ამ ამირანის სახელიც ვიცით —
მთელი დუნია იხსენებს ფიცით!..

სიმონ ბერეჟიანს, ვინც სამშობლოსთან დაშორებას, ახლობლებთან სამუდამო დაცილებას და იმ საშინელი სიტყვის ყოველდღიურად განცდას, რომელსაც „არასოდეს“ ჰქვია — ამ კაცთან აიგივებს, წონასწორობას დააკარგვიებს ამგვარი მოურიდებელი პარალელი: ამირანთან გატოლება=გაიგივება?! ამას ვერ დაუშვებს! მისთვის გმირი და ფსევდოგმირი ერთ სიბრტყეზე ვერ აღმოჩნდება და პასუხიც:

კლდეს მიჯაჭვული დევ-ამირანი
თავისუფლების არის მესია...

დაუღენია ჯაჭვი „ნითელ გმირს!“
ამ „გმირს“ ეძახი, ბრიყვო, ამირანს.
ამ ლომად ნათლავ ჩვენს ქოჩორა ვირს,
არნივად — ლეშით გამაძლარ ყორანს.
(გაზ. „თეთრი გიორგი“, 1935: 4)

დავსვამ რიტორიკულ კითხვას: როგორ „ჩნდება“ ბელადი კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში. საბჭოთა სივრცეში ეს უდავოდ, ბევრი თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი და საგულისხმო ასპექტი, რომელიც არაერთ გაანალიზებულ ფაქტს და საყურადღებო დასკვნას გულისხმობს.

საქართველოში თუ ემიგრაციაში შექმნილი ლიტერატურული ტექსტები ლიდერის განსხვავებულ, საინტერესო მოდელებს გვთავაზობენ.

დამონებიანი:

ორბელიანი 1884: ორბელიანი სულხან-საბა, ქართული ლექსიკონი. თბ.: არსენ კალანდაძის და ამხანაგობის სტამბა, 1884.

კრებული 1950: სტალინის უმღერიან (ავტორები: ჰამიდ ალიმჯანი, პედრო გარფიასი, ჟუმაგალი საინი, მ. ისაკოვსკი, კიმ-დე-გიუ, რენე დე-პეტრი). თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1950.

რობაქიძე 1994: რობაქიძე გრ. ჩაკლული სული. სერია: შერისხულნი, 15 ტომად. ტ. II, თბ.: „გეა“, 1994.

ნიშნაიანი 2005: ნიშნაიანი რ. საქართველო — სამანს აქეთ... და სამანს იქით... წიგნი I, თბ.: „მერანი“, 2005.

გაზ. „თეთრი გიორგი 1935: გაზ. „თეთრი გიორგი“, IX, პარიზი: 1935.

ტოტალიტარიზმი შორეული პერსპექტივიდან.
ცენტრი და ემიგრაცია
**Totalitarianism from Far-away Perspective.
Centre and Emigration**

ELINA VASILJEVA

*Latvia, Daugavpils
Daugavpils University*

Totalitarianism - Antisemitism in F. Gorenstein's Novel "Psalm"

F. Gorenstein's novel "The Psalm" is one of those texts which was created during totalitarianism time (year 1975) and which is conceptually opposed to literature of totalitarianism ideology. One of novels problem is Russia's antisemitism. In the sight of F.Gorenstein, Russian and Soviet antisemitism specifics are connected to what was authorized by the government. Soviet totalitarian regime makes antisemitism an absurd idea where nothing is explained but accepted massively without any logics. This is why it is hard to fight it. Totalitarian machine is pointed not only against Jews. Gorenstein demonstrates different Soviet history stages with objective to challenge people to the ability to keep their spirituality in any circumstances.

Keywords: Antisemitism; Psalm; Dan.

ЭЛИНА ВАСИЛЬЕВА

*Латвия, Даугавпилс
Даугавпилсский Университет*

**Тоталитаризм – антисемитизм в романе
Ф. Горенштейна «Псалом»**

Роман Ф. Горенштейна «Псалом» текст знаковый для литературы 90-х годов. Издание в 1991 году в журнале «Октябрь» романа, написанного в 1975 году, стало знаковым для периода гласности и обновленной литературы. Роман «Псалом» принадлежит к ряду произведений, которые самим фактом своей публикации обозначали завершение эпохи тоталитарной идеологии в литературе. Собственно отношение романа Горенштейна с идеологией тоталитаризма может быть рассмотрено в двух аспектах: реально-историческом и художественном. Первый аспект затрагивает как историю создания, а точнее запрещения романа в Советском Союзе, так и биографию самого Фридриха Горенштейна, писателя – эмигранта, обвиненного в антисоветчине после публикации в журнале «Метрополь» повести «Ступени». Роман «Псалом» был написан на одном дыхании в течении фактически трех месяцев. Датировка текста в разного рода изданиях показательно скрупулезна – октябрь, ноябрь, декабрь 1974, январь 1975. Название, тематика поэтика романа никоим образом с существующей идеологией не согласовывались. Поэтому неудивительно, что он не был принят и не был опубликован. Собственно в этом нет ничего исключительного, если иметь в виду общий художественно-идеологический контекст. Первый раз роман увидит свет только в через 11 лет за границей, но тираж был столь незначителен, что на «Псалом» фактически не обратили внимания. Истинное возрождение романа произошло в 1991 году. Роман вызвал всплеск эмоций и читательской и литературоведческой аудитории. Но говорить о безусловном приятии романа не приходится. Особое освещение «Еврейского вопроса» в России вызвало неоднозначную реакцию, что

является свидетельством того, что роман написан не о событиях 70-х годов, роман затронул вечные проблемы, и вопрос тоталитаризма исключением не является – он ставится в ряд вечных универсальных проблем.

По сути, природа тоталитаризма имеет двусторонний характер: с одной стороны, это позиция власти, навязанная сверху, с другой стороны, это позиция народа, принимающего эту власть, эту систему снизу. Временная модель романа «Псалом» демонстрирует историю Советского союза с периода коллективизации (1933 год) до 70-х годов. При этом создается впечатление, что история автора не интересует как таковая, история – это только фон, на котором разворачиваются судьбы конкретных людей. Собственно в каждой притче без затруднений просматривается центральное историческое событие, но автор либо называет его вскользь, через сказанное персонажами (коллективизация, начало войны), либо не называет вообще. Более того воссоздавая тоталитарную эпоху, Горенштейн фактически не употребляет самого слова «Тоталитаризм», но об этом будет сказано ниже. И это при том, что одна из глав романа («Притча о болезни духа») посвящена такой актуальной для советской тоталитарной эпохи теме, как репрессии и аресты: в одной главе два ареста (причем ареста по национальному признаку и на культурном фронте) составляют рамочную конструкцию повествования. Глава начинается арестом главы семьи Кухаренко и заканчивается арестом Иволгина. При этом государственный аппарат, вершащий подобное «правосудие» вполне безличен – *«пришли за Кухаренко»* (Горенштейн 2001:273), *«Второго марта арестовали наконец Алексея Иосифовича»* (Горенштейн 2001: 314). И это очень важный момент. Горенштейн ни в коей мере не следует принципу большинства авторов, которые в семидесятые годы не освещали тему тоталитаризма только потому, что это было запрещено – заданное в романе «Псалом» без названия «тоталитаризма» был бы запрещен. Горенштейн вступает в своеобразную творческую игру с государственной идеологией. Тем более, что сами аресты описываются как своего рода игра, недоразумение, нечто несерьезное: *«И все это происходило не то чтобы без страха, а как-то несерьезно»* (Горенштейн 2001:275).

Само слово «тоталитаризм» появляется в романе в совершенно неожиданном контексте: *«Уже не попираемым людьми плешивым человеком пошел Елисей из Иерихона в Вефиль, а пророком. Люди зрелые боялись теперь смеяться и издеваться над ним, но дети, которые не имеют разума скрывать свою жестокость, не имеют разума и бояться своего зла. Поэтому в людском бунте, в людской стихии, в людском тоталитаризме – всегда детская игра, и детское общество – всегда тоталитарное общество. Господь не отдает предпочтения ни большим, ни малым, перед Господом все равны, и наказывает детскую жестокость и детскую злобу, однако наказывает ее уже в зрелости, когда наказание это особенно сильно»* (Горенштейн 2001: 145) Понятие тоталитаризма оказывается связанным с семантикой детства необычайно актуального в художественном мире всего романа. Детство Горенштейна – одно из модельно жестоких в контексте литературы 20 века. Именно дети оказываются самыми жестокими в романе: они не знают жалости и сочувствия, они либо равнодушны к чужому горю, либо чужому горю радуются, они способными причинять окружающим душевные и физические страдания и боль. В этом заключена суть детской игры, когда все окружающее в мире, живое и неживое, воспринимается всего лишь как игрушка, с которой можно забавляться ради своего собственного удовольствия, в наибольшей мере эта модель жестокости проявляется в детдомовских детях, и там детское тоталитарное общество проявляет себя в большей мере. Судьба героини второй притчи Аннушки демонстрирует это в наибольшей мере: в школе ее дразнят дети, но ситуация детдома оказывается куда более драматической: детям постоянно нужна жертва, сначала ею становится Суламифь, потом Суламифь придумывает дразнилку Аннушке («нюня»), Аннушка в свою очередь активно обзывает Суламифь «Юдиш швайн», за что в свою очередь получает новую дразнилку «фашистка». Тоталитаризм детского общества заключен в давлении массового коллективного, где ведущий голос принадлежит сильному, и ему стараются угодить все остальные. Для того, чтобы сильный подчеркнул свою силу, ему нужны слабые, жертвы, виноватые. Коллективное сознание особенно ищет этих виноватых, жертв. Для Горенштейна самая страшная суть

тоталитаризма – мнение большинства. Давление большинства отрицается уже в самом начале книги в эпиграфе из Второй Книги Моисея: *«Не следуй за большинством на зло и не решиай тяжбы, отступая по большинству от правды, И бедному не потворствуй в тяжбе его»* (Горенштейн 2001: 11).

С точки зрения Горенштейна доминантой русского сознания является прежде всего коллективность: *«Русский лесостепной характер испокон веков складывался в коллективе и по сей день на том застыл. Оттого и слаб в нем индивидуализм, оттого характер этот атеистичен, коллективен, и русская церковь даже видом своим подтверждает это»* (Горенштейн 2001: 377). Человек оказывается подчиненным мнению большинства, и вместе с этим большинством готов отказываться от духовных ценностей, от всего родного. Герои всех притч своими судьбами свидетельствуют о давлении коллективного мнения: они собираются в публичных местах (чайная, базар, ярмарка, многоквартирный дом, собрание), они готовы жертвовать своими родными. Со спокойствием дети отдаются в детские дома или выставляются на улицу для того, чтобы кто-то подобрал, кто-то помог, давление коллективного способно породить страх (Иволгин начинает бояться ареста задолго до того, как дело на него действительно будет составлено). Коллективное сознание обезличивает людей, что становится наиболее заметным в эпоху становления советской власти. Обобщая материал всех пяти притч, создается впечатление, что мир наполняют не отдельные люди, а должностные лица. И эти должностные лица похожи друг на друга: так Марии кажется, что все женщины, представляющие социальные структуры и решающие судьбу потерянных детей, похожи одна на другую. Проявлением тоталитарного, коллективного является и антисемитизм. Евреи становятся теми необходимыми искомыми жертвами – виноватыми, которых постоянно травят, их удачей мотивируя свои проигрыши и поражения: в чайной колхоза «Красный пахарь» очень удобно увидеть диверсанта в еврейском подростке Дане, Суламифь начинают ненавидеть за то, что она ищет что-то на земле и часто находит, в городе Бор большинство жителей ненавидят Дана и его приемную дочь Руфину потому, что они евреи и у них денег много, Клавдия постоянно упрекает Иволгина в его еврейском происхождении, Вася Коробков становится антисемитом, потому что большинство в его внешности угадывает еврея. Антисемитизм в России становится своего рода массовой национальной идеей, которая культивировалась в разные исторические периоды, на основании которой создавался богатый народный фольклор с присказками, песнями, верованиями. Еврей массово воспринимается как чужак, но этот чужак просто необходим, поскольку только через него можно показать свою силу и могущество. Антисемитизм оказывается универсальным явлением, им охвачены все слои общества: крестьяне и рабочие, взрослые и дети. Ненависть к евреям становится консолидирующей силой, которая способствует ощущению единства нации. Российский антисемитизм особенный. С одной стороны, свою ненависть к евреям Россия обосновывает традиционным, наивным обвинением в убийстве Христа. Наивность такого толкования дважды подчеркивается в романе на уровне рассказов взрослых детям. В первом случае ночной сторож на конюшне по кличке «Москаль» рассказывает детям (а в их числе Марии и ее брату Васе) сказку про любимую деточку божью, сыночка Иисуса Христа, которого погубили евреи – жида. И это событие 30-х годов. В другом случае уже в 70-е годы на выставке в Третьяковской Галерее мать объясняет своему любознательному сыну, что Христос *«хотел, чтобы всем людям было хорошо, за это его евреи убили»* (Горенштейн 2001: 352). Произошла смена времен, говорить о безграмотности и пережитках прошлого не приходится – ведь место действия меняется с конюшни на величайший культурный музей. Атеизм еще более утвердил свои права, но ситуация не меняется: детям рассказывается все та же душеспасительная сказка, в которой роль универсальных злодеев отводится евреям. При этом сами рассказывающие, как правило, неверующие, но не это важно. Важно найти виновного и на него свалить вину за все неудачи. Специфика российского антисемитизма в его особо странной классификации. Судьба полуеврея, боящегося своего еврейского происхождения, Иволгина выводит на разговор об особых типах антисемитизма, одним из видов которого становится транспортный антисемитизм с четким подразделением на антисемитизм железнодорожный и трамвайный. Особая

роль общественного транспорта неслучайно. Общественный транспорт – это общественное мнение, часть тоталитарной системы. Неслучайно Иволгин боится публичных мест и публичных высказываний, а такое прозвучит именно в трамвае, когда «шутник» поздравит едущих с чесночным запахом. Яркий антисемит Вася Коробков, не знающий о своем еврейском происхождении, тоже боится на улице брошенного «жид». Высказанное в общественном месте является показательным. Оно законно, оно приемлемо. В лучшем случае недовольные подобными высказываниями молчат, но большинство их радостно поддерживает. И это может быть объяснено еще одной специфической особенностью российского антисемитизма – он санкционирован со стороны государства. Исходящий, казалось бы, от отдельных людей антисемитизм, собственно является государственной доктриной, он законен. Поэт Сомов уверен в своем поступлении в Литературный институт, потому, что туда в основном поступают евреи, а русскому человеку с характеристикой дорога всегда открыта. В нескольких эпизодах романа блюстители порядка слегка журят правонарушителей антисемитов, потому что они братья славяне, а если к тому же и бывшие фронтовики, как Павлов, то наказывать их особенно никто не собирается. Целый ряд персонажей-антисемитов становятся глашатаями официального мнения (стахановец, старуха Веселова). Антисемитизм идет снизу, поддерживается верхами и проникает в умы людей, причем проникает в умы самих евреев, вызывая в них ненависть к своей нации. Ярчайший пример, семья Иволгиных – Кац, которая от поколения к поколению демонстрирует свое стремление отмежеваться от еврейства. Но желание не быть евреем – это желание отдельного человека, которое не берется во внимание, подавляется государственной идеологией. И Алексей Иволгин получает от государства напоминание о своем еврействе в виде ареста и нелепого убийства на допросе. При этом следует отметить, что судьба Иволгина – это всего лишь частный эпизод в большом деле государственной важности – деле врачей и деле разоблачения еврейской антисоветской деятельности. Правда в структуре романа Горенштейна именно судьба Иволгина становится основой для притчи. А большой процесс, идущий в тоталитарном государстве, упоминается как фоновый.

Суть романа «Псалом» - суть пророческой книги, не случайно такая большая роль в ней отводится именно пророкам. Но именно пророки противопоставлены двум важнейшим составляющим государства – власти и народу: *«Ибо всякий пророк проповедует против царя и против народа и ими преследуется и казнится»* (Горенштейн 2001: 18). Собственно царей или правителей России в романе заявлено относительно мало. Из древних правителей упомянут князь Владимир, отозвавший делегацию из Хорезма вопреки мнению большинства, в результате чего выбор христианства на Руси произошел против воли народа, сверху. Несколько раз упоминается Сталин. Правда, чаще эти упоминания связаны не с личностью вождя народов, а с его портретами. При этом возникает один своеобразный повтор: портрет Сталина всегда фигурирует одновременно с изображением Иисуса Христа. Первый такой двойной портрет появляется во второй притче «О муках нечестивцев», в новой квартире, которую получает мать Аннушки и которая расположена в бывшей кладбищенской церкви: *«Ремонт здесь сделали наспех, чтобы побыстрее предоставить квартиры нуждающемуся населению, и со стен, дурно побеленных, глядели лики святых, там же, где стояла тумбочка, и висел радиорепродуктор, проглядывало намалеванное Христово распятие, и мать заклеила его газетами, а на газеты повесила портрет Сталина, Но толстые церковные стены были сырыми, газеты отклеились, сморщились, и образовался поясной портрет православного Христа рядом с поясным портретом Сталина, так что могло показаться, что это соратники»* (Горенштейн 2001:142). В другом случае постаревшая Клавдия в кабинете покойного мужа на месте портрета Сталина вешает икону Христа Спасителя. Поразительным образом люди постоянно меняют местами Сталина и Христа. Собственно портрет Сталина выполняет функцию иконы. Его имя и вознесенные этому имени благодарности стали в сознании советского человека своего рода молитвой, но оказались неспособными выполнять функции настоящей молитвы. Для прошений имя Христа оказывается более удобным: в голодные годы просят милостыню и подаяния с именем Христа на губах, потому, что другого не придумали, даже уверенные в своем атеизме имя Христа упоминают, и в романе Горен-

штейна упоминают его гораздо чаще, нежели имя великого вождя. В тексте возникает и еще одна параллель подобного рода – мавзолей Ленина сравнивается с гробом Господним: *«Высоко в хрустально - голубом торжественном небе раздается колокольный звон часов на кремлевской башне Спасителя, и, печатая шаг по гулкой брусчатке, точно под сводами храма, совершают ритуалы смены почетного военного караула у марксистского гроба господня, у Мавзолея Ленина»* (Горенштейн 2001:397). Увиденная сцена вызывает слезы умиления у Веры Копосовой. Но кроме этого в приведенной цитате заданы очень важные акценты: это мир, в котором все карикатурно перепуталось и совмещенными оказались совершенно несовместимые понятия: колокольный звон становится звоном часов, брусчатка Красной площади оказывается в допустимой близости со сводами храма, Мавзолей Ленина, хранящий тело – останки вождя вызывают аналогию с гробом господним, который опустел после воскрешения Христа. Подобное совмещение казалось бы несовместимого снимает святость не только с советского, но и с христианского. Для Горенштейна важным оказывается еще одно проявления коллективного начала – коллектив-народ нуждается в руководителе, все равно каком, вожде или пастыре: *«Все религии складывались, когда основная масса людей была темна и по-овечьи нуждалась в пастыре»* (Горенштейн 2001:378). Народ в данном контексте, хоть и завуалированно, но понимается не иначе, как стадо, которое готово к тому, чтобы кто-то его вел, им руководил, и собственно народу все равно, кем будет этот вождь-руководитель, главное, чтобы он был и даровал какую-либо надежду (собственно надеждой вера зачастую и подменяется). Отменив религию, советская власть сама превратилась в религию, только более пустой, пародийной формы: *«Хорошо, допустим, атеизм проиграл, но выиграла ли от этого в России религия? Ничему не научившись, возрождается она с прежним юродством вместо чувства, с тяжеголовыми спорами о Христе и с протонародьем, которое о Христе не спорит, но ждет от него того же, что и от грузина Сталина, от турка Разина или иного русского атамана»* (Горенштейн 2001: 352).

Собственно стремление найти вождя и связать с ним какие-то надежды на спасение или лучшую долю с точки зрения Горенштейна являются нарушением одной из библейских заповедей – не сотвори себе кумира. Первое проклятие, данное Господом Моисею на горе Проклятий Гевал, было проклятие тому, *«кто сделает изваяние или литой кумир, мерзость перед Господом...»* (Горенштейн 2001: 17). Именно это проклятие во многом и определит характер российской истории, которая представляет собой постоянный поиск кумиров, и в ходе которой забываются вечные ценности. Собственно с позиции Горенштейна происходит и осуждение христианства, которое попыталось создавать кумир из живого Христа, средневековое христианство придало Христу бездушный тоталитарный лик, и на протяжении всего повествования подчеркивается другая сущность Христа – он брат Дана – Антихриста, и каждый из них послан Господом на землю для совершения каждым своей особой миссии. Но при этом идея единственно приемлемой верховной власти Горенштейном не отрицается. Единственно возможная, и в результате своей единственности тоталитарная власть – это власть Господня, которую должно признать, точнее, о которой должно вспомнить человечество. И суть романа, заявленная в последних словах, - это напоминание об этой власти и этом правителе: *«О вы, напоминающее о Господе, не умолкайте!»* (Горенштейн 2001:446)/

ЛИТЕРАТУРА:

Горенштейн 2001: Горенштейн Ф. Псалом. М.: 2001.

Concepts of Leaders in Georgian Emigrant Texts

The most cruel and bloody of all autocratic powers are considered the 20-th century totalitarian regimes which are associated with personal features of concrete leaders, the recognized authorities. M. Veber singles out three types of leaders: rational, traditional, charismatic.

The halo of mythological hero was put to the leaders of totalitarian regime in their life-time that made them equal to apostles or gods. Leniniada, Staliniada, Beriada were created during the Soviet regime (A. Bakradze); in Germany and Italy, Hitler and Mussolini were idolized. There existed realistic, strict assessments of “perfect”, “human” leaders of the Soviet state which was also reflected in Georgian emigrant texts. From this viewpoint publicistic literature is distinguished.

Keywords: Conjecture; Emigration; Freedom.

მანანა კვათაია

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ბელადთა კონცეპტები ქართულ ემიგრანტულ ტექსტებში

ავტორიტარულ ხელისუფლებათაგან ყველაზე სასტიკი და სისხლიანი — მეოცე საუკუნის ტოტალიტარული რეჟიმები — კონკრეტულ ლიდერთა, აღიარებულ ავტორიტეტთა, პიროვნულ თვისებებთანაც ასოცირდება. მაქს ვებერმა მათი სამი ტიპი გამოყო: რაციონალური, ტრადიციული, ქარიზმატული. დიქტატორულ რეჟიმთა ბელადები ძლიერ ნებასა და სისასტიკესთან ერთად პიროვნული ხიბლითა და ქარიზმითაც გამოირჩეოდნენ, რაც მასებზე, ინდივიდებზე მათ უსაზღვრო გავლენასაც განაპირობებდა.

„ყველა ტირანი ერთნაირია, ისინი მხოლოდ ვერაგობისა და სისასტიკის ზოგიერთი უმნიშვნელო ელფერით განსხვავდებიან. სისასტიკით ყველა ერთმანეთს ჰგავს“ (რობესპიერი). ტირანის, დიქტატორის თემა მარადიულია. განუსაზღვრელი ძალაუფლების წყურვილით შეპყრობილი ადამიანების სულიერი წყობის, შინაგანი ხატის შესწავლა, შესაძლოა, მათგან მომავალი საფრთხეების პრევენციაც იყოს.

ტოტალიტარიზმის ფორმირების აუცილებელი პირობა, მისი საფუძველი ტოტალიტარული ინდივიდია, რომელსაც ახასიათებს თვითდამკვიდრებისა და ძალაუფლების წყურვილი, აგრესიულობა, ორიენტირება ლიდერის ავტორიტეტზე, საკუთარ სოციალურ ჯგუფსა და სახელმწიფოზე, აზროვნების სტერეოტიპულობა, კონფორმიზმი, ინტელიგენციის სიძულვილი და ა.შ. (ენციკლოპედია 2002: 13).

ავტოკრატია, ერთი მხრივ, ემყარება თანამედროვე ტექნოლოგიებს, მეორე მხრივ, ლეგიტიმაციას. „ლეგიტიმურობის საკითხი მაინც გადამწყვეტია ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე უსამართლო და სისხლიანი დიქტატურისათვის“ (ფუკუიამა 1999: 33). ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი საკუთარი ხალხის დიდმა ნაწილმა აღიარა. „ჰიტლერს მხარს უჭერდნენ არა მხოლოდ შიშის, არამედ მისი ლეგიტიმური ავტორიტეტის რწმენით“ (იქვე). ფუკუიამას შედარებით, მაფიაში ისე ვერ გახდები უფროსი, თუ შენი „ოჯახი“ არ აღიარებს შენს ლეგიტიმურობას, ამგვარადვეა ავტოკრატის შემთხვევაშიც.

ავტორიტარიზმის აღმოცენებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ავტორიტეტს, რომელიც სამართალზე მალლა დგას. ავტორიტეტი, ბელადი ტოტალიტარული ხელისუფლების პირამიდის თავში ზის. მას აქვს აბსოლუტური, შეუზღუდავი

ძალაუფლება. ნებისმიერი ეს სისტემა მის კულტს ქმნის. ძალაუფლების კულტი — აქაა ტოტალიტარული სისტემის არსი. ის პიროვნების კულტზე უფრო სიცოცხლისუნარიანია. მეოცე საუკუნეში მის გამო იქმნებოდა კომუნისტური თუ ფაშისტური მითოსი, საფუძველი ეყრებოდა ახალ რელიგიას.

„მკვდარი არიან ყველა ღმერთები: ან ვისურვოთ, რათა ზეკაცმა იცოცხლოს“, — განაცხადა გასული საუკუნის დასაწყისში ფრიდრიხ ნიცშემ და ზეკაცობის მსურველთ მიმართა: „ღმერთი თქვენი უდიდესი საფრთხე იყო“. ღირებულებათა ტოტალური გადაფასების ეპოქაში უღმრთო ადამიანებმა კომუნისტური და ფაშისტური მიმართულების ახალი რელიგია შექმნეს.

„მარქსი არის გაპიროვნებული ღმერთი.. კარლ მარქსს ჰყავს თავისი მოციქული ლენინი“ (ვ. ნოზაძე: „კომუნისტური ესხატოლოგია“). ამგვარივე მოციქულებად თუ ღვთაებთა თანასწორად შეირაცხნენ სიცოცხლეშივე მითოლოგიური შარავანდედით მოსილი სხვა ლიდერები. საბჭოთა კავშირში იქმნებოდა ლენინიადა, სტალინიადა და... (ა. ბაქრაძე); გერმანიასა და იტალიაში ხოტბა-დიდებით იხსენიებდნენ ჰიტლერს, მუსოლინის..

ვ. ნოზაძის შეფასებით, ეკლესიის მსგავსად, მარქსიზმ-ლენინიზმიც უკომპრომისოდ იბრძოდა საკუთარი დოგმების დასადგენად, გადახრების წინააღმდეგ, რასაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეენირა. წერილში, რომელსაც „კომუნისტური ესხატოლოგია“ ჰქვია, შემზარავი სტატისტიკაა მოტანილი. ნოზაძის ინფორმაციით, რუსეთის ახალმა რევოლუციამ იმსხვერპლა 75 მილიონი ადამიანი. აქედან 5.600.000 იყო მრენველი, მემამულე, ვაჭარი, 17 მილიონი გლეხი, 1933-37 წლებში პარტიულ „განმენდას“ შეენირა 798.072 კომუნისტი.

ახალ, მარქსისტულ-ლენინურ რელიგიას ვიქტორ ნოზაძე კომუნისტურ ესხატოლოგიას უწოდებს და ასე განმარტავს: ეს არის სწავლა (დოგმა) უკანასკნელ ნივთთა, მოვლენათა (ეს-ხატოს) შესახებ, რომლის თანახმად, დადგება დრო, როდესაც საყოველთაო ბედნიერება დამყარდება — კომუნისტური მითოსი, რომელსაც, მეცნიერის თქმით, განხორციელება არ ეწერა. მისივე განმარტებით, ამგვარი ესხატოლოგიის საფუძველი ძველი რუსული შეხედულებაა, რომლის მიხედვით, რუსი ხალხი უნდა ყოფილიყო „მესია“, ანუ „ცხებული“, რომელიც ამ ქვეყანად დაკარგულ სამოთხეს აღადგენს. ეს რელიგიური მესიანიზმი რუსულ იმპერიალიზმში გადაიზარდა, რაც, ვ. ნოზაძის შეფასებით, მსოფლიოს საფრთხეს უქმნის.

ბელადთა კულტმა მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობას წარუშლელი დალი დაასვა: ქვეყნის შიგნით ის განვითარების ტრადიციულ, ორგანულ გზას ასცდა. ამავე დროს, ემიგრაციაში სხვაგვარი ლიტერატურაც იქმნებოდა: უცხოეთში იძულებით გადახვეწილი ქართული მოაზროვნეები თავიანთ ნაწერებში რეალისტურად აფასებდნენ საბჭოთა სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებს, მის „სრულქმნილ“, „კაცთმოყვარე“ ბელადებს, ამავე დროს, ისინი საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამდნენ ფაშიზმსა და მის ლიდერებზე — ჰიტლერსა და მუსოლინიზე.

1927 წელს გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“ (24) გამოქვეყნებულ წერილში „სტალინი“ ემიგრანტი პოეტი შალვა ამირეჯიბი საბჭოეთის ბელადის ფენომენს იკვლევს. მისი შენიშვნით, ის, რომ იოსებ სტალინი ჩვენი თანამემამულეა, ქართველებისათვის სულაც არ არის სამაყო. ნაპოლეონი კორსიკელი იყო, მაგრამ ამ პატარა ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეა სწორედ ბონაპარტულმა ორომტრიალმა ჩაახრჩო. „სტალინის როლი საქართველოს ბედ-იღბალში ამაზედ უარესია.. თვალის დახუჭვა იმ მსოფლიო სეირზედ, რომლის მთავარ საგანს დღეს სტალინი წარმოადგენს, შეუძლებელია“, — ვკითხულობთ სტატიაში. ამირეჯიბის დაკვირვებით, სტალინი რუსებს ორნაირად სძულთ: როგორც ბოლშევიკი და როგორც ქართველი, თუმცა, მისი თქმით, ეროვნული ჩამომავლობა აქ არაფერ შუაშია. სამაგიეროდ, სტალინი უცხო არაა ოქტომბრის რევოლუციისათვის, რომელიც წმინდა რუსული მოვლენაა.

გაბედული და ღრმად ანალიტიკურია ვლადიმერ ბაქრაძის წერილი „კრიტიკული შენიშვნები — „ჯაყოს ხიზნები“, რომანი მიხეილ ჯავახიშვილის“ („კავკასიონი“, 2, 1929). ავტორის ხაზგასმით, ჯაყო ავტორის უმაღლესი მხატვრული მიღწევაა. „ჯაყო მეტია, ვიდრე მხატვრული ტიპი, ის სიმბოლოა, მხატვრული სიმბოლო ეპოქის; ის, ასე ვთქვათ, მხატვრული კვინტესენციაა ბოლშევიზმის, იმის, რაც მუდმივი და

უკვდავია ბოლშევიზმში, იმის, რაც შეადგენს მის მთავარ დამახასიათებელ თვისებას, მის ბუნებას. საკმარისია ერთი ჯაყო ბოლშევიზმის ნამდვილი ბუნების გასაცნობათ. ათეული ტომები თეორეტიული გამოკვლევებისა უკეთესათ ვერ გაგვაცნობენ ამ ბუნებას, ვიდრე ერთი ჯაყო ჯივავილის ტიპის გაცნობა“. ვლ. ბაქრაძე ჯაყოს სახეში სტალინსა და ბოლშევიზმის სხვა ლიდერებს ხედავს.

რუსეთის რევოლუციის ბელადის ვლადიმერ ლენინის პიროვნების უკომპრომისო, რეალისტური შეფასებით გამოირჩევა ჟურნალ „თავისუფლების ტრიბუნაში“ 1974 წლის 2 მარტს გამოქვეყნებული ვიქტორ ნოზაძის სტატიები. „ლენინი და ზრდილობა“ 1918-1922 წლების რუსეთის შიმშილობის პერიოდს იხსენებს, როცა ამერიკის წითელი ჯვრის წარმომადგენელს ლენინმა დახმარებისათვის მადლობაც არ უთხრა; სტატია „ლენინი და ჰუმანიზმი“ ახასიათებს იმ პერიოდს, როცა ბოლშევიკთა ბელადის ბრძანებით ხალხს იჭერდნენ, ციხეებში ამწყვდევენ, ხვრეტდნენ, საკონცენტრაციო ბანაკებში ალპობდნენ, ყველას — დამნაშავესა და უდანაშაულოს.. „ასეთ სისხლისმსმელ კაცს — ვლადიმერ ილიას ძე ლენინს დღეს ჰუმანისტად სახავენ და კაცობრიობის გამაბედნიერებლად სთვლიან. ასეთი არის კომუნისტური ზნეობრივი სიმახინჯე“, — წერს ვ. ნოზაძე. მისივე სტატია „ფილოზოფი და ლენინი“ განიხილავს რუსი ბერის, მონასტრის წინამძღვრის ფილოფის 1510 წლით დათარიღებულ წერილს მოსკოვის თავადისა და მეფის ვასილი ვასილიევიჩისადმი, სადაც ნათქვამია, რომ რომისა და ბიზანტიის შემდეგ მოსკოვის მეფემ უნდა დაიცვას ქრისტიანობა. ამგვარად, რუსეთი კონსტანტინოპოლის მემკვიდრე უნდა გამხდარიყო. ვ. ნოზაძის შენიშვნით, ეს იდეა ქვეყნის მმართველებმა დაამახინჯეს და იგი რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვათა განსახორციელებლად გამოიყენეს.

სტატიაში „სამი ხელისუფლება“, რომელსაც ვიქტორ ნოზაძე „მეგობრის“ ფსევდონიმით „ქართლოსში“ 1937 წელს აქვეყნებს, ავტორს მოყავს ფრანგი ეკონომისტის ჟინიუს აზრი: „დიქტატურის შესაგნებად და შესაგრძნობად ადამიანმა საშუალებები კი არ უნდა განსაჯოს, არამედ შედეგები“. შესაბამისად, როდესაც ნოზაძე ერთმანეთს ადარებს ფაშიზმს, ნაციონალ-სოციალიზმსა და ბოლშევიზმს, მათი შეფასებისათვის ის წაროდ ამ მმართველობათა შედეგებს ითვალისწინებს. რეალისტური ფერებით წარმოადგენს მეცნიერი იმდროინდელი საბჭოთა კავშირის სინამდვილეს: „სტალინმა და მისმა სოციალიზმმა მოსპო ქვეყანა, გაანადგურა, გაალატაკა და დაამათხოვრა... გაანიავა სიმდიდრენი, აჩეხა ტყეები, ააოხრა სოფლები. ერის კულტურული ფენები ამოწყვიტა, ჩაახრჩო ჩეკას სარდაფებში და ციმბირის ყინულებში.. ვერავინ ვერ დააკმაყოფილა, ვერავის ვერ მისცა რწმენა ხვალისდელი დღისა, ხოლო მთელი უზარმაზარი სახელმწიფო კი ძონძებში გახვეულ საგიჟეთად აქცია“. ამგვარი უკომპრომისო შეფასებები ვ. ნოზაძის სხვა ნაწერებშიცაა.

მეოცე საუკუნის მემარჯვენე თუ მემარცხენე ტოტალიტარული რეჟიმების ბელადთა კონცეპტები განსაკუთრებული სიღრმითა და სისრულით წარმოადგინა 1931 წლიდან გერმანიაში ემიგრირებულმა გრიგოლ რობაქიძემ, რომელმაც თავის თხზულებებში ამ დიქტატორთა პიროვნული არსის მხატვრული კვლევა და ანალიზი დაისახა მიზნად. მას სურდა, ამოეხსნა Amor fati-თ შეპყრობილი ახლადმოვლენილი ბელადების ენიგმა, მათი ქმედებების ცნობიერი თუ არაცნობიერი მოტივაცია, ეკვლია ძალაუფლების ანატომია. ამავე დროს, ზოგ შემთხვევაში — ამკარად, ზოგან, ფარულად — სტრიქონებს შორის — მწერალი იმ საფრთხეებზეც მიუთითებდა, რომლებიც ამ განუსაზღვრელი ძალმოსილების მქონე „ზეკაცებისაგან“ მოდიოდა. „ლენინშიც, სტალინშიც, ჰიტლერშიც, მუსოლინიშიც მას იპყრობდა პიროვნება უშუალოდ, მის შუაგულში ალებული. ამ კუთხით ისინი მართლაც მეტად საინტერესონი არიან“ (ბაქრაძე 2004: 169).

1924 წელს, ლენინის გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალ „კავკასიონში“ დაბეჭდილა გრ. რობაქიძის წერილი „ვლადიმერ ილიასძე ულიანოვ-ლენინი“, სადაც ტევადი, ლაკონური ფრაზებით რუსეთის რევოლუციის ბელადის ფენომენია დახასიათებული: „ასეთი მთლიანი პიროვნება ბოლო ხანებმა არ იცის. ევროპის ეპოქალური ტიპის ჰამლეტია. სრულიად ახალი ტიხილი: ჰამლეტის ანტიპოდი — პიროვნება, როგორც განუკვეთელი ალი. ლენინი სასტიკია და ნეზიანი. ლენინი ნება თვითონ, როგორც ხალხის რკინა. მასში უთუოდ არის რასიული გაქანება მონგრეული მონღოლეთის. თვითონ სახელი მისი — „ულიანოვ-

ლენინ“ მოდის ისე, როგორც ურავანი. ის მოცემულია, როგორც ძელქვის კორძი, უტეხი და უკვეთელი, ის სასტიკია, როგორც მოქნეული ხმალი.. „პირადული“ წარცხილია თითქო მასში. მასში მოჩანს „უპიროვნო“ სახე თვითონ ისტორიისა. ამისთვის არის იგი საოცარი და საშიშარი“ (რობაქიძე 1996: 296).

„გველის პერანგი“ ლენინის პორტრეტი კიდევ უფრო სრულყოფილადაა წარმოდგენილი: „1908 წელი. პარიზი. მაისი. კათედრაზე დაბალი კაცი, ჩასკვნილი და დამორგვილი. მაგარი თავი. ტიტველი გრანიტი. მაღალი შუბლი და უტეხი კორძები შუბლის. თვალები წვრილი. ერთი — მოხუჭული ოდნავ. უნდობი და გამხვრეტი. მეორე — განზე მაცქირალი თითქო. თვალები თვალებში გეჭრებიან და თვალებს „იქით“ იხედებიან. მთელი ფიგურა — უგლიმი. თითქო ყველაფერს ხვდება წინასწარ. ლაპარაკობს. არა: წალდით ხის მაგარ ტოტს სჭრის. ნაჯახით ნამორს აპობს. ტუჩებზე ირონია არ სცილდება. ფიგურაში არის ძლევა და გამარჯვება“ (რობაქიძე 1989: 184-185).

ბოროტების ირანული ღმერთის აპრიმანის სახე განჭვრიტა გრიგოლ რობაქიძემ იოსებ სტალინის პიროვნებაში. რომანი „ჩაკლული სული“, სადაც მწერალი სტალინის პიროვნებას ანალიზებს, 1932 წელს გერმანიაში დაიწერა, 1935 წელს ეს მონაკვეთი ოდნავი სახეცვლილებით ცალკე თხზულების სახით შევიდა მის კრებულში „დემონი და მითოსი“ (რობაქიძე 1935). ესე „სტალინი, ვითარცა არიმანული ძალმოსილება“ „ლეგენდარული ქართველის“ ფენომენს იკვლევს (ასე უწოდებია მისთვის ლენინს). რობაქიძის აზრით, სტალინში ლეგენდარული ჭარბადაა, ქართული კი მწირად, ბუნებით იგი ქართველის ანტიპოდაა. „მთელ მის არსებაში იგრძნობა ცივი სისხლი უბედურებით მუცლადღებული არსებისა, რომელიც ჭკუით ყველას აჯობებს. მისი მზერის წინაშე ყველა ნება-სურვილი ქრება“.

გრ. რობაქიძე სტალინის პიროვნული სისასტიკის ფესვებს მის მკაცრ ბავშვობაში ხედავს: „შვილი სწყველიდა მამას, თესლს, გაბოროტებულს სძულდა თავად მზისქვეშეთი. მისთვის არ იყო სიყვარული, მისთვის მეტად არ არსებობდა სიხარული. სიცოცხლის სხეული მამისადმი აღმოუფხვრელი სიძულვილით იქნა მონამლული.. ვისაც სიცოცხლის მადლი არა აქვს, მისი გული წმიდა გრძნობათათვის დახშულია“, — ვკითხულობთ ესეში. სამაგიეროდ, მწერლის დაკვირვებით, იოსებ ჯულაშვილს „ბოროტმოქმედივით ნგრევა იზიდავდა, რათა თავისი გამანადგურებელი თვითნებობა გამოეცადა და გაეტარებინა“.

ამ თხზულების სახით რობაქიძემ საბჭოეთის ძლევა მოსილ ბელადს ერთგვარი სარკე შეთავაზა, სადაც მას საკუთარი პიროვნული თვისებების უკეთ დანახვა შეეძლო. ცნობილია, რომ 1950-იან წლებში მწერალს სტალინისათვის მიუძღვნია რომანი „ნესუსის პერანგი“, რომელიც ჩვენთვის ჯერჯერობით მიუწვდომელია.

გრ. რობაქიძის პიროვნულ და შემოქმედებით ბედზე უარყოფითად აისახა მისი თხზულებები ფაშიზმის ლიდერებზე — ჰიტლერსა და მუსოლინიზე. 1938 წელს დაიწერა მისი „ადოლფ ჰიტლერი, ერთი უცხოელი პოეტის თვლით დანახული“ (რობაქიძე 1939). სავარაუდოდ, თხზულება მისთვის გერმანიის გარკვეულ წრეებს უნდა დაეკვეთათ. ამის მიუხედავად, ავტორი მასში ფაშიზმის ან თავად ჰიტლერის ბრმა პანეგირიკოსად არ გვევლინება, მთავარ სათქმელს ხშირად მეტაფორული, მითოლოგიური თუ ფილოსოფიური ნიაღვრეებით ნიღბავს. თხზულებაში რობაქიძე მხატვრულად იკვლევს უდავოდ გამორჩეული პიროვნების, ადოლფ ჰიტლერის, შინაგან პორტრეტს. მეტიც, სურვილისა და შესაძლებლობის შემთხვევაში, დაკვირვებული მკითხველი სტრიქონებს შორის მთავარი გმირის პიროვნებიდან მომდინარე საფრთხეებსაც შენიშნავს. საქართველოს მწერლებისადმი მიმართვაში გრ. რობაქიძე წერს: „საბჭოეთში მე მომნათლეს „ფაშისტად“. ესეც სინამდვილეს ეწინააღმდეგება. ეს წიგნი პითაგორულის გეგმებითაა აგებული. მოკლედ: იქ ნაციონალურ-სოციალისტური მსოფლხედვა სრულიად შენგრეულია შინაგან — ამავე დროს, ჰიტლერი მართებულ არემია მოქცეული“ (რობაქიძე 1991: 3).

ვფიქრობთ, ამ თხზულების შეფასებისას გასათვალისწინებელია მისი დაწერის თარიღი: 1938 წელი, რომელიც გერმანელი ფიურერის ზეობის წელიც იყო. მსოფლიოს გარკვეული ნაწილი აღფრთოვანებული იყო მისი ელვისებური წარმატებებით, პიროვნული ნიჭით, სიძლიერითა და უკომპრომისობით. ამერიკულ ჟურნალ „ტაიმსს“, თითქოსდა საბედისწერო წინასწარმეტყველებით, 1939 წლის 2 იანვარს

ჰიტლერი დაუსახელებია 1938 “ნლის ადამიანად”, რომელიც დამდეგ, 1939 წელს, ისეთ რაიმეს გააკეთებდა, რაც კაცობრიობას დიდხანს ემახსოვრებოდა („ნლის ადამიანის“ საპატიო წოდება მანამდე მხოლოდ თეოდორ რუზველტსა და მაჰათმა განდის მიუღიათ) (როზანოვი 1991: 21).

გრ. რობაქიძის „ადოლფ ჰიტლერი, ერთი უცხოელი პოეტის თვალთ დანახული“ ესეისტური მანერითაა დანეროლი, რაც ავტორს შემოქმედებით თავისუფლებას ანიჭებს. გმირის ბუნების წვდომის მიზნით მწერალი აკვირდება მის ფოტოსურათებს, ათვალეირებს კინოქრონიკებს, რის შედეგადაც ექსპრესიული მონახაზებით გამოკვეთს ფიურერის გარეგნულ სილუეტს, რომელიც საკმაოდ ბუნდოვანი, თანაც იდუმალაია. „გგონია, მისი შინაგანი მზერა ობიექტივს გაურბის: საცნაური ნიშანი შორეული ჩვენებისა“, — შენიშნავს რობაქიძე. ჰიტლერის ენიგმის გასაღებს მწერალი მის გამორჩეულ, ნერვიულ, მტკიცე ხმაშიც ეძებს, მაგრამ ამაოდ.

მწერალი თანდათან რწმუნდება, რომ გერმანელი დიქტატორის იდუმალება ლოგიკას, ანალიზს, განსჯას არ ექვემდებარება, ის უფრო ღრმაა, ირაციონალურია (გავიხსენოთ ნიცშესეული ფრაზა: ზეკაცზე მთლიანად ირაციონალური ძალები უნდა ბატონობდეს) და მისი პიროვნების გახსნისათვის ის ამჯერად მეტაფორულ, მითოლოგიურ თუ ფილოსოფიურ პარალელებს მიმართავს, უპირველესად კი გაეთეს თაურმცენარის (მცენარის მითიური რეალობის) ფენომენს, რომლის მიხედვით, ხალხის თაურელემენტი (აქ: გერმანელობის მითიური რეალობა) ყველაზე ღრმად სწორედ ადოლფ ჰიტლერს აქვს გათავისებული.

ერთ-ერთ ადრეულ ფოტოსურათზე გრიგოლ რობაქიძეს შეუნიშნავს ახალგაზრდა ადოლფ ჰიტლერის უმთავრესი პიროვნული შტრიხი: თავგანწირვისათვის მზაობა. სწორედ მის დახასიათებას ეძღვნება თხზულების ქვეთავი „Amor fati“. „ის მსხვერპლური შინაგანი თავგანწირვით აღსავსეა“, — შენიშნავს მწერალი და სწორედ მსხვერპლს გრძნობს ჰიტლერის ხმაში, რომელიც ზოგჯერ მგრძნობიარე, ზოგჯერ დამუქრებული, ზოგჯერ გამამხნევებელი და ნათელია. თავგანწირვის გამბედაობა — „ეს გარდატეხის მხნეობაა: გენია ცეცხლისა“, — განმარტავს რობაქიძე. ჰიტლერის პიროვნებიდან მომდინარე საფრთხე თხზულების ამ მონაკვეთში ამკარაა.

არანაკლებ სახიფათო უნდა ყოფილიყო ამ გამბედაობის გადამდები ზემოქმედება: „იგი არ კრთება, ხედავს რა საშინელებას. დიახ, ნათელია: იგი მას სძლევს.. ის საკუთარ თავში თავისი ქვეყნის მთელ მაჯისცემას ფლობს.. ბრმა ბედისწერას ათვინიერებს“, — ვკითხულობთ თხზულებაში.

ვეფერობთ, საყურადღებოა რობაქიძის „ადოლფ ჰიტლერის“ ის მონაკვეთი, სადაც ფიურერის ცხოველისებრ საშინელ მაგიაზე საუბარი: „თავისი შიშველი მარტოდენ გამოჩენით ცხოველი ცვლის ატმოსფეროს, რომელიც მის ირგვლივა... ის ობიექტში იჭრება“. პიროვნების ამგვარი ცხოველისებრი ველური უკონტროლობა და ყოვლის გამანადგურებელი ძლიერება თავისთავად საფრთხის შემცველი იყო. „ჰიტლერის ფენომენის“ მკვლევარი რუდოლფ აუგშტაინი მიუთითებს: „ჰიტლერი იდგა ზღვარზე, სადაც ადამიანი გადაიქცევა აგრესიულ ვეფხვად, ველურ მგლად“ (როზანოვი 1991: 18). ასევე დამაფიქრებელია გრ. რობაქიძის ფრაზა: „ცხოველს არა აქვს „მე“, ნიშანი ღვთაებრივისა“...

ადოლფ ჰიტლერის პიროვნების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი იკვეთება თხზულების ქვეთავში, რომელსაც Kairos ჰქვია. მწერლის განმარტებით, „პიროვნებას, რომელიც მთელი არსებით ხალხის ბედისწერას ემორჩილება, თანდათან საჩუქრად ეძლევა წყალობა ყოფიერებისა, ძველი ბერძნები „Kairos“-ს რომ უწოდებდნენ („ესე იგი ქმედებისას სწორი მომენტის დანახვის (გარტყმის) უნარი“, — განმარტავს გრ. რობაქიძე). რაც ვინროა მონაკვეთი, მით ძლიერია Kairos. ის ცხოველის შიშველი ინტუიციის მსგავსია (ჰიტლერის პიროვნებიდან მომდინარე საფრთხე თხზულების ამ მონაკვეთშიც ამკარად იკითხება).

გრიგოლ რობაქიძისათვის საბედისწეროდ იქცა 1939 წელს დაწერილი „მუსოლინიც“, რომელიც იტალიელ დიქტატორს მიეძღვნა. ეს ლიდერი 1923 წელს ევროპაში ცნობილი პიროვნება გახდა, 1926 წლის შემდეგ კი მსოფლიოში გავრცელდა ლეგენდა ყოვლისშემძლე, ბრძენ დუჩეზე, რომლის კულტი იტალიური ფაშიზმის ყველაზე მთამბეჭდავი გამომხატულება იყო. პანეგირიკოსები მას არისტოტელეს, კანტის,

თომა აქვინელის გვერდით აყენებდნენ, განუმეორებელ გენიად თვლიდნენ, რომელიც თვით დანტეზე, მიქელანჯელოზე, ვაშინგტონზე, ლინკოლნზე, ნაპოლეონზე მაღლა იდგა. მასზე მრავალი სახოტბო თხზულება იქმნებოდა.

როგორც ირკვევა, „მუსოლინი“ მწერლისათვის თავად გებელსს დაუკვეთავს.: ნოდარ კაკაბაძე წერს: „მან მიიღო დავალება მსგავსი ნიგნი მუსოლინიზე დაწერა, რაც მან შეასრულა კიდეც. რობაქიძეს რომში აუდიენცია გაუმართეს, ომის დროს კვირეების განმავლობაში ცხოვრობდა კაპრიზე, იტალიის მთავრობის ხარჯზე. აქ მან დაწერა მუსოლინიზე ნიგნი“ (კაკაბაძე 1992: 227).

თხზულებიდან ჩანს, რომ ნიგნის დაწერამდე გრ. რობაქიძე დიდძალ მასალას გაცნობია, რის შედეგადაც მან კომპლექსურად შეისწავლა ამ ქარიზმატული ლიდერის პიროვნული არსი, მისტიკური ხატი, აჩვენა მისი ბიოგრაფიის თუ მოღვაწეობის ძირითადი შტრიხები, დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა ხშირ შემთხვევაში მან თავად მკითხველს დაუტოვა. საკუთარი პოზიცია, ნამდვილი სათქმელი მწერალმა აქაც სიმბოლური, მეტაფორული, მითოლოგიური სახეებითა და პარალელებით შენიღბა.

აღსანიშნავია, რომ თხზულებაში გრიგოლ რობაქიძე მუსოლინის პიროვნებას საკმაოდ თავისუფლად და გაბედულად ეპყრობა. იგი არ ერიდება მისი როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეების წარმოჩენას. ვფიქრობთ, მწერალი აქაც არ ღალატობს თავის შემოქმედებით მრწამსს. მეტიც, მუსოლინის შესახებ არსებული მითის დესაკრალიზებაც კი ხდება, როცა თხზულებაში ძლევამოსილი ლიდერის არც თუ საამაყო თვისებებზეა საუბარი (პანიკური შიში დახშული სივრცის თუ ფარაონის მუმიის მიმართ, მისთვის დამახასიათებელი ცრურწმენები და ა.შ.). ამავე დროს, რობაქიძის „მუსოლინი“ მთავარი გმირის ზეადამიანური ამტანობისა და გამძლეობის მაგალითებსაც აჩვენებს. ვფიქრობთ, ამით მწერალი ხაზს უსვამს იტალიელი დიქტატორის წინააღმდეგობრივ, პოლარიზებულ ბუნებას, რაშიც ის საფრთხეს ხედავს.

თხზულებაში მუსოლინის გარეგნული შტრიხებიც კი შიშისმომგვრელია. ის „გრაალის მცველის“ ერთ-ერთ გმირს ჰგავს. მწერლის შედარებით, ორივე მათგანი მინდორზე უჩვეულოდ მშვიდად დაგდებული მეტეორის ნამსხვრევის მსგავსია, რომელშიც ცეცხლი მთლიანად უკვალოდ ჩამქრალა, თუმცა, შესაძლოა, ქვის შავი ნამსხვრევი უცერად კვლავ ცეცხლის ენებად აინთოს. უზარმაზარი, მუქი თვალები რვალივით ელავს, ბინდ-ბუნდში მათ მუქცისფერიც ერევა. გარეგნულად თითქოს მშრალია, მაგრამ, სახეზე ღიმილი თუ ეფინება, მისი გულის სირბილესაც გრძნობ, — შენიშნავს რობაქიძე (მუსოლინის პიროვნული დუალიზმი აქაც იკვეთება). „მიუხედავად ამისა, ისეთი გრძნობა გქონდა, ეს-ესაა ცეცხლს ამოაფრქვევსო; სადაც არ უნდა გამოჩენილიყო, ყველგან სახიფათო დაძაბულობის ველს ქმნიდა, და ეს ველი თავად მისთვისაც და გარშემომყოფათთვისაც საშიში ხდებოდა“. ამ მონაკვეთშიც აშკარად იკითხება ამგვარი პიროვნებისაგან მომდინარე საფრთხე. „რა არის ეს, ციდან ჩამოვარდნილი დემონი?“ — კითხულობს ავტორი. ვფიქრობთ, ამ სტრიქონების გაბედულება ზღვარს სცილდება.

„მუსოლინის“ იმ თავში, რომელსაც „დადით“ აღბეჭდილი კაცი“ ჰქვია, გრ. რობაქიძე არაბულ გამონათქვამს იხსენებს: „თუ ცეცხლს სანვავს არ ჩაუმატებ, იგი თავის თავში შთაინთქმევა“. ამით ხსნის მწერალი მუსოლინის დაუდებარე ბუნებას. „მოუსვენრობა სიმშვიდის მიღმა“, — ამ თვისებასაც ხედავს ავტორი გმირის არსებაში და შენიშნავს, რომ რაც უფრო მეტს მოძრაობს იგი, მით უფრო მშვიდია. იულიუს ევოლა ამ მოვლენას „დადს“ უწოდებსო (აქ მწერალს ახსენდება ქართული წარჩინებული გვარი დადიანი=დადით შეპყრობილი). რობაქიძის განმარტებით, ამ საკრალურ სიტყვას ციხე-სიმაგრესთან აკავშირებდნენ. შესაძლებელია, „დად“ თავდაპირველად „მაგარს“, „მტკიცეს“ ნიშნავდაო.

მთავარი გმირის პორტრეტს თხზულებაში მუსოლინის ერთი გამონათქვამიც სრულყოფს: „მინდა საკუთარი ნებისყოფის ძალით, ვითარცა ლომის ბრჭყალებით, ამ დროებში ორნატი ამოვტვიფრო: აი, ასე!“ ამაზე რობაქიძე ირონიით შენიშნავს: „მართლაც წარმოიდგენ, როგორ ჩაასობს ლომი ბრჭყალებს თავის ნადავლს“. ვფიქრობთ, ავტორის გამბედაობა აქაც თვალნათელია.

ჰიტლერისა და მუსოლინის შესახებ სხვა ქართველი ემიგრანტებიც წერდნენ. ზოგი მათგანი მათ დადებით კონტექსტშიც წარმოადგენდა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სალად, რეალისტურად აფასებდნენ მათ პიროვნებასა და ქმედებებს. ჯერ კიდევ 1927 წელს „ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი“ (1927, 2) პავლე სარჯველაძეს დაუბეჭდავს ანალიტიკური სტატია „ფაშიზმი იტალიაში“, სადაც ავტორს შეუნიშნავს: „იტალიის ფაშიზმი ღვიძლი შვილია მსოფლიო ომის მიერ გამოწვეული კრიზისის და ის, ისე, როგორც ბოლშევიზმი, წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს ევროპის ზავისა და მშვიდობიანობისათვის. როგორც ყოველი დიქტატურა, ფაშიზმიც განწირულია ისტორიის მიერ“. არანაკლებ გაბედულია პ. სარჯველაძე თავად მუსოლინის შეფასებისას. მისი აზრით, „ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისთანავე მან მოსპო ყოველგვარი თავისუფლება და ჯვარი დაუსვა არსებულ კონსტიტუციას. იტალიაში დღეს მოქალაქე მოკლებულია სამოქალაქო უფლებებს, — თუ ის ფაშიზტი არ არის, მას წართმეული აქვს იტალიელის სახელიც კი.“ ამგვარი ობიექტური პოზიცია სხვა ემიგრანტ ავტორებთანაც გვხვდება.

როგორც ვხედავთ, მეოცე საუკუნის ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები რეალისტურად, ანალიტიკურად გაიაზრებდნენ მემარჯვენე თუ მემარცხენე ტოტალიტარული რეჟიმების ბელადთა კონცეპტებს, სწავლობდნენ მათ ფენომენებს. მათი დისკვანები ხშირად სრულიად განსხვავებული იყო იმ დამახინჯებული რეცეფციისაგან, რაც ასე საყოველთაოდ იყო მიღებული და გავრცელებული როგორც საბჭოთა კავშირში, ისე გერმანიაში. ეს შეფასებანი ჩვენს დროშიც ანგარიშგასანვი და ღირებულია.

დამონებიანი:

ბაქრაძე 2004: ბაქრაძე ა. თხზულებანი. 2. თბ. : „ნეკერი“, 2004.

ენციკლოპედია 2002: მსოფლიოს ენციკლოპედია. მოსკოვი: „სოვრემენნი ლიტერატორ“, 2002 (რუსულ ენაზე).

კაკაბაძე 1992: კაკაბაძე ნ. გრიგოლ რობაქიძის გერმანული პორტრეტი. „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 5-6, 1992.

რობაქიძე 1935: Robakidze G. Dämon und Mythos. Jena: Diederichs-Verlag, 1935.

რობაქიძე 1939: Robakidze G. Adolf Hitler. Jena: Diederichs-Verlag, 1939.

რობაქიძე 1988: რობაქიძე გრ. გველის პერანგი. თბ.: „მერანი“, 1988.

რობაქიძე 1991: რობაქიძე გრ. გულნადები (გრ. რობაქიძის უცნობი წერილი საქართველოს მწერლებისადმი) (ზ. გამსახურდიას პუბლიკაცია). გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 4 იანვარი, 1991.

რობაქიძე 2006: რობაქიძე გრ. მუსოლინი (გერმანულიდან თარგმნა ნ. გოგოლაშვილმა). „ქართული მწერლობა“, № 18-19, 2006.

როზანოვი 1991: როზანოვი გ. სტალინი. ჰიტლერი. მოსკოვი: „მისლ“, 1991 (რუსულ ენაზე).

ფუკუიამა 1999: ფუკუიამა ფრ. ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. თბ.: მშვიდობისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 1999.

NINO KAVTARADZE

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Collapse of Myth- Andre Gide's Opinions about USSR

Why did the French writer, Andre Gide, who was very popular in the Soviet Union, become *persona non grata*? What was the condition the Soviet Union government changed its mind? The answer is very simple and is due to the totalitarian regime. The critic was not acceptable for not the Soviet Union, but also for Gide's countryman, who were very hopeful to the Soviet Union. The famous French writer was not punished for telling the truth: hi wasn't excused of telling the malignant about the leader of Soviet Union _ Joseph Stalin.

Keywords: Andre Gide; Totalitarianism; The Soviet Union; French Write.

ნინო ქავთარაძე

საქართველო, თბილისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მითის მსხრევა — ანდრე ჟიდის მოსაზრებები სსრკ-ს შესახებ

როდესაც ანდრე ჟიდის ორ წიგნს „დაბრუნებას სსრკ-დან“ და „შესწორები“ კითხულობ, ავტორის მოსაზრებების ობიექტურობა და სითამამე გაცნობს: ოცდაათიან წლებში გამოცემული წიგნები საბჭოეთის მიუყვებელი ისტორიის სახელმძღვანელოდ გამოდგებოდა.

ანდრე ჟიდი იმ მწერლებს შორის იყო, რომლებიც მიესალმენ საბჭოთა კავშირს, 1917 წლის რევოლუციის უპრეცედენტო ექსპერიმენტს და ახალი სამართლიანი საზოგადოების აღმშენებლობის იდეას (ჟიდი 1978:16). 1936 წელს, საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებული მწერალი, მასპინძლებისთვის მოულოდნელ ნაშრომს აქვეყნებს — „დაბრუნება სსრკ-დან“. მისი თვალთ დახახულ საბჭოეთს ქვეყნის შესახებ მითთან არაფერი საერთო არ ჰქონდა. წიგნი როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე მწერლის სამშობლოში გააკრიტიკეს: ფრანგულ პრესაში 150-ამდე გამოსამუშავება დაიბეჭდა, მათ შორის — ფრანგული ლიტერატურის პატრიარქის, რომენ როლანის წერილიც (ჟიდი 1978:95). ამის საპასუხოდ, ლიტერატორი მშრალი ფაქტების და სტატისტიკის ენაზე ამეტყველდა და მეორე წიგნი — „შესწორები“ გამოსცა.

1937 წელს ფრანგი მწერალი აცხადებს: „სსრკ-ს ჩვენს მოტყუებაში ვღებ ბრალს!“. მანამდე კი წერდა: „საბჭოეთის ლანძღვა სიბრყველა და შეურაცხყოფელი“. ოცდაათიანი წლების დასაწყისში, ჟიდი მსოფლიო კულტურის განვითარებას საბჭოთა კავშირის მომავალს უკავშირებდა (ჟიდი 1978:16). მაქსიმ გორკის დასაფლავების დღესაც, სიტყვა ითხოვა და წითელ მოედანზე მტრული მოსაზრებებისგან საბჭოეთის დაცვისკენ მოუწოდა, მაგრამ საკუთარი თვალთ ნანახმა ჟიდს აზრი შეაცვლევინა. მწერალმა დაინახა, რომ მარქსისტული კულტურა, რომლისთვისაც კრიტიკა უცხო იყო, საზღვარგარეთის ქებას იფერებდა მხოლოდ. გაზეთი „პრავდა“ საბჭოეთის მოსახლეობას მსჯელობის საგანსაც და მოსაზრებასაც კარნახობდა. ჟიდი მიხვდა, რომ საბჭოთა ქვეყანაში მიმდინარე აღმშენებლობა, მისი მოსახლეობის ხარჯზე, უდიდესი ძალისხმევის ფასად ხდებოდა (ჟიდი 1978: 44). ქვეყანა, რომლისგან უტოპიის რეალობად ქცევას ელოდნენ, ტოტალიტარული რეჟიმის კარგად შენიღბული შეცდომების წყებად იქცა, სადაც საყოველთაო ბედნიერება ინდივიდის გაუპიროვნებით მიიღწეოდა. თანასწორობის იდეაზე დაარსებულ ქვეყანაში გაჩნდა საზოგადოების პრივილეგირებული ნაწილი, რომელიც კვაზიფემინებელურ სასტუმროებში თავიანთი პოლიტიკური „ერთგულების“ გამო ისვენებდა (ჟიდი 1978: 119).

ყიდის ეჭვები ვერც მემახტეთა ქალაქის — დომბასის, სოჭის, ბორჯომის ბავშვთა დასასვენებელი ბანაკის მონახულებამ თუ ქართველ პოეტებთან, გაბრწყინებულსახიან სტუდენტებთან და ინტელიგენციასთან სასიამოვნოდ გატარებულმა დრომ გააქარვა (ყიდი 1978: 30). ფრანგ მწერალს ერთნაირი ავეჯით განწყობილი უგვანის სახლები, სამოსისა და საკვების სიმცირე, დეფიციტური, მაგრამ წუნიანი საქონელის რიგები და სტალინის პორტრეტები დაამახსოვრდა (ყიდი 1978: 57). ყიდი ვერც ანტირელიგიური ომით მოხიბლეს, რომელიც ეკლესიებს, საუკეთესო შემთხვევაში, მუზეუმებად აქცევდა და ვერც საბჭოელი „წმინდანი“ — ოსტროვსკით (ყიდი 1978: 81). არც ბოლშევიკი — ინდუსტრიულ ცენტრად ქცეულმა, ყოფილი მსჯავრდებულების ქალაქმა დატოვა საბჭოური წარმატებული პედაგოგიკის ნავსაყუდელის შთაბეჭდილება (ყიდი 1978:87). და ბოლოს, როდესაც მწერალი ერთ-ერთი ავარას „მოქცევას“ დაესწრო მიხვდა, რომ დოსტოევსკის შემდეგ ელდორადომი ცოტა რამ თუ შეიცვალა (ყიდი 1978: 89).

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ინტელექტუალი და მეამბოხე ყიდი დადაისტებს, შემდეგ კი სიურეალისტებს მფარველობდა და პარალელურად მარქსიზმის იდეოლოგიითაც იყო დაინტერესებული (მიტერანი 1988:386). საბჭოთა მთავრობისთვის ფრანგი მწერალი იმით იყო მომხიბვლელი, რომ თავის წიგნებში — „მოგზაურობა კონგოში“ და „დაბრუნება ჩადიდან“ (1927წ.) — კოლონიური სისტემა ამხილა. იგი ხელმძღვანელობდა რევოლუციონერ მწერალთა და შემოქმედთა ასოციაციას და გაზეთს — „კომუნა“ (მიტერანი 1988: 399).

ძნელად დასაჯერებელია, რომ სახელმძღვანელო მწერალი და ლიტერატორი, ბევრისმნახველი საზოგადო მოღვაწე, ანალიტიკური გონების ყიდი ადვილად ირწმუნებდა მინიერი სამოთხის არსებობას. სიმართლისმთქმელის სახელი ანდრე ყიდს მართლაც ჰქონდა: გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში იგი უკვე ცნობილი იყო თავისი უშიშარი გამოხატვებით კოლონიალიზმისა და ჰომოსექსუალიზმის შესახებ (ბუიზინი 1993: 54).

ყიდის მიერ საბჭოთა კავშირის მონახულებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, რაც იდეოლოგიას, პოლიტიკას და შემოქმედებს უკავშირდება. საბჭოთა კავშირისთვის ხოტბის შესხმა ევროპაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას უნდა მივანეროთ, კერძოდ — ფეხმოკიდებულ და მომძლავრებულ ფაშიზმს. იმხანად, საბჭოეთის და გერმანიის გასაიდუმლოებული მოლაპარაკებების შესახებ არავინ ეჭვობდა, ამიტომ საბჭოთა კავშირს ფაშიზმის წინაღობა მიმართულ იარაღად აღიქვამდნენ (ბრასელი 2004: 505). ყიდის ამ მოსაზრებას ბევრი ფრანგი ინტელექტუალი იზიარებდა, როგორც მემარცხენე, ასევე — მემარჯვენე. ყიდი ეთანხმებოდა საბჭოეთის მეგობართა ასოციაციის თავჯდომარის ფერნან გრენიეს მოსაზრებას ფაშიზმისა და კომუნიზმის დაპირისპირების შესახებ. შესაბამისად, საბჭოეთის თანადგომა სოვიეტების ფაშიზმთან შესაძლო დაპირისპირებით იყო განპირობებული, მით უფრო, რომ ფრანგ მწერალს უკვე ჰქონდა ანტიფაშისტური ბრძოლის გამოცდილება: ჟიდმა ამსტერდამში გამართულ ანტიფაშისტურ კონგრესში მიიღო მონაწილეობა და, ანდრე მალროსთან ერთად, რაიხსტაგის გადაწვაში ბრალდებული ბულგარელი კომუნისტი დიმიტროვის განთავისუფლების თხოვნით ჰებელსაც კი მიმართა (დეგი 1993:93).

თავის პირველ წიგნში ჟიდმა საბჭოეთის შეცდომებზე მიუთითებდა. მწერალი აღიარებდა, რომ ერთი ქვეყნის შეცოდება ინტერნაციონალურ და ზოგადსაკაცობრიო საქმის კომპრომენტირებას ვერ შესძლებდა, მაგრამ ესპანეთის საომარი მოქმედებების დროს ნაშრომის გამოცემა დასავლეთმა სილის განნად და იმედის მსხვერველად აღიქვა (ბრასელი 2004:507). ჟიდმა საბჭოეთში სამ თვეს დაჰყო და რომ არა მისი კომპანიონის, ეჟენ დების უეცარი სიკვდილი კიდევ მეტნანს დარჩებოდა. ამ ხნის განმავლობაში, მას და მის ოთხ თანმხლებს საკმაოდ სოლიდური დღიური გასამრჯელო — „სტუტონი“ ჰქონდა. ჟიდი იგონებს, როგორ დარბოდნენ საკომისიოებში მისი მეგობრები, რომ სხვაგან გამოუყენებელი საბჭოური რუბლი დაეხარჯათ (ყიდი 1978:137). ფრანგი მწერალი საბჭოეთში პრივილეგიებისა და მოგებისთვის არ ჩასულა. მისთვის ლიონ ფონსტანგერით ინკუნაბულები არ უჩუქებიათ (პაპერნი 2004:1). ლუი-ფერდინან წალონისგან განსხვავებით, რომელიც ტურისტული საგზურით, თავისი სახსრებით ჩამოვიდა ლენინგრადში, ყიდი დიდი პატივით მიიწვიეს.

მწერლის ჩამოსვლამდე, მისი ნაწარმოებები 400 000 ტირაჟით გამოქვეყნდა. ადვილი გამოსაანგარიშებელია გამოცემული წიგნიდან აღებული ჰონორარი, რომელიც ბევრად აღემატებოდა ევროპის რომელიმე სხვა ქვეყანაში დაწესებულ გასამსჯელოს (ჟიდი 1978:137). ანდრე ჟიდს ისლა დარჩენოდა, სტალინისთვის დითირამები ემღერა და რუსი ადამიანის სანახევროდ აღმოსავლური სტუმარმასპინძლობით და ხელგაშლილობით ესარგებლა: „ძნელია გაუძლო ცდუნებას. პირადად მე საყვედური არ მეთქმის. საბჭოეთის ფოტოებზე უფრო ბედნიერი ვჩანვარ, ვიდრე საფრანგეთში გადაღებულებზე. ეს გულთბილი მასპინძლობის შედეგია. მთელი მოგზაურობის განმავლობაში, ჯიბეზე ხელის გაკვრას რომ დავაპირებდი, თარჯიმანი მაკავებდა და თავად იხდიდა“ (ჟიდი 1978:139). ერთი სადილი კი, როგორც შემდეგ გამოიანგარიშა, სამასი რუბლი ჯდებოდა, იმ დროს, როდესაც მუშის საშუალო ხელფასი 100 რუბლს არ აღემატებოდა (ჟიდი 1978:122). ეს მასალა ჟიდმა მ. ივონის ნაშრომში — „რად იქცა რუსეთის რევოლუცია“ — ამოიკითხა. მასპინძლების „ზრუნვა“ ჟიდს იმ პრივილეგიებს ახსენებდა, რომლითაც „რჩეულნი“ სარგებლობდნენ. სწორედ უთანასწორობის განცდით შეწუხებული მწერალი, თავის საბჭოეთში მოგზაურობას ტრაგიკულს უწოდებს, ამიტომაც აღიარებს, საბჭოეთმა მოგვატყუაო. (ჟიდი 1978:140). „— დიახ, — სწერს ჟიდი პოლ ნიზანს პასუხად, — ვადასტურებ, რომ საბჭოეთში ყველაფერი იცვლება, მაგრამ არა იმ მიმართულებით, რომელსაც ვიმედოვნებდით“ (ჟიდი 1978: 95).

ჟიდმა მარქსისტული თეორია შეაქო, პრაქტიკა — დაიწუნა. სამწუხაროდ, მიხვდა, რომ შეცვლილი სოციალური გარემო ადამიანის ბუნებას ვერ შეცვლიდა. ახლადგამომცხვარ წითელ ბურჟუაზიას იგივე უარყოფითი თვისებები ჰქონდა, როგორც ნებისმიერი კაპიტალისტური ქვეყნის ბურჟუაზიას. საბჭოეთი, რომელიც სილატაკისთვის თავის დაღწევას აპირებდა, ლატაკებს ვერ იტანდა: „განა ეს ის ხალხია, რომლებმაც რევოლუცია მოახდინა? არა, ეს ისინი არიან, რომლებმაც რევოლუციით ისარგებლეს. ეს ადამიანები შესაძლოა კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ, თუმცა მათ სულელები კომუნისტური აღარაფერია დარჩენილი“ (ჟიდი 1978: 142). თუ მეფის რუსეთში მშრომელი ადამიანი თავის ბატონს სახეზე სცნობდა, ახლა მას უჩინარი ექსპლოატატორი ჰყავდა, ამიტომ, წარსულისა და აწმყოს შორის, ჟიდი წარსულს ანიჭებს უპირატესობას. სიმბოლურია, რომ ლენინგრადში ჩასულს, იქ მხოლოდ სანკტ-პეტერბურგი მოეწონა; ამიტომაც არ დამალა სამშენებლო მოედნად ქცეული მოსკოვის უსახურობა და ამით მიწასთან გაასწორა ქალაქის აღმშენებლობაცა და მსოფლიოს დედაქალაქად ქცევის ამბიციებიც (ჟიდი 1978:34).

წინასწარ დაუგეგმავი შეხვედრების თუ ბავშვთა დასასვენებელ სახლებში ხუთჯერადი კვების ქება შეიძლება სტუმრის მოვალეობის მოხდად მივიჩნიოთ და ვერ დავეთანხმებით, მაგრამ გარეკახეთისა და ბორჯომის ხეობის მშვენიერება და ვუდასტუროთ (ჟიდი 1978:30). ჟიდი ყველაფერს გულდასმით აღწერს: ბავშვთა სახლები, ლუნა-პარკი, ხალხმრავალი საცეკვაო მოედნები, სადაც ეროვნული და თანამედროვე სიმღერები ჟღერს და, იმხანად, ძალიან მოდური პარამუტით ხტომა. მწერალს არ გამოპარვია თეტრები ღია ცისქვეშ, რომლებშიც ერთმანეთს ენაცვლება მედიცინაში საჯარო ლექციების ანატომიური პლაკატები და ლიტერატურული ინსცენირებების დეკორაციები. თვალეზანთებული ახალგაზრდობა და უსასრულო რიგები, რომლებშიც მორჩილად დგას თბილისისა თუ ლენინგრადის, ყირიმისა თუ აფხაზეთის „გულთბილი მოსახლეობა“, რომელიც ყველაფერს ყიდულობს, იმასაც კი, რისი ყიდვაც, დასავლელ ადამიანს აზრად არ მოუვა (ჟიდი 1978:145). ჟიდი იმედოვნებს, რომ ოდესმე საბჭოეთშიც ისწავლიან კარგი საქონლის წარმოებას და რაოდენობა ხარისხში გადაიზრდება (ჟიდი 1978:35).

„შესწორებები“, რომელიც თავისი არსით უფრო კრიტიკულია ვიდრე პირველწყარო, საბჭოეთში მოგზაურობის ერთი წლის თავზე იბეჭდება. ამ ნაშრომმა კომუნისტებისადმი სიმპათია დაასამარა. პირველ წიგნში ჟიდი ეკონომიკურ საკითხებში თავის არაკომპეტენტურობას აღიარებს, მეორეში მხოლოდ სტატისტიკის ენაზე მეთყვევებს. 1936/37 წლებში, საბჭოეთის ხელმძღვანელობა ხალხს წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრას შეჰპირდა და პრობლემის გადასაჭრელად ბევრი სკოლა დაარსა, თუმცა, სტასისტიკური მონაცემებით, 50 000 მოსახლეზე უფრო ნაკლები სკოლა გახსნა, ვიდრე იმდენივე მოსახლეზე მეფის რუსეთში არსებობდა. მასწავ-

ლებლის ხელფასს რომ ნაკლები მსყიდველობითი უნარი ჰქონდა, ვიდრე 1923 წლამდე, ამას კრუპსკაიაც აღიარებდა და ჟიდს არც ეს გამოჰპავია (ჟიდი 1978:109). მწერალი დასძენს, რომ წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციას მასწავლებლების ლიკვიდაცია დაასწრებდა, რადგან ნახევარი წლით დაგვიანებული ხელფასის გამო, პედაგოგები შიმშილისგან სიკვდილისთვის იყვნენ განწირულნი (ჟიდი 1978: 112). ბულატრეგზე საუბრისას ჟიდი ირონიულ ტონს ვერ მალავს: მათ არაკომპეტენტურობას მწერალი სასკოლო რვეულების წუნიან პარტიას აბრალებს და გამრავლების ტაბულის შეცდომებით ხსნის (ჟიდი 1978:112). პირველ წიგნში ჟიდი იმედს გამოთქვამს, რომ ყაირათიანობას საბჭოეთშიც ისწავლიან და რაოდენობას ხარისხს არ ანაცვალენ, კაპიტალიზმის გასწრების იდეით შეპყრობილნი, სასახლეებსა და უზარმაზარ ქარხნებს არ ააგებენ, ხოლო მუშებს ბარაკებში არ შეპყრიან (ჟიდი 1978:101).

ადამიანის უფლებებზე მსჯელობისას ჟიდი ირონიასა და სარკაზმს ივნიყებს. საბჭოეთში თანასწორობა არ არსებობდა, მაგრამ თავისუფლებაც ილუზორული იყო. ჟიდისთვის კი ადამიანის და შემოქმედის თავისუფლება ყველაზე მნიშვნელოვანი რამ გახლდათ (ჟიდი 1978:107). ჩვენი აზრით, ეს მწერლის საბჭოეთში ჩასვლის და იმედგაცრუების კიდევ ერთი მიზეზია. ჟიდს მიაჩნდა, რომ შემოქმედი თავისი არსით ანტიკონფორმისტია: იგი ყოველთვის დინების საწინააღმდეგოდ უნდა მიცურავდეს, მაგრამ საბჭოთა კავშირში ერთხელ და სამუდამოდ დადგინდა — ყველაფერზე მხოლოდ ერთი აზრი შეიძლება არსებობდეს (ჟიდი 1978:64). საბჭოელი ადამიანის ცნობიერება ისე ჩამოყალიბდა, რომ კონფორმიზმი მისთვის შემანუხებელი არ იყო. საბჭოთა მთავრობას აწყობდა მხატვრების და ლიტერატორების მხარდაჭერა, რასაკვირველია — მხოლოდ ტაშისმკვრელების, ვინც მთავრობას მორჩილად მსახურებდა. ერთი შეხედვით ეს კორუფცია არ იყო. სტალინს მხოლოდ პატიოსანი და მოუსყიდავი პიროვნების ეშინოდა და არა იმის, ვისაც საბჭოეთში სამ-სამი მანქანა, ბინა და ოჯახი ჰქონდა (ჟიდი 1978:145). ჟიდი გაზეთ „პრავდას“ კორესპონდენტზე, სატირული ჟურნალის — „კოკოდილი“ — დამაარსებელზე, მიხაილ კოლცოვზე მიუთითებს, რომელიც სტალინის ერთგულთა შორის იყო. იმხანად მეტად აქტიური კოლცოვიც სტალინის პირქუშ მზერას არ გამოჰპარვია: მანაც თავის მიერ განწირულთა ბედი გაიზიარა (ბიოგრაფიული... 2002:1).

შემოქმედის თავისუფლებაზე საუბრისას, ჟიდს ეიზენშტეინის მაგალითი მოჰყავს, რომელსაც ფილმის გადაღების შეჩერება აიძულეს და დოქტრინის ერთგულებას ორი მილიონი რუბლი გადააყოლეს (ჟიდი 1978:08). სიღარიბეში ჩაფლული საბჭოთა სახლემწიფოსთვის იდეოლოგია მატერიალურ დანაკარგზე მნიშვნელოვანი იყო, ამიტომ კინოსტუდიის ზარალზე არავინ დაფიქრებულა, თუმცა რეჟისორსაც არავინ დაეკითხა. ანდრე ჟიდი სინანულით ასკვნის, რომ არც ერთ სხვა ქვეყანაში, თვით ჰიტლერის გერმანიაშიც კი, ადამიანის ცნობიერება ისეთი დამონებული არ არის როგორც საბჭოეთში (ჟიდი 1978:108).

ჟიდი წერს: „ყველაფრის მიუხედავად, რუსი ხალხი ბედნიერია“, მაგრამ, თუ ღმერთი გაგინყრა და მონყენილონაბა შეგატყვევს, ციმბირში ამოგაყოფინებენ თავს. რუსეთში წუნუნის და წუნხილის ადგილი არ არის, ჩივილისთვის ციმბირი არსებობს (ჟიდი 1978:143). გაგაქრობენ. ტრაგიკული კი ის არის, რომ მრავალმილიონიან ქვეყანაში ადამიანების გაქრობა შეუძლებელია. საუკეთესონი ქრებიან და მხოლოდ არაფრითგამორჩეულნი მიიწვევენ წინ. წინსვლის უმოკლესი გზა კი დასმენაა. თუ საფრანგეთში მტერი გწირავს, საბჭოეთში — შენივე მეგობარი. ჟიდს რადეკის მიერ დასმენილი ზინოვიევის და კამენევის მაგალითი მოჰყავს (ჟიდი 1978:117). „მარქსიზმის ზოგიერთ თეორეტიკოსს ადამიანური სითბო აკლია“, — ირონიულად ასკვნის ჟიდი. „უსაფრთხოდ მხოლოდ ლოგონში, ცოლის გვერდით თუ ირძნობ თავს“, — ამბობს მწერალი და დასძენს: „ისიც, თუ მასში დარწმუნებული ხარ“ (ჟიდი 1978: 117). დასმენას რომ გადაურჩე, თავად უნდა დაასმინო. „უთვალავი მსხვერპლის კივილი ძილში ჩამესმის. ამ სტრიქონებს, რამაც თქვენი გულისწყრომა გამოიწვია, შეწირულთა კარნახით ვწერ და თუ ჩემი წიგნი მათთან ჩააღწევს, განწირულთა მღუმარე აღიარება ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე გაზეთ „პრავდას“ ქება ან ძაგება“, — მიმართავს ჟიდი თავის ფრანგ კოლეგებს (ჟიდი 1978:145).

ჟიდს უკვირდა, როგორ ვერ შეამჩნიეს სხვებმა ის, რაც მისთვის მალევე გაცხადდა. მწერალმა დაასკვნა, რომ საბჭოეთის ფრანგმა მეგობრებმა ყველაფერი იცოდნენ და პოლიტიკური მოსაზრების გამო სდუმდნენ, სოვიეტელები კი — შიშით. ანდრე ჟიდი კი გაჩუმებას არ აპირებდა: „ამხანაგებო, ალიარეთ, რომ თავად შეგიპყროთ წუხილმა. გაახილეთ თვალები, რადგან, ადრე თუ გვიან, ყველაფერი გაცხადდება და, როგორც პატიოსანი ადამიანები, თქვენს ურწმუნობას ინანებთ“ (ჟიდი 1978:145). საბჭოეთიდან დაბრუნებული ჟიდი, თანამემამულეებს ბრძოლისკენ კი არა, გულწრფელობისკენ მოუწოდებდა: „თვალთმაქცობა იმ დროს, როდესაც ადამიანის რწმენაზეა საუბარი — დაუშვებელია“, — აცხადებს მწერალი. „პატივმოყვარეობა უნდა დაივიწყო და შეცდომა მალევე ალიარო, რადგან იმათ წინაშე ხარ პასუხისმგებელი, ვინც შენი შეცდომის მსხვერპლად შეიძლება იქცეს. პიროვნებასა და სსრკ-ზეც მნიშვნელოვანი კაცობრიობის ბედი და მისი კულტურაა“ (ჟიდი 1978:147).

ანდრე ჟიდი საბჭოეთის წინააღმდეგ იდეოლოგიური ომის გაჩაღებას არ აპირებდა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ წიგნში — „დაბრუნება სსრკ-დან“ — ბუხარინის შესახებ სიტყვაც კი არ დაუძრავს. (ჟიდი 1978:152). საბჭოთა ცენზურის მახვილი მზერა წიგნის პათოსს, შეპარულ ქვეტექსტებს, ალბათ, ყურადღების მიღმა დატოვებდა. ჟიდი იმისთვის კი არ დაისაჯა, რომ ნანახმა გულწრფელად შესძრა, არამედ სტალინის კრიტიკა რომ გაბედა. ერთმა წინადადება — „საბჭოეთში პროლეტარიატის კი არა — პიროვნების დიქტატურაა“ — ფრანგი მწერლის ავტორიტეტი ეჭვის ქვეშ დააყენა (ჟიდი 1978:61). ჟიდისგან მონურ ქედმოხრილობას, მამებლობას ითხოვდნენ, ვასალურ ერთგულებას კი არა. ჟიდი არ შედრკა, რადგან საქმე კაცობრიობის ბედს ეხებოდა. მისი აზრით, ქვეყანას, სადაც სამართლიანობა კანონით არ არის დაცული, მწარე სიმართლე იარებით ინკურნება, სიცრუე — მხოლოდ მტერს ახარებს. სწორედ აზრის გამოთქმის სითამამე, სიმართლისმთქმელობა და ღრმა ფსიქოლოგიური წვდომის უნარი, ანდრე ჟიდის ნობელის პრემიით დაჯილდოვების საწინდარი გახდა (1947წ.) (ლაგარდი... 2003:279).

როგორც დემოფონტე ღმერთად ვერ აქცია დემეტრამ, ჟიდიც ვერაფერს გახდა: იგი პერსონა ნონ გრატა-დ გამოაცხადეს და საბჭოეთსაც არაფერი ეშველა (ჟიდი 1978:13). ერთი რამ კი ნამდვილად საინტერესოა: დღეს ჟიდის შემოქმედება, საფრანგეთზე მეტად, პოსტსაბჭოურ სივრცეშია პოპულარული.

დამონებიანი:

- ბრასელი 2004:** Brassel D. Manuel de la littérature française. Paris : Édition de Bréal/Gallimard, 2004.
- ბუიზინი 1993:** Buisine A. Magasine littéraire. Paris: Édition de Magasine littéraire., № 306, janvier 1993.
- დეგი 1993:** Deguy J.L' intellectuel et ses miroirs romanesques.[document from on-line]. (Paris:1993); available from www.books.google.com/booksisb=286531054X. internet.
- ლაგარდი... 2003:** Lagarde A., Michard L.Histoire de la littérature française.Paris : Éditon de Bordas, 2003.
- ლექსიკონი 2002:** Биографический энциклопедический словарь, Михаил Кольцов, [document from on-line]. (Москва: 2000); available from www.hrono.info/.../kolcov_me.html ;internet.
- მიტერანი 1988:** Mitterand, Henri. Histoire de la littérature française. Paris : Édition de NATAN, 1988.
- პაპერნი 2003:** Паперный, В,Вера и правда: Андре Жид и Лион Фейхтсвангер в Москве [Document on-line]. М.: «Неприкосновенный запас», 2003, № 4/30, accessed 22.11.09); available from <http://www.gideandru.ru/avtor-1007/>; internet.
- ჟიდი 1978:** Gide, André. Retour de l'U.R.S .S. Paris: Édition de Gallimard, 1978.

Totalitarianism from the Distant Perspective

The reasons of the emergence of the 20th century Georgian emigration are well known. Radical evaluations of Georgian emigrants of the Soviet totalitarian regime are natural. Although familiarization with the part of emigrant literary heritage available for us evidences that it is not uniform and stereotyped even in the context of this theme.

The main thing is that emigrant writing is free, not restricted with conjuncture, comparatively different vision of the events.

There are interesting positions of emigrant writers concerning Georgia's participation in the Second World War, also we attempted to investigate those criteria on the basis on which emigrant writers either consider or not the creative works as a text of totalitarian regime.

Key words: Georgian Emigration; Literary Heritage; Second World War.

ნათელა ჩიტაური

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ტოტალიტარიზმი შორეული პერსპექტივიდან

XX საუკუნის ქართული ემიგრაციის წარმოშობის მიზეზები ცნობილია. 1921 წელს საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარებისთანავე და შემდგომაც ბევრმა ქართველმა მოღვაწემ იძულებით დატოვა სამშობლო. ამდენად მოსალოდნელია საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მათეული რადიკალური შეფასებანი. თუმცა ემიგრანტული მემკვიდრეობის ჩვენთვის ხელმისაწვდომი ნაწილის გაცნობამ და შესწავლამ ცხადყო, რომ ის არ არის სწორხაზოვანი და შაბლონური თუნდაც ამ საკვლევი თემატიკის კონტექსტში.

მთავარი ამ კონკრეტულ შემთხვევაში მაინც ის არის, რომ ემიგრანტული მწერლობა კონიუნქტურისაგან თავისუფალი აზროვნებაა, მოვლენების შედარებით თავისუფალი ხედვაა. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ფასეულია სწორედ საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმთან მიმართებაში. ამდენად საინტერესო და საკვლევი ემიგრანტული სამყაროს გადასახედიდან დანახული XX ს. საქართველოში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკური და კულტურული პროცესები. განსაკუთრებით საინტერესოა მრავალფეროვანი ემიგრანტული პუბლიცისტიკა, ამ შემთხვევაში ვიმსჯელებთ ორი საკითხის შესახებ.

1. საზოგადოებამ უნდა გაცნობიეროს ემიგრანტ მოღვაწეთა პოზიცია საქართველოს II მსოფლიო ომში მონაწილეობის შესახებ.

რეალობა შემდეგი იყო: საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა და ამ სისტემის მოთხოვნა – საქართველოს ებრძოლა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ – ქართველ ემიგრანტთა უმრავლესობისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ეს ნათლად აისახა მათ ქმედებებში.

ბევრი ემიგრანტი მოხალისედ შევიდა გერმანულ ჯარში. ემიგრანტთა ერთმა ჯგუფმა საქართველოს გადარჩენისათვის მზრუნველი კომიტეტი ჩამოაყალიბა. კომიტეტის თავმჯდომარედ სპირიდონ კედია აირჩიეს. მისი წევრები იყვნენ: შალვა ამირეჯიბი, ზურაბ ავალიშვილი, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანბატონი, გენერალი გიორგი კვინიტაძე, ლადო ახმეტელი, მიხეილ წერეთელი, ლეო კერესელიძე, დავით ვაჩნაძე, კიტა ჩხენკელი, გრი გოლ რობაქიძე, შალვა მაღლაკელიძე. ყველას სწამდა, რომ თუ გერმანია საქართველოს დაიკავებდა, ქართველ ემიგრანტებს დიდი როლი უნდა შეესრულებინათ სამშობლოს ბედის გადარჩევტაში. ჩვენთვის ცნობილია გრ.

რობაქიძის მოღვაწეობაც. მწერალი 1931 წელს, გერმანიაში ჩასვლისთანავე, სწრაფად მოექცა „რაიხის გიგანტური ბრძოლის შუაგულში“ (ამგვარად შეაფასა თავისი მოღვაწეობა 1944 წ. ჰაინრიხ ჰიმლერისადმი გაგზავნილ თხოვნა-მიმართვაში) (ბაქრაძე 1999: 177).

გერმანელთა ხელშეწყობით ვიქტორ ნოზაძემ 1944 წელს ბერლინში გამოსცა ჟურნალი, ზემოთ აღნიშნული კომიტეტის პერიოდული გამოცემა, „ქართველი ერი“. ცნობილია, რომ ვიქტორ ნოზაძემ ერთხანს ფაშისტის ფარაჯაც კი ჩაიცვა.

ილია ჭავჭავაძის იდეების გამგრძელებლის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის, სპირიდონ კედიას სახელი (1921 წ. ის საქართველოდან გაასახლეს), როგორც ფაშისტისა, ჩვენში აკრძალული იყო. ცნობილია, რომ სპირიდონ კედიამ წერილი მისწერა ადოლფ ჰიტლერს, რომელშიც ის მზადყოფნას გამოთქვამდა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად (წერილი დაცულია კედიას მეუღლის სოფიო ჩიჯავაძე-კედიას მოგონებებში).

ვინ იყვნენ ეს ადამიანები? მოლაღატეები თუ პატრიოტები? სააკაძის სინდრომი – უცხოური ძალის გამოყენება საკუთარი მოძიებების დასამარცხებლად რამდენად გამართლებული იყო?

ფაქტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამგვარად: ზოგიერთი ქართველი ემიგრანტი „ფაშისტად“ აქცია ეროვნულმა სულისკვეთებამ. მათ სურდათ გერმანელთა დახმარებით აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებულობა. ამ შემთხვევაში შემფასებელს ბენვის ხიდზე უნევს გავლა, რომ მართებული დასკვნები გამოიტანოს. თემა მეტად ფაქიზია, ეს ხომ ტრაგედია იყო საქართველოს ისტორიაში.

კითხვებზე პასუხი აუცილებლად თვითონ გერმანიაში 1940-1944 წლებში გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებშია საძიებელი. ფაქტი ისიცაა, რომ ქართველ ემიგრანტებს ანტიბოლშევიკური პროპაგანდის, **საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის არსის ჩვენების და გამოკვეთის შესაძლებლობა** სწორედ II მსოფლიო ომის დროს მიეცათ. ეს შესაძლებლობა გამოიყენეს, მაგრამ შემდგომ კიდეც აღიარეს, რომ უცხო ძალა ვერ დაეხმარებოდათ ვერც საბჭოთა ტოტალიტარიზმთან ბრძოლაში და ვერც სამშობლოს განთავისუფლების საქმეში. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, — ეს დევიზი დამკვიდრდა ბევრი ემიგრანტის ცნობიერებაში.

2. XX ს. ქართული ემიგრაცია დაქსაქსული იყო, მაგრამ ერთი რამ აერთიანებდათ: ეს იყო ანტიკომუნისტური პროპაგანდა.

„რა ქნეს იქ? თურმე ყოველი რუსი და სომეხი, რომელიც საქართველოში დაიბადა, ქართველად იწერება საქართველოში. განა თუ ამისთანა ციხე შიგნიდან მაგარი იქნება“ (კვალაშვილის წერილი ვ. ნოზაძისადმი. 1967 წ. მ. კვალაშვილი – პოლონეთში ემიგრირებული ქართველი ოფიცერი).

... თქვენ წერთ ევროპულ ყაიდაზე. ზრდილობიანად. ისინი ვერ მიხვდებიან მაგას. მათ უნდა პასუხი ლანძღვა-გინებით... თუ არა, ისინი ჩათვლიან ამას ჩვენ სისუსტეთ... შეხედე მათი პლენუმის სურათს. დაბნეული პირის სახეები. მოწყენილი. უცდიან, რას უბრძანებენ“... (ფრაგმენტი აკაკი კვალაშვილის ბარათიდან ვიქტორ ნოზაძისადმი. 1966 წ.).

ვიქტორ ნოზაძის აზრი XX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ ზოგადად ასეთია (ეს შეხედულება მის არაერთ პუბლიცისტურ წერილში გვხვდება): საქართველოს თავისუფლების დაკარგვისა და ბოლშევიკური წესწყობილების დამყარების შედეგად ქართული მწერლობის თავისუფალი განვითარება შეწყდა. კომუნისტური პარტიის გადაულახავი დადგენილების მიხედვით მწერლებს უნდა ეწერათ მხოლოდ განსაზღვრულ საკითხებზე და ამ მიმართულებით მათ მისცეს სავალდებულო ბრძანება — წერეთ ფორმით ნაციონალური, ხოლო შინაარსით სოციალისტური ნაწარმოებები. მხოლოდ ამ ნიადაგზე შეიძლება შემოქმედება და წერა. ზოგ მწერალი ჩეკას მსხვერპლი გახდა, დახვრიტეს ნიკოლო მინიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ტიცვიან ტაბიძე, თავი მოიკლა პაოლო იაშვილმა. სხვა მწერლებმა მოისურვეს გაჩუმება, მაგრამ მათ ამის ნება არ მისცეს — გაჩუმება საბჭოთა წესწყობილების წინააღმდეგობას ნიშნავსო! ამიტომ კომუნისტურმა ხელისუფლებამ ქართველი მწერლები ძალით ააღაპარა და ათქმევინა ქება ქარხანაზე და კოლექტივზე.

ნერილში „ბოროტისა მიზეზი“ ვიქტორ ნოზაძე წერს: რევოლუციამ დაიწყო თავის შვილთა გადასასვლა, საბჭოთა კავშირში დახვრიტეს ბოლშევიკური ბელადები... იგივე მოხდა თბილისშიც (ნოზაძე 1937: 2-3).

საინტერესოა ვიქტორ ნოზაძის ნერილი „მალანა“ და მალანია“. ვიქტორ ნოზაძე ქართველი საბჭოთა მეცნიერების ერთ-ერთ თვისებად ტრაბახს, ასევე თვითკმაყოფილებას და უსაფუძვლო თავმონონეობას მიიჩნევს, თუნდაც ამგვარად გამოთქვამს თავის აზრს: „უკვე კარგა ხანი არის მას შემდეგ, რაც ქართველი მკვლევარები უცხოეთში მოღვაწე ქართველებს დაეძებნენ. ეს საქები საქმეც არის, მაგრამ ამას ხშირად ტრაბახის, უხეირო პროპაგანდისათვის იყენებენ და თავი იმით მოაქვთ, რომ ჩვენ, საბჭოელები, ჩვენს წარსულს დიდად ყურადღებას ვაქცევთ და კვლევა-ძიება თავის უმაღლეს საფეხურზე გვაქვსო ატანილი“ (ნოზაძე 1970: 4).

ჟურნალ „კავკასიონის“ 1967 წლის მე-12 ნომერში დაიბეჭდა ვ. ნოზაძის ნერილი „არგონავტებიდან სტალინამდე“, ხელმოწერით „ლიკსუს“. ეს არის მიმოხილვა ბელგიელი აკადემიკოსის პროფესორ ჟერარ გარიტის სამი ნერილისა. ეს ნერილები გამოქვეყნდა ბრიუსელის გაზეთში „თავისუფალი ბელგია“, ნერილები დაინერა ჟერარ გარიტის საქართველოში ყოფნის შემდეგ. პროფესორი აქ დაესწრო რუსთაველის 800 წლის იუბილეს, თავისი შთაბეჭდილებები, ასევე საქართველოს ისტორიის და კულტურის მოკლე მიმოხილვა, ნერილების სახით გამოაქვეყნა.

ვიქტორ ნოზაძე ეჭვობს, რომ ნერილები საქართველოშიც დაბეჭდონ. ეჭვი გამოიწვია აკადემიკოსის მიერ გამოთქმულმა ზოგიერთმა მოსაზრებამ და ფაქტმა, მაგალითად: „1921 წელს წითელი არმია მოლაღატურად შეესია საქართველოს, გაძარცვა მისი დედაქალაქი და ქართული ჯარი გადათელა“. ასევე: „უცხო (ე. ი. უცხოელ) სტუმართა უმრავლესობას წარმოადგენდნენ მწერლობის პირნი, რომელთა არ აკლდნენ ზოგნი ბრწყინვალე უცნობნი, რომელთა დღემდე არ გამოუჩენიათ სხვა ნიჭი, გარდა იმისა, რომ ისინი წითელი მეღვინით სწერდნენო“.

ვ. ნოზაძე ამ უკანასკნელი სიტყვების შესახებ წერს: „ეს არის ჭეშმარიტება, მართლაც, თბილისის მონვეული ბევრი პირი იყო არც მეცნიერი, არც გამოჩენილი მწერალი; ისინი იყვნენ კომუნისტები, ან მოკომუნისტონი, ან საბჭოეთის მოტრფე პირები, ამ მწერლობაში უცნობი მჯღაბნელები. ამას განგებ აღვნიშნავ, რადგან თბილისურმა გაზეთებმა თვალი შეგვიწუხა უცხოელ სახელთა წერით და ყური გამოგვიჭედა მათი ქებით...“.

ვიქტორ ნოზაძე იმის შესახებ, რომ საბჭოური პრესა ცდილობს უცხოეთში დაბეჭდილი ნერილების თარგმნას, უცხოელი მეცნიერებისა და მოღვაწეების ქართული საზოგადოებისათვის გაცნობას, სხვაგანაც საუბრობს. თუმც მკვლევრის დასკვნა ასეთია: „საბჭოური პრესა, საბჭოთა მეცნიერება ცდილობს მსოფლიოს დაუმტკიცოს თავისი მრავალმხრივობა, მასშტაბურობა, რომ ის არაფერს ტოვებს, ყველაფერს თვალყურს ადევნებს, მაგრამ სინამდვილეში ეს ყველაფერი ემსახურება ერთ მიზანს: ქართულ პრესაში გამოჩნდეს მხოლოდ ის მასალა, რაც შეაქებს და ხოტბას შეასხამს საბჭოთა რეჟიმს, კომუნისტური პარტიის „ბრძნულ“, „უცთომელს“, „თავდადებულს“ მუშაობას“.

თუმც ვიქტორ ნოზაძემ ისიც შენიშნა, რომ ჟერარ გარიტი ნერილების ამ სერიას „გაზვიადებული იმედით“ ამთავრებს: „დღეს საქართველოში გაიფურჩქნა ეროვნული კულტურა, მიმდინარეობს დეკოლონიზაცია... იმპერიათა ღირსება ის არის, რომ მათ აღიარონ და პატივი სცენ პატარა ერების სიდიადეს“.

ვიქტორ ნოზაძე ჟერარ გარიტის ამ საიმედო სიტყვების საპირისპიროდ ამბობს: „დღეს, როგორც არასდროს, რუსიფიკაციის საშუალება და პრაქტიკა ისეთი ძლიერია, რომ მეფის მთავრობა ვერც კი იოცნებებდა. მას არც სინემა, არც ტელევიზორი, არც რადიო, არც ისეთი ცენზურა გააჩნდა და მრავალი სხვა ზომა ხალხთა ასიმილაციისათვის და ერთი რუსული ერის შესაქმნელად, სხვა კიდევ მრავალი ზომა – პარტიული დიქტატურის სახით, რასაც დღეს სატანურად ფლობს მოსკოვი – სიტყვას აღარ ვამბობ იმ პირნავარდნილი ეკონომიური კოლონიალიზმის შესახებ და საერთოდ საბჭოური კოლონიალიზმზე, რაც დღეს ერთადერთია მთელ მსოფლიოში“.

საერთოდ ვიქტორ ნოზაძე წერს, რომ კომუნისტურმა პარტიამ რუსთაველის იუბილე თავისი პარტიული მიზნებისათვის გამოიყენა, როგორც პოლიტიკური კამპანია. აქვე მოაქვს ნაწყვეტი „საქართველოს კომუნისტიდან“ (1966 წ.): „ლიტერატურ-

რის კლასიკოსის იუბილე – ეს პოლიტიკური კამპანიაა, რომელიც პარტიას ეხმარება მშრომელი მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში, ...ამიტომაც იდღესასწაულა კომუნისტურმა საქართველომ რუსთაველის 800 წლის იუბილე, მხოლოდ ქართველ პატრიოტებსა და ქართველ ხალხს ამ მიზნით არ უდღესასწაულია... არც უცხოეთში, რა თქმა უნდა“ (ნოზაძე 1967: 12).

3. ქართველი ემიგრანტები სამშობლოდან დაკავშირებულად სხვადასხვა კონსპირაციულ ხერხს მიმართავდნენ. ემიგრანტულ პრესაში გამოქვეყნებულ ვიქტორ ნოზაძის, გრ. რობაქიძის, ვლ. ბაქრაძის, ნოე ჟორდანიას, ალ. მანველიშვილის, ზ. ავალიშვილის და სხვათა ლიტერატურულ-კრიტიკულ ნარკვევებში და პირად წერილებში განსჯის საგნად ხშირადაა ქცეული საქართველოში გამოსული წიგნები (მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ და სხვა რომანები, კ. გამსახურდიას, კ. ლონთეიფანის, რ. ჯაფარიძის, ალ. ქუთათელის და სხვათა რომანები).

...კონია გამსახურდია... დიდი ერუდიციის კაცი უნდა იყოს ... უცნობი პიროვნების სიკვდილი არასოდეს ისე არ მწყენია, როგორც მიხეილ ჯავახიშვილისა. ის დიდი და გამბედავი მწერალი იყო. წამიკითხავს მისი „არსენა მარაბდელი“, „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „თეთრი საყელო“, მოთხრობები. სტალინს ცოტა ქართული გრძნობა რომ ჰქონოდა, ის უნდა გადაერჩინა (პავლე კვარაცხელიას წერილი ვიქტორ ნოზაძისადმი. 1960 წ.).

„ახლა ერთ ქართველ მწერალს რევაზ ჯაფარიძეს განუზრახავს რომანის დაწერა მეფესა და ერისთავზე, ვიცი, რა უსამართლო და ფაქტების გამყალბებელი იქნება...“ (ფრაგმენტი გივი კობახიძის წერილიდან ვიქტორ ნოზაძისადმი. 1968 წ.).

„თბილისიდან მივიღე წიგნები. მათ შორის ალ. ქუთათელის რომანი „პირისპირ“. შეეხება რევოლუციას და საქართველოს. ამისთანა რამ როგორ დაიწერა ქართული ასოებით“, მაგრად გააკრიტიკეთ. მე გავგზავნი თბილისში. ჩემთვის პირდაპირ სამარცხვინო შინაარსიანი წიგნია. ანტიქართული მასალა. რუსებისა და სომხების საზიემოდ და სასიხარულოდ... მაქვს და წავიკითხე რევაზ ბარამიძის ნაშრომი „ქართული საისტორიო პროზა... ძალიან მომეწონა... რა ლამაზია ქართული ენა... (მიხეილ კვალიაშვილის წერილი ვიქტორ ნოზაძისადმი. 1967 წ.).

„გავიგე, რომ თბილისში ვინმე სიღამონიძეს გამოუცია წიგნი, რომელშიც აღწერილია ჩვენი ერის თავგადასავალი 1917-1921 წწ. ... დიდი ალიაქოთი გამოუწვევია... სიღამონიძე პარტიიდან გააგდეს და კიდევ ექვსი პიროვნება დაუსჯიათ, როგორც წიგნის გამომცემლები“ (მიხეილ კვალიაშვილის წერილი ვიქტორ ნოზაძისადმი. 1967 წ.).

ვიქტორ ნოზაძე: „საქართველოში ქართველოლოგიური ძიება ჩაკეტილი და შემოზღუდულია რკინის ფარდით, ... ამიტომ ხშირად უცნობი რჩება უცხოელი სპეციალისტებისათვის მაშინ, როდესაც „უცხოელ და ქართველ სპეციალისტთა მუდმივი ურთიერთობა ქართველოლოგიის განვითარების საქმეში აუცილებელია მეცნიერების წინსვლისათვის“ (ნოზაძე 1964: IX).

ვიქტორ ნოზაძემ „კავკასიონის“ 1970 წლის მე-14 ნომერში დაბეჭდა წერილი ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამის“ შესახებ. ნიჭიერი მწერალი, იუმორით დაჯილდოებული და **კრიტიკულად მოაზროვნე** (ზახგასმა ვ. ნოზაძისა), რაც მეტად იშვიათი შემთხვევაა საბჭოთა მწერლობაში“ (ნოზაძე 1970: XIV).

ემიგრანტულ მოღვაწეთა შორის დიდი კამათი გამოუწვევია ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებს“. რომანი საქართველოში 1924 წ. მნათობში დაიბეჭდა. როგორც ირკვევა, პარიზში იმავე წელს მიიღო ვლ. ბაქრაძემ. 1929 წ. ჟ. „კავკასიონში“ დავა გაიმართა ამ რომანის გარშემო. ერთი მეორის მიყოლებით, მე-2, მე-3 და მე-5 ნომრებში გამოქვეყნდა ვლ. ბაქრაძის, ვიქტორ ნოზაძის, ისიდორე მანსკავას წერილები. ამ შემთხვევაში მოქმედ პირთა ხასიათების წარმოჩენის კვალდაკვალ გამოკვეთილია ავტორთა აზრი საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის შესახებ.

ვლ. ბაქრაძის წერილში „კრიტიკული შენიშვნები - „ჯაყოს ხიზნების“, რომანი მ. ჯავახიშვილისა“ პირდაპირ გაცხადებულია. „სტალინი - ჯულაშვილი - იგივე ჯაყოა, რომელმაც „უსუნა“ ცოტა, ასე ვთქვათ, ცივილიზაციას და დიზეპირა რამოდენიმე მარქსისტული ფორმულა. ... გაათავისუფლეთ ბოლშევიზმი მისი ფრაზეოლოგიიდან, რევოლუციონური რიტორიკიდან, ახადეთ მას ნილაბი და თქვენი მიიღებთ ჯაყოს“. ... საკმარისია ერთი ჯაყო ბოლშევიზმის გაცნობად... მომავალი ისტორიკოსისათვის საკმარისი იქნება მხოლოდ ჯაყოს გაცნობა, რომ გაიცნოს მთელი ეპოქა ბოლშევი-

კური ტირანიისა, მისი ფსიქოლოგია, ზნე-ჩვეულება, მორალი, კულტურა, ფილოსოფია, ხელოვნება...”

... „შეფხიკეთ ცოტა სტალინი, ლუნაჩარსკი, ტროცკი, ზინოვიევი, მოაშორეთ გარეგნული ლაქი... ცრუ მარქსისტული ფრაზეოლოგია, რიტორიკა და თქვენ მიიღებთ ჯაყოს უკვდავი ფორმულით: „ასე ვიცის ჯაყომა“. ... ჯავახიშვილმა ჩამოიყვანა ბოლშევიზმი რევოლუციური პიედისტალიდან“... (ბაქრაძე 1929: 2).

ვლ. ბაქრაძის აზრით, თეიმურაზი არ არის დამაჯერებელი, ბუნებრივი მხატვრული სახე. ის მოგონილია, ყალბი ხასიათია, ვიქტორ ნოზაძის აზრით კი, ხევისთავი ლუარსაბ თათქარიძის მემკვიდრეა, ის ახალი ლუარსაბია. „ნუ დავხუჭავთ თვალებს და თეიმურაზებს საქართველოში ბევრს დავინახვთ. ის არ არის მოგონილი ... სხვა პირობებში თეიმურაზს ასე მკაფიოდ ვერ გავიცნობდით. ის მეტად და ცხადად გამოჩნდა სწორედ ბოლშევიკურ რეჟიმში, რომლის გამოცდა, ეგზამენი არის არა მარტო თეიმურაზისათვის, არამედ მთელი ერისათვის“ (ნოზაძე 1929: 5).

ისიდორე მანწკავა მიხეილ ჯავახიშვილს აკრიტიკებს ქართველი ინტელიგენციის დამცრობის გამო. „ჯავახიშვილი ცილს სწამებს ინტელიგენციას, რომ თითქოს მან მოამზადა 1921 წ. ტრაგედია... გავიხსენოთ: „თეიმურაზი სხვებთან ერთად ღრღინდა და სჭრიდა იმ ტოტს, რომელზედაც არხინად ეძინა... ჯაყოობის არსს თუ გამოვარკვევთ, ადვილად აიხსნება ქართველი ინტელიგენციის ტრაგედია... ქართველ ინტელიგენციაში ხევისთავები არაა ... კუზიანი და მახინჯი ყველა ოჯახში შეიძლება დაიბადოს!“ (მანწკავა 1929: 26).

როგორც ვხედავთ, ვლ. ბაქრაძე და ი. მანწკავა, ვიქტორ ნოზაძისაგან განსხვავებით, თეიმურაზს ქარველი ინტელიგენციის ტიპიურ ხასიათად არ მიიჩნევენ და ტრაგედიის, 1921 წ. მოვლენების უმთავრეს მიზეზს არა ინტელიგენციის ნიაღში, არამედ ბოლშევიკური რეჟიმის არსში ეძიებენ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ემიგრანტ კრიტიკოსთა მსჯელობის გზები აქ იყრება. ვფიქრობთ, საინტერესო ფაქტია. ჩანს, ზოგიერთნი უფრო მკაცრნი და ულმობელნი არიან საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის შეფასებისას. აზრთა ამგვარი სხვადასხვაობა სხვა შემთხვევაშიც შეინიშნება.

საქართველოში გამოცემული ნიგნების შეფასებისას იკვეთება ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც ემიგრანტი მოღვაწეები რომელიმე ნაწარმოებს მიიჩნევენ ან არ მიიჩნევენ **ტოტალიტარული რეჟიმის ტექსტად**. ამჟამად, რომ **შეფასებათა საფუძველი არის არა წინასწარგანწყობა, არამედ თავად ტექსტი**. ემიგრანტთა მსჯელობებში შერწყმულია ევროპული აზროვნება და ქართული ტრადიციული ხედვა. ემიგრანტთა უმრავლესობისათვის მიუღებელია ნაწარმოები, რომელიც შექმნილია წინასწარშეშავებული სქემებით, „მარჯვე და გაჩვეული ხელით“. მხატვრულ ტექსტში ეძებენ პერსონაჟის ძალდაუტანებელ ფსიქოლოგიზმს, ცოცხალი მალამომხატვრული ენობრივი ქსოვილის საშუალებით შექმნილ არაზედაპირულ, არაშაბლონურ ხასიათებს. ვლ. ბაქრაძე „ჯაყოს ხიზნების“ განხილვისას აღნიშნავდა: „რომანის გმირი უნდა ლაპარაკობდეს იმას, რასაც ის ფიქრობს და არა იმას, რასაც ფიქრობს მისი ავტორი... მხატვრული ლიტერატურის საგანია არა ნატურალიზმი, არამედ ფსიქოლოგიური განცდები...“ (ბაქრაძე 1929: 2).

ჩანს, ემიგრანტებისათვის მნიშვნელოვანი იყო მხატვრული ენა, როგორც პერსონაჟის ფსიქოლოგიის ასახვის, მისი ხასიათის არაზედაპირული, უხილავი შრეების წარმოჩენის, არაცნობიერის გამომჟღავნების საშუალება. ყოველივე ამისაკენ ემიგრანტ მოღვაწეებს, ალბათ, ევროპული აზროვნებაც უბიძგებდათ. ემიგრანტთა უმრავლესობისათვის მიუღებელი იყო ის პომპეზური იუბილეები, საღამოები, რომლებიც საქართველოში ტარდებოდა და რომელთა გამოც მწერალი თითქოს შორდებოდა მკითხველს, უცხოვდებოდა ლიტერატურა, პერსონაჟიც. ბევრი ემიგრანტი მოღვაწე (თუნდაც ვიქტორ ნოზაძე) თვლიდა, რომ საბჭოთა საქართველოში შეფასებანი, კრიტიკული მსჯელობაც სქემატური, არაბუნებრივი და ზედაპირული იყო.

ზემოთ ვთქვით, რომ საქართველოში გამოსული ნიგნების შეფასებისას მთავარია არა ემიგრანტ კრიტიკოსთა წინასწარგანწყობა (ანუ სიძულვილი ბოლშევიკურ სისტემაში შექმნილის მიმართ), არამედ საღი აზრი... ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალიდან (პირად წერილებსაც თუ მოვიშველიებთ) ცხადია: „უცხოეთის ცის ქვეშ“, **სამანს იქით დარჩენილთ ახარებთ სამშობლოში მყოფ** თანამემამულეთა ყოველი

ნარმატება, ნებისმიერ სფეროში მომხდარი სასიკეთო ცვლილება, თუკი შეამჩნევდა მათი კრიტიკულად დადარაჯებული თვალი...

მ. კვალიაშვილი 1972 წელს საქართველოში ჩამოსვლა მოახერხა. ... რაც ვნახეთ, ცოტა გული გამიმაგრა ... დავრწმუნდი ქართული კულტურის სიძლიერესა და სიმავრეში... „აბესალომ და ეთერი დაიდგა“ ... ყოველნაირ გაჭირვებაში იბადება ეროვნული ძალა წინააღმდეგობისა“ (მ. კვალიაშვილის წერილი ვიქტორ ნოზაძისადმი, 1972 წ.).

1960 წელ პავლე კვარაცხელია ვ. ნოზაძეს წერს: „მომივიდა ჟურნალ-გაზეთები. ნავიკითხე გამსახურდიას ლამაზი „პროლოგი“, ექვთიმე თაყაიშვილის წერილები. გამიკვირდა, რომ კიდევ ცოცხალი ყოფილა. ... საერთოდ გამიკვირდა და მიხარია: ეტყობა, ლიტერატურული და კულტურული მუშაობა სწარმოებს. მართალია, ერთგვარი „სტახანოვშჩინა“ იქმნება, იძულებული არიან იმუშაონ. თუ მწერალი ხარ, უნდა სწერო, თორემ ვირის აბანოში ამოჰყოფ თავს. ... მაგრამ ქართველ ხალხს მაინც ეძლევა საშუალება განათლების მიღებისა“.

ემიგრანტულ მასალაში ერთი საინტერესო დაკვირვებაც იკვეთება. ფაქტია, ემიგრანტი მოღვაწეებისათვის მიუღებელი იყო **საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა, მაგრამ მათ ისიც შეამჩნიეს, რომ სამშობლოს გარეშე მოღვაწეობამ მათ ბევრი რამ დააკარგვინა, მშობლიურ ფესვებს მონყვეტილებმა** ისე ვერ იღვანეს, როგორც შეეძლოთ. **მათ აღიარეს ერთი რამ: მშობლიური გარემო თითქოს „ათამამებს“ შემოქმედს, „აიძულებს“** შექმნას უფრო ფასეული და ღირებული ანუ ბოლომდე გამოიყენოს თავისი შესაძლებლობანი, ინტელექტუალური პოტენციალი. ლავრენტი კვარაცხელიას (ჟურნალ „კავკასიონის“ ერთ-ერთი დამაარსებელი) ვ. ნოზაძისადმი მიწერილ წერილში გაჟღერებულია ამგვარი ფრაზა: „არსებობს ერთნაირი ბუნების კანონი, რომელსაც ვერ გადაუხვალ. შემოქმედება სამშობლოს წიაღის გარეშე ვერ გაიშლება“ (1964 წ.). წერილის ავტორს აქვე მოჰყავს გრიგოლ რობაქიძის, ბულგაკოვის, ვიაჩესლავ ივანოვის მაგალითები, რომლებმაც, მისი აზრით, ვერაფერი ფასეული შექმნეს ემიგრანტულ პერიოდში.

ემიგრანტებს იმის შიშიც ჰქონდათ, რომ მშობლიური ენის წყარო მათთვის იქ, უცხოეთში, არ დაშრეკილიყო. ეს შიში, ნუხილი არაერთგანაა გამოთქმული, თუნდაც ამის მსგავსად: „მე ერთხანს განვიზრახე ტოლსტოის ნაწარმოებები მეთარგმნა, მაგრამ ვერ შევძელი. ენის მასალა არ მეყო. თითქმის ნახევარი საუკუნეა, სამშობლოს წყაროს მოშორებული ვარ და **ენის ძირი გახმა**. აქ ხომ განახლებაზე ფიქრიც ზედმეტია. თანამედროვე აქაური ლიტერატურა ბევრს არ მიშველის...“ (ლავრენტი კვარაცხელიას წერილიდან ვიქტორ ნოზაძისადმი, 1964 წ.).

აქ ერთი რამ გვინდა შევნიშნოთ. დღესდღეობით არსებობს ერთგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულება ემიგრანტული მხატვრული ლიტერატურის მიმართ. შესაძლოა, ეს ნიჰილიზმი ნაწილობრივ მართალიცაა და სწორედ ზემოთაღნიშნულ მოსაზრებას ეყრდნობა... ეს საკითხები საკამათოა თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ნიჭიერებას, ღვთით მომადლედულ უნარს წინ ვერაფერი დაუდგება (გავიხსენოთ დავით გურამიშვილი), თუმცა იმ აზრს, რომ მშობლიური გარემო არაჩვეულებრივი ნიადაგია შემოქმედისათვის, აქვს არსებობის უფლება...

მთავარი შემდეგია: **XX** ს. ქართველი ემიგრანტი მოღვაწეებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი არასდროს იქნებოდა მისაღები, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალების შესწავლისა და დაკვირვების კვალდაკვალ ისიც ცხადია, რომ მათი შეფასებანი არ არის შაბლონური, წინასწარ შემუშავებულ სქემებზე მორგებული... ბოლშევიზმის სიძულვილის მუხედავად, გულით ხარობდნენ იქ, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში შექმნილი კარგი ნიგნის წაკითხვისას... არა მხოლოდ ხარობდნენ... ესმოდათ, რომ იქ, საბჭოთა საქართველოშიც შეიძლებოდა შექმნილიყო უფრო ფასეული, მნიშვნელოვანი და ამას ჰქონდა თავისი მიზეზები: მშობლიური გარემო, ქართული ნიჭი, გენი და უნარი, რომელსაც ვერანაირი რეჟიმი ვერ ახშობდა. ეს იყო სალი აზრი და ხედვა... ეს იყო დიდი იმედიც...

დამონეშებანი:

ბაქრაძე 1929: ბაქრაძე ვლ. კრიტიკული შენიშვნები „ჯაყოს ხიზნების შესახებ“. რომანი მ. ჯავახიშვილისა. „კავკასიონი“, № 2, 1929.

ბაქრაძე 1999: ბაქრაძე ა. კარდუ. თბ.: 1999.

მანწკავა 1929: მანწკავა ი. ნერილი „ჯაყოს ხიზნების“ შესახებ. „კავკასიონი“, № 5, 1929.

ნოზაძე 1929: ნოზაძე ვ. „ჯაყოს ხიზნები“. „კავკასიონი“, № 3, 1929.

ნოზაძე 1937: ნოზაძე ვ. „ბოროტისა მიზეზი“. „ქართლოსი“, № 2-3, 1937.

ნოზაძე 1964: ნოზაძე ვ. „მცირე ინფორმაცია“. „კავკასიონი“, IX, 1964.

ნოზაძე 1967: ნოზაძე ვ. „არგონავტებიდან სტალინამდე“. „კავკასიონი“, № 12, 1967.

ნოზაძე 1970: ნოზაძე ვ. „მალან და მალანია“. „კავკასიონი“, XIV, 1970.

ჯანელიძე : ჯანელიძე ო. სპირიდონ კედია.

ვიქტორ ნოზაძის ეპისტოლური მემეკვიდრეობა. მისი და მისადმი მიწერილი წერილები. ხელნაწერი. დაცულია ქართული ემიგრაციის მუზეუმში.

RAMAZ CHILAI

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Literary-Critical Fragments of the Totalitarian Epoch

According to the Soviet conception socialist realism is the characteristic symptom of the leading countries' national literature. Its objective-historical principles are represented by the struggle of the working class directed against any kind of violence and oppression. The rise of such literature was determined by the Marxists-Leninist ideology, historical materialism, and the so-called scientific socialism (Communism). This ideology defined world-wide historical significance of the working class liberation movement. Socialist realism depicts revolutionary heroics. The creative credo of the soviet art (of the literature as well) was socialist realism. The socialist realism theory was filled with the dogmas and the statements of the vulgar-sociological characters. In this state the above-mentioned theory was used as a means of beurocratic pressure on art.

The position of Georgian writers and their creative activity seems to be very interesting against the background of the "great soviet" literature and the directives of the soviet curators.

Keywords: Socialist Realism; Marxists-Leninist Ideology; "Great soviet" Literature.

რამაზ ჭილაია

საქართველო, თბილისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტოტალიტარული ეპოქის ლიტერატურულ-კრიტიკული ფრაგმენტები

მხატვრულ-ლიტერატურული კრიტიკა შემოქმედის იდეური თვალსაწიერის დახვეწის, მისი ოსტატობის სრულქმნისათვისაა მონოდებული. 1921 წლის თებერვალში, საბჭოთა არმიის მიერ საქართველოს ოკუპირების შემდეგ, მარქსისტული იდეების ძალადობრივ დამკვიდრებას ქართველი ერის არაერთი ამბოხება მოჰყვა, თუმცა კი უშედეგო.

საბჭოური ხელისუფლების „ლეგიტიმაციით“ დასრულდა ლიტერატურის, ზოგადად ხელოვნების თავისუფლების ოქროს ხანა, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ხანმოკლე პერიოდში აღინიშნა. ბოლშევიკებმა კულტურის უმკაცრესი პოლიტიზირებით ერის სულიერი განვითარება რუსეთს დაუქვემდებარეს.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ტრადიციების დამკვიდრებით, საბჭოთა მხატვრულ-ლიტერატურულ კრიტიკას უნდა მოეცვა იდეურ შეფასებათა სიზუსტე, სოციალური ანალიზის სიღრმე, შერწყმული ესთეტიკურ მომთხროვნელობასთან.

კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა კრიტიკოსთა კადრების აღზრდა-შერჩევა, „მონინავე რევოლუციური“ თეორიული მომზადების საფუძველზე მათი კომუნისტური აღმშენებლობის პროცესში აქტიური ჩართვა. ამგვარად ეხილვებოდათ საბჭოური იდეოლოგიის მამებს, მათეული დადგენილებებით, მხატვრულ-ლიტერატურული შემოქმედების პროცესები.

კაცობრიობის განვითარების ისტორია ადასტურებს, რომ ერის სულიერების, ზოგადად კულტურის, განვითარება-აღმავლობა ყოველთვის არ თანხვედება სოციალურ-პოლიტიკურ წინსვლას. დასტურად საქართველოს ისტორიაც იკმარებდა.

ტოტალიტარულმა ეპოქამ უგულვებელყო ეს თეზა და ლიტერატურული პროცესები საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების უბრალო დანამატად გაიზარა.

ბევრი ლიტერატურათმცოდნე ამ პერიოდის მწერალთა ტექსტებს იმგვარი კრიტიკური მით აფასებდა, რომლებიც „ინფორმაციული სიზუსტით და ნატურალისტური სიმართლით ასახავდა საბჭოურ სინამდვილეს, ადიდებდა და ხოტბას ასხამდა ახალი დროის გრანდიოზულ მიღწევებს, აშიშვლებდა გარდასულ ეპოქათა სიბნელეს და მშრომელი ხალხის ნუგეშმოკლებულ მდგომარეობას“.*

პროლეტარულ მწერალთა და კრიტიკოსთა ერთი ნაწილი შეთანხმებულად დაირაზმა კლასიკური კულტურული მემკვიდრეობის საწინააღმდეგოდ. მათ ეს მემკვიდრეობა ახალი ეპოქისათვის კარდინალურად მიუღებლად, რეაქციულ მოვლენად გამოაცხადეს. რევოლუციური აზრების დამამკვიდრებელი პროლეტარული იდეოლოგიისათვის მავნე და შეუთავსებელ, ზიანის მომტან კონცეპტებად აღიქვამდნენ კლასიკურ ტრადიციასა და მასზე ლოგიკურად დაფუძნებულ მწერლობას, ხელოვნებას ზოგადად.

ხელისუფლება და მისი ინტერესების სახალხოდ გამავრცელებელი პარტიული სალიტერატურო კრიტიკა მეთოდურად ცდილობდა „საბჭოური იდეოლოგიის ხაზის“ ეჭვშეუვალად გატარებას.

საბჭოთა მწერლობის მეზარაზტრე მაქსიმ გორკი წერდა (დასაშვებად მივიჩნევ, რომ ყოველთვის ამგვარად არ ფიქრობდა. რ. ჭ.): „შეთხზვა ნიშნავს რეალურ მონაცემთა ჯამიდან ძირითადი აზრის ამოღებას და სახეში განსახიერებას – ასევე ჩვენ მივიღებთ რეალიზმს, მაგრამ თუ რეალურ მონაცემთაგან ამოღებულ აზრს, ჰიპოთეზას ლოგიკის მიხედვით, დავუმატებთ სასურველ ვარაუდს, რითაც შესაძლოა სახის კიდევ შევსება, — მივიღებთ იმ რომანტიზმს, რომელიც უაღრესად სასარგებლოა იმით, რომ ხელს უწყობს სინამდვილისადმი რევოლუციური დამოკიდებულების აღგზნებას... რევოლუციური რომანტიზმი – არსებითად, ფსევდონიმია სოციალისტური რეალიზმისა“.

პარტიულ იდეოლოგთა თვალსაზრისით, სოციალისტური რეალიზმის მწერლობა უნდა დაპირისპირებოდა ტრადიციულ, კლასიკურ ტექსტებს, ვითარცა ნოვატორული, ახალი ტიპის მწერლობა. სოცრეალიზმი მოიაზრებოდა თვისებრივად განსხვავებულ მწერლობად. „შრომით, ოფლით, წვალბით, შიმშილით, გაჭირვებათა გმირული გადალახვით შექმნილ და აშენებულ სოციალისტურ საზოგადოებას მისი შესაფერისი მხატვრული ძალისა და ენერჯის ნაწარმოებები უნდა შეექმნა“. საყურადღებოა, რომ კომუნისტური მმართველობისგან ნაფერები არაერთი კრიტიკოსი სიამაყით აფიქსირებდა ამგვარ „ახლებურ“ ნაწარმოებთა შექმნას.

პროლეტარული სულისკვეთების მეხოტბე კრიტიკოსები წლების განმავლობაში მედგრად ებრძოდნენ იმ ხელოვანთ, ვისი ტექსტებიც პარტიისა და მთავრობის მიერ ყველაზე უპირატესი შემოქმედებითი მეთოდის – სოციალისტური რეალიზმის იდეოლოგიური დოგმატიზმის ტყვეობის ჩარჩოების გარღვევას ცდილობდნენ. ამ ნიადაგზე, საბჭოური ეპოქის სულიერი საგანძურის „მაგისტრალური ხაზის“ მიღმა იგულისხმებოდნენ ისეთი „არაჯანსაღი“ ლიტერატურული პროცესების მიმდევარნი, როგორც იყვნენ სიმბოლისტები, იმპრესიონიზმისა თუ მოდერნიზმის წარმომადგენლები. მათი უპატივებელი ცოდვა კი „ნათელი კლასობრივი ხედვის“ და „მასების რევოლუციური სულისკვეთების“ მოსაკლისება, უფრო სწორად, იგნორირება იყო. აქვე უნდა ითქვას, რომ ნაძალადევი და ნაყალბევი დოქტრინები, საბოლოოდ, ვერ უძლებენ დროში ხანგრძლივად არსებობას. სტერეოტიპული კლიშეები ყოველთვის ინგრევა ჭეშმარიტად პროგრესულად მოაზროვნე ლიტერატურათმცოდნეთა და თეორეტიკოსთა პოზიციით, მათი ნაწერებით.

XX საუკუნის ოციანი წლები გარდამავალ ხანად მოიაზრება საქართველოსთვის. ფაქტობრივად, ეს სამანი გახლდათ ამ ორ ეპოქას შორის, რომელთა კონფლიქტი 1921 წლის 25 თებერვლით არ დამთავრებულა. ამავე წელს დაფუძნდა „საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია“. როგორც „სწორი პარტიული ხაზის“ გამტარებელი კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, ამ იდეოლოგიურ დოქტრინას მიმხრობილები თავისი იდეური პრინციპებით მტკიცედ იდგნენ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. ხსენებული ასოციაციის პირველი ლიტერატურული ორგანო იყო ყურნალი

* აქ და შემდგომ ყველა ამონარიდი ტოტალიტარული ეპოქის ოფიციალური ტექსტებიდანაა (რ. ჭ.).

„ქურა“, რომლის დეკლარაციით, უნდა გადახედულიყო კლასიკური მემკვიდრეობა. საშური გახდა ლიტერატურულ მოღვაწეობაში მუშებისა და გლეხების ჩართვა, „მოდმე ერების“ ლიტპროდუქციის თარგმნა და გამოქვეყნება.

ეგზოტიკური დასახელების მქონე ლიტორგანოში გამოქვეყნებული „მხატვრული თხზულებების“ დონე იმდენად მდარე იყო, რომ გაუნაფავი მკითხველის გემოვნებასაც კი ვერ აკმაყოფილებდა. მიზეზი „რევოლუციური“ გახლად – ავტორთა უმრავლესობა მუშა იყო, რომელთაც ნაკლები წარმოდგენა ჰქონდათ ლიტერატურაზე. სრულიად მართებული იყო კ. გამსახურდიას შეფასება: „ქურა“ უნუგეშოა ესთეტიკური თვალსაზრისით“.

„ქურას“ მეორე ნომერში უფრო გაფართოვდა დეკლარაციის მოთხოვნები: „პროლეტარული ლიტერატურა ახალი და მასთან კლასიკური ხასიათის მოვლენა არის ჩვენს დროში. ის დაიბადა მუშათა კლასის ბრძოლის პროცესში, მისი ზრდა და შემდეგი განვითარება დამოკიდებულია ყველა იმ ისტორიული მსვლელობის აუცილებლობაზე, რომელსაც კაცობრიობა გიგანტური ნაბიჯებით მიჰყავს უმაღლეს საზოგადოებრივ ფორმამდე – კომუნიზმამდე“.

შემდგომ წლებში, მიუხედავად მრავალმხრივი მცდელობებისა, ამკარად გამოიკვეთა, რომ საფუძველი შეერყა „ქართული საბჭოთა ლიტერატურის“ საერთო პლატფორმის ჩამოყალიბებას. შექმნილმა ვითარებამ მოითხოვა პარტორგანოების აქტიური ჩართვა და „სწორი გეზის“ მითითება. რისი დასტურიც პარტიის პოლიტიკის შესახებ 1925 წელს მიღებული რეზოლუცია გახდა, რომელიც მხატვრული ლიტერატურის სფეროში არსებულ მდგომარეობას ეხებოდა.

1923 წ. აგვისტოში საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ გამოსცა ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო გაზეთი „ორიონი“. ამავე ხანებში გამოდის ქართველ პროლეტარულ მწერალთა კვირეული ლიტერატურული გაზეთი „ქარხნის ჰანგები“, რომელშიც გაცხადებულია, რომ ის „განახლებული პროლეტარული საქართველოს ესთეტიკური სამრეკლოა... თავისი გამართული ფრონტით უნდა გალუნოს და პრინციპულად წარსულის არქივში გადაისროლოს ბნელი მისტიციზმისა და შავი ბინძური პოლიტიკის პოეზია, რომელიც დასტირის პარლამენტარულ საქართველოს გაციებულ გვამს და რომლის ტრაული უკბილო პროტესტია განახლებული მუშური საქართველოს წინააღმდეგ“. ამგვარი განცხადებით შეუფარავად იკვეთება კასტური განკერძოების პრეტენზია – ახალი თემატიკა „მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარული პოეზიის საკუთრებაა“.

საბჭოური ხელოვნება, ლიტერატურა ზოგადად, „პროგრესირებს“. პოზიციის გასამყარებლად მრავლად იბეჭდება იდეოლოგიურად დატვირთული მიმართვა-დეკლარაციები. ერთ-ერთია 1924 წლის ჟურნალ „ხელოვნების დროშის“ მეორე ნომერში გამოქვეყნებული დეკლარაცია, რომლითაც ზუსტად ისაზღვრება ორგანოს ხედვა: „ჩვენ არ გვწამს და ვერ ვინამებთ ხელოვნებას ხელოვნებისათვის... ეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ფანდია მშრომელი ხალხის თვალის ასახვევად... ჩვენ ვცხოვრობთ პროლეტარული დიქტატურის ხანაში, პროლეტარიატს, როგორც კლასს, ხელში უპყრია დღეს სახელმწიფოს მმართველობის საჭე. ხელოვნებაც, როგორც ერთი საუკეთესო იარაღთაგანი, ახალი საზოგადოების ცხოვრების შესაქმნელად პროლეტარიატს ესაჭიროება“.

საბჭოური ლიტერატურის განვითარების საკითხი ყოველთვის იყო კომუნისტური პარტიის „მზრუნველობის“ საგანი. ამ მზრუნველობის დასტურია კომუნისტური პარტიის ყრილობების, კონფერენციების, პლენუმების „ისტორიული“ გადანყვეტილებები და მითითებები. ასევე, მხატვრული ლიტერატურის საკითხებს სათანადო ადგილი დაეთმო პარტიის XI (1922 წ.), XII (1923 წ.) და XIII (1924 წ.) ყრილობების დოკუმენტებსა და გადანყვეტილებებში.

პარტიული აღმშენებლობის მხრივ საინტერესო იყო ცენტრალური კომიტეტის საგანგებო რეზოლუცია — „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“, რომელიც „დროშამ“ 1925 წელს გამოაქვეყნა.

პარტიული ბონზები ერთგვარ შემაჯამებელ დოკუმენტს აცნობდნენ საქართველოს მოსახლეობას, რომელშიც წარმოჩენილი იყო საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების (1921-1925 წწ.) – სახალხო მეთურნეობის აღდგენისა და სოციალისტური მშენებლობის სანყისი პერიოდი. რა თქმა უნდა, დავინყებული არ იყო ლიტერატურ-

რული სფეროც: ქართულ საბჭოთა მწერლობაში მძაფრი ლიტერატურული ბრძოლის ვითარება აღინიშნებოდა, „ისე როგორც საერთოდ არ წყდება ჩვენში კლასობრივი ბრძოლა, სწორედ ასევე არ წყდებოდა ის ლიტერატურის ფრონტზეც“. ზემოხსენებულმა რეზოლუციამ, როგორც მთავრობის მეხოტბე კრიტიკოსები წერდნენ: „დასახა წინსვლის ნათელი გზა“...

დაბოლოს, გვინდა კვლავ გავიმეოროთ, რომ საბედნიეროდ, ნაძალადევი და ნაყალბევი დოქტრინები, საბოლოოდ, ვერ უძლებენ დროში ხანგრძლივად არსებობას. სტერეოტიპული კლიშეები იმსხვრევა პროგრესულად მოაზროვნე ლიტერატურათმცოდნეთა და თეორეტიკოსთა პოზიციით, მათი ნაწერებით.

MAIA JALIASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Artistic Model of Totalitarian Experiment
(According Grigol Robakidze`s novel “Repress soul”)**

Grigol Robakidze represented an experiment of totalitarian regime in his novel “Repress soul”. This experiment considered to create such a man, without soul and thirst for freedom. The writer not only reflected crime that was committed by so called red terror, but predicted his destroyer activity in perspective.

The essence of Bolshevism ideology is searched in all its aspects in the novel. Herewith Red terror is shown as severe means of to enslavement of most people. Here in the novel the period is reflected, after establishing soviet system violently in Georgian. The main personage is Georgia with killed, oppressed, insulted soul.

Keywords: Robakidze; Totalitarian; Experiment; Soul.

მაია ჯალიაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**ტოტალიტარული ექსპერიმენტის მხატვრული
მოდელი**

(გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“)

გრიგოლ რობაქიძემ 1932 წელს გერმანულ ენაზე დაწერილ რომან „ჩაკლულ სულში“ წარმოაჩინა ტოტალიტარული რეჟიმის ექსპერიმენტი, რომელიც ითვალისწინებდა იმგვარი ადამიანის შექმნას, რომელსაც აღარ ექნებოდა სული და თავისუფლების წყურვილი. მან არა მხოლოდ ასახა წითელი ტერორის მიერ უკვე ჩადენილი დანაშაულობები, მისი დამლუპველი პერსპექტივებიც წარმოაჩინა.

„ჩაკლულ სულში“ ძირისძირამდე, არსობრივადაა გაჩხრეკილი ბოლშევიკური იდეოლოგიის არსი; წითელი ტერორი კი წარმოჩენილია, როგორც ადამიანთა დამონების უსასტიკესი საშუალება.

რომანში აისახა საქართველოს ძალადობრივი გასაბჭოების შემდგომი პერიოდი. უპირველესი პერსონაჟი სულჩაკლული საქართველოა, დამცირებული და შეურაცხყოფილი. ერის სულს უპირატესად ხელოვანი, შემოქმედი გამოავლენს, ამიტომაც ბოლშევიკური ექსპერიმენტის (საბჭოთა ადამიანის გამოყვანას რომ ითვალისწინებდა) სუბიექტად, ერთგვარ ცდისპირად ავტორმა თამაზ ენგური, მწერალი წარმოაჩინა, ერთი შეხედვით, იოლად რომ არ უნდა დაჰყოლოდა ექსპერიმენტატორებს. რომანში იხატება, როგორ ჩაუკლავენ ადამიანებს სულს და როგორ აქცევენ ზომბებად. სახიფათო და საშიში ის იყო, რომ მწერალი ხედავდა, არ არსებობდა ძალა, რომელიც ამ დემონურ იდეოლოგიას წინ აღუდგებოდა, თითქოს ერს უნდა მოეხადა იგი სახადევით, რაც იმას გულისხმობდა, რომ თავისუფალ, დაუმორჩილებელ შემოქმედთაც შეეყრებოდათ ეს ჭირი — ან გადაიტანდნენ და ახლად იშობოდნენ, ან სულიერად დაიხოცებოდნენ. ისტორიულმა რეალობამ კარგად იცის ამგვარი სულმკვდარი, საბჭოეთის სამსახურში ჩამდგარნი. რომანში კი დახატულია, როგორ დაეცემა შემოქმედი, მაგრამ რწმენის ძალით წამოდგება, მოიკრებს ძალას ბოროტებასთან საბრძოლველად. რომანის ბოლო თავს ჰქვია „გზა vita nuova—სკენ“, ე.ი. ახალი ცხოვრებისაკენ. ეს გზა მწერლისთვის ღვთის შემეცნებას გულისხმობს, უპირველესად, სულიერ გაცოცხლებას. რომანში ოქტომბრის რევოლუცია გააზრებულია, როგორც ძალადობა საზოგადოების წინააღმდეგ. რევოლუციის დაუნდობე-

ლი, სისხლიანი სახის წარმოსაჩენად მწერალი ქმნის გატყავებული ცხენის შთამბეჭდავ სიმბოლოს.

ამბოხებულნი განსაკუთრებული სისასტიკით ექცევიან მათგან განსხვავებულს, ამ შემთხვევაში, გაბოროტებულნი არა მხოლოდ მონინაალმდეგეებს ხოცავენ, არამედ ყველაფერს ჯიშინას, მათ შორის, პირუტყვსაც.

ძალმომრეობაზე აგებული სახელმწიფო ფეოდორ დოსტოევსკიმ XIX საუკუნის 70-იან წლებში გამოცემულ რომან „ემმაკნში“ წარმოაჩინა და საზოგადოებას მოახლოებული წითელი საფრთხე ამცნო. წიგნს წამძღვარებული აქვს ლუკას სახარებიდან ის ეპიზოდი, როდესაც იესო ქრისტე სნეულის სხეულიდან განდევნის ეშმაკებს. სტეფან ტროფიმოვიჩი ასე „განმარტავს“ ამ იგავს: „ეს ეშმაკნი, გამოსულნი სნეულისაგან და შესულნი ღორებში, — ეს სულ მუნუკები და წყლულებია, უწმინდურება და სიბინძურე, ეშმაკნი და ეშმაკეულნი, რომელთაც შეჭირვებული ჰყავთ ჩვენი ტკბილი სხეული, ჩვენი დიდი რუსეთი საუკუნეთა განმავლობაში... ეს ეშმაკნი, ეს უწმინდურება, მთელი ეს სიბილწე... ეს ჩვენ ვართ... გაგიჟებულნი, გაცოფებულნი გადავეშვებით ყველა კბოდესა მას და მოვიშთვებით. გზაც იქით გვექონია, ჩვენგან სხვა სიკეთე არ გამოდნება, მაგრამ სნეული კი ცხონდება“ (დოსტოევსკი 1990: 3)

გრიგოლ რობაქიძე ამ რომანით შეეხმინა დოსტოევსკის და მანაც რევოლუცია ეშმაკეულად წარმოაჩინა, გასაბჭოებული საქართველო კი სნეულებამეყრილად, რომლის სხეულიდან ეშმაკებს, რევოლუციონერებს ღმერთი, ე.ი. დიდი რწმენა განდევნიდა.

რობაქიძემ რომანში ერთგვარი დიალოგი გამართა დოსტოევსკისთან (სწორედ ამ წიგნს კითხულობს თამაზ ენგური და აშიებზე შენიშვნებს წერს). ის, რაც რუს მწერალთან ვირტუალურად არსებობდა, ქართველმა მწერალმა საქართველოში განხორციელებული იხილა.

რომანი „ჩაკლული სული“ თვითონ გრიგოლ რობაქიძემ აღიარა წინასწარმეტყველებად. 1937 წლის აპრილში დაწერილ ბოლოსიტყვაობაში წერს: „ეს წიგნი... ცდილობს მხატვრულად წარმოაჩინოს ბოლშევიზმის ქვესკნელური გამხრნელი ძალა მის ატიმოსფერულ ზემოქმედებაში. წიგნი გერმანულ ენაზე 1932 წლის მიწურულს დაიწერა (ქართულ ენაზე თარგმნა ალექსანდრე კარტოზიამ, გამოიცა 1991 წელს). რაც ამასობაში მოხდა, ადასტურებს იმ შეხედულებას, რომელიც საფუძვლად უდევს წანარმოებს. საკმარისია გავიხსენოთ მოსკოვის შემზარავი პროცესები, რომელთა ბნელი წანამძღვრები, ვგონებ, წინასწარმჭვრეტელურად გადმოვეცი...“ (რობაქიძე 1991ა: 155).

მნიშვნელოვანია, თუ კონკრეტულად რომელ საკითხებს ეხმინება „ემმაკნის“ „კონტრრევოლუციონერი“ მკითხველი, სწორედ ასე შეაფასეს თამაზი გეგუში.

დოსტოევსკის აზრით, ღვთის შემეცნება, ღმერთთან სიახლოვე გადაარჩენს ადამიანს, ერს. ამიტომ ღვთის ძიებაა მთავარი. ღმერთის მოკვლით ერი თავს იკლავს. სწორედ ეს დაემართა რუსეთს.

როგორია „ემმაკნში“ წარმოჩენილი საზოგადოების მოდელი?

1. ღვთის რწმენა და შიში დაკარგულია (იმის დასამტკიცებლად, რომ ღმერთი არ არსებობს და ყველაფერი ნებადართულია, კირილოვი თავისუფალ ნებას თვითმკვლევლობით გამოხატავს).

2. უღმერთობას მოჰყვა უღირსობის გაბატონება. „რუსული რევოლუციური იდეის საფუძველი ღირსების უარყოფაა“ (რობაქიძე 1991ა: 87).

3. ჩამოყალიბდა „გპუს“ მსგავსი სისტემა: „შეაგულიანეთ წრის ოთხი წევრი, მეხუთე მოკლას, გაცემას გვიპირებსო და იმ სისხლით ყველას ხელ-ფეხს შეუკრავთ“ (რობაქიძე 1991ა: 89).

4. ამ საზოგადოებაში ყველანი ერთმანეთს უთვალთვალევენ, ყოველი წევრი მოვალეა, მეორე დაასმინოს.

5. არავინ არ არის თავისუფალი. ყველა მონაა და ყველას ერთნაირი უღელი ადევს. დესპოტი მართავს ფარას. ფარაში კი „თანასწორობა უნდა სუფევდეს“.

6. დაშვებულია ცილისწამება და მკვლევლობა.

7. დაეცემა განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების დონე. ამ საზოგადოებას არ სჭირდება დიდი ნიჭის ადამიანები, მათ გააძევენ, ან მოკლავენ. „ციცერონს

ენას მოაჭრიან, კოპერნიკს თვალებს დასთხრიან, შექსპირს ქვებით ჩაქოლავენ“ (რობაქიძე 1991ა: 87).

8. დოსტოვესკისეულ საზოგადოებაში განსაკუთრებული სივერაგითა და სისასტიკით გამოირჩევა ვერხოვენსკი, რომელსაც არ გააჩნია არც რწმენა, არც სიყვარული და არც არანაირი ზნეობრივი ღირებულება.

როგორ განხორციელდა ეს „მოდელი“ გასაბჭოებულ საქართველოში და როგორ აისახა რობაქიძის რომანში?

1. „ჯაშუშობა ახლა ატმოსფერული მოვლენაა და გამორიცხული არ არის, რომ თვით ასტრალურმა სხეულებმაც ჯაშუშობა დაიწყონ“. „უნდობლობა და შიში ბატონობდა“. „მასებს შიში იპყრობდა, ვერავინ ბედავდა მეორისთვის სახეში შეხედვას“ (რობაქიძე 1991ა: 86).

2. დესპოტიზმი შეცვალა დიქტატურამ. „არავინ იყო თავისუფალი, ყველა საკუთარ თავს ადანაშაულებდა. მხოლოდ ერთი ახსნა არსებობდა: მონანიება, თვითმხილება და დანაშაულის აღიარება ეპიდემიასავით მოედო მთელ საბჭოეთს“ (რობაქიძე 1991ა: 88). „ინანიებდნენ არა მხოლოდ ჩადენილს, ჩაუდენელ ცოდვესაც. ეს მავნებელთა სენსაციურ პროცესებზე გამოჩნდა ყველაზე უკეთ“. შეიქმნა ერთგვარი ფანტასმაგორიული ვითარება. 1932 წელს რობაქიძე უკვე აღწერს იმ საშინელ ვითარებას, რომელმაც 1937 წელს პიკს მიაღწია. „სინამდვილე და მოჩვენება ერთმანეთში გადადიოდა. ჩაუდენელი ცოდვის რეალური აღქმის შესაძლებლობაც შეიქმნა. თუ მავნებელი იყავი, ასევე მავნებლად უნდა მიგჩინია საკმარისზე მეტი ხალხი შენ გარშემო. ერთი ნამდვილი მავნებელი ათ ვითომ მავნებელს წარმოშობდა... სინამდვილე მორღვეულიყო, ერთის აღსარებას სხვათა კოლექტიური პროტესტები ახლდა თან. რაც უფრო ცნობილი იყო ბრალდებული, მით უფრო ცხარე იყო თავდასხმა“ (რობაქიძე 1991ა: 87).

3. „ციცერონს ენას არ აჭრიან, კოპერნიკს არ სთხრიან თვალებს, არც შექსპირს ქოლავენ ქვებით, სამაგიეროდ, ციცერონმა მარქსისტულად უნდა ილაპარაკოს, კოპერნიკმა მატერიალისტურად ჭვრიტოს სამყარო, ხოლო შექსპირმა პროლეტარულად თხზას“ (რობაქიძე 1991ა: 87).

ასე, ძალადობით პროლეტარულად „ათხზვევინებდნენ“ კონსტანტინე გამსახურდიას, პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, გალაკტიონ ტაბიძეს...

4. რომანში ვერხოვენსკისთან გაიგივებულია სტალინი, რომელიც მას ბოროტებითა და მზაკვრობით აჭარბებს კიდევ. როგორც რობაქიძე წერს: „არა, ეს პატარა ჭინკა ჯულას ვერ შეედრება... ჯულა ოთხმოცდაცხრამეტ ქულას მისცემდა წინდანინ... სხვა ჯიშისაა... ემშაკის არც ერთი ქმნილება ასე სრულყოფილი არ ყოფილა...“ (რობაქიძე 1991ა: 105).

რომანში საგანგებო თავი „სტალინის ჰოროსკოპი“ ეთმობა საბჭოეთის ბელადის ფენომენის ახსნას. რობაქიძის აზრით, სტალინი „რევოლუციის განხორციელებად იქცა. ის უკვე აღარ იყო ადამიანი, ის იყო არსება, სასტიკი და საშინელი“ (რობაქიძე 1991ა: 104).

ღვთის ძიება და ღვთის მებრძოლეობა რომანში პარალელურად ვითარდება. ბოლშევიკური იდეოლოგია თანმიმდევრული, მიზანმიმართული პოლიტიკით განედევნიდა ადამიანთა სულიდან, გულიდან და გონებიდან ღმერთს, რელიგიას ანაცვლებდა იდეოლოგიით. ცალკეულნი კი ტანჯვის ფასად ინარჩუნებდნენ რწმენის ნაპერწკლებს.

მთავარი პერსონაჟის გულშიც იფლითება ღმერთი. ამ თემის სიღრმისა და ხატოვანების გასამძაფრებლად მწერალი შუამდინარულ მითოლოგიას მოიხმობს, კერძოდ, იშთარისა და თამუზის შესახებ მითს, რათა ბოროტებისა და სიკეთის ბრძოლა სიცოცხლის თანმდევ არქეტიპულ ძალებად წარმოაჩინოს.

მითს ამ რომანში კონცეპტუალური მნიშვნელობა ენიჭება, თამუზის მოტაცება ბნელი ძალების მიერ რეალურ პლანში თამაზის „გეპეუს“ ჯურღმულებში დამწყვდევის ნიშნავს, გარკვეული სულიერი ძალების დახარჯვის, ერთგვარი მსხვერპლშენიღვის ფასად რომ გამოაღწევს იქიდან. რომანში, ერთი მხრივ, ნატა-იშთარის ანალოგიაა, მეორე მხრივ, თვითონ თამაზის სულია სიკეთისა და მშვნეობის სიმბოლო, ბნელ ძალებს შეწირული. თამაზი ხომ გასცემს მეგობარს, დაასახელებს

ლევანს, რომელსაც სწორედ თამაზის ჩვენების საფუძველზე დახვრეტენ. სწორედ ასე „დაასმენენ“ გრიგოლ რობაქიძეს მისი მეგობრები:

1935 წ. ჟ. „მნათობის“ 4-ში გამოქვეყნდა მიმართვა: (რომელსაც ხელს აწერდნენ: ტიცვან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლო მინიშვილი)

„ქართველი მწერლების რიგებს მოღალატურად სტოვებს და როზენბერგის ბანდებს ეკედლებს ერთი ქართველი მწერალი, რომლის სახელი ამიერიდან ხდება სამარცხვინოდ ყოველი საბჭოთა მწერლისა და მოქალაქისთვის. ეს მწერალი არის გრიგოლ რობაქიძე. ეს თვალთმაქცი ადამიანი, დღიდან საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისა, ატყუილებდა რა ხელისუფლებას, მწერლობას და საბჭოთა საზოგადოებას, გულში ატარებდა მშრომელთა ქვეყნის და საბჭოთა საქართველოს ღალატის მუხანათურ აზრებს. და ეს ზრახვები დღეს გრიგოლ რობაქიძემ განახორციელა საბჭოთა საქართველოდან ქურდულად უცხოეთში წასვლით, ფაშიზმის ბანაკში აშკარად გადასვლით და იქ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ მოღალატური, გამცემლური მუშაობით“ (ბაქრაძე 1990: 45).

თამაზ ენგურის (თვითონ სახელსა და გვარში, ქართულ და შუამდინარულ მითოლოგიაზე დაყრდნობით, მოიაზრა მწერალმა ეროვნული ენერგია), დახვეწილი ინტელექტუალის პროტოტიპად თანაბრად შეიძლება გავიაზროთ როგორც გრიგოლ რობაქიძე, ასევე მიხეილ ჯავახიშვილი, მისი მეგობარი და სულიერი თანამოაზრე.

რომანში ზედმინევენითაა წარმორჩენილი როგორ ძალადობს ბოლშევიზმი ერზე:

1. ცნობიერებიდან ღმერთს, რწმენას განდევნის;

2. ეროვნული ადათ-წესებს სპობს.

პიროვნებას უარს ათქმევინებს:

1. მეობასა და ინდივიდუალობაზე;

2. ღირებულებებზე;

3. საკუთარშეხედულებებზე;

4. ისტორიაზე, წინაპრებზე,

5. რწმენაზე.

რომანში წარმორჩენილია, თუ რა მეთოდებსა და საშუალებებს იყენებდა ბოლშევიზმი რეპრესიებისთვის.

მწერლისთვის მნიშვნელოვანია ადამიანთა ფიზიკური და სულიერი განადგურების ჩვენება, იდეოლოგიის აგრესია ადამიანთა ცნობიერებაზე.

ამის თაობაზე წერილებსა და ინტერვიუებშიც ხშირად წერდა მწერალი.

ასეთ ვითარებაში რა ემართება უბრალო ადამიანს?

„საბჭოთა ადამიანი გრაფიკულად წააგავს არაბულ ციფრს „8“. ერთი ნახევარი ამ ციფრისა ბოლშევისტური ელემენტია, მეორე კი ადამიანური. ამ ორ ელემენტთა შორის განუწყვეტელი ბრძოლაა გამართული. ხშირად პირველი ერევა მეორეს — გარნა მომრევი ვერ ადგენს მთლიანობას. პირველი ელემენტი ვერ იქცევა წრედ, იქ რჩება კიდევ „8“ — ის მეორე ნახევარი, შევინროებული და მიმჭკნარი. აქაა მოქცეული გაორება საბჭოელ ადამიანისა. აწვალდება მას თავში შემოჭრილი ელემენტი — ახლა ამას აწუხებს თავისი საკუთარი, რომელიც ერთ წუთსაც არ უთმობს უცხოს“ (რობაქიძე 1996ბ: 328)

ა. ბაქრაძის აზრით, „კომუნისტური ახალი ადამიანი“ — უღირსებო კაცი — იგი კოლექტივის მოჯამაგირეა. ამ კოლექტივის სასარგებლოდ იგი დაუფიქრებლად მზად უნდა იყოს მკვლელობისთვისაც და მძარცველობისთვისაც. დაკარგული უნდა ჰქონდეს სინდისის ქენჯნის უნარიც“ (ბაქრაძე 1990: 167).

ასეთ ვითარებაში რა ემართება ხელოვანს?

რომანის მიხედვით, იგი ჯამბაზს ემსგავსება, რადგან ცდილობს შენიღბოს სათქმელი, ბენვის ხიდზე გაიაროს. „ლიტერატურაში, თეატრში, კინოში — ყველგან მუშაითობდნენ, ყველა ცდილობდა, სწორად გაეგლო ბაგირზე. შესაფერის თემებს ეძებდნენ, ამგვარი ცდებისთვის უფრო გამოსადეგს... გარკვეული ოსტატობა ჩამოყალიბდა, ერთგვარი აკრობატიკა...“ (რობაქიძე 1991ა: 106).

თვითონ გრიგოლ რობაქიძემ ვერ გაუძლო ამგვარ „მუშაითობას“ და უცხოეთში გააღწია. „რატომ დავტოვე საქართველო, ჩვენი მამული და დედული ეგზომ მშვენიერი და ტკბილი? მოგითხრობთ. ბოლშევიკები გაჰყვირიან: „ხალხურ დემოკრატია“ ვამყარებთო. სიყალბე მათი ამ სახელდებაშიც ჩანს: „დემო“ ნიშნავს ბერძნულად

ხალხს, მამასადამე ხალხური დემოკრატია ასე უნდა იკითხებოდეს: „ხალხური ხალხოკრატია“. უფრო მართალი იქნებოდა, ეთქვათ „ვამყარებთ დემოკრატიასო“. ადამიანისათვის უკანასკნელი საყრდენი უზენაესია — ღმერთი. საბჭოეთში ყოველი რწმენა ზებუნებრივისა დადალულია ლენინის ქეძაფის სიტყვებით „ტრუპოლოფესტვა“...ხალხს, როგორც ცოცხალ კრებულს, ბასრი დანით სახსრებს უხსნიან, ხალხის ალაგას მასაა გამეფებული, რომელშიც პიროვნება, ეს უღვთიერესი მოვლენა, სრლიად ითქვივება.

ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა იგი თავისუფალია. თავისუფლება სხივური ელემენტი ადამიანში“ (რობაქიძე 1996ბ: 49)მწერალს შემოქმედებაში უნდა დაეცვა მთავარი ხაზი, მომსახურებოდა ბოლშევიკურ რეჟიმს.

„მთავარი ხაზის მიყოლის მზადყოფნა დროდადრო ფანტასტიკურ ზომებს აღწევდა. ერთმა ფიზიკოსმა განუცხადა კოლეგას: „მას შემდეგ, რაც ამხანაგ სტალინის ბოლო თეზისები მიუყენე ფიზიკას, ჩემთვის ბევრი რამ საოცრად ნათელი შეიქმნა“. კოლეგამ გაოგნებულმა შეხედა, მაგრამ თვითონაც დაფიქრდა, მართლაც ნაყოფიერი ხომ არ იქნებოდა ამ თეზისების გამოყენება და მხოლოდ გაურკვეველი „ჰმ“ ჩაიბურღლუნა. საკვირველი ეს იყო: ფიზიკოსს, მართლაც, სჯეროდა თავისი სიტყვებისა. შეკითხვაზე, თუ რომელ წიგნებს კითხულობდა უპირატესად, ერთმა პოეტმა დაამცინავად მიუგო: „წიგნებს? წიგნებს საერთოდ არ ვკითხულობ, ვანა უკეთესი საკითხავი არ მოიპოვება?! (ცენტრალური კომიტეტის ნებისმიერი სხდომის სტენოგრაფიასავით წარმტაც და საინტერესო რასმე ვერც შეჭერაზადას ზღაპრებში პოევებო, ვერც რობინზონის დღიურებში“... ხსენებულ სხდომებზე მართლაც შეუდარებელი ფანტასტიკა მეფობდა. ერთმა მკვლევარმა „ფეოდალური ჟღერადობები“ აღმოაჩინა ბახისა და ბეთჰოვენის მუსიკაში. მეორემ „ბურჟუაზიულ პასაჟებს“ მიაგნო ვაგნერის ოპერებში. მესამემ საკითხი დასვა, გოგენის ფერებში საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკა ხომ არ ცნაურდებაო. მეოთხე, თავის მხრივ, მძიმე ინდუსტრიის ეპოქას ჭვრეტდა სეზანის ტილოებში. მეხუთე პროლეტარულ მეტაფორებს აგროვებდა. ხუთივე ბეჯითად ინვალებდა თავს უზარმაზარი დიაგრამების ხატვით და იაპვეს სიტყვებს ადასტურებდა: „ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი“ (რობაქიძე 1991ა: 105). (რობაქიძე 1991ა: 105). აკაკი ბაქრაძის აზრით, „კომპარტიამ ბევრითად და მტკიცედ დაამკვიდრა ინტელექტუალური ექსპლუატაცია, როცა ადამიანს აიძულებენ ის ილაპარაკოს და წეროს, რაც მას არ სწამს და არ სჯერა“ (ბაქრაძე 1990: 67-68).

რობაქიძემ კონსტანტინე გამსახურდიას 1939 წ. დაწერილი „დიდოსტატის მარჯვენა“ ჩათვალა ერთგვარ „დათმობად“. მისი აზრით, რომანში „1. მეფე „გაბითურებულია“ — რაა ის მეფე, რომელიც მონინალმდეგის მოსაცილებლად ასეთ საშინელებას მიმართავს? 2. „გაბითურებულია“ ხატიც — რაა ის სათაყვანო ხატი, რომელსაც ასე ექცევიან და ასე იყენებენ? ბოლშევიკები, რასაკვირველია, გაიხარებენ, როცა რომანის ამ ადგილს წაიკითხავენ, ხოლო ქართველნი? ყოველ ქართველს ეს სცენა ისარივით მოხვდებოდა და მოხვდება გულში“ (რობაქიძე 1996ბ: 329).

რობაქიძის აზრით, შესაძლოა რომელიმე ქართველი მეფე ვერ იდგა თავის მეფურ სიმბოლეზე; ამის მაგალითებსაც ვხედავთ საქართველოს ისტორიაში, ხოლო აქ მაღლულად, თითქოს სუნთქვით, თითქოს „ხელმწიფების“ იდეაც არის „გაკანრული“, ის იდეა, რომლითაც გამართულია „ცხოვრება ქართლისა“, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. თავიდათავი აქ ხატის შელახვაა. „სვეტიცხოველი“ საკრალური შუაგულია საქართველოს ისტორიისა და მისი ხატი სიმბოლური სახე ამ შუაგულის... მცხეთის გვერდით ეგულებოდათ კარდუს საფლავი; მცხეთაში მივიღეთ ჩვენ ქრისტეს სჯული... აქ გამოსჭრა წმინდა ნინომ ჯვარი, რომელსაც თავისი თმები მოახვია... მცხეთა უძველესი დედაქალაქი იყო საქართველოსი, მის წიაღში განისვენებენ მეფენი და მთავრები. არ არის შემთხვევითი ამბავი, რომ აქ აგებულ ტაძარს „სვეტიცხოველი“ დაერქვა, გასაგებია ისიც, რომ ქართველთა განცდასა და შეგნებაში ამ სვეტის გარდამქმნელი ძალა „გასაგნდა“, როგორც სასწაულმოქმედი ხატი. და აი გამსახურდიას რომანში ეს ხატია შეგნებული. რელიგიური კულტი რომ განხე დავტოვოთ, ეს შეგინება ფსიქოლოგიურად მაინც ქეძაფივით მწველია. ეს არის ერთი მოკლე ეპიზოდი რომანში, გარნა ვიცით: ხშირად ერთს წვეთს საწამლავისა შეეუძლია მოწამლოს მთელი წყარო. აი, სადამდე მისულა გამსახურდიას „დათმობა... ამ დათმობით

„მონამლა“ მან არა მხოლოდ თავისი წიგნი, არამედ თავისი თავიც. საბჭოეთის ატ-მოსფეროში რომ არ ეცხოვრა, ამ „დათმობას“ იგი არ დაუშვებდა და ვერც დაუშვებდა“ (რობაქიძე 1996ბ: 329).

დაგლეჯილი ღმერთი — ეპოქის ურწმუნოებას ასეთი თავზარდამცემი მეტაფორით გამოხატავს მწერალი. ბოლშევიზმი თანმიმდევრულად ცდილობდა ადამიანთა გულებიდან რწმენის განდევნას, დევნიდა სასულიერო პირებს, იტაცებდა საეკლესიო ქონებას, ანგრევდა ტაძრებს.

რომანში მოთხრობილია: „საქართველოს ერთ კუთხეში კომკავშირლებმა სასწაულმოქმედ ხატზე მიიტანეს იერიში. საყდარში შეცვივდნენ, ერთმა დაამხო წმინდანის ხატი და ცოფისგან დაბრმავებული ფეხით ზედ შედგა. „აბა, დამსაჯოს თქვენმა ყოვლისშემძლე ხატმა!“ სახეში მიახალა უძრავად მიშტერებულ მდუმარე გლეხებს. ერთმა მოხუცმა გლეხმა დაარღვია სიჩუმე, წყნარად მიუგო: „მეტი რალა გიყოს? უკვე გაუგაყებხარ და ეგ არის“. თამაზს გაუხარდა. მოხუცის გაურყვენელ ტვინში, ჩანს, კიდევ მოქმედებდა თავისი მოდგმის გენი“ (რობაქიძე 1991ა: 121).

ბოლშევიზმი ცდილობდა ტექნიკური პროგრესი გამოეყენებინა სამყაროდან რწმენის განსაღწევად, თუმცა ეს პროცესი მიმდინარეობდა მთელ მსოფლიოში, მათ შორის, უპირველესად, ევროპასა და ამერიკაში, სადაც „არ კლავენ ღმერთს, იქ იგი თავისით კვდება“ (რობაქიძე 1991ა: 64).... „ახალი ადამიანი იბადება, უღმერთო, მისთვის არ არსებობს საიდუმლო. არავითარი რიდი, მონინება, არავითარი მისტიკა, შიშველი ყოფიერება, ნივთიერი: არსად მეტაფიზიკური“. მაშ, სად არის გამოსავალი? რობაქიძის აზრით, როცა ადამიანი ბოლომდე გაიშიშვლებს თავს, სულ მთლად უღმერთო გახდება, მაშინ უნდა წარმოიშვას მასში დიდი მწუხარება დაკარგული ღმერთის გამო... მანამდე კი ღმერთი საიდუმლოდ დარჩება კომუნისტები ცდილობდნენ, რწმენა სიცრუით აეხსნათ. თვით მარქსის მიხედვით კი, ყოველი კულტი კანონზომიერად უნდა იყოს წარმოშობილი. ლენინი რელიგიას ხალხის ოპიუმს უწოდებდა და ახალი კომუნისტები ამაოდ ცდილობდნენ მარქსის „კანონზომიერების“ „ოპიუმთან“ მორიგებას.

თამაზი გრძნობდა, რომ „სამყაროს განღმერთება შინაგანი სამყაროს განადგურების ტოლფასი“ იყო. ადამიანი იყო შიშველი რწმენის, ღვთიური შესამოსელის გარეშე. სამყარო გაჟღერებული იყო ურწმუნოების ტკივილით. თამაზმა იცის, რომ, გული, რწმენის გარეშე, მხოლოდ კუნთია. რწმენა კი სიყვარულს ეფუძნება, სხვათა თანაღმობას. მადლს მხოლოდ სიყვარული ქმნის. ამ აზრს ილია არჩილს („ოთარაანთ ქვრივი“) ამგვარად გამოათქმევინებს: „გული მადლია და მარტო ორს შუა ჰსაქმობს. ორნი მაინც უნდა იყვნენ, რომ მადლი მოჰხდეს, იმიტომ, რომ მადლი ერთისგან განირვავა და მეორისგან შეწირვა ერთსა და იმავე დროს. თუ ან გამწირველი არ არის ან შემწირველი, მადლიც არ არის, მაშასადამე, გულიცა. თუ ორნი არ არიან, გულმა რისთვის ამოციქულოს ან ენა, ან თვალი, ან ყური... უსხვისოდ ერთის გული მარტო პარკია, სისხლის ალებ-მიმცემი აგებულებისათვის“ (ჭავჭავაძე 1985: 440).

თამაზმა ეს იცის, ამიტომაცაა, რომ განიცდის იმ უნდობლობას ადამიანთა შორის, რომელიც ახალმა რეჟიმმა გაამძაფრა. რომანის თავში, რომელსაც „დაგლეჯილი ღმერთის ხორცადქცეული ნაწილი“ ჰქვია, სწორედ ამ თემაზეა საუბარი. თამაზი აღწერს უცხო ადამიანებთან შეხვედრასა და განშორებას და გრძნობს გულისტკივილსა თუ სიხარულს.. „მისთვის გული მხოლოდ კუნთი არ იყო; ის იყო ხორცადქცეული ნაწილი მისტიკურად დაგლეჯილი ღმერთისა. და როცა მისი გული სხვა ადამიანის გულს ეხებოდა, შიშნარევი სიხარული ეუფლებოდა: თითქოს ღმერთი ისევ მრთელდებო“.

თამაზი ღვთაებრივად მიიჩნევდა იმ წამს, როცა ერთი გახსნილი გული მეორეს მიუახლოვდებოდა. ადამიანს უარი არ უნდა ეთქვა გულების ამგვარ შეხვედრაზე, რადგან ეს სულიერი სიკვდილი იქნებოდა.

სიყვარულისკენ მისწრაფება ადამიანების თანდაყოლილი გრძნობაა. თამაზი აღწერს, როგორ ეხმარება სრულიად უცხო ადამიანები ერთმანეთს, სთვაზობენ მატერიალურსა თუ სულიერ საზრდოს, სიყვარულს, სითბოსა და სიკეთეს. „ახალი სიყვარული იბადებოდა, ან უკეთ, სიყვარულის წყურვილი ყვირილი. გულები იღებოდა, ბედი აკავშირებდა ადამიანებს, ყოველი წამი სავესე იყო მოულოდნელობით. ეს ღვთის დაბადების მოლოდინს ჰგავდა. თამაზი ხანდახან ფიქრობდა: ყველა გულს

რომ შეეძლოს სხვების შესახვედრად გაღება, ბოლომდე, მთლიანად, კოსმიურად, მაშინ ალბათ გამრთელდებოდა დანაკუნებული ღმერთი. ამის გაფიქრებაზე კანკალებდა. მხოლოდ ერთი რამ ანუხებდა. ეს გულები მყისვე უკან იხვედნენ, როგორც კი კაცი დღევანდლობას შეეხებოდა. თითქოს კამეჩმა ანკარა წყაროში ჩააბიჯაო — გული სამაღალეში ძვრებოდა, უჩინარდებოდა. მერე ზოგ სახეზე შიში ჩნდებოდა, სხვებზე ისევ უნდობლობა, ხანდახან მტრობაც. პირდაპირი შემოხედვა აღარ არსებობდა, სიტყვა უკან იხვედა, ძუნდებოდა, საუბარი კალაპოტიდან ვარდებოდა, მიკიბულ-მოკიბული ხდებოდა. გამოცდილი კაცი მიმართებათა მთელ სკალას შენიშნავდა — საბჭოეთთან მიახლოებას თუ მასთან გაუცხოებას, მტრობას, მიუკარებლობას“ (რობაქიძე 1991ა: 42).

ამ ეპიზოდში მწერალი შესანიშნავად წარმოაჩენს, თუ რა უშლის „დაგლეჯილ ღმერთს“ გამრთელებას. ეს კი ტრაგედიაა მთელი სამყაროსთვის. არა მხოლოდ ადამიანი იტანჯება უღმერთობით, არამედ ღმერთსაც სტკივა უადამიანობა. ადამიანი ხომ ღმერთის შემოქმედების გვირგვინია, მისი „ხატება და მსგავსება“. საბჭოთა რეჟიმი კი ადამიანში კლავდა ღმერთის მიერ ბოძებულ ორ დიდ საჩუქარს — სულის უკვდავების რწმენასა და თავისუფალი არჩევანის ნებას. რომანის ამ ეპიზოდში აღწერილია, როგორ ვერ იხსნება თამაზი მეორე ადამიანთან ბოლომდე, როგორ თრგუნავს შიში: „რატომ ვერ გახსნეს გულები? ატმოსფერო რატომ იყო უნდობლობით გაჟღენთილი? რატომ ჩადგა ეჭვი მათ შორის? თამაზის გული მწუხარებას ალევსო. დაგლეჯილი ღმერთის ხორცადქცეული ნაწილი კვლავ მარტო იყო მასში, საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტილი. დაღონდა: სხვა ადამიანში ღმერთთან მიახლოება უკვე აღარ იყო შესაძლებელი. გული დაუმძიმდა. გარეთ იყო ქარი და სიმარტოვე... მეტისმეტი სიფრთხილე რომ არ გამოეჩინა, იქნებ ეს შეხვედრა ღმერთის გამოცხადებით დამთავრებულყო. ო, ეს სიფრთხილე! ეს შინაგანი შიში, ეს უმთავრესი სენი სიცოცხლის! ეს ლანჩობაა, ცოდვაა სიცოცხლის წინაშე. თამაზი მარტო იყო. ის თანამგზავრი შორს იყო. მარტოობა, მიგდებულობა სუფევდა მის გარშემო. „სადა ხარ ღმერთო?“ დაიყვირა გულში და დაავინყდა, რომ ღმერთი ყველგანაა, სადაც გული ღიაა, სამსხვერპლო ცხოველის დარად მზად არის თავის შესათავაზებლად. „სადა ხარ ღმერთო?“ უეცრად სიცილი მოესმა, შემინებულმა მოათვალიერა იქაურობა: ყველას ეძინა“ (რობაქიძე 1991ა: 43).

ეს, რა თქმა უნდა, ეშმაკის სიცილია, რომელმაც გამარჯვება იზეიმა. თამაზის გულში ეჭვი და უნდობლობა გააჩინა. ასევე იცინის და ხარხარებს უკეთური ილიას „განდეგილში“.

თამაზი უნებურად არღვევს ქრისტეს უპირველეს მცნებას, შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი.

სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს გაცემას და არა მიღებას, — წერს ერის ფრომი ნაშრომში „სიყვარულის ხელოვნება“. მისი აზრით, თუ ადამიანი თავს გრძნობს ენერგიითა და სიცოცხლით სავსედ, ის გასცემს და ამ დროს ამჟღავნებს თავის სიცოცხლისუნარიანობას. მატერიალურ საგანთა სფეროში გაცემა სიმდიდრეს გულისხმობს. მდიდარი ის კი არ არის, ვისაც ბევრი აქვს, არამედ ის, ვინც ბევრს გასცემს... ვისაც შეუძლია საკუთარი ნაწილის გაცემა, ყოველთვის მდიდარია... რას აძლევს ერთი ადამიანი მეორეს?. იგი აძლევს საკუთარ თავს, ყველაზე ძვირფასს, რაც გააჩნია, იგი აძლევს საკუთარ სიცოცხლეს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად მსხვერპლად მიუტანს თავის სიცოცხლეს სხვას. იგი აძლევს მეორე ადამიანს იმას, რაც ცოცხალია მასში, იგი აძლევს მას თავის სიხარულს, თავის ინტერესს, თავის თვალსაზრისს, თავის ცოდნას, თავის იუმორს, თავის სევდას — თავისი სიცოცხლის ამგვარი ბოძებით იგი ამდიდრებს მეორე პიროვნებას, იგი თავისი სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებით აძლიერებს მეორე პიროვნების სიცოცხლისუნარიანობას. იგი იმ მიზნით არ გასცემს, რომ მიიღოს, თავისთავად გაცემაა უდიდესი ტკობა (ეს კარგად არის დახატული კნუტ ჰამსუნის „მისტერიებში“, რომლის მთავარი გმირი ნაგელი საგულდაგულოდ მალავს სიკეთეს, არა თავმდაბლობის, არამედ უპირველესად იმის გამო, რომ სიამოვნებს ფარული გაცემა). მაგრამ გაცემისას ადამიანს არ შეუძლია არ აღძრას მეორე ადამიანში რაღაც ახალი, რაც მას შემდეგ უკან უბრუნდება („რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია“).

გრიგოლ რობაქიძე წარმოაჩინს, თუ რას ინვესს უღმერთობა და უსიყვარულობა. „დედები ტყუპებს აჩენდნენ: ერთი აბელი იყო, მეორე — კაენი. მეფობდა ორპირობა, ორგულობა, უნდობლობა, ბეზლობა, ღალატი, შიში“. მიუხედავად ამგვარი ვითარებისა, მწერალს სჯეროდა, რომ არსებობდა რალაც, რამაც არც რევოლუცია იცოდა და არც კონტრრევოლუცია, არც კულაკობა და არც ხუთწლიანი გეგმა, არც ცენტრალური კომიტეტი და არც გენერალური მდივანი. ეს იყო ადამიანური გული, ღმერთითა და ცეცხლით სავსე. სიბნელე მეფობდა, მაგრამ უეცრად ცეცხლი აგიზგიზდებოდა, მასში ლოცვა და სიხარული ცოცხლობდა. ეს აალებული გული იყო. რუსეთის დიდ ტრამალებზე, ციმბირში, უკრაინაში, ყაზახეთში, კავკასიაში — ყველგან იესო ან თამუზი იბადებოდა: ჩუმად, შეუმჩნევლად, სადღაც, რომელიღაც კუთხეში“ (რობაქიძე 1991ა: 125).

გრიგოლ რობაქიძე იმონმებს დოსტოვესკის სიტყვებს: „ჯოჯობეთი არის ტკივილი იმის გამო, რომ აღარ ძალგიდს სიყვარული“ (რობაქიძე 1991ა: 107).

სიყვარულის უუნარობამ შექმნა, მწერლის აზრით, სტალინისგან ურჩხული და დაამსგავსა უზარმაზარ ელექტროგაყვანილობას, რომელსაც ეწერა: „მიახლოება სიცოცხლისთვის სახიფათოა“ (რობაქიძე 1991ა: 106).

საბჭოთა რეჟიმი ინვესს თამაზ ენგურის, სიცოცხლითა და მომავლის რწმენით აღსავსე კაცის სულიერ გაორებას და ცდილობს მასში სულის ჩაკვლას. ეს არის მტანჯველი პროცესი. მწერალი გვიჩვენებს თანდათან როგორ ხდება გმირის უკან დახვევა, დათმობა, რაც მის სულიერ განადგურებას ინვესს. ეს თემა უცხო არ არის ქართული ლიტერატურისთვის. უფრო ადრე მიხეილ ჯავახიშვილმა „ჯაყოს ხიზნებში“ წარმოაჩინა, როგორ ცდილობს ზნეობრივი იდეალებისა და თავისუფლების მალმერთებელი გმირი სულის გადარჩენას.

შეუძლია თუ არა პიროვნებას შეენინაალმდეგოს საზოგადოებას. ქართულმა ლიტერატურამ ამის არაერთი მაგალითი იცის, მათ შორის, უპირველესად ვაჟა ფშაველას გმირები (ალუდა ქეთელაური და ჯოყოლა აღხასტაიძე).

თამაზი თავიდან ენინაალმდეგება უცხო ძალას, რომელიც მისი გულიდან რწმენისა და სიყვარულის ამომანთვას ცდილობს, მაგრამ თანდათან ძალა ეცლება და საბოლოოდ დემონის კლანჭებში აღმოჩნდება. მწერალი არ სწირავს გმირს, მისთვის ეს დაცემა გაიაზრება, როგორც აუცილებელი გამოცდა, ჯოჯობეთის ხილვა, უფსკრულში დანთქმა ხელახალი შობისთვის.

სიმბოლურია, რომ რომანის პირველი ფრაზა ასეთია „თამაზს გაეღვიძა“, ეს მისი მხოლოდ ფიზიკური გაღვიძებაა, შემდეგ ის მრავალგზის დაიტანჯება და რომანის ბოლოს სულიერად მკვდარი ხელახლა იღვიძებს ახალი, რწმენით აღსავსე ცხოვრებისათვის. მწერალი აუცილებლად მიიჩნევს სულიერ გაღვიძებას, რათა ადამიანმა შეძლოს სამყაროში შემოჭრილ დემონურ ძალებთან ბრძოლა და სიცოცხლის გადარჩენა.

თამაზი გრძნობდა ბუნების შვილობას, პოეზიაში ცდილობდა, მის არსს ჩასწვდომოდა, სამყაროს მთლიანობის შეგრძნება სიტყვებში მოეხელთებინა. ასეთი ფაქიზი, დახვეწილი, ნატიფი სულის ადამიანს უხდება შეჯახება სინამდვილესთან, რომელიც არ ცნობს ამგვარ პოეზიას, საიდუმლოებას, ის ყოველივეს „ჯადოს ხსნის“, სწორედ ასე ჰქვია რომანის ერთ თავს. თამაზი ცდილობს შეენინაალმდეგებას, მაგრამ, რობაქიძის აზრით, ბოლშევიზმს, ამ ეშმაკეულ იდეოლოგიას ისეთი გამხრწნელი ძალა აქვს, რომ იგი ყოველივეში აღწევს, თამაზის სულშიც და ცდილობს მისი გულიდან სილამაზის, მშვენიერების, ღვთაებრივის, რწმენის ამოძირკვას.

თამაზი მონანილობს კინოსცენარების განხილვაში. ერთ სცენარში დაგეგმილია, ამხილონ ხევისბერთა სიცრუე და წყაროს მაკურნებელი ძალის სიყალბე. თამაზი აშკარად ვერ ენინაალმდეგება და უნებურად მიდის დათმობაზე. ის თანახმაა, აჩვენონ, რომ წყაროს ჯადოსნური ძალა კი არა აქვს, არამედ მასში რადიაქტიური ელემენტებია. თუმცა, იმის დამტკიცებით, რომ, წყარო შეიცავს რადიაქტიურ ელემენტებს და ამიტომაც ახდენს გავლენას ადამიანზე, არ აიხსნება საიდუმლო. „ყოველ მოვლენას აურასავით თან ახლავს იდუმალი საფარველი. თამანედროვე ფიზიკა მეტაფიზიკაში გადადის“.

ეს დათმობა ინვესს თამაზის სულიერ ტანჯვას. იგი გრძნობს, რომ მისი განზე გადგომა პოლიტიკისგან, („არც კომუნისტი იყო, არც რევოლუციონერი. სამყარო-

დან ღმერთის განდევნა — საბჭოეთის ეს მთავარი დინება — შინაგანად უცხო იყო მისთვის, მაგრამ არც მტერი იყო რევოლუციისა“ (რობაქიძე 1991ა: 95) მოჩვენებითია.

გავისხენოთ მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებიდან“ ის ეპიზოდი, როდესაც მარგო თეიმურაზს ურჩევს ახალ მთავრობასთან შერიგებას. ამ ეპიზოდში, ერთი შეხედვით, სუსტი და უხერხემლო თეიმურაზი საოცარ სიმტკიცესა და პრინციპულობას იჩენს. იკვეთება მისი ცხოვრებისეული კრედეტო. მას არ სურს გაორება, დათმობა, ის ენინაალმდეგება შექმნილ ვითარებას, დროს, „სისხლითა და ცხედრებით“ სავსეს. აი, ცოლ-ქმრის ის დიალოგი:

„—მაშ რას მ...მირჩევ, მარგო?

—გამოუცხადე ლოიალობა და ერთგულად იმსახურე.

—კარგი მ.მრჩეველი მეუღლე მყოლია! არ მესმის, მაგას როგორ მირჩევ, როგორ მიბედავ, მარგო?

—გიბედავ, რადგან შენი ერთგული მეუღლე და მეგობარი ვარ.

—მაშ პ...პპოლიტიკურად თავი უნდა მოვიკლა არა, არა?

—თუნდ ეგრეც იყოს. რა მოგცა პოლიტიკამ?

—ჯერ არ...რაფერი, მაგრამ...

—მაგრამ არც შემდეგში მოგცემს.

—შეიძლება, მაგრამ სისხელი?

—ვისთვის ან რისთვის გინდა კერპი კაცის სახელი, რომელმაც ბოლოსდა ბოლოს სიბრძნით კისერი უნდა მოიტეხოს და სხვებიც დაღუპოს?

—ორგულობა და ორპირობა არ მ...შემეძლიან, ეს შენც კარგად იცი.

—არც გაჩუმება შეგიძლიან?

—ბევრჯერ ვეცადე, მაგრამ ვერ მ...მმოვახერხე“ (ჯავახიშვილი 2000: 124).

თეიმურაზისა და მარგოს საქმე კარგად ვერ წავიდა. ისინი ბოლშევიზმის ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ, ჯაყოს ხიზნები, ღირსებააყრილნი და დამცირებულნი.

მარგოს რჩევაში მოჩანს გადარჩენის ის გზები, რომელთაც მიმართავდნენ ადამიანები, ეს იყო ან შერიგება, ან გაჩუმება. თეიმურაზმა გაცლა არჩია, შინაგანი რწმენით, რომ ის ინარჩუნებდა თავის პრინციპებსა და იდეალებს, თუმცა ბოლშევიზმის კლანჭებს ვერ გაეცალა, რადგან გაცლა გამოსავალი არ იყო.

მიხეილ ჯავახიშვილმა ეს რომანი 1924 წელს დაწერა, როცა, როგორც თვითონ წერდა, მის გულს ცეცხლი ეკიდებოდა და სული იმ დროის სისხლში ჰქონდა ამოვლებული“. ეს მისი სულის „გმინვა“ იყო. მწერალმა წინასწარმეტყველურად განჭვრიტა, რა დღე მოელოდა საქართველოს. გრიგოლ რობაქიძემ ეს წინასწარმეტყველება ათიოდე წლის შემდეგ „ახსნა“ და თვითონვე იწინასწარმეტყველა შემდგომი ათეული წლის ცხოვრება.

თამაზი, როგორც აღვნიშნეთ, მწერლის ალტერ-ეგოა. უცოეთში გადაკარგვამდე გრიგოლ რობაქიძემ ხომ თავის თავზე გამოსცადა ბოლშევიკური რეჟიმის სისასტიკე. მასაც დაათმობინეს („უდეგა“, „ბაქო და ჰაიასტანი“).

თამაზი გრძნობს სულიერად როგორ ანადგურებს მასაც სხვებივით შიში „საიდუმლო მაგიდისა“ თუ „კედლის გაზეთისა“, ყოველი აზრის გამოთქმის შემდეგ იტანჯება იმის ფიქრით, რამე ზედმეტი ხომ არ წამოსცდა, ეს კი მისი ღირსების შელახვას იწვევს, რადგან იგი მიდის თავისი ნების წინააღმდეგ. როდესაც სამსახურში სახკინომრეწვეში სცენარის განხილვისას არ თქვა ის, რასაც ფიქრობდა და რაც თქვა, იმასაც განიცდიდა, რადგან იგრძნობოდა, როგორ თმობდა იდეალებს და მიჰყვებოდა ბოლშევიკურ დაკვეთას ხელოვნებაში, ეზოში გამოსულს, მოუსვენრობით შეპყრობილს, ბუნება, მზე ახალისებს. აქ კი მწერალი ხატავს ეპიზოდს, რათა ხატოვნად წარმოაჩინოს, თუ რა ხდება მის სულში. თამაზი ძლიერია, მისი შინაგანი სამყარო მზად არის ჯანყისთვის, სწორედ ეს იხატება მის მიერ მოულოდნელად გამოვარდნილი ულაყის დამორჩილებაში. თამაზი იტანჯება, რადგან არ შეუძლია თავი დააღწიოს რეჟიმის გავლენას, თითქოს ჰაერიც მოშხამულია და გაჟღენთილია „ნითელი“ მომწამვლელი ბაცილებით.

1921 წელს გალაკტიონმა დაწერა ლექსი „ბრმა ცალი თვალით“ და ზუსტად შეაფასა დროის სული:

„იგი ტრიალებს ვით თვალი ქორის,
ეს საუკუნე — მეფისტოფელი“.
(ტაბიძე 1982: 264)

რომანში ეს ემმაკეული სულებს იპყრობს „უცხო“ სახელით. ადამიანები გრძნობენ მის ძალას, მაგრამ შიშით სახელს ვერ არქმევენ.

ეს უცხო იგრძნო თამაზმა როდესაც სიტყვით გამოვიდა საქართველოს გასაბჭოების წლისთავზე... თავისი დათმობით სასონარკვეთილი თამაზი გაზეთში თვალს მოჰკრავს სახელმწიფოვეტილი რუსი პოეტის განცხადებას, ვიდაც მაღალჩინოსანს მცირე წერილით რომ უსამძიმრებს შვილის დაღუპვას. მან კოლექტიურ სამძიმარს მოსკოვში არყოფნის გამო ვერ მოაწერა ხელი და ახლა ცდილობდა „დანაშაულის“ გამოსყიდვას. ეს აფიქრებს თამაზს, ცდილობს, ჩასწვდეს, რა ამოძრავებდა პოეტს ამ წერილის წერისას და ხვდება: „რალაც უცხო ძალა იგრძნობოდა, რომელსაც შეუმჩნევლად, მაგრამ ერთიანად, განემსჭვალა პოეტის არსება. რა იყო ეს უცხო, თამაზს ვერ გაეგო. ეს თვით პოეტისთვისაც არ უნდა ყოფილიყო ნათელი. უეცრად თავისი დღევანდელი დათმობა გაახსენდა: ესეც იმ უცხოს შეიცავდა“ (რობაქიძე 1991ა: 106).

ეპოქისეული უღმერთობა სრულად ვლინდება ტროცკისტ ბერზინის სახეში.

რომანში დახატულია გპუს „ჯურღმულები“, სადაც „სისხლის სუნი ტრიალებდა“. ერთ ეპიზოდში თამაზი პეტროვს ადამიანთა მსხვერპლშენიერებაზე ესაუბრება. „გპულ-იც ღვრის სისხლს — მერედა როგორ“, — გაიცინა პეტროვმა. თამაზი გაიოცებს, გპულს ხომ არ სწამს ღმერთი? „სისხლი მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის და მხოლოდ მას სჭირდება“, „არა, მეორესაც სჭირდება“, „ვის?“. „ემმაკს...“ — მაცდურად გაიცინა პეტროვმა (რობაქიძე 1991ა: 102). მანვე უამბო თამაზს, რომ ზოგიერთი გპუელი ხელებს სისხლში იბანდა. ეს რომ არ იყო ჰიპერბოლიზაცია, დოკუმენტური წყაროებით დამტკიცდა. რომანში აღწერილია გპუს პირქუში, დამთრგუნველი გარემო. დღისით აქ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ღამით კი — ასე სამსა და ოთხ საათს შორის — შიშისმომგვრელი ხმები გაისმოდა: თითქოს ჩიტის გალიაში შემძვრალი გველი ხოხვით მიიკვლევდა გზას, ენას ასისინებდა... ტუსალები დამუნჯებულნი უგდებდნენ ყურს ამ ჩქამს. თითოეული ელოდა, რომ კარი გაიღებოდა და მას გამოიძახებდნენ. ყველამ იცოდა, რას ნიშნავდა ეს გამოძახება. გარეთ საბარგო მანქანა ღმუოდა. ვირთხები ცოცხლდებოდნენ, თითქოს მოახლოებული ლემის სუნი ნინასნარ იკრესო“. გპუს ჯოჯოხეთური გარემო მწერალს აფიქრებინებს, რომ ეს „ადამიანის შექმნილი არ უნდა ყოფილიყო“ (რობაქიძე 1991ა: 97).

ასე რეალური და მითიური პლანების მონაცვლეობით წარმოაჩინა რობაქიძემ ბოლშევიზმის ნამდვილი სახე.

თვითონ ფიზიკურ რეპრესიას კი გადაურჩა, მაგრამ სულიერად რეპრესირებული გარდაიცვალა, სამშობლოს ერთადერთი „ნატვრა-ანდერძი“ დაუტოვა: „როცა მე ამ სოფლად აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, მწიფობის, ჩემი დაბადების თვეში. სანთელს აანთებდეს ამ პანა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტს არას ვთხოვ საქართველოს“ (რობაქიძე 1985ბ: 41).

დამონეგანი:

ბაქრაძე 1990: ბაქრაძე ა. „მწერლობის მოთვინიერება“. თბ.: „სარანგი“, 1990.

დოსტოევსკი 1990: დოსტოევსკი თ. „ემმაკნი“. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1990.

რობაქიძე 1991ა: რობაქიძე გრ. „ჩაკლული სული“. თბ.: „ივერია“, 1991.

რობაქიძე 1996ბ: რობაქიძე გრ. „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“. თბ.: 1996.

ტაბიძე 1982: ტაბიძე გ. რჩეული. თბ.: „მერანი“, 1982.

ჭავჭავაძე 1986: ჭავჭავაძე ი. „ოთარანთ ქვრივი“. თბ.: „ნაკადული“, 1985.

ჯავახიშვილი 2000: ჯავახიშვილი მ. „ჯაყოს ხიზნები“. თბ.: „დია“, 2000.

მრგვალი მაგიდა თემაზე: მწერლობის მოთვინიერება
ყვარყვარში და ქართული ცნობიერება
**Roundtable Discussions on the Topic: *Taming of the Writings*
Kvarkvarizm and Georgian Consciousness**

TAMAR BARBAKADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Versification of Polikarpe Kakabadze's "Bakhtrioni"
and his Persecution in the 1930s**

Polikarpe Kakabadze considered dramaturgy as the highest form of poetry.

The first variant of "Kakhaber's Sword" – "Bakhtrioni" was already finished in the 1933-1934; in 1934, a libretto for the opera "Bakhtrioni" was created that was removed just from the dress rehearsal as a composition with well-expressed "national" spirit;

In 1936, the Soviet authorities criticized severely the poem "Bakhtrioni" and banned to publish or stage it. In October of 1936, considerations arranged at the Union of Writers, the minutes of which are kept at P.Kakabadze's archive, proved how totalitarian regime struggled with the nation's strive for freedom, national hero and talent.

Keywords: Bakhtrioni; Persecution; Soviet Rule.

თამარ ბარბაკაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**პოლიკარპე კაკაბაძის „ბახტრიონის“ ლექსწყობა და
მისი დევნა XX ს. 30-იან წლებში**

ანა კალანდაძემ 1994 წელს პოლიკარპე კაკაბაძეს „ბრძენკაცი“ უწოდა და აღნიშნა. „... იგი გახლდათ წმინდა და ამაღლებული, მინიურ ცდუნებათაგან შეუვალი და მოუსყიდველი“ (კალანდაძე 1996: 606). დიდი დრამატურგის ქალიშვილთან, მზისასთან, მეგობრობისას ანა კიდეც უფრო ახლოს გაცნობია ბატონ პოლიკარპეს, რომლის ბრძნული ფრაზების შესვენებას ეძღვნება ქართული პოეზიის დედოფლის ეს ჩანაწერიც. „...მაგრამ მაშფოთებს... უფრო მეტად ადამიანთა გაუტანლობა. ავაზაკნი ამ მძიმე ჭირში დაზარალებულთ შესევთან... რაც ბედისაგან შერჩენიან, მასაც სტაცებენ... კაცთმოყვარება ამათ საკუთარ ჭირის წამლად მხოლოდ ჰქონიათ... სიკეთის აღივებას ძალა სჭირდება, ბოროტება კი კაცთა შორის თავისით იყრის!“ — გაიჟღერებენ გულში დღევანდლობას წინასწარმეტყველურად მისადგებული ეს სტრიქონები პოლიკარპე კაკაბაძისა და კიდეც ერთხელ მოვიგონებთ დიდი ჰორაციუსის რჩევას, — ვიკითხოთ ბრძენკაცთა ქმნილებანი!“ (კალანდაძე 1996: 606).

თხუთმეტი წლის წინანდელი, ანას დაწერილი ეს მიძღვნა პოლიკარპე კაკაბაძისადმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს, როდესაც ტოტალიტარულ რეჟიმსა და ლიტერატურის დისკურსზე გვიწევს მსჯელობა. დღევანდელი თვალსაწიერიდან დიდი დრამატურგისა და დიდი პოეტის სულიერი სიახლოვეც სიმბოლურ ხასიათს იძენს და ვხვდებით, რომ თავისი ახალგაზრდა პოეტი მეგობრისათვის გოეთეს ლექსების კრებულზე ყურადღების გამახვილებაც არ უნდა ყოფილიყო უნებლიე ფაქტი.

ანა იგონებს: „ერთხელ შინ გახლდით მასთან. საუბარში სიტყვამ მოიტანა და თაროდან გოეთეს ტომეულებიდან პირველი ტომი გადმოიღო, წიგნი მალა შემართა და ბრძანა: ეს მხოლოდ ლექსებია! გოეთემ 83 წლამდე იცოცხლა, სიკვდილამდე შეყვარებული იყო, მაგრამ ლექსები ამ ერთი ტომის მეტი არ დაუწერიაო, და დასძინა: მეტი კონტროლია საჭირო საკუთარი თავის მიმართ, საკუთარი შემოქმედების მიმართ, — რალაცას უნდა შეველიოთ“ (კალანდაძე 1996: 607).

საგულისხმოა, რომ „კახაბერის ხმალში“ პოლიკარპე კაკაბაძე ზომიერების ქებას ევაგრის პირით წარმოთქვამს: „ხელოვანი თვის სიბრძნეს გვიმხელს ზომიერებით, მოაცლის კაცის სახეს უმსგავსს, ამოეხას, დატოვებს, რაც ჩანს მის არსების ჭეშმარიტებად და სინამდვილის თვალმოსაწყენს და წარმავალსა, ჭეშმარიტებით წარმოგვიდგენს — მარად საცქერად“ (კაკაბაძე 1971: 111).

ანა კალანდაძის აზრით, ზომიერების გრძნობა, თვითკონტროლი გახლდათ პოეზიაში (და საერთოდ, ხელოვნება!) მისი, ესოდენ დახვეწილი ლიტერატურული გემოვნების მქონე შემოქმედის, კრედო!

მწერლის ქალიშვილი, მანანა კაკაბაძე, იგონებს, რომ 1910-1911 წლებში პოლიკარპე კაკაბაძე წერდა ლექსებს, რომლებიც ერთ ღამეს, თვით ახალბედა პოეტის დაუდევრობით გაჩენილი ხანძრისას დამწვარა. 1912 წლიდან კი მას, ლირიკის ნაცვლად, დრამატული თხზულებების წერა დაუწყია.

„ამის შემდეგ მისი ლექსები დრამატულ პოეზიაში გვხვდება მხოლოდ, დიალოგებისა და მონოლოგების სახით. მისი პოეზია ამ პერიოდიდან დრამატული პოეზიის ფორმას იღებს. მის შემოქმედებაში შემოდიან და მკვიდრდებიან ლირიკული დრამები, დრამატული ეპიზოდები, პროზით და თეთრი ლექსით განწყობილი დიალოგები თუ მონოლოგები. მას აღარასოდეს უცდია, აღედგინა თავისი დამწვარი ლექსები მეხსიერების საშუალებით, თუმცა თავის მეგობართა წრეში, ახალგაზრდობაში დიდი სახელი ჰქონდა და ბევრი მისი ლექსი ზეპირად დადიოდა მის სამეგობროში. შემდგომში მას აღარ წყდებოდა გული ახალგაზრდობაში დაკარგული თავისი შემოქმედების ამ ნაწილზე. იგი ამბობდა, მე ვიგრძენი, რომ სხვა, ახალი ფორმა მჭირდებოდა ჩემი პიროვნების, ჩემი ფიქრებისა და სათქმელის გამოსახატავად. მან მიაგნო ასეთ ფორმას, ურთულეს ლიტერატურულ გვარს, დრამატურგიას და აქ დაიმკვიდრა თავისი თავი და გამოხატა თავისი სათქმელი და დამოკიდებულება სამყაროს კანონ-ზომიერებათადმი“ (კაკაბაძე 2003: 334). მთლიანად ლექსით არის გამართული პ.კაკაბაძის ლიბრეტო ოპერისათვის „ბახტრიონი“, თეთრი ლექსით არის დაწერილი კომედიის „კახაბერის ხმლის“ პროლოგი და ტრაგედიის „დემეტრე II-ის“ ნაწილები.

როგორც ცნობილია, XX საუკუნის 30-იან წლებში, საქართველოსა და მთელ საბჭოეთში გამეფებული ტოტალიტარული მმართველობის ჟამს, როდესაც თანამედროვეობის ასახვა მხოლოდ ერთი ასპექტით — იდეალურით — იყო შესაძლებელი, მწერალმა განსაკუთრებულ გზას მიაგნო — ისტორიულ წარსულს მიმართა და იქ დაიწყო ეროვნული გმირის ძიება.

პოლიკარპე კაკაბაძე 30-იან წლებში ისტორიული მასალის მოგროვებას იწყებს თავისი დრამებისათვის და 1932 წელს ოჯახით ჩადის გროზნოში, ზაფხულს აგარაკ არმხში გაატარებს და აგროვებს გადმოცემებს შამილისა და მისი ბრძოლის ირგვლივ.

სწორედ ამ დროს დრამატურგი ინტენსიურად მუშაობდა „კახაბერის ხმლის“ ადრეულ ვარიანტებზე, რომელსაც „ბახტრიონი“ ეწოდებოდა. „ბახტრიონში“ ისტორიული თემატიკა კომედიის ჟანრით არის წარმოდგენილი, ზღაპრულ-მითოლოგიური გმირების მეშვეობით, ფილოსოფიურად არის განზოგადებული საკაცობრიო იდეალები და ქვეყნის იმდროინდელი, კონკრეტული გასაჭირიც ადვილად იკითხება სტრიქონთა მიღმა.

ცნობილია, რომ 40-იან წლებში, 1942-1944 წლებში, პოლიკარპე კაკაბაძე ხელახლა მიუბრუნდა „ბახტრიონს“.

„კახაბერის ხმლის“ პირველი ვარიანტი „ბახტრიონი“ 1933-34 წლებში უკვე დამთავრებული იყო და 1934 წელს ლიბრეტოც შეიქმნა ამავე სახელწოდებით, რომლისთვისაც მუსიკა დაწერა გრიგოლ კილაძემ. „ბახტრიონის“ გენერალურმა რეჟეტიციამ წარმატებით ჩაიარა ოპერაში, მაგრამ გენერალური რეჟეტიციიდან იგი მოხსნეს, როგორც „ნაციონალისტური“ სულისკვეთების გამომხატველი ნაწარმოები.

მანანა კაკაბაძე იგონებს: „უკვე 1936 წელი იდგა. ამ დროს პიესას დიდი სახელი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ არც დაბეჭდილია და არც დადგმული; ამ ნაწარმოების ისე ემინია ხელისუფლებას, როგორც ატომური ბომბის, იგი „ყვარყვარებზე“ უფრო რადიკალურ და კიდევ უფრო მნიშვნელოვან ნაწარმოებად არის მიჩნეული. ეს შეხედულება აისახა კიდევ 1936 წელს მწერალთა კავშირში გამართულ პიესა „ბახტრიონის“ განხილვაზე, რომლის ოქმი არსებობს. რამდენადმე შემოკლებული ჩანანერები იქ გამომსვლელთა სიტყვებისა შეტანილია ამ ოქმში. არ ვიცი, ახლა არის თუ არა ეს ოქმი მწერალთა კავშირში, მაგრამ პოლიკარზე კაკაბაძის არქივში მოიპოვება ამ ოქმის პირი, ბეჭედდასმული, ხელმოწერილი, სათანადოდ გაფორმებული. ეს განხილვა მიზნად ისახავდა მწერლის დამუშავებას, რომლის შედეგად უნდა მომხდარიყო ავტორის „ხალხის მტრად“ გამოცხადება და მისი ლიკვიდაცია. ამ ოქმმა შემოინახა ეს აშკარა მტრული ტენდენცია. მთავრობის ტენდენციას ვინც წინ აღუდგებოდა, იგი სასწორზე დებდა თავის სიცოცხლეს. საყოველთაო შიში სიკვდილისა, აიძულებდა ბევრ ადამიანს, გაჩუმებულიყო, ან სულაც სინდისზე ხელი აედო და აპყოლოდა მთავრობის ნებას...“ (კაკაბაძე 2003: 328).

ცნობილია, ამ ოქმში, 1936 წელს „ბახტრიონის“ განხილვას რომ ასახავს, აღნუსხულია ექვთორი გაბესკირიასა და პეტრე სამსონაძის გამოსვლები. ისინი „ბახტრიონს“ „ყვარყვარე თუთაბერზე“ მალაც კი აყენებდნენ.

ჯერ დაუბეჭდავი და დაუდგმელი „ბახტრიონი“, რეპრესიის ტალღის დასაწყისშივე, განიხილეს მწერალთა კავშირში, მაგრამ ვერ დაამარცხეს. განხილვაზე „ბახტრიონი“ თვითონ ავტორმა, პოლიკარზე კაკაბაძემ დაიცვა: მან მოწინააღმდეგეთა ყველა არგუმენტი გააბათილა, ყველა პროვოკაცია ამხილა, რკინისებური ლოგიკითა და შეუდარებელი მხატვრული ანალიზით აჩვენა თავისი თხზულების არსი და მნიშვნელობა. მწერალთა კავშირის იმ კრებაზე პოლიკარზე კაკაბაძემ და მისმა მომხრეებმა გაიმარჯვეს: „...სიმართლისათვის თავგანწირული უმნიშვნელო მწერლები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ, ვიდრე სიკვდილის შიში, და ამ შიშს დამორჩილებული ადამიანები, მწერლობისათვის რომ მოეკიდნათ ხელი“ (კაკაბაძე 2003: 329).

ცნობილია, რომ სანდრო ახმეტელს, დაპატიმრებისას, ერთ-ერთ ბრალდებად წაუყენეს პოლიკარზე კაკაბაძის „ბახტრიონის“, ამ „ნაციონალისტური“ ნაწარმოების, დადგმის მცდელობა! მას სჯიდნენ იმისათვის, რომ სურდა დადგმა „ბახტრიონის“, თუმცა ვერ მოასწრო ამ სურვილის განხორციელება. მას სურვილიც კი დანაშაულად ჩაუთვალეს! ახმეტელის დაკითხვის ოქმი ვ. კიკნაძემ გამოაქვეყნა, — გვაუწყებს მანანა კაკაბაძე.

რა იყო „ბახტრიონში“ ისეთი თავზარდამცემი 30-იანი წლების საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რამაც აიძულა მწერალთა კავშირი, ასე თავდაუზოგავად ებრძოლა ამ თხზულების მოსასპობად და მისი ავტორის გასანადგურებლად? „ბახტრიონის“ ლიბრეტო პირველად 1973 წელს დაიბეჭდა. დრამატურგის ორტომეულის II ტომში. მხოლოდ ამის მერე მიეცა მკითხველს საშუალება მისი განსჯისა. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ მწერლის სიკვდილის შემდეგ მოხდა...

კომედია „ბახტრიონში“ იდეალური გმირის განზოგადებული სახის შემოტანა, თავგანწირული გმირის, წმინდა გიორგის მხატვრული სახის მონათესავე მეტაფიზიკური გმირის იდეა ახალი ხერხი იყო კომედიოგრაფიაში. მწერლის ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე დრამატურგის ქალიშვილი მანანა კაკაბაძე ასკვნის, რომ 30-იანი წლების II ნახევარში შემოვიდა „ბახტრიონში“ ეს ახალი მოტივი: ეს იყო გმირი კახაბერის (იგივე ბაყათარი, ბახათარი) მოტივი, რაც მანამდე არ იყო პიესაში.

ჩვენი აზრით, კომედია „კახაბერის ხმალი“ და ლიბრეტო ოპერისათვის „ბახტრიონი“ ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება: პერსონაჟების (ნაცარქექია, ქოსატყუილა, როსტომ ბრძენი, დოყლაპია, გულქანა, ფატი, მუსუსელა, სვიმონხანი, მთავარი გვანგვა, მთავარი კონსტანტინე და სხვ.) მეშვეობით, მათი ზღაპრულ-მითოლოგიური სახეების ფილოსოფიური განზოგადებით, ისტორიული თემატიკის კომედიურ ფანრში გადანყვევით, 30-იანი წლების საქართველოს კონკრეტული სურათის დახატვას.

„კახაბერის ხმლის“ პროლოგი სახლთუხუცესის მიერ წარმოთქმული თოთხმეტმარცვლიანი (5/4/5), ურითმო ლექსით იწყება:

„...სანდომიან, ლამაზ მამულში
შენს თავზე დიდხანს გრძელდებოდა უკუნი ლამე,
მკაცრ ბრძოლებში კნინდებოდი სულით და ხორციით,
მაგრამ წმინდანნი შენს წიაღში იბადებოდნენ-
მაღამოდ გცხებდნენ მძიმე წყლულზე თავის სიცოცხლეს
და შეგარჩა ფშვინვა კეთილ ჟამის მობრუნებამდე“.
(კაკაბაძე 1971: 107)

ხოლო შემდეგ გვაუწყებენ, რომ ბერიკები და ხუმარა ევაგრი — დასით, თეატრონით წარმოგვიდგენს კახაბერის ხმლის ამბავს.

ბახტინის თეორია კარნავალიზაციის მოტივზე, კარნავალზე, რომელიც სწორედ ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემების აღზევების ხანაში ინერებოდა (XX ს. 30-40-იანი წლები), მხატვრულად არის ხორცშესხმული მის დამკვიდრებმდე, 1929-1954 წლებში, პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმლის“ შექმნისას.

ევაგრის პირით გაცხადებულია ყველა დროის ტოტალიტარიზმისათვის გამგმირავი ფრაზა:

„ჩვენ გვნადს მიიღოს ერის გულმა ნამდვილი გმირი,
ყალბი კი ხალხს რყენის“ (კაკაბაძე 1971: 111).

საგულისხმოა, რომ ევაგრის სახეს ვეცნობით პ. კაკაბაძის ტრაგედიაშიც „დემეტრე მეორე“, სადაც ევაგრი მნიგნობარია. ამავე ტრაგედიაში გვხვდება კახაბერიც, ელიზენდას ძმა, ჯერ კიდევ ბავშვი, რომელიც ცდილობს, გაიზარდოს და პაპის ხმლის ღირსი გახდეს. პატარა კახაბერმა იცის, რა არის სიმართლე: „რაც საფლავიდან მკვდრებს ალადგენს!“ (კაკაბაძე 1973: 69). კახაბერის ეს სიტყვები დემეტრე მეფეს აღფრთოვანებით ათქმევინებს:

„...ზოგ წუთს ქვეყანა მოგვეჩვენება
არარაობად, მაგრამ ოდეს ნიშანს მადლისას
მოზარდში ვპოვებთ, გვნამს, რომ არის ღმერთიც და კაციც!“
(კაკაბაძე 1973: 69)

პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებას ტოტალიტარიზმის ბატონობის ხანაში ყოველთვის დიდი რეზონანსი ექნება – ასე იყო მის თანამედროვეობაში და ასევე ვიგრძნობთ დიდი დრამატურგის ძალას მაშინაც, როცა ეს საშინელი სენი კვლავ დაემუქრება საზოგადოებას:

„მინიერ ცოდვა-მადლის კანონს ნუ გადაუხვევ
ხელოვნებაში, და ჭიდილით ერთმეორესთან
ყველამ თვისება საკუთარი გამოავლინეთ,
ცხოვრება ყოველ სულიერის არის თითო ხმა
მთელი მსოფლიოს უსასრულო ჰარმონიაში
და ციურ მსაჯულს არც ერთი ხმა არ გამორჩება.
ცის ქვეშეთზე კი ხელოვანთა ქმნილის შემსმენი
მხოლოდ ხალხია მინიერი“.
(კაკაბაძე 1971: 112)

პოლიკარპე კაკაბაძემ „ბახტრიონი“, როგორც ადრეული ვარიანტი „კახაბერის ხმლისა“, უმთავრესად ხალხური დაბალი (5/3) და მაღალი (4/4) შაირით, ან სიმეტრიული ათმარცვლედით (5/5), ან შვიდმარცვლედით (4/3, 5/2) გამართა, ხშირია ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი ინტერვალიანი რითმაც: xaxaxa... მესამე ტაქტის მარცვალთმეტობა, პროსოდიული ხმოვნებით რითმის დაბოლოება, ციტირება და პერიფრაზი ხალხური პოეზიიდან.

ცნობილი ქართული ხალხური ლექსებისა და ეროვნული მწერლობის პოეტური შედეგების სტრიქონთა გარემიქსება, ხალხური ზღაპრების აღუზიებისა და რემინისცენციების გალექსილი ვარიანტებით წარმოდგენა კიდევ ერთხელ გვიდასტურებს პ. კაკაბაძის ზომიერებას, ოქროს შუალედის გენიალურად ფლობას, მნიგნობრული და ხალხური პოეზიის შერწყმა-შეჯვარებას; დრამატურგი „ბახტრიონში“ ერის შემოქმედებით ენერგიას საკუთარი, პიროვნული, ორიგინალური თხზვის ნი-

ჭის ნყალობით, სრულიად ახალ ფორმას სძენს: ქოსატყუილა – ქართული ხალხური ზღაპრის პერსონაჟი — უზნეო საზოგადოებაში საკუთარ უფუნქციობაზე საუბრობს, როდესაც ქვეყანა მორალურად დაეცემა, სწორედ უზნეოები იწყებენ ხმის ამალღებაზე ზრუნვას:

„აირია ეს ქვეყანა,
ცრემლი სცრის და სისხლი წვიმსა!..
შინაურებს მოჰყავთ მტრები
მოყვარეთა სალაფავად.
ისე სცრუობს მთელი ერი,
რომ თვითონ მე, ქოსატყუილამ,
ვერავინ ვერ მოვატყუე.
გამახუნეს, დამაჩუმეს,
და შიმშილით სული მძვრება...
თუ სიმართლე აღარ ფასობს,
ტყვილი რაღად გასაღდება?“
(კაკაბაძე 1973: 508)

ქოსატყუილას ყველაზე მეტად სურს სამართლიანობისა და წესრიგის აღდგენა ქვეყანაში, რათა თავისი ძველი ადგილი და, შესაბამისად, ფუნქცია არ დაკარგოს, ამიტომ სთხოვს იგი როსტომ ბრძენს:

„ხალხს უქადაგე,
აღსდგეს სიმართლე
იყოს დანდობა კაცის სიტყვისა“...
(კაკაბაძე 1973: 509)

მუსუსელასაც თავისი გასჭირვებია, რადგან გადაგვარებულ ქვეყანაში მასაც დაეკარგა ფუნქცია: ქალებს სიყვარული აღარ სჭირდებათ და მუსუსელამ როგორღა უნდა მოხიბლოს ისინი:

„...მაგრამ დროება გამოიცვალა,
შემომესია გულში დარდები
ქალი არ ეძებს კაცის სიყვარულს,
ქათინაურით არ იხიბლება,
მამაკაცები სინდისს კარგავენ
დედაკაცები სულ მთლად გარყვნილა“...
(კაკაბაძე 1973: 509)

საგულისხმოა, რომ „კახაბერის ხმალში“ იმავე აზრს გამოთქვამს შოშკოვა: „დი-დი ჭირია ქვეყნისთვის, როცა ბინი ერევა დედაკაცებს“. მუსუსელა იგივე შოშკოვაა. მუსუსელა როსტომ ბრძენს სთხოვს:

„ხალხს ზნეობა ჩააგონე,
დედაკაცებს ნაზი გრძნობა!..“
(კაკაბაძე 1973: 509)

ასე იბრძვის ორი უზნეო: ქოსატყუილა და მუსუსელა სხვების ზნეობისა და სიმართლის აღსადგენად, ოღონდ თვითონ კი არა, როსტომ ბრძენის დახმარებით. ნაცარქექია, ჩვეულებისამებრ, ტრაბახობს, ბაქიბუქობს:

„მტერს ისეთ დღეს დავაყენებ,
ვაგლეჯინებ წვერს და თმასა,
აქეთ გორას ნიხლს მივარტყამ,
იქით გორას ვუზამ ძვრასა
ერთს ვჭექავ ჩემს სამეფოში,
ისეთ ძმებად შევეყრი ყველას,
თხა და მგელი ერთად სძოვდეს,
არ უფრთხოვდე ჩიტი მელას!“
(კაკაბაძე 1973: 518)

აი, ამ ტრაზახა ნაცარქექიას დანიშნავს მეფე ჯარის სარდლად, რომელიც ბახტრონის ციხეს დალაშქრავს.

მეფე დიდმა უბედურებამ მიიყვანა როსტომ ბრძენთან:

„ჰეო, მეო, ჰეო, მეო...
მეფე როსტომთან ასტუმრა
ერის ურვამ, ხალხის ხმამა,
შავმა ჭირმა და ნაბადმა
ჯავრის კარმა, ჭირის გზამა“.
(კაკაბაძე 1973: 511)

მეფე თავისსავე ძმას, სვიმონ ხანს, განუდევნია თბილისიდან და ბახტრონის ციხეც ნაურთმეფია მისთვის:

„ან ბახტრონის ციხეც წამართვეს,
თავშესაფარად დამრჩა ქედები“.
(კაკაბაძე 1973: 511)

„ბახტრონში“ ავტორი სალექსო ტაეპებით ასაუბრებს I-II გუნდებს, რომელთა მიერ წარმოთქმული სტრიქონები შემდეგ სტროფად ყალიბდება, — რომლის მე-3 ტაეპი მარცვალმეტობით ხასიათდება: I-II-IV ტაეპები შვიდმარცვლედს (4/3) წარმოადგენს, ხოლო მე-3 – დაბალი შაირია:

„მენახა, არ მენახა,
ნამუსს უნდა შენახვა,
ბატონს რომ უკადრებია (5/3)
ჩვენ მაინც არ გვენახა“.
(კაკაბაძე 1973: 510)

ქოსატყუილა „ბახტრონის“ IV მოქმედებაში დასჯილია და ამგვარად გამოხატავს თავის მდგომარეობას:

„ბედო, რა მიყავ, ტიალო,
ცხოვრება რად მიზინდდება,
ციხეს ვზი ეგზომ მაღალსა,
ყვავიც ვერ გადაფრინდება...“
(კაკაბაძე 1973: 511)

ნაცარქექიას ლაშქარი დიდი იერიშით დაიპყრობს ცარიელ ციხე; დოყლაპია კი ბანრით შეკრავს სვიმონ ხანსა და მის ამაღლას. ნაცარქექია იბრუნებს თავის გულქანას, რომელიც ოცნებობს ქვეყანაში სიმართლისა და სამართლიანობის აღდგენას:

„ძირფესვიანად მოვთხრიდი
მაგ ჭრელაჭრულა ტყვილებსა,
დავთესდი სიტყვა-პასუხებს
ნამუსით მოკვეთილებსა“.
(კაკაბაძე 1973: 522)

გულქანა და ქოსატყუილა შეძრწუნებული არიან სვიმონ ხანის უსამართლობით.

„...დამხობილ მეფის ერთგულნი
ისრის სამიზნედ იხმარეთ,
ურჩების დასაშინებლად
მოკლულთა გვამზე იხარეთ!“ —

— ბრძანებს სვიმონ ხანი და ქოსატყუილას უყვირის:

„ხალხი სულ ჩემზე ამბობდა,
ეშმაკის კვალზე ბუქნავსო,
აქ კი ხომ ხედავ რა ხდება“...

გულქანაც უმონმებს:

„ასეთი უბედურება
მგლის სოროშიც ნუ ქნასო“.

ეს ციტირება პ. კაკაბაძის „ბახტრიონიდან“ იმიტომ დაგვჭირდა, რათა მკითხველი დარწმუნებულიყო კომედიის მხილების ძალაში. ყველა შენიშვნა ძალადობის, უსამართლობის, უზნეობის თაობაზე ავტორის თანამედროვე საქართველოს კონკრეტულ სურათებს გულისხმობდა.

„ბახტრიონის“ პერსონაჟები, ხალხური ლექსებისა და ზღაპრების გმირები, ერის უდიდესი განსაცდელის — უზნეობის, უსამართლობის ჟამს — ცოცხლდებიან, ერის წიაღიდან გამოდიან და სპობენ ქვეყანაზე მომრავლებულ უბედურებას. ქოსატყუილას, მუსუსელას, დოყლაპიას, ნაცარქექიას უარყოფითი თვისებები სიკეთეს არის შეფარებული და ბოროტებას არ ახარებს, მეფეები და მისი ნების აღმსრულებლები კი ბოროტებას სჩადიან და ავს ამკვიდრებენ ქვეყანაში. ბახტრიონის ციხე, რომელიც ბოროტი სვიმონ ხანის თავშესაფარია, ხალხური ზღაპრის გმირებმა უნდა აიღონ, ისე როგორც ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონში“ დაიხსნეს ქვეყანა ბოროტებისაგან ხალხის წიაღიდან გამოსულმა გმირებმა.

იდეალური გმირის განზოგადებული სახე კომედიაში, როგორც ითქვა, სიახლედ ითვლება და პ. კაკაბაძის სახელს უკავშირდება.

ლიბრეტო „ბახტრიონის“ ბოლოს ნაცარქექიასა და გულქანას შორის შვიდმარცვლიანი ლექს-სტროფებით გამართული დიალოგი, ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, მეფესა და ნაცარქექიას შორის საუბარი ათმარცვლედით (5/5) ადასტურებს პ. კაკაბაძის — პოეტ-დრამატურგის — ორგინალობას: ქართული ლექსის ფეიერვერკი სცენაზე სრულდება კარნავალური მოტივითა და ნიღბების გარშემო ოხუნჯობით, საერთო ცეკვით, „ბახტრიონის“ ამგვარი ტრაგიკომიკური დასასრული მკაფიოდ აირეკლავდა გასული საუკუნის 30-იანი წლების ქართულ სინამდვილეს.

ზემოთ ვახსენეთ, რომ სანდრო ახმეტელს „ბახტრიონის“ დადგმის სურვილიც კი დანაშაულად ჩაუთვალეს და არცთუ უსაფუძვლოდ: „ახმეტელი ეძებს იმგვარ თეატრს, რომელიც ისეთივე ძლიერი და ღრმად ეროვნული იქნება, როგორიცაა ბარათაშვილის შემოქმედება, როგორიცაა მერანის სული, რომელიც არ ემორჩილება ბედს და იბრძვის. გმირულ-რომანტიკულ თეატრზე მეოცნებე რუჟისორისათვის „მერანი“ არის ორიენტირი“ (კიკნაძე 2009: 10).

პოლიკარპე კაკაბაძის „ბახტრიონი და, შესაბამისად, „კახაბერის ხმალი“ გმირულ-რომანტიკული თეატრის დამკვიდრების გზაზე XX ს. 30-იან წლებში პირველი გაბედული ნაბიჯი იყო და, ბუნებრივია, ტოტალიტარული რეჟიმი მკაცრად გაუსწორდებოდა ყველას, ვინც კი მოისურვებდა საქართველოს იდეის გაღვიძებას, ერის სულიერ კერიასთან მიბრუნებას.

დამონეზიანი:

კაკაბაძე 1971: კაკაბაძე პ. დრამატული პოეზია ორ ტომად. ტ. I, თბ.: „ხელოვნება“, 1971.

კაკაბაძე 1973: კაკაბაძე პ. დრამატული პოეზია ორ ტომად. ტ. II, თბ.: „ხელოვნება“, 1973.

კაკაბაძე 2003: კაკაბაძე მ. ეროვნული გმირის იდეა პოლიკარპე კაკაბაძის „ვახტანგ გორგასალსა“ და „კახაბერის ხმალიში“. ლიტერატურული ძიებანი, XXIV, თბ.: 2003.

კალანდაძე 1996: კალანდაძე ა. ორტომეული. ტ. II, თარგმანები. პროზაული ნაწარები. თბ.: „საქართველო“, 1996.

კიკნაძე 2009: კიკნაძე ვ. სანდრო ახმეტელი და „მერანის“ ეროვნული სული. მეფის რუსეთმა მოჰკლა ქართველი თავისუფალი, ამაყი... ვაზ. „ქართული უნივერსიტეტი, № 34, 8-14 ოქტომბერი, თბ.: 2009.

MANANA KAKABADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Image of a Revolutionary Leader in Polikarpe Kakabadze's Comedy "Kvarkvare Tutaberi"

The work deals with Polikarpe Kakabadze's new vision of his works. The new interpretation of his core work "Kvarkvare Tutaberi" (1928) is represented.

It is stated in this paper that none of the 20-th century Georgian writers could manage to express the spirit of revolution, its inner nature and real essence with such depth as Polikarpe Kakabadze. He created a type of revolutionary leader, Kvarkvare. In the comedy "Kvarkvare Tutaberi", the playwright in the form of satire renders that great torture that seized the mankind's spirit at a time of great moral lapse, in the epoch of anarchy brought about by the revolutions. Kvarkvare as a type is eternal, who lives in every time and every society and will be always, as Don-Quixote, Tartuffe and other universal characters.

Kvarkvare is a leader of revolution and was created as a response to the pain which was brought by this revolution to the humankind.

Keywords: Polikarpe Kakabadze, Kvarkvare, Totalitarianism.

მანანა კაკაბაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

რევოლუციის ლიდერის სახე პოლიკარპე კაკაბაძის კომედიაში „ყვარყვარე თუთაბერი“

რევოლუციის სული, რევოლუციის შინაგანი ბუნება, მისი ნამდვილი არსი ისეთი სიღრმით არავის დაუხატავს, როგორც პოლიკარპე კაკაბაძეს. რევოლუციის შედეგად შექმნილ საბჭოურ რუსეთსა და მის მიერ დაპყრობილ და შემოერთებულ ქვეყნებში დამყარებულმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა მისცა მწერალს მასალა „ყვარყვარე თუთაბერის“ (1928) შესაქმნელად.

რევოლუციებით მოტანილი უბედურებანი და სულიერი დაცემულობანი პოლიკარპე კაკაბაძემდე, გამოისახებოდა ტრაგედიის ფორმით. პ. კაკაბაძემ სრულიად ახალი ფორმა გამოიყენა რევოლუციის თავისებურებათა ასახსნელად. მან რევოლუცია და მისი ლიდერი წარმოსახა კომედიის ფორმით და მიაღწია უდიდეს წარმატებას. ყვარყვარე თუთაბერი, საბჭოთა პერიოდშივე, მიუხედავად მწერლის დევნისა და მის მიმართ მუდმივი რეპრესიებისა, აღიარებული იყო ზოგადსაკაცობრიო ტიპად. პოლიკარპე კაკაბაძეს სიცოცხლეშივე უწოდებდნენ ცოცხალ კლასიკოსს. ჯერ კიდევ XX საუკუნის ლიტერატურული კრიტიკა მას გენიალურ მწერლად თვლიდა.

მსოფლიო ისტორია იცნობს ორ უდიდეს რევოლუციას, საფრანგეთისა და რუსეთის რევოლუციას, რომელნიც თავისი მასშტაბებითა და გრანდიოზულობით ყველა სხვა რევოლუციებს აღემატებიან და მათი შედეგიც ასევე შესაბამისად დიდია.

ამ ორ რევოლუციას, როგორც უდიდეს შემძვრელ მომენტთა კაცობრიობის ისტორიაში, ხელოვნებაში თავისებური ასახვა უნდა მოეტანა და ზეგავლენა მოეხდინა მისი ესთეტიკის განვითარებაზე. ასე მოხდა კიდევც.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქა დაკავშირებულია რომანტიზმის წარმოშობასთან. რომანტიზმი რევოლუციის სულის ამსახველი შეიქმნა.

რევოლუციური სული ტრიალებს რომანტიზმის გმირთა გალერეაში. ეპოქის ტრაგიზმი, მისი მაჯისცემა გამოვლინდა გენიოსთა უკვდავ ქმნილებებში.

რუსეთის რევოლუციამ თავისი მასშტაბურობით, თავისი სისასტიკით, გავრცელების არეტი კიდევ უფრო გადააჭარბა საფრანგეთის რევოლუციას და წარმოშვა

მონობის დიდი იმპერია, რომელსაც თავისებური ასახვა უნდა მოჰყოლოდა ლიტერატურაში. ასეთი ასახვა მოხდა კიდევ.

მეოცე საუკუნის რეალობა რევოლუციით შექმნილი, მანამდე უხილველი სისასტიკით აღიბეჭდა კაცობრიობის ისტორიაში. დადგა ტანჯვის ახალი, უმძიმესი ეპოქა. მილიონობით წამებული, დახვრეტილი, დამცირებული... ას მილიონს გადააჭარბა ამ რეჟიმის მსხვერპლთა რიცხმა. მაშინ, როდესაც ფაშიზმის მსხვერპლთა რიცხვი გერმანიაში თერთმეტ მილიონს ითვისებს. რაოდენ მასშტაბური ყოფილა რუსულ-საბჭოური დანაშაული კაცობრიობის წინაშე...

ყოველივე ეს წააგავდა კაცობრიობის მიერ გამოვლილ იობის ტანჯვას, ბიბლიურ წინასწარმეტყველთა მიერ აღწერილ საოცარ დაცემას კაცის სულისას.

მეოცე საუკუნე რუსეთის იმპერიის მენინავებით მივიდა იმ სულიერი დაცემის გზაზე, რომელმაც არნახული ნგრევა გამოიწვია საზოგადოების ცხოვრებაში. ათეული საუკუნეებით აშენებული ერთ დღეში დაინგრა. განადგურდა არა მარტო ფიზიკურად, არამედ დაინგრა ადამიანთა სულები, ცნობიერება, მორალური სამყარო... ამ უბედურებას თავისი წინასწარმეტყველი სჭირდებოდა, თავისი იერემია, რომელიც აღწერდა ქვეყნის დაქცევას და მის მიზეზს ახსნიდა უმადლესი ღვთაებრივი მორალიდან და მონახავდა ფორმას, რათა ადამიანებისათვის დანახვევებინა გზები, ამ სულიერი დაცემის განსაკურნავად. საუკუნეებს გადაწვდა იერემიას მოთქმა:

„ქადაგნი სიცრუეს ქადაგებენ, მტარვალნი ბატონობენ მათი მხარდაჭერით, ჩემს ერს კი მოსწონს ეს, მაგრამ რას იზამთ საბოლოოდ? (იერ. 5,31).

ფრთხილად იყავი იერუსალიმო, არ მიგატოვოს ჩემმა სულმა, არ გადაგაქციოს უდაბნოდ, უკაცრიელ ქვეყნად.

სიცრუეში გიდგას ბინა, სიცრუე უშლის მათ ჩემს შეცნობას“ (იერ. 5,89).

ხოლო პოლიკარპე კაკაბაძე წერდა:

„ყველაზე პატიოსანი სახე აქვს სიცრუეს.

თავისუფლება და ზნეობა ერთად იწყება.

ბოროტთა იდეალია ზეკაცობა, ხოლო კეთილთა ღვთაებრიობა“ (კაკაბაძე 1989: 488, 491).

პოლიკარპე კაკაბაძემ განიცადა სიცრუის ღალადება, რომელიც ღვთაებრივი სიკეთეს აღუდგა წინ და შეებრძოლა მას მთელი ძალით.

მან მოუხანა ფორმა თავის სათქმელს, აამეტყველა იგი ღვთაებრივი ქმნილებით, კომედიით, სადაც სიცილის ფორმით გადმოსცა უდიდესი ტანჯვა, ტკივილები, ჯოჯოხეთი, მინაზე დატრიალებული, და აჩვენა ამაოება, სიცრუე იმ მისწრაფებათა, რომელმაც მოიცვა კაცობრიობის სული დიდი მორალური დაცემის ხანაში, რევოლუციებით მოტანილი ანარქიის ეპოქაში.

1921 წელს საქართველოში შემოვიდნენ ბოლშევიკები, რომელსაც მოყვა დამოუკიდებლობის დაკარგვა. სიცრუისა და ბოროტების იმპერია საშინელი ცინიზმით იმკვიდრებდა საკუთარ სახეს. 1921 წელს მოყვა 1924 წელი, სისხლის კალო დაუდგა საქართველოს, დედის რძეში იხარშებოდა ერის დანეწილი სხეული. საქართველოს ჩამოაჭრეს ტერიტორიები, შექმნეს ავტონომიები, რომლებიც ბოროტად იყო გამიზნული მომავალში მათ მისატაცებლად. პოლიკარპე კაკაბაძე სულ წინასწარმეტყველებდა იმ უბედურებას, რაც აფხაზეთში და სამაჩაბლოში დატრიალდა. იგი თვლიდა, რომ იდეოლოგიურად მომზადებული იყო ეს საკითხი და რომ ამაში არამცირედი დანაშაული თვით გამყიდველ ქართველებს ეკუთვნოდათ.

ისტორიის მსვლელობამ მეოცე საუკუნეში მოიტანა უმძიმესი ძვრები, რომელთა ასახვა მოხდა საქართველოში საუკუნის უდიდესი ქმნილებით „ყვარყვარე თუთაბერი“, რომელმაც გამოხატა არა მარტო ეპოქის სპეციფიკა, არა მხოლოდ რევოლუციის ლიდერის სახე, არამედ ზოგადი თვისება ადამიანისა, მისი შინაგანი არსი, მისი ბუნება, ის, რაც ყველა ადამიანში არსებობს მეტად, ნაკლებად, ხანდახან ან ხშირად.

ყვარყვარე როგორც ტიპი მარადიულია, ყველა დროში და ყველა ხალხში ცოცხლობს და იქნება მარად, მსგავსად დონ-კიხოტისა, ფაუსტისა, ტარტიუფისა... იგი ყველა დროისა და ყველა ხალხის კუთვნილებაა. ხოლო ყვარყვარეში, როგორც თვისება ადამიანისა, კიდევ უფრო ძლიერია და ვრცელი, ვინაიდან ყველა ადამიანში ჰპოვებს საყრდენს, როგორც თანდაყოლილი ცოდვის ანარეკლი. ხოლო მისი მთავარი თვისებაა არარაობა, სიცრუე, აღმდგარი ღვთის კანონთა წინააღმდეგ.

საქართველოში მეტად ძლიერი იყო სოციალისტების მოძრაობა და არაშემთხვევით მისცა მან რუსეთის რევოლუციას ამდენი ლიდერი, ამდენი თავკაცი. ამიტომ მათი თვისებები ყველაზე კარგად და რელიეფურად გამოჩნდა სწორედ საქართველოში.

საქართველოში დაიბადა სტალინი, მამით ოსი, დედით ქართველი, სულით კოსმოპოლიტი. მან ხელთ იგდო ძალაუფლება უსამართლო ქვეყანაში, რუსეთში. საქართველოში, სანამ მას ჰქონდა საკუთარი სახელმწიფო მმართველობა, ასეთი დესპოტი არასოდეს გამეფებულა. სტალინი რუსეთის ტოტალიტარული რეჟიმის მემკვიდრეა, მისი წარმოქმნილი ფენომენი. მაგრამ იმავე საქართველოში დაიწერა ნაწარმოები, რომელმაც ყველაზე მეტად ახადა ფარდა სტალინიზმისა და ლენინიზმის არსს, ეპოქას, მათ მიერ შექმნილ ტოტალიტარულ რეჟიმს.

ვინ შეიძლება ყვარყვარეს პროტოტიპად ვიგულისხმოთ? სტალინი, ლენინი, ტროცკი, დანტონი, რობესპიერი, მარატი? კონკრეტულად არავინ, თუმცა ყველა მათგანი ზოგადი თვისებებით და მრავალი სხვა, მომავალში რომ მოვა იმავე სულისკვეთებით, ისტორიული სიტუაციებით ამოტივტივებული... დიდი და პატარა ყვარყვარეები.

პოლიკარპე კაკაბაძე არასოდეს წერდა კონკრეტულ პიროვნებებზე. მისი ტიპები ყოველთვის ზოგადნი იყვნენ.

რევოლუციის თემა, რევოლუცია როგორც არსი, როგორც ფენომენი, როგორც ამბოხი ადამიანის ბუნებისა ღვთის წინააღმდეგ, როგორც დამანგრეველი ძალა ჰარმონიისა, როგორც უარყოფა ღვთაებრივი სიმართლისა, ყველა მისი ფილოსოფიური განფენილობებით, ამოიკითხება პოლიკარპე კაკაბაძის ქმნილებებში.

რევოლუციით მოტანილი სინამდვილის ტკივილებია მისი ისტორიული პიესების საფუძვლებიც, რომლებიც ეპასუხებიან თანამედროვეობას და მოხმობილი არიან ადამიანის სულის განსანმენდად, სამშობლოს გრძნობისა და ჭეშმარიტი თავგანწირვის იდეალების დასამკვიდრებლად.

1924 წლიდან პოლიკარპე კაკაბაძის პირდაპირი დევნა დაიწყო. იგი, მთავრობის მითითებით, სასტიკად დაამუშავეს მისსავე დაარსებულ ჟურნალში „მნათობი“, მის-მავე მონვეულმა თანამშრომლებმა. ისინი კრებაზე დახვრეტით დაემუქრნენ მას და აიძულეს დაეტოვებინა თავისი ჟურნალი. ქალაქიდან გასვლით უშველა მაშინ მწერალმა თავს.

ოცდაოთხიდან ოცდარვა წლამდე სიტუაცია სულ უფრო იძაბებოდა. დასმენები და დახვრეტები, ათეიზმი, კოსმოპოლიტიზმი, საშინელი ცინიზმი, სიცრუე ბატონობდა საზოგადოებაზე. სისხლის მდინარეები და მართალთა ტანჯვა ცამდე ავიდა.

„დღეს ყველა გმირი სოროშია ჩამძვრალი“ — იტყვის მწარედ „ყვარყვარეს“ ავტორი (კაკაბაძე 1971: 72).

ათას ცხრაას ოცდაშვიდი წელი... კოლექტივიზაციის წელი... პირქუში და მკაცრი საუკუნე მეფობდა ადამიანთა სულებზე.

— როცა მივხვდი, რომ გამოსავალი არსაიდან იყო, და ეს იყო რეალობა, რომელსაც ველარსად წაუხვალ, საშინელმა სულიერმა კრიზისმა შემიპყრო, როცა ან უნდა მოემკვდარიყავი, ანდა შინაგანი დიდი ბრძოლით დამეძლია რეალობა, — ამბობდა იგი შემდგომ.

იგი არ დაემორჩილა ამ პირქუშ რეალობას.

— ოცდაშვიდ წლამდე კიდევ რალაცის იმედი მქონდა. არ ვფიქრობდი, რომ ყველაფერი ასე ჩაიკეტებოდა. უცებ მივხვდი, რომ რკინის კედლის უკან აღმოჩნდი. საშინელმა მლელვარებამ შემიპყრო, რომელიც მანამდე არასოდეს განმიცდიაო, — ამბობდა პოლიკარპე კაკაბაძე შემდგომში. თითქოს რალაცის მიჯნა იყო ეს წელი.

კოლექტივიზაციის პერიოდი, ოცდაშვიდი წელი მიიწურა ამ საშინელი, სულიერი კრიზისის განცდით.

დადგა 1928 წელი.

ამ პერიოდის პრესა შემადრწუნებელია თავისი სისასტიკით, იგი ასახავს იმ უმძიმეს რეპრესიებს, რომელმაც მოიცვა ქვეყანა. ჩაიკეტა საზღვრები, დაეშვა რკინის ფარდა, რომელმაც იარსება 90-იან წლებამდე, საბჭოთა კავშირის დაშლამდე. დიდ, ერთიან ციხედ იქცა ქვეყანა, საიდანაც გაქცევა უკვე შეუძლებელი იყო. ყველა მისი ბინადარი, ფაქტიურად, ტუსადი იყო. საშინელი წნეხის ქვეშ აღმოჩნდა ლიტერატურა. იწყება ხელისუფლების დიქტატით წერა. ისახება სოცრეალიზმი, რომლის მთავარი პრინციპი იყო უკუღმა ჩვენება სიმართლის, სიცრუის ღალადება და მლიქვ-

ნელობა ხელისუფლებისადმი. დადუმდნენ ბულბულები სიკვდილის შიშის ქვეშ. მათ აიძულებდნენ ყალბ ხმაზე მღერას. ასეთ პირობებში, 1928 წელს მთავრდება გალაკტიონის შემოქმედების პირველი, განუმეორებელი პერიოდი, მისი ნიჭი ახალი რეალობით იზღუდება და იწყება მისი შემოქმედების მეორე პერიოდი, კონიუნქტური-სადმი დათმობებით რომ ხასიათდება და „მოთვინიერებული მწერლობის“ ხანას რომ განეკუთვნება. და, სწორედ იმავე 1928 წელს იწერება საქართველოში ყველაზე მამხილებელი ნაწარმოები არსებული სინამდვილისა, „ყვარყვარე თუთაბერი“ და ამით იწყება პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედების ახალი, მეორე პერიოდი, კომედიების ხანა, შეუპოვარი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებით რომ აღინიშნა. ამ პერიოდის კი არ კნინდება მისი პოეტური შესაძლებლობები, არამედ პირიქით, ბრძოლებში მისი სული კიდევ უფრო ძლიერდება და იგი, როგორც შემოქმედი, იზრდება მანამდე არნახული ძალით.

იმ დროისათვის, როცა „ყვარყვარე“ დაიწერა, ხუთი ნატიფი დრამის ავტორი იყო პოლიკარპე კაკაბაძე, დაარსებული ჰქონდა ჟურნალები: „შვიდი მნათობი“ (1919) და „მნათობი“ (1924). იგი უკვე ცნობილი მწერალი იყო.

ოცდათხუთმეტი წელი შეუსრულდა პოლიკარპე კაკაბაძეს 1928 წელს, როცა მან დაწერა „ყვარყვარე თუთაბერი“, კრიზისული და საბედისწერო ასაკი, მინიერი ცხოვრების შუა ხანა, ასეა ცნობილი და გააზრებული ოცდახუთმეტი-ოცდათექვსმეტი წელი თეოლოგიაში. მრავალი დიდებული, გენიალური სულის შემოქმედი ამ პერიოდში განიცდის სულის განსაკუთრებულ აღზევებას და ამავე დროს, უმძიმეს კრიზისს. ბევრი მათგანი ამ ძაბვას ეწირება. ქრისტეს ასაკი, ოცდაცამეტი წელი, თითქოს სანყისს უდებს სულის ამ საოცარ, მისტიკურ აღზევებას და ამავე დროს, საბედისწერო კრიზისს გენიალურ სულთა არსებობაში.

ამ პერიოდში თავგანწირვის გრძნობამ მთლიანად მოიცვა მწერლის არსება. დიდი, თავგანწირული სულიერი ბრძოლის შედეგია „ყვარყვარე თუთაბერი“. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო სულში, მას ჰქონდა დაუმორჩილებელი, ძლიერი სული, ხოლო სულში იყო ბრძოლა შეუპოვარი, როგორც ბრძოლა უხორცო არსისა.

დიდი ტანჯვის მერე, გოლგოთის გზით რომ მოდიოდა, თითქოს გაიხსნა ზეცა და მან დაინახა ადამიანის მარადიული ბუნება, როგორც გამჭვირვალე წყალი ბროლის შუშაში. უძლიერესი პროტესტის გრძნობა, მის სულში რომ წარმოიშვა, გადმოიღვარა შემოქმედებაში და მან წარმოიგინა უზოგადესი ადამიანი, მითიდან, ზღაპრიდან წამოსული, მშფოთვარე ცხოვრებაში დატრიალებული და ცოცხალ ტიპად, ყვარყვარედ გადაქცეული.

გენიალურმა ხილვამ შეიმოსა ხორცი და იქცა მხატვრული შემოქმედების უდიდებულეს ნაყოფად... ასე შეიქმნა მეოცე საუკუნის ლიტერატურაში, მის ტკივილთა პასუხად უზოგადესი, საკაცობრიო ტიპი, ყვარყვარე თუთაბერი.

* * *

1928 წლის მიწურულს პოლიკარპე კაკაბაძემ მარჯანიშვილს გადასცა „ყვარყვარე თუთაბერი“ დასადგმელად. მარჯანიშვილს მანამდეც ძლიერ უყვარდა პოლიკარპე კაკაბაძე.

„კოტეს ხშირად მოუწვევია იგი და უთხოვია მიეცა თეატრისათვის რაიმე ახალი ნაწარმოები“, წერს თავის მოგონებებში დოდო ანთაძე (ანთაძე 1960: 123). კოტე მარჯანიშვილი შეძრა „ყვარყვარე თუთაბერის“ გაცნობამ. მან თქვა, რომ ეს არის სრულიად ახალი კომედია, რომლის მსგავსი მე არასოდეს არაფერი მინახავსო. სპექტაკლი მომზადდა სწრაფად. „ქუთაის-ბათუმის სახელმწიფო თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით“ იმ ხანად ქუთაისში მოღვაწეობდა. პირველი პრემიერა გაუშვეს ბათუმში 1929 წლის 31 იანვარს, ქუთაისში ისევ პრემიერა 27 მარტს, ხოლო თბილისში კვლავ პრემიერა... 21 აპრილს ოპერის თეატრის სცენაზე.

ყვარყვარეს როლს უშანგი ჩხეიძე ასრულებდა, რომელსაც ზოგჯერ სანდრო ფორჟოლიანი ცვლიდა, სპექტაკლის მხატვარი დავით კაკაბაძე იყო, კომპოზიტორი – თამარ ვახვახიშვილი.

თავბრუნდამხვევი იყო სპექტაკლის წარმატება. ოვაციებში იძირებოდა მძლავრ-
თა მრისხანება. ისინი, ბობოლა კომუნისტები, ესწრებოდნენ სპექტაკლებს და ხე-
ლოვნების უცნაური, საიდუმლო ძალით მონუსხულები თვითონვე უკრავდნენ ტაძს,
ხარხარებდნენ და შემდეგ ერთმანეთს „ყვარყვარეს“ ეძახდნენ.

ისინი თითქოს სცენიდან ჩამოსული ყვარყვარეები იყვნენ. სცენიდან კი ისმოდა:
„სოციალისტები რომ ქადაგებენ, სწორედ ჩემი საქმეა, რომელ სახლშიაც გინდა
შედი და მოირთხი ფეხი, სმა-ჭამა სულ მუქთი იქნება. მე რომ მკითხონ, სოციალის-
ტების სურათებს ეკლესიაში დავკიდებდი. სულ წმინდანებივით წვალობენ ხალხი-
სათვის. მეც ხალხისათვის ვწვალობ ამ ქვეყანაზე“... (კაკაბაძე 1971: 28).

„სოციალისტები მარტო იმას თვლიან სიმართლედ, რასაც თვითონ ამბობენ“
(კაკაბაძე 1971: 50).

„ბოლშევიკებს თურმე ერთი კალაპოტი მოუტანიათ, ვინც პატარაა, იმაზე
გაადიდებენ, და ვინც დიდია, იმაზე დაამოკლებენ“ (კაკაბაძე 1971: 95).

„მე ახლავე შემოძლია დავჯდე და დახუჭული თვალით დავწერო ბედნიერი სა-
ხელმწიფოს სრული კონსტიტუცია. ... და როდესაც ეს იდეალისტური სამეფო აშენ-
დება, ადამიანებს იმდენი სიხარული ექნებათ, რომ სიკვდილით სასჯელს მხოლოდ
ტირილის წინააღმდეგ შემოვიღებთ. ყველა ჯვარს ეცმება ხალხისათვის და ჩვენს
სურათებს ოთახებში ჩამოკიდებენ იმის ნიშნად, რომ ჩვენ მათი მინიერი ცხოვრება
გავაზეციურეთ“ (კაკაბაძე 1971: 74).

„ხალხი თავის მტერია, თუ არ მოწყესე, უჭკუო საქონელივით ხრამში გადავარ-
დება... თუ შნო გაქვს, ჯოხს თვითონ მოგცემს, ოღონდ ძალიან ჭკვიანად უნდა
დაარტყა“ (კაკაბაძე 1971: 87).

„სუსტი გულის პატრონი პროლეტარიატს რად უნდა?! მეტ ტვირთად დაანება.
ეს მითხარი ახლა, გინდა პროლეტარიატი რომ შენუხდეს?“ (კაკაბაძე 1971: 88).

სპექტაკლზე ჰომერულ სიცილში იძირებოდა დიდკაცთა შემფოთება. ისინი
თვითონაც სულმოუთქმელად ხარხარებდნენ და თითის მიშვერით ეუბნებოდნენ
ერთმანეთს... შენა ხარ ყვარყვარე, შენა ხარო.

ყვარყვარე იქცა ზოგად სახელად.

„საქართველოში ყვარყვარე დიდი ხანია ზოგად სახელად იქცა, ისევე, როგორც
საფრანგეთში ტარტიუფი... ტარტიუფი – ქართულად ყვარყვარეა“, წერს ცნობილი
თეატრმცოდნე ბორის პაიუროვსკი (პაიუროვსკი 1991).

ყვარყვარესა და ტარტიუფის მეტად ღრმა, მნიშვნელოვან შეპირისპირებულ
ანალიზს გვთავაზობს ბატონი თამაზ ჭილაძე. იგი წარმოაჩენს ქართველი მწერლის
მიერ შექმნილი ტიპის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას, ხოლო პოლიკარპე
კაკაბაძისა და ბრეჰტის შეპირისპირებული ანალიზისას ხაზს უსვამს ქართველი
მწერლის აშკარა უპირატესობას (ჭილაძე 2006: 86-100).

ბატონი ნოდარ კაკაბაძე დიდ მასალაზე დაყრდნობით ასაბუთებს, რომ მეოცე
საუკუნის ევროპულ დრამატურგიაში ბრეჰტისა და სხვა ავტორთა მიერ დასმული
უმნიშვნელოვანესი საკითხები, მათზე ადრე, კიდევ უფრო ღრმად და მეტი მხატვრუ-
ლი ძალით მოცემულია პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებაში (კაკაბაძე 1994: 4-5).

კრიტიკოსები, მწერლები, თეატრმცოდნეები, რეჟისორები გენიალურ დრამა-
ტურგს უწოდებენ პოლიკარპე კაკაბაძეს (გიგა ლორთქიფანიძე 1977: 3; რობერტ
სტურუა 1994: 58 და სხვ.).

და, რაც მთავარია, დიდი ხანია გენიოსს უწოდებს „ყვარყვარე თუთაბერის“ ავ-
ტორს ქართველი ხალხი...

ყვარყვარე ყველაზე პოპულარული ლიტერატურული პერსონაჟია მეოცე საუ-
კუნის ქართულ ლიტერატურაში. იგი დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც მისი
დანერის ყამს.

„ყვარყვარე თუთაბერი“ არის ნაყოფი უდიდესი თავგანწირვისა, უმძიმესი ბრძო-
ლისა. იმ დროს, როცა წარბის შეხრისათვის, გულში უკმაყოფილების ტარებისათვის
ადამიანებს დასდევდნენ და სიცოცხლეს ასალმებდნენ, პოლიკარპე კაკაბაძემ
თითქოს ბრძოლაში გამოიწვია მთელი ეს დესპოტიის სულით შეპყრობილი ქვეყანა
და პირში ახალა უმძიმესი ბრალდებები, დასცინა და უთხრა მართალი სიტყვები.

ყვარყვარე თავისი ეპოქის შვილია, რევოლუციის მკაცრი, დემაგოგიებით სავსე
ეპოქის. ყვარყვარე ანტიპოდია ნამდვილი გმირის, თუნდაც დანაშაულებრივი გმი-

რის. იგი გმირის ნიღაბს ეფარება, ამიტომ სასაცილოა, კომიკურია და არა ტრაგიკული, მეოცე საუკუნეში ყვარყვარემ შეცვალა მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში შექმნილი რევოლუციის რომანტიკული გმირის სახე, ვაჟკაცის, კეთილშობილის, შეყვარებულის, ტრაგიკულის. ეს სახე რომანტიზმის ეპოქიდან მომდინარე ადამიანთა თვალსაზრისს წარმართავდა და მეოცე საუკუნის რუსეთის რევოლუციის ეპოქაში უკვე სინამდვილეს მოშორებული, ერთგვარ შტამპად გადაიქცა. იგი აღარ ასახავდა ახალ ეპოქას და მის ნამდვილ სულისკვეთებას. პოლიკარპე კაკაბაძემ გამოხატა თავისი ეპოქა და აჩვენა, რომ გმირის ადგილს იჭერს მშიშარა, სინმინდისას – უღმერთობა, სიკეთისას – სიბოროტე, სიყვარულისას – სივერაგე, სიმართლისას – სიცრუე, არარაობა...

ყვარყვარე ავანტიურისტული განწყობილებებით სავსე ეპოქის შვილია და ბუხრის პირას მჯდომი, უკვე საღი თვალით უყურებს იმ სინამდვილეს, რომელმაც შეიძლება კაცი ნაცრის ქექვიდან, არარაობიდან, ლიდერის როლში მოაქციოს... მას მოჰყვება ზღაპრული ნაცარქექიას ყველა თვისება, მაგრამ იმ ზღაპრული სამყაროდან ამოსული, იქცევა ისეთ რეალურ გმირად, რომელიც შეიძლება დაინახო ყველგან, ყველა დროში ყველა სიტუაციაში და... დრო და დრო – ყველა ადამიანში.

ყვარყვარიზმი, როგორც მოვლენა არ არის მხოლოდ ერთი საუკუნის კუთვნილება. იგი შეიქმნა XX საუკუნეში კაცობრიობის შემძვრელ, სულიერად დამანგრეველ ატმოსფეროში, როგორც მისი სახის ნამდვილი ჩვენება და მორალური პასუხი იმ ტკივილებზე, რაც ადამიანთა სულების ღვთაებრივი სიმართლის გზიდან ასე საშინლად დაშორებამ გამოიწვია.

პოლიკარპე კაკაბაძე იყო პირველი და ერთადერთი, ვინც რევოლუციის ლიდერებში დაინახა ნაცარქექია.

სხვა ხელოვანი რევოლუციის ლიდერების გამოხატვისას სრულიად სხვა ამოსავალ საყრდენს ეძებდნენ, მკაცრი, ძლიერი პიროვნებისას, გმირისას, ან ყაჩაღისას, მკვლელისას... არც თვითონ ეძებდა პ. კაკაბაძე მანამდე, 1924 წელს შექმნილ „ლისაბონის ტუსალებში“ რევოლუციის ლიდერში ნაცარქექიას.

მაგრამ სინამდვილემ, რომელიც თანდათან უფრო და უფრო სასტიკი და მკაცრი გახდა, და მანამდე არნახული სიტუაციები დაატრიალა ცხოვრების სცენაზე, როცა დესპოტიის ცინიზმი იქამდე მივიდა, რომ — „სიკვდილით სასჯელს ტირილისათვის შემოიღებდნენ“, პოლიკარპე კაკაბაძემ აღმოაჩინა ახალი კანონზომიერება ადამიანის ბუნებაში, რომელიც აღარ ეტეოდა მანამდე ხელოვნებაში არსებულ მხატვრული ასახვის ჩარჩოებში. მან აღმოაჩინა ყვარყვარე – ნაცარქექია, ცრუ გმირი, გაფეტიშებული, კერპად ქცეული არარაობა. ეს არის ყვარყვარეს ნამდვილი ბუნება. სიცრუეა ყვარყვარე, იგი ამაოების სახეა, რომელმაც შვა უსჯულოება და შექმნა ათეისტური ქვეყანა. ყვარყვარიზმის ბატონობიდან მოდის ყველა უბედურება – მონობა, უსამართლობა, სისასტიკე, სიძულვილი.

ყვარყვარე მაყურებელში იწვევს აღტაცებას, სიხარულს, სიამეს, ტკბობას იმ სიმართლის გამო, რომელსაც იგი გაგრძნობინებთ სცენიდან და რომელიც სულს ასე სწყურია და ენატრება. ენატრება იმ სულსაც კი, რომელიც სიცრუეს მოუცავს და დანაშაულებათა მორევში ჩაუთრევია... ასეთი სულიც კი გრძნობს თავისუფლებას ამ მხატვრულ სახესთან ზიარებით. ვინაიდან ყვარყვარიზმის მხილება სიმართლის სიყვარულით ესაღბუნება გულს და შიგ ჩავუბებულ გამოუთქმელ სიტყვებს აძლევს გზას ღმერთისაკენ, დგება ნამდვილი სულის განწმენდა, რომელსაც ოდესღაც არისტოტელემ კათარისისი უწოდა.

სულის ასეთი ამაღლება ხდება პოლიკარპე კაკაბაძის სამყაროსთან ზიარებით.

პოეტურია პოლიკარპე კაკაბაძის ნაწარმოებები, ამას ყველაზე კარგად თვითონ გრძნობდა და გამოხატა კიდევ, როცა თავის ქმნილებათა ორტომეულს სახელად უწოდა „დრამატული პოეზია“.

პოეტურია ყვარყვარეს სახე, ისევე, როგორც პოლიკარპე კაკაბაძის სხვა პერსონაჟების. მის ქმნილებებს, მაღალი რეალიზმის თვისებებით აღბეჭდილებს, ახლავთ დიდი რელიგიურობა, ღრმა, იდუმალი მისტიციზმი. „ყვარყვარე თუთაბერი“ პოეზიაა, რომელიც ამაოებას ებრძვის სიყვარულის გზით.

პოლიკარპე კაკაბაძის ენა სადაა, მაგრამ უაღრესად მხატვრული, სიბრძნითა და აფორიზმებით სავსე. ყოველ მის სიტყვას საოცრად დიდი დატვირთვა აქვს და სი-

ცოცხლის უნარი, არც ერთი ზედმეტი მეტაფორა ან სხვა სამკაული, ყოველი სიტყვა უდიდესი სიზუსტით, სიფაქიზითა და გემოვნებითაა ნახმარი და მოხმობილია სიმართლის გამოსახატავად. მისი სტილი, მანერა, საუბრის განწყობილება და სული ენისა, მოგვაგონებენ ბიბლიის ენას, მის სტილს, მანერას სათქმელის გადმოცემისა, თავშეკავებულს, სადას, პოეტურს, მხოლოდ სიმართლის სათქმელად მოვლენილს. ასეთივე პოლიკარპე კაკაბაძის მეტყველება და იგი სრულიად შეესაბამება თვით მწერლის სულს.

* * *

„ყვარყვარე თუთაბერის“ დადგმამ ჭეშმარიტი დიდება მოუტანა მარჯანიშვილს. ამ დადგმით დაიწყო „ყვარყვარე თუთაბერის“ სცენიური სიცოცხლე და იქცა იგი ერის კუთვნილებად, მისი აზროვნების, მისი მორალური სწრაფვის გამოხატულებად. „ყვარყვარე თუთაბერის“ უამრავ დადგმათაგან გამოირჩევა რობერტ სტურუას დადგმა რუსთაველის თეატრის სცენაზე (1974). „მე, როგორც რეჟისორი, ამ პიესის დადგმით დავიბადე“, წერს რობერტ სტურუა (სტურუა 1994: 58).

არც ერთ ნაწარმოებს ისეთი გამარჯვება არ ჰქონია საქართველოში, როგორც „ყვარყვარე თუთაბერს“. არ დარჩენილა სცენა, სადაც იგი არ გათამამებულიყო. ყოველ კუთხეში, „ყოველ ხის ძირას“... როგორც ხატოვნად ამბობდა მისი ავტორი.

ყვარყვარე ყველა ქართველის გულში დროდადრო ვულკანივით ამოხეთქავს. „ყვარყვარე“, დაიძახებს იგი და თითქოს ამით ყველაფერს ეტყვის იმ უსამართლობას და სიცრუეს, გარს რომ ეხვევა და ეშმაკის მონობისაკენ მიაქანებს. ყვარყვარეს ძახილით გააცილეს არაერთი ცრუდ აღზევებული პირი. ხალხი ყვარყვარეს ძახილით თითქოს განდევნის სიცრუესა და ამაოებას და პირს იბრუნებს სიმართლისაკენ და ღმერთისაკენ.

* * *

„ყვარყვარე თუთაბერი“ პირველად დაიბეჭდა 1936 წელს, „ფედერაციაში“ გამოსცა, შემდეგ 1946, 1948, 1954, 1959 წლებში პ. კაკაბაძის თხზულებათა კრებულებში. ხოლო ამის შემდეგ, 12 წლის მანძილზე, არ დაბეჭდილა „ყვარყვარე“, აღარც გამოცემულა პოლიკარპე კაკაბაძის თხზულებები, მას სასტიკად ებრძოდნენ და მხოლოდ 1971 წელს გამოვიდა მწერლის „დრამატული პოეზიის“ პირველი ტომი, სადაც კვლავ დაიბეჭდა „ყვარყვარე თუთაბერი“, მეორე ტომი 1973 წლის დასაწყისში გამოვიდა, მას ვერ მოესწრო ავტორი. პოლიკარპე კაკაბაძე გარდაიცვალა 1972 წლის 15 ოქტომბერს, ამ გამოცემისათვის ბრძოლას შეენირა.

პირველ, 1936 წლის გამოცემაში „ყვარყვარე თუთაბერი“ მთავრდებოდა სიტყვებით: „გული არ გაიტეხო ყვარყვარე, დაილუპა ის, ვინც სირცხვილით სოროში ჩაძვრა, მე კიდევ ავცოცდები“ (კაკაბაძე 1936: 125) (ასეთი დასასრულით იდგმებოდა იგი სცენაზე). პოლიკარპე კაკაბაძის ავტოგრაფებში მხოლოდ ეს ტექსტია დაცული და მას არავითარი სხვა ვარიანტი არა აქვს. მაგრამ 1946-1959 წლების გამოცემებში ფინალის ტექსტი შეცვალეს და პიესის დასასრული ასეთი გახდა: „გათავდა შენი ჩალიჩი, ყვარყვარე თუთაბერო, ამათ ხელში ჩემი ამინდი არ დადგება“ (კაკაბაძე 1946: 114; კაკაბაძე 1959: 68). პიესის ფინალის შეცვლა იყო იძულებითი, ეს იყო რეპრესია ავტორის მიმართ. და მხოლოდ 1971 წლის გამოცემაში პ. კაკაბაძემ კვლავ აღადგინა პიესის პირვანდელი ფინალი, ყვარყვარე თუთაბერის უკვდავი სიტყვები: „გული არ გაიტეხო, ყვარყვარე, დაილუპა ის, ვინც სირცხვილით სოროში ჩაძვრა, მე კიდევ ავცოცდები“ (კაკაბაძე 1971: 102).

ყვარყვარეს მარადიული წრუბრუნვა ეპოქებში დაუსრულებელია, ისევე, როგორც ცოდვა-მადლის ჭიდილი ქვეყნად.

დამონებიანი:

ანთაძე 1960: ანთაძე დ. მოგონებები. ცისკარი, № 1, თბ.: 1960.

კაკაბაძე 1936: კაკაბაძე პ. ყვარყვარე თუთაბერი, თბ.: „ფედერაცია“, 1936.

კაკაბაძე 1946: კაკაბაძე პ. ორი პიესა. თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1946.

კაკაბაძე 1959: კაკაბაძე პ. დრამატული თხზულებები. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1959.

კაკაბაძე 1971: კაკაბაძე პ. დრამატული პოეზია. ტ. I, თბ.: „ხელოვნება“, 1971.

კაკაბაძე 1989: კაკაბაძე პ. „თქმები“. მასალები ტრაგედიისათვის „ვახტანგ გორგასალი“. ხელნაწერებიდან ამოკრებილი და შედგენილი მანანა პოლიკარპეს ასულ კაკაბაძის მიერ. კრებ. „დრამატურგია“. თბ.: „მერანი“, 1989.

კაკაბაძე 1994: კაკაბაძე ნ. შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს, ანუ „პორტოპოლოს ტუსალები“. გაზ. „ქართული ფილმი“, № 40, თბ.: 1994.

ლორთქიფანიძე 1977: ლორთქიფანიძე გ. გაჩერებას არ ვაპირებ. გაზ. „გიგა ლორთქიფანიძე 70“, 13 ოქტომბერი, თბ.: 1977.

პაიუროვსკი 1991: Паюровский Б. Тартюф – по грузинский Кваркваре. გაზ. "Известия", 16.01, М.: 1991.

სტურუა 1994: სტურუა რ. ჩვენი ანკეტა. თეატრი და ცხოვრება, 4, თბ.: 1994.

ჭილაძე 2006: ჭილაძე თ. დიდი კომედიოგრაფი. წიგნში: ესეები, ნარკვევები, პუბლიცისტიკა. თბ.: „მერანი“, 2006.

GIVI LOMIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Totalitarianism and Kvarkvarism

As a certain form of socio-political formation, totalitarianism is considered to be one of the most negative phenomena in human history. It is considered to hinder development of civilization. The research deals with totalitarian issues in “Kvarkvare Tutaberi”, a play by Polikarpe Kakabadze.

In his comedy Polikarpe Kakabadze uses folk masks and links them to a certain historical moment, thus creating character of a creeper. The writer represents a metamorphosis process of Kvarkvare – from idler to a deputy of revolutionary committee, from nobody to somebody.

Keywords: Comedy; Totalitarianism; Folk Masks.

გივი ლომიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ტოტალიტარიზმი და ყვარყვარიზმი

ტოტალიტარიზმი, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის გარკვეული ფორმა, კაცობრიობის ისტორიაში აღიარებულია უკიდურესად ნეგატიურ მოვლენად, რომელიც აფერხებს ცივილიზაციის განვითარების პროცესს. იგი ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის ადამიანის მანკიერ თვისებათა გამოვლენისა და გააქტიურებისათვის. ამიტომაც, რომ ასეთ პირობებში ასპარეზზე გამოდიან და წარმატებებსაც აღწევენ შემთხვევითი, არაკომპეტენტური, უზნეო და უღირსი პერსონები, რომლებიც არაერთხელ ქცეულან გაკიცხვის ობიექტად როგორც, საერთოდ, მსოფლიო ლიტერატურაში, ისე ჩვენს მწერლობაში. ამ მხრივ პოლიკარპე კაკაბაძემ შექმნა არაერთი ბრწყინვალე მხატვრული სახე, რომელთა შორის ყვარყვარე თუთაბერს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ზნეობრივ მანკიერებათა ერთ-ერთ გავრცელებულ და, ამავე დროს, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მხრივ საკმაოდ უარყოფით თვისებას წარმოადგენს მედროვეობა, კარიერიზმი, რომელიც, სამწუხაროდ, არა მხოლოდ ტოტალიტარიზმის პირობებში არსებობს და დიდი ზიანი მოაქვს. „ყვარყვარე თუთაბერში“ პ. კაკაბაძემ ქართული ხალხური ნიღბების (ნაცარქექია და სხვ.) გამოყენებით, რომელიც ორგანულად დაუკავშირა გარკვეულ ისტორიულ მომენტს, შექმნა მედროვის უკვდავი ტიპი. იგი, თამამად შეიძლება ითქვას, ზოგადსაკაცობრიო სახედ იქცა. ამდენად, ყვარყვარე, როგორც მედროვის სინონიმი, ფართოდ გავრცელებული მოვლენის – ყვარყვარიზმის საფუძველი გახდა, მოვლენისა, რომლის არეალი საკმაოდ ვრცელია და, როგორც აღინიშნა, მართალია, ტოტალიტარიზმის პირობებში აღწევს ზენიტს, მაგრამ, ამავე დროს, საზოგადოების განვითარების ერთი რომელიმე ეტაპით არ იზღუდება, რის გამოც მარადიულ პრობლემათა რიგს განეკუთვნება.

კომედიაში დამაჯერებლად ნაჩვენებია ყვარყვარეს საოცარი მეტამორფოზის პროცესი, ნაცრის ქექვიდან რეკომის ხელმძღვანელამდე.

ისტორიულ გარემოს, რომელშიც ყვარყვარე თუთაბერს უხდება მოღვაწეობა, ღრმა პოლიტიკური კრიზისის ბეჭედი აზის: ქვეყნის მმართველობის ორგანიზმი მოშლილია, მეფის ტახტი შეირყა რევოლუციური ქარიშხლის მოახლოებით, არსებული ხელისუფლება ანტიხალხური ინტერესების დამცველი გახდა. ქვეყანაში გამეფებული ანარქია ხელს უწყობს მლიქვნელთა გამოჩენას. ყველგან ძალადობა და ცბიერება ზეიმობს.

დრამატურგი პერსონაჟთა ფერისცვალებით ახდენს ისტორიული ეპოქის მძაფრ კოლიზიათა მოტივირებას და ამავე დროს ამზადებს ფონს ყვარყვარეს აქტიური გამოსვლისათვის.

სარგებლობს რა შექმნილი პოლიტიკური სიტუაციით, ყვარყვარე თავს გვაცნობს რევოლუციონერად, დემოკრატად, ხალხის ინტერესების დამცველად და საკუთარ დამსახურებად აცხადებს სხვათა ღვაწლს. „ქვეყანამ იცის, ბატონო, ჩემი ვაჟკაცობა. რამდენჯერ სახრჩობელას გადავურჩი. რევოლუციამ სწორედ ყელზე მომხსნა თოკი, მაგრამ უარესში კი ჩამაბა. ჯერ ფრონტზე ამდენ ჯარს პატრონობა გავუნეი, რევოლუცია და ჩემი თავი გავაცანი, მერე იქიდან აქამდე ვატარე გზაზე-უგზურზე და ხალხი უკლებლივ მოვიყვანე. ეს ყველაფერი ერთმა კაცმა ვქენი“, — გვიმტკიცებს იგი.

ეს ნაცარქექია, როგორც ითქვა, ახერხებს ხელთ იგდოს ხალხის ბედ-იღბლის მართვის სადავეები. ყოველთვის, როცა კი გამომჟღავნების საფრთხის წინაშე დგება, იგი ოსტატურად ინიღბება და თავს აცხადებს იმად, რაც სინამდვილეში არ არის. საპატიმროში, დახვრეტის შიშით, იგი თავგამოდებით ამტკიცებს, რომ მეფის ერთგულია, არავითარ რევოლუციურ მუშაობას არ ენევა: „ვინ გგონივართ, ბატონო, დამაკვირდით. ხელმწიფის ერთგულ კაცს მაგას მეუბნები?“ ეს აზრი ნამდვილად გამოხატავს რეალურ ვითარებას, მაგრამ აქ კომიზმს ის ინვესს, რომ მას სიმართლეს არ უჯერებდა, ხოლო როცა გაიგებს მეფის ძალაუფლების დამხობის ამბავს და მიხვდება, რომ რევოლუციონერის სახელი მას პოლიტიკურ კარიერას მოუტანს, იგი ამ შესაძლებლობას ორივე ხელით ჩაეჭიდება, თანაც პრეტენზიული მოთხოვნებით ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. სიტყვით თავს ასალებს ხალხის ერთგულად, დემოკრატიისათვის დაუცხრომელ მებრძოლად, ფაქტიურად კი ანტიხალხურ საქმიანობას ენევა, ყოველმხრივ აკნინებს საზოგადოების მნიშვნელობას, ხალხის როლს: „რა გლახაა ხალხის სიბნელე, — აცხადებს ის, — რამდენიც არ უჩაჩქუნო თავში, ვერაფერს ვერ შეაგნებინებ. ხალხი თავის მტერია, თუ არ მოწყემსე, უჭკუო საქონელივით ხრამში გადავარდება... თუ შნო გაქვს, ჯოხს თვითონ მოგცემს, ოღონდ ძალიან ჭკვიანად უნდა დაარტყა“. ასეთია უკვე დიქტატორადქცეული ნაცარქექიას ფილოსოფია. არსებული პოლიტიკური სიტუაცია მას საშუალებას აძლევს ხალხის ხელმძღვანელად დანინაურდეს. თავდაპირველად ფრთხილად ინიღბება, ხოლო როცა პოზიციებს განიმტკიცებს, უფრო რიხიანად თვალთმაქცობს. პირდაპირ ვერ ცნობთ მას, მხდალსა და მშიშარას, რომელიც სიზარმაცისა და უქნარობის გამო გაუგდიათ სახლიდან. როცა მეგობრები — კაკუტა და ქუჩარა გაკვირვებას ვერ მალავენ ნაცარქექიას ასეთი აღზევების გამო, იგი უტიფრად მიუგებს: „ქვეყანას რომ ეძინა, მე მაშინ ვმუშაობდი“.

სიცრუე და ორპირობაა ყვარყვარეს, როგორც კარიერისტის, მთავარი იარაღი მიზნის მიღწევის გზაზე. ამ მხრივ იგი არ ერიდება არავითარ უნაშუსობას. „ეს ვერ გამიგია ზოგიერთი კაცი სირცხვილით მინაში რომ ჩაძვრება. სირცხვილს რომ სჭამ კაცი, თუ ვარგიხარ, მაშინ თავი მალლა უნდა ასწიო!“ — აცხადებს ის. უკვე ქვეყნის ბედიღბლის მსაჯული ყვარყვარე დაუფარავად ამჟღავნებს დესპოტურ თვისებებს: პირადი ინტერესები მიაჩნია უმაღლეს კანონად, ანიოკებს და აპატიმრებს უდანაშაულო, მისთვის არასასურველ ადამიანებს და ამ მოქმედებას ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვად ასალებს. სიტყვით სიმართლის მხარეზეა, მაგრამ საქმით სრულიად საწინააღმდეგოს ვხედავთ. ამას კარგად ადასტურებს დიალოგი გლეხებისა, რომლებიც რევკომში საჩივრელად მოსულან:

„პირველი გლეხი: ყვარყვარე თუთაბერმა ჩამოიარა, მაგრამ რად გინდა, ვინც საწყალი ნახა, ზურგზე ბოლი ადინა და ყაჩაღებს კი თავზე ხელი გადაუსვა.

მესამე და მეოთხე გლეხი: როგორ“!!

მეორე გლეხი: ყველა თავის რაზმში მიიღო“

წარმატებით გათამამებულ ყვარყვარეს აღარ ახსოვს საკუთარი წარსული ცხოვრება, მშობლები და მეგობრები. საერთოდ, ბრბოდ წარმოუდგენია საზოგადოება, ხალხი. ბატონკაცურად ექცევა მენისქვილეს, რომელმაც ის შეიხიზნა. თვითონ არაფრის მქონე, ბოგანო კაკუტასა და ქუჩარას ასე მიმართავს: „რა დაგემართათ, თქვე გლახაკებო? ასე უნდა ინანალოთ, უთაურებო? თქვენ კაცად გახდომა ვერასოდეს რომ ვერ მოვახერხებ... აფსუსს, თქვენ ჩემი მეზობლები იყოთ სწორედ მერცხვინებო“.

ამის შემდეგ გაკვირვებას არ იწვევს არამართო საკუთარი შესაძლებლობის შესახებ გადამეტებული თვითრწმენა, არამედ ერთგულ გარემოცვაზე ზრუნვა. ეს გარემოცვა, რა თქმა უნდა, დამნაშავეებისა და მასავით უბიოგრაფიო, შემთხვევითი ადამიანებისაგან შედგება, რომელთა დახმარებითაც ცდილობს მდგომარეობის შენარჩუნებასა და, უფრო მეტიც, საკუთარი კულტის დანერგვას. იგი პირდაპირ ავალებს ერთგულ აბრაგებს: „ნადით და რაზმელებს უთხარით, მოედანზე ხალხს ათქმევინონ, რომ (უთითებს) იმ დიდი ლოდისაგან ჩემთვის ძეგლის გამოთლა უნდათ!“ აი, ბელადომანიის ნაცადი გზა.

რა თქმა უნდა, ყვარყვარეს შეგნებული აქვს საფრთხე, რომელიც მას მოეღის და, როგორც აღინიშნა, საგანგებოდ ინიღბება, მაგრამ ეს ვერ შველის. საბოლოოდ ყველაფერს ფარდა აეხდება და ისიც იძულებულია ნაცარს დაუბრუნდეს. ასეთია მედროვის ისტორიული ბედისწერა. ამ მხრივ საგულისხმოა კომედიის ფინალში სევასტის სიტყვები: „მხოლოდ იმ ხელისუფლებაში... იმ არეულობაში შეეძლო ყვარყვარე თუთაბერს გმირის ადგილი დაეჭირა და ხალხისთვის ვნება მიეყენებინა, ჩვენ კი ახლა მას ნიღაბი მოვხსენით და, დეე, თავისი ნამდვილი სახით, ნაცარქექიას სახელით, იაროს ქვეყანაზე“. ბედს შერიგებული თუთაბერი კი, ვისაც ხალხი სტვენით აცილებს, თავს ასე იწუგებებს: „გული არ გაიტეხო, ყვარყვარე, დაიღუპა ის, ვინც სირცხვილით სოროში ჩაძვრა, მე კიდევ ავცოცდები“.

კონფლიქტების განვითარება ხელს უწყობს იმ შეუსაბამობათა ჩვენებას, რომლებიც არსებობს ნამდვილ და მოჩვენებით ყვარყვარეს შორის.

ნაწარმოების ღირსებას წარმოადგენს ისიც, რომ ავტორმა უცდომელი ალღო გამოიჩინა თვით ჟანრის არჩევის დროს და აღნიშნული თემის გადაჭრისათვის კომედია ამჯობინა. კომიკური ხასიათების წარმოსახვით შექმნა შთამბეჭდავი მხატვრული სახეები (ეს ეხება არა მხოლოდ მთავარ, არამედ მეორეხარისხოვან პერსონაჟებსაც).

მეტად საინტერესოდ ვითარდება სიუჟეტი. ყვარყვარე თუთაბერი კომიკურ პერსონაჟად წარმოგვიდგება პიესის დასაწყისიდანვე. ჩვენ ვიცინით, როცა ვხედავთ თუ როგორ ხაზავს ნაცარში რკინიგზის გაყვანის გეგმებს. მაშინვე იგრძნობა, რომ მისგან არ არის მოსალოდნელი რაიმე სერიოზული და მნიშვნელოვანი საქმე. როცა ნაცარქექიას აპატიმრებენ როგორც „რევოლუციონერს“ და მკაცრი დასჯით ემუქრებიან, აქ ჩვენ ერთგვარად კიდევ გვეცოდება იგი, რომელსაც ვაჟკაცობის ნატამალი არ გააჩნია და არც წაყენებული „ბრალდების“ ჩამდენია.

მაშასადამე, დაცინვას სიბრალული ენაცვლება, რადგანაც რაც სუსტია და დაძაბუნებული, ე. ი. არა აქვს არავითარი წინააღმდეგობის განწევის უნარი და, ამასთან, არც პრეტენზია, იგი ვერ გახდება სერიოზული დაცინვის ობიექტი. მაგრამ მდგომარეობა რადიკალურად იცვლება მაშინვე, როგორც კი ყვარყვარე მეფის დამხობის ამბავს შეიტყობს და მიხვდება, რომ ყალბად წაყენებულმა ბრალდებამ „რევოლუციონერისა“ შეიძლება დიდი კარიერა მოუტანოს. აქედან იწყება თვითრეკლამა, რომელიც თავისთავად მკვეთრ დაპირისპირებაშია, შეუსაბამობაშია ყვარყვარეს რეალურ შესაძლებლობასთან, ბუნებრივ უნართან. ეს ბაქიობა, ყოყორება კომიზს იწვევს და იმ დროსაც კი, როცა ყვარყვარე აღწევს სანატრელ მიზანს, ეს კომიზმი კი არ სუსტდება, პირიქით, ძლიერდება. თუთაბერი იხლართება ახალ-ახალ წინააღმდეგობებში, მაგრამ უკან არ იხევს. პატივმოყვარეობის უინით შეპყრობილი „პატარა საქმეებს“ თაკილობს და დიდ გეგმებს ეპოტინება. თუმცა მკითხველს, მაყურებელს ეჭვი არ ეპარება, რომ ეს მედროვე და კარიერისტი აუცილებლად დამარცხდება და ამის წარმოდგენა სიამოვნებას ჰგვრის, რადგანაც ყვარყვარე არის მატარებელი იმ მანკიერებისა, რომელიც საზოგადოებრივ გაკიცხვას მოითხოვს. დრამატურგს ყვარყვარე დაუსჯელი რომ დაეტოვებინა, ეს იქნებოდა სინამდვილის გაყალბება.

როცა დავცინით, ვკიცხავთ ყვარყვარეს და, საერთოდ, რომელიმე მანკიერებას, ამით განვამტკიცებთ დადებით იდეალს, რაც უარყოფით მოვლენაზე ამაღლებასა და გამარჯვებაში მდგომარეობს.

ასეთი დიდი ოსტატობით, ღრმა ფსიქოლოგიური ნიუანსებით და დამაჯერებლად წარმოსახა პ. კაკაბაძემ ყვარყვარეში, როგორც მედროვე, კარიერისტი ადამიანის ტიპიური თვისება, რომელიც მეტ-ნაკლები ინტენსივობით ვლინდება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მაგრამ განსაკუთრებით საშიშ სახეს ღებულობს პოლიტიკურ ასპარეზზე ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში.

LIA TSERETELI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Pattern of Action of a Character from Natsarkekia to Kvarkvare

The scene of action in Polikarpe Kakabadze's comedy is set in the mill. The playwright creates Kvarkvare's image in the traditional environment of the Georgian village. The character of Kvarkvare Tutaberi is wholly portrayed in the conversation between the miller and Kvarkvare, in their contradiction and Kvarkvare's bragging which is further unfolding in the action. The writer keeps mythic and folk symbolic content to the Georgian environment.

A fairy-tale hero Natsarkekia is totally inoffensive personage, harmless enough to people. He is personification of a deity-protector of the mythic fire and cult of hearth in the fairy epic. Natsarkekia protects the men from wicked deities and evil diseases, villains. His true image is not revealed just by poking the ashes at the fire-side; it is mysterious, invisible and hidden for human eyes.

Keywords: Image; Tradition; Character; conversation; Mythic Symbol.

ლია წერეთელი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სახე-ხასიათის ქმნალობის გზა ნაცარქექიდან ყვარყვარობამდე

პოლიკარპე კაკაბაძის მთელი შემოქმედება განმსჭვალულია მითოსური და ფოლკლორული ტრადიციის სიღრმისეული ცოდნით. მწერალი გვთავაზობს მოქმედების სიმბოლურ გააზრებას, ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას და ახლებურად აცოცხლებს.

პოლიკარპე კაკაბაძის კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“ სახისმეტყველურად მდიდარია, ამოზრდილია მითოსურ-ფოლკლორული და სარწმუნოებრივი სიმბოლიკის ტრადიციიდან: მოქმედება იწყება წისქვილში. მწერალი ქართული სოფლის ტრადიციულ გარემოში სრულქმნის ყვარყვარეს სახეს. მენისქვილესა და ყვარყვარეს საუბარში ნაცართან, მათ დაპირისპირებულობაში უკვე მთლიანად იხატება პორტრეტი ყვარყვარე თუთაბერისა, რომელიც შემდგომ მოქმედებაში სრულიქმნება. მწერალი უნარჩუნებს ქართულ გარემოს მითოსურ შინაარსს. წისქვილი და მენისქვილე ტრადიციულ ყოფაში სინმინდეს განასახიერებს. კერიას, ცეცხლს, ნაცარს საკრალური ფუნქცია აქვს. ადგილს, სადაც ხორბალი იფქვება, ცეცხლი ანთია, საკულტმსახურო დანიშნულების უძველესი ფუნქცია შენარჩუნებული აქვს. ამ ადგილს არ უნდა მიეკაროს უცხო, დაცული უნდა იყოს გარეშეთაგან. მენისქვილე ერთგვარი მცველი და დარაჯია სინმინდისა, სიმბოლურად ჭეშმარიტი „პური არსობისა“-ს მცველი, ყვარყვარე, ნაცარში თავის გეგმას ხაზავს, მენისქვილესთან საუბარში ავლენს სიცრუეს, სიბრყვეს, სიზარმაცეს, უმადურობასა და ვერაგობას. მენისქვილე, რომელმაც თბილ კერიასთან ადგილი მისცა უსახლკაროდ დარჩენილ ყვარყვარეს, სიცივისგან და შიმშილისგან იხსნა იგი, თავზარდაცემული და გაოგნებულია ყვარყვარეს შინაგანი ბუნების გამოვლენით.

ნაცარი ხალხურ ცნობიერებაში სინმინდის მფარველია. იგი ცეცხლის მოვლა-პატრონობას უკავშირდება. ცეცხლის შესანახი ნაცარიც ცეცხლის დარად მოიაზრება. იგი იხაზავს და ერთგვარად გადაგანძავს ცეცხლს. კერიის ცეცხლი, როგორც ყველაზე ძვირფასი და სათაყვანებელი, განადგურებისაგან ნაცრით არის დაცული. ცეცხლის შენახვა და მოვლა, ნაცრით დაფარვა და საჭირო დროს ცეცხლის ანთება

ცალკე საქმიანობა იყო. საუკუნეთა მანძილზე ეს ვალდებულება, კულტმსახურებად გააზრებული, გულისხმობს ნაცარქექიობის თავდაპირველ საზრისს. მოგვიანებით გადაიქცა იგი ფუნქციის დაკარგვასთან ერთად, სიზარმაცისა და უქნარობის სიმბოლოდ. „ნაცარქექიას“ მხოლოდ XIX ს-ის ჩანანერებით ვიცნობთ, როგორც ზეპირსიტყვიერების პოპულარულ პერსონაჟს. საინტერესოა თავად სახელი „ნაცარქექია“. სხვადასხვა ხალხის ზღაპრები და ზეპირსიტყვიერი ნიმუშები ქალსა და მამაკაცს ეტიმოლოგიურად ნაცართან უკავშირებს და სახელწოდებაშიც მოჩანს: Золушка – зюла – ნაცარია, გოგონა კი ნაცრით დასვრილი. შარლ პეროს ობოლი გოგონას სახელი „Candrilon“, Candre — ნაცარი, ხალხური სიუჟეტის ლიტერატურული გადამუშავებაა ზღაპარი და გერონტი ქიქოძემ თარგმნა „ნაცარქექიად“. ე. გაბაშვილმა „Золушка“ თარგმნა ასევე ნაცარქექიად, მაგრამ დამკვიდრდა „თხუპნია“ (ბარნოვი 1989: 65).

გ. ბარნოვმა მეტამორფოზად გაიაზრა ნაცარქექია პერსონაჟები:

„ცეცხლის მომვლელი გოგო, რომელიც ნაცრითაა მოსვრილი, გულქვა დედინაცვლისგან დაჩაგრული, მაგრამ საკმარისია ნაცარი მოაცილოთ და ხელში შეგრჩებათ ნამდვილი მზეთუნახავი, რომელიც თავისი სილამაზით ბრწყინავს, ანათებს.

ასევე ნაცარქექიაც – როგორც კი ნაცარს ჩამოიბერტყავს, თქვენ წინ ნამდვილი გმირი აღმოჩნდება... როგორც ჩანს, ნაცართან დაკავშირებული საკუთარი სახელეები მეტაფორად უნდა იქნეს გააზრებული (ბარნოვი 1989: 65).

ნაცარქექიობის თავდაპირველი საზრისი სრულიად ნათელია, რომ არის საკრალური, საკულტმსახური ფუნქცია. იგი ბინალური მნიშვნელობისაა – ერთის მხრივ დაფარული, გადამალული, შემნახველი, მეორეს მხრივ საფარველდადებული, საიდუმლოს მცნობი, ბრწყინვალეობისა და დიდებულების, ღვთიური არსის მცოდნე.

ზღაპრული გმირი ნაცარქექია ადამიანთათვის სრულიად უვნებელი, უბოროტო პერსონაჟია. იგი მითოსური ცეცხლისა და კერიის კულტის მფარველი ღვთაების სახეცვლილებაა ზღაპრულ ეპოსში. ნაცარქექიას ჭეშმარიტი ფუნქცია ადამიანებს დაეინყებოდა აქვთ. მას ადამიანური, ყოფითი თვალისთვის, საფარველი აქვს გადაფარებული, თავადაც ნაცარნაყრილი, გაუფასურებულია, მაგრამ ჭეშმარიტი, ღვთიური არსი მასში ქმედითაა და თავის დროს ელოდება. ნაცარქექია ადამიანებს იცავს ბოროტი დევებისაგან, ავი სნეულებისაგან, უკეთურობებისაგან, ანუ მას ცეცხლისა და კერიის ფუნქცია აქვს. ნაცართან, კერიასთან, ადამიანურ საცხოვრისში მისი ნამდვილი სახე არ ჩანს, იგი ადამიანური თვალისათვის უხილავი და დაფარულია, საიდუმლოა. ამრიგად ადამიანთაგან იგი დაუფასებელია და კარში გაგდებული. კერიასა და „შინ“ მყოფობას შეთვისებული ნაცარქექია, ზღაპრის გმირი, თავადაც არ იცნობს თავის ძლევადასილ უნარებს. ღვთიური მადლი მასში ვლინდება ბოროტების პირისპირ, როდესაც „საგზალი“ ანუ კერიის მფარველი ძალა აცოცხლებს მასში დაფარულ ძალას. ნაცარი, სადგისი და ჭყინტი ყველი, გუდა – ის საკრალური ნივთებია, რომელთაც ძალუძთ ჯადოსნური სასწაულთმოქმედება. ნაცარქექიას აღქმა, როგორც „მოხერხებული“ და რაციონალური უნარის ადამიანი ძალიან გვიანდელი ეპოქის განმარტებაა, თავდაპირველი მითოსური საზრისი კი ნაცარქექიას კერიის მფარველობის, კულტმსახურების რანგში მოსაზრებას გულისხმობს. ბოროტ ძალთა დამარცხება, შეუძლებლის ადვილად აღსრულება, სასწაულთმოქმედების უნარი ნაცარქექიას ზღაპრულ სახეს უნივერსალურ მნიშვნელობას გულისხმობს. ა. ნერთელი მართებულად მიიჩნევდა ნაცარქექიას მსოფლიო მნიშვნელობის განზოგადებულ სახედ და დონ კიხოტის დარად იაზრებდა.

ნაცარქექიას ზღაპრული სახე და მისი მითოსური პარადიგმა სიკეთის მსახურება, კერიის მფარველობა, ცეცხლის შემნახვა და დაცვა, ანუ საიდუმლოს ფლობისა და კულტმსახურების უძველესი ფუნქცია ჯადოსნურ ზღაპარში განსახიფტდა. შეინარჩუნა ბოროტების ძლევის, დევების დამარცხების ძალმოსილება. „დევი ყველას განურჩევლად არ ერჩის, ის ჯერ გახედავს კაცს ბეჭებში, თუ მას სინათლე გასდის, მაშინ უსიტყვოდ ანებებს თავს. თუ არა აქვს სინათლე, მაშინ კი ებრძვის. ბეჭებში სინათლე იმის ნიშანია, რომ ეს ადამიანი ღვთაების ხელდასხმულია, მისი რჩეული. ასეთ ადამიანებთან შეხება კი ღვთაების განრისხებას გამოიწვევს, რაც არ სურს

დევის, რადგან ის ვერ უმკლავდება ჯვარხატებს, ვინც ერთხელ უკვე დაამარცხა ისინი და ზღვარი დაუდო მათ ბოგინს დედამინაზე“ (სიხარულიძე 2006: 177).

ნაცარქექიას მითოსური პარადიგმა სწორედ ეს ნათელმოსილი, ღვთაების ხელდასხმული რჩეული ადამიანია. მისი თავდაპირველი არსი საზოგადოებაში უკვე მივინყებულა. დევის „მოტყუება“ ფუნქციონირებს კულტმსახურების სახეცვლილებათ.

„ნაცარი როგორც სინმინდის, ღვთიურობის განსახიერებას ადასტურებს ქართული ანდაზის არსი: „ნაცარი ქრისტეს საფანელია“, თონეში პურის ცხობისას ამბობენ დიასახლისები – ნაცრით დაფარული, შენახული და დაცულია ღვთიური ბუნება კაცთათვის — ეს სიმბოლური შინაარსი სრულიად ცხადია ანდაზის თანახმად. ისიც უნდა განვმარტოთ, რომ განსხვავებით მითოსური გააზრებისა, ქრისტიანობაში „ქრისტეს საფანელად“ ნაცრის მოაზრება აღდგომის საიდუმლოა. ნაცარი მითოსური საზრისით გულისხმობს მის წიაღში შენახული ცეცხლის კვლავ აღზენებას. ქრისტიანული მრწამსით, მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი მარადიული სიცოცხლის მომნიჭებელია. ამრიგად ნაცარი, იგივე მიწადქვევის, მიწისგან ქმნილი ადამიანის აღდგომის საიდუმლოს იტვირთავს. სემიტურ ენებში სწორედაც ასე სახელდება: „მიწა ხარ და მიწად იქეც“. „ნაცარი ხარ და ნაცრად იქეც“.

ქრისტიანული სიმბოლიკით, ნაცრად ქცევა ვითარცა იობის მიერ თავზე ნაცრის დაყრა გულისხმობს – მოთმინებას, შინაგან კვდომას, ასკეტურ ღვანლს. სამოსი უხამური, დაბებკული, შემოძონძილი (კონკიასებური), ფლასი, ანუ ნაცრისფერი, შავი ამ სიმბოლიკას იტვირთავს. (მუშანიკი „შიგნით ძაძა“, გარედან პალეკარტი, – სულიერი დედოფლობა). ეს საზრისი სრულიად ცხადია სარწმუნოებრივ მრწამსში.

ნისქვილი

ნისქვილი კერიის დარად, წმიდა ადგილია, სადაც მიმდინარეობს რთული პროცესი – მარცვლეულის დაფქვა. იგი გულისხმობს ერთი სახეობიდან ახალ სახეობად გარდაქმნას, ანუ ერთი მდგომარეობიდან სხვა მდგომარეობაში გადასვლას, შრომის, ღვანლის შედეგს. სიმბოლურად გარდასახვა, სხვადაქცევა, ინიციაცია, ახალ მდგომარეობაში გადასვლა. ზეაღსვლა ანუ აზროვნების პროცესი, ერთი მოცემულობიდან ზეამაღლებასა და ზიარებას ქვემარტებასთან, აზროვნების რთულ პროცესში იდეის წვდომას.

ნისქვილი საკრალური სივრცე-ადგილია.

ხალხურ ცნობიერებაში ნისქვილის ქვა, დოლაბი სიმძიმის განსახიერებაა. მისი აწევა, მხოლოდ ზეადამიანური ძალის მქონეთ ძალუძთ. ღთაებას ანდა ღვთაებათაგან რჩეულ ადამიანებს. ნისქვილის სიმბოლური შინაარსი მითოსური ცნობიერებიდან მიმდინარეობს. ნისქვილის ქვის მოძრაობა და ზოგადად ნისქვილი, წყალთან მიმართებაში თუ ჰაერთან, მარადიულ ცვალებადობას, დრო-ჟამის შეუჩერებლობას აღნიშნავს. დოლაბის ქვა კოსმიური ბრუნვის განსახიერებაა, ცარგვალის აღმნიშვნელი, იგი მარადიული ცვალებადობის, დრო-ჟამისა და ბედისწერის მეტაფორადაა გააზრებული ხალხურ ტრადიციაში. სახე-ხატი „ნისქვილმა კი ფქვასო“, ამ უძველესი საზრისის შემცველია, დროის შეუჩერებლობის, მარადიული ცვალებადობის, კოსმიური ბრუნვის მეტაფორა.

ნისქვილის საკრალური ფუნქცია ხალხური სიტყვიერების უნიკალურ ნიმუშებში ცხადდება – სრულიად ბუნებრივია „ეთერიანის“ ვარიანტებში ეთერი „მენისქვილესთან მესაფქვევად დგას“, აბესალომმა აქ ნახა პირველად:

„ბაღდადს რომ უფლის ყანა დგას
ბრინჯაოს ადგას ნათელი
ქარის ნისქვილებს უბრუნავს
მესაფქვევად ჰყავ ეთერი“.
(კიკნაძე 2001: 87)

დოლაბის ქვა ღრმადსულიერი შინაარსით ცხადდება „თავფარავნელი ჭაბუკის“ საზრისში, რომელიც საინტერესოდ გაიაზრა მსოფლიო ლიტერატურის ფონზე ვ. კოტეტიშვილმა. დოლაბი, ნისქვილის ქვა ცოდვის სიმძიმის განსახოვნებაა ნუთისოფელში. მაცხოვრის სიტყვებში ნისქვილის სიმბოლური საზრისი სრულიად ცხადია, ყრმათა შესახებ საუბრისას ამბობს:

„რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი ჩემდა მომართ მორწმუნეთაი უმჯობეს არს მისა, დამოიკიდოს ნისქვილი ვირით საფქვილი ქელსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა“ (მათე 6,18), გვ. 58.

დანაშაულის სიმძიმე განსაზღვრულია ზღვის უფსკრულში ნისქვილის ქვის ქედზე დადგმითა და ამგვარად დანთქმით.

მარცვლის დაფქვის პროცესი მღვიძარებად, მზაობად, ღვანლად წარმოდგება. ამგვარი გააზრებაც სახარებისეულია, ანუ ჭეშმარიტებასთან მიახლოვების საზომად ცხადდება. ადამიანური მზაობა, ღვანლი ღვთის შემეცნების გზაზე მეორედ მოსვლის ჟამს გაცხადდება:

„ორნი ფქვიდენ ფქვილსა. ერთი წარიტაცოს და ერთი დაეტეოს“ (მათე 24,41) (გვ. 266)

ნისქვილში ადამიანის მიერ მარცვლის დაფქვა სიმბოლური გამოხატულებაა ღვთისადმი მსახურებისა. ერთნი მართლად იღვნიან, სხვანი ცრუობენ, ღვთის სამსჯავროზე კი ჭეშმარიტი სახით ცხადდებიან.

ფაქტობრივად ნაცარი – ცეცხლის, ნისქვილი – წყლისა და ჰაერის, ნაცარი იგივე მიწის, ანუ ოთხი სტიქიონის განმსახიერებელია და კოსმიური საზრისი აქვს. ქარის ნისქვილის ზეღმართებულობა „ოთხი კიდისა“ და „სამი სკნელის“ სიმბოლიკით სრულიქმნება (ნუთისოფლისეული და მარადიულობის ზღვარის, კოსმიურ ბრუნვა-ტრიალის გამოხატულებად ცხადდება დონ-კიხოტის ქარის ნისქვილებთან ბრძოლა).

ამრიგად, სრულიად ნათელია ა. წერეთლისეული გააზრება. ნაცარქექიასა და დონ-კიხოტის გმირობა ღმირისმომგვრელია, მაგრამ მათ რაინდობის სულიერი ძალა ძველთუძველესი საიდუმლოების, ღვთიური მადლის მემკვიდრეობაა.

ქართულ ფოლკლორში, ტრადიციულ აზროვნებაში ნაცარი, ნისქვილი და მენისქვილე მითოსური და სარწმუნოებრივი სიმბოლიკის საზრისით მრავალსახოვნად ცხადდება. ქართულ მწერლობაში ეს სიღრმისეული შინაარსი გააზრებულია მაღალმხატვრულად. დავით გურამიშვილისეული გააზრება ნისქვილისა, ნახაზები, გამომგონებლობა მხოლოდ რეალურ საზრისს არ გულისხმობს და სულიერ შინაარსს იტევს. ცხოვრების, გამოცდილების, ჭირთათმენისა და გამძლეობის საზრისით ცხადდება ხატოვან გამოთქმაში „ჩემს თავზე ნისქვილის ქვა არ დატრიალებულა“...

ღრმადმნიშვნელოვანია ნისქვილში ხორბლის ფქვის უკუპროცესად ფქვილისაგან ხორბლადქცევა, ანუ ცრუ-კუდმართი ღვანლი ეშმაკის მანქანების სიმბოლო ზ. გამსახურდიას ზღაპარში, „მგელთავა და ამაღლების ციხე“.

„ზღვაში მბრუნავი კუნძული, საშინელი მორევი იყო მის ირგვლივ. კუნძულის შუაგულში ძაბრისებრი ნისქვილი იდგა, რომელშიც ქაჯები ჰყრიდნენ ფქვილს, ხოლო ნისქვილი მას ისევ მარცვლეულად აქცევდა“ (გამსახურდია 1987: 51).

სახეთა ამ სიმბოლიკის ცოდნას გულისხმობს ნაცრის, ნაცარქექიობის, მენისქვილისა და ნისქვილის გააზრება. კომედიაში ყვარყვარეობის ნიღაბი სრულიად ცხადად არის განსაზღვრული: სახე-ხასიათი ყვარყვარესი ამოზრდილია ნაცარქექიას გააზრებიდან და სრულიქმნება მწერლისეულ განზოგადებულ ქართულ ხასიათად.

პ. კაკაბაძე ნაცარქექიას ფოლკლორული ხასიათის საპირისპირო სახეს სრულიქმნის. ყვარყვარე ნაცარქექიას ანტი-გმირია. ნისქვილში, სადაც ყვარყვარე შეიფარა მენისქვილემ, თავის საცხოვრისში, კერიასთან მისცა ალაგი, გამოვლინდა ყვარყვარეს ბუნება. მენისქვილემ კარგად შეიცნო მისი სახე, თუ აქამდე მხოლოდ საბრალოდ, არაფრის მაქნისად იცნობდა და ებრალებოდა, დიალოგში შეიცნო – უმადურობა, ვერაგობა, გაუტანლობა, სიჯიუტე და მზაკვრობა, მენისქვილის სახეს მწერალმა კერიის მფარველის, სინმინდის მცველის გააზრება შეუწარმუნა, უბოროტო, მართალი, მშრომელი და შემბრალები, არამზვაობარე ადამიანია მენისქვილე კომედიაში. თავად ნისქვილი ადგილია, სადაც ვლინდება ყვარყვარეს ჭეშმარიტი სახე, მე-

ნისქვილეს ანტიპოდი აყვარყვარე. შემდგომში ფართო ასპარეზზე იშლება ყვარყვარეს ქმედება. მენისქვილეს არ ძალუძს საზოგადოება და სოფელი დაიცვას ყვარყვარეს ქმედებათაგან. ნისქვილში ყვარყვარე ნაცარში ხაზავს გეგმას – სარკინიგზო მაგისტრალი უნდა გაიყვანოს, გვირაბი გააკეთოს და ა.შ. მენისქვილეს ამ გრანდიოზულ გეგმებზე ეცინება, რადგან იცის, რომ იჯარით ხიდის მშენებლობა ყვარყვარემ შუაგზაზე მიატოვა და ხელიც არ გაანძრია. მენისქვილესთან მაინც იხტიბარს არ იტეხს. მას ყველაფერი შეუძლია ისე წარმოაჩინოს საუბარში, რომ წარმოჩნდეს მცოდნედ, სხვაზე აღმატებულად, უკეთესად, მაგრამ მხოლოდ სიტყვით, ბაქი-ბუქით... არ არსებობს ყვარყვარესთვის შეუძლებელი. მის სახე-ხასიათში მწერალს შერწყმული აქვს ხალხური ბაქიბოხისა და ტრაბახის ფორმულადქცეული ხასიათი – „აქეთ გორასა ნიხლსა ვკრავ, იქით გორასა ძვრას ვუზამ“... მენისქვილე გაახსენებს, რომ სამადლოდ შეიფარა და გაათბო, რომ ნისქვილი მისია... ცხადდება ყვარყვარეობის ერთი უმთავრესი ნიშან-თვისება – დაეუფლოს სხვის საცხოვრისს, აითვისოს სხვისი სივრცე-ალაგი, გაბატონდეს ყველგან და ყველაზე. სხვისი დამსახურება და ცოდნაც თავისად გამოაცხადოს (კაკაბაძე 1996).

მწერლისთვის ნისქვილი ის სივრცული მოდელია, წმიდა ალაგი, სადაც როგორც სარკეში, ისე ცხადდება მოვლენის ჭეშმარიტი არსი, ადამიანის ნამდვილი სახე. ცეცხლი, ცეცხლისპირას მჯდარი ადამიანის შინაგან არსს ააშკარავებს. ეს პარადიგმული მოდელი პ. კაკაბაძეს მთელ შემოქმედებას გასდევს. მწერალი ხატავს ერთობ ბუნებრივ, მშობლიურ, ღრმადქართულ ტრადიციულ გარემოს. ნისქვილი და ცეცხლისპირას ყვარყვარე-მენისქვილის დიალოგი კომედიაში იმ ჩანასახად წარმოდგება, სადაც უკვე სრულიად ცხადდება მოქმედების მთელი ხასიათი. ნაცარქექიას სახე მწერლისთვის, ნაცარქექიობის არსი, ასევე თანმდევი. ერთი ყველაზე აუცილებელი მეტაფორაა მის თვალსაწიერში, მაგრამ ვფიქრობთ, პ. კაკაბაძემ ზღაპრული ნაცარქექიას სახე-ხასიათის ანტი-გმირი სრულქმნა ყვარყვარეობის სახით. თუ ზღაპრის ნაცარქექია უწყინარი, მორჩილი და თავმდაბალია, ებრძვის მხოლოდ დევებს და ამარცხებს მათ, ყვარყვარე „გარეთ მხდალი, შინ ძლიერია“, საშიშროებას და ძლიერ მტერს გაურბის, ემალება, შიშით ქრება, ხოლო შინაურებს და ახლობ-ნაცრობებს კარგად უსწორდება, მათ ადვილად იმორჩილებს და სჯის.

შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ ტრადიციულის, საკრალურის მცველი და განმსახიერებელი მენისქვილეა, ყვარყვარე ნაცარქექიას სახე-ხასიათის მწერლისეული ნილაბი — ანტიგმირია ზღაპრული ნაცარქექიასი, თუმცა მისი კეთილსახიერების მკვეთრად საშიში ბუნებით. ცეცხლი და ნისქვილი, უძველესი ფუნქციის დატვირთვით გამჭვირვალედ აცხადებენ ჭეშმარიტ არსს. ნიშანდობლივია, რომ სწორედ მენისქვილის ასული და მისი სატრფო რევოლუციური სულისკვეთებით სწორედ ნისქვილის არეალში ცხადდებიან. ტრადიციულს უპირისპირდება ახალი დროების მოსალოდნელი ქართველი და მარადიულად სახეცვლილი, მუდამ განახლებადი სახე-ხასიათი ნაცარქექიასი. ნისქვილი და ცეცხლი, მათი სახეცვლილება მწერლის შემოქმედებაში სარკე — სრულად აცხადებს პიროვნებათა ჭეშმარიტ ბუნებას.

ყვარყვარეს სიცრუის, ბოროტების, უკეთურობის, მუხანათობის გამოვლენის საშუალებას აძლევს და კარგ გარემოს უქმნის ის რეალობა, რომელშიც მწერალი სრულქმნის ამ გმირს. სწორედ აქ ვლინდება ტოტალიტარიზმის მწერლისეული გააზრება: ქართული სოფელი, ტრადიციული გარემო, ნისქვილი, კერია, საზოგადოება სამართლიანად ელის მაღალ იდეალთა აღსრულებას, ისტორიული გამოცდილების კვალობაზე, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების სწამს, მაგრამ ცრუ-გმირი იკავებს ჭეშმარიტის ადგილს მოხერხებულობის, ვერაგობის წყალობით, შემთხვევითობის გამოიხობით. საზოგადოება, ისე როგორც მენისქვილე, ვერ უვნებელჰყოფს ცრუ-გმირის აღზევების საშიშროებას. იგი ამისთვის არ არის სათანადოდ მზად და არც ჰგონია, რომ მისგან მოელის საფრთხე. ყვარყვარეს განზოგადებულ სახემდე მწერალს ნაცარქექიას ზღაპრული ხასიათების აქცენტირებით სურს მათი მსგავსების გამოვლენა – ნაცრის ქექვა, კერიასთან ჯდომა, მეოცნებეობა... მაგრამ ზღაპრულ სახე-ხასიათს სცილდება ყვარყვარე. იგი სწორედ ტოტალიტარიზმის პირმშო-ხასიათის, ცრუ-გმირის შინაარსით წარმოდგება. ყვარყვარე ბოროტად ესხმის თავს მოუშზადებულ, თავდაუცველ, ერთგვარად გულუბრყვილო და მიძინებულ საზოგადოებას. ცრუ იდეოლოგიით, „ბაქი-ბუქობით“ აბრუებს ადამიანებს, ატყუებს და

აბუჩად იგდებს მათ, ატყვევებს და ციხეში სვამს ყველას, ვინც შესაძლო წინააღმდეგობას უწევს, არაფრისმცოდნე ყვარყვარე აბიაბრუებს სხვათა ცოდნასა და გამოცდილებას, რის შედეგადაც ჩვეულ გარემოს თავდაყირა აყენებს, აქცევს სოფელს, აღრევს ყველასა და ყველაფერს, მძლავრობს ქუთასუსტობითა და სიცრუით. ზ. გამსახურდიასეული ფორმულით რომ გამოვსახოთ, მენისქვილე ფქვავს ხორბალს ფქვილად, ხოლო ყვარყვარე უკუღმა ფქვილისაგან ხორბალს იღებს.

ნაცარქექიას ზღაპრულ-მითოსური ხასიათის საპირისპიროდ, მწერალმა სრულქმნა ზოგადი სახე-ხასიათი ყვარყვარეობისა, რომელიც ქართულ რეალობაში განსაზღვრული შინაარსის გამოხატულებად დამკვიდრდა. იგი ზედროული, უდიდესი მნიშვნელობის ფენომენია და გულისხმობს ტოტალიტარიზმის პირმშო სახე-ნიღაბს — უსამართლობას, ვერაგობას, ბოროტებას, სიცრუეს, აღვირახსნილობას, რომელსაც თავად გარემო და საზოგადოება შობს და ამნიფებს თავის წიაღში.

ამრიგად, „ყვარყვარე თუთაბერი“ კომედია ნაცარქექიასთან გარეგნული მსგავსების მიღმა, მენისქვილე-ყვარყვარეს დაპირისპირებულობას ტრაგიკულ შერკინებას გულისხმობს. XX ს-ის ქართულ მწერლობაში ტოტალიტარულ სახელმწიფოში ორი დიდი ტრაგიკული სახე-ნიღაბი შეიქმნა: ჯაყო და ყვარყვარე. ორივე ქართული საზოგადოების მიძინებულობის, გულუბრყვილობისა და მიმნდობლობის შედეგად აღზევდა. ისინი გულუბრყვილო, უბოროტო ლუარსაბის შემდგომ დამძიმებული მემკვიდრეობაა საქართველოს წიაღში. თხრობასა და სცენაზე კი გულისხმიერი საზოგადოება შეიგრძნობს, რომ ჯაყოს დარად, რომელიც ავტორის განსაზღვრებით „გმინვაა მწერლის სულისა“, ყვარყვარეც ტრაგიკული განცდის, ტანჯვის, მწერლის გოდების პირმშო-ხატია.

დამონეგანი:

ბარნოვი 1989: ბარნოვი გ. ნერილები. თბ.: „მერანი“, 1989.

გამსახურდია 1987: გამსახურდია ზ. ზღაპრები. თბ.: 1987.

კაკაბაძე 1996: კაკაბაძე მ. „პოლიკარპე კაკაბაძის უცნობი პიესა „ლოპიანე“. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 5-12 ივლისი, 1996.

კიკნაძე 2001: კიკნაძე ზ. ქართული ხალხური ეპოსი. თბ.: 2001.

სიხარულიძე 2006: სიხარულიძე ქ. კავკასიური მითოლოგია. თბ.: 2006.

ZOYA TSKHADAYA

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Paradigmatic Image of a Timeserver According to Polikarpe Kakabadze's Comedy *Lopiane*

Polikarpe Kakabadze's comedy *Lopiane* was written in 1958 but because of sharp criticism of the totalitarian system it was not published in the writer's lifetime.

The main characters of comedy are characterized by absolute submission to the standards of Soviet conjuncture; their life is not based on spiritual values and principles. They are personages well fit to this system, they are carriers and creators of hypocritical, pseudo values. The comedy discloses cynical attitude of the soviet system to the society, religion; ambition, false patriotism, struggle in the name of people in order to "purify Georgia" and wipe out its national identity. *Lopiane* is a comedy imbued with humor typical for Polikarpe Kakabadze. The Soviet system, which was familiar for the writer rather well, is reconstructed in it at a very high artistic level.

Keywords: Polikarpe Kakabadze; Totalitarian System; Soviet Conjuncture; Pseudo Values.

ზოია ცხადია

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მედროვის პარადიგმატული სახე პოლიკარპე კაკაბაძის კომედია „ლოპიანეს“ მიხედვით

დიდი ქართველი დრამატურგის, პოლიკარპე კაკაბაძის, პიესა „ლოპიანე“ 1958 წელს დაინერა. თუმცა, ამ დროიდან უკვე დაწყებულია ე. წ. დათბობის პერიოდი საბჭოთა კულტურის სივრცეში და კონკრეტულად მწერლობაშიც, მაგრამ ცენზურა ჯერ კიდევ თავისი „მონოდების სიმალღეზე“ იყო. მართალია, თამამი სიტყვისთვის არ ხვრეტდნენ, მაგრამ არც მწვანე შუქს უნთებდნენ. ამგვარ სიტუაციაში ლოგიკური იყო, უარი ეთქვათ „ლოპიანეს“ გამოქვეყნებაზე. მასში იმდენად მძაფრად იყო გამოხატული სისტემის კრიტიკა, იმდენად მკვეთრად ჩანდა არსებულ სოციალურ გარემოში განფენილი მანკიერებანი, მედროვეთა ცოცხალი სახეები, რომ დიდხანს დარჩა იგი მწერლის არქივში. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, 1996 წელს, მწერლის ქალიშვილმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მანანა კაკაბაძემ ჟურნალ „თეატრში“ გამოაქვეყნა მანამდე უცნობი პიესა „ლოპიანე“ „ყვარყვარე თუთაბერთან“ ერთად. მან, როგორც მეცნიერ-მკვლევარმა, პროფესიონალმა, დიდი ამაგი დასდო საერთოდ პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედების შესწავლას. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ლოპიანეს“ შეფასება-ანალიზი. ის ერთადერთი სერიოზული ნაშრომია დღემდე. მანანა კაკაბაძემ, როგორც სოცრეალიზმის პირუთვნელმა მკვლევარმა, ნათელი მოჰფინა „ლოპიანეს“ უმთავრეს საიდუმლოს: „ორმოცდაათიანი წლების ბოლოს, — აღნიშნავს იგი, პოლიკარპე კაკაბაძემ კიდევ ერთხელ ასახა ის მკაცრი სინამდვილე, რომელიც საბჭოური რეალიზმის ეპოქითაა სახელდებული და, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში პრეცედენტი არ მოუპოვებია... ლოპიანე ეპოქის სახეა, მარად ახალია, ისევე უკვდავია და მორგებული სიტუაციაზე, როგორც ყვარყვარე, ყველა დროის ერთი უდიდესი ლიტერატურული გმირი“ (ლიტ. საქ., 1996, 5-12.VII. გვ. 12).

შემთხვევითი არ იყო ამ ორი ნაწარმოების — „ყვარყვარე თუთაბერისა“ და „ლოპიანეს“ ერთად დაბეჭდვა. ლოპიანე ყვარყვარე თუთაბერის, როგორც პერსონაჟის, უკვდავი სახის გამოძახილია. ყვარყვარე თავისი მხატვრული ღირებულებებით და განზოგადებულობით ყველა ეპოქის თანამედროვე ქმნილებად დარჩება. იგი

ყოველ დროში ახლებურად ტრანსფორმირდება. ლოპიანე კონკრეტულად საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირმშოა. მასში დროის ლოკალურ კონტექსტშია წარმოდგენილი ყვარყვარეს მსგავსი მედროვე ადამიანის ტიპი, რომელიც ყვარყვარეს სიმაღლემდე არ განზოგადდება, მაგრამ მის ფესვებზეა ამოზრდილი, ყვარყვარიზმის ახალი გამოვლენაა, უფრო კონკრეტულ დროშია ჩამჯდარი, აქტუალურია და ძალზე ნაცნობი. კომედიის გმირები აბსოლუტურად ექვემდებარებიან საბჭოთა კონიუნქტურულ ნორმატივებს, არ ცხოვრობენ სულიერი ღირებულებებით და პრინციპებით. ისინი სისტემას მორგებულად ადამიანები არიან – უზნეონი, გაუნათლებელი, ფარისევლები, ფსევდო ღირებულებათა მატარებელი და მაკონსტრუირებელი. კომედიის მხილებულია საბჭოთა სისტემის ცინიკური დამოკიდებულება საზოგადოებისადმი, რელიგიისადმი; პატივმოყვარეობა, ცრუ პატრიოტიზმი, ხალხის სახელით ბრძოლა „საქართველოს გასანმენდად“, მისი ეროვნული იდენტობის წასაშლელად; ყოველივე ამას განასახიერებენ ლოპიანე და მისი გარემოცვა.

ლოპიანე, როგორც თვითონ მოიხსენიებს, „მასზე ძლიერის“ წყალობით, მოულოდნელად აღმოჩნდება პირველ კაცად. ინჟინრად არ გამოდგა, ნიჭი არ ჰქონდა და თანამდებობა მისცეს. ე. წ. „მასზე ძლიერი“ მისთვის ღმერთია, კერპია. ამ კერპს დევკაჟიანს უწოდებს. ის ძლიერი სადღაც ზემოთ არის და ლოპიანეების ბედისწერაც იქიდან იმართება. უსაფუძვლო არ არის ლოპიანეს შიში: მოულოდნელად არ დაამხოს მფარველმა ისე, როგორც ამ სასახლეში მანამდე მყოფი. შიში აყალიბებდა ტიპს, რომელსაც თანამდებობაზე მოსვლისთანავე მიზნად დაუსახავს, უპირველესად თავის ძველ მეგობრებს გაუსწოროს ანგარიში, არავის მისცეს ძველებურად გამინაურების უფლება. ეს საბჭოთა სისტემის თანამდებობის პირთა ერთ-ერთი მიღებული ეთიკეტი იყო. ლოპიანეც არ აყოვნებს და სარკეში არეკლილ თავის ორეულს აფრთხილებს: „თავი მაღლა დაიჭირე ლაპარაკის დროს. გაიცინე ისეთნაირად, რომ რისხვაზე მკაცრად ისმოდეს“ (გვ. 69). თავის გუნებაში ასე ფიქრობს, მაგრამ სხვას ამბობს: „მე ჩემს თავს არ ვეკუთვნი, ხალხის ვარ და ჩემი გაკილვა ქვეყნის შეგინებაა“ (გვ. 69). ხალხის სახელით გაუგონარი სისასტიკით უსწორდებოდა ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმი თავისი არსებობის მანძილზე კონკრეტულ ადამიანებს. ხალხის სახელით მოქმედებს და ლაპარაკობს ლოპიანე, ხალხისა და სამშობლოს გულშემატკვრის, მათზე მზრუნველის სახით ინიღბება. ყალბია მასში სამშობლოს გრძნობა. ეს ანგარებიანი კაცი სწორედ უანგარო და იდეის კაცად წარმოადგენს თავს ახლობელთა წინაშე. ლოპიანე საბჭოური პატრიოტია, „დიადი სამშობლოს“ პატრიოტი (თუმცა, ესეც თამაშია). იგი ამასაც არ სჯერდება და კაცობრიობის სიყვარულზე დებს თავს. „მიყვარს სამშობლო, მხოლოდ, უფრო მეტად – კაცობრიობა...“ (გვ. 70). რეალურად მისთვის სამშობლო იმ სკამით შემოიფარგლება, რომელზედაც „დევკაჟიანის“ წყალობით დააბრძანეს. ლოპიანემ ისიც კარგად იცის, რომ, შესაძლებელია, სრულიად მოულოდნელად დაატოვებინონ თანამდებობა. ამიტომაც ფრთხილობს, ყველას ეჭვით უყურებს – მლიქვნელსაც და პირუთვნელსაც, ახლობელსაც და შორეულსაც. ის მზადაა, გაუსწორდეს ყველას, ვისზედაც ეჭვს მიიტანს: „რომლებსაც ყველაზე ძვირფასი საჩუქარი მოაქვთ დღეობაზე, პირველად ისინი შემყავს დასასჯელთა სიაში... და მაინც, ახალი მსხვერპლი მოდის, უკეთესი საჩუქრით“ (გვ. 72). შინაგანად მას ყველა ეზიზღება, რადგან იცის, თუ ფეხი გადაუბრუნდა, ეს მლიქვნელი უცებ აქცევინ ზურგს და თავიანთ წილ ლაფსაც ესვრიან... იცის, რადგან ეს ეპოქის სტილია, უნახავს მას, ამიტომაც არ ტყუვდება. მისი სამუშაო ოთახი ძვირფასი ავეჯითაა განწყობილი, კედლები სურათებითაა მორთული, თუმცა, მისთვის ყველა ავეტორი უცნობია. თანამშრომლებთან სისულელე წამოცდება: ეს ლეონარდო შექსპირის სურათიაო. ხელქვეითები ხვდებიან მის უვიცობას. უხერხულობას უნიჭო იუმორით უპასუხებს. ერთ-ერთი პერსონაჟი, დანინაურებული კოლმეურნე ქალი იუმორს უწონებს, აქებს. „მასეთი გალობით ვერ გადაამაცდენო“, — გაანბილებს მას ლოპიანე. იგი დროის, ეპოქის ადეკვატურად მოქმედებს და აზროვნებს. მართალია, პიესის კონკრეტული დრო 50-იან წლებს გულისხმობს, მაგრამ ლოპიანე 70-წლიანი კომუნისტური რეჟიმის ზოგადი მოვლენაა. ის, როგორც ლიდერი, წინა ათწლეულების ტირანთა ნიშნებშიც არის კოდირებული. თავისი ქვეშევრდომებისგან თვითკრიტიკასა და მონანიებას ითხოვს. ეს ნაცადი და ვერაგული ხერხი იყო განსაკუთრებით 30-იანი წლების ჩეკისტური სისტემისათ-

ვის. სრულიად უდანაშაულო, ცნობილი თუ რიგითი ადამიანები, იძულებით თხზავდნენ მონანიების ტექსტებს ჯოჯოხეთიდან თავის დასაღწევად, მაგრამ ჯოჯოხეთიდან გამოსვლის ნაცვლად, ხდებოდა პირიქით და ამის არაერთი მაგალითია ცნობილი. ლოპიანე თავისი ფანტაზიით თხზავს, იგონებს, რომ მავნებლებს საიდუმლო ცენტრი აქვთ. სრულიად უდანაშაულო თანამშრომელს აბრალებს, რომ დიდი მავნებლისაგან წერილი მიუღია და ვადას აძლევს მეორე დღემდე გულწრფელად მოინანიოს და აპატიებს. უკიდურეს შემთხვევაში, ცემის შიშით აიძულებს, უდანაშაულო კაცმა გამოიგონოს დანაშაულის ტექსტი და წერილობით აღიაროს, თანაც შეღავათს ჰპირდება. მლიქვნელები „სამართლიანობას“ უქებენ. ასეთებზე იტყვის ლოპიანე: „ჩემი თვალი და ყური ხართ“ (გვ. 84).

კომედიაში მხილებულია პატიოსანი შრომის, საამური ყოფის ყალბი პათეტიკა. სიფრთხილისათვის ისევ ძალაშია ბრძოლის მეთოდი მავნებლებთან; ჩასაფრება და დასმენები, მამებლური და დამამდაბლებელი ქცევები, მლიქვნელ-ქვეშევრდომთა თავგამოდება, ვინ უფრო მეტად მოიგებს პირველი კაცის გულს, მაგრამ ლოპიანეც არ ტყუვდება, რადგან თვითონაც იგივე დამოკიდებულება აქვს ღმერთივით უხილავ (კომედიაში ასე ჩანს) დევკაჟიანთან, თავის მფარველთან. მასაც უგემნია სილა მისგან და მოუთმენია. ახლა თავად ისე ექცევა ქვეშევრდომებს – ზემოდან დაჰყურებს, ამცირებს მათ, ამპარტავნობს, ღირსებას იჩემებს, მაგრამ უღირსებო კაცია, რადგან თავისი მბრძანებლის წინაშე ნელში მოხრილია. მარჯვენაში სილას რომ გაანნის, მზადაა, მეორეც მიუშვიროს. მარჯვენასაც დაულოცავს, ჩემთვის სიკეთე უნდაო. ის ტიპური მედროვეა. ყველაფერი აიტანა და დევკაჟიანმაც „ჭემმარტების ნაჩაღნიკად“ დასვა, „ხალხის მთავრობა“ და ვითომ ახალ ბურჟუაზიას, სპეკულანტებს და სახელმწიფო ქონების ქურდებს დამნაშავეთა ლაგერებით ემუქრება.

საგულისხმოა ლოპიანეს აგდებული დამოკიდებულება ძველ ინტელიგენციასთან. ასევე, ნიშანდობლივია მის მიერ გენიოსებზე, მოაზროვნე ადამიანებზე ცინიზმით ნათქვამი: „ჩვენ გენიოსების ხსოვნას ვაფასებთ, მხოლოდ, მათი აზრების ამყოლს, ცოცხლებში, ტყავს ვაძრობთ... მათ ძეგლებს ვუმდგამთ, მხოლოდ ამ დროში რომ გაცოცხლდნენ, ჩვენს ჭკუაზე დავანერინებთ და, რაც წინათ დანერეს, იმაზე ბოდიშს მოვახდენინებთ“ (გვ. 66). ეს ქართველ კლასიკოსებთან 20-30-იანი წლების იდეოლოგიის მესვეურთა დამოკიდებულებას გაგვახსენებს.

როცა დევკაჟიანის, ხალხის საამაყო შვილის დაპატიმრების ამბავს იგებს, ლოპიანე არ დაიბნევა, მედროვე კაცის ალლო კარნახობს სათქმელს. „დაუმტკიცდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მტრობდა, ხალხს ანიოკებდა. მატყუებდა, მაგრამ გულით სუფთა დავრჩი“... გუმინდელი ღმერთი და მფარველი უცებ უარყო. სხვებზე მეტად აკრიტიკებს მას. ეს უკვე პოსტსტალინური წლების წინა პერიოდი, თითქოს – დათბობის და დათმობის, მაგრამ ისტორიამ არაერთი მაგალითი იცის იმ წლების დახვრეტებისა და უდანაშაულოთა დაპატიმრებებისა, საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც და საქართველოშიც. თუმცა, ეს მაინც შედარებით ნაკლები იყო. შედარებით რბილად ეპყრობიან ლოპიანესაც, თანამდებობას დაატოვებინებენ და იმ ქარხანაში აბრუნებენ, სადაც ერთ დროს ინჟინრად მუშაობდა. ისიც ბედის მადლობელია, აქედან, ჩემ გარდა, ტყავი ცოცხალს არავის გაუტანიაო.

ლოპიანეს ამბიციები დაიმსხვრა. თითქოს ის კაცი არ არის, რომლის კარებთან საშვებიანი ადამიანების გრძელი რიგი იდგა: „მობრძანდნენ, ვინც არიან, სულერთია. მოდი, მტრებო, ეპისკოპოსებო, სპორტსმენებო, პოეტებო, შახტიორებო, ფილოსოფოსებო, ანი ნურვის ნუ გეშინიათ – მომხსნეს. საშვები არ გჭირდებათ, კარი ღიაა!“ (გვ. 90) – მიმართავს ყოფილ ხელქვეითებს და ყველას.

სიმბოლოურია ლოპიანეს კაბინეტიდან მისი სურათის გატანის სცენა, ცხრა მხატვარი რომ ხატავდა ამ სურათს და მაინც რომ ინუნებდა. ახლა დასახევედაც განირა: „დავხიოთ სურათი ძველი ლოპიანესი, ანი მთლად ახალი ვარ“... (გვ. 91) ეს მისი ბოლო სიტყვებია – ყალბი და მდგომარეობიდან გამოსავალი, დროებითი... მწერლის დამოკიდებულება პერსონაჟისადმი ირონიულია. ის ვერ გახდება ახალი კაცი, ვერ გადაკეთდება, ყვარყვარესავით ახალ სიტუაციაში კვლავ ალორძინდება, ისევ ნამოიმართება.

ლოპიანეს გარშემო მოფუსფუსე ხელქვეითთა შორის განსაკუთრებულ კომიკურ სიტუაცია ე. წ. პოეტი, რომელიც პატრონის ხათრით, როგორც თვითონ ამბობს,

ნერს ყველაზე და ყველაფერზე, როგორც ამ პატრონს მოესურვება – აქებს და ადიდებს მას, ან მისივე დაკვეთით აგინებს და მიწასთან ასწორებს ლოპიანესთვის არასასურველ პირებს. თუ კარგად არ გამოუვა, ყურსაც აუნწევს. პოეტი მაინც კმაყოფილია: პოეტობაში მავარჯიშებსო. ბოლოს ახალმა ეპოქამ ორივე გამოცვალა. ლოპიანე თავის ქარხანაში უნდა დაბრუნდეს, პოეტი ახლოს არ ეკარება, შენი შეკვეთილი ლექსები სულ მეზარაღაო. ლოპიანე ახალ გზას ასწავლის, ქარხანაში გაჰყვებს და ახლა მუშებზე ნეროს, მუშა უკვდავიაო. ავტორმა მათი ურთიერთობით ამხილა ლიდერების ამბიციები, მლიქვნელ ქვეშევრდომებთან ურთიერთობა, ბელადო-მანიით გაყენილი პოეზიის ამაზრზენი სიყალბე, სიცრუეზე აგებული ყოფა, სადაც „გაცინებულს ატირებენ და ატირებულს „ვაშას“ აძახებინებენ“, სადაც ურცხვები და ბრიყვები პირველკაცობენ.

„ლოპიანე“ პოლიკარპე კაკაბაძისთვის დამახასიათებელი იუმორით გაჯერებული კომედიაა. მასში სიტყვის დიდოსტატის ხელითაა რეკონსტრუირებული საბჭოთა სისტემა, რომელსაც მწერალი ზედმინვენით იცნობდა. სამწუხაროდ, ეს პიესა არ დადგმულა სცენაზე. პოლიკარპე კაკაბაძეს დიდად აფასებდნენ, როგორც „უაღრესად ეროვნულ და საკაცობრიო იდეალების გამათავისებელ დრამატურგს“ (ბრეგაძე 1994: 58), რომ უნდა დაძლეულიყო უსამართლობა და სცენაზე განხორციელებულიყო დიდი ქართველი დრამატურგის პიესები, რომ „პოლიკარპე კაკაბაძის დრამატურგია არის ის მადანი, რომელსაც ჩვენ ვერ, ჩვენდა საუბედუროდ, არ ვიყენებთ და არ ვამუშავებთ“ (კუჭუხიძე 1994: 57). იქვე გულისტკივილით აღნიშნავს რობერტ სტურუა: „ამ გენიოს კაცს არ მიეცა საშუალება გამოეგლინა თავისი თავი, რადგან ისეთ დროში ცხოვრობდა. ყოველივე ის, რისი თქმაც მას სურდა და რისთვისაც ჩვენ გვიყვარდა მისი ხელოვნება, თითქოს დამალული იყო. მისი პიესები ვერ გასცდა საქართველოს ფარგლებს, დრო უშლიდა ხელს. მარტო ქართული პრობლემები არ არის მის პიესებში. საკაცობრიო პრობლემები ეროვნულამდე დაჰყავდა“ (სტურუა 1994: 59).

დამონებიანი:

ბრეგაძე 1996: ბრეგაძე ვ. ჩვენი ანკეცა. „თეატრი და ცხოვრება“, № 4, თბ.: 1996.

კაკაბაძე 1996: კაკაბაძე მ. პოლიკარპე კაკაბაძის უცნობი პიესა „ლოპიანე. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, № 5-12, თბ.: 1996.

კაკაბაძე 1996: კაკაბაძე პ. „ყვარყვარე თუთაბერი, ლოპიანე“. „თეატრი და ცხოვრება“, № 3, თბ.: 1996.

კუჭუხიძე 1996: კუჭუხიძე გ. ჩვენი ანკეცა. „თეატრი და ცხოვრება“, თბ.: 1996.

სტურუა 1996: სტურუა რ. ჩვენი ანკეცა. „თეატრი და ცხოვრება“, თბ.: 1996.

ტოტალიტარიზმის კულტურული პარადიგმები Cultural Paradigms of Totalitarianism

NINO POPIASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Mass Soviet Culture on Service of Ideology and Humour of Totalitarianism

Soviet Union, which was «the general native land» for 15 countries and still more quantities of ethnic groups, with especial severity and insistence created own ideology. On service of official ideology there was a literature and art. A mass culture: theatre, cinema, music, painting, literature, sculpture completely submitted to the Soviet ideology.

It's necessary to notice, that on service of the Soviet ideology there was also a Soviet humour. Set of the comedies, created during the period, when Soviet Union was in zenith, are obvious propagation of the Soviet ideology

The totalitarian humour in Soviet citizens even more deepened influence this ideology. It's known, that humour, except directly comic function, has also substantial loading. Accordingly, the Soviet humour completely spent the Soviet propagation.

Keywords: Totalitarianism; Humour; Ideology; Culture.

ნინო პოპიაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საბჭოთა მასობრივი კულტურა იდეოლოგიის სამსახურში და ტოტალიტარული იუმორი

საბჭოთა კავშირი, რომელიც 15 ქვეყნის და გაცილებით მეტი სხვადასხვა წარმოშობის ეთნიკური ხალხის „საერთო ქვეყანა“ იყო, განსაკუთრებული სიმკაცრითა და მოთხოვნებით აყალიბებდა და ქმნიდა საკუთარ იდეოლოგიას. ოფიციალური იდეოლოგიის სამსახურში იდგა ლიტერატურა და ხელოვნება. მასობრივი ხელოვნება: თეატრი, კინო, მუსიკა, მხატვრობა, ლიტერატურა, ქანდაკება მთლიანად დაემორჩილა საბჭოთა იდეოლოგიას.

საბჭოთა ადამიანის სტერეოტიპული სახე ძალიან მალე საყოველთაო გახდა საბჭოთა ხალხებისათვის: ძლიერი და მშრომელი გმირი გამოსახული იყო არა მხოლოდ ცენტრალური, არამედ ყველა პატარა ქალაქისა თუ სოფლის მოედანზე, კულტურის სახლში ჩამოკიდებულ პანოსა თუ უბრალოდ ავტოსადგურზე. ეს კი, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა საბჭოთა იდეოლოგიის განმტკიცებას, ხოლო მეორე მხრივ, აყალიბებდა გარკვეულ სტერეოტიპებს, საიდანაც გადახვევა ბევრი საბჭოთა მოქალაქისათვის წარმოუდგენელი და შეუძლებელი იყო.

„ტოტალიტარიზმის“ გაგება დასავლეთ ევროპის სამეცნიერო ლიტერატურაში შემოვიდა მეოცე საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს. მაგ. 1935 წელს გამოცემული „სოციალურ მეცნიერებათა ენციკლოპედია“ არ იცნობს ამ ტერმინს.

ტოტალიტარიზმი დასაწყისშივე ერთმნიშვნელოვნად დაუკავშირდა ფაშიზმსა და კომუნიზმს და თანამედროვე მეცნიერებაში განიხილება, როგორც ორი განსხვავებული განმტკიცება.

ცნობილია, რომ 1939 წელს ამერიკელი ფილოსოფოსების ინიციატივით გამართულ სიმპოზიუმზე პირველად შეინიშნა მცდელობა სამეცნიერო განსაზღვრება მიეცათ ტოტალიტარიზმისათვის. ერთ-ერთ მოხსენებაში ტოტალიტარიზმი განმარ-

ტებული იყო როგორც „დასავლეთის მთელი ისტორიული ცივილიზაციის წინააღმდეგ გალაშქრება“.

მეორე მსოფლიო ომმა, ხოლო შემდეგ კი „ცივი ომის“ დასაწყისმა დასაბამი მისცა ტოტალიტარიზმის თეორიულ გააზრებას. 1952 წელს ამერიკაში გაიმართა კონფერენცია, რომელიც ტოტალიტარიზმის სოციალურ ფენომენს ეძღვნებოდა, სადაც გაკეთდა დასკვნა, რომ ტოტალიტარული შეიძლება დაერქვას დახურულ საზოგადოებას, სადაც ყველაფერი — ბავშვის აღზრდიდან დაწყებული, პროდუქციის გამოშვებით დამთავრებული, კონტროლდება ცენტრალიზებულად.

რამდენიმე წლის შემდეგ გამოვიდა ფუნდამენტალურ ნაშრომთა წყება, რომელიც ტოტალიტარიზმს ეხება. ჰ. არენდტის წიგნი: „ტოტალიტარიზმის წარმოშობა“ და კ. ფრიდრიხისა და ზ. ბზეჟინსკის ერთობლივი ნაშრომი: „ტოტალიტარული დიქტატურა და ავტოკრატია“. ფრიდრიხ ბზეჟინსის კონცეფციამ, რომელმაც ისტორიოგრაფიაში მიიღო სახელწოდება: „ტოტალიტარული სინდრომი“, დიდი გავლენა მოახდინა ამ სფეროს შემდგომ კვლევებზე.

ერთოდ ტირაჟირებული საბჭოთა მასკულტურა თეატრის, მხატვრული ლიტერატურის, კინოს და ხელოვნების სხვა დარგების სახით მთლიანად იდეოლოგიურ ზეგავლენას განიცდიდა. ათასობით და ათიათასობით ეგზემპლარებად იბეჭდებოდა მდარე პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებები, სადაც სწორედ კომუნზმისა და საბჭოეთის ქება იყო მთავარი იდეა.

ლიტერატურული ტექსტების, ისევე როგორც მასობრივი კულტურის სხვა ნაწარმოებების მთავარი გმირები გამარჯვებული საბჭოთა ადამიანები იყვნენ, რომებიც საბჭოთა კავშირის არსებობის სხვადასხვა დროსა და პერიოდში სხვადასხვა მონინააღმდეგეს უმკლავდებოდნენ: მენშევიკებს, რელიგიასა და ცრურწმენებს, ასევე, რელიგიურ მოღვაწეებს, შემდგომ — მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და მოგვიანებით, — ჰიტლერს, ფაშისტურ გერმანიას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის თემატიკა საბჭოთა ლიტერატურაში საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია. გამარჯვების აპოგეამ და ეიფორიამ კი მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლომდეც კი მოაღწია. განსაკუთრებით, კინოსა და ესტრადის თემატიკაში. ცივი ომის დასაწყისიდან თემატიკა უკვე კაპიტალისტური დასავლეთის კრიტიკისა და ბრძოლისაკენ გაფრთოვდა. ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, საბჭოთა გმირი აქაც გამარჯვებული იყო დასავლეთის მიმზიდველ და განვითარებულ ინოვაციებზე, ყოველგვარ დასავლურ ღირებულებასა და მარეტილურ კეთილდღეობაზეც კი. საბჭოთა მასკულტურა სწორედ დასავლური ღირებულებების კრიტიკისაკენ იყო მოწოდებული და ამას სხვადასხვა გზითა და საშუალებით ახერხებდა კიდევ.

საბჭოთა მასკულტურაში კრიტიკის ერთ-ერთ საშუალებად მალევე იქცა იუმორი, სარკაზმი და ირონია, რომელიც აშკარად იდეოლოგიურ ელფერს ატარებდა და მასკულტურის მრავალი ჟანრისათვის ერთნაირად მისაღები არმოჩნდა.

სიტყვა იუმორს ძველბერძნული წარმოშობა აქვს. აღსანიშნავია, რომ ანტიკურ მედიცინაში ადამიანის მდგომარეობა განისაზღვრებოდა ოთხი სითხის მიხედვით, რომელთა ურთიერთქმედება და ჰარმონიაც იწოდებოდა იუმორად. ეს ადამიანის ჯანმრთელობის საწინდარი იყო.

ცნობილია, რომ იუმორი შესაძლოა გამოხატული იყოს სხვადასხვა საშუალებით, რაც მიზანთან, კულტურის დონესთან, განათლებასთან და სხვა ფაქტორებთან არის დაკავშირებული. იუმორის გრძნობა ესაა უნარი იუმორის გაგებისა. უკიდურეს შემთხვევაში კი იუმორის გრძნობა ინვეს გავლენებსა და ძალაუფლების შეგრძნებებს ადამიანში სხვა ობიექტზე, როდესაც დასცინის მას.

იუმორი ხშირად არ არის უნივერსალური და იშვიათად გადადის ერთი კულტურიდან მეორეში. როგორც წესი, იმის გამო, რომ დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოზე. მეორე მხრივ კი, გლობალიზაციის ეპოქაში, განსხვავებები კულტურებს შორის სულ უფრო და უფრო მცირდება და იუმორიც უნივერსალური ხდება.

თუმცადა აღსანიშნავია იუმორს არ უშვებენ. მაგ. რომელიმე საფეხბურთო გუნდის გულშემატიკურები არ ხუმრობენ იმ გუნდზე, რომელსაც მხარს უჭერენ. ასევე, მონმუნები როგორც წესი, არ ხუმრობენ თავიანთი რწმენის ობიექტებზე და ა. შ.

იმთავითვე უნდა ითქვას, რომ ცენზურის გაუქმებამ საქართველოში ინფორმაციის „ბუმი“ გამოიწვია. თავად განსაჯეთ, — გასული საუკუნის 90-იან წლებში 500 გაზეთი და 60 ჟურნალი (!) იყო რეგისტრირებული, მაშინ, როდესაც 1981 წელს მხოლოდ 141 გაზეთი გამოდიოდა. მიუხედავად რაოდენობრივი და ხარისხობრივი სიჭრელისა, ამ პერიოდის „საინფორმაციო ამინდს“ რამდენიმე გამოცემა განსაზღვრავდა (პერიოდულობის, ტირაჟის, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის, გავრცელების უზრუნველყოფისა და რიგი სხვა ფაქტორების გამო). ახალი მედიის ჩამოყალიბების სიმბოლოდ 1990 წელს პირველი თავისუფალი არაპარტიული გაზეთის — „7 დღის“ გამოცემა ითვლება. შემდგომში იგი „დრონის“ სახელით გამოდის და მოგვიანებით კვლავ იბრუნებს სარბიელს თავდაპირველი სახელდებით. მომდევნო წლებში ერთმანეთის მიყოლებით ისტამბება თავისუფალი მედიის ყველაზე რეიტინგული გამოცემები: გაზეთები: „ივერია ექსპრესი“, „რეზონანსი“, „ალია“, „კვირის პალიტრა“, „დილის გაზეთი“, „ასავალ-დასავალი“, „ახალი თაობა“. და სხვ. პოპულარობისა და გავლენის თვალსაზრისით ბევრ მათგან დღემდე შენარჩუნებული აქვს წარსულში დაკავებული პოზიცია. რაც შეეხება სამაუწყებლო მედიას, პირველი დამოუკიდებელი ტელევიზორი შექმნის მცდელობას წარმოადგენდა 1990 წელს თბილისის კერძო ტელესადგურ „მერმისის“ ამოქმედება, რომელიც მალევე დაიხურა. ერთ დროს ლიბერალური იმიჯი ჰქონდა სახელმწიფო „მე-2 არხს“. პირველი დამოუკიდებელი ტელევიზიის სახელი 1992 წელს „იბერვიზიის“ გამოჩენას უკავშირდება.

სამწუხაროდ, დიდხანს არც მას უმუშავია. 1994 წლიდან მაუწყებლობას იწყებს ტელეკომპანია „რუსთავი-2“, რამდენიმე წლის შემდეგ კი — ტელეკომპანია „კავკასია“.

პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრებასთან ერთად თეზას — „ინფორმაცია შექმნა დემოკრატია,“ — ქართულ რეალობაშიც თითქოს ისევე ეფექტურად უნდა ემუშავა, როგორც დემოკრატიის გზაზე შემდგარი, პოსტსაბჭოთა სივრცის წარმომადგენელი სხვა ქვეყნების შემთხვევაში, მაგრამ მიუხედავად სიტყვის თავისუფლებასა და საჯაროობაში წინ გადადგმული ნაბიჯებისა, საწყის ეტაპზე მედია ვერ ასრულებდა საზოგადოებისათვის ფორუმის შემთავაზებლისა და შესაბამისად, დემოკრატიის მთავარი მექანიზმის ფუნქციას. ეს კი, პირველ ყოვლისა, ტოტალიტარულ სისტემაში ჩვენი თანაცხოვრების ხანგრძლივობიდან გამომდინარეობდა. გარდაქმნამ საქართველოში გვიან შემოაღწია და მხოლოდ მედიასივრცის გარკვეულ სეგმენტს შეეხო, ისიც არასრულად, რადგან ხელისუფლებას მედიამართვის ბერკეტების დათმობა უძნელდებოდა. განსაკუთრებით ეს სახელმწიფო ტელევიზიას ეხება. იგი განაგრძობდა მმართველი გუნდის პოლიტიკური მიზნების პირუთვნელ აღსრულებას (ჩანს, მემკვიდრეობითობა დღემდე ამ მაუწყებლობის ყველაზე მკაფიო მახასიათებლად რჩება).

როგორც კი ჟურნალისტიკა სხვა ამოცანებს დაისახავს და შეასრულებს, დემოკრატიულ კულტურას საფრთხე ექმნება. ასე ხდებოდა ტოტალიტარულ საბჭოეთსა და ნაციტურ გერმანიაში, როცა მთავრობები ახალ ამბებს აკონტროლებდნენ. წარსული ინერციის დაძლევა, ასე ვთქვათ, „გარდაქმნილ“ მედიასაშუალებებსაც ეძნელებოდათ. პრობლემები, რომლებიც 90-იანი წლების მედიაში წარმოიშვა, ძირითადად, საჭირო უნარ-ჩვევების დეფიციტსა და კოორდინაციისა და ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტებს უკავშირდებოდა. ამას კი გარკვეული გამოცდილება სჭირდებოდა. მსოფლიო საკომუნიკაციო სივრცეში არსებობის უფლების მოსაპოვებლად სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, სახელმწიფო ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესის ხელშეწყობა იყო აუცილებელი.

ეს კი ბევრად რთული აღმოჩნდა, რადგან ჩვენი კულტურის მკაფიოდ გამოხატული ლიტერატურაცენტრიზმი, ანუ განზოგადებულად, „ირაციონალური დისკურსი“, რომელიც „...ერთადერთი შესაძლებელი დისკურსი იყო საქართველოში“ (ბერძენიშვილი 2004: 170), ასე ვთქვათ, რაციონალურით უნდა შეცვლილიყო. სხვაგვარად: დაწერილი სამოქალაქო კანონი უნდა ჩანაცვლებოდა დაუნერეულ, ვერბალურ, „ნესების უნესობაში მატრანსფორმირებელ“ კანონებს. იგავურის რეალურით შეცვლის მისია, ცხადია, მასმედიის პრეროგატივად იქცა. რამდენად შეასრულა მან ეს საპასუხისმგებლო მისია, ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი თავად იქცა ფორმალური წესებიდან წესრიგის გამომდევნად და გამმითებლად. რამდენიმე წლის წინ გაკეთებული შეფასებით, მისთვის დამახასიათებელი იყო ესთეტიკური და სუბიექტური ინფორმაციის უპირატესობა სემანტიკურსა და ობიექტურზე. ამ მიმართებით განსაკუთრებით თვალშისაცემი გახლდათ დისკურსების აღრევა; მაგალითად, სახელმწიფო ტელევიზიისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო ახალი ამბებისა (ნიუსის დისკურსი) და მარადიული თემების (რელიგიური დისკურსი) აღრევა (ბერძენიშვილი 2004: 171).

პრობლემატიკას, რომელიც „გარდამავალი დემოკრატიის“ პირობებში ქართული მასმედიის ფუნქციონირების შესწავლისას გამოიკვეთა, მედია მკვლევარი რამდენიმე პუნქტად აყალიბებს (კუტუბიძე-ზუბაშვილი 2002: 35). მათი ერთობლიობა საშუალებას გვაძლევს მრავლმხრივად წარმოვაჩინოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ტრანსფორმირების პროცესი ე.წ. „გადასვლის“ პერიოდში:

1. ეკონომიკური არასტაბილურობის პოლიტიკურ არასტაბილურობაში გადატანის მცდელობები;
2. ყურადღების ძირითადად გარე საფრთხეზე აქცენტირება; დასავლეთის გაიდვალეზა და საკუთარის იგნორირება (ე.წ. „გარეთ გამტანის“ ფსიქოტიპი);
3. პოლიტიზირებისა და პოლიტიკის პერსონიფიცირების ტენდენცია;
4. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა მიერ ცნობიერების მითოლოგიზება;
5. პოლიტიკურ ორიენტაციის ურთიერთჭიდილი, ზოგჯერ ურთიერთაღრევატ. ცნებები, რომლებიც მოცემული პერიოდის პრესაში პრევალირებს, — იმპიჩმენტი, საბოტაჟი, ამბოხი, რევოლუცია, გადატრიალება, დესტაბილიზაცია, — უმთავ-

რესად საშინაო და საგარეო ბრძოლების კოლიზიებს ასახავს. განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა 1991-92 წლების მოვლენათა ფონზე, როდესაც „სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესი ერთგვარად ვიწრო კალაპოტში მოექცა. ერთი მხრივ, ეკონომიკური პრობლემები, უკიდურესად გამწვავებული ეთნოკონფლიქტები და სხვა შიდა ფაქტორები, ხოლო, მეორე მხრივ, გარე სამყაროს ხელნაღ, გლობალიზაციის პროცესი, „ლიბერალური ღირებულებების“ უცერემონიო შემოჭრა მძიმე დარტყმა აღმოჩნდა მყოფე საზოგადოებისათვის. „აზრის თავისუფლად გამოხატვის“ პერიოდში მყოფი მასმედია არა მხოლოდ ასახავს ამ პროცესს, არამედ იგი, ნებისთი თუ უნებლიედ, მისი კატალიზატორი ხდება“ (კუტუბიძე-ზუბაშვილი 2002: 37).

მიუხედავად პრობლემათა ფართო სპექტრისა, მაინც პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან შედარებით, საქართველომ საგრძნობ წარმატებას მიაღწია საინფორმაციო გარემოს განვითარებისა და დემოკრატიზების პროცესში. ამ პერიოდის საქართველოს საინფორმაციო გარემოს შესწავლის შედეგად მომზადებულ გამოცემაში ეს გარემო დახასიათებულია, როგორც „დინამიური გარდაქმნების პერიოდი“, სადაც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასთან ერთად, მასმედის ფუნქციაც იზრდებოდა — მას თავისი წვლილი შეჰქონდა „დემოკრატიის კულტურის პლურალისტური დისკუსიის კულტურით შეცვლისა და ინფორმაციის მიღების ღია და გამჭვირვალე სისტემის ფორმირების პროცესში“ (ბოკერია 1997: 38).

„მიეცით ხალხს სინათლე და ის გზას თავად იპოვის“ (კოვარი 2006: 22), — სიტყვები, რომლებიც „სკრიპს კომპანის“ ყოველი გაზეთის სათაურის ქვეშ წერია, ყურნალისტიკის უპირველესი მიზნის მეტაფორული ფორმულირებაა. მიზანი კი მოქალაქეების იმ ინფორმაციით უზრუნველყოფაში მდგომარეობს, რომელიც მათ თავისუფლებისა და თვითმმართველობისთვის სჭირდებათ. სწორედ ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვამ და იმ გავლენამ შეუწყო ხელი კომუნიზმის დანგრევას, რომელიც მან ადამიანებზე მოახდინა.

პრობლემები, რომლებმაც 1990-იანი წლების ქართულ ყურნალისტიკაში, ასე ვთქვათ, მისი „გარდატეხის ასაკში“ იჩინა თავი, არც მედიის „სიმნიფის ეტაპისთვისაა“ დაძლეული. გავლენის მასშტაბებიდან გამომდინარე, მასმედიას უნდა ეტვირთა საზოგადოებისთვის სწორი ორიენტირების დამსახველის უმნიშვნელოვანესი მისია, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი „სიმნიფის ასაკშიც“ „ცმანვილურ შეცდომებს“ უშვებს. თუკი გასული საუკუნის 90-იან წლებში ქართული მასმედია სიტყვისა და სინდისის თავისუფლებაზე ვოლუნტარისტული კონტროლის კატასტროფული შედეგების აღმოფხვრაზე ზრუნავდა, თანამედროვე ეტაპზე, ის საზოგადოების დეზორიენტირებითაა დაკავებული. წინათ და დღესაც მასმედია „აუდიტორიის დაბალი გემოვნებითა და პატრიოტული იმპულსებით მანიპულირებს“.

თუკი თანადროულ პრესას დიალოგური მაინც შეგვიძლია ვუწოდოთ, რადგან იგი, ავად თუ კარგად, უზიარებს მკითხველს საკუთარ აზრებსა და შეხედულებებს, არგუმენტებსა და დასკვნებს, ეჭვებსა და იმედებს, რითაც ცდილობს ერთობლივ შემოქმედებით პროცესში ჩართოს იგი, ელექტრონული მედიასამუშაოებები ცალმხრივი კომუნიკაციის რეჟიმში განაგრძობენ აუდიტორიაზე აგრესიულ ზემოქმედებას.

ცნობილი ფორმულირება, რომ „ვისაც ტელევიზია აქვს, ხელისუფლებაც მისია“, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ „ვისაც აქვს ხელისუფლება, მას აქვს ტელევიზიაც“, მართალია, ტოტალიტარული წარსულის მწარე გამოცდილებასთან გვაბრუნებს, მაგრამ ეს არცთუ ბრძნული სენტენცია, სამწუხაროდ, სადღეისოდაც ინარჩუნებს აქტუალობას (ამ მხრივ პოსტსაბჭოთა სინამდვილეზე რომ არ ვილაპარაკოთ, განვითარებული დემოკრატიის პირობებში მედიაკონტროლის თვალხილულ ნიმუშად სილევი ბერლუსკონის მიერ ძირითადი ელექტრონული მედიაკომპანიების კონტროლის ფაქტიც იკმარებდა. თანამედროვე მედიაკონიუნქტურა კი იმგვარია, რომ მნიშვნელობა სწორედ პოპულარულ სატელევიზიო არხებზე გავლენას ენიჭება, თორემ „პრესას რაც უნდა, ის ილაპარაკოს“ (ეკო 2004: 2)). მასობრივი კომუნიკაციის როლის ამგვარი გაგება პასუხს მოითხოვს შემდეგ კითხვებზე: „რა ძალები აკონტროლებენ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაობას?“ და „როგორ ახორციელებენ

ეს ძალები თავიანთ გავლენას მათი მეშვეობით? — რაზეც პასუხები, უმეტეს შემთხვევაში, არ გავაჩნია.

ჯერჯერობით კვლავ მასმედიის „ვერტიკალური მოდელი“ დომინირებს, ანუ როდესაც მსხვილ მედია საშუალებებს აქვთ მასობრივი აუდიტორიის მანიპულირების საშუალება. ამერიკელ მკვლევართა თქმით, საქმე გვაქვს „მარტივ ტავტოლოგიასთან“: ეს არის ის, რასაც ყურნალისტიკის მოსურვებენ“ (კოვანი 2006: 18). მაგრამ უახლესი კომუნიკაციების განვითარებასთან ერთად, მკვიდრდება კომუნიკაციის ახალი მოდელი, რომელიც სპობს უთანასწორობას, დომინირებასა და ინფორმაციულ ტირანიას. წინ იწევს აუდიტორიის ახალი სტატუსის პრობლემა: მათთვის, ვისაც „მასმედიის დიქტატურა“ აღარ ხიბლავს და ინფორმაციის თავისუფლება და მისი ოპერატიულობა — საციცოხლო პრინციპებია, ფორმირდება კომუნიკაციის ახალი, „ჰორიზონტალური“ მოდელი.

ეს გულისხმობს, რომ ცნებები „ავტორი“ და „მკითხველი“ თითქმის იგივეება: პოტენციურად, სოციალური ქსელის ნებისმიერ მომხმარებელს (რომელიც ამავე დროულად მკითხველიცაა) შეუძლია სურვილისამებრ ინფორმაციის ავტორადაც იქცეს. მეტიც, მის მიერ მიწოდებულ ცნობებს შესამჩნევი გავლენა შეუძლია მოახდინოს ტრადიციული მედიის მუშაობაზე და ჩამოართვას მონოპოლია ინფორმაციის მოპოვება-გავრცელებაზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქსელური მასმედიის განვითარება, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ტრადიციული მასმედიის „გაკეთილშობილების“ პროცესს, მეორე მხრივ კი, საფრთხეს შეუქმნის ინფორმირებაზე მის ექსკლუზიურ უფლებას, ანუ დააჩქარებს მის აღსასრულს.

ამასთან დაკავშირებით დღეს ბევრს საუბრობენ ყურნალისტიკის დასავლელი ექსპერტებიც, რომლებიც შემოფოთებას ვერ მალავენ ყურნალისტიკის ტრადიციული ფასეულობების დევალვაციის გამო. ამ ტენდენციას ტექნოლოგიურ სიახლეთა პრიმატის გარდა, სხვა მრავალი განმსაზღვრელი ფაქტორიც ემატება: ფინანსური ძალების გავლენა, დამოუკიდებელი ახალი ამბების კომერციალიზმით შეცვლა, სერიოზული ყურნალისტიკის დახვეწილი თვისებების მაღალრეიტინგიანი შოუს ელემენტებით ჩანაცვლება. ეს ყოველივე გაქრობის საფრთხის ქვეშ აყენებს პრესას, როგორც დამოუკიდებელ ინსტიტუტს, „რომელსაც სხვა ძალებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების კონტროლი შეუძლია“ (კოვანი 2006: 14).

ასე რომ, რაც უფრო ინტენსიურად განაგრძობს მედია დესტრუქციულ ქმედებებს, მით მეტად უახლოვდება საკუთარ დაისს, — კარგავს აუდიტორიას. გაუთავებელი ინფორმირების, რეკლამირებისა და ახალი ტექნოლოგიების აგრესიულობის ეპოქაში, სადაც ყოველივე ბუნებრივი და ორიგინალური სიმულაკრამ შეცვალა, საზოგადოებაც დეზორიენტირებულია, უჭირს მოვლენათა არსში წვდომა და სწორი დასკვნების გამოტანა. გლობალურ საინფორმაციო-კრეატიულ სისტემაში ჩართული ჩვენი მედიასაშუალებები კი ცნობიერების მანიპულირებისა და მასობრივი პროპაგანდის მეთოდებით ცდილობენ აუდიტორიის ყურადღება მთავარიდან მეორეხარისხოვანზე გადაიტანონ, გააბუნდოვნონ, გადაასხვაფერონ სინამდვილე და ფსევდორეალობით ჩანაცვლონ იგი (თანადროულობის ერთ-ერთმა გამორჩეულმა მოაზროვნემ, უმბერტო ეკომ, ახალთაობის პოლიტექნოლოგთა მიერ შემუშავებულ ამ ეფექტურ მეთოდს „მედიამართვა“ უწოდა). თავიანთი „ობიექტურობითა“ და „უშუალობით“ სწორედ მდაბიური მამებლობის ჟინს აყოლილმა, ფსევდოპატრიოტიზმის „ლაქიური მოკრძალებით“ გამფეტიშებელმა ყურნალისტებმა მოირგეს ყურადღების გამფანტავის სახიფათო როლი.

და მაინც, პრობლემა ჩვენშია. ჯერ კიდევ ტოტალიტარული ფსიქოლოგიის გავლენის ქვეშ მყოფნი, შინაგანად ვერ განვთავისუფლდით, როგორც ფილოსოფოსი იტყოდა, ვერ გავიგეთ ჩვენი თავი, ვერ დავინახეთ (მამარდაშვილი 1992: 10). იმ ეპოქისთვის ტიპური ამაღლება დღესაც ნიშანია ჩვენი პარალიზებული აზროვნებისა. შედეგად მივიღეთ ის, რომ ქართველის ტრადიციული ხატი გადაგვარდა. თუკი მაშინ, საბჭოთა სისტემაში შევძელით თავი გადაგვერჩინა, დღეს, ცრუ-ხატების ტყვეობაში მყოფნი, თავს ვინადგურებთ. და თუ გვინდა, რომ საბოლოოდ განვთავისუფლდეთ ტოტალიტარიზმის სუბიექტის დანგრეული ცნობიერებისგან და „გააზნაბებულ მონებად“ არ დავრჩეთ, ჯანსაღი მოქალაქეობრივი აზროვნება უნდა ვისწავლოთ. მხოლოდ ჭეშმარიტად თავისუფალ საზოგადოებას შესწევს ძალა

დამფუძნებელ მამათა მიერ ნაქადაგარი „მართულთა მმართველობის“ მისაღწევად, რაც სხვა ფუნდამენტურ ღირებულებებთან ერთად, სიტყვის თავისუფლებასაც გულისხმობს.

დამონებიანი:

ბერძენიშვილი 2004: ბერძენიშვილი ლ. ადამიანის უფლებები ქართულ ყოფით კულტურაში. // „ადამიანის უფლებები და ქართული კულტურა“. თბ.: 2004.

ბოდრიარი 1972: Baudrillard J. Pour une critique de l'économie politique du signe. Paris: Editions Gallimard, 1972.

ბოკერია 1997: ბოკერია გ., თარგამაძე გ., რამიშვილი ლ. 90-იანი წლების ქართული მედია: ნაბიჯი თავისუფლებისკენ. სადისკუსიო წერილების სერია 2, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა, საქართველო, თბ.: 1997.

ეკო 2004: ეკო უ. დუჩეს თვალეები [ონ-ლაინ პუბლიკაცია] (გაზეთი „ელ მუნდო“, 2004. განთავსებულია 25 მაისიდან, 2004); მის: <http://www.inosmi.ru>.

კოვაჩი 2006: კოვაჩი ბ. როზენსტილი ტ. ჟურნალისტიკის ელემენტები. თბ.: „იმპრესი“, 2006.

კუტუბიძე... 2002: კუტუბიძე-ზუბაშვილი ლ. ქართული მასმედიის „გარდატეხის ასაკი“. — ჟურნალისტური ძიებანი. ტ. II, თბ.: 2002.

მამარდაშვილი 1992: მამარდაშვილი მ. საუბრები ფილოსოფიაზე. თბ.: „მეცნიერება“, 1992.

მანიჩი 2007: მანიჩი პ. მაგნას ეპოქა: ბრენდის ტოტემიზმი და წარმოსახვითი გადასვლა სოციალიზმიდან პოსტსოციალიზმზე საქართველოში. გაზ. „ახალი 7 დღე“, 20-28 ივლისი, 2007.

ჭილაძე 2008: ჭილაძე ო. წინ მარადისობა! გაზ. „კვირის პალიტრა“, 8-14 დეკემბერი, 2008.

OTAR JANELIDZE
DIMITRI SHVELIDZE
Georgia, Tbilisi

World War II or the Great Patriotic War

Modern Georgian historical sciences reinterpreted the concept, accepting the term world war II substituting the term of the great patriotic war.

However, the reality stands as a contradiction. For Georgians the only home has been Georgia. Georgia entered the Soviet Union forcefully, hence, it was perceived as the repressive social and political state rather than the homeland. Therefore, within Georgian context it is not adequate to perceive world war II as the great patriotic war. Georgians like others throughout the world made their own contribution to defeat the evil of Nazi Germany but it was not the struggle for the liberation of the own country, rather it was the participation in the war. Therefore this event should not be evaluated as patriotic war for Georgians.

Keywords: World War II; Georgia; Patriotic War.

ოთარ ჯანელიძე,
დimitრი შველიძე
საქართველო, თბილისი

მეორე მსოფლიო თუ დიდი სამამულო ომი

ომი, როგორც მოვლენა, კაცობრიობის გარიჟრაჟზე გაჩნდა. თვისტომის სისხლი პირველად ედემს გარეთ დაბადებულმა პირველივე ადამიანმა დაღვარა. მას შემდეგ, რაც კაენმა აბელი სასიკვდილოდ გაიმეტა, კაცთა კვლის აწყვეტილი ტალღა ღვთისშვილთა ცხოვრების თანამდევ სტიქიურ უბედურებად იქცა, რომელმაც უამრავი მსხვერპლი შეიწირა. საზოგადოება იძულებული გახდა, ომისთვის რაიმე კალაპოტი, განმსაზღვრელი წესები და სავალდებულო პრინციპები დაედგინა. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ომის ერთგვარი მორალური კოდექსი ჩამოყალიბდა: ომი წარმოებს მეომართა, შეიარაღებულ ბანაკთა შორის, მშვიდობიან, უიარალო მცხოვრებთ არ ერჩიან. შუა საუკუნეებში იარაღგატეხილი მებრძოლის მოკვლა შეიარაღებული მონინაალმდევის მიერ სამარცხვინო მოქმედებად მიიჩნეოდა. მერე და მერე ეს რაინდული ჟესტი დავიწყებას მიეცა. საბრძოლო იარაღის გაუმჯობესებასა და გამრავალფეროვნებასთან ერთად ომის მორალი თანდათან დაეცა. მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტა, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ულმობელი ნგრევა სამხედრო შეტაკებათა დამახასიათებელი მოვლენა გახდა. ამგვარი სისასტიკე ყველაზე რელიეფურად კაცთმოძულეობით გამოირჩეულ მეორე მსოფლიო ომში გამოვლინდა.

ომები ერთმანეთისაგან თავიანთი მიზნებით, ბუნებით, ხასიათით, ხანგრძლივობით, მასშტაბურობით განირჩევიან. იმ 14500-ზე მეტი ომიდან, რომლებსაც კაცობრიობის ისტორია მოითვლის, ცნობილია „ელვისებური“, „ასწლიანი“, „ცივი“, „უცნაური“ და სხვა ნაირგვარი დასახელების საბრძოლო შერკინება. თავიანთი კერძო სახელწოდებების მიუხედავად, ომის ძირითად ტიპებად მაინც დამპყრობლური და განმათავისუფლებელი, სამართლიანი და უსამართლო ომებია მიჩნეული. თუმცა არსებობს სპეციფიკური, ამა თუ იმ ქვეყნისათვის ნიშანდობლივი ომის სახეც. მაგალითად, ნაპოლეონის წინააღმდეგ რუსი ხალხის მიერ 1812 წელს წარმოებულ თავდაცვით ომს რუსეთში სამამულო ომს უწოდებენ, ხოლო 1941-1945 წლებში ფაშისტური გერმანიის აგრესიის მოგერიება საბჭოთა კავშირში დიდ სამამულო ომად მოინათლა.

ჩვენი განხილვის თემა ამჯერად ამ უკანასკნელი ომის სახელწოდებაა.

სსრ კავშირის არსებობის ბოლომდე, ვიდრე ისტორიული მეცნიერება გაბატონებული კომუნისტური იდეოლოგიის სამსახურში იდგა, ხსენებული ომის სამამულო ხასიათი საბჭოთა ქვეყანაში ოფიციალურად არავის უარყვია. ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ეს მკვლევართაგან დიდ თავგანწირვას მოითხოვდა და სარისკოც იყო. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს, განსაკუთრებით კი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხელახალი აღდგენის შემდეგ, შესაძლებელი გახდა ისტორიის თეთრი ლაქების გადახედვა, ბევრი ფაქტისა თუ მოვლენის ახლებური გააზრება და მათთვის ნამდვილი სახელის დარქმევა. ერთ-ერთი ასეთი საკითხთაგანია წინამდებარე პრობლემა.

ცნობილია, რომ 1941 წ. 22 ივნისს ჰიტლერული გერმანიის სსრ კავშირზე თავდასხმით ამ ორ სახელმწიფოს შორის გაჩაღებულ ომს ი. სტალინმა დიდი სამამულო ომი უწოდა. რაკი 1812 წლის ომის სამამულო ომად აღიარების პრეცედენტი უკვე არსებობდა და ამ სახელწოდების მართლზომიერებაში თავის დროზე რუსეთში ეჭვი არავის შეუტანია, უმაღლესმა საბჭოთა მმართველებმა, პირველ რიგში კი სტალინმა, გერმანიასთან დაწყებული ომიც იმთავითვე სამამულო ომად გამოაცხადეს.

ტერმინი „სამამულო ომი“ არ გვხვდება საერთაშორისო ენებზე გამოცემულ სოლიდურ ლექსიკონებში (მათ შორის ამერიკული *Websters Seventh New Collegiate Dictionary*, 1976; ფრანგული *Pedit Robert*, 2000, გერმანული *Warig Deutsches Vorterbuch*, 2000; იტალიური *Dizionario Devoto Oli del la Lingua Italiana*, 2004-2005 და სხვ.) აღსანიშნავია, რომ ამ ენებზე არ არსებობს სამამულო ომის არც ენციკლოპედიური განმარტება. რუსული ენის ლექსიკონი კი ამ ცნების ასეთ დეფინიციას იძლევა: „სამამულო ომი — სამართლიანი ომი მამულის (Отечество) თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ“ (ლექსიკონი... 1958: 929).

საკითხი, როგორ ესმოდათ და რატომ მიიჩნევდნენ 1941 წელს დაწყებულ ომს სამამულო ომად, ახსნილია იოსებ სტალინის 1941 წლის 3 ივლისის მიმართვაში საბჭოთა კავშირის მოსახლეობისადმი. შემდგომში ამ მიმართვაში ფორმულირებული თეზისები საფუძვლად დაედო საბჭოურ იდეოლოგიურ კონცეფციას სამამულო ომის შესახებ. ამის გამო საჭიროდ მიგვაჩნია, თვალი გადავავლოთ ხსენებულ დოკუმენტს.

პირველად სწორედ ამ სიტყვაში უწოდა საბჭოთა ლიდერმა ახლადდაწყებულ ომს „სამამულო“. ერთხელ მან იგი მოიხსენია, როგორც „სამამულო-განმათავისუფლებელი ომი“, მეორედ, როგორც „საყოველთაო-სამამულო ომი“ და ა. შ.

სტალინის სიტყვაში განსაზღვრულია და განმარტებული სამამულო ომის დამახასიათებელი ნიშნები, მიზეზები, მიზნები, მისი წარმოების მეთოდები, საშუალებები. იქვე გამოთქმულია ომის გამარჯვებით დამთავრების ღრმა რწმენა და ხაზგასმულია გამარჯვების კანონზომიერება. ობიექტურობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ამ მიმართვამ, ისე უმაღლესი მთავარსარდლის მიერ მასში ჩამოყალიბებული მიზნების უკომპრომისო განხორციელებამ დიდი როლი ითამაშეს საბჭოთა კავშირის გამარჯვებაში ფაშისტურ გერმანიაზე.

„მიმართვის“ მიხედვით, მიმდინარე ომი არ იყო „ჩვეულებრივი ომი“ და იგი არ წარმოებდა მხოლოდ მოწინააღმდეგე ქვეყნების არმიებს შორის. ის იყო „საყოველთაო-სახალხო ომი“, რომელიც იმავდროულად ატარებდა სამართლიან, განმათავისუფლებელ ხასიათს.

ფაშისტური გერმანიის მესვეურთა ჩანაფიქრითაც, საბჭოთა კავშირში შეჭრა არ იყო ჩვეულებრივი ომი. მანამდე კარგა ხნით ადრე ჰიტლერელთა მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად („ოსტ“), განსაზღვრული იყო საბჭოთა სახელმწიფოს სრული ლიკვიდაცია, დასავლეთ უკრაინის, ბელორუსიის, ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ციმბირში გასახლება, დანარჩენთა გაგერმანელება, 5-6 მილიონი ებრაელისა და 30 მილიონი რუსის ფიზიკური გაჟლეტა. ფაშისტური დირექტივები ითვალისწინებდა „რუსების, როგორც ხალხის განადგურებას“, „არასრულფასოვანი ხალხებისაგან“ სასიცოცხლო სივრცის განმენდას და იქ გერმანელ კოლონისტთა ჩასახლებას (ლევანდოვსკი... 2002: 224-225).

გერმანელ ნაცისტთა ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ეროვნებათშორისი შუღლის გაჩაღება წარმოადგენდა. „ჩვენი პოლიტიკა რუსეთის უსაზღვრო სივრცეზე მცხოვ-

რებ ხალხებთან მიმართებაში უნდა გამოიხატებოდეს უთანხმოებისა და გათიშვის ყოველგვარი ფორმების წახალისებაში“, აცხადებდა ფიურერი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ სსრ კავშირის მრავალეროვანი მოსახლეობა, უზარმაზარი „ეთნიკური კონგლომერატი“ გერმანელთა დარტყმას ვერ გაუძლებდა და დაიშლებოდა.

„იქ სადაც ახლა მოსკოვია, შეიქმნება ზღვა, რომელიც სამუდამოდ დაფარავს ცივილიზებული მსოფლიოს თვალთაგან რუსი ხალხის დედაქალაქს“, დანარჩენი ქალაქები ალბის წინ ნანგრევებად ვაქციოთ საარტილერიო ცეცხლით და თავდასხმებით — ასეთი იყო ჰიტლერის დირექტივა (ნიურბერგსკი 1957: 495).

როცა ასე ემუქრებოდა შენს დედაქალაქს, როცა ასეთ ხვედრს უმზადებენ სხვა ქალაქებსა და მათ მშვიდობიან მოსახლეობას, ცხადია, ამგვარი მუხანათი თავდამსხმლის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია, იგი უეჭველად სამართლიანი ბრძოლაა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ ამის იმედად ვერ დარჩებოდა და არც დარჩენილა. უმოკლეს დროში მთელი ეკონომიკა საომარ ყაიდაზე გარდაიქმნა. უზარმაზარი ქვეყანა ერთ მთლიან სამხედრო ბანაკად იქცა. უმკაცრესი დისციპლინა დამყარდა არა მხოლოდ არმიაში და ფრონტზე, არამედ ზურგშიც. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პოლიტიკურ აგიტაციას.

უკვე 1941 წლის ივლისში ჩამოყალიბდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველო, რომელიც არმიასა და ფლოტში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სისტემას განაგებდა, მათ შორის პირადი შემადგენლობის იდეურ აღზრდას. ყველა მეთაურსა და პოლიტმუშაკს ევალებოდა პირადად ეწარმოებინა აგიტაცია და პროპაგანდა მეომართა შორის. ფრონტის ხაზზე მყოფ ნაწილებში საგრძნობლად გამარტივდა კომუნისტურ პარტიაში მიღება. მხედრული მამაცობისათვის დანესებულ იქნა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება (მიენიჭა 11600-ზე მეტ ადამიანს, მათ შორის 3500-მდე არარუსს), 1942 წელს შემოიღეს პირველი და მეორე ხარისხის სამამულო ომის ორდენი და სხვ. გამოიცემოდა სპეციალური ჟურნალი „წითელი არმიის აგიტატორი და პროპაგანდისტი“. ჟურნალი მებრძოლებს უხსნიდა საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი არმიის ბრძოლის სამართლიანობას ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ, განუმარტავდა მტერთან ბრძოლის მიზნის სიღიადეს, ამხელდა ფაშიზმის კაცთმოძულე იდეოლოგიასა და პოლიტიკას, მოუწოდებდა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს გამირობებინათ სამშობლოს სახელით.

დიდი განსაცდელის ჟამს ყოველი ქვეყნის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გამაერთიანებელ მოწოდებას, ლოზუნგს, რომელშიც გამოთქმული იქნება საყოველთაო საზრუნავის დედაარსი. ომის დროს ამგვარ მოწოდებად იქცა დევიზი: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!“. ცხადია, ეს და მსგავსი ლოზუნგები კრემლის პროპაგანდისტულ კაბინეტებში ითხზებოდა, მაგრამ უნდა ვალიაროთ, მათ ჰქონდათ მოსახლეობაზე ზემოქმედების გარკვეული ძალა. შემთხვევითი არ იყო, რომ ტოტალური მობილიზაციის პარალელურად, ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი, მათ შორის საქართველოდანაც, ფრონტზე მოხალისედ გაემგზავრა. ძნელია ეჭვი შევიტანოთ მათ პატრიოტიზმსა და გულწრფელობაში. მიუხედავად იმ უმკაცრესი რეპრესიებისა, რაც ქვეყანამ 20-30-იან წლებში გადაიტანა, ერთუზიანში და ბელადის რწმენა ხალხის დიდ ნაწილში ნამდვილად არსებობდა.

ამას ის გარემოებაც განაპირობებდა, რომ „მუშათა და გლეხთა ქვეყანაში,“ ადრე ჩაგრული მოსახლეობის ამ ფენების სოციალური მდგომარეობა საბჭოთა წყობილების პირობებში შესამჩნევად გაუმჯობესდა. მართალია, მათი ხელფასი თუ სხვა შემოსავლები ჯერაც დაბალი იყო განეული შრომის საფასურად, მაგრამ ამ ადამიანებს გააჩნდათ დასაქმების საიმედო შესაძლებლობა და უზრუნველყოფილი საარსებო მინიმუმი, რასაც წინათ მოკლებულნი იყვნენ. ორი ათწლეულის განმავლობაში საბჭოთა სახელმწიფოში დამყარდა ერთგვარი სოციალური ნონასწორობა, პრივილეგიების ლიკვიდაციის გზით განხორციელდა სოციალური კლასების გათანაბრება. მოსახლეობის უმრავლესობას მიექცა თვითრეალიზაციისა და აქტივობის ასპარეზი. გასაკვირი არაა, რომ ამ და მსგავსმა ფაქტორებმა საზოგადოების ფართო ფენები დადებითად განაწყო არსებული ხელისუფლების, სისტემის და მის განმახორციელებლად მიჩნეული სტალინის მიმართ, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს გააჩნდა საბჭოთა სახელმწიფოსადმი იდენტობისა და პოლიტიკური ნყოფისადმი ერთგულების გრძნობა.

ამის გამოხატულებადაც უნდა მივიჩნიოთ ომისდროინდელი სახალხო ალტკინე-ბა ზურგში. მოსახლეობა იკლებდა ყველაფერს, იტანდა შიმშილსა და სიცივეს, რათა არ გაჭირვებოდათ ფრონტის ხაზზე მყოფ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. ომის პირველი დღეებიდანვე დაიწყო ჩამოყალიბება თავდაცვის ფონდებმა, რომლებშიც სისტემატურად ირიცხებოდა მუშათა ხელფასის თუ დანაზოგის გარკვეული ნაწილი. კოლმეურნეები ნორმის ზევით ამუშავებდნენ „თავდაცვის შექტრებს“, ახალგაზრდები აწყობდნენ შაბათობებს და სხვ. თავდაცვის ფონდებში შექონდათ ვისაც რა შეეძლო, — ზოგს ფული, ზოგს სახელმწიფო სესხის ობლიგაცია, ზოგს ძვირფასეულობა. გროვდებოდა და მეომრებს ეგზავნებოდა თბილი ტანსაცმელი, თეთრეული, სურსათი. მასობრივი ხასიათი შეიძინა შემონირულობებმა სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღებისათვის, მოსახლეობის შენატანით აიგო ათეულობით თვითმფრინავი, წყალქვეშა ნავი, ტანკი, დამზადდა ათასობით ჭურვი და ა. შ.

გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ ფაქტორად იქცა საერთო-სახალხო ბრძოლა მტრის ზურგში, რომელსაც უმაღლესი მთავარსარდლობის დირექტივების შესაბამისად ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი არალეგალური კომუნისტური ორგანიზაციები წარმართავდნენ. ფართოდ გაიშალა პარტიზანული მოძრაობა. პარტიზანულ შენაერთებში, რომლებიც ასევე ქვეყნის უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური ხელისუფლების მითითებით ყალიბდებოდა, მეომრების მხარდახმარ ერთიანდებოდნენ მშვიდობიანი მცხოვრებნიც — მუშები, მოსამსახურენი, კოლმეურნეები, მოსწავლე-ახალგაზრდობა. სახალხო შურისმგებლები სპობდნენ მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, აწყობდნენ დივერსიებს, ასრულებდნენ მრავალ საპასუხისმგებლო დავალებას, ომის წლებში მტრის ზურგში იარაღით ხელში 1 მილიონამდე ადამიანი იბრძოდა.

ყოველივე ამასთან ერთად, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის მონოლითურობას ომის წლებში ამ სახელმწიფოს ტოტალიტარული ბუნებაც განაპირობებდა. ტოტალიტარიზმის მკაფიო გამოხატულება იყო, როგორც ცალკეულ პიროვნებათა, ისე მთელი ხალხების ცხოვრების სახელმწიფო რეგულირება, არნახული ტერორი რეჟიმის რეალური თუ მოჩვენებითი მტრების წინააღმდეგ და სხვ. საბჭოთა ხალხების საბრძოლო შემართებაში არც თუ უკანასკნელი როლი შეასრულა ბოლშევიკური დიქტატურის შიშმაც. 1943-1944 წლებში უმკაცრესად დასაჯეს ე. წ. მცირე ხალხები: კალმეკები, ყარაჩაელები, ჩეჩნები, ბალყარლები, ყირიმელი თათრები, მაჰმადიანი მესხები და სხვა, რომლებიც მშობლიური ადგილებიდან ძირფესვიანად აყარეს და შორეულ შუა აზიაში გადაასახლეს.

სტალინისა და კომუნისტური ხელისუფლების მონოდებებსა და მიმართვებს ომის დროს მკაცრი ბრძანების ხასიათი ჰქონდათ, რომელთა განუხრელი შესრულება ერთნაირად სავალდებულო იყო დიდისა თუ პატარისათვის. კრემლის დირექტივებიდან ოდნავი გადახვევაც კი სასტიკად ისჯებოდა. სახელმწიფო უღმობლად ებრძოდა დეზერტირებს, მოღალატეებს, სხვაგვარად მოაზროვნეებს.

ამ მხრივ ნიშანდობლივია ი. სტალინის 1942 წლის 28 ივლისის სპეციალური ბრძანება № 227 „არც ერთი ნაბიჯი უკან!“ ბრძანება მთელს არმიასი, განსაკუთრებით კი ფრონტის ხაზზე მყოფ შენაერთებში რკინისებური დისციპლინის შემოღებას მოითხოვდა. არამდგრადი, მერყევი ნაწილების ზურგში გათვალისწინებული იყო საგანგებო გადაძობი რაზმების შეყვანა, რომელთაც დივიზიების უწესრიგოდ უკან დახვევისას ევალებოდათ ადგილზე დაეხვრიტათ პანიკორები და ლაჩრები. საბჭოთა მეომრებს აკრძალული ჰქონდათ ტყვედ დანებება და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ეს შემზარავი ბრძანება პრესაში არ გამოქვეყნებულა. კომუნისტურმა „პრავდამ“ ხსენებული დოკუმენტის მხოლოდ პროპაგანდისტული ინტერპრეტაცია გაავრცელა. გაზეთის 31 ივლისის მონინავეში ნათქვამი იყო: „საბჭოთა მეომრებო! არც ერთი ნაბიჯი უკან! — ასეთია სამშობლოს მონოდება, ასეთია საბჭოთა ხალხის მოთხოვნა“ (გამოდის, თითქოს ეს აზრი ხალხის წიაღიდან მოდიოდა და არ იყო სახელმწიფოს მეთაურის ნება). „ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს ინტერესები, — ვკითხულობთ იქვე, — იმას არ შეუძლია უკან დაიხიოს. ვინც მტრისათვის შეუპოვარი წინააღმდეგობის გაუწევლად სთმობს თავის პოზიციებს და მტერს შესაბინად უტოვებს მშობლიურ მიწა-წყალს, — ის არღვევს საბჭოთა მეომრის ფიცს, ის დანაშაულს სჩადის საბჭოთა ხალხის წინაშე.... დაილუპონ, მაგრამ არ დაიხიონ

ბრძანების მიუღებლად — აი, ჩვენი მეომრების ლოზუნგი. იბრძოლონ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, სიცოცხლე შესწირონ, რათა გზა გადაუღობონ მტერს და უზრუნველყონ სამშობლოს გამარჯვება — აი, უცილობელი კანონი ომის ახლანდელი ეტაპისა“.

აუცილებელია მივუთითოთ სამღვდელოების დამოკიდებულებაზეც ომისადმი სსრ კავშირსა და გერმანიას შორის. ომმა დამპყრობთა წინააღმდეგ მიიღო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის, სხვა რელიგიურ კონფესიათა ლოცვა-კურთხევა, რაც, მიუხედავად კულტის მსახურთა შეზღუდული მდგომარეობისა ქვეყანაში, სრულიადაც არ ყოფილა უმნიშვნელო ფაქტორი. მოძღვრის ქადაგებას ამბიონიდან პოეტური სიტყვის, მხატვრული პლაკატის, სიმღერისა თუ მუსიკის მსგავსად, იარაღით ხელში მებრძოლთა, ზურგის მშრომელთა პატრიოტული შემართების მაღალი მისია ეკისრა.

მტერთან შეურიგებლობასა და დამპყრობთა წინააღმდეგ მოსახლეობის მასობრივ ბრძოლას დროებით ოკუპირებულ მიწა-წყალზე გერმანელთა არაადექვატური ქცევა, მათი სისასტიკე და დაუნდობლობაც განაპირობებდა. საერთოდაც რომ არ შევეხებოთ პიტლერული საკონცენტრაციო ბანაკების თემას, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე წარმოებდა უღმობელი ტერორისა და ეკონომიკური ძარცვის პოლიტიკა. ფაბრიკებსა და ქარხნებში, რკინიგზასა თუ მაღაროებში გამეფებულ იქნა შრომის კატორღული რეჟიმი. დაპყრობილი სამოქალაქო მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავების პარალელურად, რასაც ინტენსიურად ეწეოდა „მესამე რეიხის“ პროპაგანდის სამინისტრო, შრომისუნარიან მცხოვრებთა მნიშვნელოვან ნაწილს უფასო მუშახელად იძულებით გზავნიდნენ გერმანიაში (სტატისტიკური მონაცემებით საბჭოეთიდან გაიყვანეს 4,2 მილიონი ადამიანი) და სხვ.

უცხოელი მკვლევრები მიუთითებენ ფაქტს დამპყრობლებთან 1 მილიონამდე საბჭოელის თანამშრომლობის ფაქტზე, რაც სიმართლეს შეესაბამება. მართლაც, არც ერთ ქვეყანაში, რომელსაც გერმანიის თავდასხმა განუცდია, მტრის მხარეზე ამდენი ადამიანი არ გადასულა. მაგრამ, ვიხსენებთ რა ამას, ობიექტურობა გვკარნახობს, დავძინოთ შემდეგიც: „რუსული კოლაბორაციონიზმის“ ეს მაჩვენებელი ოდნავადაც ვერ უტოროდებდა მათ რიცხვს, ვინც ქედი არ მოუხარა ოკუპანტთა უღელს და დარჩა როგორც თავისი ქვეყნის, ისე იმ პრინციპების ერთგული, რომლებმაც პროგრესული კაცობრიობა ანტიფაშისტური დროშის ქვეშ გააერთიანა.

ყოველივე ამის ფონზე მაინც დაისმის კითხვა: იყო თუ არა ეს ომი სამამულო სსრ კავშირის ხალხებისათვის?

საბჭოთა ისტორიოგრაფიას, როგორც აღნიშნული გვქონდა, ეს საკითხი სადაოდ არ გაუხდია და ერთმნიშვნელოვნად მიაჩნდა, რომ ომი სამამულო იყო ყველა საბჭოთა ხალხისათვის, მათ შორის, რუსების, ქართველებისათვის და სხვა. სათანადო არგუმენტაციას მოკლებული ისტორიკოსთა ეს თვალსაზრისი მომდინარეობდა სტალინის ზემოთ განხილული მიმართვიდან, რომელიც, თავის მხრივ, რამდენიმე მცდარ, პროპაგანდისტულ თეზისს ემყარებოდა. სწორედ პროპაგანდისტული საჭიროება განაპირობებდა ამ თეზისების სიყალბეს, რომელთა გაბათილება დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს. მაგალითად, სტალინმა მიმართვაში რამდენჯერმე ახსენა სიტყვა სამშობლო. საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურმა კარგად იცოდა, რომ სამამულო ომისათვის დამახასიათებელი უმთავრესი ნიშანი სამშობლოსათვის ბრძოლაა. სწორედ ამიტომ, სტალინმა საბჭოთა კავშირი არაერთხელ ხაზგასმით გამოაცხადა მასში შემავალი ყველა რესპუბლიკისა და ხალხის ერთიან სამშობლოდ: „მტერი თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს“, „სამშობლოს დასაცავად უნდა აღდგენენ საბჭოთა ხალხები“ და სხვ.

„როგორც უფალი, სამშობლოც, ერთია ქვეყანაზედა“ — ამბობს XIX საუკუნის ქართველი პოეტი რაფიელ ერისთავი და ამ პოეტური ფრაზით, ვფიქრობთ, მშვენივრად გამოხატავს თითოეული ერის სათქმელს. ქართველი ხალხისათვის **ერთადერთი** სამშობლო, მამული, მიწა-წყალი იყო და არის საქართველო და არ შეიძლებოდა ყოფილიყო და არც ყოფილა სსრ კავშირი. ეს უკანასკნელი, მართალია, ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკების ნებაყოფლობით გაერთიანებდა, თანასწორთა კავშირად იწოდებოდა, მაგრამ, სინამდვილეში ძალდატანებით შექმნილი, ხელოვნური წარმონაქმნი იყო. არარუსი ხალხები, მათ შორის ქართველები ამ კავშირში იძულებ-

ბით შეიყვანეს. ამიტომაც, ქართველობა მას შინაგანად თავის სამშობლოდ, თავის მამულად არ მიიჩნევდა. სსრ კავშირი მასში შემაჯავალი ხალხებისათვის სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის საერთო სახელმწიფო იყო და არა სამშობლო.

„მტერი მიზნად ისახავს „დაანგრიოს“ საბჭოთა ხალხების, მათ შორის ქართველი ხალხის „ნაციონალური სახელმწიფოებრიობა“, — აცხადებდა ი. სტალინი. ქართველ ხალხს ამ დროს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი უკვე აღარ გააჩნდა, იგი მას სწორედ საბჭოთა რუსეთმა მოუშალა. 1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთის არმიებმა დაამხეს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც დე-იურედ ცნობილი იყო დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, თურქეთის, თვით რუსეთისა და სხვა სახელმწიფოების მიერ. 1941 წლისათვის საქართველოს „ნაციონალური სახელმწიფოებრიობა“ აღარ ჰქონია და ფაშისტური გერმანია მას ვერ წაართმევდა იმას, რაც არ გააჩნდა. ვერც საქართველო იომებდა გერმანიასთან იმისათვის, რაც საბჭოთა რუსეთმა წაართვა. პირიქით, ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი, განსაკუთრებით ემიგრაციაში მყოფი, გერმანიის დახმარებით ფიქრობდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლების აღდგენას.

ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვა ხალხებთან ერთად თავდადებით იბრძოდა საერთაშორისო ბოროტების — ფაშიზმის წინააღმდეგ. საქართველომ 700 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაგზავნა ომის ფრონტებზე და მცირერიცხოვანი ხალხისათვის უჩვეულო მსხვერპლიც გაიღო დიდი და სამართლიანი საქმისათვის. მაგრამ ეს მაინც არ იყო ბრძოლა საკუთარი „სამშობლოს თავისუფლებისათვის“. ფაშისტურ გერმანიას არ ჰქონია დაპყრობილი საქართველოს ტერიტორია და აქ არც საბრძოლო ოპერაციები მიმდინარეობდა. სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოდნენ რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხები, რომელთა ტერიტორიებზეც ოკუპანტებმა შეძლეს გარკვეული ხნით ფეხის მოკიდება და გაბატონება. ამ ხალხებისათვის ეს ომი, რა თქმა უნდა, სამამულო იყო.

ბოლშევიკური პროპაგანდის კიდევ ერთი სიყალბე ტერმინ „საბჭოთა ხალხს“ უკავშირდება. „სამშობლოს დასაცავად გამოდის მთელი საბჭოთა ხალხი“, — ნათქვამია სტალინის მიმართვამში.

„საბჭოთა ხალხი“ თავიდანვე სოციალური და პოლიტიკური შინაარსის კატეგორია გახლდათ. მასში მოიაზრებოდა საბჭოთა სახელმწიფოში მცხოვრები და სოციალისტური სისტემის მაშენებელი ხალხი, უფრო სწორად — ხალხები. „საბჭოთა ხალხი“ ვერ იქნებოდა ეთნიკური შინაარსის შემცველი ფენომენი. „საბჭოთა ხალხი“ ისეთივე არაეთნიკურ ერთობად შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც „ფაშისტური ხალხი“, „კაპიტალისტური ხალხი“ ან „დემოკრატიული ხალხი“ და ა. შ. სამამულო ომს კი მხოლოდ ეთნიკური ნიშნით გაერთიანებული ერთობები — ერები, ეროვნებები თუ ეთნოსები ეწევიან.

შემდგომში, ბრეჟნევის ხანაში, კომუნისტური ხელისუფლება შეეცადა, საბოლოოდ დაემკვიდრებინა „საბჭოთა ხალხის“, როგორც ახალი ისტორიული ერთობის კატეგორია. იგი ფაქტობრივად გულისხმობდა რუსული ეთნოსის ჰეგემონიასა და საბჭოთა კავშირში მცხოვრები სხვა ხალხების მარგინალიზაციის დაკანონებას, რაც პერსპექტივაში უკანასკნელთა ასიმილაციის წინამძღვრებს ქმნიდა. საბედნიეროდ, ამგვარი ეთნიკურ-ეროვნული ერთობა არასოდეს არსებულა და მისი კანონიზაციის მცდელობაც მარცხით დამთავრდა.

მიუხედავად აბსურდული შინაარსისა, ტერმინ „საბჭოთა ხალხს“, როგორც ვითომ ადრე არსებულ ერთობას, დღესაც იმეორებს თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფია, ასევე დღევანდელი რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები. სულ 2009 წლის მაისში, გადნაკში გამოსვლის დროს, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა: „ჩვენ გვახსოვს ყველა, ვინც მონაწილეობდა ამ ომში, საბჭოთა ხალხთან ერთად“. გამოდის რომ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები, რუსები, მოლდაველები, თურქმენები, ყირგიზები, ყაზახები და ათეულობით ერები, ეროვნებები და ეთნოსები — ერთი ხალხი ყოფილა და ერთი სამშობლო ჰქონიათ.

ტყუილბრალო კრიტიკას ნუ მივყოფთ ხელს, უბრალოდ, ობიექტურად მივუჩინოთ მოვლენებს, ფაქტებსა და ტერმინებს კუთვნილი ადგილი. არავითარი საბჭოთა

ხალხი, როგორც ეთნიკურ-ეროვნული ან ისტორიული ერთობა არასოდეს არსებულა რეალურად. ეს იყო პოლიტიკურ-სოციალური მოდელი, რომელიც კრემლის უტოპისტმა ველიკოდერჟავინეებმა შეიმუშავეს და მიზნად ისახავდა საბჭოთა იმპერიაში შემწყვდელი ხალხების ასიმილაციას და რუსიფიკაციას. საბედნიეროდ, აღნიშნული პროექტი არ განხორციელდა. ამის საწინააღმდეგოდ, საბჭოთა იმპერიის 70-წლოვანი ისტორიის განმავლობაში არსებობდნენ სხვადასხვა ხალხები და რესპუბლიკები, რომლებმაც საბჭოთა იმპერიის დაშლისთანავე დააარსეს თუ აღადგინეს საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოები და ფარულად თუ აშკარად ილტვიან რუსეთის დიქტატისაგან თავდასაღწევად.

ბუნებრივია, რადგან არავითარი „საბჭოთა ხალხი“ არ არსებობდა, არც მათი საერთო ე. წ. „დიდი სამამულო ომი“ შეიძლება არსებულებოდა. ქართველ ხალხს საკუთარი სამამულო ომების მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნდა. მართლაც, საქართველოს ისტორია ხომ ერთი ხანგრძლივი, პერმანენტული სამამულო ომების გაბმული ისტორიაა, მაგრამ მეცნიერული სიზუსტისათვის, ერთი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ. უფრო მიზანშეწონილი იქნება თუ ქართველობის მიერ წარმოებულ თავდაცვით ომებს ორ ტიპად, რანგად დავყოთ. პირველია ყველა ის თავდაცვითი ომები, რომელნიც სწარმოებდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა თუ შენარჩუნებისათვის. მაგ., ვახტანგ გორგასლის ანტიირანული, ნერსე ერისმთავრის თუ აშოტ კურაპალატის ანტიარაბული, დავით ულუს, დავით ნარინის, დავით მერვის ანტიმონღოლური, თუ ბაგრატ მესამე იმერთა მეფის და სხვათა ანტიოსმალურ-ანტიყიზილბაშური ომები, რომელთა მიზანი იყო დამოუკიდებლობის ან სახელმწიფოებრიობის აღდგენა, შენარჩუნება ან მისი ხარისხის გაზრდა.

მაგრამ იყო თავდაცვითი ომის მეორე უფრო მძიმე, რთული სახეც. ამ შემთხვევაში მტერი მიზნად ისახავდა არამარტო საქართველოს დამორჩილებას, ვასალობას, დახარკვას, არამედ ქართველი ხალხის გამაჰმადიანება-გათათრებას, მის ფიზიკურ განადგურებას, საკუთარი მიწა-წყლიდან აყრა-გადასახლებას ან მის წართმევას, სახელმწიფოს გაუქმებას, უცხო იმპერიის ნაწილად ქცევას, საქართველოში უცხოთმელთა დასახლებას, ერთი სიტყვით — ქართველობის ამა თუ იმ ფორმით გადაშენებას. ამგვარი სასიკვდილო საფრთხის წინაშე ბრძოლას საყოველთაო-სახალხო ხასიათი ჰქონდა და ამგვარი სახის ომებს აწარმოებდა სწორედ ქართველი ხალხი თემურ-ლენგის ურდოების წინააღმდეგ, ლუარსაბ პირველი და სვიმონ დიდი ოსმალო-ყიზილბაშების წინააღმდეგ; კახელები 1614-1617 წლებში შაჰ-აბასის გამანადგურებელი ლაშქრობების დროს; ქართლის მოსახლეობა მარტყოფ-მარაბდა-ქსნის ომების პერიოდში და ისევე კახელები ბახტრიონის აჯანყების შემს, როცა აჯანყებულმა ქართველებმა თითქმის პირწმინდად გაჟლიტეს კახეთში ჩამოსახლებული 80 ათასამდე თურქმანი. აი რა და რომელი იყო ქართველობისათვის ჭეშმარიტი სამამულო ომები.

მიუხედავად ზემოთქმულისა, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ფრონტებზე გაფანტული ქართველი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის 1941-1945 წლების ომი არ იყო სამამულო, რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი დაღვრილი სისხლი და გაღებული მსხვერპლი რამენაირად მაინც ნაკლებ პატივისცემას იმსახურებდეს. პირიქითაა. როგორც აღინიშნა, ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვა ხალხებთან ერთად თავდადებით იბრძოდა საერთაშორისო ბოროტების — ფაშიზმის წინააღმდეგ. საქართველომ 700 000 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაგზავნა ომის ფრონტებზე და უჩვეულოდ დიდი მსხვერპლი გაიღო სამართლიანი საქმისათვის. ამ შემთხვევაში, ქართველები და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხები ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ, ომში უშუალოდ ჩაბმული ხალხების მოკავშირეებად და ერთიანი მსოფლიო ანტიფაშისტური ბანაკის ღირსეულ წარმომადგენლებად.

მაგრამ ვიმეორებთ და დავასკვნით, რომ ეს მაინც არ იყო ბრძოლა საკუთარი, თითქოს საერთო „საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისათვის“. ფაშისტ ჯარისკაცს არ დაუდგამს ფეხი საქართველოს მიწა-წყალზე. სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოდნენ ის ხალხები, რომელთა ტერიტორიებზეც ოკუპანტებმა შეძლეს გარკვეული პერიოდით გაბატონება, ნგრევა და ჟლეტა. ამ ხალხებისათვის ეს ომი, რა თქმა უნდა, სამამულო იყო. ჩვენ მათი და სხვა დაპყრობილი ევროპელი ხალხების

მოკავშირეები ვიყავით. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ხომ ოფიციალური სტატუსითაც საბჭოთა კავშირში შემავალი ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა გახლდათ, ქალაღღზე მაინც.

II მსოფლიო ომის სახელწოდების საკითხში პოსტსაბჭოური ქართული და რუსული ისტორიოგრაფია ერთმანეთს საფუძვლიანად გაემიჯნენ. ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ საქართველოსთან მიმართებაში აუცილებლად მიიჩნია ტერმინი „დიდი სამამულო ომის“ გადაფასება.

თანამედროვე ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ უკვე სცადა ახლებურად გაეაზრებინა 1941-1945 წლების ომის არსი, მის მიმართ ქართველი ხალხის დამოკიდებულება და ფაქტობრივად უარყო ომის სამამულო ხასიათი საქართველოსათვის. ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, 1991 წლის დამდეგს გამოცემული წიგნის „საქართველოს ისტორია. 1783-1990“ ავტორებმა, აკაკი და პაატა სურგულაძეებმა, კითხვაზე — „აუცილებელი იყო თუ არა ამოდენა მსხვერპლი, როცა ომი საქართველოს ტერიტორიაზე არ წარმოებდა“, დადებითად უპასუხეს და იგი უღმობელ მტერზე საერთო გამარჯვების ინტერესებით ახსნეს.

წინამდებარე სტატიის ავტორებიც ვიზიარებთ ამ პათოსს. აუცილებელია პატივი მიეგოს იმ ადამიანთა თავდადებას, ვინც მამაცურად დაუხვდა მტერს, საჭიროა ღირსეულად დაფასდეს დაღუპულთა ხსოვნაც და ომის ცეცხლგამოვლილ ვეტერანთა ღვაწლიც. მაგრამ, როდესაც ჯერი პრობლემის მეცნიერულ შეფასებაზე მიდგება, აქ პათოსმა ადგილი ჭეშმარიტებას უნდა დაუთმოს.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე რუსი ავტორები კვლავაც იმ ცნების ერთგულნი არიან, რომელსაც თავის დროზე უფრო იდეოლოგიური დატვირთვა გააჩნდა და ნაკლებად ასხავდა მოვლენის არსს. სანიმუშოდ ბოლო დროს მოსკოვში გამოცემული წიგნიც გამოდგება, რომლის ავტორი ა. ოკოროკოვი ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე აცხადებს: „როგორც არ უნდა „გადაიხედოს“ განვლილი ომის მოვლენები, უეჭველ ფაქტად დარჩება, რომ მეორე მსოფლიო ომი სსრ კავშირში მცხოვრები ხალხებისათვის იყო სამამულო“ (ოკოროკოვი 2000: 5).

ახლა ქართველ ავტორებსაც მოვუსმინოთ: 1994 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ვ. რცხილაძე საქართველოს მეორე მსოფლიო ომში „ჩათრეულ“ ქვეყნად მიიჩნევდა. მართლაც, საბჭოთა სახელმწიფოში დაპყრობის გზით მოხვედრილ პატარა საქართველოს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. თუმცა, ავტორის შენიშვნით, ომის პერიოდში „ბევრი ქართველი ჯარისკაცი, უმეტესად მუშათა და გლეხთაგან გამოსულები“ თავს „საბჭოთა პატრიოტად“ აღიქვამდა. ისინი, რა თქმა უნდა, „ბოროტებას ებრძოდნენ“, მაგრამ საბოლოო ჯამში ხსენებული ომი „ისტორიის ირონია და ქართველი ხალხის ტრაგედია“ იყო. „სხვის ომში, სატანური იმპერიების დროშის ქვეშ, საქართველოს შვილები თავს წირავდნენ და მათი ძვლებით მოფენილია უკიდევანო რუსეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების მიწები“ (რცხილაძე 2001: 5-9).

2003 წელს დასტამბულ, სტუდენტთათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში XX საუკუნის საქართველოს ისტორიის შესახებ ქართველი ხალხის ომისადმი დამოკიდებულება დიფერენცირებულადაა შეფასებული. „საბჭოთა იდეოლოგიის განუყოფელი ბატონობის პირობებში აღზრდილი ქართველი ერის დიდ ნაწილს მართლაც ჯეროდა, რომ ომი სამამულო იყო“, — ვკითხულობთ სახელმძღვანელოში. ამავე დროს, ავტორების აზრით, „ქართველი ერის ნაწილისათვის“, რომელსაც ახსოვდა საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაცია, მიმდინარე ომი „ცხადია, არ შეიძლებოდა სამამულო ყოფილიყო... ისევე როგორც ქართველი ემიგრაციისათვის, რომელიც ოცი წლის მანძილზე დაუცხრომლად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის“ (საქართველოს ... 2003: 151. შესაბამისი თავის ავტორია პროფესორი ვ. გურული).

მ. ნათელაძე და ა. დაუშვილი ნაშრომში „საქართველოს უახლესი ისტორია“, ერთის მხრივ, აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებმა 1941-1945 წლების ომი გაითავისეს, როგორც, დიდი სამამულო ომი“. მეორეს მხრივ, ავტორები მოერიდნენ ამ საკითხისადმი მიძღვნილი თავის სამამულო ომად დასათაურებას და იგი „მეორე მსოფლიო ომით“ ჩანაცვლეს (ნათელაძე, დაუშვილი 2004: 163, 167-168). ომის სამამულო ხასიათი ქართველი ხალხისათვის უარყოფილია წინამდებარე ნარკვევის

ერთ-ერთი ავტორის — ოთარ ჯანელიძის მიერ ახლახანს გამოცემულ წიგნში „საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია“ (2009).

კომუნისტური იდეოლოგიური მარწუხებისაგან განთავისუფლებულმა თანამედროვე ქართულმა მეცნიერებამ უარყო 1941-1945 წლების ომის საბჭოური ინტერპრეტაცია და მისი ობიექტური გააზრება სცადა. ეს სავსებით კანონზომიერია. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიოგრაფიამ ახლო წარსულის ბევრი გამრუდებული და დამახინჯებულად წარმოდგენილი მოვლენა ობიექტურად შეაფასა. ვერც მეორე მსოფლიო ომისადმი ქართველი ხალხის დამოკიდებულება და მისი ხასიათის დადგენა იქნებოდა გამონაკლისი.

დამონებანი:

ლევანდოვსკი 2002: Левандовский А. А. Щетников Ю. А. Россия в XX веке. М.: Издательство Просвещение, 2002.

ლექსიკონი 1958: Словарь русского языка. т. II, М.: Издательство „Азбуковник“, 1958.

ნათმელაძე... 2004: ნათმელაძე მ., დაუშვილი ა. საქართველოს უახლესი ისტორია. თბ.: „უნივერსალი“, 2004.

ნიურბერგსკი 1957: Нюрнбергский процесс, сб. материалов, т. I, М.: Гос. издательство юридической литературы, 1957.

ოკოროკოვი 2000: Огороков А.В. Антисоветские воинские формирования в годы второй мировой войны. М.: Издательство Вузовская книга, 2000.

რცხილაძე ვ. 2001: რცხილაძე ვ. ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში. თბ.: 2001.

საქართველოს... 2003: საქართველოს ისტორია. XX საუკუნე. ვ. გურულის რედაქციით. თბ.: თსუ გამომცემლობა, 2003.